

საქართველოს საპატრიარქო
კონრად ადენაუერის ფონდი

**საქართველოში არსებული
კონფლიქტები და მშვიდობის
პერსპექტივები**

თბილისი, 2009

2008 წლის 2-3 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქომ და კონრად ადენაუერის ფონდმა ჩაატარეს სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: **საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები.**

კონფერენციის მთავარი მიზანი იყო საქართველოში არსებული **კონფლიქტების არსის** წარმოჩენა და მათი გადაწყვეტისთვის ობიექტური სამეცნიერო და საინფორმაციო ბაზის მომზადება.

კრებულში იბეჭდება კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, აგრეთვე, დისკუსიის მასალები, რომლებიც სარედაქციო საბჭოს თხოვნით მსჯელობაში მონაწილე პირებმა სტატიების სახით წარმოადგინეს.

გამომცემლები: **მეუფე ანანია (ჯაფარიძე)**
კატია კრისტინა პლატე
ბიძინა ლებანიძე
ნატო ასათიანი

სარედაქციო საბჭო:

არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე), თამაზ ბერაძე, როზეტა გუჯეჯიანი, როლანდ თოფჩიშვილი, მარიამ ლორთქიფანიძე, ლელა მარგიანი, ტარიელ ფუტყარაძე, ბექან ხორავა.

რეცენზენტები: **ზურაბ თვალჭრელიძე**
რევაზ შეროზია
გიორგი ჭეიშვილი
ოთარ ჯანელიძე

სარედაქციო საბჭო გაწეული დახმარებისათვის მადლობას უხდის: **ირინა ბიბილეიშვილს, მერაბ გვაზავას, ნია გოგონიას, ეკატერინე დადიანს, ზვიად ჭეილითაიას, გიორგი ნუკრის-ძე ჭეიშვილს, კახაბერ წულაიას.**

ISBN 2345632456

გამომცემლობა „კალამუსი“

შ ი ნ ა ა რ ს ი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის მისასალმებელი სიტყვა	5
კონრად ადენაუერის ფონდის რეგიონული პროგრამის „სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური დიალოგი“ ხელმძღვანელის კატია კრისტინა პლატეს მისასალმებელი სიტყვა	9
აფხაზეთი: ისტორიულ-პოლიტიკური და ეთნიკური პროცესები	
თამაზ ბერაძე, კონსტანტინე თოფურია, ბეჟან ხორავა, თანამედროვე აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა	11
როზეტა გუჯეჯიანი, დალის სვანეთის (კოდორის ხეობის/ზემო აფხაზეთის) ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა	15
ბეჟან ხორავა, ეთნიკური პროცესები აფხაზეთში	24
ჯემალ გამახარია, აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსი 1917-1937 წლებში	37
ნოდარ შოშიტაშვილი, სოსო ჭანტურიშვილი, ნინო მინდაძე, ქეთევან ხუციშვილი, როზეტა გუჯეჯიანი, გიორგი ჭეიშვილი, აფხაზეთის ეთნოგრაფიული სამყარო	55
გოჩა გვარამია, აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის გამომწვევი ფაქტორები და მისი მოგვარების პროცესში რუსეთის პოლიტიკის მიზეზ-შედეგობრივი ასპექტები	70
ცხინვალის მხარე: ისტორიულ-პოლიტიკური და ეთნიკური პროცესები	
როლანდ თოფჩიშვილი, ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში	135
ბიმურზა დადეშქელიანი-აფრასიძე, შიდა ქართლის ერთი ნაწილის (ცხინვალის მხარის) პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის შესახებ	172
ენობრივ-კულტურული სიტუაციის ისტორიული დინამიკა საქართველოში	
მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ეკლესია - საქართველოს კუთხეთა მაკავშირებელი დულაბი	178
ქეთევან პავლიაშვილი, რუსული იმპერიალისტური პროექტი და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია	184

მანანა ტაბიძე, საქართველოს კონფლიქტური რეგიონების
ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზისათვის _____ 192

თეიმურაზ გვანცელაძე, იმპერიული ენობრივი პოლიტიკა
აფხაზეთში და მისი შედეგები _____ 206

საქართველო: გეოპოლიტიკური ვექტორები

ტარიელ ფუტყარაძე, საქართველოს გეოპოლიტიკური
სტრატეგიის რამდენიმე ასპექტი _____ 221

ლია ახალაძე, ეპიგრაფიკა - აფხაზეთისა და შიდა ქართლის
ეთნოკულტურული ისტორიის წყარო _____ 235

თამაზ ფუტყარაძე, დემოგრაფიული პროცესების მართვის
ერთი მაგალითი: მუჭაჯირობის ისტორია
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში _____ 245

გურამ მარხულია,
სომხური დიასპორის ისტორიიდან საქართველოში _____ 254

დაზმირ ჯოჯუა, აფხაზეთის კონფლიქტის არსი
— რუსეთ-საქართველოს ომი _____ 269

გიორგი ქავთარაძე, კავკასიონის გეოპოლიტიკური
როლი ისტორიული პერსპექტივიდან _____ 280

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის მისასალმებელი
სიტყვა მსოფლიო პოლიტიკური ფორუმის მიერ
ორგანიზებული კონფერენციის, „ადამიანის უფლებები
და დემოკრატია გლობალიზებულ მსოფლიოში
მონაწილეებისადმი.“**

ქალბატონებო და ბატონებო!

გულითადად მოგესალმებით საქართველოს ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით, იმ ქვეყნისა და ხალხის სახელით, რომელსაც 3000 წელზე მეტი ხნის სახელმწიფოებრივი და 2000-წლოვანი ქრისტიანული ცხოვრების ისტორია აქვს. იგი მცირერიცხოვანი, მაგრამ მრავალეროვანი ქვეყანაა და, შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენთან თითქმის არასდროს ყოფილა დევნა რელიგიური და ეთნიკური ნიშნით. ეს განაპირობა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ხალხის მოსიყვარულე ხასიათმა და, რა თქმა უნდა, ქრისტიანულმა რწმენამ, რომელსაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი აღიარებს. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ აგვისტოს ცნობილი მოვლენების შემდეგ ზოგიერთი ცდილობს აგრესორად წარმოგვაჩინოს მაშინ, როდესაც სწორედ ქართული მოსახლეობა არის ცხინვალის რეგიონიდან დევნილი, გაძარცვული და დარბეული. ამასთან, უკვე ჩვიდმეტი წელია იმავე მდგომარეობაში იმყოფებიან აფხაზეთიდან დევნილნიც, და დღემდე, სამწუხაროდ, არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები უსაფრთხოების გარანტიების შესაქმნელად და მათს დასაბრუნებლად.

საერთოდ, ამ ვითარებას რომ სწორი შეფასება მიეცეს, ვფიქრობ, აუცილებელია ჩვენი ქვეყნის ახლო წარსულის გახსენება.

თუმცა, წინასწარ მინდა შევნიშნო ისიც, რომ მე არა ვარ პოლიტიკოსი და, ბუნებრივია, ჩემეული შეფასებები შეიძლება თქვენგან განსხვავებული იყოს, მაგრამ რელიგიურ ლიდერებს, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას მოიცავენ, თავისი ხალხის წინაშე გარკვეული პოლიტიკური პასუხისმგებლობაც აქვთ, სწორედ ამიტომ მოგმართავთ აქ დღეს თქვენ და ყველას, ვინც ამ ფორუმის მუშაობას თვალს ადევნებს, და გიზიარებთ ჩემს მოსაზრებებსა და გულისტკივილს.

XX საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც კომუნისტებმა დაიპყრეს

დამოუკიდებელი საქართველო, ჩვენი ტერიტორიების ნაწილი მეზობელ სახელმწიფოებს გადაუნაწილეს, ხოლო დარჩენილ ნაწილში, ყოველგვარი ისტორიული და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, შექმნეს აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულები, რითაც წელი მოქმედების ნაღმები ჩადეს საჭიროების შემთხვევაში ასამოქმედებლად, და ეს დრო ახლა დადგა.

მართალია, დღეს საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, მაგრამ ის იდეოლოგია და გაყალბებული ისტორია, რომელიც სამოცდაათი წლის მანძილზე (მანამდე კი მეფის რუსეთის დროს, ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში) აღნიშნულ რეგიონებში ინერგებოდა, ჩვენს წინააღმდეგ განაწყობდა აქ მცხოვრებთ და იმის ილუზიას უქმნიდა მათ, თითქოს ისინი დაპყრობილნი იყვნენ ქართული სახელმწიფოს მიერ.

ფაქტობრივად კი, ეს ტერიტორიები ჩვენი ისეთივე ძირძველი მიწებია, როგორებიცაა, მაგალითად, რუსებისათვის სუზდალი, ნოვგოროდი, სმოლენსკი... ამასთან, აქ მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ყოველთვის ქართველები წარმოადგენდნენ.

დასავლეთის მხარდაჭერა გვჭირდება, რომ შევძლოთ არასწორი საინფორმაციო ველის გარღვევა. მაშინ საქართველოს მიმართ აღნიშნული ეროვნული უმცირესობების დამოკიდებულება, დარწმუნებული ვარ, რადიკალურად შეიცვლება, რადგან ჩვენს ქვეყანაში მათ, ისევე როგორც აქ მცხოვრებ სხვა უმცირესობებს, განვითარების შესანიშნავი პირობები ჰქონდათ და აქვთ.

აფხაზეთშიც და ე.წ. სამხრეთ ოსეთშიც აფხაზურ და ოსურ ენებზე ფუნქციონირებდა უნივერსიტეტები და სხვა უმაღლესი სასწავლებლები, თეატრები და სკოლები, იბეჭდებოდა წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, ანუ ისინი სარგებლობდნენ ავტონომიის სრული უფლებით და მრავალ წარმატებასაც მიაღწიეს.

ასე რომ, არსებული დაპირისპირება არ არის ქართულ-ოსური, ან, თუნდაც ქართულ-აფხაზური ეთნოკონფლიქტი. ამას ისიც ადასტურებს, რომ საომარი მოქმედებების პერიოდში და დღესაც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში მრავლად მცხოვრებ ოსებს არ დაუტოვებიათ თავისი კარ-მიდამო და არც რაიმე პრობლემა შექმნიათ ქართველებთან. იგივე ითქმის აფხაზებთან მიმართებაშიც;

მე არ ვამბობ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენი მხრიდან შეცდომები არ იყო დაშვებული და თანაც სერიოზული შეცდომები, მაგრამ ისიც ბუნებრივია, რომ საქართველო, ისევე როგორც ნებისმიერი

სხვა ქვეყანა, ვერ შეეგუება თავისი ტერიტორიების დაკარგვას.

ქართველი ხალხი და საქართველოს ეკლესია მადლიერია საერთაშორისო საზოგადოებისა, რომელმაც თანადგომა გამოგვიცხადა და მხარი არ დაუჭირა აღნიშნული ავტონომიების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებას, თუმცა მინდა ვთქვა ისიც, რომ ყველა, ვინც მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ამავე დროს იცავს საკუთარი ქვეყნის საზღვრებსა და მშვიდობას, რადგან ის მიზეზები, რომლებიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლად ცნობისათვის იქნა გამოყენებული, უსაფუძვლოა, და ყველასთვის, მათ შორის - რუსეთისთვისაც, მომავალში შექმნის სერიოზულ პრობლემებს, რადგან ეს არის ხელშეწყობა სეპარატიზმისა, ისეთი ცენტრიდანული ძალისა, რომელიც დაანგრევს ნებისმიერ სახელმწიფოს. ეს არის ეთნოწმენდის ლეგალიზების მცდელობა, რომლის დაკანონებაც არ შეიძლება მოხდეს.

საქართველო საკუთარი მიწა-წყლის დაბრუნებისათვის ყოველთვის იზრუნებს.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად მე ძალადობის მეთოდს კატეგორიულად გამოვრიცხავ. ჩვენი ეკლესია ახლაც და კონფლიქტამდეც ყოველთვის წინააღმდეგი იყო სისხლისღვრისა და ეს არაერთხელ დავაფიქსირეთ. დიპლომატიური (განსაკუთრებით სახალხო დიპლომატია), ეკონომიური, კულტურული, რელიგიური და სხვა ბერკეტები საქართველოსა და რუსეთს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენას, ვფიქრობ, შესაძლებელს გახდის.

ქვეყანა, რომელმაც წარმოშვა წმიდა სერგი რადონეჟელი, სერაფიმ საროველი, იოანე კრონშტადტელი, ოპტინელი მამები, დიდი მღვდელმთავრები და მოწამენი, ცნობილი ფილოსოფოსები და მწერლები, ახლობელია ჩვენთვის.

ის, რაც მოხდა, არ უნდა მომხდარიყო. ჩვენ შეგვეძლო ურთიერთობის სხვა გზა აგვეჩიჩია. ახლა კი გაჩენილია სერიოზული ბზარი და უნდობლობა. აღმართულია კედელი, რომლის დანგრევა ძნელია, მაგრამ აუცილებელი.

ჩვენ უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს, რათა აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

ცნობილი პოლიტიკოსები ამბობენ, რომ, ვინც ფლობს ევრაზიას, ის ფლობს მსოფლიოს. ევრაზიის მნიშვნელოვანი რეგიონი კი კავკასიაა. ამიტომაცაა, რომ აქ იკვეთება დიდი ქვეყნების ინტერესები და ყველა ცდილობს, თავისი გავლენის სფეროდ აქციოს იგი. ამასთან, ყოველი მათგანი გვთავაზობს მისთვის სასურველ პოზიციას, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს ნაკლებად ითვალისწინებს. მოგვხსენებათ, შედეგად მივიღეთ

ის, რომ სახეზეა გავლენის სფეროებად ქვეყნის დაყოფის მცდელობა. ეს კი, ვიმეორებ, საფრთხეს მხოლოდ საქართველოს არ უქმნის.

დიახ, მომხდარმა ომმა ისიც აჩვენა, რომ აქ ძალადობრივი მეთოდების გამოყენება მსოფლიოში სერიოზული დაპირისპირების მიზეზი ხდება და გლობალურ პრობლემებს იწვევს. ამიტომაც ვფიქრობ, აუცილებელია, ყველამ ერთად ვეძებოთ სამშვიდობო გზები. ჩვენ, ჩვენის მხრივ, მზად ვართ საამისოდ სათანადო ნაბიჯები გადავდგათ, რისი დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ სწორედ დღეს და ხვალ დაგვეგმილია საქართველოს ეკლესიის დელეგაციის შეხვედრა რუსეთის ეკლესიის მეთაურთან და საგარეო განყოფილების ხელმძღვანელთან...

როგორი იქნება შედეგი, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენმა მართლმადიდებელმა ეკლესიებმა, რთული ვითარების მიუხედავად, შეძლეს კეთილი ურთიერთობის შენარჩუნება, რაც, ვიმედოვნებ, კიდევ უფრო გაღრმავდება.

ჩვენ გვინდა ვიყოთ მეგობრულ ურთიერთობაში ყველასთან და გვინდა ჩვენი ქვეყანა, ისევე, როგორც მთელი კავკასია, დაპირისპირების მიზეზად კი არა, თანამშრომლობის ასპარეზად იქცეს, მაგრამ მშვიდობა სამართლიანობის გარეშე ვერ დამყარდება.

წმიდა წერილში ვკითხულობთ: „ესწრაფე სამართლიანობას და უფალი ღმერთი იბრძოლებს შენთვის, (სიბრძნე ზირაქისა“, 4, 28)

ღმერთმა შეგვაძლებინოს სამართლიანობის გზით სიარული.

კიდევ ერთხელ მადლობას მოგახსენებთ მოწვევისათვის და გისურვებთ დიდ წარმატებებს მშვიდობიანი მსოფლიოსათვის ზრუნვის საქმეში.

ბოსკო-მარენგო, იტალია, 6-7 ნოემბერი, 2008

კონრად ადენაუერის ფონდის რეგიონული პროგრამის „სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური დიალოგი“ ხელმძღვანელის კატია კრისტინა პლატეს მისასალმებელი სიტყვა

2007 წლის 1 ნოემბრიდან, მას შემდეგ რაც საქართველოში ჩამოვედი, ჩემთვის მანამდე უცნობ პოლიტიკურ მოვლენათა ქარცეცხლში აღმოვჩნდი. საკუთარი თვლით ვიხილე 7 ნოემბრის ძალადობრივი შეტაკებები თბილისის ქუჩებში, რასაც პრეზიდენტის გადადგომა და იანვარში ახალი საპრეზიდენტო არჩევნები მოჰყვა; 2008 წლის მაისის საპარლამენტო არჩევნები, აგვისტოს საშინელი ომი საქართველოს ტერიტორიაზე, რომლის დროსაც ადამიანები დაიჭრნენ და დაიხოცნენ; ბევრი გაძარცვეს და საკუთარი სახლებიდან გამოყარეს; ისინი დღესაც ვერ ბრუნდებიან სახლში და დევნილობაში რჩებიან.

რომის ყოფილმა პაპმა იოანე პავლე მეორემ ერთხელ აღნიშნა, რომ ყოველი ომი კაცობრიობის მარცხია. 2008 წელს მე ამ სიტყვების მნიშვნელობას ჩავწვდი. დავიბადე რა გერმანიაში 1978 წელს, მეორე მსოფლიო ომიდან 30 წელზე მეტი ხნის შემდეგ, მქონდა ბედნიერება, რომ გავზრდილიყავი ომის გამოცდილების გარეშე. დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის გამოყოფი კედელი 1989 წელს მშვიდობიანად დაანგრეს და მცირე ხნის შემდეგ რკინის ფარდაც აიხადა. მაშინ 11 წლის ვიყავი. ვცხოვრობდი მსოფლიოში, რომელიც ბიპოლარულიდან მულტიპოლარულ სისტემად გარდაიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკური და სამოქალაქო ომები და ისლამისტი ფუნდამენტალისტების მიერ მოწყობილი ტერორისტული აქტები იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკის ტერიტორიაზე სადღაც ჩვენს ახლომახლო მიმდინარეობდა, ჩემი ოჯახის არცერთ წევრს და ჩემს არცერთ მეგობარს ამ ომებთან შეხება არ ჰქონია. აგვისტოში კი საკუთარ თავზე გამოვცადე თუ რამდენად მყიფე შეიძლება იყოს მშვიდობა და რამდენად საშიშია ომი. მშვიდობის სიმყიფე და ომისგან გამოწვეული ჰუმანიტარული კატასტროფა ჩვენგან მოითხოვს, რომ კარგად გავიაზროთ აგვისტოს ომის მიზეზები და განვიხილოთ მშვიდობის პერსპექტივები, რათა თავიდან ავიცილოთ შემდგომი ძალადობა.

კონრად ადენაუერს, დასავლეთ გერმანიის პირველ კანცლერს, რომელიც ქვეყანას 1949 წლიდან 1963 წლამდე მართავდა, ერთხელ უთქვამს: „ჩემი აზრით, შეუძლებელია იმოქმედო მართებულად, თუკი არ ისწავლი წარსულიდან და არ გაითვალისწინებ წარსულ გამოცდილებას“. ზოგიერთი გამოწვევა რომლის წინაშეც გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში კონრად ადენაუერი იდგა, ძალიან ჰგავს იმ გამოწვევებს, რომლებიც დღეს საქართველოს წინაშე დგას. ადენაუერს მოუწია საფუძველი ჩაეყარა ომისგან გაჩანაგებული გერმანიის რეკონსტრუქციისთვის. შიმშილი, მიუსაფრობა, უმუშევრობა, დანგრეული ინფრასტრუქტურა ომისშემდგომი გერმანიის პრობლემებს წარმოადგენდა. ადენაუერმა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა წარმატებით დაუკავშირა სოციალური პასუხისმგებლობის ქრისტიან-დემოკრატიულ პრინციპებს. მან წარმატებით გაართვა თავი მილიონობით გერმანელი ლტოლვილის და იძულებით გადაადგილებული პირის დასავლეთ

გერმანიის საზოგადოებაში ინტეგრაციას. კონრად ადენაუერმა ხელი შეუწყო დემოკრატიის, მშვიდობის, განვითარების, სოციალური უსაფრთხოებისა და სამართლიანობის კონსოლიდაციას გერმანიაში. არანაკლები მნიშვნელობისაა კონრად ადენაუერისა და საფრანგეთის პრეზიდენტის შარლ დე გოლის მიერ გერმანიისა და საფრანგეთს შორის საუკუნოვანი სისხლიანი შუღლის დასრულება. შარლ დე გოლთან, ალისიდ დე გასპერთან, რობერტ შუმანთან და სხვა მოწინავე ქრისტიან-დემოკრატებთან ერთად კონრად ადენაუერმა ევროპას იერი შეუცვალა: მათ დაიწვეს ევროპული ინტეგრაციის პროცესი, რომელიც დღესაც გრძელდება. სახელმწიფოებმა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იბრძოდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ, დაიწყეს საკუთარი სუვერენიტეტის ნებაყოფლობითი შეზღუდვა მშვიდობიანი, დემოკრატიული და გაბრწყინებული საერთო მომავლის მისაღწევად.

კონრად ადენაუერის სახელი მხოლოდ შიდაპოლიტიკურ წარმატებებთან როდია დაკავშირებული. მეორე მსოფლიო ომის დასავლეთის მოკავშირეების მიერ გერმანიის ოკუპაციის შემდეგ ადენაუერმა შეძლო დასავლეთ გერმანიის სუვერენიტეტის აღდგენა. მან შეძლო გერმანიის ისეთ სტაბილურ და სანდო დემოკრატიად გარდაქმნა, რომ მიუხედავად მისი ორად გახლეჩვისა, ქვეყანა 1955 წელს ნატოში იქნა მიღებული.

„კონრად ადენაუერის ფონდი“ კონრად ადენაუერის სახელს ატარებს. ჩვენ ხელს ვუწყობთ ქრისტიან-დემოკრატიული მსოფლმშენებლობის, იმ იდეებისა და ღირებულებების გავრცელებას, რომლებიც კონრად ადენაუერმა ჩამოაყალიბა. ჩვენი ფონდი 1955 წელს გერმანიაში დაარსდა. ამ დროიდან მოყოლებული ჩვენ ვიღწვით მშვიდობის, თავისუფლების, კანონის უზენაესობის, დემოკრატიის, ევროპულ იდეას და სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპების გავრცელებისთვის. ჩვენ ყოველდღიურად ვმუშაობთ გერმანიაში და მსოფლიოს 120 ქვეყანაში ამ მიზნების მისაღწევად. ვინაიდან კონრად ადენაუერის ფონდი ქრისტიან-დემოკრატიული პოლიტიკური ტრადიციის გამტარებელია, ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების შეხედულებები და მოსაზრებები ჩვენთვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს.

ჩვენ, 2008 წლის დეკემბერში, წილად გვხვდა პატივი, ჩავგეტარებინა ერთობლივი კონფერენცია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოსთან ერთად სახელწოდებით: „**საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები**“. კონრად ადენაუერის ფონდისთვის აღნიშნული კონფერენცია იყო მნიშვნელოვანი ამოსავალი წერტილი იმისათვის, რათა კარგად შევისწავლოთ ქართული სამეცნიერო საზოგადოების ხედვა საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტების ისტორიული საფუძვლების შესახებ. კონფერენციაზე დასწრებისა და კონფერენციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო სტატიების გაცნობის შემდეგ ჩემთვის უფრო მეტად გასაგები გახდა იმ ძალადობისა და სიძულვილის ფესვები, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანა 2008 წლის აგვისტოში მომხდარ ომში რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს შორის. წინამდებარე პუბლიკაციის მიზანია, საფუძველი ჩაუყაროს ტერიტორიული კონფლიქტების მონაწილე ყველა მხარეს შორის ერთობ საჭირო დისკუსიას. თუ კი თქვენ გასურთ უპასუხოთ პუბლიკაციის რომელიმე სტატიას, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ თქვენი სტატია შემდეგ მისამართზე: info.georgien@kas.de

19. 03. 2009, თბილისი

თამაზ ბერაძე, კონსტანტინე თოფურია, ბეჟან ხორავა

თანამედროვე აფხაზეთის

ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

საქართველოს უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი მხარე — აფხაზეთი შავი ზღვის პირას, მდინარეებს ფსოუსა და ენგურს შორის მდებარეობს. ამ საზღვრებში მისი ჩამოყალიბება რთული ეთნო-პოლიტიკური პროცესების შედეგია.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანი ქვედა პალეოლითის ხანაში დასახლდა. ამ რეგიონში კარგად არის წარმოდგენილი ნეოლითის, ბრინჯაოს და ადრე რკინის ხანა.

ძვ. წ. XVI ს. უძველესი ქართული სახელმწიფო — კოლხეთის (კულხა/კილხას) სამეფო ჩამოყალიბდა. ეს სამეფო საუკუნეთა მანძილზე მთელ სამხრეთ — აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს (ძველ ეგრისს), მათ შორის, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიას მოიცავდა. ძველი ბერძნული საისტორიო წყაროების მონაცემების მიხედვით, ახ. წელთაღრიცხვის დასაწყისამდე, მდინარეებს — ფსოუსა და ენგურს შორის მოქცეული ტერიტორია მხოლოდ და მხოლოდ ქართული მოდემის ტომებით — კოლები, კოლხები, სვანო-კოლხები, ჰენიოხები, — იყო დასახლებული.

ძველი ბერძნები, რომაელები და ბიზანტიელები კოლხეთის სამეფოს მემკვიდრედ ლაზიკას მიიჩნევდნენ. ამ სამეფოს საზღვრებში III-IV სს. მთელი დასავლეთ საქართველო, მათ შორის, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია შევიდა. ბიზანტიელ ავტორთა მონაცემებით, ამ ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთი მონაკვეთი ზღვისპირას, მდინარეებს — კოდორსა და ენგურს შორის, ოდიშის საერისთავოში შედიოდა. მდ. კოდორის სათავეები ქართულ ტომს — მისიმიელებს ეკავა, რომელიც უშუალოდ ეგრისის (ლაზეთის) მეფეს ემორჩილებოდა. მდ. კოდორის შუა და ქვემო წელი წებელს (წებელდა) და აფშილეთს, ტრაქეას (ქართულად უღალის) იგივე ანაკოფიის (დღევ. ახალი ათონი) ციხე-ქალაქითურთ ეკავა, რომელიც უშუალოდ ეგრისის მეფის ადმინისტრაციას ექვემდებარებოდა. ტრაქეას (უღალის) ციხე-სიმაგრედან მდ. აქეუნტამდე (დღევ. მდ. შახე) ტერიტორია აბაზგიას (აფხაზეთი) ეჭირა, რომელიც ეგრისის მეფისადმი დაქვემდებარებულ ორ საერისთავოდ იყოფოდა.

VIII ს. დასასრულს დასავლეთ საქართველო კიდევ ერთხელ ერთ სამეფოდ გაერთიანდა. ახალ სამეფოს, მმართველი დინასტიის წარმომავლობის მიხედვით, ქართული საისტორიო წყაროები აფხაზთა სამეფოს ეძახდნენ. ეს სამეფო რვა საერისთავოდ იყოფოდა. მდ. ნიკოფსიიდან (დღევ. მდ. ნეგოფსუხო) „ანაკოფიის მდინარემდე“ (დღევ. მდ. ფსირცხა) აფხაზეთის საერისთავოს ეკავა; მის სამხრეთ — დასავლეთით, მდ. კოდორამდე — ცხუმის საერისთავო მდებარეობდა; მდ. კოდორის სათავეები, ყოფილი მისიმიანეთი, სვანეთის საერისთავოს ეკუთვნოდა, ხოლო მდ. კოდორის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ისევე როგორც ძველად, ოდიშის საერისთავო მდებარეობდა. X-XI სს. მიჯნაზე თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია

ახლად ჩამოყალიბებულ საქართველოს სამეფოში გაერთიანდა, სადაც ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა უცვლელი დარჩა. აქ, საერისთავოების საზღვრები მხოლოდ XIV ს. დასაწყისში შეიცვალა, როდესაც ცხუმის საერისთავო ოდიშის საერისთავოში გაერთიანდა. ამის შემდეგ, საუკუნეთა მანძილზე, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მხოლოდ ორი — აფხაზეთისა და ოდიშის საერისთავოები არსებობდა, რომელთაც თავდაპირველად „ანაკოფიის მდინარე“ მიჯნავდა.

XV საუკუნის ბოლოს საქართველოს სამეფო დაიშალა. მთელი დასავლეთ საქართველო იმერეთის სამეფოში გაერთიანდა, რომელშიც თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, როგორც ოდიშისა და აფხაზეთის საერისთავოები შევიდა. ამ დროისათვის, აფხაზეთის საერისთავო გაგრის ვიწროებსა და „ანაკოფიის მდინარეს“ შორის მდებარეობდა. ამ მდინარის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ენგურამდე ზღვისპირეთი, ისევე როგორც ადრე, ოდიშის საერისთავოში შედიოდა. აფხაზეთის ერისთავი ერთდროულად ოდიშის ერისთავსა და იმერეთის მეფეს ექვემდებარებოდა. XVI ს. 50-იან წლებში იმერეთის სამეფოს ზღვისპირეთი ჩამოშორდა, ოდიშის ერისთავი დადიანი დამოუკიდებელ მმართველად - მთავრად იქცა, რომელსაც აფხაზეთის ერისთავი დაექვემდებარა.

XVI ს. 80-90-იან წლებში ოსმალეთის უშუალო ჩარევით, აფხაზეთსა და ოდიშს შორის საზღვარი შეიცვალა და მდ. კელასურზე გავიდა. მოკლე ხანში, აფხაზეთის საერისთავო დამოუკიდებელი გახდა. ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა (1611-1657) აფხაზეთი დროებით დაიმორჩილა, მაგრამ მათი მარბიელი თავდასხმების მთლიანად აღკვეთა ვერ მოახერხა. ამიტომ ის იძულებული გახდა მდ. კელასურის მარცხენა ნაპირზე, დაახლოებით 60 კმ. სიმაგრეთა სისტემა აეგო, რომელიც ისტორიაში „კელასურის კედლის“ სახელით შევიდა.

XVII ს. 70-90-იან წლებში ოდიშის სამთავრო ძალზე დასუსტდა. ამით, უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთსა ფეოდალებმა ისარგებლეს, რომლებმაც აფხაზეთის ტერიტორია მდ. კელასურიდან მდ. ენგურამდე გააფართოვეს. ამ დაპყრობების შედეგად, მდ. კელასურსა და მდ. ლალიძგას შორის ქართულმა მოსახლეობამ, ფაქტობრივად, გენოციდი განიცადა, მათი დიდი ნაწილი ან მონებად გაიყიდა, ან იძულებული გახდა თავი საქართველოს სხვა მხარეებისთვის შეეფარებინა. ადგილზე მხოლოდ ძირძველი მოსახლეობის ძალზე მცირე ნაწილი დარჩა, რომელიც გადმოსახლებულ აფხაზეთში შეერია.

XVIII ს. დასაწყისში, ამ მოვლენების შედეგად, აფხაზეთის პოლიტიკური რუკა მთლიანად შეიცვალა. მდ. ბზიფიდან მდ. გუმისთამდე ზუფუ მდებარეობდა; მდ. გუმისთასა და მდ. ლალიძგას შორის აბჟუა ჩამოყალიბდა. ეს სახელწოდება ქართული „შუა სოფლის“ აფხაზური თარგმანია. მდ. ლალიძგასა და მდ. ენგურს შორის კიდევ ერთი აფხაზური ფეოდალური სამფლობელო ჩამოყალიბდა, რომელსაც სამურზაყანო ეწოდა. ოდიშის მთავრებმა, XVIII ს. დასაწყისში, აფხაზეთისა და ოდიშის სამთავროებს შორის სასაზღვრო მიჯნის მდ. ენგურიდან მდ. ლალიძგაზე გადატანა მოახერხეს. ასე რომ, თითქმის მთელი XVIII საუკუნე, სამურზაყანო ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა.

XIX ს. დასაწყისში ოდიშის (სამეგრელოს) სამთავრო რუსეთის იმპერიის ავტონომიური ერთეული გახდა. სამეგრელოს ავტონომიურ სამთავროში სამურზაყანოც შედიოდა და საზღვარი სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის მდ. ლალიძგაზე გადიოდა. მდ. კოდორის შუა და ზემო წელს — წებელსა და დალს მარშანიების ფეოდალური სახლი მართავდა, რომელსაც ასევე მდ. ბზიფის სათავეებში მდებარე ფსხუს მხარეც ემორჩილებოდა. ასე რომ, აფხაზეთის სამთავრო, რომელიც 1810 წელს, როგორც საქართველოს ერთ-ერთი მხარე, რუსეთის იმპერიის ავტონომიური ერთეული გახდა, მხოლოდ შავიზღვისპირეთს მდ. ლალიძგიდან მდ. ბზიფამდე მოიცავდა. თანაც, აფხაზეთის მთავრის რეალური ხელისუფლება ამ ტერიტორიაზე მხოლოდ ზუფუზე ვრცელდებოდა. აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ (1823-1864) მხოლოდ XIX ს. 30-იან წლებში რუსეთის სამხედრო ნაწილების დახმარებით მოახერხა თავისი ხელისუფლების მდ. ბზიფიდან მდ. ლალიძგამდე შავიზღვისპირეთზე გაგრძელება. ასე რომ, აფხაზეთს, როგორც ერთიან პოლიტიკურ წარმონაქმნს, საფუძველი მხოლოდ ამ დროიდან ჩაეყარა.

1864 წელს რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთის სამთავრო გააუქმა, მის ნაცვლად, იმავე საზღვრებში „აფხაზეთის სამხედრო განყოფილება“ ჩამოყალიბდა. ორი წლის შემდეგ, 1866 წელს, ამ განყოფილების ნაცვლად, ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში „სოხუმის ოკრუგი“ შეიქმნა, რომელშიც პირველად სამურზაყანო, ანუ ტერიტორია მდ. ლალიძგასა და მდ. ენგურს შორის, შევიდა. XIX ს. 40-იანი წლებიდან, რუსეთის იმპერია ყოველნაირად ცდილობდა აფხაზეთი ტერიტორიულ-ადმინისტრაციულად საქართველოსგან ჩამოეშორებინა. რუსეთის ხელისუფლებამ ასეთი რამის პირდაპირ გაკეთება უხერხულად ჩათვალა, ამიტომ „მცოცავი აგრესიის“ გზას დაადგა. 1903 წ. რუსეთის ხელისუფლებამ გაგრის სექტორი სოხუმის ოკრუგს ჩამოაშორა და ახლად შექმნილ შავიზღვისპირეთის გუბერნიას მიუერთა. უკვე არსებობდა გეგმები, რომელიც თანამედროვე აფხაზეთის სხვა ნაწილების შავიზღვისპირეთის გუბერნიასთან მიერთებას ითვალისწინებდა. ასეთ გეგმებს წერტილი 1917 წელს თებერვლის რევოლუციამ დაუსვა. ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებამდე, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ რუსეთის დროებით მთავრობას აფხაზეთისათვის გაგრის სექტორის დაბრუნება სთხოვა. ეს ტერიტორია აფხაზეთის და შესაბამისად საქართველოს საზღვრებში იმავე წლის ბოლოს, უკვე დროებითი მთავრობის დამხობის შემდეგ დაბრუნდა.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გამოცხადდა, რომლის შემადგენლობაში აფხაზეთი სოხუმის ოლქის სახელით შევიდა. თვით სახელწოდება „აფხაზეთი“ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური მნიშვნელობით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1919 წლის მარტში საგანგებო აქტით შევიდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ აფხაზეთს ავტონომია მიანიჭა.

1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის მოსკოვში ხელმოწერილმა ხელშეკრულებამ შავიზღვისპირეთში საქართველოსა და რუსეთს შორის საზღვრად ფსოუ დაადგინა.

ეს ხელშეკრულება, ისევე როგორც რუსეთ-საქართველოს შორის

დადებული ყველა ხელშეკრულება, რუსეთმა მალევე დაარღვია და 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს ოკუპაცია და ანექსია მოახდინა.

საბჭოთა რუსეთის მთავრობა თავდაპირველად შეეცადა, საქართველოსთვის აფხაზეთი ჩამოეშორებინა, მაგრამ ქართველი ხალხისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის უარყოფით აზრს მოერიდა; ამიტომ როგორც ავტონომიური ერთეული, სამოკავშირეო რესპუბლიკის სახელით, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში დატოვა, თუმცა საზღვარი მდ. ფსოუს ნაცვლად მდ. მენხადირზე გავიდა.

მხოლოდ 1929 წელს, საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების დაჟინებული თხოვნით, საზღვარი საბჭოთა რუსეთსა და საბჭოთა საქართველოს შორის მდ. ფსოუ გახდა. 1931 წელს აფხაზეთის რეალური სტატუსი იურიდიულადაც გაფორმდა, მან ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსი მიიღო. ასეთი ვითარება 1992-1993 წწ. აფხაზეთის კონფლიქტამდე გაგრძელდა, რომელიც ფაქტობრივად, XX საუკუნეში რუსეთ-საქართველოს მეორე ომს წარმოადგენდა.

დალის სვანეთის (კოდორის ხეობის/ზემო აფხაზეთის) ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა

უძველესი საისტორიო წყაროებით (ბერძნული, რომაული, ბიზანტიური, ქართული), დღევანდელი ზემო აფხაზეთი, რომლის ისტორიული სახელწოდებაა **დალის სვანეთი (იგივე უცხოური წყაროების მისიმიანეთი)** და რომელსაც მოგვიანებით კოდორის ხეობაც ეწოდა, ძველთაგანვე სვანეთის შემადგენლობაში შედიოდა და, ცხადია, მუდამ საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

სვანეთი (დალის ხეობითურთ) ერთ-ერთი უძველესი ქართული სამეფოს — ეგრისის (ძვ. წ. XV—XIV სს.) არსებობის დროიდან ვიდრე საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლამდე (XV—XVI სს.) **მდინარე კოდორის ზემო წელიდან ლიხის ქედამდე დასავლეთ საქართველოს მთელ მთიანეთს მოიცავდა.**

დალის სვანეთი¹ ბალსქვემო სვანეთს ჯერილდის უღელტეხილზე გამავალი ბილიკებით უკავშირდებოდა (ჭუბერის თემიდან)².

ცნობილია, ძველი ბერძნები ეგრისის სამეფოს **ოქრომრავალ კოლხიდას ეძახდნენ. კოლხეთის ოქრომრავლობაში დიდი წვლილი სვანეთს შეჰქონდა.** ოქროს წარმოების ერთ-ერთ უძველეს კერად დალის ხეობის მეზობელი ჭუბერის თემი ითვლებოდა და **სწორედ ამ ორ ხეობაზე გადიოდა გზა ჩრდილოეთ კავკასიაში** (თონლუზ-ორუნისა და ბასის უღელტეხილები) (Берадзе, 1989)³.

ძვ. წ. IV საუკუნიდან სვანეთი (დალითურთ) **ფარნავაზის მიერ შექმნილი დიდი საქართველოს მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენდა.**

1 დალის ანუ აფხაზეთის სვანეთის სოფლები ძირითადად საკუთრივ კოდორის და მისი სათავეების (საკენი, გვანდრა) ნაპირებზე მდებარეობს. მდინარე საკენის ხეობაში ყველაზე მაღლა მდებარე სოფელია **საკენი**, მის ქვემოთ **ოძარიშარაა**. მდ. გვანდრას ხეობაში სოფელი **გვანდრაა** გაშენებული. საკუთრივ მდინარე კოდორზე ყველაზე მაღლა სოფლები — მარჯვენა და მარცხენა **გენწვიში** მდებარეობს. უფრო ქვემოთ, მდინარეებიდან მოშორებით, არის პატარა სოფელი **ხუტია**. მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე, **ზემო და ქვემო აჟარა/აჯარაა**, ხოლო მარცხენა ნაპირზე პატარა სოფელი **მრამბაა**. მდ. ჩხალთის კოდორთან შესართავში, ორივე მდინარის მარჯვენა ნაპირზე განლაგებულია სოფელი **ჩხალთა**. უფრო ზემოთ, მდინარე ჩხალთის ხეობაში არის სოფლები მარჯვენა და მარცხენა **პტიში**. სოფელ ჩხალთის ქვემოთ, კოდორის მარცხენა ნაპირზე სოფელი **შაბათკვარაა**, ხოლო მარჯვენა ნაპირზე სოფელი **ქვამჩარაა**. უფრო ქვემოთ **ზემო ლათა** იწყება, რომელიც საკუთრივ სოფელ **ლათას** ესაზღვრება. ლათას ქვემოთ მდინარე კოდორის ხეობა ვიწროვდება, ის **ბაგადას ვიწროებში შედის და ამ ვიწროებთან დალის ხეობაც სრულდება.**

2 ბოლო წლებში ისტორიული სვანეთის საერისთავოს ამ ორ ნაწილს შორის გაყვანილ იქნა სამანქანო გზა.

3 სვანეთზე უცხოელი ვაჭრების მიმოსვლა განსაკუთრებით ინტენსიური ძვ. წ. IV—I საუკუნეებში იყო და ამ მიზნით ძირითადად დალის და ჭუბერის ხეობებს იყენებდნენ. ამას მოწმობს ალექსანდრე მაკედონელის და მისი ერთ-ერთი მემკვიდრის — ლისიმაქეს — მონეტები, რაც გასული საუკუნის დასაწყისში ამ ხეობაში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა.

შემდეგაც, სტრახონის აღწერილობითაც, დალის მხარეში კვლავ ქართველები (სვანები) ცხოვრობენ: „დიოსკურიის ანუ დღევანდელი სოხუმის მახლობლად არიან სვანები. სვანები სიმამაცის და ძალის მხრივ საუკეთესონი... და ისინი ფლობენ ირგვლივ ყველაფერს და კავკასიონის მწვერვალები უპყრიათ, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არიან“ (თ. ყაუხჩიშვილი, 1957: 126).

VI–VII საუკუნეების დალის ხეობას ბერძენი ავტორები (აგათია სქოლასტიკოსი, მენანდრე პროტიქტორი, თეოდოსი განგრელი), მისიმიანთა მხარეს უწოდებენ (გეორგიკა, 1940: 236). ცხადია, მისიმიანელები ქართველები, იგივე სვანები არიან. ეს სახელწოდება ამ ძირძველი ქართული ჯგუფის — სვანების — დიალექტური სახელიდან — მუშუან-იდან მომდინარეობს (ქალდანი, 1999).

დალის ხეობა აქტიურად ფიგურირებს მთელი ადრეული შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიაში: IV–VII საუკუნეებში საქართველოზე გაბატონებას სპარსეთი და ბიზანტია ცდილობდნენ. მათ შორის ხშირი ომიანობა განსაკუთრებით მძიმედ სვანეთსა და მის ნაწილზე - დალის ხეობაზე (მისიმიანეთზე) აისახა (ათანელაშვილი, 1959; მუსხელიშვილი, 2003; გასვიანი, 1995; არღვლიანი, 2003). მიზეზი სვანეთის სტრატეგიული მდებარეობა იყო: სვანეთს, ჩრდილოეთ კავკასია ესაზღვრება, საიდანაც IV–VI საუკუნეებში „ხალხთა დიდი გადასახლების“ ეპოქაში, სამხრეთ კავკასიასა და მის მომიჯნავე ქვეყნებს ჰუნური და ალანური მოდგმის ტომები უტევდნენ. ბიზანტია და სპარსეთი მათი აგრესიის თავიდან აცილებას და მეორე მხარისაკენ მიმართვას ცდილობდნენ. ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიონის უღელტეხილების გადმოსასვლელი გზების კონტროლს, რასაც დასავლეთ საქართველოში სვანეთი ახორციელებდა, რომლის დალის მონაკვეთის გავლითაც ჩრდილოეთ კავკასიიდან გზები შავი ზღვის სანაპიროსაკენ მიემართებოდა. ამასთანავე, IV–VI საუკუნეებშიც, აღმოსავლეთიდან დასავლეთში ექსპორტის მთავარ საგანს აბრეშუმის წარმოადგენდა. VI საუკუნის II ნახევარში ბიზანტიამ აბრეშუმის მთავარ მიმწოდებლებთან — ჩინეთთან და შუა აზიასთან — სავაჭრო ურთიერთობა ახალი აბრეშუმის ჩრდილოეთი გზით დაამყარა. ეს გზა შუა აზიის შემდეგ კასპიის ზღვას ჩრდილოეთიდან შემოუვლიდა, კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთის კალთებს მიუყვებოდა და დასავლეთ საქართველოს უღელტეხილებით შავი ზღვისაკენ ეშვებოდა. ასე რომ, სვანეთის დაკავებით სპარსეთი აბრეშუმის ჩრდილოეთ გზაზეც კონტროლს დაამყარებდა და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის აბრეშუმის სატრანზიტო ვაჭრობაში მონაპოლიას კვლავ აიღებდა ხელში (Берадзе, 1989: 32-70). მით უფრო, რომ აღმოსავლეთ საქართველოდან სვანეთისაკენ პირდაპირი გზა მიემართებოდა.⁴

4 ეს გზა მდინარეების იორის თუ არაგვის ხეობებით თერგის სათავეებში მდებარე ხევში და თრუსოში ადიოდა, საიდანაც დვალეთში გადადიოდა. დვალეთიდან გზა მამისონის უღელტეხილით რიონისა და ცხენისწყლის სათავეებით ენგურის ხეობისაკენ მიემართებოდა. აქედან კი გზა ჭუბურის გავლით დალის ხეობაში გადადიოდა და შემდეგ დღევანდელი სოხუმის მიდამოებში შავი ზღვის სანაპიროს აღწევდა. ამ გზას ძველი ქართული წყაროებით „გზა გარსა“ ან კიდევ, „გზანი დვალეთისანი“ ეწოდებოდა.

V საუკუნის II ნახევარში სვანეთი (დალითურთ) **ვახტანგ გორგასალმა უშუალოდ ქართლის სამეფოს შეუერთა**⁵ (ქართლის ცხოვრება, 1955: 185.).

542 წელს დაწყებული **დიდი ომიანობა ეგრისში** მკვეთრად აისახა სვანეთის ორ ნაწილზე — მისიმიანეთსა (დალის ხეობა) და ბალსქვემო სვანეთზე. ამ დროის ბიზანტიურ წყაროებში ხშირად იხსენიება დალის ხეობის მთავარი ციხესიმაგრეები: **ბუკოლუსის //ბოკერის ციხე და რკინის // ჩხალთის ციხე** (გეორგიკა, 1940).

562 წელს სპარსეთი და ბიზანტია დაზავდნენ, მაგრამ დავა სვანეთის ირგვლივ შემდეგაც გრძელდებოდა. 571 წელს ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ომი განახლდა. 575 წელს ბიზანტიელთა ლაშქარი შეიჭრა სვანეთში, 590 წელს კი — სპარსელებისა (გეორგიკა, 1941: 32-34).

VII საუკუნეში ეგრისის ნაწილი ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყო და მას მეფის ნაცვლად პატრიკიოსი განაგებდა, რომელსაც დალის ხეობაც — მისიმიანეთიც ემორჩილებოდა.

697 წლიდან არაბებმა დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი დაიპყრეს, არაბებს დაქვემდებარებული მეციხოვნეები იდგნენ **რკინის/ჩხალთის ციხეშიც** (სანაძე, ბერაძე, 2004).

არაბთა შემოსევების დროს (735-738 წწ.) დალის ხეობა ქართლის ერისმთავარს სტეფანოზ III-ს და მის შთამომავლებს ექვემდებარებოდა. შემდეგ კი **ისტორიული საქართველოს დიდ ნაწილში ერთ-ერთი ქართული მხარის - აფხაზეთის - ერისთავმა ლეონ II-მ შექმნა ახალი ქართული სახელმწიფო, რომელსაც აფხაზთა სამეფო, იგივე ეგრის-აფხაზეთის სამეფო ეწოდა (ლორთქიფანიძე, 1973).**

აფხაზთა სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა სვანეთის საერისთავო და მისი ნაწილი დალის ხეობა, რომელსაც **მარუშიანთა** საგვარეულო განაგებდა. მარუშიანები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ „აფხაზთა სამეფოს“ პოლიტიკურ ცხოვრებაში⁶. ამავე დროს, აფხაზთა სამეფოს ერთ-ერთ უძლიერეს ფეოდალურ სახლს სვანური წარმომომბის **შავლიანთა** საგვარეულო წარმოადგენდა, რომელიც სამეფო დინასტიას მეტოქეობასაც კი უწევდა. „აფხაზთა სამეფოში“ **შავლიანთა დინასტიის ორი მეფეა ცნობილი (861-881 წწ.).**

5 სწორედ ამიტომ ვახტანგ გორგასალის დროინდელი ერისთავების სიაში მოხსენიებულია „**სამნალირ, ერისთავი შიდა ეგრისისა და სუანეთისა**“. შემდეგ კი **ამ დიდმა მეფემ მთელი საქართველო გააერთიანა** (ქართლის ცხოვრება, 1955: 185.).

6 მარუშიანთა **ზვიად ერისთავი**, რომელიც მოხსენიებულია 864 წელს კუმურდოს ტაძრის სამშენებლო წარწერაში. წარწერის მიხედვით იგი აფხაზთა მეფის ერისთავია ჯავახეთში. სვანეთის ერისთავებს **აფხაზეთის სამეფო კარზე საპატიო ადგილი ეკავათ. მათ მოვალეობას აფხაზთა მეფეთა კურთხევის ცერემონიალი დროს მეფისათვის ხმლის შებმა ანუ დადება შეადგენდა.** მარუშიანთა საგვარეულო ბაგრატ III-ს ერთგულად ემსახურებოდა. ამ საგვარეულოდან იყო საქართველოს მეფის უახლოესი თანამებრძოლი **ზვიად ერისთავი**, რომელმაც 1014 წელს ტაოში გარდაცვლილი ბაგრატ III-ის ცხედარი წარმოიღო და დამარხა ბედიას, ამ მეფისავე აგებულ ბედიის ბრწყინვალე ტაძარში: **მარუშიანთა უდიდესი ქართველი მოღვაწე ერისთავი ქართლისა... კაცი ძლიერი და ერმარავალი** — **იოანე მარუშისძე**, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ბაგრატ III-ის გარშემო მთელი საქართველოს გაერთიანების საქმეში (978 წ.).

XI საუკუნიდან აფხაზეთის ერისთავებად იხსენიებიან შარვაშიძეები// შერვაშიძეები⁷.

მარუშინები და შარვაშიძეები გვიანშუასაუკუნეებიდან, მას შემდეგ, რაც ამ რეგიონიდან უცხოტომელებმა ქართველები თითქმის განდევნეს, **მარშანიებისა და ჩაჩბების** გვარსახელით მოიხსენიებიან, ისინი გააფხაზდნენ.

XVI საუკუნის მიწურულიდან იწყება აფხაზეთის ეთნიკური შემადგენლობის მკვეთრი ცვლილება (ხორავა, 1998: 87-100). ჩრდილო-კავკასიიდან გამუდმებული შემოსევების გამო დალის ხეობიდან ადგილობრივი ქართული მოსახლეობა სვანეთის სიღრმისკენ იწყებს გადაადგილებას. გვიანშუასაუკუნეებში კოდორის ხეობაში აბაზურ-ადიღეურ ტომთა ჩრდილოეთიდან, კავკასიონის უღელტეხილებიდან შემოსვლას ადასტურებს არქანჯელო ლამბერტის, ჟან შარდენის, ევლია ჩელებისა და სხვათა ცნობებიც, აგრეთვე 1654 წლის ლათინურ-ფრანგული რუკაც, რომელზეც აფხაზთა განსახლების უკიდურეს აღმოსავლეთ საზღვრად მდ. კოდორია მითითებული (გვანცელაძე, 1998: 29).

აბაზურ-ადიღეურ ტომთა შემოსევებს დაერთო ყარაჩაელთა ხშირი შემოსევებიც, რაც სისტემატურ ხასიათს ატარებდა. ერთ-ერთი ასეთი შემოჭრის ამბავი გადმოცემის სახითაა შემონახული და იგი მოგვითხრობს მრავალი თაობის წინ დალისკენ მიმავალ გზაზე მდებარე ჭუბერის ხეობაში ორი თემის — **სალის და ფაჟის** (სალის თემი სპილენძის, რკინის და ოქროს მოპოვებით იყო სახელგანთქმული. ფაჟის თემის სიმდიდრის წყაროს კი ტყვიისა და ვერცხლის მოპოვება შეადგენდა) სრული ამოწყვეტის და იქაურობის გავერანების შესახებ. მტერი კოდორის ხეობაში **ყარაჩაიდან გადმოსასვლელი** ბილიკით შემოსულა და მათ ურიცხვ ურდოებს ჭუბერის სოფლებთან ერთად, **დალიც** სასტიკად აუოხრებიათ (Иессен, Деген-Ковалевский, 1935: 319-323). ეთნოდემოგრაფიული პროცესების ამსახველ სხვა გადმოცემებში დალის ხეობელი ქართული საგვარეულოს — ქალდანების ტრაგიკული ისტორიაა მოთხრობილი (პროზაული ტექსტები, 1957: 242-245), ასეთივე ტრაგიზმითაა აღსავსე გვარმიანთა საგვარეულო ისტორია, მასში მოთხრობილია ჩრდილო-კავკასიიდან გადმოსული მტრის მიერ 40 გვარმიანის ამოხოცვის ამბავი და ა. შ.

XVII—XVIII საუკუნეებში ჩრდილო კავკასიელთა გამუდმებული შემოსევების შედეგად ჭუბერის ხეობა მოსახლეობისაგან დიდი ხნით დაიცალა, ხოლო დალის ხეობის ქართული (სვანური) მოსახლეობა თითქმის გაწყდა და ის თანდათანობით ახლად მოსულმა ადიღეურ// აბაზურმა ეთნიკურმა ჯგუფმა (აფსუა) შეცვალა.

7 ეს ფეოდალური საგვარეულო, მსგავსად შავლიანებისა, სვანური წარმოშობისაა, სვანეთში დღესაც ცხოვრობენ შარვაშიძეები, რომელთაც, საისტორიო საგვარეულო გადმოცემა შავლიანებთან და აფხაზეთის შემდგომი დროის მთავრებთან - შარვაშიძებთან აკავშირებს (მიბჩუანი, 1996; გვანცელაძე, 1998). ენათმეცნიერთა დაკვირვებითაც, გვარის ქართულ ვარიანტს საფუძვლად უნდა ედოს მამაკაცის ქართული **შაორშ** სახელის სვანური **შავერშ/შავრეშ** ვარიანტი (შდრ. გვარსახელი **შავრეშინი**). სვანური **შავრეშ** სახელისაგან ბგერათვადასმის გზით იოლად შეიძლება მიგველო მამაკაცის სახელად **შარვაშ/შერვაშ**-ი სწორედ შარვაშ//შერვაშ მამაკაცის სახელისაგან და არა შარვანშა ტიტულისაგან არის მიღებული გვარსახელი **შარვაშიძე/შერვაშიძე**“ (გვანცელაძე, 1998: 56).

ეთნოგრაფიული მასალით, დალის ხეობის ცოცხლად გადარჩენილ ქართველთა ნაწილი განსახლდა ბალსქვემო სვანეთის სოფლებში. 10-მდე ქართულ საგვარეულოს სვანეთში შემონახული აქვს ხსოვნა მათი წინაპრების დალის ხეობაში ცხოვრების შესახებ (გვარმიანების, ქალდანების, გურჩიანების, გერლიანების, სუბელიანების, ჩხვიმიანების... თითო შტო).

დალის ხეობის დემოგრაფიულ პროცესებთან დაკავშირებით საყურადღებო მასალას გვაწვდის ამ საგვარეულოთა წარმომადგენლების ყოფაში დღემდე მოქმედი ერთი ჩვეულება: ტრადიციული ლოცვის რიტუალის დასრულების შემდეგ, რომელიც სრულდება ეკლესიაში, ან სახლებში, სალოცავ კუთხედ გამოყოფილ აღმოსავლეთის კედელში დატანებულ სარკმელთან, **მოლოცვლები შემოტრიალდებიან ჩრდილო-დასავლეთისკენ, დალის ხეობის მიმართულებით და ლოცვას ადავლენენ დალში მდებარე სალოცავების (შყერის წმიდა გიორგის ეკლესია, აჯარის წმ. გიორგის ეკლესია...) სახელზე, რომელთა მრევლნიც ყოფილან მათი წინაპრები დალის ხეობაში ცხოვრების დროს** (ბარდაველიძე, 1939: 60-61). ეს ფაქტი მრავლისმეტყველია და იგი ასახავს არა მხოლოდ ქართველ მთიელებში დღემდე არსებულ ძლიერ რელიგიურ მუხტს, არამედ ქართველთა ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის უფლებასაც დალის სვანეთზე.

შესაბამისად, XIX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც დაიწყო ქართველების ჩასახლების პროცესი დალის ხეობაში⁸, ეს იყო არა ახალი, უცხო და უცნობი მიწების ათვისების პროცესი, არამედ ქართველების დაბრუნება თავიანთ ისტორიულ საცხოვრისში, დალის სვანეთში (ქალდანი, 1999: 58). მიუხედავად ორსაუკუნოვანი წყევტილისა, ქართველთა ისტორიულ საცხოვრისს დაპატრონებულმა რუსებმა და აფსუებმა/აფხაზებმა ვერ აღმოფხვრეს დალის ხეობის ქართული ტოპონიმია. მხოლოდ სალიტერატურო ან ქართული ენის სვანური დიალექტებით აიხსნება ამ ხეობის ტოპონიმთა უდიდესი ნაწილი: ბოკერი, ბუჩყური, ბუძგური, გენწვიში, ლაგვანა, ლათა, დალი, ჩხალთა, ჩახარი, გვანდრა, აჟარა, აძგარა, ტვიბრაშერი, ხეწკვარა, ხუტია, შიყერი, ნაჰარი... (ქალდანი, 1999; მიბჩუანი, 1989; მიბჩუანი, 1998).

დალის ხეობის მთებში ნაყოფიერი საბალახოებით სარგებლობისათვის **აფხაზი მეჭოგეები და მწყემსები XIX საუკუნის 30-40-იან წლებამდე გადასახლდნენ ბალსქვემო სვანეთის მთავრებს**, დადემშქელიანებს, რუსეთის მიერ საქართველოს პირველი ოკუპაციის შემდეგ კი, აფხაზებმა გადასახადების გადახდა თანდათანობით შეწყვიტეს, რასაც მოჰყვა არაერთი შეტაკება სვანეთის სამთავროსა და აფხაზებს შორის⁹. მას შემდეგაც, რაც რუსეთის ხელისუფლებამ დახვრიტა საქართველოს ეროვნული გამირი კონსტანტინე (მურზაყან) დადემშქელიანი და **გააუქმა სვანეთის**

8 ეს პროცესი ძირითადად დასრულდა XX საუკუნის 20-იან წლებში. **1926 წლის მონაცემებით, დალის ხეობა მთლიანად ქართველებითაა (სვანებითა) დასახლებული**, ლათის ქვემო სოფლებში კი (34% — ქართველები, 9% — აფხაზები, 4% — რუსები, 3%) — შერეული მოსახლეობაა (ასლანიშვილი, 1933: 10).

9 ბოლო ასეთი შეტაკება 1863-1864 წელს მომხდარა, სვანებს გადასახადის საზღაურად აფხაზებისთვის 3000 ცხვარი წაუბრუნებიათ (ნიჟარაძე, 1964; გელოვანი, 2003: 42-43).

სამთავრო, სვანეთის ჩუბეხევის თემების მოსახლეობა XIX საუკუნის 80-90-იან წლებამდე მოითხოვდა ხელისუფლებისაგან სამართლიანობის აღდგენას და გადასახადების გადახდას აფხაზი მეჯოგეებისგან (თელტობის, ლარაკვაკვას, დარჩვიჭენჭოლის მთებისა და მიმდებარე ტერიტორიების გამო, რომელთაც საბალახობად იყენებდნენ აფხაზები) (ნიჟარაძე, 1962; გელოვანი, 2003: 42-43).

რასაკვირველია, რუსეთის ბატონობის პირობებში, არც ეთნიკური აფხაზები (თვითსახელწოდება — აფსუა) იყვნენ დალხენილ დღეში. 1840 წელს აქ მღელვარებამ იფეთქა, რაც დამპყრობელმა სასტიკად ჩაახშო, ხოლო 1867 წელს რუსეთმა აყარა და ოსმალეთში გადაასახლა წებელის მოსახლეობის დიდი ნაწილი, ასევე, დალის ხეობაში, ქართველთა გენოციდის შედეგად ჩასახლებულ აფხაზთა შთამომავლებიც¹⁰. გაჩნდა ეწ. თავისუფალი მიწის ფონდი, სადაც ხელისუფლება მიზანმიმართულად ასახლებდა მხოლოდ რუსებს (შუა რუსეთიდან), „მათი მოსახლეობა დამკვიდრდა... ლათაში, აყარაში, გენწუიშში... დაწესდა რუსული მონასტრები, ეკლესია“ (ასლანიშვილი, 1933: 16). **ქართველების ჩასახლებას კი ხელისუფლება მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა**. ქართველებს არ აძლევდნენ სოფლებში დასახლების უფლებას, რის გამოც სვანებმა ტყეების გაკაფვა დაიწყეს და პირველმოსახლეთა ოჯახები 5-6 წლის განმავლობაში ტყეებში ცხოვრობდნენ. ქართველებს შემდეგაც, დიდხანს თავისუფალი მიწების დამუშავების ნება არ ეძლეოდათ (ასლანიშვილი, 1933: 17-18). მიუხედავად ასეთი სიძნელეებისა, 1926 წლისათვის დალის ხეობაში უკვე 29 სოფელი იყო ქართველებისა¹¹.

დალის ხეობის ქართული მოსახლეობა ხანგრძლივი დროის მანძილზე მოკლებული იყო სავანმანათლებლო და სამკურნალო დაწესებულებებს, ხალხი გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდა.

მეურნეობის მთავარ დარგებად აქ ჩამოყალიბდა მესაქონლეობა და მიწათმოქმედება, გააშენეს ხეხილი, განვითარდა მეფუტკრეობა.

დალის ხეობის ტრადიციული ყოფა მცირედით თუ განსხვავდებოდა სვანეთის ეთნოგრაფიული ყოფისაგან. აქაურმა ქართველებმა დღემდე შემოინახეს ყველა იმ ძველქართული რელიგიური დღეობის აღნიშვნის ტრადიცია, რომელიც სვანეთის ყოფაშია ფიქსირებული¹².

რუსეთის მიერ საქართველოს II ოკუპაციის შემდეგ აფხაზეთის ავტონომიური ოლქი დაიყო 5 მაზრად. კოდორის ხეობა სხვადასხვა ადმინისტრაციულ საზღვრებში შედიოდა: მაგ., 1930 წლისათვის იგი სოხუმის მაზრის შემადგენლობაშია: აყარის სას. საბჭოს სახელით; 1977 წლის მონაცემებით კი დალის ხეობა უკვე გულრიფშის რაიონის შემადგენლობაშია აყარის სას. საბჭოს სახელით (საქართველოს სსრ... 1977: 132). საქართველოს გათავისუფლების შემდეგ (1991 წ.) დალის ხეობა აფხ-

10 1867 წლის ავგუსტო-სექტემბერში სოხუმის ოლქის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვ. გეიმანმა შემოიარა მისდამი რწმუნებული მხარე. 26-28 სექტემბერს ის იყო წებელდასა და დალში მხარე თითქმის მთლიანად იყო გაწმენდილი მოსახლეობისაგან“ (ხორავა, 2004: 72-73).

11 ასევე პროცენტი სვანებია, ვინაიდან თანდათანობით რუსობა გადასახლდა დალიდან და მათი ადგილები შეისყიდეს სვანებმა. ამ მდგომარეობას ხელი შეუწყო იმპერიალისტურმა ომმა და შემდეგ რევოლუციამ“ (ასლანიშვილი, 1933: 19-20).

12 ერთი ძველქართული დღესასწაული შესწავლილი აქვს დ. დევდარიანს (დევდარიანი, 2003).

აზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის აჟარის თემის საკრებულოშია მოქცეული.

დალის ხეობის ქართული კულტურის ძეგლები ცნობილია ანტიკური ხანის უცხოელი ავტორებისა და შემდგომი დროის ისტორიკოსებისთვის. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ორი ციხესიმაგრე დღემდე შემორჩა ამ მხარეს: **ბუკულუსის/ბოკერის**¹³ ციხე გაშენებულია მდ. კოდორის სათავეებში, გვანდრისა და ყულუჩის შესართავთან. იგი ალანებთან ეგრი-სის დამაკავშირებელ მთავარ გზას აკონტროლებდა. **ჩხალთის კომპლექსი** — „**რკინის ციხე**“, რომელიც აღმართულია მდ. ჩხალთისა და კოდორის შესართავთან ქლუხორის უღელტეხილისაკენ მიმავალ გზაზე, აკავშირებდა ამ მხარეს ჩერქეზეთთან. ასეთივე კოშკების ნანგრევები გვხვდება მთელი გზის გაყოლებით უღელტეხილამდე და მათი მეშვეობით იცავდნენ ქართველები თავიანთ საზღვრებს.

ცნობილია, რომ საქართველოში, მათ შორის აფხაზეთსა და სვანეთში, ქრისტეს სჯული თვით მოციქულებმა იქადაგეს (ჯაფარიძე, 1996: 20-55; აფხაზეთი, 2007: 75-78). დალის ხეობის ქართული ქრისტიანული ძეგლებიდან აღსანიშნავია **შიყერის წმინდა გიორგის ეკლესია** (სოფელ შიყერი, მდ. გვანდრასა და საკენს შუა მაღალ გორაზე) და ს. **აჯარის წმ. გიორგის ეკლესია**, ორივე მათგანი აღდგენილია და იქ დღესაც გაუსაძლის პირობებში მოღვაწეობენ ქართველი სასულიერო პირები.

ამჟამად დალის ხეობიდან დევნილია 2600 - ზე მეტი ქართველი.

დამოწმებული ლიტერატურა:

ათანელაშვილი, 1959 — ათანელაშვილი, გ., სვანეთის საკითხი ბიზანტი-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში, თბ., 1959.

არღვლიანი, 2003 — არღვლიანი, ი., ბიზანტიური წყაროები მისიმიანთა ტომის შესახებ. — საისტორიო ძიებანი, 6, თბ., 2003.

ასლანიშვილი, 1933 — ასლანიშვილი, ი., აფხაზეთის სვანეთი, 1926 წლის მოგზაურობის მიმოხილვა 25 სურათით და რუკით ტექსტში, ტფ., 1933.

აფხაზეთი, 2007 — ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი, უძველესი დროიდან დღემდე, თბ., 2007.

ბარდაველიძე, 1939 — ბარდაველიძე, ვ., ქართულ (სვანურ) ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალწლის ციკლი, ტფ., 1939.

გასვიანი, 1995 — გასვიანი, გ., ბიზანტი-ირანის ბრძოლა ეგრის-სვანეთის გამო, — ქართული დიპლომატია, წელიწდეული, II, თბ., 1995.

გელოვანი, 2003 — გელოვანი, ა., დასავლეთ საქართველოს მთიანეთი (სვანეთი) XIX საუკუნეში, თბ., 2003.

გეორგიკა, 1941 — გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართ-

¹³ 662 წელს ბიზანტიამ, რომელიც ამ დროს მწვალებლობას უჭერდა მხარს, დიდი ღვთისმეტყველი მაქსიმე - აღმსარებელი თავის ორ მოწაფესთან ერთად საქართველოს ციხეებში შეამწყვდია: ერთერთი მოწაფე ანასტასი შეაყენეს ბუკულუსის ციხეში (გეორგიკა, 1941: 40-48).

ველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვ., I, ბერძნული ტექსტი ქართული თარგ-მანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1941.

გვანცელაძე 1998 — გვანცელაძე, თ., ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის. — კრ., აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბ., 1998.

დევდარიანი, 2003 — დევდარიანი, დ., რელიგიური დღესასწაულები დალის სვანეთში. „ლამპრობ“. — კრ., საისტორიო ძიებანი, 6, თბ., 2003.

ეზუგბაია, 1973 — ეზუგბაია, ვ., საქართველოს სსრ ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და საბჭოების როლის შემდგომი ამაღლება (1921-1932 წწ.), თბ., 1973.

ზარდალიშვილი, 1970 — ზარდალიშვილი, გ., საქართველოს სსრ ეკონომიური დარაიონება, თბ., 1970.

ინგოროყვა, 1954 — ინგოროყვა, პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954.

ლორთქიფანიძე, 1973 - მ. ლორთქიფანიძე, ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად, ტ. II, თბ., 1973

მიბჩუანი, 1997 — მიბჩუანი, თ., აფხაზეთის მეფეები და მთავრები, თბ., 1997.

მიბჩუანი, 1998 — მიბჩუანი, თ., აფხაზეთის ტოპონიმია, — კრ., აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბ., 1998.

მიბჩუანი, 1989 — მიბჩუანი, თ., დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989.

მიბჩუანი, 1996 — მიბჩუანი, თ., შავლიანები — აფხაზეთის მეფეები (IX). კრ., აია, I, თბ., 1996.

მუსხელიშვილი, 2003 — მუსხელიშვილი დ. საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბ. 2003

ნიჟარაძე, 1964 — ნიჟარაძე, ბ., იალბუზის გარშემო, — კრ., ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, თბ., 1964.

პროზაული ტექსტები, 1957 — სვანური პროზაული ტექსტები, ბალსქვემოური კილო, II, თბ., 1957.

სანაძე, ბერაძე, 2004 — სანაძე, მ., ბერაძე, თ., VIII ს-ის I ნახევრის ქართლისა და ეგრისის პოლიტიკური ისტორიიდან. — კრ., ქართული წყაროთმცოდნეობა, X, თბ., 2004.

საქართველოს სსრ... 1961 — საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1961 წლის 1 ივლისისათვის, გამოცემა მეორე.

საქართველოს სსრ... 1977 — საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1977 წლის 1 იანვრისათვის, გამოცემა მეოთხე, თბ., 1977.

ქალდანი, 1999 — ქალდანი, მ., მივსიანეთისა და მივსიანთა ტომის

- ვინაობის საკითხისათვის, — აფხაზეთის მოამბე, №2-3, თბ., 1999.
- ქართლის ცხოვრება, 1955** — ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
- ყაუხჩიშვილი, 1957** — ყაუხჩიშვილი, თ., სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957.
- ყაუხჩიშვილი, 1936** — ყაუხჩიშვილი, ს., მისიმიანთა ტომი, თსუ შრომები, I, თბ., 1936.
- ხორავა, 2004** — ხორავა ბ., აფხაზეთა 1867 წლის მუჰაჯირობა, თბ., 2004.
- ხორავა, 1998** — ხორავა, ბ., ეთნიკური პროცესები ჩრდილო კავკასიაში და აფხაზეთი, — კრ., აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბ., 1998.
- ჯაფარიძე, 1996** — მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბ., 1996.
- Берадзе, 1989** – Берадзе Т. Н. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989.
- Иессен, Деген-Ковалевский** – Иессен А. А., Деген-Ковалевский Б. Е. Из истории древней металлургии Кавказа. ОГИЗ. М-Л., 1935.

ეთნიკური პროცესები აფხაზეთში (უძველესი დროიდან დღემდე)

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ეთნიკური ცვლილებებისთვის თვალის გადავლება ბრინჯაოს ხანიდან არის შესაძლებელი.

აღრე ბრინჯაოს ხანიდან დასავლეთ საქართველოში, თანამედროვე აფხაზეთის ჩათვლით, ეთნიკური განვითარების უწყვეტი ხაზი დასტურდება. შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულს, ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში, მათ შორის თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, **ყალიბდება ერთიანი ქართველური კულტურა**, რომელიც კოლხური კულტურის სახელითაა ცნობილი.

ძვ.წ. XV საუკუნეში ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი ქართული სახელმწიფო — კოლხეთის სამეფო ჩამოყალიბდა, რომელიც შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდ. ყუბანის შავ ზღვაში ძველ შესართავამდე აღწევდა. ქართული საისტორიო ტრადიციით, ეს ტერიტორია ქართველთა სახელმწიფოა, რომლის ერთი ნაწილი — „ქვეყანა ლიხის მთიდან მდინარემდე „მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასიისა“, ე.ი. მდ.ყუბანის შესართავამდე — ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქის — **ეგროსის** სამკვიდროა („ქართლის ცხოვრება,“ 1955: 5); ეს არის ირიბი გამოძახილი იმ ფაქტისა, რომ ეს მხარე ქართველთა სამკვიდროა.

საისტორიო წყაროების მონაცემებით, წინანტიკურ და ელინისტურ ხანაში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად მოქცეულია კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში და ქართული მოდემის ტომებითაა დასახლებული. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ახ.წ. II საუკუნის ავტორები — ფლავიუს არიანე და კლავდიოს პტოლემეიოსი შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე (თანამედროვე ქალაქ ტუაფსეს მახლობლად) ასახელებენ გეოგრაფიულ პუნქტს — ლაზიკას (შუა საუკუნეების ქანიკოფსია). საგულისხმოა, რომ არიანე ამ პუნქტს „ძველ ლაზიკას“ უწოდებს, რაც ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ქართული მოსახლეობის განსახლების უტყუარი მოწმობაა (თ. ყაუხჩიშვილი, 1976).

საკუთრივ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, ძვ.წ. VI — ახ.წ. II სს. ძველ ბერძნულ საისტორიო მწერლობაში (ჰეკატაიოს მილეტელი, სკილაქს კარიანდელი, კლავდიოს პტოლემეიოსი და სხვ.), მოხსენიებულია შემდეგი ტომები — კოლები, კორაქსები, სვანო-კოლები, კოლები, — რომელთა ქართული წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს (თ. ყაუხჩიშვილი, 1976).

ძვ.წ. II ს. დასასრულს კოლხეთის სამეფოს დაცემამ აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არამყარი სიტუაცია შექმნა, რამაც ამ რეგიონში ჩრდილო კავკასიაში მოსახლე ტომების შემოჭრას მისცა ბიძგი. ამ გარემოებამ, თავის მხრივ, აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ტომების გადაადგილება გამოიწვია.

ასეთ ვითარებაში, ძვ.წ. I საუკუნეში, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდ.აქუნტასა (შახე) და მდ.ნიკოფსიას (ნეგოფსუნო) შორის მკვიდრდება ჯიქების აფხაზურ-ადილური ტომი, რომელიც ადრე ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლეობდა.

ძვ.წ. I საუკუნეში შავი ზღვის სანაპირო ზოლში, მდ. აქუნტადან დიოსკურიამდე (ამჟ. ქ.სოხუმი) ტერიტორიაზე სანიგები ცხოვრობდნენ. სანიგები ის დასავლურქართული ტომია, რომელიც უფრო ადრე ლაზების სახელით ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გვხვდება. I—II სს. ანტიკურ წყაროებში (პლინიუს სეკუნდი, ფლავიუს არიანე) დღევანდელი აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში პირველად იხსენიებიან აფსილები და აბაზგები, და ქვეყნები — აფსილია და აბაზგია. ბერძნული წყაროების „აფსილია“ და „აბაზგია“ სახელებს ქართულ შუასაუკუნოვან წყაროებში („ქართლის ცხოვრება“) „აფშილეთი“ და „აფხაზეთი“ შეესატყვისება. I-IV სს. დასავლეთ საქართველო ლაზიკის სამეფოში გაერთიანდა, რომლის საზღვრებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაც შედიოდა, სადაც აფშილები, აბაზგები, სანიგები, მისიმიანები, ეგრები ცხოვრობდნენ.

საგულისხმოა, რომ ამ მხარის ტოპონიმთა მთლიანად ქართულია. ასე, მაგალითად: „დიოსკურია“, „ცხუმი“ (< რცხილა)¹, ბიჭვინთის როგორც ქართული, ისე ძველი ბერძნული სახელი პიტინტი ქართ. ფიჭვიდან (ბერძნ. Pitios) მომდინარეობს; „გაგრა, ქართული „გაგარიდან“ მოდის, რაც გასასვლელს ნიშნავს; „სოჭი“ („სონჩ“ - სვანებისა) და ა.შ.

I საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში, მათ შორის თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, ქრისტიანობა ვრცელდება, რომელსაც აქ მოციქულები — ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი ქადაგებდნენ. ეს უკანასკნელი ჯიქეთში აღესრულა და ნიკოფსიაში დაკრძალეს. ქრისტიანული თემები აქ იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ უკვე IV საუკუნეში ბიჭვინთაში ეპისკოპოსი იჯდა. ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე მონაწილეობდა I მსოფლიო საეკლესიო კრებაში, რომელიც ქ.ნიკეაში 325 წ. გაიმართა. 326 წელს ეგრისში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

VI-VIII სს. აბაზგებმა შეიერთეს სანიგების, აფშილების, მისიმიანების მიწა-წყალი და ამ ტერიტორიაზე გავრცელდა ტერმინი აბაზგია. ქართული საისტორიო წყაროები ამ პოლიტიკურ ერთეულს აფხაზთა საერისთავოს უწოდებენ. VIII ს. შუა ხანებში ეგრისის სამეფო დაიშალა, ხოლო ორი ათეული წლის შემდეგ, აფხაზთა ერისთავმა ლეონ I-მა, რომელიც ეგრისის მეფეთა გვერდით შტოს ეკუთვნოდა და, ამასთანავე, დინასტიური ქორწინების შედეგად ეგრისის ტახტის მემკვიდრე იყო, მთელი დასავლეთი საქართველო ერთ სამთავროდ გააერთიანა.

VIII ს. მიწურულს ლეონ I-ის ძმისწული ლეონ II გათავისუფლდა ბიზანტიისადმი ვასალური დამოკიდებულებისაგან და თავი მეფედ გამოაცხადა. მმართველი დინასტიის მიხედვით, ამ სახელმწიფოს „აფხაზთა“ სამეფო ეწოდა. ზოგიერთი სომხური წყარო მას „ეგრისს“ უწოდებს, მის მეფეს — „ეგრისის მეფეს“, ხოლო სამეფოს მოსახლეობას — „ეგრისელებს“ (იოანე დრასხანაკერტელი, 1965: 38, 64, 109, 111, 119, 257).

1 „სოხუმი“ ამ სახელწოდების არაბულ-თურქული ფორმაა.

დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისა და „აფხაზთა“ სამეფოს შექმნის შემდეგ გაფართოვდა ცნება „აფხაზეთის“ მნიშვნელობა. ამ დროიდან ის საკუთრივ აფხაზეთს და მთელ დასავლეთ საქართველოს აღნიშნავდა, ხოლო „აფხაზი“ საკუთრივ აფხაზს და ყველა დასავლელქართველს ეწოდებოდა (მ.ლორთქიფანიძე, 1990: 17).

XI ს. დასაწყისში „აფხაზთა“ სამეფო საქართველოს ერთიან მონარქიაში გაერთიანდა. საქართველო საერისთავოებად იყო დაყოფილი. დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებობდა აფხაზეთის, ცხუმის, ოდიშის საერისთავოები, რომელთაც ქართული ფეოდალური საგვარეულოები — შარვაშიძეები, ამანელისძეები, დადიანები განაგებდნენ. საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში — „მეფე აფხაზთა და ქართველთა...“ იმის გამო, რომ პირველად „მეფე აფხაზთა“ მოიხსენიებოდა, XI-XIII სს. ზოგიერთ უცხოურ წყაროში „აფხაზეთი“ და „აფხაზები“ ხშირად საქართველოსა და ქართველის მნიშვნელობით იხმარება (З.В.Анчабадзе, 1959: 171-177; მ.ლორთქიფანიძე, 1990: 17).

XIII საუკუნიდან საქართველოს მიძიმე დრო დაუდგა. ჯალალედინის თარეშმა, მონღოლების ასწლოვანმა უღელმა და თემურ-ლენგის შემოსევებმა საქართველოს სახელმწიფო დაასუსტა. XV ს. მეორე ნახევარში ერთიანი საქართველოს სამეფო დაიშალა. დასავლეთ საქართველო იმერეთის სამეფოში გაერთიანდა, რომლის შემადგენლობაში აფხაზთა საერისთავოც შედიოდა. ამ დროიდან ქართველები და არა მხოლოდ ქართველები, აფხაზეთს ამ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულს, ხოლო აფხაზებს მის მცხოვრებთ უწოდებდნენ. აფხაზთა ერისთავები ისევ შარვაშიძეთა ქართული ფეოდალური საგვარეულოდან იყვნენ.

საქართველოს დასუსტებითა და დაშლით ისარგებლეს ჩრდილოკავკასიელმა მთიელებმა, რომლებმაც საქართველოზე თავდასხმები დაიწყეს. ეს პროცესი, რომელიც „მთის ჩამოწოლის“ სახელითაა ცნობილი, მიმდინარეობდა ჩრდილო-აღმოსავლეთ საქართველოშიც, — ლეკების ჩამოსახლება აღმოსავლეთ კახეთში, ალან-ოსების — შიდა ქართლში, ჩრდილო-დასავლეთით — აბაზა-ადიღელების ჩამოსახლება. სამეფო ხელისუფლების მორჩილებიდან გამოვიდნენ ჯიქები, რომლებიც ადიღური ტომების მოწოლით სამხრეთ-აღმოსავლეთით მოიწვედნენ. ამის შედეგად, XV ს. მეორე ნახევარში საქართველომ დაკარგა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო, ქ.ნიკოფსია და მისი მიმდებარე ტერიტორია გაგრის ვიწროებამდე. ეს ფაქტი ადიღურ ფოლკლორშიც აისახა, რომლის თანახმადაც, ადიღელთა წინამძღოლს — ინალს აფხაზეთი დაუპყრია, მაგრამ მოულოდნელად გარდაცვლილა და აქვე, ფსხუში დაუკრძალავთ (Ш.Б.Ногмов, 1970: 54-55).

კავკასიის მთის მოსახლეობის ლტოლვა საქართველოს ბარისაკენ გამოწვეული იყო მონღოლების მიერ მათი შევიწროებითა და აღრინდელი საცხოვრისიდან გამოდევნით, რის შედეგადაც ისინი იძულებულნი გახდნენ საარსებო მიწა ეძებნათ. დარბეული და დასუსტებული საქართველო მათ სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევდა. მთას თან მოჰქონდა მისთვის დამახასიათებელი პრიმიტიული სამეურნეო და სოციალური ყოფა, წეს-ჩვეულებები, წარმართობა. საქართველოს ბარი თავიდან ითვისებდა მას,

მოსული ელემენტი დამხვედურის კულტურას ეზიარებოდა, მისი სამეურნეო და საზოგადოებრივი ტრადიციების მატარებელი ხდებოდა და ერწყმოდა დამხვედურთ, მაგრამ თავის მხრივაც ახდენდა გავლენას მასზე (ბ.ხორავა, 1996: 53-54).

XV საუკუნეში „მთის ჩამოწოლის“ პროცესი აფხაზეთში საკმაოდ შორსაა წასული, რისი აშკარა დადასტურებაა აფხაზთა გაწარმართება, რაც აისახა დაახლოებით 1470-1474 წწ. შედგენილ ძეგლში „მცნება სასჯულო“. აქ პირველად გამოჩნდა ქართული სამყაროდან აფხაზთა „გაუცხოების“ კვალი: „აფხაზეთი ქრისტიანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყუნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს“ (ქართული სამართლის ძეგლები, 1970: 222). იმავე ხანებში ხობის ეკლესიისადმი შეწირულ სიგელში ნათლადაა ნაჩვენები იმ დროს აფხაზეთში შექმნილი ვითარება: „მას ჟამსა უღმოდ და უსჯულოებად მიიქცნეს აფხაზნი“, „აფხაზთა გარყუნეს სჯული და კათალიკოზობა“ (საქართველოს სიძველენი, 1920: 26). ამ დროს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის ეკლესია-მონასტრებიდან უსაფრთხო ადგილას, ქვეყნის სიღრმეში, გადმოჰქონდათ საეკლესიო სიწმინდეები. როგორც ჩანს, სვიმონ კანანელის ნეშტი ნიკოფსიიდან ანაკოფიაში (ამჟ. დ. ახალი ათონი) ამ დროს გადმოასვენეს.

მთის ჩამოწოლის შედეგად აფხაზეთში მკვიდრდებიან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან წამოსული ტომები, რომელთაც ქართული წყაროები ჯიქების, ხოლო უცხოური წყაროები აბაზების კრებითი სახელით მოიხსენიებენ. აფხაზეთის მკვიდრმა მოსახლეობამ ვეღარ შეძლო მთის ჩამოწოლის სათანადო სოციალურ-რელიგიური ათვისება, ჩამოსახლებულმა მასამ წალეკა ადგილობრივი მოსახლეობა, რის შედეგადაც ამ მხარეში რადიკალური ეთნიკური ცვლილება მოხდა. ჩამოსახლებულ მთიელთა ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა თანამედროვე აფხაზური (აფსუა) ეთნოსი (ბ. ხორავა, 1996: 87). სამწუხაროდ, ამ ახალ ეთნიკურ ჯგუფს ქართველებმა, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მექანიკურად აფხაზი უწოდეს, ისინი კი თავს აფსუას უწოდებენ. „აფსუა“ და „აფხაზ“ ეთნონიმების გაიგივებამ აფხაზეთის ისტორიის კვლევაში ქაოსი და არეულობა შეიტანა, რის ტრაგიკულ შედეგებს დღესაც ვიმკით. აღსანიშნავია, რომ აფხაზთა თვითსახელწოდება „აფსუა“ ეთნონიმ „აბაზას“ ფონეტიკური სახეცვლილებაა; ენათმეცნიერებაში აღიარებულია, რომ აფხაზური (აფსუა) ენა აბაზურ ენასთან ერთად ქმნის ერთ ენობრივ ერთეულს და მათ შორის მხოლოდ დიალექტური განსხვავებაა (К.В. Ломтатидзе, 1967: 123). აფხაზეთში მომხდარი რადიკალური ეთნიკური ცვლილება აფხაზურ (აფსუურ) ფოლკლორსა და ეთნოგენეტიკურ გადმოცემებშიც აისახა.

აბაზა-ადილელების ჩამოსახლება აფხაზეთში ყოველთვის საომარი გზით როდი ხდებოდა. ისინი უმთავრესად მაინც აფხაზთა მთავრებისა და თავადაზნაურების, მიწის მეპატრონეთა ნებით სახლდებოდნენ აქ, როგორც უმიწაწყო მთიელები. აფხაზეთში ჩამოსახლებულ მთიელებს მთავრები უმთავრესად მოლაშქრებლად იყენებდნენ თავიანთი მიწა-წყლის გაფართოებისათვის ბრძოლაში. XVI ს. მიწურულს აფხაზებმა მიიტაცეს ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს მიწა-წყალი მდ.კელასურამდე ქართული ქალაქებით — ანაკოფია (შემდეგში — ფსირცხა, ამჟამად — ახალი ათონი)

და ცხუმი (ამყ. სოხუმი), ხოლო XVII ს. მიწურულს მდ. ეგრისწყალამდე (ამყ. ლალიძგა) გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო. აფხაზთა მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე შეუძლებელი გახდა ქრისტიანული ეკლესიის ფუნქციონირება, რის გამოც 1681 წ. დრანდისა და მოქვის საეპისკოპოსოები გაუქმდა. აფხაზები თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ ოდიშის (სამეგრელოს) ეკლესია-მონასტრებს, მათ შორის, საკათედრო ტაძრებს — ბედიას, ცაიშს, წალენჯიხას, სხვა ეკლესია მონასტრებს (ბ.ხორავა, 1996: 70-113). ამ თავდასხმების შესახებ წერენ არა მარტო ქართველი მემკვიდრეები, არამედ უცხოელი ავტორებიც, რომლებიც იმ დროს საქართველოში იმყოფებოდნენ: კათოლიკე მისიონერები — არქანჯელო ლამბერტი, კრისტოფორო კასტელი, ჯუზეპე ჯუდიჩე, ფრანგი კომერსანტი და მოგზაური ჟან შარდენი, იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (1669-1707), ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი (1647-1672) და სხვები. XVIII ს. 70-იან წლებში აფხაზთა ექსპანსიის გამო ბედიის საეპისკოპოსოც გაუქმდა.

XVI-XVIII სს. ქართული საეკლესიო საბუთებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ მიმდინარეობდა ქართული მოსახლეობის აყრა და განდევნა თავისი სამკვიდროდან. მიდინარეებს — კელასურსა და ეგრისწყალს შორის მოსახლეობის ნაწილი აფხაზთა მიერ აოხრებისა და აკლების დროს გადაიხვეწა; ვინც მახვილს, შიმშილსა და ავადმყოფობას გადაურჩა, აფხაზებმა ტყვედ მიჰყიდეს თურქ-ოსმალებს. დაცარიელებულ ადგილებზე აფხაზები სახლდებოდნენ. იმავდროულად მიმდინარეობდა გადარჩენილი ქართული მოსახლეობის გააფხაზების პროცესი, რაც ყველაზე ადრე აფხაზეთის მთის თემებში (წებელდა, დალი, ფსხუ) დაიწყო. ამიტომაც არის, რომ აფხაზთა დიდი ნაწილი დღეს ქართულ გვარსახელებს ატარებს. ეთნიკურმა ცვლილებებმა აფხაზეთში და აფხაზთა მიერ მიტაცებულ ოდიშის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ადგილობრივი სახელწოდებების შეცვლა გამოიწვია (ბ.ხორავა, 1996: 140-156).

გვიანი შუა საუკუნეების „აფხაზები“ კავკასიელი მთიელებია, რომელთაც ვერ შეუთვისებიათ ფეოდალური მეურნეობა, ფეოდალური სოციალური წყობა, ქრისტიანობა. ისინი, თავიანთი პრიმიტიული ყოფითა და წარმართული რელიგიით, აშკარად არ არიან იმ აფხაზთა შთამომავალი, რომლებიც ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოს კულტურულ-პოლიტიკურ მშენებლობაში მონაწილეობდნენ. ეს გენეტიკური ხაზი მოსახლეობის ძირითად მასაში, დაბალ ფენებში, გაწყვეტილია და მხოლოდ აფხაზ ფეოდალთა წრეში ჩანს შენარჩუნებული ქართული კულტურული ტრადიციები. ეთნიკური ცვლილებების შემდეგ აფხაზეთში მკვიდრდება ახალი სალოცავები, მათ შორის, — ინალ-კუბა, ინალის საფლავი ფსხუში; ხეებისა და წმინდა ჭალების კულტი და სხვ. აღსანიშნავია, რომ აფხაზთა სალოცავების ერთი ნაწილი დანგრეული, გაუქმებული ეკლესიების ადგილას იყო.

XVIII საუკუნეში აფხაზეთში თურქები გაბატონდნენ. თურქთა ბატონობამ ვერ შეძლო აფხაზეთის საქართველოსთან ოდინდელი ისტორიული კავშირის გაწყვეტა. ქართულ-აფხაზურ ისტორიულ-კულტურულ ერთობას ხელი ვერ შეუშალა ისლამის გავრცელებამაც, რასაც დიდი მასშტაბებისთვის არც მიუღწევია. აფხაზები რელიგიის მიმართ საკმაოდ გულგრილნი იყვნენ.

დამახასიათებელია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არ არსებობს ისლამური არქიტექტურის ძეგლები. აფხაზეთა რელიგია სინკრეტიზმით ხასიათდება — მხარის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში წარმართობისა და ისლამის, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში წარმართობისა და ქრისტიანობის ნაზავით.

მიუხედავად მწვავე პოლიტიკური გათიშულობისა, მთელი გვიანი შუა საუკუნეების მანძილზე აფხაზეთა მთავრები ქართველ მეფეთა უზენაესობას აღიარებდნენ; მათთვის ქართული ენა იყო საკომუნიკაციო ენა, ამ ენაზე მუშაობდა მთავრის კანცელარია. ეს ყოველივე ცხადყოფს, რომ ქართული ენა ამ მხარის მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-ისტორიული განვითარების პროცესის მთავარი წახნაგი იყო. ეს ტრადიცია თაობიდან თაობაში გადადიოდა ისტორიული პირობების შესაბამისად და საქართველოს დანარჩენ ნაწილებთან აფხაზეთის შინაგანი ერთობა არასოდეს გაწყვეტილა (ს. ჯანაშია, 1988: 35).

XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიამ ქართული სამეფო-სამთავროები ნაწილ-ნაწილ შეიერთა. 1810 წელს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა აფხაზეთი, როგორც საქართველოს ერთ-ერთი მხარე. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის სამთავრო ტახტის მემკვიდრის — გიორგი შარვაშიძის თხოვნა რუსეთის იმპერატორისადმი აფხაზეთის ქვემეგრდომობაში მიღების შესახებ ქართულ ენაზეა შედგენილი.

საქართველოს შეერთების შემდეგ რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობისთვის ზრუნვას შეუდგა. მეფის ხელისუფლებას სურდა კავკასია „სამოქალაქო და პოლიტიკური თვალსაზრისით მჭიდროდ შეეკრა რუსეთთან და მის განუყოფელ ნაწილად ექცია“, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა „ენით, გონებით და გრძნობით რუსი გამხდარიყო“ (История СССР, 1967: 384). ამ გეგმის განხორციელებას ცარიზმი კოლონიზაციის საშუალებით ცდილობდა, რადგან მხარის ათვისების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად ეს ღონისძიება მიაჩნდა.

ცარიზმის მიზანს ყოველთვის წარმოადგენდა დაპყრობილი ქვეყნის კოლონიზაცია და ასიმილაცია. ცნობილი რუსი ისტორიკოსი ვ.კლიუჩევსკი კოლონიზაციას „რუსეთის ისტორიის ძირითად ფაქტორად“ მიიჩნევდა (В. О. Ключевский, 1956: 30). რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I (1825-1855) სავსებით იზიარებდა კავკასიაში კოლონიური პოლიტიკის გატარების აუცილებლობას, რადგან მიაჩნდა, რომ კოლონიზაციას ხელი უნდა შეეწყოს „რუსული მფლობელობის განმტკიცებისათვის, უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის სრული მორჩილება და, საბოლოო აზრით, მხარის იმპერიასთან შერწყმა“ (Акты, 1881: 381). ისეთი ლიბერალური და დემოკრატიული ძალა იმ ხანის რუსეთში, როგორც დეკაბრისტები იყვნენ, ასეთსავე პოზიციაზე იდგნენ. დეკაბრისტთა „სამხრეთის საზოგადოების“ ლიდერი პ.პესტელი საპროგრამო დოკუმენტში „რუსსკაია პრავდა“, კავკასიის ხალხებს ყოფდა მშფოთვარე, დაუმორჩილებელ და მშვიდ, დამყოლ ტომებად. მისი აზრით, აუცილებელი იყო პირველთა გადასახლება იმპერიის შიდა გუბერნიებში, ხოლო მეორეთა კავკასიაში ჩასახლებულ რუსულ მოსახლეობაში თანდათანობითი ასიმილაცია და სრული გათქვეფვა (П.И.Пестель, 1906: 48). შემდეგში ცარიზმი სწორედ ასე მოიქცა.

კავკასიის კოლონიზაციის პროცესს მრავალწლიანი კავკასიის ომი (1817-1864) მოჰყვა. ომის უკანასკნელ ეტაპზე ცარიზმი დაუმორჩილებელი კავკასიელი მთიელების სამშობლოდან ძალდატანებით გასახლებას შეუდგა. ეს პროცესი ცნობილია მუჰაჯირობის სახელით.

მუჰაჯირობა (არაბ. „მუჰაჯერეთ“ — გადასახლება) ანუ კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის ძირითადად იძულებითი გადასახლება თურქეთის იმპერიაში XIX საუკუნეში დაკავშირებული იყო კავკასიის ომებთან — სამხედრო მოქმედებათა წყებასთან, რომელსაც მეფის რუსეთი XVIII-XIX სს. კავკასიაში აწარმოებდა. რუსეთის ხელისუფლებას სურდა დაუმორჩილებელ კავკასიელ მთიელთა თურქეთში გადასახლებით მიეღწია პოლიტიკური სიმშვიდისათვის ამ მხარეში, გათავისუფლებული მიწები კი ფართო კოლონიზაციისათვის გამოეყენებინა, ესარგებლა მხარის ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობით. მუჰაჯირობის პროცესში, ერთი შეხედვით, რელიგიური მომენტი დომინირებდა, მაგრამ ძირითადი მიზნად იყო პოლიტიკური ფაქტორი — რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკა. რუსეთის კოლონიზატორულმა პოლიტიკამ გადამწყვეტი ბიძგი მისცა მთიელთა გადასახლებას.

1859 წ. რუსეთის მიერ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის — ჩეჩნეთ-დაღესტნის დაპყრობის შემდეგ თურქეთში გადასახლდნენ დაღესტნელები, ჩეჩნები, ოსები, — სულ 100 ათასამდე ადამიანი. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდნენ დასავლეთ კავკასიის მთიელები. 1864 წლის მაისში რუსეთმა დასავლეთ კავკასიაც დაიპყრო და კავკასიის ომი დამთავრებულად გამოცხადდა. რუსეთის იმპერიასთან კავკასიის შეერთების ხანგრძლივი პროცესი დასრულდა.

ომის უკანასკნელ ეტაპზე, 1858-1864 წწ. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მცხოვრები ადიღელები — ჯიქები, შაფსულები, ნათხვაჯები და აბაზური თემების მნიშვნელოვანი ნაწილი, თურქეთში გადასახლდნენ; ზოგიერთი ხალხი, მაგ., უბიხები — მთლიანად. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე თითქმის არ დარჩნენ ადიღელები და აბაზები, მხოლოდ მათი მცირე ნაწილი ჩაასახლეს ყუბანისპირეთში. ოფიციალური მონაცემებით, დასავლეთ კავკასიიდან თურქეთში სულ 470 ათასი ადამიანი გადასახლდა, ხოლო ყუბანისპირეთში — 90 ათასი (ბ. ხორავა, 2004: 62).

კავკასიელ მთიელთა ძალდატანებით თურქეთში გადასახლების გამო ევროპაში დიდი ხმაური ატყდა. რუსეთის ხელისუფლება თავს იმართლებდა, რომ მთიელთა თურქეთში გადასახლება მათი ნება-სურვილით არ მომხდარა და ყოველივე მათი ჩარევის გარეშე მოხდა. როგორც ცნობილი პუბლიცისტი, გენერალი რ.ფადეევი აღნიშნავდა, კავკასიის ომში რუსეთის ხელისუფლების მიზანს წარმოადგენდა „შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან მოემორებინა მთიელები და ეს მხარე რუსებით დაესახლებინა. ეს ზომა აუცილებელი იყო ჩვენი სამფლობელოების უსაფრთხოებისათვის“. როგორც იგი ცინიზმით აღნიშნავდა, არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობის თურქეთში განდევნა. რუსეთს საკმარისად ჰქონდა მიწები მათ დასახლებლად მდ.ყუბანის მარცხენა

ნაპირზე, მაგრამ ასევე არავითარი მიზეზი არ არსებობდა დაეკავებინათ ისინი მათი სურვილის წინააღმდეგ (Р.Фадеев, 1865: 146-147). რ. ფადეევი, რომელიც ოფიციალურ აზრს გამოხატავდა, გულახდილად აღნიშნავდა, რომ „ეს მიწა სჭირდებოდა სახელმწიფოს“, ხოლო რაც შეეხება ადგილობრივ მოსახლეობას, მისი თქმით, „მათი საჭიროება არ არსებობდა“ (Р.Фадеев, 1865: 147).

კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ ცარიზმმა ვრცელი ტერიტორია მიიღო საკოლონიზაციოდ. 1861-1864 წწ. დასავლეთ კავკასიაში კაზაკთა 111 სტანიცა (14 239 ოჯახი, 85 ათასი სული) ჩაასახლეს (Г.А.Дзидзария, 1982: 208). იმავდროულად, ამ მხარეში ასახლებდნენ რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულ რუსებს, უკრაინელებს, თურქეთიდან გადმოსახლებულ ბერძნებსა და სომხებს.

დასავლეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ, როდესაც კავკასიელ მთიელთა ნაწილი ბრძოლაში გაწყდა, ხოლო ნაწილი თურქეთში გადასახლდა, ცარიზმმა კავკასიაში თავი მყარად იგრძნო. უკვე არ არსებობდა აფხაზეთის ავტონომიური სამთავროს შენარჩუნების აუცილებლობა და თვითმპყრობელობა დაპყრობილი მხარის სამხედრო-ადმინისტრაციული მოწყობისა და კოლონიზაციისთვის ზრუნვას შეუდგა. რუსეთის ხელისუფლებას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მიმართ სპეციალური გეგმა ჰქონდა შემუშავებული, რომელიც მდ.ყუბანიდან მდ.ენგურის შესართავამდე კაზაკთა დასახლებების შექმნას ითვალისწინებდა. ამიტომ მკვიდრი მოსახლეობისაგან ამ მიწა-წყლის „გაწმენდა“ იყო საჭირო.

1864 წლის ივლისში ცარიზმმა აფხაზეთის სამთავრო გააუქმა და უშუალო რუსული მმართველობა შემოიღო. იმავდროულად, რუსეთის ჯარის ნაწილებმა აფხაზეთის მთის თემი ფსხუ, მდ. ბზიფის ზემო წელში, დაიკავეს, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა — 3500 კაცი თურქეთში გადასახლეს. ამის შედეგად მდ.ბზიფის ზემო წელი მთლიანად დაცარიელდა (ბ.ხორავა, 2004: 61). აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ შეიქმნა სოხუმის სამხედრო განყოფილება, რომლის უფროსად ამ მხარეში განლაგებული რუსეთის ჯარების სარდალი დაინიშნა. აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე რუსეთში გადასახლეს, სადაც 1866 წელს გარდაიცვალა. მისი ნეშტი აფხაზეთში ჩამოასვენეს და მოქვის ტაძარში დაკრძალეს. საფლავს ქართული წარწერა ამკობს, რაც შარვაშიძეთა სამთავრო სახლის კულტურულ-პოლიტიკურ ორიენტაციაზე ნათლად მეტყველებს.

1865 წლის სტატისტიკური მონაცემებით („Кавказ,“ 1866) აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობა ოლქების მიხედვით ასეთი იყო:

სოხუმის	ოკრუგი	2 826	ოჯახი	16 475	სული
ბზიფის	„—“	3 726		20 090	
აბჟუის	„—“	5 049		32 182	
წებელდა		1 436		10 443	
სულ		13 037		79 190	

1866 წელს ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ აფხაზები აჯანყდნენ, რომელიც იმპერიის ხელისუფლებამ სასტიკად ჩაახშო. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ხელისუფლებამ გადაწყვიტა თურქეთში გაესახლებინა მის მიმართ განსაკუთრებით მტრულად განწყობილი მუსლიმანი და წარმართი აფხაზები, პირველ რიგში, კოდორის ხეობიდან და შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან. იმავდროულად, ცარიზმმა 1866 წელს აფხაზეთში ახალი ადმინისტრაციული რეფორმა გაატარა. იმის გამო, რომ გადაწყვეტილი იყო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მდ.ენგურის შესართავამდე კოლონიზაცია კახაკ-რუსებით, ქართული ოლქი სამურზაყანო (ამჟ. გალის რაიონი) აფხაზეთს შეუერთეს.

1867 წელს ცარიზმმა აფხაზეთიდან ძალდატანებით გაასახლა 3 358 ოჯახი, 19 342 სული. მუჰაჯირობის შემდგომი სტატისტიკური მონაცემებით (1867წ.) აფხაზეთის მოსახლეობა 64 933 შეადგენდა. აქედან 22 ათასი სამურზაყანოს (ოქუმის ოლქის) ქართული მოსახლეობა იყო. ქართველები ცხოვრობდნენ აფხაზეთის სხვა მხარეებშიც. თითქმის მთლიანად დაიცალა კოდორის შუა და ზემო წელი — წებელდა და დალი. ამ თემების 15 ათასიანი მოსახლეობა თავიანთი სამკვიდროდან აყარეს და უცხოეთში გადაასახლეს (ბ.ხორავა, 2004: 69-74). 1868 წლის მონაცემებით, წებელდაში სულ 13 ოჯახი ცხოვრობდა, ხოლო დალში — არცერთი (Сборник, 1869: 39).

1877 წლის აპრილში რუსეთ-თურქეთის ახალი ომი დაიწყო, რომლის ასპარეზი კავკასიაც გახდა. ცარიზმის კოლონიური რეჟიმით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ ამ დროისათვის აფხაზეთში კულმინაციას მიაღწია და აჯანყებამ იფეთქა. ასეთ რთულ ვითარებაში აფხაზეთში თურქული დესანტი გადმოსხდა, რომელიც ძირითადად აფხაზი მუჰაჯირებისაგან შედგებოდა. მაისში თურქებმა თითქმის მთელი აფხაზეთი დაიკავეს. იმავდროულად, აჯანყებული აფხაზები თურქთა დესანტს შეუერთდნენ. მაგრამ მალე, ივლისში, რუსეთის ჯარის ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ და უკვე აგვისტოში მთელი მხარე გაწმინდეს თურქებისაგან. აფხაზეთიდან გაქცევისას თურქებს აფხაზთა ნაწილიც გაჰყვა, მაგრამ მათი მეტი ნაწილი, აგრეთვე მცირე რაოდენობით ქრისტიანი ქართველები და ბერძნები ძალით წაიყვანეს. სულ მუჰაჯირობაში ამ დროს დაახლოებით 32 ათასი კაცი წავიდა. თუკი ადრე აფხაზეთის მთის თემები — ფსხუ, წებელდა, დალი, — დაიცალა, ახლა თითქმის მთლიანად დაცარიელდა აფხაზეთის სანაპირო ზოლი (ბ.ხორავა, 2004: 79-82).

მუჰაჯირობა იყო ცარიზმის მიერ კავკასიის ომში წარმოებული გენოციდის პოლიტიკის გაგრძელება, ეთნოციდი, რამაც ამ მხარეში ეთნოდემოგრაფიული ვითარება რადიკალურად შეცვალა. აფხაზები, ფაქტობრივად, ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დადგნენ. ეს საფრთხე თავიდან ვერ აიცილეს და ისტორიის ასპარეზიდან გაქრნენ ქართველთა უახლოესი მეზობლები — ჯიქები და უბიხები. ქართველი საზოგადოებრიობა დიდი თანაგრძნობით შეხვდა აფხაზთა და კავკასიელ მთიელთა ტრაგედიას. XIX საუკუნის გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა: გრ.ორბელიანმა, ი.ჭავჭავაძემ, გ.წერეთელმა, ს. მესხმა, ზ. ჭიჭინაძემ, პ. ჭარაიამ, ნ. ჯანაშიამ, ი. მეუნარგიამ, თ. სახოკიამ

და სხვებმა გულწრფელი თანაგრძნობა გამოხატეს აფხაზთა და კავკასიელ მთიელთა მუჰაჯირობის გამო.

ცარიზმი შეეცადა აფხაზეთში რუსები ჩაესახლებინა, მაგრამ ისინი ხალისით სულაც არ მოდიოდნენ ამ მხარეში: უჭირდათ ადგილიდან დაძვრა, აშინებდათ გადასახლების სირთულე, ბუნებრივ-კლიმატური პირობები და სხვ. ასეთ ვითარებაში, დასავლეთ საქართველოდან მიწის სიმწირითა და სივიწროვით სულშეხუთული მოსახლეობა გადმოდიოდა და მკვიდრდებოდა აფხაზეთში, აშრობდა ჭაობებს, კაფავდა ბუჩქნარებს და მეურნეობას მისდევდა. ქართველი საზოგადოებრიობა თვლიდა, რომ დაცარიელებული აფხაზეთისთვის საუკეთესო კონტინგენტს შეადგენდნენ დასავლეთ საქართველოს მხარეების: სამეგრელოს, გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის მკვიდრნი. ამასთან, ეს იქნებოდა ისტორიული სამართლიანობის აღდგენაც — ქართველების დაბრუნება თავიანთ ისტორიულ მიწა-წყალზე. მიუხედავად ხელისუფლების წინააღმდეგობისა, ქართველები მანც დამკვიდრდნენ აფხაზეთში: სანაპირო ზოლში — მეგრელები, გორაკ-ბორცვიან ადგილებში — რაჭველები და ლეჩხუმელები, მთიან ნაწილში, — კოდორის ზემო წელში — სვანები. ქართველების დამკვიდრება აფხაზეთში ხელისუფლების შეშფოთებას იწვევდა, ამიტომ, რაკი რუსები ნაკლებად მოდიოდნენ, ცარიზმმა არჩევანი უცხოელებზე (სლავები, სომეხები, ბერძნები და სხვ.) შეაჩერა.

ცარიზმის პოლიტიკა აფხაზეთში მიმართული იყო აფხაზთა და ქართველთა წინააღმდეგ. იგი ცდილობდა არ დაემვა აფხაზეთის ქართულ ეთნო-კულტურულ სივრცეში დაბრუნება. 1877 წლის ანტიცარისტული აჯანყების გამო 1880 წელს აფხაზებს „დამნაშავე მოსახლეობის“ სტატუსი მიენიჭათ. მათ ჩამოართვეს მიწაზე საკუთრების უფლება და აუკრძალეს აფხაზეთის სანაპირო ზოლში დასახლება. „დამნაშავე მოსახლეობის“ სტატუსი აფხაზებს მხოლოდ 1907 წელს მოუხსნეს. 1879 წელს ხელისუფლებამ სამი წლით მუჰაჯირობის ნაწილობრივი რეპატრიაცია დაუშვა. ამის შედეგად, 1881 წლისთვის 15 ათასამდე მუჰაჯირი სამშობლოში დაბრუნდა (Г.А.Дзидзария, 1982: 384-385).

1886 წელს რუსეთის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით შედგა ამიერკავკასიისა და, ნაწილობრივ, ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის საოჯახო სიები. მოსახლეობის ამ აღწერის თანახმად, აფხაზეთის მოსახლეობა 67 371 კაცს შეადგენდა. მათ შორის, აფხაზი — 28 320, ქართველი — 34 078, რუსი — 1241, სომეხი — 1037, ბერძენი — 2056 იყო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქ. სოხუმში სამი აფხაზი ცხოვრობდა — 1 ქალი და 2 მამაკაცი (Свод..., 1893).

1897 წლის სრულიად რუსეთის მოსახლეობის პირველი აღწერის მიხედვით, აფხაზეთში ცხოვრობდა 106 179 კაცი, მათგან: აფხაზი — 39.6; ქართველი — 44.8; რუსი 6.0; სომეხი — 6.5; ბერძენი — 5.4 ათასი (Первая..., 1905).

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, აფხაზეთის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში აფხაზების ხვედრითი წილის გაზრდის მიზნით, უხეში ადმინისტრაციული ზეწოლით, ქართველებს აიძულებდნენ აფხაზებად ჩაწერილიყვნენ. 1926 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის

მონაცემებით, აფხაზეთის მოსახლეობამ 201 016 შეადგინა. მათგან, ქართველი — 67 494, აფხაზი — 55 918, რუსი — 12 553, ბერძენი — 14 045, სომეხი — 25 677 იყო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 9 ათასი აფხაზი მშობლიურ ენად ქართულს აღიარებდა, მაგრამ არც ერთი მათგანი ქართველად არ ჩაწერილა (ა.თოთაძე, 1995: 88).

1937-1953 წწ. აფხაზეთში, საკოლმეურნეო მშენებლობასთან დაკავშირებით, დასავლეთ საქართველოს მცირემიწიანი რაიონებიდან მოსახლეობის ჩასახლება მიმდინარეობდა, თუმცა მას ინფილტრაციის ხასიათი არ ჰქონია. ქართველების ჩასახლება გამოუყენებელ მიწის მასივებზე მოხდა. იმავდროულად, მიმდინარეობდა რუსების, უკრაინელების, სომხების და სხვ. შემოდინების პროცესი. ეს ფაქტი გამოწვეული იყო ობიექტური რეალობით: ინდუსტრიალიზაციის კურსის გატარება — სამრეწველო საწარმოების შექმნა, მხარის ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისება, პირველ რიგში, ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების ექსპლოატაციაში შესვლა, მხარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, ავტონომიური რესპუბლიკის გარედან მუშახელსა და კვალიფიციურ საინჟინრო-ტექნიკურ კადრებს მოითხოვდა. ამის გამო აფხაზთა ხვედრითი წილი რესპუბლიკის მოსახლეობაში მნიშვნელოვნად შემცირდა.

აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში ძირითადი ცვლილებები სწორედ 1926-1959 წწ. მოხდა. მოსახლეობის საერთო რაოდენობაში მნიშვნელოვნად შემცირდა ქართველებისა და აფხაზების ხვედრითი წილი, ხოლო სომხებისა (3-ჯერ) და რუსების (6-ჯერ) გაიზარდა. ასეთი ტენდენცია შემდეგ წლებშიც შეიმჩნეოდა (ა.თოთაძე, 1995: 104). საერთოდ, 1886 წლიდან 1989 წლამდე, აფხაზეთში რუსების რაოდენობა 60-ჯერ, სომხების კი 70-ჯერ გაიზარდა.

აფხაზეთის 1992-1993 წწ. ომში აფხაზმა სეპარატისტებმა ქართულ მოსახლეობას გენოციდი მოუწყვეს. ისევე, როგორც გვიან შუა საუკუნეებში, მხარის ეთნოწმენდა განხორციელდა. აფხაზეთის 300 ათასამდე მცხოვრები, მათ შორის, 240 ათასი ქართველი, დევნილად იქცა; იმავდროულად, ომის, ომისშემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური ქაოსის, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებისა და სხვათა გამო, სხვა ეროვნებების წარმომადგენლები — ბერძენები, ებრაელები, ესტონელები, რუსები... იძულებულნი გახდნენ, მშობლიური კერა დაეტოვებინათ. დაახლოებით 30 ათასმა აფხაზმაც დატოვა სამშობლო და დსთ-ს ქვეყნებში (ძირითადად, რუსეთსა და უკრაინაში) გადასახლდა. ამჟამად, აფხაზეთის მოსახლეობა დაახლოებით 200 ათასს შეადგენს. მათ შორის, აფხაზი — 55, ქართველი — 40 (ძირითადად გალის რაიონში), რუსი — 35, სომეხი — 70 ათასია (თ.ნადარეიშვილი, 2002). პოსტკონფლიქტურ აფხაზეთში ქართული მოსახლეობა ძირითადად კოდორის ზემო წელსა და გალის რაიონში დარჩა. ამასთან, ამ უკანასკნელ რეგიონში, ქართული მოსახლეობა სეპარატისტების პერმანენტული ტერორისა და ძალადობის პირობებში ცხოვრობდა. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, როდესაც რუსეთის ჯარის ნაწილები და აფხაზი სეპარატისტები კოდორის ზემო წელს — ზემო აფხაზეთს (ისტორიული დალი) დაეუფლნენ, ადგილობრივმა მოსახლეობამ (2 600 კაცი) ხეობა დატოვა და დევნილად იქცა.

ამრიგად, აფხაზეთში ეთნო-დემოგრაფიული ვითარების რადიკალური შეცვლა მოხდა გვიან შუა საუკუნეებში, შემდეგ რუსეთის (ცარიზმის) ბატონობისა და საბჭოთა ხელისუფლების დროს, როდესაც იმპერიული ხელისუფლებისა და აფხაზი სეპარატისტების მიერ ქართველთა და ანტიიმპერიულად განწყობილ აფხაზთა გენოციდი განხორციელდა.

აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა XX საუკუნეში

	1926 წ.		1939 წ.		1959 წ.		1970 წ.		1979 წ.		1989 წ.	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
ქართველი	67494	35,8	91967	29,5	158221	39,1	199595	41,0	213322	43,9	239872	45,7
აფხაზი	55918	25,6	56197	18,0	61193	15,1	77276	15,9	83097	17,1	93267	17,8
სომეხი	25677	1,6	49705	15,9	64425	15,9	74860	15,4	73350	15,1	76541	14,6
რუსი	12553	1,8	60201	19,3	86715	21,4	92889	19,1	79730	15,4	74914	14,3
ბერძენი	14045	3,1	34621	11,1	9101	2,2	13114	2,7	13642	2,8	14664	2,8
სხვა	25329	12,6	19194	6,15	2583	6,19	29225	6,0	22941	4,71	25803	4,9
სულ	201016	100,0	311885	100,0	404738	100,0	486959	100,0	486082	100,0	525061	100,0
მოსახლეობა												

დამოწმებული ლიტერატურა:

- ა.თოთაძე, 1995** — ა. თოთაძე, აფხაზეთის მოსახლეობა. ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 1995.
- იოანე დრასხანაკერტელი, 1965** — იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, თბ., 1965.
- მ. ლორთქიფანიძე, 1990** — მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990.
- თ. ნადარეიშვილი, 2002** — თ.ნადარეიშვილი, შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ, თბ., 2002.
- საქართველოს სიძველენი, 1920** — საქართველოს სიძველენი, ტ.1, ტფ., 1920.
- ქართული სამართლის ძეგლები, 1970** — ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970.
- „ქართლის ცხოვრება“, 1955** — „ქართლის ცხოვრება“, ტ.1, თბ.,1955.
- თ. ყაუხჩიშვილი, 1976** — თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976.

- ბ. ხორავა, 1996** — ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბ., 1996.
- ბ. ხორავა, 2004** — ბ. ხორავა, აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, თბ., 2004.
- ს.ჯანაშია, 1988** — ს.ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე, კულტურულ-ისტორიული ნარკვევი, — შრომები, VI თბ., 1988.
- Акты, 1881** — Акты собранные Кавказской археографической комиссией, т. VIII, Тифлис, 1881.
- З.В.Анчабадзе, 1959** — З.В.Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.), Сухуми, 1959.
- Г.А.Дзидзария, 1982** — Г.А.Дзидзария, Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия, Сухуми, 1982.
- История СССР, 1967** — История СССР с древнейших времен до наших дней, т. IV, М., 1967.
- „Кавказ“, 1866** — „Кавказ“, 1866, №76.
- В. О. Ключевский, 1956** — В. О. Ключевский, Сочинения, т. I, М., 1956.
- К.В. Ломтатидзе, 1967** — К.В. Ломтатидзе, Абхазский язык. Языки народов СССР, 4, М., 1967.
- Ш.Б.Ногмов, 1970** — Ш.Б.Ногмов, История адыгейского народа, Нальчик, 1970.
- П.И.Пестель, 1906** — П.И.Пестель, Русская правда, СПб., 1906.
- Первая, 1905** — Первая всеобщая перепись населения Российской империи, 1897г. СПб., 1905.
- Сборник, 1869** — Сборник статистических сведений о Кавказе, т. I, Тифлис, 1869.
- Свод, 1893** — Свод статистических данных о населении Закавказского края, Тифлис, 1893.
- Р.Фадеев, 1865** — Р.Фадеев, Письма с Кавказа, СПб., 1865.

აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსი 1917-1937 წლებში

1917 წ. თებერვლის დემოკრატიული რევოლუციის შედეგად ვითარება შეიცვალა მთელს რუსეთის იმპერიაში, შესაბამისად, ცვლილებები განხორციელდა სამხრეთ კავკასიაშიც. აქ შეიქმნა რუსეთის დროებითი მთავრობის ადგილობრივი ორგანო ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, სოხუმის ოლქი (აფხაზეთი), როგორც ადმინისტრაციული ერთეული, რჩებოდა ამიერკავკასიის შემადგენლობაში და მას 1917 წ. 10 მარტს რეგიონის მოსახლეობის წარმომადგენელთა თათბირზე ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი უსაფრთხოების დროებითი საოლქო კომიტეტი (თავ-რე ალ. შარვაშიძე) მართავდა. 1917 წ. 2 ივლისს სოხუმის საოლქო სათათბიროს არჩევნები გაიმართა. 30 მანდატიდან 18 სოციალ-დემოკრატებს ერგოთ. არჩევნების შედეგების გათვალისწინებით, ჯერ მოხდა საოლქო კომიტეტის რეორგანიზაცია, ხოლო 1917 წ. 12 ოქტომბერს გაიმართა აღმასრულებელი ხელისუფლების — საოლქო კომიტეტის არჩევნები. კომიტეტის თავმჯდომარე ვ. შარვაშიძე გახდა (ნარკვევები..., 2007: 285).

აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის დიდი ნაწილისაგან განსხვავებით, საკუთრივ აფხაზეთა პოლიტიკური ლიდერების უმრავლესობა თანაუგრძნობდა ჩრდილო კავკასიელ მთიელთა გამაერთიანებელ მოძრაობას. 1917 წ. მაისში შეიქმნა გაერთიანებულ მთიელთა კავშირი და მისი მთავრობა — ცენტრალური კომიტეტი. იმავე წლის 20 ოქტომბერს მთიელთა კავშირმა კაზაკთა რადასთან ერთად ჩამოაყალიბა სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირი, რომლის შემადგენლობაში დასახელებულია სოხუმის ოლქის მთიელი ხალხი (აფხაზები) (Дж. Гамахария, Б. Гогия, 1997: 389).

აფხაზეთში მივლინებული მთიელთა კავშირის წარმომადგენლის ა. შერიპოვის რჩევითა და ძალისხმევით 1917 წლის 7-8 ნოემბერს სოხუმში გაიმართა აფხაზი ხალხის ყრილობა. მის მიერ მიღებულ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ „აფხაზი ხალხი შედის ჩრდილოეთ კავკასიის, დაღესტნისა და აფხაზეთის გაერთიანებულ მთიელთა კავშირში“ (აფხაზეთისა..., 2004: 11). ყრილობამ აირჩია აფხაზეთა სახალხო საბჭო და დაამტკიცა მისი კონსტიტუცია. სახალხო საბჭო წარმოადგენდა აფხაზი ხალხის (და არა აფხაზეთის) ნების გამომხატველ ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანოს. მან მიავლინა საკუთარი წარმომადგენელი ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა კავშირის მთავრობაში. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მთიელებთან აფხაზი ხალხის სახელით პოლიტიკური კავშირის დამყარება სულაც არ ნიშნავდა აფხაზეთის გაერთიანებას ჩრდილოეთ კავკასიის შემადგენლობაში. ადმინისტრაციულად სოხუმის ოლქი კვლავაც ამიერკავკასიის ნაწილად რჩებოდა, ამიტომაც აფხაზეთის სახალხო საბჭოს კონსტიტუცია აღიარებდა ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურების კომპეტენციას და მოითხოვდა, რომ ამ სტრუქტურების საქმიანობა წარმოებულყო „სახალხო საბჭოსთან კონტაქტში ნაყოფიერი შედეგების

მიღწევის ინტერესებისათვის“ (აფხაზეთისა..., 2004: 9).

აფხაზეთზე პრეტენზიას არც მთიელთა კავშირი და მისი მთავრობა აცხადებდნენ, რაც კარგად ჩანს ამ მთავრობის 1917 წ. 4 დეკემბრის №1 დეკრეტიდან, რომელშიც ნათქვამია: ზაქათალისა და სოხუმის ოლქების მიმართ მთიელთა დროებით მთავრობას ძალაუფლება აქვს ეროვნული და პოლიტიკური ხასიათის საკითხებში, ხოლო მთიელთა მთავრობის სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ახლავე და მთლიანად გავრცელება ამ ოლქებზე გადასაწყვეტად მიენდოს ზაქათალისა და სოხუმის ოლქების სახალხო საბჭოებს (Дж. Гамахария, Б. Гогия, 1997: 397).

არც 1917 წელს და არც მომდევნო წლებში აფხაზთა სახალხო საბჭოს, როგორც რეგიონის რეალურ ხელისუფლებას, არ მიუღია გადაწყვეტილება აფხაზეთზე მთიელთა ძალაუფლების გავრცელების შესახებ.

1917 წლის 7 ნოემბერს პეტერბურგში განხორციელებულ ბოლშევიკურ სახელმწიფო გადატრიალებას ამიერკავკასიაში სახელისუფლებო სტრუქტურების რეორგანიზაცია მოჰყვა. 1917 წლის 11 ნოემბერს ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი დროებითმა მთავრობამ — კომისარიატმა შეცვალა. ახალ მთავრობას სათავეში ე.გეგეჭკორი ჩაუდგა. ბოლშევიკების მიერ 1918 წ. 18 იანვარს დამფუძნებელი კრების ძალით გარეკვის შემდეგ ამიერკავკასიის კომისარიატმა კურსი დამოუკიდებლობისაკენ აიღო. 1918 წლის 10 თებერვალს რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრებმა ამიერკავკასიიდან ჩამოაყალიბეს ამიერკავკასიის სეიმი (პარლამენტი), რომელმაც იმავე წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობა გამოაცხადა და შექმნა მთავრობა აკ. ჩხენკელის თავმჯდომარეობით. აფხაზეთი ამჯერადაც ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენდა.

ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი მოწყობის პარალელურად მიმდინარეობდა მასში შემაჯავლი ხალხების, მათ შორის ქართველების, აფხაზების და სხვათა თვითგამორკვევის პროცესი. 1918 წლის 9 თებერვალს ამ პროცესის ფარგლებში თბილისში გაიმართა საქართველოს ეროვნულ საბჭოსა (არჩეულ იქნა I ეროვნულ ყრილობაზე 1917 წლის 19-23 ნოემბერს) და აფხაზთა სახალხო საბჭოს წარმომადგენელთა შეხვედრა, რომელმაც, განიხილა რა საკითხი „საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობათა დამყარების შესახებ“, შეიმუშავა შემდეგი შეთანხმება:

1. „აღდგეს ერთიანი განუყოფელი აფხაზეთი საზღვრებში მდინარე ენგურისგან მზიმთამდე, რომლის შემადგენლობაში შევა საკუთრივ აფხაზეთი და სამურზაყანო — ამჟამინდელი სოხუმის ოლქი“ (Дж. Гамахария, Б. Гогия, 1997: 402).

აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური მოწყობის ფორმა დემოკრატიულ საწყისებზე არჩეულ აფხაზეთის დამფუძნებელ კრებას უნდა გადაეწყვიტა. აფხაზეთის აღდგენა შეთანხმებაში მითითებულ ფარგლებში მოხდებოდა მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი საქართველოს შემადგენლობაში შემოვიდოდა, წანააღმდეგ შემთხვევაში, სამურზაყანოს წარმომადგენელთა განცხადებით, „სამურზაყანო, როგორც აფხაზეთის ნაწილი, აფხაზებს არ გაჰყვება, თუ საქართველოსთან არ იქონიებს ზნეობრივ-პოლიტიკურ კავშირს“ (აფხაზეთისა..., 2004: 14).

რუსეთის შემადგენლობაში აფხაზეთის ცალკე ერთეულად შესვლის

შემთხვევაში ასევე შეუძლებელი იქნებოდა სოხუმის ოლქისაგან 1904 წ. 25 დეკემბერს ჩამოჭრილი გაგრის ზონის კვლავ აფხაზეთის ფარგლებში დაბრუნების თაობაზე ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის 1917 წ. 30 ოქტომბრისა და ამიერკავკასიის კომისარიატის 1917 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებათა შესრულება (აფხაზეთისა..., 2004: 7-8, 13).

1918 წლის 9 თებერვლის შეთანხმება წარმოადგენდა ერთ ნაბიჯს აფხაზეთის საქართველოსთან გაერთიანებისკენ. მორიგი ასეთი ნაბიჯი გადადგა სოხუმის ოლქის გლეხთა II ყრილობამ (1918 წლის 4-9 მარტი), რომელმაც გადაწყვიტა, რომ აფხაზეთი შევიდეს ამიერკავკასიელი ერების საერთო ოჯახში, როგორც მისი თანასწორუფლებიანი წევრი და თავისი მომავალი დემოკრატიულ საქართველოს დაუკავშიროს (Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия..., 1997: 409).

რუსეთში ხელისუფლების სათავეში მოსულ ბოლშევიკებს ხელს არ აძლევდათ აფხაზეთში პოლიტიკური პროცესების მშვიდობიანი წარმართვა, ამიტომ 1918 წლის ზამთარსა და გაზაფხულზე ორჯერ სცადეს რეგიონის ხელში ჩაგდება და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, მაგრამ უშედეგოდ. ამიერკავკასიის სეიმისა და მთავრობის გადაწყვეტილებით ქართულმა ეროვნულმა გვარდიამ 1918 წლის 17 მაისს და მომდევნო დღეებში აფხაზეთი გაათავისუფლა ბოლშევიკური ოკუპაციისაგან, აღადგინა დამპყრობლების მიერ ძალით დაშლილი აფხაზთა სახალხო საბჭო. ამ უკანასკნელმა 1918 წლის 20 მაისს მიიღო რეზოლუცია, „რომლის მიხედვით კატეგორიულად მტკიცდება აფხაზთა სახალხო საბჭოს და საოლქო გლეხთა საბჭოს (4-10 მარტი) გადაწყვეტილება, რომ აფხაზეთი შედის ამიერკავკასიის ხალხთა საზოგადო ოჯახში, როგორც მისი თანასწორი წევრი, რაც დაუყოვნებლივ ეუწყება ბათუმის საზავო კონფერენციას“ (საქართველო, 1918, 23). ასეთი რეზოლუციის მიღების აუცილებლობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ 1918 11 მაისს ქ. ბათუმში გამოცხადდა მთიელთა კავშირის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა; ამიერკავკასიისთან და თურქეთთან ერთად იგი მონაწილეობდა ბათუმის საზავო კონფერენციის მუშაობაში. ბათუმში თვითნებურად ჩასული რამდენიმე აფხაზი მოღვაწე (ალ. შერვაშიძე და სხვ.) ამ მთიელთა რესპუბლიკასთან აფხაზეთის მიერთებას ითხოვდა. საჭირო იყო კონფერენციისათვის არა კერძო პირების, არამედ აფხაზეთის ნამდვილი ნების გაცნობა. „საკუთარი დელეგატების პირით“ სწორედ ეს ნება გამოხატა სახალხო საბჭომ 1918 წლის 20 მაისს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, სეპარატისტული ისტორიოგრაფია ამტკიცებს, რომ მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე — 1918 წ. 11 მაისი თითქოს არის „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენის“ დღეც იმ მოტივით, რომ აფხაზეთი ვითომ შედიოდა იმ რესპუბლიკის შემადგენლობაში (О. Бгажба, С. Лакоба, 2006: 297-298). ჯერ ერთი, მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის მეორე პუნქტში, რომელიც ახლადდაფუძნებული სახელმწიფოს საზღვრებს ეხება, აფხაზეთი არც მოხსენიებულია და არც ნაგულისხმევი. მასში ნათქვამია მხოლოდ, რომ სამხრეთით რესპუბლიკის საზღვრების „დეტალები განისაზღვრება შეთანხმებით ამიერკავკასიის მთავრობასთან“ (აფხაზეთისა...,

2004: 15). არავითარი შეთანხმება მთიელთა რესპუბლიკისა და ამიერკავკასიის მთავრობებს შორის 11 მაისისთვის არსებული საზღვრების გადასინჯვის შესახებ არ მომხდარა. მეორე, გაუგებარია, 1918 წლის 11 მაისს როგორ აღიდგინა სახელმწიფოებრიობა ჯერ კიდევ ბოლშევიკური ოკუპაციის ქვეშ მყოფმა აფხაზეთმა? ცხადია, ეს ყველაფერი რუსეთისგან მართულ სეპარატისტთა შეთხზული მორიგი ტყუილია.

1918 წლის მაისში საერთაშორისო საკითხებზე არსებულ შიდაუთანხმოებათა გამწვავების გამო ამიერკავკასიის სახელმწიფო დაიშალა. იმავე წლის 26 მაისს ქართულმა საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომლის მთავარი გარანტი გერმანია გახდა. გერმანიის წარმომადგენელი ფონ-ლოსოვი 1918 წლის 28 მაისს საიდუმლო წერილში საქართველოს მთავრობისადმი აღნიშნავდა, რომ სოხუმის ოლქი გაგრის ჩათვლით შეადგენს საქართველოს ნაწილს მანამდე, სანამ კავკასიის ფარგლებში საქართველო იქნება დამოუკიდებელი სახელმწიფო. საქართველოს მონაწილეობით კავკასიელი ხალხების კონფედერაციის შექმნის შემთხვევაში, ფონ-ლოსოვის აზრით, სოხუმის ოლქის მოსახლეობას უნდა მისცემოდა ამ კონფედერაციის ფარგლებში საკუთარი მდგომარეობის განსაზღვრის შესაძლებლობა (A. Ментешавили, 1998: 17-18).

1918 წლის 11 ივნისს საქართველოს მთავრობისა და აფხაზთა სახალხო საბჭოს წარმომადგენლებმა გააფორმეს ხელშეკრულება, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის წიაღში აფხაზეთის დაბრუნების საფუძველი გახდა. ხელშეკრულება ითვალისწინებდა აფხაზთა სახალხო საბჭოს წარდგინებით საქართველოს მთავრობაში აფხაზეთის საქმეთა მინისტრის მიწვევას, რეგიონის შინაგანი მართვა-გამგეობის სახალხო საბჭოსთვის გადაცემას, საქართველოს მთავრობის მიერ აფხაზეთისათვის სახსრების გამოყოფას, სახალხო საბჭოს განკარგულებაში წითელი გვარდიის რაზმების გაზავნას, აფხაზეთში სოციალური რეფორმების საქართველოს კანონების საფუძველზე, მაგრამ ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, გატარებას; ხელშეკრულების მიხედვით, ახლო მომავალში დემოკრატიულ საწყისებზე უნდა მოწვეულიყო აფხაზეთის მოსახლეობის ყრილობა „აფხაზეთის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხების საბოლოოდ გადაწყვეტისათვის“ (Дж. Гамахрия, Б. Гогия, 1997: 414).

1918 წლის 11 ივნისის ხელშეკრულების საფუძველზე აფხაზეთი დე-ფაქტო საქართველოს ავტონომიური ერთეული გახდა. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს მთავრობაში აფხაზეთის საქმეთა მინისტრად დანიშნული რ. ჩქოტუა 1918 წლის 20 სექტემბერს აფხაზთა სახალხო საბჭოს თავმჯდომარეს ვ. შარვაშიძეს წერდა: თუ აფხაზმა ხალხმა თავისი ბედი ავტონომიურ საწყისებზე ქართველ ხალხს დაუკავშირა, მაშინ საქართველოს მთავრობასთან ურთიერთობისათვის აუცილებელია უფრო ნათელი და არაორაზროვანი პირობების შექმნა. იმავე დღეს რ. ჩქოტუამ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ყორდანიას წარუდგინა განცხადება, რომელშიც წერდა, რომ მიუხედავად გაფორმებული ხელშეკრულებისა (1918 წლის 11 ივნისი), ცალკეული სახელმწიფო „დაწესებულებები და თანამდებობის პირები აფხაზეთს უყურებენ არა

როგორც ავტონომიურად შემავალს საქართველოს რესპუბლიკაში, არამედ როგორც ამ უკანასკნელის პროვინციას“ (Дж. Гамахрия, Б. Гогия, 1997: 753). იმ პერიოდის ბევრ სხვა ოფიციალურ თუ არაოფიციალურ დოკუმენტში აფხაზეთი საქართველოს ავტონომიის სტატუსით მოიხსენიება, რაც რეალურად შეესაბამება 1918 წლის 11 ივნისის ხელშეკრულების შედეგად მხარეებს შორის ფაქტობრივად ჩამოყალიბებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

რუსი შოვინისტები და გარედან მართული სეპარატისტები ძლიერ შეაფოთა აფხაზეთში მშვიდობისა და თანხმობის დამყარებამ. 1918 წლის ივნისში სოჭის მხრიდან აფხაზეთში რუსული ბოლშევიკური რაზმები კიდევ ერთხელ შემოიჭრნენ. აფხაზეთა სახალხო საბჭოს თხოვნითა და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით გენერალ გ. მაზნიაშვილის მეთაურობით სოხუმში გადასროლილმა სამხედრო რაზმმა არა მარტო აფხაზეთი გაათავისუფლა, არამედ 1918 წლის 26 ივლისს ქ.ტუაფსე დაიკავა, თუმცა, შემდეგ აგვისტოსათვის სოჭამდე დაიხია.

სეპარატისტულად განწყობილმა ჯგუფებმა მათთვის ხელსაყრელი ვითარება გამოიყენეს და 1918 წლის 27 ივნისს ანუ იმ დღეს, როცა გ. მაზნიაშვილის რაზმები შეტევაზე გადავიდნენ, აფხაზეთში თურქული დესანტი (თურქეთის არმიის მომსახურე აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლები) შემოიყვანეს. ქართულმა ჯარებმა და ბოლშევიკურ სასაკლავოს გამოქცეულმა რუსმა კახაკებმა დესანტი გაანადგურეს. დაკარგეს რა წარმატების ყოველგვარი იმედი, სეპარატისტებმა ატეხეს განგაში გენ. გ. მაზნიაშვილის მიერ აფხაზეთის „ოკუპაციის“ თაობაზე. თეზისი ოკუპაციის შესახებ თანამედროვე სეპარატისტულმა ისტორიოგრაფიამაც აიტაცა (О. Бгажба, С. Лакоба, 2006: 307-308). იგი ბოლშევიკური წარმოშობისაა. ჯერ კიდევ 1918 წ. მაისში, როცა ქართული გვარდია აფხაზეთიდან ერეკებოდა ბოლშევიკებს, ამ უკანასკნელებმა მიმართეს „ცილისწამებას“ ვითომც ქართველობა აფხაზეთის დასაპყრობად მოდიოდა (საქართველო, 1918, 1).

სეპარატისტები „ოკუპაციაში“ გულისხმობდნენ და გულისხმობენ გ.მაზნიაშვილის გენერალ-გუბერნატორად დანიშვნას, მის მიერ ვითომ მთელი ძალაუფლების მითვისებას. მართალია, გენერალს ჰქონდა გადაცდომები, რისთვისაც სახალხო საბჭომ მას მკაცრად მიუთითა, მაგრამ არ არსებობს ერთი ფაქტიც კი, რომელიც გ. მაზნიაშვილის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მითვისებას დაადასტურებდა. მიუხედავად გადაცდომებისა გენერლის მხრიდან, აფხაზეთა სახალხო საბჭო მხარს უჭერდა გ.მაზნიაშვილის შტაბს და კატეგორიულად არ ეთანხმებოდა სეპარატისტთა თუ ბოლშევიკთა მხარდამჭერი ელემენტების მოთხოვნებს ქართული ჯარების აფხაზეთიდან გაყვანის შესახებ. ასე, მაგალითად, 1918 წლის 17 ივლისს სახალხო საბჭომ განიხილა გ.მაზნიაშვილის შტაბისადმი ნდობის საკითხი და თითქმის ერთხმად (მხოლოდ ორმა თავი შეიკავა) გადაწყვიტა: „ხელახლა დადასტურდეს არაერთი ჩვენი გადაწყვეტილება და ითქვას საქართველოს (სამხედრო) ნაწილების აქ ყოფნის აუცილებლობის შესახებ“ (ჯ. გამახარია, 1991: 62).

საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა ის. რამიშვილმა 1918 წლის 18 ივლისს აფხაზეთიდან ქართული ჯარების გაყვანის საკითხი სახალხო

საბჭოში დასვა, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული პროვოკაციები ანტიდემოკრატიული ძალების (სეპარატისტების, ბოლშევიკების, თურქოფილების) მხრიდან. “უმჯობესია დროულად გაეყვანოთ ჯარები, ვიდრე ველოდოთ სისხლისღვრას, — განაცხადა მან” (ჯ. გამახარია, 1991: 62-63). ის. რამიშვილს სახალხო საბჭოს არც ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა. დისკუსია ამ საკითხზე გაგრძელდა 19-20 ივლისის სხდომაზეც, სადაც დ. მარშანიამ ასეთი განცხადება გააკეთა: „მოღალატური ნაბიჯები ჩვენი მხრიდან არ შეიძლება იყოს, ვინაიდან ქართული ნაწილები მოწვეულია მძიმე წუთებში ჩვენთვის დახმარების გასაწევად და საერთოდ ქართველებთან ჩვენ ყოველთვის მეგობრულად ვცხოვრობდით. არიან ადამიანები, რომელთაც სურთ წაგვკიდონ ქართველებთან, მაგრამ ჩვენ ეს არ გვინდა“ (ჯ. გამახარია, 1991: 65). ასეთი იყო საქმის რეალური ვითარება — „ოკუპანტებს“ სურდათ აფხაზეთიდან გასვლა, „ოკუპირებულები“ კი გადაწყვეტილებას გადაწყვეტილებაზე იღებდნენ ქართული ჯარების აფხაზეთში დასატოვებლად. აფხაზთა სახალხო საბჭო, რომელსაც ვითომ პოლიტიკური ძალაუფლება ჩამოართვა გ.მაზნიაშვილმა, მიუხედავად მცირე გაუგებრობებისა, მხარს უჭერდა ქართული ჯარების აფხაზეთში ყოფნას, ვინაიდან ისინი წარმოადგენდნენ მშვიდობის, სტაბილურობის, რეგიონის მთლიანობისა და ავტონომიურობის მთავარ გარანტს. ამიტომაც ს. ჩერვონნიამ „ოკუპაცია-ანექსიის“ სეპარატისტულ-შოვინისტურ თეორიას საკვებით მართებულად უაზრო და უცნაური უწოდა (С. Червонная, 1993: 39).

1918 წლის ივლის-აგვისტოში ბოლშევიკური და სეპარატისტული ძალების ავანტიურის აღკვეთამ შექმნა წინაპირობები აფხაზეთში ადგილობრივი ხელისუფლების განმტკიცებისათვის. ამ მიმართულებით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა აფხაზთა სახალხო საბჭოს შემადგენლობაში ეროვნული ნიშნით შექმნილი და აფხაზეთში მოქმედი სხვა საბჭოების (ქართველთა, ბერძენთა, სომეხთა, რუსთა, ესტონელთა და ა.შ.) წარმომადგენლების შეყვანა, ამით მისი ლეგიტიმურობის ხარისხისა და გავლენის გაზრდა. სახალხო საბჭოს რეორგანიზაცია, რომელიც 1918 წლის 15 აგვისტოსათვის დასრულდა, სეპარატისტებმა აფხაზთა სახალხო საბჭოს გარეკვად შერაცხეს. ამ სიცრუეს დღემდე იმეორებს აფხაზური ისტორიოგრაფია (О. Бгажба, С. Лакоба, 2006: 314).

1918 წლის აგვისტოდან სეპარატისტებმა გეზი სოჭთან მომდგარ ანტიბოლშევიკურ სამხედრო ძალაზე - თეთრგვარდიელებზე (მ.ალექსეევი, ა. დენიკინი) აიღეს. სწორედ მათი წაქეზებითა და მხარდაჭერით 1918 წლის 9 ოქტომბერს სეპარატისტებმა სოხუმში სცადეს პოლიტიკური გადატრიალების მოწყობა, ძალის გამოყენებით სახალხო საბჭოს ხელმძღვანელობის გადაყენება. მცდელობა ჩაიშალა. სახალხო საბჭოს თავმჯდომარის ვ.შარვაშიძისა და საბჭოს სხვა წევრების თხოვნით, საქართველოს მთავრობამ 1918 წლის 10 ოქტომბერს სახალხო საბჭო დაითხოვა, დანიშნა არჩევნები, შეთქმულები კი დააპატიმრა. ახალი სახალხო საბჭოს დემოკრატიული წესით არჩევნებამდე მთელი ძალაუფლება სოხუმის ოლქის კომისრად დანიშნული ბ.ჩხიკვიშვილის (სოხუმის ყოფილი ქალაქის თავი) ხელში გადავიდა (ნარკვევები..., 2007: 296-297).

1918 წლის 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა აფხაზეთის საარჩევნო დებულება, რომელიც მოამზადა საარჩევნო კომისიამ ვ. შარვაშიძის თავმჯდომარეობით. პირველად აფხაზეთის ისტორიაში ტარდებოდა „საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი“ არჩევნები „ფარული კენჭისყრით პროპორციული წარმომადგენლობის საწყისებზე“. არჩევნებში მონაწილეობის უფლებით სარგებლობდნენ პირები, რომლებმაც აფხაზეთში ბინადრობის უფლება 1914 წლის 19 ივლისამდე (პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე) მოიპოვეს; სახალხო საბჭოში არჩევის უფლება აფხაზეთში არმოსახლე საქართველოს ქვეშევრდომებსაც ეძლეოდათ (Дж. Гамахария, Б. Гогия, 1997: 426).

წინასაარჩევნო კამპანია დროში დაემთხვა სოჭსა და გაგრაში შემოჭრილი რუსი თეთრგვარდიელების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის პერიოდს, როცა მტერმა მდ. ბზიფზე გამაგრება მოახერხა. მიუხედავად ამისა, 1919 წლის 13 თებერვალს სახალხო საბჭოს არჩევნებმა ორგანიზებულად ჩაიარა. არჩევნების დემოკრატიულობაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მასში მონაწილეობა მიიღეს ვადაზე ადრე გათავისუფლებულმა სოხუმში 9 ოქტომბრის ავანტიურის მოთავეებმაც კი. აფხაზეთა სახალხო საბჭოში 40 დეპუტატი აირჩიეს, რომელთა შორის იყო 27 სოციალ-დემოკრატი, 4 - დამოუკიდებელი სოციალისტი, 3 - ესერი, 3 - მემარჯვენე, თითო დეპუტატი გაიყვანეს სოციალისტ-ფედერალისტებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა და კოლონისტებმა. ერთდროულად ჩატარდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებიც (1919 წლის 14-16 თებერვალი). გამარჯვებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით აფხაზეთიდან ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრები გახდნენ: დ. ემუხვარი, ვ. შარვაშიძე, ვ. ლურჯუა, დ. ზახაროვი და ი. ფაშალიძე (ნარკვევები..., 2007: 299).

ახლადარჩეული აფხაზეთა სახალხო საბჭოს პირველი სხდომა 1919 წლის 18 მარტს გაიმართა, სადაც აირჩიეს თავმჯდომარე (დ. ემუხვარი), მოადგილე (მ. ბერულავა) და პირველი მდივანი (ვ. კოროლიოვი). 20 მარტს შედგა მორიგი სხდომა. მან მიიღო ისტორიული დოკუმენტი „აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“, რომლის პირველ პუნქტში ნათქვამია: აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული, რის შესახებაც ეცნობოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მის დამფუძნებელ კრებას“ (Дж. Гамахария, Б. Гогия, 1997: 433-434, 772-774). ამ დოკუმენტის მიღებით მოხდა რეგიონის თვითგამორკვევა. მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ნებით, საქართველოს ეს უძველესი მხარე, გარეშე მტრული ძალების მხრიდან მისი მიტაცების არაერთგზისი მცდელობის მიუხედავად, კვლავ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდა.

1919 წლის 8-10 აპრილის, 13 და 20 მაისის სხდომებზე სახალხო საბჭოში მიიღო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები მართვის ორგანოების, პირველ რიგში კომისარიატის (მთავრობის) შექმნის შესახებ, რომლის თავმჯდომარე გახდა დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი, სოხუმის ოლქს დაუბრუნდა ნამდვილი სახელი - აფხაზეთი, უბნებს ეწოდათ მაზრები, აფხაზეთა სახალხო საბჭოს - აფხაზეთის სახალხო საბჭო. 1919 წლის 20 მაისიდან ამ უკანასკნელს სათავეში კვლავ ვ. შარვაშიძე ჩაუდგა.

1919-1920 წლები იყო აფხაზეთის ავტონომიის ცხოვრებაში გატარების, სახელისუფლებო სტრუქტურების განმტკიცების, გაგრიდან თეთრგვარდიელთა განდევნის (1919 წლის აპრილი), ბოლშევიკთა ძირგამომთრეელი საქმიანობის აღკვეთის, საქართველოს საზღვრების საერთაშორისო არენაზე აღიარების, კონსტიტუციის პროექტის შემუშავების საკმაოდ რთული პერიოდი.

ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კერზონის ინიციატივით მოკავშირე ქვეყნების (ანტანტის) უმაღლესი საბჭოს მიერ 1920 წლის 12 იანვარს საქართველოს დე-ფაქტო აღიარებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა რუსეთის მიერ 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. ორ ქვეყანას შორის მოსკოვში ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად, რუსეთმა საქართველოს უდავო ტერიტორიებად ცნო ყოფილი იმპერიის შემადგენლობაში შემავალი სოხუმის ოლქი და გაგრის ზონა, რომელიც 1904-1917 წლებში სოჭის გუბერნიაში შედიოდა. „საქართველოსა და რუსეთს შორის სახელმწიფო საზღვარი გადის შავი ზღვიდან მდინარე ფსოუს გაყოლებაზე ახახჩას მთამდე...“, - ნათქვამია ხელშეკრულებაში (Дж. Гамахария, Б. Гогия, 1997: 458-459). რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება წარმოადგენდა სამართლებრივ გარანტიას ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება-განმტკიცებისათვის, თუმცა სულ მალე ნათელი გახდა, რომ საბჭოთა რუსეთს სრულიად საპირისპირო მიზნები ამოძრავებდა.

ყველაზე დიდ უთანხმოებას სახალხო საბჭოში და აფხაზეთის საზოგადოებაში იწვევდა კონსტიტუციის მიღების საკითხი. საკონსტიტუციო კომისია 1919 წლის 30 მარტიდან მუშაობდა, 23 მაისს იგი ორ ქვეკომისიად გაიყო და, შესაბამისად, ორი პროექტი მომზადდა. შემრიგებლური მესამე პროექტი შეადგინა აფხაზეთის კომისარიატის იურიდიულმა განყოფილებამ, რომელსაც გ. სიღამონ-ერისთავი ხელმძღვანელობდა. მათ შორის ვერც ერთმა ვერ მიიღო სახალხო საბჭოში ხმების აუცილებელი რაოდენობა, მაგრამ ყველაზე მეტი მოწონება (20 ხმა) შემრიგებლურმა პროექტმა დაიმსახურა. 1919 წლის 15 ნოემბერს აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი მ. უბირია სახალხო საბჭოს მოახსენებდა, რომ კონსტიტუციაზე მუშაობისას თავიდანვე წარმოქმნილ ორ მიმდინარეობას ერთმანეთისგან განასხვავებდა ისტორიული მომენტისადმი, რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკური ამოცანებისადმი სხვადასხვა მიდგომები. ერთ მიმდინარეობას, მომენტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიაჩნდა აფხაზეთის რაც შეიძლება მალე საქართველოსთან შეერთება, რაც მისი უსაფრთხოების, მომავალში კი მხარის ეკონომიკურ-კულტურული განვითარების საწინდარი იქნებოდა. მეორე მიმდინარეობაც სცნობდა აფხაზეთის საქართველოსთან შეერთების აუცილებლობას, მაგრამ ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით მას უფრო მართებულად მიაჩნდა რესპუბლიკასთან რაც შეიძლება სუსტი კავშირის დამყარება, მეტი დამოუკიდებლობის მოპოვება, რაც ვითარების შეცვლის შემთხვევაში სხვა გადაწყვეტილების მიღების საშუალებას მისცემდა. სეპარატისტთა ერთი ნაწილი („ინტერნაციონალისტების“

ფრაქცია) არც მალავდა, რომ მომავალში იგი მხარს დაუჭერდა საქართველოსა და აფხაზეთის რუსეთთან მიერთებას ისე, რომ წინასწარ არ აყენებდა პირობებს რუსეთის შეიგნით მათი პოლიტიკური მოწყობის შესახებ. ამიტომ ბრძოლა კონსტიტუციის გარშემო რეალურად ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაციის მიზანს უფრო ემსახურებოდა, ვიდრე ნამდვილი თვითმმართველობის მოპოვებისათვის ზრუნვას. სახალხო საბჭოს წევრის მ.თარნავას თქმით, ავტონომიისა და კონსტიტუციის საკითხებზე საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებებში მონაწილეობა მიზნად ისახავდა მხოლოდ შეთანხმების ჩაშლას და მთავრობის კრიტიკას (ნარკვევები..., 2007: 306).

მიუხედავად სეპარატისტთა დესტრუქციული მიზნებისა, კონსტიტუციაზე მუშაობა არ შეწყვეტილა. 1919 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, როცა აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაცია თბილისში იმყოფებოდა, დამფუძნებელი კრების სუთკაციან კომისიასთან ერთად მოხერხდა რესპუბლიკასა და ავტონომიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების პროექტის („აფხაზეთის მართვა-გამგეობის ძირითადი დებულებების შესახებ“) მომზადება, რომელშიც აისახა ცენტრსა და რეგიონს შორის რეალურად ჩამოყალიბებული ურთიერთობები (Дж. Гамахория, Б. Гогия, 1997: 451-452). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოკუმენტი არ იყო დამტკიცებული, იგი ფაქტობრივად არეგულირებდა სამართლებრივ ურთიერთობებს თბილისსა და სოხუმს შორის. დოკუმენტის მიხედვით, აფხაზეთი აღიარებული იყო საქართველოს ავტონომიურ ნაწილად, რომელსაც ჰყავდა თავისი საკანონმდებლო (სახალხო საბჭო) და აღმასრულებელი (კომისარიატი) ორგანოები. სახალხო საბჭო უფლებამოსილი იყო დამოუკიდებლად გამოეცა კანონები ყველა საკითხზე, გარდა ისეთი სფეროებისა, როგორცაა საგარეო პოლიტიკა, ჯარები (თავდაცვა), ნავსადგურების მართვა, საფინანსო, ფულადი, საგადასახადო და საბაჟო სისტემები, საერთო სასამართლოები და სენატი (უმაღლესი სასამართლო), სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საერთოეროვნული კანონმდებლობა, ფოსტა, ტელეგრაფი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა და გზატკეცილები.

ხანგრძლივი მუშაობისა და თბილისთან კონსულტაციების (1920 წ. ზაფხული) შედეგად სახალხო საბჭომ 1920 წლის 16 ოქტომბერს მოახერხა კონსტიტუციის საკუთარი პროექტის დამტკიცება, რომელსაც საფუძვლად დაედო ზემოთხსენებული პროექტი „აფხაზეთის მართვა-გამგეობის ძირითადი დებულების შესახებ“. იმავე წლის 4 ნოემბერს კონსტიტუციური საკითხების განსახილველად თბილისში ჩამოვიდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაცია. მიუხედავად იმისა, რომ არც დამფუძნებელ კრებას, არც მთავრობას ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი, ცენტრი მაინც არ ჩქარობდა რეგიონის კონსტიტუციის მიღებას რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებამდე. ხელშემშლელ ფაქტორად იქცა აგრეთვე ის გარემოება, რომ დამფუძნებელი კრება არ დაეთანხმა კრებისა და სახალხო საბჭოს პარიტეტული საკონსტიტუციო კომისიის შექმნას, როგორც ამას 1919 წლის 20 მარტის აქტი და დელეგაციის მანდატი ითვალისწინებდნენ. შექმნილი ვითარებით უკმაყოფილო აფხაზეთის დელეგაცია სოხუმში

დაბრუნდა ნ.ჟორდანიას დაპირებით, რომ აფხაზეთს სამართლებრივად ავტონომია მიეცემოდა საერთო კონსტიტუციის მიღების შემდეგ; თუ ქვეყნის ძირითადი კანონის მიღება გაჭიანურდებოდა, მაშინ გამოიცემოდა დროებითი კანონი აფხაზეთის მართვა-გამგეობის შესახებ, რომელიც შემდგომში ქვეყნის კონსტიტუციის ცალკე თავი გახდებოდა. ავტონომიური აფხაზეთის მართვა-გამგეობის დებულების პროექტი დამფუძნებელი კრების მცირე საკონსტიტუციო კომისიამ 1920 წლის 21 დეკემბერს დაამტკიცა. მას საფუძვლად დაედო აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ 1920 წლის 16 ოქტომბერს მიღებული კონსტიტუციის პროექტი.

1921 წლის 21 თებერვალს, როცა მიმდინარეობდა საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ, დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა საქართველოს კონსტიტუცია, რომლის 107-ე მუხლით „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს აფხაზეთს (სოხუმის ოლქი)“, აჭარასა და ზაქათალას ენიჭებოდათ „ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა“. 108-ე მუხლი ითვალისწინებდა ავტონომიურ მმართველობათა დებულებების ცალკე კანონით მიღებას (აფხაზეთისა..., 2004: 64). „აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის დებულება“ დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად მიიღო. მასში დაფიქსირდა, რომ აფხაზეთი საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია და საკუთარ ტერიტორიაზე „ავტონომიურად უძღვება თავის შინაურ საქმეებს“. ავტონომიური აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანო - სახალხო საბჭო ირჩეოდა ორი წლით, „საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით“. ავტონომიური მმართველობის სრულ გამგებლობას განეკუთვნებოდა ისეთი საკითხები, როგორიცაა ადგილობრივი ფინანსები, სახალხო განათლება, კულტურული მშენებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობა, სამომრიგებლო სასამართლო, პირადი და საზოგადოებრივი უსაფრთხოება, წესრიგის დაცვა, ადმინისტრაცია, ჯანდაცვა, მედიცინა, ვეტერინარია, ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ბიუჯეტის დამტკიცება, საზოგადოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის კერძო პირთა უძრავი ქონების ჩამორთმევა რესპუბლიკის კანონების ძალით, ყველა ადგილობრივი მნიშვნელობის მიწა, მამული, ტყე, სამკურნალო წყალი; სახელმწიფო ენას წარმოადგენდა ქართული, მაგრამ სკოლებში და სახელმწიფო დაწესებულებებში დაშვებული იყო ადგილობრივი ენების გამოყენება; ადამიანის უფლებების დაცვას უზრუნველყოფდნენ რესპუბლიკის კონსტიტუცია და კანონები; საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში არჩევნებისათვის აფხაზეთი ცალკე საარჩევნო ოლქს შეადგენდა; სახალხო საბჭო ამტკიცებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას აფხაზეთის კომისარიატს (აფხაზეთისა..., 2004: 61-62; Дж. Гамахария, Б. Гогия, 1997: 466-469,787).

მართალია, 1921 წლის 21 თებერვალს დამტკიცებულმა კონსტიტუციამ, მით უფრო „აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის დებულებამ“ ამოქმედება ვერ მოასწრო, მაგრამ ავტონომიური აფხაზეთი დე-ფაქტო სარგებლობდა ყველა ამ უფლებით ზემოთნახსენები დოკუმენტის („აფხაზეთის მართვა-გამგეობის ძირითადი დებულებების შესახებ“) მიხედვით. სრულიად განსხვავებული ვითარება შეიქმნა საბჭოთა პერიოდში.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია მისი შემდგომი ანექსიით. სოჭის მხრიდან შემოსულმა IX არმიამ სოხუმი 4 მარტს დაიკავა. ამის შემდეგ ძალაუფლება რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს (კავბიურო) მიერ ე. ეშბას (თავმჯდომარე), ნ.ლაკობასა და ნ. აქირთავას შემადგენლობით შექმნილ საოკუპაციო ორგანოს - რევოლუციურ კომიტეტს (რევკომს) გადაეცა. მაშინათვე დღის წესრიგში დადგა აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის, საქართველოსთან მისი ურთიერთობის საკითხი.

საოკუპაციო ორგანოების - კავბიუროს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, აფხაზეთის რევკომის წარმომადგენელთა ბათუმის თათბირზე (1921 წლის 28 მარტი) მოხდა შეთანხმება, აფხაზეთის საბჭოების ყრილობამდე რუსეთთან თუ საქართველოსთან აფხაზეთის ფედერირების საკითხის ღიად დატოვებისა და მისი სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ. თათბირის ეს გადაწყვეტილება გახდა საფუძველი 1921 წლის 31 მარტს აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადებისა. საბჭოთა რუსეთის ცენტრალურ სახელმწიფო სტრუქტურებს არასოდეს განუხილავთ აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებული საკითხები და არც რაიმე გადაწყვეტილება მიუღიათ. ეს თემა არ ყოფილა საბჭოთა ლიდერების (მათ შორის ვ. ლენინის) მსჯელობის საგანიც. ყველა საკითხი თბილისში კავბიუროს სხდომებზე, მის ხელმძღვანელ გ. ორჯონიკიძესა და რუსეთის ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარ ი. სტალინს შორის სიტყვიერი შეთანხმებით წყდებოდა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების, თავისუფლებისაკენ სწრაფვის სურვილის ჩანმოზისა და არა ერთა თვითგამორკვევის ინტერესებიდან გამომდინარე. ამიტომაც აფხაზეთის დამოუკიდებლობა წმინდა წყლის ფიქციას წარმოადგენდა და მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ რეგიონის ხელმძღვანელი პირები არა საქართველოს მთავრობის, არამედ კავბიუროს მიერ ინიშნებოდნენ. უკვე იმ პერიოდში მუშავდებოდა აფხაზეთის საქართველოსაგან საბოლოოდ ჩამოცილების გეგმაც. ასე, მაგალითად, რუსეთის ყოფილმა სამხედრო ატაშემ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში პ. სიტინმა, რომელიც საბჭოთა პერიოდშიც აგრძელებდა თავის ჯაშუშურ საქმანობას თბილისში, 1921 წლის 22 აპრილს მოსკოვს „ქართული შოვინიზმის“ დათრგუნვის, მისი „ტერიტორიალურად და მატერიალურად“ დასუსტების გეგმა წარუდგინა. სხვადასხვა ზომების (რუსეთის ჯარების განლაგება თურქეთის საზღვართან, სამეგრელოს ავტონომიზაცია, რუსული მოსახლეობის მხარდაჭერა და გააქტიურება, ამიერკავკასიის რკინიგზის მოსკოვისთვის გადაცემა) მიღებასთან ერთად, იგი ითვალისწინებდა რუსეთის ფედერაციის საზღვრების მდ. ბზიფამდე გადატანას, აფხაზეთში პლებისციტის ჩატარებას და რუსეთთან მის უშუალო მიერთებას (Дж. Гамахрия, Б. Гогия. Абхазия..., 1997: 470-472). როგორც ჩანს, ეს გეგმა არასოდეს მოხსნილა დღის წესრიგიდან, თუმცა იმ პერიოდში აფხაზეთის რეალურ დამოუკიდებლობაზე საუბარი არცერთ დონეზე არ ყოფილა. თვით საბჭოთა აფხაზეთის ხელმძღვანელებსაც (ე. ეშბა, ნ. ლაკობა) კარგად ესმოდათ, რომ 1921 წლის მარტში „დამოუკიდებლობა“ გამოცხადდა დროებით, „ერთი წუთით,“ რომ ეს იყო მხოლოდ „აბრა“ და ა.შ. (ჭ.

გამახარია, 1991: 118). ამ გარემოების გათვალისწინებით აფხაზეთის მშრომელთა პირველმა ყრილობამ უკვე 1921 წლის 28 მაისს მიიღო გადაწყვეტილება ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელებთან, „პირველ რიგში, კულტურით, ეკონომიკური და გეოგრაფიული მდგომარეობით, ყოფით ყველაზე ახლოს მდგომი საბჭოთა საქართველოს მუშებთან და გლენებთან“ უმჭიდროესი კავშირის დამყარების შესახებ. ამ კავშირის ფორმები კი საქართველოსა და აფხაზეთის საბჭოების I ყრილობას უნდა განესაზღვრა (Укрепление..., 1957: 44-51).

სახელმწიფოებრივი (მათ შორის საბიუჯეტო) ურთიერთობის გარკვეული ფორმები საქართველოსა და „დამოუკიდებელ“ აფხაზეთს შორის გასაბჭოების შემდეგაც არსებობდა. მაგალითად, საქართველოს სსრ სახელმწიფო სტრუქტურები, მათ შორის რეკომი, შინაგან საქმეთა სამინისტრო აფხაზეთის რეკომს უზავნიდნენ თავიანთ განკარგულებებს ქართულ ენაზე „ცნობად და სახელმძღვანელოდ“, „სისწორით შესასრულებლად“, ლებულობდნენ გადაწყვეტილებებს აფხაზეთისათვის კრედიტების გახსნის, ბზიფის ხე-ტყის კონცესიების გაფორმების, ტყვარჩელის მაღაროების შესახებ და ა.შ. აფხაზეთის რეალური სტატუსი უფრო დაბალი ჩანს, ვიდრე დაღესტნისა და მთიელთა ავტონომიური რესპუბლიკებისა, ნახიჭევანისა და ყაბარდოსი. მათგან განსხვავებით, აფხაზეთი უშუალოდ არ შედიოდა კავკასიის ეკონომიკურ კავშირში (შეიქმნა 1921 წლის აგვისტოში); „დამოუკიდებელი“ აფხაზეთი ვერ შევიდა ასევე კავბიუროს მიერ 1921 წლის 16 აგვისტოს შექმნილ ეკონომიკურ ბიუროში, რომელიც საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს აერთიანებდა (ჯ. გამახარია, 1991: 118-122). აფხაზეთი კი საქართველოს შემადგენლობაში იგულისხმებოდა როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ისე ყველა სხვა ვითარებაშიც. აფხაზეთს საქართველოს ნაწილად განიხილავდა თვით რუსეთის ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარიატი. მისი ხელმძღვანელი ი. სტალინი 1921 წლის 1 სექტემბერს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს (საბჭოების ყრილობებს შორის პერიოდში მოქმედი საკანონმდებლო ორგანო) აცნობებდა: „აფხაზეთი არის დამოუკიდებელი საქართველოს ნაწილი. ამის გამო დამოუკიდებელი წარმომადგენლობები რუსეთში არ ჰყავს და არც უნდა ჰყავდეს. ამიტომ კრედიტის მიღება რსფსრ — დან მას არ შეუძლია“ (А. Ментешавили, 1998: 67).

ვინაიდან მოსკოვისთვის, თბილისისთვის და აგრეთვე სოხუმისთვის აფხაზეთის რეალური სტატუსის საკითხი სრულიად ნათელი იყო, 1921 წლის 5 ივლისს კავბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, წარიმართოს პარტიული მუშაობა იმ მიმართულებით, რომ აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკის სახით შევიდეს საქართველოს შემადგენლობაში. იმავე წლის 23 ივლისს აფხაზეთის პასუხისმგებელ მუშაკთა თათბირმა, მოისმინა რა ნ. ლაკობას მოხსენება, ახლო მომავალში საქართველოსთან ფედერაციული კავშირის დამყარების რწმენა გამოთქვა (Дж. Гамахария, Б. Гогия, 1997: 475, 792). 1921 წლის 1 ნოემბერს კავბიურომ საჭიროდ მიიჩნია აფხაზეთ-საქართველოს შორის მომავალი ხელშეკრულების პროექტის შემუშავება, რისთვისაც სპეციალური კომისიაც ჩამოაყალიბა. იმავე წლის 16 ნოემბერს კავბიურომ შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო:

1. ეკონომიკურად და პოლიტიკურად მიზანშეუწონლად ჩაითვალოს დამოუკიდებელი აფხაზეთის არსებობა.

2. წინადადება მიეცეს ამხანაგ ეშბას, წარმოადგინოს თავისი საბოლოო დასკვნა სახელმეკრულებო საწყისებზე აფხაზეთის საქართველოს ფედერაციის შემადგენლობაში ან ავტონომიური ოლქის საწყისებზე რსფსრ-ში შესვლის შესახებ“ (Дж. Гамахария, Б. Гогия, 1997: 481-482).

კავშირის ამ გადაწყვეტილებით აფხაზეთს უარი ეთქვა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ამიერკავკასიის ფედერაციაში უშუალოდ შესვლაზე. ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მასში განსაზღვრულია აფხაზეთის სტატუსი საბჭოთა რუსეთის კრიტერიუმების მიხედვით — ავტონომიური ოლქი. საქართველოს შემადგენლობაში კი მას ეძლეოდა უფრო მაღალი სტატუსი იმისათვის, რომ მოსკოვის ხელში ყოფილიყო ურჩ საქართველოზე ზეწოლის ეფექტური ბერკეტი.

1921 წლის 16 დეკემბერს საქართველომ და აფხაზეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას სამხედრო, პოლიტიკური და ფინანსურ—ეკონომიკური კავშირის დამყარების შესახებ. აფხაზეთი ამ ხელშეკრულებით საქართველოს ნაწილი ხდებოდა და ყველა სამხარეო (ამიერკავკასიის) ორგანიზაციაში არა უშუალოდ, არამედ საქართველოს მეშვეობით შედიოდა (Дж. Гамахария, Б. Гогия, 1997: 483-484). აფხაზეთის საბჭოების I ყრილობამ 1922 წლის 17 თებერვალს მოიწონა ხელშეკრულება საქართველოსთან. აფხაზეთის სსრ საქართველოს შემადგენლობაში გაერთიანება დაადასტურა საქართველოს საბჭოების I ყრილობაზე 1922 წლის 28 თებერვალს მიღებულმა საქართველოს სსრ პირველმა კონსტიტუციამ. მასში ნათქვამია: „საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე შედიან: აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა; უკანასკნელი უკავშირდება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას - ამ რესპუბლიკათა შორის დადებულ განსაკუთრებულ საკავშირო ხელშეკრულების საფუძველზე“ (საქართველოს..., 1983: 73).

ფაქტობრივად და იურიდიულად აფხაზეთის სსრ წარმოადგენდა ავტონომიურ რესპუბლიკას. ამ სტატუსით მოიხსენიება იგი საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1922 წლის 27 თებერვლის დადგენილებაში ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ადგილების გადანაწილებასთან დაკავშირებით: „მიეცეს ცენტრს 35, აფხაზეთის, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებს... სამ-სამი ადგილი“ (ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., 2007: 98). საქართველოს კომპარტიის III ყრილობაზე 1924 წლის მაისში გაიმართა მსჯელობა საქართველოს კონსტიტუციიდან სიტყვების „სახელმეკრულებო რესპუბლიკა“ ამოღების შესახებ. ყრილობაზე გამოსვლისას (1924 წლის 8 მაისი) ნ. ლაკობამ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხზე მას ესაუბრა ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბესო ლომინაძე. აფხაზეთის ლიდერმა, თავის მხრივ, აღნიშნა: „ჩვენ ვამბობთ, რომ ვართ სახელმეკრულებო რესპუბლიკა, და მე მყოფნის გამბედაობა, განვაცხადო, რომ აფხაზეთის გლენობა ორ წელიწადში ამ სიტყვებსაც ამოშლის“. ნ.ლაკობამ აფხაზ ხალხზეც ისაუბრა: „აფხაზებს ისტორიული თვალთახედვით რომ მიუდგეთ,

რა თქმა უნდა, არავითარი როლის თამაში კაცობრიობის ისტორიაში არ შეეძლოთ, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ხალხს არა აქვს არც თავისი ისტორია, არც თავისი დამწერლობა, არც თავისი ლიტერატურა“ (Л. Тойдзе, 1996: 29-30).

აფხაზეთის ნამდვილი პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსი დაფიქსირებული იყო საბჭოთა კავშირის პირველ კონსტიტუციაში (1924 წლის), რომლის მეოთხე თავში (მუხლი 15) შავით თეთრზე წერია: „ავტონომიური რესპუბლიკები აჭარა და აფხაზეთი და ავტონომიური ოლქები სამხრეთ ოსეთი, მთიანი ყარაბაღი და ნახიჭევანი ეროვნებათა საბჭოში თითო წარმომადგენელს აგზავნიან“ (История..., 1957: 229). გამოდის, რომ „დამოუკიდებელი“ აფხაზეთი სინამდვილეში ავტონომიურ რესპუბლიკად ითვლებოდა და სსრ კავშირის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ავტონომიური ოლქების დონეზე იყო წარმოდგენილი. საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციები აშკარა წინააღმდეგობაში მოდიოდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციასთან, ვინაიდან აფხაზეთი ამ კონსტიტუციებში კვლავ სახელმწიფოებო რესპუბლიკად მოიხსენიებოდა.

აფხაზეთის სსრ პირველი კონსტიტუციის მიღების წარუმატებელი მცდელობა იყო 1925 წლის 1 აპრილს, როცა საბჭოების მესამე ყრილობამ ყოველგვარი განხილვის გარეშე თითქოს დაამტკიცა კონსტიტუცია. სსრ კავშირის, ამიერკავკასიის ფედერაციისა და საქართველოს კონსტიტუციების სრული იგნორირებით, აფხაზეთი სუვერენულ სახელმწიფოდ ცხადდებოდა, რომელსაც ვითომ ჰქონდა ამიერკავკასიის ფედერაციისა და სსრ კავშირის შემადგენლობიდან გასვლის უფლება (საქართველოს შემადგენლობიდან გასვლის ან მასთან დადებული ხელშეკრულების გაუქმების უფლებაზე კონსტიტუციაში საუბარი არ იყო). კონსტიტუციის პირველი თავის მეოთხე მუხლი არეგულირებდა საქართველოსთან ურთიერთობას: „აფხაზეთის სსრ, გაერთიანდა რა განსაკუთრებული სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს სსრ-თან, მისი მეშვეობით შედის ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკაში...“ (Дж. Гамахария, Б. Гогия, 1997: 490-491).

აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუცია, რომელსაც თვით ნ. ლაკობამ „კონსტიტუციური სისულელე“ უწოდა, ზემდგომი ორგანოების მითითებით არ გამოქვეყნებულა და, შესაბამისად ძალაში არ შესულა. უფრო მეტიც, საბჭოების III ყრილობის ბიულეტენში, რომელიც აფხაზეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცა, ნათქვამია: „ყრილობამ გადაწყვიტა, დასრულდეს მუშაობა ყრილობისთვის წარდგენილ პროექტზე, მოყვანილ იქნეს იგი შესაბამისობაში საქართველოს სსრ და ამიერკავკასიის სფსრ კონსტიტუციებთან“ (Съезды..., 1964: 673). ამრიგად, აფხაზეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1925 წლის კონსტიტუცია მხოლოდ პროექტად აღიარა. მისი გადასინჯვის საკითხი განიხილეს რუსეთის კომპარტიის ამიერკავკასიის სამხარეო (1925 წლის 6 სექტემბერი), საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა (1925 წლის 6, 31 ივლისი, 27 სექტემბერი) და საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ (1925 წლის 11 სექტემბერი). აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა 1926

წლისთვის დასრულდა, იმავე წლის 11-16 ივნისს სოხუმში გამართულმა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიამ საქართველოს კონსტიტუციაში შეიტანა ახალი V თავი - „მოკავშირე აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა“. იგი უცვლელად შევიდა 1926 წლის 27 ოქტომბერს აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიის მიერ დამტკიცებულ აფხაზეთის პირველ კონსტიტუციაში II თავის სახით. იგი საბოლოოდ დაამტკიცა აფხაზეთის საბჭოების IV ყრილობამ (1927 წლის 5-10 მარტი). მასში ორჯერ (მუხლები 2, 17) არის დაფიქსირებული, რომ აფხაზეთის სსრ „განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით შედის“ საქართველოს შემადგენლობაში, ხოლო მისი მეშვეობით - ამიერკავკასიის ფედერაციაში; სახელმწიფო ენებად აღიარებულია აფხაზური, ქართული და რუსული (მუხლი 8), თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებას მიკნავდა 21-ე მუხლი. აფხაზეთის შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, ჯანდაცვის, მიწათმოქმედებისა და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატები (სამინისტროები) მოქმედებდნენ საქართველოს სათანადო კომისარიატებისგან დამოუკიდებლად. აფხაზეთის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ორმაგ დაქვემდებარებაში იმყოფებოდა; აფხაზეთის მთავრობაში გადაწყვეტი ან სათათბირო ხმის უფლებით (ამის შესახებ გადაწყვეტილებას აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იღებდა) შედიოდნენ ფინანსთა, შრომის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულები, რომლებიც საქართველოს შესაბამისი კომისარიატების ორგანოებს წარმოადგენდნენ, მაგრამ პერიოდულად ანგარიშს უდგენდნენ აფხაზეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და მთავრობას. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გასავრცელებლად გამოცემულ საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კოდექსებს, დეკრეტებს, დადგენილებებს სავალდებულო ძალა ჰქონდათ აფხაზეთის სსრ ტერიტორიაზე; კონსტიტუციასთან შეუსაბამო აფხაზეთის საბჭოების ყრილობების, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებისა და მთავრობის დადგენილებების გაუქმების უფლებამოსილება ჰქონდა საქართველოს საბჭოების ყრილობას ან ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიას. 125-ე მუხლის მიხედვით, აფხაზეთის სსრ ბიუჯეტი მისი დამტკიცების შემდეგ ხდებოდა საქართველოს ბიუჯეტის ნაწილი (Дж. Гамахария, Б. Гогия, 1997: 498-500). მიუხედავად საბჭოთა კონსტიტუციების ფორმალური ხასიათისა (პარტიული ორგანოების ხელში მთელი ძალაუფლების თავმოყრის გამო), შეიძლება ითქვას, რომ თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილება საკმაოდ მკაფიოდ იყო გამოიწველი. ამავე დროს, ამიერკავკასიისა და სსრ კავშირის კონსტიტუციები აფხაზეთის (თუნდაც საქართველოს) განსაკუთრებულ გამგებლობაში სახელმწიფოებრივი ცხოვრების არც ერთ სფეროს არ ტოვებდნენ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების კვალობაზე, როცა იმპერიის მესვეურთა აზრით, მისი დამოუკიდებლობის აღდგენის საფრთხე მოიხსნა, აფხაზეთის სსრ-ს შემაკავებელი ფუნქცია ამოწურულად ჩაითვალა. გარდა ამისა, 20-30-იან წლებში მიმდინარეობდა რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიების რეორგანიზაცია. აფხაზებზე

ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი და განვითარებული ერები ავტონომიური ოლქების, საუკეთესო შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსს ღებულობდნენ ან ინარჩუნებდნენ. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ საქართველოსა და აფხაზეთს შორის 1921 წლის 16 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება არ შეესაბამებოდა კონსტიტუციურად განმტკიცებულ ურთიერთობებს. შექმნილ ვითარებაში სავსებით ბუნებრივად დაისვა აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსის სსრ კავშირის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხი. 1930 წლის 17 აპრილს აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიამ განიხილა საქართველოსა და აფხაზეთს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების გადასინჯვის წინადადება. სესიამ კონსტიტუციიდან ამოიღო სიტყვები „სახელშეკრულებო რესპუბლიკა“ და იგი „ავტონომიური რესპუბლიკა“-თი შეცვალა. 1931 წლის 11 თებერვალს ეს ცვლილებები დაამტკიცა აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობამ. სიტყვით გამოსულმა ნ. ლაკობამ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა: „საქართველოსა და აფხაზეთის მშრომელებს შორის ურთიერთობების საკითხი მთლიანად გადაწყვეტილია“ (Дж. Гамахария, Б. Гогия, 1997: 503-504). ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ 1931 წლის აფხაზეთის სახელის გადარქმევას 1926 წლის კონსტიტუციით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა შეცვლა არ მოჰყოლია.

30-იან წლებში საბჭოთა იმპერიის მასშტაბით მიმდინარეობდა ხელისუფლების ცენტრალიზაციის, უნიტარიზაციის, მართვის ტოტალიტარული სისტემის ჩამოყალიბების პროცესი. იგი მოითხოვდა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში კონსტიტუციების, კანონმდებლობის უნიფიცირებას. ამ შემთხვევაში ტოტალიტარული სისტემა აფხაზეთისათვის გამონაკლისს ვერ დაუშვებდა. აფხაზეთის საბჭოების VII ყრილობამ 1935 წლის 7 იანვარს დაამტკიცა კონსტიტუციის ახალი რედაქცია, საიდანაც გაქრა თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამმიჯნავი მუხლები, დაფიქსირდა მართვის სრული ცენტრალიზაცია-ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სახალხო კომისარიატი საქართველოს სათანადო უწყებებს დაუქვემდებარა (მუხლი 42) (Съезды..., 1964: 766-773). კონსტიტუციის ახალ რედაქციაში შენარჩუნებული იყო სახელმწიფოებრიობის მხოლოდ ისეთი ატრიბუტები, როგორცაა საკუთარი დერბი და დროშა (მუხლი 83, 84). შესაბამისი ცვლილება შევიდა საქართველოს კონსტიტუციაშიც, რომელიც საბჭოების VII ყრილობამ (1935 წლის 10-14 იანვარი) დაამტკიცა (სრულიად..., 1935: 248).

საბჭოთა კავშირში ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების პროცესი 1936 წლის 5 დეკემბერს საკავშირო საბჭოების VIII საგანგებო ყრილობაზე „სტალინური კონსტიტუციის“ მიღებით დასრულდა. გაუქმდა ამიერკავკასიის ფედერაცია. საქართველო უშუალოდ შევიდა სსრ კავშირის შემადგენლობაში. რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია საქართველოს საბჭოების VIII საგანგებო ყრილობამ 1937 წლის 13 თებერვალს მიიღო. საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე აფხაზეთის საბჭოების VIII ყრილობამ, მოისმინა რა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ა. აგრბას მოხსენება, 1937 წლის 2 აგვისტოს

დაამტკიცა ავტონომიური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია, რომელშიც შენარჩუნებულია მართვის სფეროს სრული ცენტრალიზაცია. ცვლილება შეეხო სიმბოლიკასაც. აფხაზეთის დროშად და ღერბად აღიარებულია საქართველოს დროშა და ღერბი (მუხლი 111, 112) (ნარკვევები..., 2007: 322). აფხაზეთის სახელმწიფო ენებად კვლავ აფხაზური, რუსული და ქართული დარჩა. ეს განასხვავებდა აფხაზეთის კონსტიტუციას რუსეთის ფედერაციაში შემავალი ავტონომიების კონსტიტუციებისაგან, რომლებშიც სახელმწიფო ენად რუსული იყო აღიარებული.

20-30-იან წლებში აფხაზეთი, ერქვა მას საბჭოთა სოციალისტური თუ ავტონომიური რესპუბლიკა, წარმოადგენდა არა სუვერენულ, დამოუკიდებელ, საქართველოსთან თანასწორუფლებიან სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, არამედ საქართველოს სსრ შემადგენელ ნაწილს. მისი რეალური უფლებამოსილება (ისევე როგორც უფლებამოსილება ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკისა) სსრ კავშირში მართვის ტოტალიტარული სისტემის ჩამოყალიბების კვალობაზე, თანდათანობით შემცირდა და 1937 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ მინიმუმამდე დავიდა.

დამოწმებული ლიტერატურა

აფხაზეთისა..., 2004 - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსის საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თ. დიასამიძე, თბ., 2004.

ჯ. გამახარია, 1991 - ჯ. გამახარია, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1991.

ნარკვევები, 2007 - ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2007.

ზ. პაპასქირი, 2007 - ზ. პაპასქირი, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. II, თბ., 2007.

საქართველო, 1918, 23 მაისი.

საქართველო, 1918, 1 ივნისი.

საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), თბ., 1983.

სრულიად..., 1935 — სრულიად საქართველოს საბჭოთა VII ყრილობა (სტენოგრაფიული ანგარიში), თბ., 1935.

О. Бгажба, С. Лакоба, 2006 - О. Бгажба, С. Лакоба, История Абхазии, Сухуми, 2006.

Дж. Гамахария, Б. Гогия, 1997 - Дж. Гамахария, Б. Гогия, Абхазия, историческая область Грузии. Историография, документы и материалы, комментарий. С древнейших времен до 30 - годов XX века, Тб., 1997.

История., 1957 - История советской Конституции. Сборник документов, 1917-1957, М., 1957.

А. Ментешашвили, 1998 - А. Ментешашвили, Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии, Тб., 1998.

Съезды., 1964 - Съезды Советов союзных и автономных советских социалистических республик Закавказья. Сборник документов (1923-1937гг.), т. 6, М., 1964.

Л. Тоидзе, 1996 - Л. Тоидзе, К вопросу о политическом статусе Абхазии, Тб., 1996.

Укрепление., 1957 - Укрепление Советской власти в Абхазии. Сборник документов (1921-1925 гг.), Сухуми, 1957.

Червоная..., 1992 - С. Червоная, Абхазия - 1992, постокommунистическая вандея Грузии, М., 1993.

ნოდარ შოშიტაშვილი, სოსო ჭანტურიშვილი, ნინო მინდაძე, ქეთევან ხუციშვილი, როზეტა გუჯეჯიანი, გიორგი ჭეიშვილი

აფხაზეთის ეთნოგრაფიული სამყარო

აფხაზეთი, მსგავსად საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებისა, **ოდიოგანვე საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. აფხაზები ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების წარმომადგენლები** (ქართლები, მეგრელები, კლარჯები, ტაოელები, სვანები, ფხოველები, დვალელები და ა. შ.). სწორედ ეს ერთიანი წარმომავლობა განაპირობებდა იმას, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში მთელ საქართველოში იქმნებოდა ერთიანი ეთნიკური — ქართული კულტურა და ხშირად სწორედ აფხაზეთი გამოდიოდა საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის მესაძირკვლედ და ინიციატორად¹.

აფხაზები და აფხაზეთი უძველესი დროიდანვე ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ სივრცეში მოიაზრებოდნენ (ნ. ბერძენიშვილი, 1990; მ. ლორთქიფანიძე, 1990; გ. ალასანია, 2004), საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ კი აფხაზეთის სოციალურ-კულტურულმა ცხოვრებამ თანდათანობით განსხვავებული ხასიათი შეიძინა: დასავლეთ კავკასიიდან აბაზურ-ადიღეური ტომების საქართველოს ტერიტორიაზე ინტენსიური ჩამოსახლების შედეგად მკვეთრად შეიცვალა აფხაზეთის ეთნოდემოგრაფიული ვითარება, რამაც განაპირობა ამ მხარის სოციალურ-კულტურული განვითარების რეგრესი, რადიკალურად შეფერხდა აფხაზური (აფსუური) ეთნიკური ჯგუფის ორგანული თანამონაწილეობა ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის განვითარების თვალსაზრისით (ბ. ხორავა, 2000).

ჩამოსახლებულ აბაზურ-ადიღეურ ტომთა ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა **თანამედროვე აფხაზური (აფსუა) ეთნოსი², რომელიც თავის თავს უკვე აღარ მიიჩნევდა ეთ-**

1 შ. ინალ-იფას მართებული შენიშვნით, აფხაზეთი ნაკლებად ჰგავდა საქართველოს შორეულ პროვინციულ ოლქს, არამედ ჯერ კიდევ ბაგრატ III აქ ერთიანი საქართველოს პოლიტიკურ რეზიდენციას ქმნიდა სოფელ ბელიაში, შესანიშნავი სასახლითა და ტაძრით (Инал-Ипа, 1965: 135).

2 საინტერესო და ერთობ ცალსახა სურათს გვაძლევს ანთროპოლოგიური მონაცემები. შ. ინალ-იფას მოჰყავს ვ. ბუნაკის მოსაზრება, რომელიც მსჯელობს აფხაზთა და ქართველთა ხაზგასმული ანთროპოლოგიური მსგავსების შესახებ, რაც მრავალი პარამეტრით დასტურდება (Бунак, 1947: 39); ხოლო თვით ინალ-იფა, თავის მხრივ, დასძენს, რომ თანამედროვე აფხაზები ანთროპოლოგიურად მიეკუთვნებიან დასავლეთ კავკასიურ ტიპს, რომელიც მსგავსებას ამჟღავნებს, ერთის მხრივ, დასავლურქართულ მოსახლეობასთან (მეგრელებთან, გურულებთან, აჭარლებთან...), მეორე მხრივ, ჩერქეზებთან. ამასთან, დასავლეთ ქართველებთან მსგავსება გაცილებით მკვეთრადაა გამოხატული, ვიდრე ჩერქეზებთან, იმისდა მიუხედავად, რომ აფხაზები ლინგვისტურად ამ უკანასკნელებთან ერთ ენობრივ ჯგუფში ერთიანდებიან (Инал-Ипа, 1965: 50). ასევე, თანამედროვე ანთროპოლოგიური მონაცემებითაც, აფხაზები მიეკუთვნებიან დასავლურქართულ, შავი-

ნიკურად თუ კულტურულ-პოლიტიკურად ქართველად. ამ ეთნიკურ ჯგუფზე თანდათანობით გადავიდა დამხვედურთა თემონიმი „აფხაზი“ (ტ. ფუტყარაძე, 2005: 140-141), თუმცა მათ თვითსახელწოდებად დარჩა „აფსუა“ (ბ. ხორავა, 2000: 39-40; გ. გასვიანი, 1998: 113-137). მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ. რუსეთისაგან (რუსეთის იმპერია, საბჭოთა რუსეთი) მართული აფხაზთა ნაწილის ქართველთაგან გაუცხოების მიზანმიმართული პოლიტიკა გრძელდებოდა მთელი XIX-XX საუკუნეების განმავლობაში (ზ. ცინცაძე, 1998) და იგი დასრულდა ამ ძირძველი ქართული რეგიონის ეთნიკური ქართველების გენოციდითა და ცოცხლად გადარჩენილ ქართველთა, ანტირუსულად განწყობილ აფხაზთა და სხვა ეთნიკურ ჯგუფთა ამ მხარედან გამოძევებით.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენლია აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ თანამედროვე აფხაზთა (თვითსახელწოდება — „აფსუა“) ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი მასალა, გამოვლენილია ქართული ტრადიციული ყოფის გავლენა აფხაზთა (აფსუათა) სულიერ, სოციალურ და მატერიალურ კულტურაზე³. ასეთი მასალა უამრავია და მოიცავს ყოფა-ცხოვრების ყველა სფეროს. ამჯერად ერთ ნაწილს წარმოვადგენთ.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველთა და აფხაზთა (აფსუათა) კულტურის ერთსა და იმავე ელემენტებს, პოლიტიკური ტაქტის გამო, ეთნოგრაფიულ პარალელებს უწოდებდნენ. ფაქტობრივად, ეს პარალელები კი არა, ერთიანი, ორიგინალური ეთნოკულტურული სამყაროა, რომელშიც თვალშისაცემია ადგილზე დამხვედრი, უძველესი სამიწათმოქმედო ტრადიციების მქონე ქართული ეთნოსის გავლენა ეტაპობრივად ჩამოსახლებულ მომთაბარე აბაზურ-ადიღეურ ტომებზე.

ეთნოლოგიური მასალა ავლენს აფხაზთა (აფსუათა) მიგრაციის ძირითად ეტაპებს. „აფხაზურ ეთნოგენეტურ და გენეალოგიურ თქმულებათა უმეტესობა, არა დაფარული მინიმუმებით, არამედ, აშკარად და უდაოდ გვამცნობს აფხაზების ჩრდილო კავკასიიდან დასავლეთ საქართველოს მთაში ჩამოსახლების ფაქტს და ეთნოგენეტურისა და კულტურული კავშირის არსებობას ჩერქეზული წარმოშობის კავკასიელებთან. ამ თვალსაზრისს ეთანხმება აფხაზური ნართული ეპოსიც“, რომელშიაც აფხაზების თავდაპირველი ბინადრობის მხარედ მდ. ყუბანის ხეობაა მიჩნეული“ (ს. ბახია, 2000: 3-4). ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აფსუათა საგვარეულო სალოცავების ისტორიები, რომლებითაც თვალნათელია, რომ თითქმის ყველა აფხაზური საგვარეულო ლეგენდა გვარის წარმომავლობას ჩრდილო კავკასიას უკავშირებს (ს. ბახია, 2000).

ცნობილია, სამეურნეო და მატერიალური კულტურა ის უპირველესი

³ზღვისპირულ ჯგუფს (შავიზღვისპირელი აჭარლები, გურულები, მეგრელები, ლაზები, აფხაზები); რადგან ანთროპოლოგიური გამოკვლევების შედეგებით აფხაზები, ფაქტობრივი მონაცემებით, უფრო ჰგვანან ქართველებს, განსაკუთრებით, მეგრელებს, ვიდრე ენით მონათესავე არაქართველებს — აბაზებსა და ადიღელებს (მ. აბდუშელიშვილი, 2004; ლ. ბითაძე, 2007: 173-177).

³ ცხადია, აფხაზეთში ქართული ეთნოსის გვერდით ცხოვრობდნენ არა მარტო აფხაზები (აფსუები), არამედ სხვა ეთნიკური ჯგუფებიც: რუსები, სომხები, ბერძნები, ესტონელები და სხვ., რომელთა დიდი ნაწილი ასევე დევნილია აფხაზეთიდან.

სვეროთაგანია, რომელშიც გამოკვეთილადაა ასახული ყოფითი ერთობა. ცნობილია, სახნავ მიწათმოქმედებაში ქართული დიდი გუთნის გამოყენებამდე დასტურდებოდა მიწის ხვნისა და შემდგომ დასვენების სამ-სამ წლიანი ციკლი. ქართლის მასალით, “შვიდ წელიწადში ერთხელ სახნისმა ოქროს უნდა წამოჰკრას წვერი“. ე.ი. მეშვიდე წელს, ანუ მიწის დასვენების შემდეგ ყველაზე ხვავიანი მოსავალი მოდის. ასეთივე მასალაა ჩაწერილი 1949 წელს სოფელ ჭლოუშიც და მასში არეკლილია, იგივე მიწის დასვენების წესი, რომელიც საერთოა ქართლისა და აფხაზეთისათვის და დაკავშირებულია მიწის დამუშავების ერთიან სისტემასთან. ცხადია, შეუძლებელია ასეთი დამთხვევა შემთხვევითი იყოს (გ. ჩიტაია, 2000: 123).

აფხაზეთის ყოფაში სახენელის სამი სახეობა დასტურდება, რომლებიც სახენელი იარაღების ერთ ძირითად ტიპს განეკუთვნებიან. ეს ტიპი ხასიათდება გრძელი, მოხრილი და ქუსლში ჩამჯდარი მხრით, ქუსლითა და ხელნათი. ამ იარაღის გამწვევი ძალის რაოდენობა ერთი უღლით განისაზღვრება და თავისი ფუნქციით მხოლოდ ნიადაგის აჩეჩვის შემძლეა. ამ ტიპის იარაღები უხვადაა წარმოდგენილი საქართველოს მთასა და ბარში, ოღონდ სხვადასხვა სახელწოდებით: „კავი“, „ავაფა-ოგაფა“, „ოქოქა“, „აჩაჩა“, „ხარსარალი“ და სხვ. ეს უკანასკნელი სახელწოდება ისევეა შედგენილი, როგორც აფხაზური სახენელის სახელწოდება „აცამათა“, რაც ხარის საჭურველს, ხარის იარაღს ნიშნავს (გ. ჩიტაია, 2000: 123).

სრულიად იდენტურია მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული ქართული და აფხაზური კულტურულ-სამეურნეო ტრადიციები. აფხაზების ყოფაში დამოწმებული ვაზის მეურნეობა, ვაზის მოვლა-მოშენებისა და ღვინის დაყენების ხალხური წესები, როგორც ძირითადი ელემენტებით, ასევე ცალკეული დეტალებითაც, ვაზის მოვლა-მოშენებისა და ღვინის დაყენების ქართული წესების იდენტურია. ამ დარგში მსგავსება იმდენად სრულია, რომ ის დასტურდება არა მარტო მატერიალური კუთხით, არამედ ამ მეურნეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების მიხედვითაც. მაგალითად, ამგვარია ღვინის ზედაშეებთან დაკავშირებული ყველა უმთავრესი საწესო ჩვეულება: ღვინის შეწირვის ადგილი, საზედაშე ღვინის მოვლა, ლოცვა-ვედრება, საზედაშე ღვინის მოხმარება, შეწირული ღვინის სახეები და სხვა (გ. ჩიტაია, 2000: 125). დამთხვევა სრულია ღვინის დაყენება-შენახვის წესებშიც: საწნახელში ღვინის დაწურვა, ზოგჯერ დაღუღება. ძირითადად კი დაღუღებაც და დაცვა-შენახვაც მიწაში ჩაყრილ/ჩაფლულ ქვევრ-ჭურებში ხდებოდა, რაც საერთოა ქართულთან, რადგან ეს აფხაზებს ადგილობრივ ქართველთაგან აქვთ შეთვისებული.

ასეთივე გავლენა შეიმჩნევა მესაქონლეობაშიც: რძის ნაწარმი, მისი დამზადების წესი და ამ მეურნეობისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღი, ხშირად მათი სახელებიც, ქართულია. ასევეა საქონლის მოვლა-მოშენების წესებიც. მთაში, ბარში და ზეგანზე საქონლის ყოლა ზაფხულში, ზამთარსა და შემოდგომაზე; მწყემსების შეამხანაგება მთაში წასვლისას, გამოცდილი მწყემსის არჩევა, რომელსაც მთელი „მთობის“ მანძილზე ემორჩილებიან. ყველის დედოდ აქაც ძროხის, თხის და ცხვრის კუჭს ხმარობენ, რომელსაც აცანაწი ეწოდება. აქაც საუკეთესო ყველის დედად, როგორც სხვა

ქართულ თემებში დვრიტა ითვლება, რომელიც იმავე წესით მზადდება, როგორც საქართველოს სხვა მხარეებში.

დასახლების ტიპი და კარ-მიდამო აფხაზეთში ისეთივეა, როგორც დანარჩენ დასავლეთ საქართველოში, ე.წ. გაფანტული სახისა. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი ერთმანეთისაგან განცალკევებით, ჰორიზონტალურ ჭრილშია წარმოდგენილი. კარმიდამოს ცენტრში ჩვეულებრივ საცხოვრისია, რომლის წინ საგანგებოდ მოვლილი მოლია რამდენიმე საჩრდილობლით. საცხოვრისის უკან კი, ე.წ. შავი ეზოა სამეურნეო ნაგებობათა განლაგებით.

ხის საცხოვრებლის უძველესი ტიპი, რომელიც თავისებური ლაკონურ-რობით და სილამაზით გამოირჩევა, არის წნული ნაგებობა — „აფაცხა“⁴, რომლის გავრცელების არეალი დასავლეთ საქართველოა (თ. აჩუგბა, 1978: 132).

აფხაზური ძირითადი საცხოვრისისგან ათიოდე მეტრის მოშორებით, აგებდნენ მომცრო ზომის ფაცხას — ამხარას, რომელიც განკუთვნილი იყო ახლად დაქორწინებულთათვის და აფხაზური კარმიდამოს განუყოფელ ელემენტს წარმოადგენდა. იგი სპეციალურად ქორწინების დღისათვის იგებოდა (Малиа, Акаба, 1982: 159). საგანგებო ადგილის გამოყოფა ახლადდაქორწინებულთათვის საქართველოს სხვა მხარეებისათვისაც იყო დამახასიათებელი (სვანეთი — მაჩვიბი, მესხეთი აჯილაკი დარბაზოვანში), ხოლო რაჭაში, აფხაზეთის ანალოგიურად, საგანგებო, ე.წ. სანთიობო სახლი (სახლ-ბეღელი) არსებობდა ამ დანიშნულებით.

აფხაზეთის საცხოვრისის უფრო განვითარებული ტიპი იყო „აჯარგუალ“-ი - მორებისაგან აგებული ძეღური სახლი. მოგვიანებით, მის ასაგებად იყენებდნენ შუაზე გახეთქილ მორებსაც. ასეთი ძეღური სახლები საქართველოში საყოველთაოდ იყო გავრცელებული და სამეგრელოს, რაჭის, სვანეთის, აჭარის, იმერხევის მთიან ადგილებში ახლაც გვხვდება. სულხან-საბას განმარტებით ჯარგუალი ეს არს „ძელნი მოჭდობილნი სამ-ოთხკუთხედად“ (სულხან-საბა, 1949). ეს სიტყვა ქართული ენის მეგრულ დიალექტზე მრგვალ ხეს ნიშნავს (ჯი/ჯა ძელის შესატყვისობას წარმოადგენს, „რგუალ“ კიდევ მრგვალისას. ე. ი. მრგვალი ხისგან აგებულს ნიშნავს (ივ. ჯავახიშვილი, 1946). რა თქმა უნდა, აფხაზურ ხალხურ მეტყველებაში გავრცელებული ტერმინი „ა-ჯარგუალ“ ქართული ენის მეგრული დიალექტიდანაა შეთვისებული.

აფხაზეთში ტრადიციული საცხოვრებელი ნაგებობის ყველაზე განვითარებული ტიპი იყო კლასიკური ქართული (კოლხური) ოდა სახლი — ფართოდ გავრცელებული მთელ დასავლეთ საქართველოში. ხიმიწებზე ან ქვით ამოყვანილ საძირკველზე შემდგარ ოდას ერთი ან რამდენიმე აივანი ჰქონდა, რომელიც ხშირად მორთული იყო ორნამენტირებული ხის ფარ-

4 ეს ტერმინი ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანს აქვს დადასტურებული. წნული სახლი საბას განმარტებით არის ფაცხა სახლი (სულხან-საბა, 1949). ფაცხა განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული აფხაზეთში („აფაცხა“) და სამეგრელოში. მისი აღრინდელი ფორმა იყო მრგვალი ფორმის წნული, რომელსაც სამეგრელოში „ფაცხა-კუნჭულას“ უწოდებდნენ. მომდევნო საფეხურზე მისგან განვითარდა ოთხკუთხა წნული კარკასული ნაგებობა იგივე სახელწოდებით.

დებით და რიკულებით. კედლები ძირითადად წაბლის ხის მასალით იყო ამოყვანილი. ოსტატები მოსულნი იყვნენ. განსაკუთრებით აბჟუის აფხაზეთში, ანუ ოჩამჩირე-ტყვარჩელის მხარეში უმეტეს შემთხვევაში რაჭიდან გადმოსული ქართველი ხელოსნები მუშაობდნენ (Малиа, Акаба, 1982: 188). აფხაზეთში ასეთ ოდა სახლს „აკვასკას“ უწოდებდნენ⁵. მისი საცხოვრებელი ფართი სეგმენტირებული იყო ფუნქციურად დატვირთულ ოთახებად, ანუ აფხაზურად „ათახებად“, რომელთა შორის იზოლირებული იყო ცალკე ოთახი საქორწინო ასაკის ახალგაზრდებისათვის. ამ ოთახმა ფაქტობრივად შეცვალა აფხაზურ კარმიდამოში ცალკე მდგარი საქორწინო „ამხარა“ (Малиа, Акаба, - 1982: 188).

აფხაზთა სამეურნეო ნაგებობანი: თხებისათვის განკუთვნილი „მარაკა“, საქონლის სადგომი, ბოძებზე ან ხიმიწებზე შემდგარი სასიმიწდებები და სხვა, ჩვეულებრივ მრგვალი ან ოთხკუთხა, როდოდენდრონის წნულები იყო, სამეგრელოს, გურიის, იმერეთის მასალის იდენტური. ასასვლელ კიბეს დასავლეთ საქართველოში საყოველთაოდ გავრცელებული საფეხურებად ამოჭრილი მორი წარმოადგენდა.

დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, გვიანი შუა საუკუნეებიდან ეთნიკურ-დემოგრაფიული სურათის შეცვლის შედეგად, აქ XIX საუკუნისათვის წარმოიქმნა საქართველოს სხვა მხარეებისაგან განსხვავებული სოციალური ვითარება: ფეოდალური ურთიერთობები კლასიკური სახით მხოლოდ ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში დარჩენილ აფხაზეთის ნაწილში შემორჩა, დასავლეთ აფხაზეთსა და მთიან რაიონებში კი, სადაც ჩასახლდნენ ჩრდილო კავკასიიდან გადმოსული აბაზურ-ადღეური ტომები, თემურ-გვაროვნული ურთიერთობები დამკვიდრდა. საენათმეცნიერო გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ აფხაზურ ენაში შესული ქართული სოციალური ტერმინები (ა-თაუად — თავადი, ა-უფვილ — უფლისწული, ა-შნაყუმა — შინაყუმა და სხვა) ასახავენ გვიანშუასაუკუნეების ვითარებას (თ. გვანცელაძე, 1998: 46-49), ანუ, იმ პერიოდს, როდესაც ხდება მათი ჩამოსახლება საქართველოში — აფხაზეთში.

აფხაზთა საოჯახო ყოფა პატრიარქალური იყო. ორ-სამ თაობიანი დიდი ოჯახების პარალელურად XIX საუკუნიდან აფხაზეთში უკვე არსებობდა მცირე მონოგამიური ოჯახები. ოჯახის უფროსი ერთპიროვნულად განაგებდა საოჯახო ქონებას, იგი წყვეტდა ყველა საკითხს. ქონების გაყოფისას მცირედი უპირატესობა უფროს და უმცროს ვაჟებს ენიჭებოდათ, მშობლების სახლში უმცროსი ვაჟი რჩებოდა და მის ვალდებულებას მოხუცი მშობლების მოვლა წარმოადგენდა. ოჯახში გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდა უფროსი დიასახლისი, თუმცა ქალები მამაკაცებთან შედარებით ნაკლებ უფლებებს ფლობდნენ.

საქორწინო ურთიერთობებში არსებობდა ნათესაური და წოდებრივი სახის აკრძალვები. ეგზოგამია გრცელდებოდა როგორც მამის, ასევე დედის ხაზით ნათესავებზე. დაუშვებელი იყო ქორწინება ხელოვნურ ნათესაობა-

⁵ აკვასკის ერთი ასეთი ნიმუში, რომელიც XIX ს. II ნახევარს განეკუთვნება, 1977 წელს ტყვარჩელიდან არის გადმოტანილი საქართველოს ეროვნული მუზეუმის გ. ჩიტაიას ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

შიც. სისხლის აღრევა („ამახავა“) მკაცრად ისჯებოდა. აფხაზებში გავრცელებული იყო ლევირატი და სორორატი. იცოდნენ ქალის გამოსყიდვა საქონლით ან ფულით, აკვანში დანიშვნა (აკვანზე ნიშნის დადებით, გოგოს აკვანში კი ტყვია-წამლის ჩადებით), მოტაცება („ამცარსა“). ამ გზას უარის თქმის შიშით ან საპატარძლოს ოჯახის მხრიდან სიტყვის გატეხის შემთხვევაში მიმართავდნენ. მოტაცება, როგორც წესი, შერიგებით თავდებოდა, რათა თავიდან აერიდებინათ სისხლის აღება და მოტაცებულსაც „შერცხვენილის“ სახელი არ ჰქონოდა. ქორწინების აუცილებელი პირობა იყო საპატარძლოს მშობლებისთვის გადასახადის („აჩმა“) გადახდა. აჩმა ძირითადად საქონლის სახით გადაიხდებოდა. ქორწინება საქმროსა და საპატარძლოს ნათესავების მოლაპარაკებით წყდებოდა. ნიშნობაზე ვაყის უფროსი ნათესავი რამდენიმე თანმხლებთან ერთად საჩუქრებით მიდიოდა საპატარძლოს სახლში. თანხმობის შემდეგ საპატარძლოს ოჯახიც საჩუქარს უგზავნიდა სასიძოს. ქორწილის დღეს პატარძალს საჩუქრებს ჩუქნიდნენ და შეჰყავდათ ამხარაში, სადაც ორი-სამი კვირა უნდა დარჩენილიყო. ნეფე ამ ხნის მანძილზე დღისით ამხანაგებთან იყო, ღამით მალულად სტუმრობდა პატარძალს. შემდეგ იმართებოდა სიძე-პატარძლის ამხარიდან გამოყვანისა და დიდ სახლში შეყვანის რიტუალი. წყალზე გასვლის რიტუალის შემდეგ პატარძალი ერთვებოდა ოჯახის სამეურნეო საქმიანობაში. პირველ მშობიარობამდე იგი რამდენიმე თვით ბრუნდებოდა მშობლების სახლში, შემდეგ კი საბოლოოდ გადადიოდა ქმრის ოჯახში.

ოჯახში დაცული იყო ე. წ. განრიდების ჩვეულება, ურთიერთობები სქესობრივ-ასაკობრივი სტატუსის მიხედვით რეგულირდებოდა. ახალდაქორწინებულები ნიშნობიდან ქორწილამდე და შემდეგ დიდ სახლში შეყვანის რიტუალამდე თავს არიდებდნენ უფროს ნათესავებს. ცოლ-ქმარი სხვების თანდასწრებით ერთმანეთს არ ელაპარაკებოდა, არც სახელით მიმართავდნენ და არც ახსენებდნენ ერთმანეთს, ასევე არ ახსენებდნენ მამამთილ-დედამთილისა და სიდედრ-სიმამრის სახელებს. გავრცელებული იყო გაძიძავების ჩვეულება („აძარა“), ამასთან, აღმზრდელი ყოველთვის სოციალურად უფრო დაბალი ფენის წარმომადგენელი იყო. მას ბავშვის მშობლები ამარაგებდნენ საჭირო ინვენტარით, ჭურჭლითა და მეწველი საქონლით.

აფხაზებში გავრცელებული იყო სამეზობლო და საგვარო ურთიერთდახმარების ფორმები (მაგ. მესაქონლეების გაერთიანება („ავუბ“), მიწათმოქმედების გაერთიანება („კერაზ“) და სხვ.), სტუმარ-მასპინძლობის, სისხლის აღებისა („აშაურა“) და უფროსთა პატივისცემის ჩვეულება. სისხლს უცხო გვარისგან იღებდნენ. გვარის შიგნით მკვლელობის შემთხვევაში მკვლელს მხოლოდ მოიკვეთდნენ. სისხლის აღებაზე „ხანი და ვადის გასვლა“ არ მოქმედებდა და შურისძიების აუცილებლობა თაობებზე გადადიოდა. შერიგების ხერხს წარმოადგენდა ასევე ბავშვის აღსაზრდელად აყვანა („ათალიკობა“), ამ გზით ნათესაური კავშირი მყარდებოდა ორ გვარს შორის და სისხლის აღება დაუშვებელი ხდებოდა. შერიგება შესაძლებელი იყო, აგრეთვე, თუ მკვლელი მოახერხებდა და მოკლულის ოჯახის წევრ რომელიმე ქალს ძუძუსზე კბილს დაადგამდა, ან მკვლელის ოჯახის წევრი ქალი მოკლულის ოჯახის წევრი ბავშვისთვის ძუძუს წოვების იმიტაციას მოა-

ხერხებდა. ასეთ შემთხვევაში, მიიჩნეოდა, რომ ხელოვნური დანათესავების რიტუალია შესრულებული და აღარ დაიშვებოდა სისხლის აღება.

ეთნომუსიკოლოგთა დაკვირვებით, აფხაზური მრავალხმიანობის საფუძველს ორხმიანობა წარმოადგენს, სამხმიანობა უფრო გვიანდელ ხანას მიეკუთვნება. ანუ მრავალხმიანობა ქართული (მეგრული) მრავალხმიანობის გავლენითაა აფხაზურში წარმოქმნილი. რაც გვიანშუასაუკუნეებიდან აფსუათა საქართველოში ჩამოსახლებას უკავშირდება. არც აფხაზური ორხმიანობა ჩანს განყენებულად განვითარებული. ბუნებრივია, ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა მრავალსაუკუნოვანმა ეთნოკულტურულმა კავშირებმა განაპირობეს ამ ხალხების სასიმღერო შემოქმედების ურთიერთგავლენა (Ахобадзе, 1957; Аргун, 1977; Кортуа, 1959; И. Хашба, 1967; М. Хашба, 1983; ნ. მაისურაძე, 1989; მ. შილაკაძე, 2007).

ქართული კულტურის გავლენითაა შექმნილი აფხაზური ხალხური საკრავები: აფხიარცა, აიუმაა, აბიკ-ი, აჩამგურ//აჩანგურ-ი და აჭარპინ//აჭარპან-ი. აჭარპინ//აჭარპან-ი ორივე მხრიდან გახსნილ გრძელ მილს წარმოადგენს. იგი მზადდება მცენარის ღეროსაგან, რომელსაც აჭარპინ//აჭარპან-ი ჰქვია. გარდა აჭარპანის ღეროსი, ამ ინსტრუმენტს ამზადებენ გოგრის ღეროს, თხილის ან ხურმის ტოტისაგანაც. აჭარპანი აფხაზეთში გავრცელებული იყო მწყემსთა შორის. საკრავს მაგიურ ძალასაც მიაწერდნენ (И. Хашба, 1967: 80-86; მ. შილაკაძე, 2007: 105).

აფხიარცა ორსიმინი, ხემინი საკრავია. საქართველოში გავრცელებულ ხემინს საკრავთაგან იგი მხოლოდ გარეგნული ფორმით გამოირჩევა. ხალხურ მუსიკალურ პრაქტიკაში აფხიარცა სააკომპანენტო ინსტრუმენტია სოლო და საგუნდო სიმღერებისათვის. მასზე დამკვრელი (ძირითადად მამაკაცი) თვითონვეა სიმღერის ტექსტის ავტორი და შემსრულებელი. სიმღერების მთავარი თემა საგმირო ეპოსია. აფხიარცას თანხლებით, დალუპულთა გამო მწუხარების გამოხატვა სიმღერით ხდებოდა. მასვე მიეწერებოდა ტკივილის შესამსუბუქებელი, სამკურნალო ფუნქცია. აფხიარცაზე სრულდებოდა აგრეთვე საწესო სიმღერები (მონადირეთა, წვიმის გამოწვევის წეს-ჩვეულების დროს და უბედური შემთხვევისაგან გარდაცვლილის სულის გამოხსნის წესების შესრულების დროს (И. Хашба, 1967: 31-39; მ. შილაკაძე, 2007: 37).

აფხაზური სასიგნალო საკრავია აბიკ-ი. ამ ინსტრუმენტის საშუალებით ცხადდებოდა განგაში, უხმობდნენ თემის ყრილობას. აბიკ-ი, ცხადია, ქართული ბუკისგან წარმომდგარია და იგი სვანეთის ტრადიციულ ყოფში არსებული ბუკის სრულიად იდენტურია (И. Хашба, 1967: 78-79; მ. შილაკაძე, 2007: 108).

აფხაზური საკრავი აიუმაა მოგვაგონებს არფას. საკრავზე შესრულების დროს აიუმაა ედოთ მარჯვენა მუხლზე. ორივე ხელის მეორე და მესამე თითის ბალიშებით ხდებოდა სიმების აყდერება. საკრავი ძირითადად გამოიყენებოდა სიმღერის აკომპანიმენტისათვის. მისი თანხლებით სრულდებოდა ისტორიული და საგმირო სიმღერები. სახელწოდება აიუმაა ნიშნავს „ორხელას“. ი. ხაშბას აზრით, ეს სახელწოდება ანალოგიურია სვანური „მიმეკვმე“-სი, რაც სალიტერატურო ქართულით მოტეხილ ხელს ნიშნავს (И. Хашба, 1967: 54-76).

აჩამგურ//აჩანგურ-ი აფხაზურში შესულია ქართულიდან. ეს ოთხსიმიანი ქართული საკრავი ჩონგურია. ი. ხაშბას აზრით, საკრავი და მასზე დაკვრის ხერხები აფხაზებში ისეთივეა, როგორც გურია-სამეგრელოში გავრცელებულ საკრავზე (И. Хашба, 1967: 77).

აფხაზურ ხალხურ სიმღერებში შეინიშნება ქართული ფოლკლორის დიდი გავლენა: აკომპანიმენტის ფაქტურა, ინსტრუმენტის წყობა, რიტმულ-ინტონაციური სურათი, აკორდიკა. მნიშვნელოვანი თვისებებია — კვარტული საყრდენის ხაზგასმა აკომპანიმენტში, პუნქტირებული და სინკოპირებული რიტმის სიჭარბე, დამახასიათებელი ფორმა — მრავალჯერ გამეორებული ფრაზა, წინადადება. ინსტრუმენტული მუსიკის საერთო ნიშნები ქართულ ინსტრუმენტულ მუსიკასთან თავს იჩენს მელოდიურ-ინტონაციურ სფეროში (ინტონაციური მსგავსება აჭარპანის ჰანგისა ლარჭემის ჰანგთან), საკადანსო ფორმებში (განსაკუთრებით კვარტული კადანსის სიჭარბე), ქართულიდან აფხაზურში ათვისებული საკრავის, კერძოდ აჩანგურის თანხლების ფაქტურაში, მეტრო-რიტმული, ინტონაციურ მიმოქცევებსა და აკორდიკაში (М. Хашба, 1983: 5; მ. შილაკაძე, 2007: 141).

აფხაზეთის ხალხური სამედიცინო კულტურა მოიცავს ქირურგიული, თერაპიული და ა. შ. მკურნალობის ტრადიციებს, რომლებიც საქართველოს სხვა მხარეებში დადასტურებულ ხალხურ სამედიცინო ტრადიციებთან საკმაოდ ახლო დგას და ხშირად მათი ანალოგიურია.

აფხაზეთის მთიანეთში, როგორც საქართველოს სხვა მთის რეგიონებში, ტრავმების მკურნალობა მაღალ დონეზე იდგა. ტრავმებს აქ ეფექტური მეთოდებით აღჭურვილი ადგილობრივი „პროფესიონალი“ დასტაქრები მკურნალობდნენ. უმეტესწილად სწორედ აფხაზეთსა და სვანეთში დასტურდება მძიმედ დაჭრილის მოვლის ერთი შესანიშნავი ტრადიცია — ღამის თევა, „ღამის ტეხვა“ (М. Хашба, 1983: 59), დაჭრილის გართობა მუსიკით და იქ მყოფთა მიერ მოყოლილი ამბებით, რაც დაჭრილს მდგომარეობას უმსუბუქებდა. ცნობილია, რომ მძიმე ავადმყოფისათვის ღამის თევის ტრადიცია გავრცელებული იყო საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

აფხაზები იყენებდნენ სისხლდენის შეჩერების ეფექტურ საშუალებას — მშრალ სისხლს (Шабловский, 1886: 38), რომელიც საქართველოს სხვა რეგიონების სამკურნალო პრაქტიკაშიც დასტურდება. ეს მეთოდი აღწერილია XVI საუკუნის ქართულ სამედიცინო ხელნაწერში „იდიგარ დაუღში“ (დავით ბაგრატიონი, 1985: 535).

იგივე უნდა ითქვას შინაგან, ყელ-ყურ-ცხვირისა და სხვა დაავადებათა მკურნალობის პრაქტიკაზე, ნატუროპათიური, მცენარეული, ცხოველური თუ მინერალური საშუალებებით. აფხაზები იცნობდნენ ფლორას, მცენარეთა სამკურნალო თვისებებს, რაც, ალბათ, სხვა ფაქტორებთან ერთად, აფხაზთა ხანგრძლივ სიცოცხლეს განაპირობებდა. ბუნებრივი ინგრედიენტებით დამზადებული წამლების რეცეპტები ხშირად გასაიდუმლოებული იყო და ისევე, როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადაეცემოდა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დაავადებებთან დაკავშირებული აფხაზეთში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენებისა და მაგიურ-რელიგიური სამკურნალო საშუალებების შესახებ. მაგიურ-რელიგიური მედიცინა აქ

სინკრეტული ხასიათისაა. მასში იკვეთება წარმართული, ქრისტიანული და მუსულმანური რელიგიის გავლენის კვალი. აქ, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, სულიერი დაავადებების დროს შველას წმიდა გიორგის შესთხოვდნენ და ილორის ეკლესიაში ლოცულობდნენ. იმავდროულად, სხვადასხვა სახის მძიმე დაავადებათა შემთხვევაში, მოლებს მიმართავდნენ და დაწერილი ამულეტით — ნუსხით ცდილობდნენ განკურნებას.

აფხაზეთში შემორჩენილია წარმართული რელიგიიდან მომდინარე ბევრი სამკურნალო საშუალება — შელოცვებისა თუ სხვა სახის რიტუალური ქმედებების სახით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სწორედ აქ იკვეთება ბავშვთა ინფექციური დაავადებებით, ე. წ. ბატონებით დაავადებულის მოვლის რიტუალური სისტემის უძველესი პლასტები, რომლებიც „დიდი დედა ნანას“ კულტს შეიძლება დაუკავშირდეს. სახადების, ბატონების დროს ოჯახში დაცული მთელი რიგი წესები: სხვადასხვა სახის აკრძალვები, „ბატონებისთვის“ სუფრის გაშლის ტრადიცია, საქართველოს სხვა რეგიონებში გავრცელებული წესების ანალოგიურია. თავად აფხაზ მეცნიერთა მიერ რეტროსპექტიული ანალიზის ჩატარების შედეგად დადგენილ იქნა ქართული „ბატონების იავნანის“ და აფხაზური „ყვავილის სიმღერის“ გენეტიკური კავშირი (М. Хашба, 1983: 53-54).

ამა თუ იმ დაავადების აფხაზეთში შემორჩენილი არქაული სამკურნალო რიტუალი ხშირად ავსებს საქართველოს სხვა რეგიონებში ფრაგმენტული სახით შემორჩენილ რიტუალებს. ასე მაგალითად, დასავლეთ საქართველოში საკმაოდ ფართოდ გავრცელებული დაავადების — ციების ერთ-ერთი სახეობის — უჟმურის მკურნალობის მაგიური რიტუალი, სრული სახით იშვიათად დასტურდება და უმეტესად ავადმყოფობის გამომწვევად მიჩნეული „მიწის სულისათვის“ ცომის ან თიხისაგან გამოძერწილი ადამიანის ფიგურის მიწისთვის შეწირვით შემოიფარგლება, ისიც არა ყველგან. მაშინ როდესაც აფხაზეთში „უჟმურის“ რიტუალური „მკურნალობის“ შედარებით სრული სახე მ. ჯანაშვილის მიერ არის დადასტურებული და აღწერილი. ეს რიტუალი, მიწისთვის თოჯინის შეწირვასთან ერთად გულისხმობს ფეტვის ნამცხვრის გამოცხობას, მისი ნაჭრების გზავარედინზე გატანას, გზავარედინზე სანთლების დანთებას, „ადგილის დედისადმი“ სავედრებლის წარმოთქმას და სხვა.

აფხაზურ მონადირეობასთან⁶ დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებსა და ფოლკლორულ მასალაში იკვეთება როგორც არქაული, ასევე ქრისტიანული რწმენის პლასტები. ცხადია, აფხაზების სამონადირეო წეს-ჩვეულებებსა და ტერმინოლოგიაშიც შეინიშნება ქართული სამონადირეო ეპოსისა და სარიტუალო პრაქტიკის დიდი კვალი.

საერთოდ, აფხაზური ფოლკლორი მდიდარია სამონადირეო ლექს-სიმღერებით და ეს მასალა მჭიდრო კავშირს ავლენს ქართულ, განსაკუთრებით დასავლურ-ქართულ (სვანურ, მეგრულ) ფოლკლორთან, ასევე, ბევრი

6 მონადირეობას საქართველოში უძველესი დროიდან მისდევდნენ. იგი უძველესი „ხელობაა“, ტრადიციული დარგია. ფეოდალურ საქართველოში მონადირეობა თითქმის გადაჯაჭვული იყო მოლაშქრეობასთან და სამხედრო ბეგარის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა. მრავალფეროვანია ნადირობის წესები, მეთოდები და იარაღები. არსებობს საგულისხმო ნიუანსები საქართველოს სხვადასხვა ეთნოგრაფიულ მხარეში.

პარალელის გავლება შეიძლება აღმოსავლურ ქართულ სამონადირეო წარმოდგენებთანაც.

აფხაზეთშიც, მსგავსად საქართველოს ყველა სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარისა, მონადირეობა წმინდა საქმედ ითვლებოდა. არსებობდა მკაცრად დადგენილი ქცევის წესები და აკრძალვები, რეგლამენტირებული იყო, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო მონადირე ნადირობამდე, ნადირობისას და ნადირობის შემდეგ. შემონახულია მრავალი სამონადირეო აღკვეთა, რომელთა დაცვა წარმატებული ნადირობის წინაპირობად მიიჩნეოდა. აღნიშნული სახის აფხაზური და ქართული წესები სრულად ემთხვევა ერთმანეთს.

სანადიროდ წასვლის წინ აფხაზი მონადირე ვალდებული იყო ტაბუირების რთული სისტემა დაეცვა, რათა არ შეებღალა ნადირობის სიწმინდე. მამაკაცს, სანადიროდ წასვლის წინ არ ჰქონდა ურთიერთობა არათუ უცხო ქალთან, არამედ საკუთარ მეუღლესთანაც კი. მკაცრად განსაზღვრული იყო საგზლის შემადგენლობა. დადგენილი იყო თუ რომელი ნადირის მოკვლა შეეძლო მონადირეს და მოკლული ნადირიდან რა ნაწილი უნდა შეეწირა ნადირობის ღვთაებებისადმი. იმის გამო, რომ ნადირობაც და ნანადირევიც წმინდად ითვლებოდა, მონადირის ოჯახს არ ჰქონდა უფლება ნანადირევის ძვალი გადაეგდო ან დაეწვა, აუცილებელი იყო მისი დამარხვა სუფთა ადგილზე, ისევე როგორც, მაგალითად, სვანეთში. აღნიშნული წარმოდგენა დაკავშირებულია იმასთან, რომ აფხაზთა რწმენით ნადირთ მწყემსს/აჟვეიფმას ჰყავს ცხოველთა ჯოგები, საიდანაც ღვთაების ნებით მონადირეს ეძლევა მათი გარკვეული რაოდენობა. ცხოველის მოკვლის შემდეგ ძვლები ნადირთ პატრონს უბრუნდება, ნადირის მკვდრებით აღსადგენად კი ყველა ძვალია საჭირო. ასეთივე სახის რწმენა-წარმოდგენები არსებობდა ქართველებშიც (ე. ვირსალაძე, 1964). ქართულსა და აფხაზურ ფოლკორში მრავალი გადმოცემაა დაცული იმის შესახებ, თუ როგორ დააკლდა ნადირთ პატრონს ერთ-ერთი ძვალი და მის მაგიერ ხე ჩაუდგა მკვდრით აღმდგარ ცხოველს, მსგავსად სვანური მასალისა. საერთოდ, აფხაზური მასალა განსაკუთრებულ მსგავსებას სვანურ მასალასთან ავლენს, რადგან ჩრდილო კავკასიიდან გადმოსულ ტომებს, საერთოდ, აფხაზეთში და განსაკუთრებით კოდორის ზემო წელში ქართველთა სხვა ჯგუფებთან ერთად ეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული თემი/ჯგუფიც დახვდათ. შესაბამისად, ბევრი პარალელიც დაფიქსირდა ტრადიციულ ყოფაში. ღვთაების გულის მოგების მიზნით მონადირე ნანადირევიდან გარკვეულ ნაწილს ნადირთ ღვთაებას სწირავდა. განსაზღვრული იყო, თუ რა ნაწილის შეწირვა იყო აუცილებელი და ასეთ ორგანოებად აფხაზურსა (ს. ზუხბა, 1988: 83) და ქართულ (ე. ვირსალაძე, 1964: 27) სამონადირეო ტრადიციაშიც გულ-ღვიძლი ითვლებოდა.

მრავალფეროვანი ქართული ეთნოგრაფიული მასალით, ნადირობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები, წეს-ჩვეულებები, ფოლკლორი, ნადირობის სამი მფარველი — „ნადირთ პატრონი“, „ოჩოპიტრე“ და „ნადირთ მწყემსი“ — საქართველოს სხვადასხვა მხარეში გარკვეული ვარიაციებით ყველგან ფიგურირებს. აფხაზური და ქართული სამონადირეო „ღვთაებების“ სისტემა ერთმანეთს ემთხვევა. აფხაზეთში ნადირობისა და

ტყის მთავარ მფარველ ღვთაებად **აჟვეიფშაა** ითვლება. აფხაზთა რწმენით, აჟვეიფშაას წყალობის გარეშე არავის შეეძლო ნადირის მოკვლა. რწმენა-წარმოდგენა აჟვეიფშაას შესახებ, ფაქტიურად, იმეორებს შეხედულებას სვანური „ავსათის“, აჭარული „ტყის კაცის“, მეგრული ოჩოკოჩისა, და აღმოსავლურ-ქართული „ოჩოპინტრე“ // „ოჩოპინტეს“ შესახებ (ივ. ჯავახიშვილი, 1960: 85).

აფხაზებს სჯეროდათ, რომ **აჟვეიფშაას** ჰყავდა **ქალიშვილები**, რომლებიც ირჩევდნენ საუკეთესო მონადირეებს. მონადირეებს არ ჰქონდათ ამ საიდუმლოს გამხელის და სხვა ქალებთან სასიყვარულო ურთიერთობის დამყარების უფლება. მონადირე სიცოცხლის ბოლომდე აჟვეიფშაას ქალიშვილის ერთგული უნდა დარჩენილიყო. **აღნიშნული რწმენა-წარმოდგენა ზუსტად იმეორებს ზოგადქართულ შეხედულებას „ნადირთ პატრონისა“ და მისი ლოკალური ვარიაციების — სვანური დალისა და მეგრული „ტყაში მავას“ შესახებ.** ტყის მფარველ ღვთაებებთან დაკავშირებული ქართული და აფხაზური ზეპირსიტყვიერი მასალაც აბსოლუტურ თანხვედრაში მოდის ერთმანეთთან, ფაქტობრივად, ერთი და იგივე შინაარსის მატარებელია.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ აფხაზურში ჩვეულებრივი სასაუბრო ენის გვერდით არსებობდა სპეციალური სამონადირეო ენა, რომელიც მხოლოდ მონადირეებისთვის იყო ცნობილი. აფხაზების რწმენით ნადირობისას დაუშვებელი იყო ჩვეულებრივ ენაზე საუბარი, რადგან ასეთ შემთხვევაში ნადირი გაიგებდა, რომ მის მოკვლას აპირებდა მონადირე და დაფრთხებოდა (Гулия, 1926: 14). აღნიშნული მოვლენის ზუსტ ანალოგს ვხვდებით სვანეთში, ნადირობისას აქაც ჩვეულისგან სრულიად განსხვავებული მეტყველება — მონადირეთა საიდუმლო ენა გამოიყენება (ა. ქალდანი, 1978: 45).

არცთუ იშვიათად, აფხაზები აჟვეიფშაას პარალელურად იყენებდნენ სახელს **„აირგ“-ს** და მას გაიაზრებდნენ, როგორც **თეთრ ცხენზე ამხედრებულ მემარს**. სანადიროდ მიმავალ მამაკაცს შემხვედრნი მიმართავდნენ შემდეგი სიტყვებით: „დაე, ნადირობაში ხელი მოგიმართოს აირგმა“ (Гулия, 1926). **ცხადია, აქ წმიდა გიორგის განალხურებულ აღქმასთან გვაქვს საქმე**, რადგანაც ქრისტიანობის გავლენით, ყველგან და მათ შორის აფხაზეთშიც, ნადირობის და მონადირეთა მფარველად, სვე-ბედის მომცემად წმინდა გიორგი ითვლება. აფხაზური მასალითაც თვალნათლივ ჩანს, რომ საუბარია წმ. გიორგიზე, თუმცა ღვთაება აირგს ვხვდებით აფხაზურ ნართულ ეპოსშიც, სადაც იგი წარმოდგენილია, ჭექა-ქუხილის ღვთაებად. დ. გულიას ცნობით, მისი თანამედროვე აფხაზებზეც ამბობდნენ, რომ წმინდა გიორგის ილორის ხატი ციდან თვალს ადევნებს ეშმაკს და დროდადრო ხეებს ესვრის შუბებს ჭექა-ქუხილის სახით. ეს იმიტომ, რომ ეშმაკი ცდილობს ხის ტოტემში დამალვას (Гулия, 1926: 6). აქედან ჩანს, რომ აფხაზურ მითოლოგიაში მოხდა ქრისტიანი წმინდა მოწამე გიორგის შესახებ საეკლესიო გადმოცემების განალხურება, ილორის წმ. გიორგის ხატზე გამოსახული სცენა, ხალხურ თქმულებად იქცა და წმინდა მოწამის სახელი, მათთვის უფრო ნაცნობი სახელით შეიცვალა. ცნობილია, მონადირეები სვანეთშიც სწორედ წმიდა გიორგის (ქართული ენის სვანურ

დიალექტებზე — ჯგ 2 რკ) შესთხოვდნენ ნადირობაში ხელის მომართვას⁷, რაც ცხადყოფს, რომ აფხაზი მონადირეების მიერ აირგ-ის მოხმობა არაა გამოწვეული უბრალოდ, წარმართული ღვთაებისა და წმიდა გიორგის სახელების ფონემატური მსგავსებით. ცნობილია, აფხაზთა ნაწილის გაქრისტიანება მოხდა მათი საქართველოში ჩამოსახლების შემდეგ (გვიანი შუასაუკუნეები), როდესაც ქართული სახელმწიფოს დასუსტებამ და ქვეყნის ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლამ განაპირობა აფხაზთა ექსპანსიური მიგრაცია მანამდე ქრისტიანი ქართველებით (მათ შორის, ქართული ეთნოსის შემადგენელი ძველი აფხაზებით) დასახლებულ აფხაზეთში. სწორედ დამხვედრი ქართველი მოსახლეობისაგან უნდა შეეთვისებინათ მოსულ აფხაზებს სუბსტრატის სახით ქართველიზებული ბერძნული ქრისტიანული ტერმინოლოგია (თ. გვანცელაძე, 1998: 43). მოგვიანებით აფხაზებმა სწორედ ასეთი სახით შეინარჩუნეს ქრისტიანული გადმოცემები. ხოლო უფრო გვიან, როცა აფხაზების ნაწილში ქრისტიანობამ მეფის რუსეთის აქტიური ჩარევის შედეგად კვლავ მოიკიდა ფეხი, რა თქმა უნდა, აფხაზთა ცნობიერებაში წმინდა გიორგის შესახებ არსებულმა ქრისტიანულმა გადმოცემებმა უკვე თავისი ადგილი დაიკავეს და აირგ-ისა და წმ. გიორგის ერთმანეთისაგან გაუცხოვება მოხდა.

პარალელურ აფხაზურ მითოლოგიაში არსებულ სინკრეტულ წარმოდგენებს წმ. გიორგის შესახებ ვხვდებით არა მხოლოდ აფხაზთა უშუალო მეზობელ დასავლეთ ქართულ ეთნოგრაფიულ ჯგუფებში (აფხაზები, სვანები, მეგრელები), არამედ აღმოსავლეთ საქართველოს მთაშიც. ამის ნათელი მაგალითი თუნდაც ხევსურული ხახმატის ჯვარია, სადაც ძირითადად ლოცულობდნენ „გიორგი ნაღვარმშვენიერისა და სამძიმარ ყელლილიანის“ სახელზე. ამ ხატის დაარსების ისტორიაც წმინდა გიორგის ცხოვრების ერთერთი ეპიზოდის გახალხურებულ ვარიანტს წარმოადგენს (თ. ოჩიაური, 2001: 60).

საქართველოს ტერიტორიაზე (აფხაზეთში) ეტაპობრივად ჩამოსახლებულმა აფხაზებმა ადგილზე დამხვედრ ქართველთაგან მითოლოგიისა თუ რელიგიური წარმოდგენების მრავალი სხვა ელემენტიც შეითვისეს (ნ. აბაკელია, 2000; თ. გვანცელაძე, 1998: 42-46; თ. გვანცელაძე, 2000).

ცნობილია, ქრისტიანული ტერმინოლოგია აფხაზურში (გგულისმობთ თანამედროვე და არა გვიანშუასაუკუნებამდე აფხაზებს) სალიტერატურო ან ქართული ენის მეგრული დიალექტიდანაა შესული. სალიტერატურო ქართულის გავლენითაა წარმოქმნილი შემდეგი ტერმინოლოგია: აჯარ — ჯვარი, ასაკვმალ — საკმეველი, აბერ — ბერი, აზარება — ზიარება, აგალაბა — გალობა, ასარკიალ — სარეკელი (ზარი); ხოლო ქართული ენის მეგრული დიალექტიდან მომდინარეა: ქირსა — ქრისტე, შობის

7 წარმატებული ნადირობის შემდეგ მონადირე სვანეთში ამ სახის სამადლობელს წარმოთქვამდა: „დიდება ღმერთს, მადლი ღმერთს, დამბადებელო, ბატონო ქვეყნისაო, ნანადირევი და მონადირე ყველა შენი გაჩენილია, რა დროსაც კი მოვმართო, ყოველ დროს შენი კარგი ჯვარი დამწერე, მადლი და სახელი იქნება შენი. ქრისტე მაცხოვარო! დიდება შენდა... **მწყალობელო, ცხოველო წმ. გიორგი!** დიდება შენდა. ადამიანის მწყალობელი შენა ბრძანდები, დღე და ღამე მარჯვნივ“ მომყევი, ქაჯ-ეშმაკი მაშორე ჩემს მწყალობელ ღმერთს დიდებას... დალს კლდისას დიდება!.. (ბ. ნიუარაძე, 1964: 36-37).

დღესასწაული, ქირსიან — ქრისტიანი, აახვამა — ეკლესია, თარგალაზ — მთავარანგელოზი, აჰყვანდარ — ჰყონდიდელი (ეპისკოპოსი), წყარკუთხია — წყალკურთხევა, ამქამგარია — მიქელ-გაბრიელის სახელზე შესრულებული ლოცვის რიტუალი და სხვა (თ. გვანცელაძე, 2000: 57-66).

ამრიგად, აფხაზეთის ეთნოგრაფიული სამყაროს ერთი ნაწილის — ეთნიკურ აფხაზთა (აფსუათა) ტრადიციული ყოფის სხვადასხვა ელემენტი (ანთროპოლოგიური, ისტორიული, ენათმეცნიერული და ეთნოგრაფიული მონაცემები) ნათლად წარმოაჩენს აფხაზეთის ოდიოგანვე არსებობას ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ სივრცეში და ქართული ყოფისა და კულტურის მნიშვნელოვან გავლენას გვიანშუასაუკუნეებიდან საქართველოში (აფხაზეთში) ეტაპობრივად ჩამოსხლებულ აბაზურ-ადიღეურ ტომთა ადგილზე — საქართველოში (აფხაზეთში) შექმნილ კულტურაზე. ამ კულტურაში გამოიყოფა ორი შრე, ერთი არის სუბსტრატული ფენა, რომელიც აბაზურ-ადიღეურ ტომთაგან ასიმილირებული ქართველების (აფხაზების) კულტურულ-სამეურნეო ყოფის მახასიათებელი იყო, ხოლო მეორე — სუპერსტრატული ფენა და იგი მეზობელი ქართველების — მეგრელებისა და სვანებისგან აქვთ შეთვისებული აფხაზებს (აფსუებს).

დამოწმებული ლიტერატურა:

- ნ. აბაკელია, 2000** — ნ. აბაკელია, წინაპართაგან დაწესებული ერთი წესჩვეულების შესახებ აფხაზეთში. — ჟ. არტანუჯი, 10, თბ., 2000.
- მ. აბდუშელიშვილი, 2004** — მ. აბდუშელიშვილი, ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური თავისებურებები, — კრ., დასკვნითი სიტყვა, თბ., 2004.
- გ. აღასანია, 2004** — გ. აღასანია, გაერთიანებული ქართული სამეფოს სათავეებთან, — ანალები, 2, თბ., 2004.
- თ. აჩუგბა, 1978** — თ. აჩუგბა, აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მატერი-ალური კულტურის ისტორიიდან. კრ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, თბ., 1978.
- დ. ბაგრატიონი, 1985** — დავით ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი. თბ., 1985.
- ს. ბახია-ოქრუაშვილი, 2000** — ს. ბახია-ოქრუაშვილი, აფხაზთა ეთნოგენეზის საკითხისათვის (სავგარეულო სალოცავები), — ჟ. კლიო, №7, თბ., 2000.
- ნ. ბერძენიშვილი, 1990** — ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990.
- ლ. ბითაძე, 2007** — ლ. ბითაძე, ანთროპოლოგიური მონაცემები აფხაზთა ეთნოგენეზის საკითხისათვის. წგნ ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი, თბ., 2007.

- გ. გასვიანი, 1998** — გ. გასვიანი, აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. — კრ., აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბ., 1998.
- თ. გვანცელაძე, 1998** — თ., გვანცელაძე, ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის. — კრ., აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბ., 1998.
- თ. გვანცელაძე, 2000** — თ. გვანცელაძე, ქართველური ქრისტიანული ტერმინების აფხაზურ ენაში სესხების დროის საკითხისათვის. — ჟ. არტანუჯი, 10, თბ., 2000.
- ე. ვირსალაძე, 1964** — ე. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი. თბ., 1964.
- ს. ზუხბა, 1988** — ს. ზუხბა, აფხაზური ზეპირსიტყვიერება. თბ. 1988.
- ლორთქიფანიძე, 1990.** — მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990.
- ნ. მაისურაძე, 1989** — ნ. მაისურაძე, ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები. თბ., 1989.
- ბ. ნიჟარაძე, 1964** — ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, თბ., 1964.
- თ. ოჩიაური, 2001** — თ. ოჩიაური, ხახმატის ჯვარი. კრ. ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2001.
- სულხან-საბა, 1949** — სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა. თბ., 1949.
- ტ. ფუტყარაძე, 2005** — ტ. ფუტყარაძე, ქართველები, I, ქუთაისი, 2005.
- ა. ქალდანი, 1978** — ა. ქალდანი, კოშკების სამყაროში, თბ., 1978.
- მ. შილაკაძე, 2007** — მ. შილაკაძე, ტრადიციული სამუსიკო საკრავები და ქართულ-ჩრდილოკავკასიური ეთნოკულტურული ურთიერთობანი. თბ., 2007.
- გ. ჩიტაია, 2000** — გ. ჩიტაია, შრომები, ტ. 2, თბ., 2000.
- ზ. ცინცაძე, 1998** — ზ. ცინცაძე, აფხაზეთის საქართველოდან მოწყვეტის სათავეებთან. კრ. აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბ., 1998.
- ბ. ხორავა, 2000** — ბ. ხორავა, ეთნიკური პროცესებისათვის გვიანი შუა საუკუნეების აფხაზეთში. — ჟ. არტანუჯი, 10, თბ., 2000.
- ივ. ჯავახიშვილი, 1946** — ივ. ჯავახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, ტ. 1, თბ., 1946.
- ივ. ჯავახიშვილი, 1960** — ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ. 1960.
- Аргун, 1977-** Аргун А. Искусство Абхазии, Тб., 1977.
- Ахобадзе, 1957-** Ахобадзе В. Предисловие. Абхазские песни. М., 1957.
- Бунак, 1947-** Бунак В. Антропологический состав населения Кавказа. Вестник Государственного музея Грузии. Тб., 1947.

- Гулия, 1926** _ Гулия Д. Божества охоты и охотничий язык у абхазов. Сухум, 1926
- Инал-Ипа, 1965** - Инал-Ипа Ш. Абхазы. Сухуми, 1965 .
- Кортуа, 1959** - Кортуа И. Абхазские народные песни и музыкальные инструменты Сух., 1959.
- Малия, Акаба, 1982** - Малия Е. Акаба Л. Одежда и жилище Абхазов. Тб., 1982.
- Хашба, 1967** _ Хашба И. Абхазские народные музыкальные инструменты. Сух., 1967.
- Хашба, 1983** _ Хашба М. Жанры Абхазской народной музыки. Сух., 1983.
- Шабловский, 1886** — Шабловский И. Медикаменты и способы лечения употребляемые народными врачами Абхазии и самурзакани. Медицинский сборник, № 41. Тифлис, 1886.

აფხაზეთში, საქართველო კონფლიქტის გამომწვევი ფაქტორები და მისი მოგვარების პროცესში რუსეთის პოლიტიკის მიზეზ-შედეგობრივი ასპექტები

წინასიტყვაობა

საქართველოში შექმნილი ვითარება არ არის მხოლოდ ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებით გამოწვეული და სათავეს გაცილებით შორეულ წარსულში იღებს. საქართველოს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მნიშვნელობა, რაც მისი გეოგრაფიული მდებარეობით არის განპირობებული, ყოველთვის იყო სხვადასხვა იმპერიის თვალთახედვის არეში.

ისტორიული თვალსაზრისით აღნიშნული საკითხი იმდენად დიდია, რომ რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს. ამჯერად განვიხილავთ საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების პროცესებში რუსეთის პოლიტიკის მიზეზ-შედეგობრივ ასპექტებს.

რუსეთის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ათვლის წერტილად გეორგიევსკის ტრაქტატს (1783 წ.) მიიჩნევენ, რაც ამ ურთიერთობათა ისტორიის დამახინჯებულ ფორმას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მიმართ რუსეთის ექსპანსიური პოლიტიკა და დადებული ხელშეკრულებების თუ მიღწეული შეთანხმებების დარღვევების ისტორია გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერამდე გაცილებით ადრე იწყება.

სანამ ძირითად ნაწილზე გადავიდოდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლითაც ასე დაჟინებით აპელირებენ რუსეთის პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები, ითვალისწინებდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის, ეკლესიის ავტოკეფალიისა და საქართველოს მონარქიის შენარჩუნებას, მეფის გვირგვინის მემკვიდრეობით გადაცემას. ყველა ეს პირობა დარღვეულ იქნა. გაუქმდა როგორც მონარქია, ასევე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, გაუქმებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრიობა და მისი სამეფო-სამთავროები ერთმანეთის მიყოლებით ძალადობრივად იქნა შეყვანილი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

სწორედ აქედან იწყება რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ ექსპანსიური პოლიტიკისა და დადებული შეთანხმებების ცალმხრივად დარღვევის ფაქტების ვრცელი ჩამონათვალი.

აფხაზეთში, საქართველო კონფლიქტის მიზეზები და მათი გამომწვევი ფაქტორები

იმისათვის, რათა გასაგები გახდეს აფხაზეთში, საქართველო 1992 წლის კონფლიქტის წარმოშობის მიზეზები, აუცილებელია „დიდი საბჭო-

ეთის“ პერიოდში კრემლის საქართველოსადმი დამოკიდებულებაში პატარა ექსკურსი გაკეთდეს.

რუსეთში ცარიზმის დამხობის შემდეგ (1917 წ. თებერვალი), იმპერიის ყოფილ ტერიტორიებზე, თანდათანობით დაიწყო ე.წ. „წითელი ტერორის“ გავრცელება. ოქტომბრის რევოლუციის (1917წ.) შემდეგ საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1918 წ. 26 მაისი გამომდინარე იქიდან, რომ თავის დროზე საქართველო ერთიანად იყო ანექსირებული, სავალდებულო არ იყო დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს ჩამოთვლილი ყოფილიყო ქვეყნის ცალკეული რეგიონები (აფხაზეთი, აჭარა, გურია, სამეგრელო, იმერეთი, ცხინვალის მხარე (გვიანდელი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი), სვანეთი და ა.შ.) რამდენადაც, საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობის განმავლობაში ისინი საქართველოს განუყოფელ ტერიტორიებს წარმოადგენდნენ. მეტიც, თუ რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან აფხაზეთის გამოსვლასთან დაკავშირებით სეპარატისტთა და რუსეთის წარმომადგენელთა „ლოგიკას“ გავყვებით, მაშინ რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან არ გამოსულან არც აჭარა, გურია, სვანეთი, სამეგრელო, იმერეთი და საქართველოს სხვა რეგიონები და დამოუკიდებლობა კი მხოლოდ თბილისს გამოუცხადებია.

აქედან გამომდინარე, მტკიცება იმისა, რომ აფხაზეთი არ გამოსულა რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან (რომელიც იმხანად უკვე აღარც არსებობდა), რბილად რომ ვთქვათ, საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაა და რეალობასთან არანაირი კავშირი არ გააჩნია.

საქართველოს დაკარგვას რუსეთი ვერ ეგუებოდა და ცდილობდა ის უკვე საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში დაებრუნებინა. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა კი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ბოლშევიკურ რუსეთთან ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა დაემყარებინა.

1920 წლის 7 მაისს მოსკოვში ბოლშევიკურ რუსეთსა და დამოუკიდებელ საქართველოს შორის სამშვიდობო და სამოკავშირეო ხელშეკრულება გაფორმდა. თუმცა რუსეთმა, გეორგიევსკის ტრაქტატის მსგავსად, დაარღვია ეს ხელშეკრულება და საქართველოს ანექსია განახორციელა.

1921 წლის 12 თებერვალს საბჭოთა არმია საქართველოში შემოვიდა და თბილისისაკენ დაიძრა. პარალელურად, სოჭის მხრიდან, რუსეთის მე-9 არმია შემოიჭრა. რუსეთის სამხედრო ნაწილები შემოვიდნენ ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდანაც. 25 თებერვალს თბილისში საბჭოთა რუსეთის მე-11 არმია შემოვიდა. ორკვირიან უთანასწორო ბრძოლაში საქართველო დამარცხდა - რუსეთმა მეორედ მოახდინა დამოუკიდებელი საქართველოს ანექსია.

იძულებითი გასაბჭოების შემდეგ საქართველომ 17 ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტი ტერიტორია დაკარგა: **1925 წელს სსრკ-ის ცენტრალურმა ადმინისტრაციებმა კომიტეტმა რუსეთის ფედერაციას პილენკოვოს მხარე (აფხაზეთის ნაწილი) და დუშეთის მაზრის ნაწილი გადასცა.**

საქართველოს გასაბჭოების, უფრო ზუსტად რომ ითქვას, ხელმეორე ანექსიის შემდეგ, აფხაზეთისათვის ავტონომიური რესპუბლიკის, ხოლო ისტორიული შიდა ქართლის ნაწილისთვის „სამხრეთ ოსეთის ავტონომი-

ური ოლქის“ სტატუსის მინიჭებით საქართველოში პოლიტიკური თვალსაზრისით შორსგათვლილი ნაღმები ჩაიღო, რომელთა შედეგებს დღეს ვიმკით.

საქართველოს შემადგენლობიდან რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში აფხაზეთის შეყვანის სურვილი არც რუსეთის საბჭოთა იმპერიას დაუკარგავს. ამ მიმართულებით კრემლში არაერთი გეგმა მუშავდებოდა. ამ მხრივ საიტერესოა რამდენიმე ფაქტი:

1945 წელს აფხაზეთში დასასვენებლად მყოფმა ცენტრალური კომიტეტის (ცკ) ერთ-ერთმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა აფხაზეთის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის მაშინდელ პირველ მდივან მგელაძესთან შეხვედრისას განუცხადა მას ცკ-ს მოსაზრება: „**არის მოსაზრება მოსკოვის დაქვემდებარებაში აფხაზეთის კურორტებისა და სოჭის ერთ საკურორტო ოლქად გაერთიანებისა**“.

1948 წელს სოხუმში დასასვენებლად მყოფი პოსკრებიშვი კვლავ უბრუნდება მოსკოვის დაქვემდებარებაში ერთიანი საკურორტო ოლქის შექმნის საკითხს: „**როგორ შეხედავენ აფხაზი და ქართველი ამხანაგები მოსკოვის დაქვემდებარებაში სოხუმის, ახალი ათონის, გუდაუთისა და გაგრის სოჭთან გაერთიანებას ერთიან საკურორტო ოლქში?**“

გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ნიკიტა ხრუშჩოვმა მოსკოვში დაიბარა აფხაზეთის კომპარტიის საოლქო კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი და მოსთხოვა შეეკრიბა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პარტიული აქტივი, რომელსაც უნდა შეემუშავებინა მიმართვა ცენტრალური კომიტეტისათვის აფხაზეთის კრასნოდარის მხარისათვის მიერთების მოთხოვნით.

„**თუ ქართველები ჭკუით არ იქნებიან, აფხაზებს მივუსხვ... მიაყენეთ ვაგონები და გაასახლეთ ყველა ქართველი საქართველოდან...**“ - ეს მუქარაც ნიკიტა ხრუშჩოვს ეკუთვნის.

ყველაზე ნიშანდობლივია კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, პარტიის მთავარი იდეოლოგის მიხეილ სუსლოვის მიერ 1961 წელს გაკეთებული მოხსენების საიდუმლო ნაწილი:

„...**დღეს თუ სვალ ქართველები კომუნიზმის წინააღმდეგ დაიწყებენ ბრძოლას. ქართველების წინააღმდეგ ბრძოლა აფხაზეთიდან უნდა დავიწყოთ. სამეგრელოსა და სვანეთს უნდა მივცეთ ავტონომიების სტატუსი. თითოეულ ამ რეგიონში გავადვივოთ კუთხურ-ნაციონალისტური გრძნობები. უნდა დავარწმუნოთ ყველა, რომ აფხაზეთში ქართველები ჩასახლებული არიან. აღმოსავლეთ საქართველო დავუპირისპიროთ დასავლეთ საქართველოს. ამის შემდეგ შუამავლისა და შემრიგებლის როლში გამოვიდეთ...**

რუსეთმა, აფხაზეთში სეპარატისტული განწყობილებების გაღვივების მიზნით, აქტიური მუშაობა სწორედ სუსლოვის ამ მოხსენების შემდეგ დაიწყო. აქტიურად მიმდინარეობდა საქართველოს ისტორიის კრემლისათვის „სასურველი კუთხით“ გადაწერა. ყალბდებოდა ისტორიული, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური მნიშვნელობის ფაქტები. ამგვარი მუშაობის შედეგებმა 70-იან წლებში იჩინეს თავი. აქედან იწყება აფხაზეთში სეპარატისტული მოძრაობების განვითარების აქტიური ფაზა.

თუ პარალელურად გაავსებთ დღევანდელ სიტუაციასთან, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ კონფლიქტები საქართველოში სპონტანური მოვლენა არ ყოფილა და ე.წ. „ეთნიკური“ დაპირისპირებები კრემლის მიერ კარგად ორგანიზებულ აქციებს წარმოადგენს.

სანამ ძირითად თემაზე გადავიდოდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტი აფხაზეთში არ დაწყებულა 1992 წელს. პირველი კონფლიქტი 1989 წლის მარტში მოხდა. რუსეთ-საქართველოს საზღვრიდან (მდ. ფსოუ) სოხუმისკენ ავტობუსებით მიმავალ ქართველებს გუდაუთაში შეიარაღებულ აფხაზთა ჯგუფი დახვდა. ავტობუსები დაარბიეს, დაიჭრნენ მგზავრები. რომ არა ავტობუსის მძღოლი, რომელმაც მოახერხა ავტობუსის სამშვიდობოზე გაყვანა, შეტაკება მსხვერპლით დასრულდებოდა. მორიგი შეტაკება, რომელიც ამჯერად, სამწუხაროდ, მსხვერპლით დასრულდა 1989 წლის 15 ივლისს მოხდა. გუდაუთიდან სპეციალურად ჩამოყვანილი შეიარაღებული ჯგუფები თავს დაესხნენ მშვიდობიან უიარაღო ქართველებს, რომლებიც სოხუმის ერთ-ერთ პარკში მშვიდობიან მიტინგს ატარებდნენ. ამ შეტაკებისას 20-ზე მეტი ქართველი მოკლეს. მათ შორის ეროვნული მოძრაობის ლიდერი ვოვა ვეკუა ლურსმენებისგან სპეციალურად დამზადებული სამკაპებით არნახული სისასტიკით მოკლეს.

რადგანაც, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა, იმ დროისათვის საქართველოში ეროვნული თვითმეგნება მაღალ დონეზე იყო, რუსეთმა ვერ შეძლო აფხაზებისა და ქართველების ფართომასშტაბიანი დაპირისპირების პროვოცირება. რუსულ პროვოკაციას პირველ რიგში თვით ეთნიკური აფხაზების უდიდესი ნაწილი არ აპყვავდა.

ასე რომ, კონფლიქტი აფხაზეთში არა 90-იანი წლების დასაწყისში, არამედ გაცილებით ადრე დაიწყო. მიუხედავად ამისა, აფხაზეთში კონფლიქტის დაწყების ათვლის პერიოდად ოფიციალურად 1992 წლის 14 აგვისტო არის დაფიქსირებული. ჩვენც კონფლიქტის დარეგულირების პროცესების აღწერას ამ დროიდან შევუდგებით.

კონფლიქტის მოგვარების პროცესი

კონფლიქტის დაწყებიდან პირველი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და საომარი მოქმედებების განუახლებლობის შესახებ ოფიციალურად კონფლიქტის დაწყებიდან ორ კვირაში, 1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში გაფორმდა (დანართი №1).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავიდანვე ყველა ოფიციალურ დოკუმენტს მხარეების სახით მხოლოდ საქართველო და რუსეთი აწერს ხელს. რაც შეეხება აფხაზეთის წარმომადგენლობას, რომელშიც როგორც სეპარატისტული, ასევე ლეგიტიმური სტრუქტურების წარმომადგენლები შედიან, წარმომადგენენ პირებს, რომლებიც ეთანხმებიან მიღწეულ შეთანხმებებს, ანუ კონფლიქტის მხარეებად თავიდანვე საქართველო და რუსეთი იყო დაფიქსირებული.

მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულების პრეამბულაშივე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, განიხ-**

იღეს რა აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან ერთად (აქ იგულისხმება როგორც სეპარატისტული, ასევე ლეგიტიმური სტრუქტურის წარმომადგენლები გ.გ.), თვლიან რა დაუშვებლად სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და მათი საზღვრების ხელშეუხებლობის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების ნებისმიერი სახით შელახვას, აფხაზეთში პოლიტიკური დარეგულირებისათვის სრულმასშტაბიანი პირობების შექმნას, შეთახმდნენ...

როგორც ვხედავთ, რუსეთის ფედერაცია და სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლები თავიდანვე ეჭვქვეშაც კი არ აყენებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მის საერთაშორისო საზღვრებს.

ამ შეთანხმების განხილვისას საკმარისია მისი პირველი პუნქტის სათაურის წაკითხვაც კი, რომ გავერკვეთ დანარჩენი დოკუმენტის შინაარსში - „უზრუნველყოფილია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა“.

როგორც ვხედავთ, პირველივე პუნქტის დასახელება, რომელსაც არა მარტო რუსეთი, არამედ სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლებიც დაეთანხმნენ, ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფას და ხელშეუხებლობას.

რა რეალობის წინაშე ვდგავართ დღეს - თუ რუსეთი ადრე არადეკლარირებული ფორმით ახდენდა სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერას, რუსეთის დღევანდელი პოზიცია მიუთითებს იმაზე, რომ იგი არა თუ არღვევს ადრე მიღწეულ შეთანხმებებსა და გაეროს რეზოლუციებს, არამედ არაფრად აგდებს საერთაშორისო ნორმებს და ცდილობს, მსოფლიოში საკუთარი, ძალადობრივ მეთოდებზე დამყარებული წესები დაამკვიდროს.

მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმების ანლიზისას იკვეთება შემდეგი ძირითადი საკითხები:

1. ეჭვგარეშეა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ითვლება, რომ „დაუშვებელია სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და მათი საზღვრების ხელშეუხებლობის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების ნებისმიერი სახით შელახვა...“

2. მიღწეულია შეთანხმება „ცეცხლის შეწყვეტისა და ერთმანეთის წინააღმდეგ ძალის არ გამოყენების შესახებ“;

3. ცეცხლის შეწყვეტისა და ერთმანეთის წინააღმდეგ ძალის არგამოყენების, აფხაზეთში არაკანონიერი შეიარაღებული ძალების და ჯგუფების შეღწევის აღკვეთის, ასევე აფხაზეთში უკვე არსებული უკანონო ფორმირებების დაშლისა და მათი აფხაზეთიდან გაყვანის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა კომისია საქართველოს სახელისუფლებო ორგანოების მიერ, მათ შორის აფხაზეთის და რუსეთის, დანიშნული წარმომადგენლებისაგან;

4. საქართველოს შეიარაღებულ ძალებს „რკინიგზის მაგისტრალებისა და სხვა გარკვეული ობიექტების დაცვაზე“ პასუხისმგებლობა ეკისრებათ.

მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი კომისია მართლაც შეიქმნა, სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, რომელთაც

საშუალება ჰქონდათ შეესრულებინათ მათზე დაკისრებული მოვალეობა კონფლიქტის სრულ, მათ შორის ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ქართული მხარის წარმომადგენლები ამგვარ შესაძლებლობებს მოკლებული იყვნენ. ანუ რუსული მხარე, რომელიც ხელშეკრულების შესრულების გარანტიის როლში გამოდიოდა, არათუ ხელს არ უწყობდა ქართულ მხარეს მოვალეობის შესრულებაში, არამედ არც ფიქრობდა სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლებზე ზეწოლის განხორციელებას, რათა მათ პირნათლად შეესრულებინათ მიღწეული შეთანხმებები.

უფრო მეტიც, 1992 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულების მიღებიდან ზუსტად ერთი თვის შემდეგ, 3-5 ოქტომბერს აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის უკანონო შეიარაღებული ძალების, კაზაკთა შენაერთების, ჩრდილო კავკასიიდან და არაბეთის ქვეყნებიდან დაქირავებულთა რაზმებმა სრული კონტროლი დაამყარეს გაგრის ზონაზე. ამ სამხედრო ოპერაციის შედეგად აფხაზეთში ქართველთა ეთნოწმენდა განხორციელდა. დევნილები პირველად ოფიციალურად სწორედ ამ პერიოდიდან დაფიქსირდნენ.

როგორც ვხედავთ, აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლებისა და რუსეთის მხარის მიერ (სეპარატისტებისგან განსხვავებით, რუსეთი აღნიშნულ შეთანხმებაში გარანტორად და ერთ-ერთ მხარედ გამოდიოდა - გ.გ.) დარღვეულ იქნა მიღწეული შეთანხმების ყველა პუნქტი, რომელთაც კონფლიქტის მოგვარება უნდა უზრუნველყო.

საგულისხმოა ასევე ამ შეთანხმების ის პუნქტი, სადაც ნათქვამია, რომ „საქართველოს შეიარაღებულ ძალებს **„რკინიგზის მაგისტრალებისა და სხვა გარკვეული ობიექტების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ“**. როგორც ვხედავთ, აღნიშნული ფორმულირებით აღიარებულია რკინიგზის მაგისტრალებისა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვის აუცილებლობა, რისთვისაც თავის დროზე საქართველოს ხელისუფლების მიერ, არძინბასთან შეთანხმებით, აფხაზეთის, საკუთრივ საქართველოს ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში, შეყვანილ იქნა ამ ღონისძიებებისათვის საჭირო შინაგანი ჯარებისა და სამხედრო ნაწილების შეზღუდული კონტიგენტი. თუ ამას დავუმატებთ არძინბას მიერ 80-იანი წლების ბოლოს ნათქვამ სიტყვებს: **„მე ვაიძულებ ქართველებს ესროლონ აფხაზებს“**, მაშინ ყველაფრის გათვალისწინებით სეპარატისტთა მტკიცება იმის თაობაზე, რომ კონფლიქტი აფხაზეთში ქართულმა მხარემ დაიწყო, რეალობას მოკლებულია.

1992 წლის გაგრის ამბებთან მიმართებაში გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მიერ „საქართველოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით“ 8 ოქტომბერს გაკეთდა საგანგებო გაცხადება (დანართი №4), სადაც გაეროს უშიშროების საბჭოს სახელით, რომლის მუდმივმოქმედ წევრს ვეტოს უფლებით ასევე რუსეთი წარმოადგენს, მოუწოდებს მხარეებს შეწყვიტონ შეიარაღებული დაპირისპირება და დაიცვან მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმება, რომელიც თავის მხრივ „...**ადასტურებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუვალობას, ითვალისწინებს საომარი მოქმედებების შეწყვეტას, ვალდებულებას მხარეების მიერ ცეცხლის შეწყვეტისა და ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ძალის არგამოყენებას და კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლი-**

ტიკური მოგვარების საფუძველს წარმოადგენს...“

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან აღნიშნული განცხადება გაეროს უშიშროების საბჭოს სახელით კეთდება, იგი შეთანხმებულია უშიშროების საბჭოს ყველა წევრთან და ხელმოწერილია მათ მიერ. ანუ განცხადების ფორმულირებას სრულად რუსეთიც ეთანხმება.

მიუხედავად ამისა, შემდგომ პერიოდში მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმება, ასევე მის საფუძველზე შემდგომში მიღწეული შეთანხმებები და გაეროს რეზოლუციები მუდმივად ირღვეოდა სეპარატისტული რეჟიმისა და რუსეთის მხარის მიერ, რომელიც, თავის მხრივ, სეპარატისტული რეჟიმისადმი მხარდაჭერით, კონფლიქტის მოგვარების ხელშეწყობის ნაცვლად ყოველნაირად ხელს უწყობდა მის ესკალაციას.

აფხაზეთში, საქართველო კონფლიქტის პერიოდში 1992-93 წლებში წარმოებული საომარი მოქმედებების ქრონოლოგია

ქვემოთ წარმოდგენილი საბრძოლო მოქმედებების ქრონოლოგია ნათლად ასახავს სეპარატისტული რეჟიმისა და რუსეთის მხარის ყველა იმ დარღვევას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის შეთანხმების „ცეცხლის შეწყვეტისა და აფხაზეთში, საქართველო კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების შესახებ“ ოფიციალურად გაფორმების შემდეგ.

1992 წლის 3-5 ოქტომბერი - აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის უკანონო შეიარაღებულმა ძალებმა, კაზაკთა შენაერთებმა, ჩრდილო კავკასიიდან და არაბეთის ქვეყნებიდან დაქირავებულთა რაზმებმა სრული კონტროლი დაამყარეს გაგრის ზონაზე. ამ სამხედრო ოპერაციის შედეგად აფხაზეთში ქართველთა ეთნოწმენდა პირველად განხორციელდა.

1992 წლის 3 ნოემბერი - ჩრდილო კავკასიიდან და არაბეთის ქვეყნებიდან დაქირავებულმა შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა სოხუმის ირგვლივ სტრატეგიული სიმაღლეების აღების მცდელობა განახორციელეს შრომა-ახალშენის მიმართულებით (სოხუმის ჩრდილოეთი შემოგარენი). ამ შემოტევის დროს ქართველების მიერ ტყვედ იქნა აყვანილი სირიის მოქალაქე. როგორც შემდგომ გაირკვა, იგი პროფესიონალი სამხედრო მზვერავი იყო.

1993 წლის 5 იანვარი - აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის უკანონო შეიარაღებულმა ძალებმა გუმისთის ფრონტის გარღვევის მცდელობა განახორციელეს.

1993 წლის 16 მარტი - განხორციელდა ყველაზე ფართომასშტაბიანი შეტევა გუმისთისა და ოჩამჩირის მიმართულებით. ასევე შრომა-ახალშენის მიმართულებით წარმოებულ იქნა დაზვერვითი იერიშები. ამ ფართომასშტაბიან სამხედრო ოპერაციაში, გარდა სეპარატისტული რეჟიმის შეიარაღებული ძალებისა, მონაწილეობას იღებდნენ დაქირავებული ბოვეციები ჩრდილო კავკასიიდან და არაბეთის ქვეყნებიდან, შეიარაღებული ჯგუფები დნესტრისპირეთიდან, ასევე რუსეთის რეგულარული ჯარების შენაერთები, მათ შორის გუდაუთაში დისლოცირებული რუსეთის სადესანტო-მოიერიშე პოლკის ნაწილები, რომლებიც რუსეთის მაშინდელი თავდაცვის მინისტ-

ტრის პავლე გრაჩოვის უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ. აღნიშნულ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობა პირველად მიიღო რუსეთის ავიაციამ, რომლის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს სოხუმზე. სოხუმის სხვადასხვა უბნებში ათეულობით სახლი განადგურდა, რასაც მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი მოჰყვა.

1993 წლის ივლისი - სეპარატისტთა შეიარაღებული ძალებისა და რუსეთის სადესანტო-მოიერიშე შენაერთების მიერ განხორციელდა შეტევა გუმისტის, შრომა-ახალშენისა და ოჩამჩირის მიმართულებებზე. პირველად იქნა გამოყენებული საზღვაო დესანტი. მიუხედავად დიდი დანაკარგებისა, სეპარატისტებმა მაინც შეძლეს სოხუმის შემოგარენში სტრატეგიული სიმაღლეების დაკავება, რაც ამ სამხედრო ოპერაციაში მათ ძირითად მიზანს წარმოადგენდა.

1993 16 სექტემბერი - რუსეთის რეგულარული ჯარების შენაერთების უშუალო მონაწილეობით, რომლებიც უკვე არც კი მალავდნენ საკუთარ მონაწილეობას და ჯავშანტექნიკაზე რუსული დროშებით გადაადგილდებოდნენ, სეპარატისტებმა ფართომასშტაბიანი ოპერაცია წამოიწყეს სოხუმის მიმართულებით. ვინაიდან ამ დროისათვის ქართული მხარის შეიარაღებული ძალები აფხაზეთში სოჭის 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმების თანახმად (დანართი № 13 - დოკუმენტის მე-6 გვერდი - გ.გ.). პრაქტიკულად განიარაღებული იყო, მათ ვერ შეძლეს სოხუმის დაცვა, შესაბამისად აფხაზეთში კონფლიქტის აქტიური ფაზა ამით დამთავრდა. სეპარატისტებმა 30 სექტემბრისათვის აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე, გარდა კოდორის ხეობისა (ზემო აფხაზეთი), სრული კონტროლი დაამყარეს.

უნდა აღინიშნოს, რომ 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის ხელშეკრულება მთელი ამ პერიოდის განმავლობაში არ ყოფილა ერთადერთი დოკუმენტი, რომელსაც სეპარატისტული მხარე რუსეთის აქტიური მხარდაჭერით არღვევდა.

საომარი მოქმედებების პერიოდში მიღებულ იქნა რამდენიმე როგორც ე.წ. „ჯენტლმენური“, ასევე ოფიციალური შეთანხმება; გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ვითარებიდან გამომდინარე არაერთი განცხადება და რეზოლუცია იქნა მიღებული. კერძოდ:

1992 წლის 3 სექტემბერის მოსკოვის ხელშეკრულება **S /24523** (დანართი № 1 - გვ.74).

1992 წლის 10 სექტემბერი - გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის საგანგებო განცხადება **S /24542** (დანართი № 2 - გვ.79).

1992 წლის 7 ოქტომბერი - გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი გაეროს გენერალური მდივნის წერილი **S/24633** (დანართი № 3 - გვ.80).

1992 წლის 8 ოქტომბერი - გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის განცხადება **S /24637** (დანართი № 4 - გვ.86).

1992 წლის 10 ნოემბერი - გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი გაეროს გენერალური მდივნის წერილი **S/24794** (დანართი № 5 - გვ.87).

1993 წლის 28 იანვარი - გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება

„აფხაზეთში, საქართველოს რესპუბლიკა შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით **S/25188** (დანართი № 6 - გვ.93).

1993 წლის 29 იანვარი - გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის განცხადება **S/25198** (დანართი № 7 - გვ.99).

1993 წლის 14 მარტი - რუსეთის შუამავლობით შედგა ე.წ. „ჯენტლმენური“ შეთანხმება ცეცხლის განუახლებლობის და ერთმანეთის წინააღმდეგ სამხედრო ძალის არგამოყენების შესახებ (16 მარტს რუსეთის ავიაციის გამოყენებით სოხუმზე ფართომასშტაბიანი შეტევა დაიწყო).

1993 წლის 5 მაისი - გაეროს გენერალური მდივნის წერილი უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი საქართველოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით **S/25756** (დანართი № 8 - გვ.101).

1993 წლის 14 მაისი - რუსეთის შუამდგომლობით შედგა ე.წ. „ჯენტლმენური“ შეთანხმება „საბრძოლო მოქმედებების განუახლებლობისა და ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ძალის არ გამოყენების შესახებ“, რაზეც ინფორმირებული იყო გაეროს უშიშროების საბჭო, რაც თავის მხრივ ასახვას პოვნებს მის შემდგომ რეზოლუციებში. რუსეთის აქტიური მხარდაჭერით შეთანხმება კვლავ იქნა დარღვეული აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის მიერ.

1993 წლის 1 ივლისი - გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება აფხაზეთში, საქართველო შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით **S/26023** (დანართი № 9 - გვ.103).

1993 წლის 2 ივლისი - გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის განცხადება **S/26032** (დანართი № 10 - გვ.108).

1993 წლის 7 ივლისი - გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება აფხაზეთში, საქართველო შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით **S/26023/dd.2** (დანართი № 11 - გვ.109).

1993 წლის 9 ივლისი - გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 849 (1993) (დანართი №12 - გვ.111).

1993 წლის 27 ივლისი - სოჭში რუსეთის შუამდგომლობით გაფორმდა მორიგი შეთანხმება აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მის შესრულებაზე კონტროლის მექანიზმის შესახებ (დანართი № 13 - დოკუმენტის მე-6 გვერდი).

1993 წლის 6 აგვისტო - გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება გაეროს უშიშროების საბჭოს 849 (1993) რეზოლუციის შესრულებასთან დაკავშირებით **S/26250** (დანართი № 13 - გვ.113).

1993 წლის 6 აგვისტო - გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 854 (1993) (დანართი №14 - გვ.122).

1993 წლის 24 აგვისტო - გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 858 (1993) (დანართი №15 - გვ.123).

1993 წლის 17 სექტემბერი - გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის განცხადება სოხუმის აღების მიზნით სამხედრო ოპერაციების განახლებასთან დაკავშირებით **S/26463** (დანართი №16 - გვ.125). აღსანიშნავია, რომ ამ განცხადებით, გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე მოუწოდებდა არა მარტო ცეცხლის შეწყვეტას, არამედ მოითხოვდა კონფლიქტური მხარეები დაბრუნებოდნენ იმ პოზიციებს, რომელიც დაფი-

ქსირებული იყო 27 ივლისის ხელშეკრულებით.

ყველა ჩამოთვლილ დოკუმენტში უპირობოდ ფიგურირებს:

1. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში;

2. ცეცხლის შეწყვეტისა და ერთმანეთის წინააღმდეგ ძალის არგამოყენების მოთხოვნა;

3. კონფლიქტის პოლიტიკური სრულმასშტაბიანი მოგვარების აუცილებლობა;

4. და ყველაზე მთავარი - ყველა შეთანხმებასა და გაეროს რეზოლუციებს 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის ხელშეკრულება უდევს საფუძვლად.

სამწუხაროდ, ყველა აღნიშნული დოკუმენტი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა და არ შესრულებულა. ასევე სამწუხაროა, რომ საქართველოსადმი მხარდაჭერა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების სურვილი საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მხოლოდ დეკლარირებულ ხასიათს ატარებდა. მიღებული შეთანხმებებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციების უგულვებელყოფისათვის სეპარატისტებისა და განსაკუთრებით რუსეთის მიმართ, რომელსაც პირნათლად უნდა შეესრულებინა შუამავლისა და შემრიგებლის ფუნქციები, საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული არანირი ქმედითი სანქციები არ გატარებულა.

აქედან გამომდინარე, 1992-93 წლებში აფხაზეთში სეპარატისტული რეჟიმის შეიარაღებული დაჯგუფებების, ჩრდილო კავკასიელთა და არაბეთის ქვეყნების დაქირავებული ტერორისტების, ასევე კაზაკთა და რუსეთის ფედერაციის რეგულარული ჯარების მიერ განხორციელებულ ქართველთა ეთნოწმენდაზე, 530 ათასი აფხაზეთის მოსახლეობიდან დაახლოებით 400 ათასზე მეტ უსახლკაროდ დარჩენილ აფხაზეთის პატივყარილ მაცხოვრებელზე, გარკვეული წილი პასუხისმგებლობა საერთაშორისო ორგანიზაციებმაც უნდა აიღონ.

დასკვნითი ნაწილი

1993 წელს აფხაზეთში, საქართველო საომარი მოქმედებების დამთავრებით დასრულდა კონფლიქტის აქტიური ფაზა. მისი მოგვარების პროცესმა დიპლომატიურ ჭრილში გადაინაცვლა, მაგრამ კონფლიქტი დღემდე მოუგვარებელი რჩება. კონფლიქტის მოგვარების მთელი პროცესის განმავლობაში რუსეთი მფარველობდა რა მის მიერ შექმნილ „სეპარატისტულ“ რეჟიმებს, მიზანმიმართულად არღვევდა გაეროს რეზოლუციებს და სხვადასხვა ფორმატების საერთაშორისო მოლაპარაკებებზე მიღწეულ შეთანხმებებს.

რუსეთის პროვოცირებით მოლაპარაკებათა არაერთი ფორმატი საერთოდ იქნა ჩაშლილი, ყველაფერში კი რუსეთი ქართულ მხარეს ადანაშაულებდა. მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობისადმი ქართული მხარის მიერ გაკეთებული არაერთი განცხადებისა და მიმართვისა, რეაქცია მათი მხრიდან მხოლოდ დეკლარირებულ ხასიათს ატარებდა.

საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ასეთი მიდგომის პოლიტიკის შედეგის წინაშე დღეს ვიმყოფებით - რუსეთმა, თუ იგი ადრე სეპარატისტულ რეჟიმებს ამოფარებული მოქმედებდა, დღეს აშკარა, დაუფარავი აგრესიით განახორციელა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია. გარდა ამისა, რუსეთი არა თუ არღვევს შუამავლისა და მომრიგებლის ადრე ნაკისრ ვალდებულებებს, რომელსაც არც არასოდეს ასრულებდა, არამედ თავისი ძალისმიერი, შანტაჟის პოლიტიკით საერთოდ უგულვებელყოფს კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით მედვედევი-სარკოზის გეგმას, რომლის შემავალი პუნქტების შემუშავებაში რუსეთმა უშუალოდ მიიღო მონაწილეობა და ხელიც მოაწერა.

უფრო მეტიც, მას შემდეგ რაც რუსეთი დარწმუნდა ამ გეგმის ეფექტურობაში, საქართველოს ისტორიული, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს (დღევანდელი ცხინვალის რეგიონი) ტერიტორიები ერთპიროვნულად, ყველა საერთაშორისო ნორმების დარღვევით დამოუკიდებელ რესპუბლიკებად გამოაცხადა, ჩააყენა საკუთარი ჯარი და პრაქტიკულად დაეპატრონა მათ. ამით რუსეთმა დააკანონა საქართველოს ტერიტორიების ანექსია, ქართველთა ეთნოწმენდა, 530 ათასი აფხაზეთის მოსახლიდან 400 ათასზე მეტ დევნილს, მათ შორის ეთნიკურ აფხაზებს, რუსებს, ესტონელებს, ებრაელებს და სხვ., წაართვა უფლება საკუთრებაზე, წაართვა უფლება თავისუფალ გადაადგილებაზე საკუთარ სამშობლოში.

ნიშანდობლივია ისიც, რომ რუსეთის ამგვარ გადაწყვეტილებას მხოლოდ ნიკარაგუამ და ტერორისტულმა ორგანიზაციებმა ჰამასმა და ჰეზბოლამ დაუჭირა მხარი.

მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიო საზოგადოებამ კარგად გაითავისოს ეს ფაქტორი და გააკეთოს შესაბამისი დასკვნები რუსეთთან მიმართებაში.

ეჭვს არ იწვევს, რომ რუსეთი აგვისტოს მოვლენებისათვის სერიოზულად ემზადებოდა და რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წინასწარ ჰქონდა საომარი მოქმედებების გეგმა შემუშავებული. ამის დასტურად კიდევ ერთი ფაქტის მოყვანა შეიძლება.

აფხაზეთში, საქართველო 2008 წლის მარტის თვიდან სიტუაცია დაიძაბა. ყველა არსებული ხელშეკრულებისა და გაეროს რეზოლუციების უხეში დარღვევით მიმდინარეობდა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების სადესანტო ნაწილების კონცენტრაცია. ამ ფონზე, რა თქმა უნდა, დაიძაბა ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთს შორის.

სიტუაციის განმუხტვის მიზნით, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი პირველი იყო დასავლეთის წარმომადგენლებიდან, ვინც არა მარტო გამოეხმაურა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილ ვითარებას, არამედ კონკრეტული გეგმით ჩავიდა აფხაზეთში. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, ეს გეგმა ფართო საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი რჩება. აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ, რომელიც კრემლის გარეშე არაფერს წყვეტს, გეგმა უბრალოდ დაიწუნა, რითაც მოლაპარაკებების დაწყების შესაძლო ახალი ეტაპი დაწყებამდე ჩაშალა. აქედან ნათლად ჩანს, რომ რუსეთს არ სურდა საქართველოს მიმართ დაგეგმილი საომარი კამპანიის ჩაშლა.

ამიტომაც, სეპარატისტული რეჟიმის სახელით, გერმანიის მცდელობა - მშვიდობიანი მოლაპარაკებები რეალური გამხდარიყო, რუსეთმა საწყის ეტაპზევე დაბლოკა.

ბოლოსიტყვაობა

როგორც ვნახეთ, აფხაზეთში, საქართველო 1992 წელს დაწყებული კონფლიქტი, რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური ელიტის მიერ ათწლეულების მანძილზე საქართველოს წინააღმდეგ კარგად დაგეგმილი შეთქმულების ლოგიკური დასასრულია.

2003 წლიდან საქართველოს მთავრობის მიერ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების გეგმის თანმიმდევრულმა რეალიზაციამ რუსეთს ნათლად დაანახა, რომ კონფლიქტების მოგვარება თანდათანობით რეალური ხდებოდა, რაც მათ გეგმებში ნამდვილად არ შედიოდა. ეს ნათლად დაგვანახა 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ამ მოვლენებამდე საქართველო არაერთხელ მიმართავდა საერთაშორისო საზოგადოებას, რომ რუსეთი პროვოკაციების გზით გეგმავდა რეგიონის დესტაბილიზაციას, მაგრამ ამჯერადაც მათი რეაქცია დეკლარირებულ ხასიათს ატარებდა.

დღეისათვის, საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების პროცესების რეგულირებით, დასავლეთს შეუძლია აჩვენოს რუსეთს, რომ 21-ე საუკუნის ცივილიზებულ სამყაროში სეპარატიზმი მიუღებელია და მიღწეული შეთანხმებები უპირობოდ უნდა სრულდებოდეს.



Совет Безопасности

Distr.
GENERAL

S/24523
8 September 1992

ORIGINAL: RUSSIAN

ПИСЬМО ВРЕМЕННОГО ПОВЕРЕННОГО В ДЕЛАХ ПОСТОЯННОГО ПРЕДСТАВИТЕЛЬСТВА
РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ ПРИ ОРГАНИЗАЦИИ ОБЪЕДИНЕННЫХ НАЦИЙ ОТ 8 СЕНТЯБРЯ
1992 ГОДА НА ИМЯ ПРЕДСЕДАТЕЛЯ СОВЕТА БЕЗОПАСНОСТИ

Имею честь настоящим препроводить текст Итогового документа Московской встречи Президента Российской Федерации Б.Н. Ельцина и Председателя Государственного Совета Республики Грузия Э.А. Шеварднадзе от 3 сентября 1992 года.

В соответствии с просьбой Министра иностранных дел Российской Федерации А.В. Козырева и Министра иностранных дел Республики Грузия А.Д. Чикваидзе прошу Вас принять меры к его распространению в качестве официального документа Совета Безопасности с учетом того, что в статье 12 содержится обращение Сторон к Организации Объединенных Наций с просьбой поддержать изложенные в Итоговом документе принципы урегулирования и оказать содействие в их реализации, включая направление миссий по установлению фактов и наблюдателей.

Валентин В. ЛОЗИНСКИЙ
Исполняющий обязанности Постоянного
представителя Российской Федерации
при Организации Объединенных Наций

92-42665. R 080992 080992

080992

/...

Приложение

[Подлинный текст на русском языке]

Президент Российской Федерации и Председатель Государственного Совета Республики Грузия,

обсудив при участии руководителей Абхазии, северокавказских республик, краев и областей Российской Федерации положение, сложившееся в Абхазии,

стремясь к скорейшему прекращению огня, преодолению чрезвычайной кризисной ситуации и созданию условий для полномасштабного политического урегулирования в Абхазии, которая стала зоной вооруженного конфликта,

подтверждая приверженность духу и букве Устава ООН, принципам Заключительного Акта СБСЕ, Парижской Хартии для Новой Европы, Хельсинкской Декларации 1992 года,

считая недопустимыми любые посягательства на общепризнанные принципы территориальной целостности государств и неприкосновенности их границ,

уважая права и свободы человека, а также права национальных меньшинств,

договорились о следующем:

Статья 1

Обеспечивается территориальная целостность Республики Грузия.

Все участвующие в конфликте вооруженные формирования с 12 ч. 00 м. 5 сентября 1992 года прекращают огонь и любое применение силы друг против друга. При этом участники конфликта обязуются до вступления в силу прекращения огня воздерживаться от каких-либо наступательных действий.

Одновременно создается Комиссия по контролю и инспекции из представителей, назначаемых органами власти Грузии, в том числе Абхазии, и России. Комиссия обеспечивает соблюдение прекращения огня, выполнение других положений данного соглашения в соответствии с разработанными ею процедурами.

Для выполнения возложенных на нее задач участники Комиссии придают ей соответствующие подразделения, осуществляющие разоружение, расформирование и удаление из Абхазии, а также недопущение в Абхазию незаконных вооруженных формирований и групп, с тем чтобы обеспечить строгий контроль по всему периметру зоны конфликта.

/...

Комиссия осуществляет наблюдение за тем, чтобы после прекращения огня и передислокации войск вооруженные силы Республики Грузия в зоне конфликта не превышали согласованного уровня, необходимого для достижения целей настоящего соглашения (охраны железной дороги и других определенных объектов).

Рекомендации Комиссии незамедлительно рассматриваются властями всех уровней.

Статья 2

До 10 сентября 1992 года производится обмен задержанных лиц, заложников, плененных и других, по принципу "всех на всех".

Статья 3

Стороны запрещают и не допускают любые террористические акты и захват заложников и принимают эффективные меры по привлечению к ответственности виновных.

Статья 4

Принимаются незамедлительные меры к устранению помех на путях движения товаров, услуг и лиц, занимающихся законной деятельностью. Будет обеспечиваться бесперебойное и безопасное функционирование соответствующих наземных, воздушных и морских путей сообщения, охрана границы.

Особое внимание будет уделяться обеспечению безопасности соответствующих участков Закавказской железной дороги, в том числе путем создания совместного механизма.

Комиссия по контролю и инспекции представит необходимые рекомендации по этому вопросу.

Статья 5

Обеспечиваются условия для возвращения беженцев в места их постоянного жительства. Им оказываются необходимое содействие и помощь.

Принимаются меры по розыску лиц, пропавших без вести, и по эвакуации желающих выехать из Абхазии.

/...

Статья 6

В зоне конфликта принимаются эффективные меры по прекращению и недопущению насилия и грабежей, привлечению к ответственности виновных.

Статья 7

Стороны примут меры по восстановлению пострадавших районов и оказанию гуманитарной помощи, в том числе на международной основе, населению, пострадавшему в ходе конфликта. Определение порядка доставки и распределения такой помощи возьмут на себя организации Красного Креста в координации с Комиссией по контролю и инспекции.

Статья 8

Стороны подтверждают необходимость соблюдения международных норм в области прав человека и национальных меньшинств, недопущения дискриминации прав граждан по признаку национальности, языка и религии, обеспечения проведения свободных демократических выборов.

Статья 9

Вооруженные Силы Российской Федерации, временно находящиеся на территории Республики Грузия, в том числе и в Абхазии, соблюдают строгий нейтралитет и не участвуют во внутренних конфликтах.

Все органы государственной власти и управления в Республике Грузия, в том числе и в Абхазии, обязуются уважать нейтралитет дислоцированных там Российских Вооруженных Сил и пресекать противоправные действия в отношении военнослужащих, членов их семей и военного имущества.

Статья 10

Стороны будут содействовать возобновлению к 15 сентября 1992 года нормальной деятельности законных органов власти в Абхазии.

Статья 11

Органы власти и управления республик, краев и областей Северного Кавказа в составе Российской Федерации примут эффективные меры по пресечению и недопущению любых действий с их территории, расходящихся с положениями настоящего соглашения. Они будут содействовать его выполнению и установлению мира в регионе. Они предпримут усилия по разъяснению положений настоящего соглашения среди населения.

/...

Статья 12

Стороны обращаются к ООН и СБСЕ с просьбой поддержать изложенные выше принципы урегулирования и оказать содействие в их реализации, включая направление миссий по установлению фактов и наблюдателей.

Москва, 3 сентября 1992 года

ЗА РОССИЙСКУЮ ФЕДЕРАЦИЮ

ЗА РЕСПУБЛИКУ ГРУЗИЯ

Согласились:

Г. С. ХИЖА
А. В. КОЗЫРЕВ
П. С. ГРАЧЕВ
А. М. МИРЗАБЕКОВ
М. М. МАГОМЕДОВ
В. М. КОКОВ
Х. М. КАРМОКОВ
В. Н. САВЕЛЬЕВ
В. И. ХУБИЕВ
С. В. ХЕТАГУРОВ
А. Х. ГАЛАЗОВ
А. А. ДЖАРИМОВ

В. Г. АРДЗИНБА
В. И. ЗАРАНДИЯ
Т. НАДАРЕИШВИЛИ

Т. И. СИГУА
Т. К. КИТОВАНИ
А. Д. ЧИКВАИДЗЕ

А. Х. ТЛЕУЖ
В. Н. ДЬЯКОНОВ
Е. С. КУЗНЕЦОВ
В. Ф. ЧУБ



Совет Безопасности

Distr.
GENERAL

S/24542
10 September 1992
RUSSIAN
ORIGINAL: ENGLISH

ЗАПИСКА ПРЕДСЕДАТЕЛЯ СОВЕТА БЕЗОПАСНОСТИ

После консультаций, состоявшихся 10 сентября 1992 года, Председатель Совета Безопасности сделал от имени Совета следующее заявление для средств массовой информации:

"Члены Совета Безопасности, заслушав информацию, представленную Генеральным секретарем, и изучив Заключительный документ московской встречи между Президентом Российской Федерации и Председателем Государственного Совета Республики Грузии, состоявшейся 3 сентября 1992 года, выражают свое удовлетворение усилиями участников встречи, направленными на достижение немедленного прекращения огня, преодоление кризисной ситуации и создание условий для всеобъемлющего политического урегулирования в Абхазии, ставшей районом вооруженного конфликта.

Члены Совета, подчеркивая настоятельную необходимость политического урегулирования конфликта мирными средствами путем переговоров, вновь подтверждают недопустимость любого посягательства на принцип территориальной целостности и на международно признанные границы Грузии и необходимость уважения прав всех людей, представляющих все этнические группы в регионе. Они приветствуют возобновление нормальной работы законных органов власти в Абхазии.

В этой связи члены Совета приветствуют принципы урегулирования, содержащиеся в вышеупомянутом Заключительном документе, и дают высокую оценку предусмотренным в нем конкретным мерам, направленным на урегулирование в Абхазии. Они призывают все стороны, участвующие в конфликте, и все другие заинтересованные стороны строго соблюдать достигнутые в Москве соглашения.

Члены Совета принимают к сведению намерение Генерального секретаря направить миссию доброй воли и просят его периодически информировать Совет о событиях в Абхазии".



Совет Безопасности

Distr.
GENERAL

S/24633
8 October 1992
RUSSIAN
ORIGINAL: FRENCH

ПИСЬМО ГЕНЕРАЛЬНОГО СЕКРЕТАРЯ ОТ 7 ОКТЯБРЯ 1992 ГОДА
НА ИМЯ ПРЕДСЕДАТЕЛЯ СОВЕТА БЕЗОПАСНОСТИ

Имею честь сослаться на заявление Председателя Совета Безопасности от 10 сентября 1992 года (S/24542) по вопросу о конфликте в Абхазии. В этом заявлении, в частности, отмечалось мое намерение направить миссию доброй воли в Грузию. В нем также содержалась просьба в мой адрес периодически информировать Совет о развитии ситуации в Абхазии.

На 3279-м заседании Совета Безопасности, состоявшемся 17 сентября 1993 года, в связи с рассмотрением Советом пункта, озаглавленного "Положение в Грузии", Председатель Совета Безопасности сделал от имени членов Совета следующее заявление:

"Совет Безопасности выражает свою крайнюю обеспокоенность в связи со вспышкой боевых действий в Абхазии, Республика Грузия, являющейся результатом наступлений абхазских сил на города Сухуми и Очамчира.

Совет решительно осуждает это грубое нарушение абхазской стороной Сочинского соглашения о прекращении огня от 27 июля 1993 года, которое было достигнуто при посредничестве Российской Федерации и приветствовалось Советом Безопасности в резолюциях 854 (1993) от 6 августа 1993 года и 858 (1993) от 24 августа 1993 года.

Совет требует, чтобы абхазское руководство незамедлительно прекратило военные действия и безотлагательно отвело все свои силы к линиям прекращения огня, согласованным в Сочи 27 июля 1993 года. Отказ выполнить эти меры может повлечь за собой серьезные последствия.

Совет настоятельно призывает все страны содействовать восстановлению прекращения огня и возобновлению мирного процесса.

Совет выражает свое настоятельное желание обеспечить всестороннее участие абхазской стороны в мирном процессе без дальнейшего промедления.

Переиздается по техническим причинам.

Совет принимает к сведению устный доклад Генерального секретаря от 17 сентября 1993 года о положении в Абхазии, Республика Грузия, и приветствует его намерение направить своего Специального представителя по Грузии в Москву и в этот район для оценки ситуации и нахождения пути к мирному урегулированию спора.

Совет ожидает скорейшего получения доклада Генерального секретаря".

ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში

ეთნიკური ვითარების მოკლე მიმოხილვა საქართველოში.

საქართველო მონოეთნიკური ქვეყანა არასოდეს ყოფილა. ეთნიკურად ქვეყანა განსაკუთრებით აჭრელდა რუსეთის კოლონიად გადაქცევის შემდეგ (1801 წელი). სხვადასხვა ეთნოსთა საქართველოს ტერიტორიაზე დასახლება ცარიზმის მიზანმიმართულ პოლიტიკას წარმოადგენდა. რუსეთის იმპერიისათვის არაფერს წარმოადგენდა ხალხთა საკუთარი მიწა-წყლიდან აყრა და სხვათა ტერიტორიაზე გადასახლება. ამავე დროს, მეფის რუსეთი ადგილობრივ მოსახლეობას ერთი ადგილიდან მეორეზე დასახლების ნებას არ აძლევდა და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ მათ დაეტოვებინათ წინაპართა საცხოვრისი (ამ შემთხვევაში აფხაზთა და ქართველ მუსლიმთა თურქეთში გადასახლების მაგალითიც იკმარებს). საქართველოში ქართველთა პროცენტული რაოდენობა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მუდმივად იკლებდა. XIX საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოს მთელი მოსახლეობის 90%-ს თუ ქართველები წარმოადგენდნენ, 1939 წლისათვის მათი პროცენტული რაოდენობა 61-მდე დავიდა. XIX საუკუნეში ცარიზმმა საქართველოში ეთნიკური სომხები და ბერძნები გადმოსახლა ოსმალეთის იმპერიიდან, აგრეთვე რუსები, გერმანელები... უფრო ადრე საქართველოში მკვიდრობდნენ სომხები (ძირითადად ქალაქებში. სომხებში ორი ფენა გამოიყოფოდა: ა) მიგრირებულები და ბ) ქართველი მონოფიზიტები, რომლებიც ასევე სომხებად იწოდებოდნენ. ორივე ფენისათვის დედაენას ქართული წარმოადგენდა. მათი წიგნისა და დოკუმენტების ენა ქართული იყო); ებრაელები (ეს უკანასკნელნი თავს „ქართველ ებრაელებს“ უწოდებდნენ. ქართველ ებრაელთა ადგილობრივი მოსახლეობისაგან განმასხვავებელი მხოლოდ რელიგია იყო); თათრები (ასე იწოდებოდნენ თანამედროვე აზერბაიჯანელების წინაპრები. ბორჩალოელი თათრები საქართველოს სახელმწიფოს ღირსეული მოქალაქეები იყვნენ. მტრების შემოჭრის დროს ქართველ მეფეთა მოწოდებაზე ერთ-ერთი პირველნი ებმებოდნენ ბრძოლაში. განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს მათ ერეკლე მეფის დროს. ცნობილია ქვეყნისათვის თავდადებული მებრძოლის სახელიც; ეს იყო ხუდია ბორჩალოელი — ფაქტობრივად, საქართველოს ეროვნული გმირი); აფხაზები და ოსები.

სანამ ჩვენს თემას — საქართველოში ოსთა მიგრაციისა და ქართულ-ოსურ ურთიერთობებს ვრცლად შევხებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები რუსეთის იმპერიის მიზანმიმართულ ქმედებამდე მხოლოდ და მხოლოდ კეთილმეზობლური იყო, რა თქმა უნდა, მხედველობაში თუ არ მივიღებთ ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლების წინადროინდელ თარეშებს. საერთოდ, საქართველოს ხანგრძლივმა ისტორიამ არ იცის არც ერთი შემთხვევა არა მხოლოდ ეთნიკური კონფლიქტისა, არამედ რაიმე ეთნიკური დაპირიპირებისა ქართველებსა და საქართველოში მცხოვრებ სხვა ეთნოსებს შორის. ერთ-ერთი ხალხური ლექსის მიხედვით კი, ქართველებსა და

სომეხებს შორის არავითარი განსხვავება არ იყო და თათრები და ქართველები ერთმანეთის ძმები იყვნენ. საქართველოში ეთნოსთა შორის დაპირისპირება მხოლოდ რუსეთის იმპერიის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად გაჩნდა და მან თავი მხოლოდ XX საუკუნეში იჩინა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები რომ კეთილმეზობლური იყო, ეს კარგად ჩანს იმ საქორწინო ურთიერთობებიდან, რომელიც ამ ხალხებს შორის არსებობდა. ინტეგრაცია განსაკუთრებით შორს იყო წასული აღნიშნულ ეთნოსთა საკონტაქტო ზოლში.

ახლა დაწვრილებით საქართველოში ოსთა მიგრაციის შესახებ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო ორი-სამი ათეული წლის მანძილზე მიზანმიმართულად ხდებოდა საქართველოში ოსთა გადმოსახლების ისტორიის დამახინჯება, რაც თავიდანვე იგრძნობოდა, რომ იმპერიის გარკვეული ძალების მიერ იყო პროვოცირებული. აქედან გამომდინარე, გარკვეულ სიბრაულეს იწვევდა იმ ოსი „ბოვეიკების“ მოქმედება, რომლებიც ქართველთა წინააღმდეგ იბრძოდნენ, რომლებსაც ბავშვობიდან აგონებდნენ, რომ „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორია ოსთა განსახლების უძველესი არეალია და რომ თურმე ყველაფერში დამნაშავე ქართველი ფეოდალები იყვნენ (საბჭოთა პერიოდში მხოლოდ კლასობრივი მტრის ლანძღვა შეიძლებოდა), რომლებიც ოსებს ბატონებად მოევილინენ; შემდეგ კი სალანძღავად ქართველი სოციალ-დემოკრატები („მენშევიკები“) იქცნენ, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიას ბოლშევიკთა მიერ წაქეზებული აჯანყებული ოსებისაგან იცავდნენ.

სანამ უშუალოდ შევეხებით ოსთა საქართველოში მიგრაციის ნამდვილ თარიღს, აუციებლად უნდა აღინიშნოს ორი რამ:

1. ბოლო წლებში ოსი ისტორიკოსების მიერ დასახელდა სხვადასხვა თარიღი საქართველოში ოსთა გადმოსახლების შესახებ. ერთთა „მტკიცებით,“ ეს მოხდა ხუთი ათასი წლის წინ (ნაფი ჯუსოითი), ხოლო უფრო ზომიერი მიგრაციის პერიოდად XIII—XIV საუკუნეებს ასახელებდნენ. მესამე კატეგორიისანი კი აღნიშნულ ორ ძალიან დაშორებულ თარიღს შორის სხვადასხვა ქრონოლოგიურ პერიოდს გვთავაზობდნენ. ბოლო წლებში მითოლოგიების შექმნით განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საბჭოთა ისტორიკოსმა მარკ ბლიევმა, რომლისთვისაც, შეიძლება ითქვას, რომ საისტორიო წყარო არც არსებობს, ან, თუ არსებობს, იმ ინტერპრეტაციით, როგორც მას ეს წარმოუდგენია. მარკ ბლიევის მიხედვით, თურმე ადრე შუა საუკუნეების ქართლის (იბერიის) სამეფო სხვა არაფერი იყო, თუ არა ქართულ-ოსური კონფედერაცია. უფრო შორსაც კი მიდის ზოგიერთი მეზღაპრე და საბჭოთა პერიოდის „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიას სარმატიას უწოდებს. ნებისმიერი ისტორიკოსისათვის კავკასიონის ქედის სამხრეთისათვის „სარმატიის“ წოდება, ალბათ, გამოგნებელი იქნება.

2. ყველა დამეთანხმება, რომ ეთნიკური კონფლიქტების მოსაგვარებლად ისტორიას მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს — ხალხი, რომელიც ცხოვრობს გარკვეული ეთნოსის ტერიტორიაზე, ქვეყნის სრულყოფილები-

ნი წევრი უნდა იყოს (ასეც იყვნენ ოსები საქართველოში ცხოვრების პერიოდში). პოსტსაბჭოთა სივრცეში წარმოქმნილი ქართულ-ოსური დაპირისპირება რომ სინამდვილეში კლასიკური ეთნიკური კონფლიქტი არ ყოფილა და რომ ის პროვოცირებული და მართული იყო იმპერიული ძალების მიერ, ეს კარგად წარმოაჩინა სწორედ ისტორიული თემატიკის ზედმეტმა შემოტანამ, რაც დაავიწყებინა ჯერ — 2004 წელს რუსეთის დუმის განცხადებამ და ბოლოს — მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირების განცხადებებმა. ამ განცხადებების შინაარსი კი ასეთია: რუსეთმა ჩრდილოეთი და სამხრეთ ოსეთი ერთად შეიერთა 1774 წელს, ე. ი. „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოს შემადგენელი ნაწილი არ ყოფილა. მიზანი ცხადია: იმპერიულ ძალებს სურთ საქართველოს ტერიტორიების მიტაცება დააკანონონ — ამ შემთხვევაში ოსები მხოლოდ იარაღად არიან გამოყენებულნი, არც ეთნიკური ოსისა და არც ეთნიკური ქართველის ბედი იმპერიას არ აღელვებს.

აღნიშნულ პრობლემას ქვემოთ მოკლედ კვლავ დავუბრუნდებით. ახლა რეალურ ისტორიას შემოვთავაზებთ. ის კი ასეთია:

ისტორიკოსთა შორის ეჭვს არ იწვევს, რომ ოსები ირანულენოვანი ალანების უშუალო შთამომავლები არიან, თუმცა ოსთა საბოლოო ფორმირება კავკასიის მთებში მოხდა ადგილობრივ კავკასიელებთან შერევის შედეგად. ასეთი კონტაქტები ალანებს უფრო ადრე სხვა ეთნოსებთანაც ჰქონდათ, მაგალითად, თურქული და მონღოლური მოდემის ხალხებთან. ირანულენოვანი ალანების ეთნოგენეზი შუა აზიის ტერიტორიაზე მოხდა. ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია, რომ პირველად ისინი ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნის ჩინურ წყაროებში არიან მოხსენიებულნი (ალემანი, 2003). ამ წყაროთა თვალსაწიერი კი კასპიის ზღვის აღმოსავლეთ მონაკვეთს არ სცილდებოდა. კლასიკურ ავტორთა თვალსაწიერში კი ალანები ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში ჩნდებიან, მას შემდეგ, რაც ევრაზიის სივრცის ევროპულ მონაკვეთში დაიწყეს მომთაბარეობა და გამოცალკევდნენ აზიელი ალანებისაგან. ოსთა წინაპარი ალანების შესახებ მონაცემები, რაც კი მსოფლიოს სხვადასხვაენოვან საისტორიო წყაროებში არსებობს, თავმოყრილია კატალონიელი ავტორის — **აუგუსტი ალემანის** წიგნში და მასში დაინტერესებული მკითხველი ნახავს, რომ საქართველოს სიახლოვეს მთელი ადრე შუა საუკუნეების განმავლობაში ალანები (ოსები) არ მკვიდრობდნენ. მათი სამომთაბარო არეალი ევრაზიის სივრცე იყო (წყაროები განასხვავებენ ერთმანეთისაგან აზიელ და ევროპელ ალანებს). ვოლგისა და აზოვის ზღვის მონაკვეთში მომთაბარე ალანები IV საუკუნის 70-იან წლებში ჰუნებმა გაანადგურეს, გადარჩენილთა ნაწილი ჰუნებს დასავლეთში გაჰყვა, ნაწილმა კი ჩრდილოეთ კავკასიის ველებში ჩამოინაცვლა, სადაც ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ, შექმნეს სახელმწიფო და ამ დროიდან ალანებთან (ოსებთან) ქართულ სახელმწიფოს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა. ეს ურთიერთობა მეტწილად კეთილმეზობლური იყო, ხდებოდა დინასტიური ქორწინებები და, რაც მთავარია, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურები ალან-ოსებს ხშირად ქირაობდნენ, როდესაც ქვეყნის გარეშე მტერთა

თავდასხმებს იგერიებდნენ.

ალან-ოსების ისტორიაში მეორე, სამწუხარო, ეტაპი იწყება XIII საუკუნიდან. მონღოლთა შემოსევების შემდეგ, ხანგრძლივი წინააღმდეგობის მიუხედავად, დამარცხებულმა ალან-ოსებმა დაკარგეს არა მარტო სახელმწიფოებრიობა, არამედ განსახლების არეალიც. XIII—XIV საუკუნეებში სტეპებში მცხოვრები ალან-ოსები მთიელებად იქცნენ. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ ალანების ნაწილი მთიელებად უფრო ადრეც — ადრე შუა საუკუნეების შემდეგაც იქცა. ჰუნთა შემოსევების შემდეგ ისინი არა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის ბარის მკვიდრები გახდნენ, არამედ დასახლდნენ კავკასიის მთიანეთის დასავლეთ ნაწილში — თანამედროვე ყარაჩაისა და ბალყარეთის ტერიტორიაზეც. გვიანი შუა საუკუნეების დიგორელი ოსები სწორედ ძველი ჩამოსახლებული ალანების შთამომავლები არიან (ჩრდილოეთ კავკასიის მთებში მცხოვრები ოსები საერთოდ ოთხ საზოგადოებად, თემად ცხოვრობდნენ. ზემოთ დასახელებული დიგორის გარდა, ესენი იყო აგრეთვე ალაგირი, ქურთაული და თავაური). XIII—XIV საუკუნეებიდან ალან-ოსები სწორედ აღნიშნულ სამ ხეობაში — ალაგირში, ქურთაულსა და თავაურში — სახლდებიან. ეს ტერიტორია გეოგრაფების მიერ ცენტრალურ კავკასიადაა სახელდებული. აღნიშნული თვალსაზრისით, ნიშანდობლივია ის, რომ თანამედროვე ოსურ ენაში სწორედ ორ დიალექტს გამოყოფენ, ესენია: დიგორული, რომელიც უფრო არქაულია და ირონული.

ოსებს XX საუკუნემდე ერთიანი ენდოეთნონიმი არც ჰქონიათ. აღმოსავლეთ ოსეთის სამ ხეობაში მცხოვრები ოსები თავიანთ თავს „ირონს“ უწოდებდნენ, ხოლო დასავლეთით, დიგორის ხეობაში მცხოვრებნი — „დიგორონს“. დიგორელები პირველად VII საუკუნის „სომხურ გეოგრაფიაში“ არიან მოხსენიებულნი, ხოლო ირონელები XVII საუკუნემდე არსად იხსენიებიან. ეთნოლოგი ნ. ვოლკოვა წერს, რომ ოსთა აღმოსავლეთ ჯგუფების თვითსახელწოდება — „ირონი“ საისტორიო წყაროებში იშვიათად მოიხსენიება. ის იქვე დასძენს, რომ ეს გარემოება გაუგებარია, რით უნდა აიხსნასო, რაც, ჩვენი აზრით, სრულიად ახსნადია, თუ ალანურ-ოსური ტომების განსახლების არეალებსა და მიგრაციის მიმართულებას ადრე შუა საუკუნეებიდან გვიან შუა საუკუნეებამდე დაწვრილებით დავაკვირდებით. XIII-XIV საუკუნეებამდე, ანუ მონღოლთა შემოსევებამდე, ოსები (უფრო მართალი ვიქნებით, თუ ვიტყვით — მათი წინაპარი ალანები) აღმოსავლეთ ოსეთის ზემოთ დასახელებულ სამ ხეობაში (ალაგირი, ქურთაული, თავაური) არ ცხოვრობდნენ. მათ სახელმწიფო ჩრდილოეთ კავკასიის ბარში ჰქონდათ შექმნილი. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიის მთას, ისინი აქ დიგორიაში და მის დასავლეთით დღევანდელი ბალყარეთისა და ყარაჩაის ტერიტორიაზე ადრე შუა საუკუნეებიდან, VI-VII საუკუნეებიდან ცხოვრობდნენ. აი, ეს არის ძირითადი მიზეზი, თუ რატომ იხსენიებიან ადრეულ წყაროებში დიგორელები და რატომ არ იხსენიებიან ირონელები. სხვათა შორის, ბალყარელებში შემორჩენილია გადმოცემა, რომ დიგორელი და ბალყარელი ფეოდალების — ბადელიატების და ბასიატების წინაპრები ჩრდილოეთიდან, მდ. ყუმის

შუაწელზე მდებარე ადგილ მაჯარიდან გადმოსახლდნენ.

მიუხედავად ამისა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეზობელი ხალხები ოსური ეთნოსის ამ ორ ნაწილს სხვადასხვა ხალხებად აღიქვამდნენ. ერთიანი თვითსახელწოდების არარსებობის მიუხედავად, ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრებ ამ ირანულენოვან ხალხს ერთიანი თვითშეგნება მაინც ჰქონდა. რაც შეეხება ეთნონიმს: „ოსი“, ის ქართველთაგან გავრცელდა. ამ ეგზოეთნონიმით ოსებს, ქართველთა გარდა, ფაქტობრივად, არავინ იცნობდა.

დღეს ოსი მეცნიერები ცალკე გამოყოფენ „თუალებს“, ანუ თუალთაში მცხოვრებ ოსებს. თუალთა კი სხვა არაფერია, თუ არა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხე დვალეთი, სადაც ქართველი მთიელები (დვალეები) ცხოვრობდნენ. ისინი ექვს თემად ცხოვრობდნენ და განსახლებულნი იყვნენ ჟღელის, ზრამაგის, ნარას, ზროგოს, ზახას, კასრის ხეობებში. XX საუკუნის მეორე ნახევარში დვალეთს ოსმა მეცნიერებმა „ცენტრალური ოსეთი“ უწოდეს.

XIII-XIV საუკუნეებში, როგორც აღვნიშნეთ, ხდება ალან-ოსების ბინადრობის ადგილის კიდევ ერთხელ შეცვლა. ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შესული ალან-ოსები ადგილობრივ კავკასიურ ტომებს შეერივნენ. ესენი იყვნენ ქართული წყაროების „კავკასიანი“ და ინგუშთა წინაპარი ტომები. ოსების აღრინდელი საცხოვრისი ჩრდილოეთ კავკასიის ბარში ყაზარდოელებმა დაიკავეს და მთიდან ბარში გამოსასვლელ ადგილებში შექმნეს მტკიცე სიმაგრეები, რათა მთებში შერეკილი ოსები ჩრდილოეთ კავკასიის ბარში საცხოვრებლად აღარ გასულიყვნენ. მათ მიგრაციას ბარიდან მთაში ტოპონიმების გადატანაც კი მოჰყვა. XIII-XIV საუკუნეებიდან მოყოლებული, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ოსებს რაიმე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი არ ჰქონიათ; არ ჰყოლიათ საერთო მმართველი. ისევე, როგორც კავკასიის სხვა ეთნოსთა უმეტესობა, ოსებიც აქ ხეობებში ერთმანეთისაგან განცალკევებით, ტერიტორიული თემების სახით ცხოვრობდნენ.

სამხრეთისაკენ ოსთა მიგრაციას ქვემოთ დავუბრუნდებით. ამჯერად კი მათ რუსეთთან ურთიერთობას და ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთსა და ბარში მიგრაციის საკითხს უნდა შევეხოთ. რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რუსულ-ოსური ურთიერთობები XVIII საუკუნის შუა ხანებიდან განმტკიცდა. ოსების დიდი ნაწილი რუსეთზე იყო ორიენტირებული და არაერთხელ მიმართავდნენ რუსეთის ხელისუფლებას, მიეღოთ ისინი ქვეშევრდომებად. პირველად აღმოსავლეთ ოსეთის უზუცესებს ასეთი თხოვნით 1770 წლის დასაწყისში ყიზლარის კომენდანტისათვის მიუმართავთ. თავის მხრივ, რუსეთი ოსეთის შეერთებით დაინტერესებული იყო, რადგან ოსურ ხეობებს სამხრეთ კავკასიასთან დასაკავშირებელი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდგომარეობა ეკავათ. ოსეთის რუსეთთან შეერთების პროცესი ქუჩუკ-კაინარჯის ზავის დადების შემდეგ დაიწყო. ცნობილია, რომ აღნიშნული ზავით რუსეთის მფარველობაში შევიდა ყაზარდო. სამშვიდობო ხელშეკრულებაში ოსეთი საერთოდ ნახსენები არ იყო. ეს ბუნებრივიცაა, ასეთი ქვეყანა, სახელმწიფოებრივი ერთეული იმ დროს არ არსებობდა. რუსეთის სახელმწიფო

მოღვაწეები კი პირიქით აცხადებენ. არ არსებობს არც ერთი საბუთი, დოკუმენტი, რომელშიც ნახსენები იქნებოდა რაიმე ფუნქციის მატარებელი ოსური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. მით უმეტეს, არ არსებობს ორი ოსეთის ერთიანობის დამადასტურებელი საბუთი. საერთოდ არ არსებობდა ისეთი ცნებები, როგორცაა: „ჩრდილოეთი ოსეთი“ და „სამხრეთი ოსეთი“. XVIII საუკუნის ბოლოსთვისაც და შემდეგაც ორი ოსეთის, როგორც სახელმწიფოებრივი ერთეულის არსებობა და, მით უმეტეს, ერთიანი ოსეთის და თანაც სახელმწიფოს არსებობა, სრული ნონსენსია. თუ ოსეთის სახელმწიფო არსებობდა რუსეთის შემადგენლობაში შესვლის სურვილით, ასტრახანის გუბერნატორს 1774 წელს რატომ მაინცდამაინც ოსთა „ჩენილები“ (ხალხის არჩეულები) და არა სახელმწიფოს მეთაური ან მისი ელჩი არ ეწვია? ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებაში მხოლოდ ყაზარდოზეა საუბარი და არა ე. წ. ოსეთზე. მაშინ ოსები მხოლოდ ყაზარდოზე ფორმალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. საბჭოთა პერიოდის საისტორიო გამოკვლევებშიც ხომ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ჩრდილოეთ ოსეთის ოთხი ხეობიდან (საზოგადოებიდან) მხოლოდ სამი შევიდა ფორმალურად რუსეთის დაქვემდებარებაში (ჩრდილოეთ კავკასიის... 1988: 422—449; ბლიევი, 1990: 44—45). რუსულ ისტორიოგრაფიაში 1774 წელი მაინც ოსთა რუსებთან შეერთების წლადაა მიჩნეული. 1774 წლის ოქტომბერში ოსი ხალხის სურვილით ციხე-სიმაგრე მოზდოკში დაიწყო მოლაპარაკებები ასტრახანის გუბერნატორსა და ოსურ ოცკაციან დელეგაციას შორის. მოლაპარაკებების პროცესში შემდეგი საკითხები განიხილეს: ოსების ცენტრალური კავკასიის მთისწინა ველებში ჩასახლება; ოსებით დასახლებული ტერიტორიების რუსეთის იმპერიასთან შეერთება; მეზობელი ფეოდალების თავდასხმებისაგან დასაცავად სამხედრო სიმაგრეებისა და ფორპოსტების შექმნა. ყველა ამ საკითხზე ორივე მხარემ შეთანხმებას მიაღწია. ერთ რამეს უნდა გაეცვას ხაზი, რომ ამ მოლაპარაკებებში მაჰმადიანურ დასავლეთ ოსებს (დიგორელ ოსებს) მონაწილეობა არ მიუღიათ და 1774 წელს, შესაბამისად, ისინი არც რუსეთის ქვეშევრდომები გამხდარან. რაც შეეხება საქართველოში (დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში) მცხოვრები ოსებს, ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ ისინი რუსეთის ხელისუფლებას დიდხანს უწვედნენ წინააღმდეგობას. მაგალითად, ისინი რუსეთის ხელისუფლებას 1830-იან წლებშიც აჯანყებდნენ. რუსი კოლონიზატორების წინააღმდეგ განსაკუთრებით გამოუჩენიათ თავი სოფელ როკში მცხოვრებ თომავეებს — (კალოევი, 1999: 268). ოსების ძირითადი მიზანი ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ველებში სამოსახლო ადგილების მოპოვება იყო. ამის შემდეგ კი იწყება ოსთა ინტენსიური მიგრაციული პროცესი ჩრდილოეთისაკენ, რაც განსაკუთრებით ინტენსიური XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან გახდა. მიგრაციის ამ მიმართულებამ ოსების სამხრეთისაკენ, ანუ საქართველოს ტერიტორიაზე მიგრაცია ფაქტობრივად შეაჩერა, თუ არ ჩავთვლით დვალეთში მცხოვრებ ოსებს, რადგან მათი განსახლების არეალი გეოგრაფიულად უფრო საქართველოსთან იყო დაკავშირებული, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიასთან.

ჩრდილოეთით გადასახლების დაწყებამდე XVII საუკუნის ბოლოს

ოსთა განსახლების მიჯნები იყო დიგორის, ალაგირის, ქურთათის და თავაურის ხეობის გასასვლელები, რითაც ისინი ყაზარდოელებს ესაზღვრებოდნენ. XVIII საუკუნის 70-80-იან წლებში დიგორელთა რამდენიმე დასახლება მთისწინეთში გაჩნდა. მათ შორის, კარაჯაევო, ყობანი, ვაშტილი, ვასელიგო და ტუმა მდ. ურუხზე, კუბათი — მდ. დურ-დურის ხეობაში. ახალი დასახლებები კარაჯაევებმა, კუბატაევებმა და ტუგანოვებმა შექმნეს, რომლებიც ამ მიწებზე თავის ქვეშევრდომებთან ერთად დასახლდნენ. უფრო ადრე, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ოსებმა ეთნიკური საზღვარი აღმოსავლეთითაც გაიფართოვეს. აქ, მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე, XVIII საუკუნის 20-იან წლებში დასახლდნენ ლარსში, ჩიმიში, ბალთაში (სამივე ეს სოფელი დარიალის ხეობაში მდებარეობს). რუსული წყაროების ცნობებით, XVI-XVII საუკუნეებში ლარსის მიდამოებში, მდ. თერგის მარცხენა მხარეზე ინგუშური მოსახლეობა მკვიდრობდა. აღნიშნულ სოფლებში დასახლებული ოსები ალაგირის ხეობიდან იყვნენ მიგრირებულნი (ვოლკოვა 1974: 125—126). კლაპროტის მონაცემებით, ლარსში, ჩიმიში და ბალთაში მოსახლე ოსები ინგუშებს მიწით სარგებლობისათვის გამოსაღებს უხდიდნენ. იმავე ავტორის ცნობით, სლონატეს გვარის ოსებს აქ შემდეგში თავაურის ხეობიდან სხვადასხვა გვარები დამატებიათ. გაძლიერებულ ოსებს ინგუშებისათვის ხარკის გადახდა შეუწყვეტიათ, თუმცა 30 წლის განმავლობაში მცირეყაზარდოელ თავადებს — მუდაროვებს კვლავ უხდიდნენ გადასახადს. არაერთი საბუთით დადგენილია, რომ თანამედროვე ოსეთის დედაქალაქი — ვლადიკავკაზი 1774 წლისათვის, როდესაც აქ რუსებმა ეს ციხე-სიმაგრე ააშენეს, ინგუშურ სოფელს წარმოადგენდა და მას ზაურეგი ერქვა, რომელშიც ზაუროვების გვარის ინგუშები ცხოვრობდნენ. XIX საუკუნე ოსთა მთიანი ხეობებიდან ბარში ინტენსიური და ჯგუფური გადასახლების პერიოდია. XIX საუკუნის 20-იან წლებში ოსური დასახლებები ვლადიკავკაზის დაბლობზე შეიქმნა. აქ ახლადწარმოქმნილ ოსურ სოფლებში ძირითადად ირონელი ოსები ეფუძნებოდნენ (ბეროზოვი, 1980).

ახლა ოსების საქართველოში მიგრაციის შესახებ. ყოველგვარ არგუმენტებსა და ფაქტებსა მოკლებული და მხოლოდ ზოგიერთი ავტორის აზრებს ეყრდნობა თეზისები ოსების საქართველოში ძველი დროიდანვე მკვიდრობის შესახებ. არც ერთი საისტორიო წყაროთი, საბუთით არ დასტურდება ოსების საქართველოში მიგრაცია და აქ საბინადროდ გადმოსვლა არც ძველი წელთაღრიცხვის სხვადასხვა მონაკვეთში და არც ახ. წ.-ის IV საუკუნეში ჰუნების შემოსევას ალან-ოსების საქართველოში დასახლკარება არ მოჰყოლია. როგორც ზემოთ ითქვა, ამ დროს ოსებმა დონისპირა და აზოვისპირა ველებიდან შედარებით სამხრეთით, ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ველებში წამოიწიეს.

არ დასახლებულან ოსები საქართველოში არც VII და არც XIII საუკუნეებში, როგორც ეს ზოგიერთ ავტორს წარმოუდგენია. XIII საუკუნეში ოსებმა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობებში დაიწყეს შესვლა, რაც კარგა ხანს გაგრძელდა და ეს მიგრაციული პროცესი დასრულდა XV საუკუნის დასაწყისში. XIII საუკუნის მეორე ნახევარში მხოლოდ ოსების ერთმა ჯგუფმა სცადა შიდა ქართლში დასახლება,

რომელიც დარუბანდის გზით იყო შემოსული. მათი სამხედრო რაზ-
მი ილხანთა მონღოლური სახელმწიფოს ბრძანებით მოქმედებდა. 1292
წელს უმეფობის პერიოდში „იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცვად და რბე-
ვად და ტყვევნად ქართლისა და ქალაქი გორი წარტყუნეს და თვისად
დაიჭირეს ოვსთა“ (ყამთააღმწერელი, ქც, II, 296). ოსებმა ისარგებლეს
საქართველოს დასუსტებით და მონღოლთა მხარდაჭერით ცდილობდნენ
შიდა ქართლში სამოსახლო ადგილების მოპოვებას. ოსების მონღოლთა
ეს ფაქტობრივად „საპოლიციო რაზმები“, გარკვეული ხნის შემდეგ, მეფე
გიორგი V ბრწყინვალის მიერ განადგურებულ და გაძევებულ იქნენ სა-
ქართველოდან („განასხნა და აღფხურნა“). ბრძოლაში ცენტრალური ხე-
ლისუფლების მხარეზე იბრძოდა მთის მოსახლეობაც: ქსნის საერისთავოს
ლაშქარი გირშელ ერისთავის მეთაურობით და „მთიულნი არაგვისანი“.
ოსთა ამ რაზმების განადგურებისა და გაძევების შემდეგ, საქართველოს
სახელმწიფოს მესვეურებმა კარგა ხნით მტკიცედ ჩაკეტეს ოსეთის ხეო-
ბებიდან საქართველოში შემოსასვლელი ორივე კარი (დარიალი, კასრის-
კარი) და გარკვეული ხნით შეაჩერეს ოსთა საქართველოში მიგრაცია.
სამართლიანობა მოითხოვეს, აღინიშნოს, რომ ოსებს უფრო ადრეც ჰქონ-
დათ მცდელობა საქართველოში დამკვიდრებისა. მაშინაც ისინი უტყბო
ძალას ეყრდნობოდნენ; მაგალითად, IX საუკუნის შუა ხანებში არაბმა
მხედართმთავარმა ბულა თურქმა დარიალის გადმოსასვლელით 100 კომ-
ლი ოსი შემოიყვანა და ქვემო ქართლში, ანუ სამხრეთ საქართველოში,
შიდა ქართლიდან საკმაოდ დაშორებით, ქალაქ დმანისში დაასახლა. წყა-
როებით არ ჩანს, შემდგომში რა ბედი ეწია ეთნიკური ოსების ამ 100
ოჯახს. სავარაუდოდ, ისინი ან მალევე ასიმილირდნენ ქართველთაგან,
ან გავიდნენ საქართველოდან. XIII საუკუნის შუა ხანებში, მონღოლთა
ხანის ბრძანებით, მეფე დავით VII-მ მიიღო მონღოლთა მოკავშირე ოსთა
სამხედრო რაზმები და საცხოვრებლად დმანისი და ჟინვანი მისცა. არც
ამ სამხედრო რაზმების შემდგომი ბედია ცნობილი. ყოველ შემთხვევაში,
არავითარი ოსური ეთნიკური ანკლავი ქართული წყაროებით ამ ქალა-
ქებში არ ჩანს.

კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარე ისტორიული საქარ-
თველოს პროვინციაში — დვალეთში ოსების შემოსახლება XV საუკუ-
ნის ბოლოდან იწყება. ეს პროცესი აქ ძირითადად განხორციელდა XVI
საუკუნეში, XVII საუკუნეში კი დვალეთში დასრულდა ადგილობრივ
ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის (ტერიტორიული ერთეულის) —
დვალეების ასიმილაცია ოსების მიერ. მაგრამ, როგორც ბ. კალოვეის მიერ
ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, დვალეთის ზოგიერთ
ხეობაში, მაგალითად, ზახაში ორენოვნება დიდხანს იყო შემორჩენილი
(კალოვეი, 1999). ზახელების უმეტესობამ ქართული ენა კარგად იცოდა.
დასახელებული ავტორი ამას საქართველოსთან ხანგრძლივი ეთნოკულ-
ტურული კავშირებით ხსნის, აგრეთვე, ზახის ეკლესიებში ქართული
სასულიერო პირების მოღვაწეობითა და მათ მიერ ქართულ ენაზე ქა-
დაგებით. ეს მასალა პირდაპირ მიუთითებს არა ორ სხვადასხვა ეთნოსს
შორის არსებულ ეთნოკულტურულ კონტაქტებზე, არამედ იმაზე, რომ
დვალეები ქართველი მთიელები იყვნენ და მოსულმა ირანულენოვანმა

ერთობამ მათი ასიმილაცია მოახდინა. ზახაში ქართული ეკლესიების არსებობა, ქართველი მღვდლების მოღვაწეობა და ქართულ ენაზე ქადაგებაც იმის დამადასტურებელია, რომ დვალეთი ქართული მხარე იყო თავისი ქრისტიანული რელიგიით. იმავე ბ. კალოვეს თავის ნაშრომებში იმის დამადასტურებელი მასალაც მოაქვს, რომ XVIII საუკუნის ბოლოსაც დვალეთის მკვიდრნი, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ჯარში ისევე იბრძოდნენ, როგორც სხვა მხარეების წარმომადგენლები. ოსების დვალეთში დასახლებამდე, ოსების მოწოლის, თარემის, ლაშქრობების გამო, დვალეების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, იმერეთი, რაჭა) განსახლდა. ადგილზე დარჩენილი დვალეები, ოსთა ეთნიკურ-ენობრივ გარემოში ამ უკანასკნელთა აქ ჯგუფური შემოსახლებისა და სწრაფი გამრავლების შედეგად ასიმილირებულ იქნენ. ქართველი მთიელი დვალეები იყვნენ წარმომოხი: ხადურები, ჩიფჩიურები, ბიგულები, თვაურები, ჩოჩოურები (იგივე ჩოჩიშვილები), ბედელურები, გუდიაურები, ბაგაურები, გერგაულელები, თაბაურები, ხერხეულიძეები, ქესაურები, ფარუხაულეები; აგრეთვე: ბიგანები (ბიგანიშვილები), ხაბარელები, ხეთერელები, ხაჩიძეები (ადრინდელი ხაჩიურები). რაც შეეხება ნარ-მამისონის ქვაბულში (ანუ დვალეთში) მოსახლე ყველაზე დიდ ოსურ გვარს ხეთაგურს (ხეთაგურებს), მათი წინაპარი აქ ყაბარდოდან იყო მოსული და, ბუნებრივია, ქართულ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში გვარსახელიც -ურ სუფიქსით გაიფორმეს. შემდეგ ოსურ ეთნიკურ გარემოში ეს გვარიც გაოსდა.

ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე — დვალეთში ოსებმა ძალით რომ გაიკაფეს გზა, მათ აქ დასახლებას, თავდასხმები რომ უძღოდა წინ, კარგად ჩანს ფოლკლორული მონაცემებითაც. მხედველობაში გვაქვს ხალხური ლექსი „მალლა მთას მოდგა უცხო ფრინველი“, რომელიც სწორედ დვალეთის მეზობელ, საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში — რაჭაშია შექმნილი. ამიტომაც ამ ლექსის, როგორც საისტორიო წყაროს, მნიშვნელობა, ძალზე დიდია. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ხალხური ლექსით კარგად ჩანს, რომ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინცია — დვალეთი, ოსეთში არასდროს არ შედიოდა და დვალეთში ოსებმა დასახლება ბრძოლით შეძლეს:

„მალლა მთას მოდგა

უცხო ფრინველი,
თეთრი ფრთოსანი.

ჟღელეს ჩამოდგა

დიდი ლაშქარი,

დიდი ლაშქარი — **ოსი** და **დვალი**.

ომი შეიქნა ცისკრისა ჟამსა,

ცისკრისა ჟამსა, გამთენიასა:

ქნევა ხმლისა, ძგერა შუბისა.

ხმალი ორპირი სისხლში ცურავდა,

შუბის ნალეწი ზეცას ცვიოდა,

მესამე დღესა ჩამოცვიოდა.

ვაჟკაცთ ყვირილით მიწა იძროდა,

სისხლისა ღვარსა კაცნი მოქონდა.

ჯაფარ გაიქცა, ვით რომ კაკაბი,
ოსი მისდევდა, ვით რომ არწივი.

ჯაფარ, ვერ წახვალ

შინა მშვიდობით,

ცოლს ვერ მიუტან

ლაშქრულს ანბაესა,

ლაშქრულს ანბაესა,

წითელ კაბასა,

სიტყვა გათავდა, ჯაფარ წაიქცა,

ჯაფარ წაიქცა სვეტი ოქროსი.

ომი გათავდა, ომი გათავდა,

აგერ მოდიან მოწიფულები.

ჯაფარ მოაყვე:

თავი გოდრითა,

ტანი ლასტითა,

წვრილი წელები —

ხელკალათითა“ (ძველი..., 1911-1913: 115).

ამ ხალხური ლექსის 15-ზე მეტი ვარიანტი არსებობს, უფრო სრულყოფილიც. შესაძლებელია ამ ლექსის თავდაპირველი ვარიანტის აღდგენა. მეცნიერთა მითითებით, თავისი აგებულებით ეს ლექსი საკმაოდ ძველია (ქურდიანი, 1997: 176-178). დასკვნის სახით ვიტყვით, რომ **ხალხურ ლექსში ასახულია დვალეთში შემოჭრილი ოსების ბრძოლა ადგილობრივ დვალეებთან. სამოსახლო ტერიტორიებს დვალეთში ოსები ბრძოლით მოიპოვებენ. ოსები დვალეებთან ბრძოლაში იმარჯვებენ. მრავალი დვალი დაიღუპა. გადარჩენილები კი მამა-პაპათა საცხოვრისიდან გაიქცნენ** (და დასახლდნენ შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, რაჭაში, ზემო იმერეთში). **დვალთა ერთ-ერთი ლიდერი ჯაფარი, დამარცხდა რა უთანასწორო ბრძოლაში, გაიქცა, „ვით კაკაბი“. გაქცეული ჯაფარი, რომელიც დვალეებს ასახიერებს, ოსებმა აკუწეს.** რაც შეეხება იმას, რომ ეს ბრძოლა ნამდვილად მოხდა, კარგად ჩანს ხალხური ლექსიდან. ლექსში ნახსენები ორივე ტოპონიმი („მაღლა მთა“ და „ჟღელე“, სადაც ბრძოლა მოხდა) დვალეთშია. „მაღლა მთა“ ეს იგივე „მაღლა დვალეთია“. ასეთი გეოგრაფიული ერთეული ნახსენები აქვს იოანე ბაგრატიონს (ბაგრატიონი, 1986: 79). „ჟღელე“ კი დვალეთის ექვსი ხეობიდან ერთ-ერთი ხეობაა, რომელიც გეოგრაფიულად მთიან რაჭასთან ახლოსაა (მთიანი რაჭიდან დვალეთის ჟღელეს ხეობაშია გადასასვლელი). ლექსის რამდენიმე ვარიანტში ნახსენებია ტოპონიმი „ქალაქად. „ქალაქაცდ დვალეთის ერთ-ერთი დასახლებული პუნქტი იყო. ლექსში ნახსენები „უცხო ფრინველი თეთრი ფრთოსანი“, რა თქმა უნდა, საომრად მოსული ოსები იყვნენ, რომლებიც დიდი ლაშქრით დაუპირისპირდნენ ადგილობრივ დვალეებს. ხალხური ლექსიდან ამჟღავნა, რომ ერთმანეთს უპირისპირდება ორი ერთმანეთისათვის უცხო ხალხი: ბრძოლით მოსული ოსები და ადგილობრივი, ქართველთა ტერიტორიულ-ლოკალური ჯგუფი — დვალეები. ამ ლექსით საფუძველი ეცლება ოსი ავტორების

„მტკიცებას“, რომ დვალეები ოსები იყვნენ. ლექსში ასახული ბრძოლის შემდეგ მოხდა სწორედ მოსახლეობის ეთნიკური შეცვლა საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთ უძველეს პროვინციაში — დვალეთში.

ოსური გადმოცემებიც ადასტურებენ, რომ ოსური ეთნოსი დვალეთში ბრძოლით არის მოსული. ადგილობრივ მოსახლეობას ისინი ებრძოდნენ, ამარცხებდნენ და ისე იკავებდნენ მათ საცხოვრებელ ადგილებს. ასეთი გადმოცემების საშუალებით, შეიძლება დავადგინოთ დვალეთის ადგილობრივი და მოსული ოსური გვარები. დვალეთში ფეხის მოკიდების შემდეგ ოსებმა შიდა ქართლის მთიანეთში გადმოინაცვლეს.

ნარ-მამისონის ქვაბულში (ანუ ისტორიულ დვალეთში) XVIII საუკუნისთვის განსახლებული ოსური გვარები ძირითადად ალაგირის ხეობიდან იყვნენ გადმოსახლებულნი. ამის დამადასტურებელი ეთნოგრაფიული მონაცემები მოყვანილი აქვს რუს ეთნოლოგს — ნატალია ვოლკოვას: «Другим более массовым и давним по времени движением алагирцев за пределы своего ущелья следует считать, видимо, их поселение в Центральной (ბოლო დროს ოსები ამ ტერმინით დვალეთს მოხსენიებენ; ის ბ. კალოევმა დაამკვიდრა — რ. თ.) и Южной Осетии. Народная традиция выводит многих жителей верховьев Большой Лиахвы и Ардона из алагирских селений Цамат, Дагом, Луар, Урсдон, Цей и др.» (ვოლკოვა, 1974: 122). «Формирование населения области Туалта (ოსები დვალეთს „თუალთაის“ უწოდებენ — რ. თ.), как уже отмечалось, происходило в основном за счет переселившихся алагирцев. В Зругском ущелье (იგივე ზროგოს ხეობა — რ. თ.) поселились предки Козаевых, Хозиевых, Бираговых, в Закинском ущелье (ზახას ხეობა — რ. თ.) — Калоевых, в Гибе — Кучиевых из Мизура. Из Туалта длительное время шел активный процесс расселения туалцев в район Военно-Грузинской дороги (Коби, Ухате), Урс-Туалта, откуда некоторые фамилии (например, Абаевы) впоследствии перешли в Коби, в Трусовское ущелье, где имеются переселенцы из Нара (დვალეთის ექვსი ხეობიდან ერთ-ერთი ნარას ხეობაა — რ. თ.), а также в Джавское и Кударское ущелья» (ვოლკოვა, 1974: 124). იგივე ავტორი თავაუტრელი ოსების მასობრივ მიგრაციაზეც მიუთითებს თერგის ხეობის სათავესა (თრუსო) და საქართველოს სამხედრო გზის რაიონში. მკვლევართ შენიშნული აქვთ, რომ ოსეთის ხეობებიდან ალაგირის ხეობა ყველაზე ნაკლებ ნაყოფიერი იყო, რაც ალაგირელთა ინტენსიური მიგრაციის ძირითადი მიზეზი იყო. ვერ გაექცა დვალეთელი ოსების კავკასიურ საფუძველზე წარმოქმნის უტყუარ მასალას ბ. კალოევი, რომელიც აღნიშნავს, რომ ისინი ჩამოყალიბდნენ ალანების მიერ ადგილობრივი კავკასიური ტომების — დვალეების ასიმილაციის გზითო, თუმცა დვალეების ეთნიკური ქართველობის აღიარება უჭირს (კალოევი, 1999: 5).

საერთოდ, ოსების შიდა ქართლში მიგრაცია ძირითადად დვალეთის გზით ხორციელდებოდა. დვალეთში მოსახლეობის ეთნიკურ ცვლილებას ამ პროვინციის საქართველოდან ჩამოცილება არ მოჰყოლია. საქართველოს სახელმწიფოებრიობის მთელ მანძილზე და რუსეთის კოლონიად გადაქცევის შემდეგაც დვალეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. კავკასიის მეფისნაცვლის — ა. ბარიატინსკის 1858 წლის 3 აპრილის ბრძანებით დვალეთი, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ, ნარას უბანი,

თანამედროვე ნომენკლატურით ფიაგდონისა და არდონის სათავეები (შედიოდა თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში), რომლის ფართობიც 3. 581 კვ. კმ.-ს შეადგენდა, ჩრდილოეთ კავკასიის თერგის ოლქის „ოსეთის სამხედრო ოლქს“ შეუერთდა (ივანენკო, 1873: 450-451). 1858 წლით დათარიღებულ ერთ დოკუმენტში დვალეთის ზახას ხეობაში მცხოვრები აბაევები აღნიშნავენ, რომ მათი წინაპრები ერთგულად ემსახურებოდნენ ქართველ მეფეებს, იცავდნენ მათ ურჯულო ლეკებისა და სპარსელებისაგან. ბ. კალოევის მიერ მოხმობილი ეს საბუთი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ დვალეთი, მიუხედავად აქ მოსახლეობის ეთნიკური ცვლისა, მუდმივად საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. ქართული წყაროებით, დვალეთი ყოველთვის საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. ვახუშტი ბაგრატიონიც აღნიშნავდა, რომ დვალეთი მეფე ფარნავაზის დროიდან (IV—III საუკუნეების მიჯნა) შემოდიოდა საქართველოს შემადგენლობაში (ქც, 1973: 633). ისევე როგორც საქართველოს მთიანეთის სხვა მხარეებიც, დვალეთიც უშუალოდ სამეფო კარის დაქვემდებარებაში იყო, აქ ფეოდალური ერთეული — სათავადო არ შექმნილა (ასევე იყო მეზობელ მთის მხარეებში: ფშავში, ხევსურეთში, თუშეთში...). მთიელებს, საერთოდ, შედარებით თავისუფლება ჰქონდათ ბოძებული, მათი მოვალეობა ძირითადად საზღვრების დაცვა იყო. საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ, XV საუკუნის მეორე ნახევრიდან, დვალეთი ქართლის სამეფოს განუყოფელი ნაწილი იყო. მხარეს მეფეთა მიერ დანიშნული მოხელეები — მოურავები განაგებდნენ. ცნობილ პიროვნებათაგან დვალეთის მოურავი XVII საუკუნის დასაწყისში იყო გიორგი სააკაძე. ისევე როგორც საქართველოს მთიანეთის სხვა მხარეების მკვიდრნი, დვალეთში მცხოვრები ოსებიც ზოგჯერ დაუმორჩილებლობას აცხადებდნენ. ასეთი მცდელობა ჰქონდათ დვალეთში მცხოვრებ ეთნიკურ ოსებს XVIII საუკუნის დასაწყისში. მეფე ვახტანგ VI-ს სპეციალური ექსპედიციის მოწყობა დასჭირდა და დვალეთში მცხოვრებმა ოსებმა კვლავ ქართლის მეფის უზენაესობა აღიარეს.

დვალეთი არა მხოლოდ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურად, არამედ სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისითაც საქართველოსთან იყო დაკავშირებული. ბ. კალოევი დვალეთის ზახას ხეობის (თემის) შესახებ წერს, რომ მათ მოწეული მოსავალი მხოლოდ სამი-ოთხი თვის განმავლობაში ჰყოფნიდათ და ოსეთის სამხედრო გზის გახსნამდე და ადმინისტრაციულად თერგის ოლქში შესვლამდე (XIX საუკუნის 60-იანი წლები), სურსათს იძენდნენ ქართულ ქალაქებში: ცხინვალში, ონში, გორში, ქუთაისში და სხვა; აქ ისინი ძირითადად მეცხოველეობის პროდუქტებს მიწათმოქმედების პროდუქტებსა და ხელოსნურ ნაწარმზე ცვლიდნენ. შიდა ქართლიდან გატანილ პროდუქტებს შორის, ეთნოგრაფიული მონაცემებით, ღვინოსაც ასახელებენ (კალოევი, 1999: 270—271, 276). დვალეთში მცხოვრები ოსები საერთოდ არასდროს არ უნათესავდებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ოსებს, რაც, პირველ ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ დვალეთი ჩრდილოეთთან ძნელადმისადგომი გადასასვლელებით იყო დაკავშირებული, იმ დროს, როდესაც დიდი ლიახვისა და რიონის ხეობასთან მათ თერთმეტი გადასასვლელი აკავშირებდათ და

ისინი ზამთარშიც კი ადვილად გადასავლელი იყო.

დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა პირველი დასახლებები ჩნდება თრუსოსა (მდ. თერგის სათავე) და მალრან-დვალეთში (მდ. დიდი ლიახვის ხეობის სათავე). ოსების აქ დასახლება ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან XVII საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა. XVII საუკუნის პირველ ნახევარში ოსებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაკავებული შიდა ქართლის მთიანეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. ისინი აქ მხოლოდ დიდი ლიახვის ხეობის სათავეში (მალრან-დვალეთში, რომელიც ცხრა „მთური სოფლის“ ერთობლიობას წარმოადგენდა) იყვნენ მიგრირებული. მთელი რიგი საისტორიო მონაცემებით, XVII ს-ის პირველ ნახევარში შიდა ქართლის მთიანეთი (დიდი და პატარა ლიახვის ხეობები) ნასოფლარებით იყო მოფენილი. ადგილობრივი ქართული მოსახლეობა აქედან აყრილა და ბარში საცხოვრებლად გადასულა. ვახუშტი ბაგრატიონი ხაზგასმით წერდა, რომ დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში ოსები ქართველთა ნასახლარებზე იყვნენ დასახლებულნი: „ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლენი. შემდგომთა მეპატრონეთა მათგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარსა შინა კაცნი შემცირებულან“.

შიდა ქართლის მთიანეთში, კერძოდ, მდინარეების — დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ზემო წელში, ოსთა მიგრაცია ხდება XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან. საქართველოში ნამყოფი რუსი ელჩის — მ. ი. ტატიშჩევის (1604—1615) ჩანაწერით, ჩერქეზეთსა და საქართველოს შორის მხოლოდ 200-სულიანი ოსური დასახლება არსებობდა. დიდი ლიახვის ხეობის სოფელ ზემო ჯავაში XVII საუკუნის შუა ხანებში ოსური მოსახლეობა რომ ჯერ კიდევ არ მკვიდრობდა, ჩანს ერთი დოკუმენტიდან. საბუთში წერია, რომ „ამოწყდა ზემო ჯავა და დაუკაცურდა ოსთაგან, ღმერთი იყოს მოწამე ასრე ამოწყდა, რომ კაცის ნაშენები აღარა იყორა“ (დოკუმენტები, 1940: 364). საბუთში ლაპარაკია, რომ ზემო ჯავაში ადგილობრივი მოსახლეობა ოსთა თავდასხმებისა და მეკობრეობის შედეგად ამოწყდა. გაუკაცრიელებულ ზემო ჯავას ერთი ფეოდალისაგან მეორე ფეოდალი ყიდულობს. ამავე დოკუმენტში ამოწყვეტილ ქართულ გვარებზეცაა საუბარი. მიუხედავად ამისა, ოსმა ისტორიკოსებმა ის დამახინჯებულად თარგმნეს, რომ თურმე ზემო ჯავაში ოსური მოსახლეობა ამოწყდა: «Вымерла Верхняя Джава и не стало там осетин...». სინამდვილეში თარგმანი ასეთი უნდა ყოფილიყო: «Вымерла Верхняя Джава и опустошена (буквально: обезлюдена) осетинами... так вымерла, что никаких признаков людской жизни там не было». ამ დოკუმენტის მიხედვით, ზემო ჯავის მკვიდრნი იყვნენ: ძიგანიძეები, ეფენიაშვილები, გურჯიშვილები. **1634—1658 წლების საბუთით მეფე როსტომი თავის მოხელეებს უბრძანებს, რომ არაფერი დაეშავებინათ ოსეთიდან აყრილი და ჯავის ზემოთ დასახლებული ოსებისათვის და თუ ვინმე კვლავ ჩამოსახლდებოდა ოსეთიდან, არც მისთვის შეეშალათ ხელი** (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1448, დოკუმენტი №10326). უფრო ადრინდელი, XVI საუკუნის მეორე ნახევრის საბუთით ჯავის მკვიდრნი ყოფილან გარაყანიძეები. აქვე ისიც

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველი მეფეები და თავადები ზოგჯერ თვით იწვევდნენ ოსებს დასასახლებლად ქართველთა ნასახლარ-ნასოფლარებში. ამის დამადასტურებელი არაერთი დოკუმენტი არსებობს. ოსები საქართველოში XVII საუკუნის შუა ხანებიდან რომ არიან მიგრირებულნი, ამას მათი გადმოცემებიც ადასტურებს — ყველა გვარს აქვს გადმოცემა ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში 10—12 თაობის წინ გადმოსახლების შესახებ (ვანევი, 1936). ოსების საქორწინო ასაკს თუ გავითვალისწინებთ, ერთ საუკუნეში მხოლოდ ოთხი თაობა იბადებოდა. რეალურად ეს გადმოცემები წყაროებსა და დოკუმენტებთან სრულ თანხვედრაშია: მიგრაცია XVII საუკუნეების შუა ხანებიდან განხორციელდა. თუმცა ოსმა მეცნიერებმა გამოსავალი აქაც მოძებნეს — ეს მიგრანტები ბოლო, მეორე ტალღის მიგრანტებად მონათლეს და „უწინდელი ოსების“ ცნება შემოიტანეს, რომლებიც თურმე უფრო ადრე იყვნენ საქართველოში გადმოსახლებულნი და ქართველებმა ისინი გააქართველეს. სამისოდ ასამდე ქართული გვარსახელის მატარებელნი ძირად ოსებად მიიჩნიეს, ანუ მათებური ტერმინი რომ ვიხმაროთ, „უწინდელ ოსებად“.

ოსები თანდათან მოიწვევენ სამხრეთისაკენ და XVIII საუკუნის 30-იანი წლებისათვის ითვისებენ დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ხეობათა მთიან ზოლს მთლიანად. აქ, აღნიშნულ პერიოდში, ზოგიერთ მთიან სოფელში ოსები თანაცხოვრობდნენ ადგილზე დარჩენილ ქართულ მოსახლეობასთან ერთად (გიულდენშტედტი, 1961: 277—279).

XVIII საუკუნის მთელ მანძილზე ოსები შიდა ქართლის მთისწინეთში, ფაქტობრივად, არსად არ იყვნენ განსახლებული. ოსთა მიერ შიდა ქართლის მთისწინეთის სოფლებში (უფრო ხშირად, ნასოფლარებში) ჩასახლება იწყება XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში.

XVIII საუკუნის დასაწყისში ოსები სახლდებიან ჯეჯორის ხეობის სათავეში (კუდარო) და ქსნის ხეობის სათავეში (ჟამური). ჟამურში ოსთა მიგრაცია ხდება, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან, ისე დიდი ლიახვის ხეობის მთიანი ზოლიდან. სხვათა შორის, ცნობილი ოსი მეცნიერი ვასილ აბავეიც აღნიშნავდა, რომ ქსნის ხეობაში ოსები სულ ორასი წლის დასახლებული არიანო (აბავეი, 1949: 50). კუდაროში ისინი ძირითადად მიგრირებულნი არიან დვალეთიდან. შიდა ქართლის მთიანეთში ოსები ჯერ სახლდებიან დიდი ლიახვის ხეობაში, შემდეგ პატარა ლიახვის ხეობაში, ქსნის სათავეში (ჟამურში). XVIII საუკუნის დასაწყისში მცირე რაოდენობით ოსური მოსახლეობა ჩნდება მეჯუდას ხეობის სათავესა და ისროლისხევში. მეჯუდას ხეობის სათავეში ისინი პატარა ლიახვის ხეობის სათავიდან გადმოდნენ. ზემოთ რუსი ეთნოლოგის ნ. ვოლკოვას მონოგრაფიიდან ციტატები მოვიყვანეთ. კვლავ მას უნდა დავესესხოთ: «Многочисленные исторические предания осетинского народа подтверждают данные письменных источников о миграциях осетин на южные склоны хребта. Факты, сообщаемые этими преданиями, показывают, что хронологические рамки подобных переселений, для некоторых районов представлявших, видимо, вторую волну миграций, охватывают 3—5 поколений. Большинство ныне живущих в Кударском ущелье осетинских

фамилий, как свидетельствуют полевые материалы, — потомки переселенцев из Алагирского ущелья (селения Цей, Бад и др.) и Туалты (селения Тиб, Нар, а также Заккинское и Мамисонское ущелья), которыми были образованы селения: Лет (Калоевыми), Гулианта (Гуларовыми), Стырмасыг (Гагиевыми), Кобет (Джаджиевыми), Сагилзас (Наниевыми и Нартыкоемыми). Четвертое поколение Хугаевых, обосновавшихся несколько выше по Джоджоре в местности Часавали (рядом с современным Кваиси), образвало сел. Къозита. Предок этой фамилии, по преданию, ушел из Мамисона из-за отсутствия пахотных земель» (ვოლკოვა, 1974: 134). XVIII საუკუნის შუა ხანებისათვის ოსები რომ მხოლოდ შიდა ქართლის მთიანეთში, უვენახო-უხილო ადგილებში მკვიდრობდნენ, კარგად ჩანს ვახუშტი ბაგრატიონის საქართველოს ატლასიდან. ოსთა დასახლებები მას *-ით აქვს აღნიშნული.

XVIII საუკუნის ბოლოსათვის სამხრეთით ოსთა განსახლების უკიდურესი პუნქტები იყო (დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით): **კუდარო** (მდინარე ჭეჯორის სათავე რაჭაში) — **გუფთა** (მდ. დიდი ლიახვის ხეობა) — **აწერისხევის ხეობის ზემოთ** (პატარა ლიახვის ხეობაში) — **მეჭუდის ხეობის სათავეში ორი სოფელი — ჟამური** (ქსნის ხეობის სათავე) — **ლუდა** (მდ. თეთრი არაგვის ხეობის სათავე მთიულეთში) — **თრუსო** (მდ. თერგის სათავე). **XVIII საუკუნის ბოლოსათვის ოსები საერთოდ არ იყვნენ ლენურას ხეობაში, მეჭუდას ხეობაში (მისი სათავის გამოკლებით), ქსნის ხეობის მთიანეთის დიდ ნაწილში, ფრონეების ხეობაში.** სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორც ვახუშტი ბაგრატიონის დროს, ისე XVIII საუკუნის დასასრულს, ოსები საქართველოს ცალკეული ხეობების მხოლოდ „უვენახო-უხილო“ ზონაში ანუ „მთის ადგილებში“ ცხოვრობდნენ.

XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში ოსები იკავებენ პატარა ლიახვის ხეობის მთისწინეთის მნიშვნელოვან მონაკვეთს. ამ პერიოდიდან და განსაკუთრებით XIX საუკუნის პირველ ათეულ წელს ხდება ოსთა გაფორვითი, ანუ ინდივიდუალური განთესვა შიდა ქართლის მთიანეთიდან შიდა ქართლის მთისწინეთისა და ბარის სოფლებში. ამ დროისათვის ოსთა ასეთი განსახლება განსაკუთრებით განხორციელდა პატარა ლიახვის ხეობის მთიანი მონაკვეთიდან (XIX საუკუნეში ოსთა მთიდან მთისწინეთსა და ბარში გადანაცვლების ფაქტები აღნუსხულია 1818, 1830, 1840, 1860, 1873, 1886 წლის მოსახლეობის კამერალური აღწერის დავთრებსა და საოჯახო სიებში, რომლებიც დაცულია საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის 254 ფონდში).

XVIII საუკუნის დასასრულიდან ფაქტობრივად შეწყდა ოსთა მიგრაცია ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან საქართველოს მიმართულებით, რადგან რუსეთის ოფიციალურმა ხელისუფლებამ მათ დასახლების საშუალება მისცა ჩრდილოეთ კავკასიის ბარის რაიონებში. განსაკუთრებულ გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ დვალეთის ოსური მოსახლეობა, რომელსაც დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მიგრაცია არ შეუწყვეტიათ თითქმის მთელი XIX საუკუნის მანძილზე. საერთოდ, ოსების საქართველოს ტერიტორიაზე განსახლება უმეტესად დვალეთის გზით ხორციელდებოდა. ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან დვალეთში

შემოსახლებულები გარკვეული ხნით აქ დამკვიდრების შემდეგ შიდა ქართლის მთიანეთში გადმოდიოდნენ საცხოვრებლად. თუმცა არაერთი ფაქტია დადასტურებული ოსთა გადმოსახლებისა უშუალოდ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთიდან, განსაკუთრებით მიგრაციის ადრეულ, საწყის ეტაპზე.

სინამდვილეს არ შეესაბამება ზოგიერთი ავტორის მტკიცება XVII—XVIII საუკუნეებში შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში ოსთა განსახლების შესახებ. XIX საუკუნის დასაწყისიდან იწყება ოსთა მიგრაცია ფრონეების ხეობაში, მეჭუდას ხეობაში, ლეხურას ხეობაში და ქსნის ხეობის მთიანეთის სხვა დასახლებულ პუნქტებში. ფრონეების ხეობაში ოსების მიერ ქართველთა ნასოფლარებში დაფუძნება ხდება ძირითადად დიდი ლიახვის ხეობიდან, თუმცა თვალშისაცემია, რომ პირველი ოსი მიგრანტები ფრონეების ხეობის ქართველთა ნასოფლარებში დვალეთიდან წამოსული ოსები იყვნენ. პატარა და დიდი ლიახვის ხეობებიდან გადმოდის მოსახლეობა მეჭუდას ხეობაში. ლეხურას ხეობაში ოსების მიგრაცია ძირითადად ქსნის ხეობიდან (ყამური, ჭურთა) ხდებოდა. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის პირველ სამ ათეულ წელს ლეხურას, მეჭუდასა და ფრონეების ხეობებში ოსთა დასახლებას ინტენსიური ხასიათი არ ჰქონია. ინტენსიურად ამ ხეობების მოშენება ძირითადად მოხდა XIX საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული, ვიდრე 1880-იან წლებამდე.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ჩნდება თითო-ოროლა ოსური ოჯახი შიდა ქართლის გაღმამხარში, სადაც მათი მიგრაცია ძირითადად XIX საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში დასახლდნენ ოსები დღევანდელი ბორჯომის რაიონში (გუჯარეთის ხეობა).

კახეთსა და ქვემო ქართლში ოსები შიდა ქართლის მთიანეთიდან XX საუკუნის დასაწყისში გადასახლდნენ. XX საუკუნის ბოლო საბჭოთა აღწერით, ოსების რაოდენობა საქართველოში 164 ათასი კაცი იყო. ამ რაოდენობიდან „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ტერიტორიაზე მხოლოდ 65 ათასი ეთნიკური ოსი ცხოვრობდა. თითქმის 100 ათასი კი დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე მკვიდრობდა, ზოგან კომპაქტურად, ზოგან ქართულ მოსახლეობაში შერეულნი. 1886 წელს ეთნიკური ოსები 72 000-ს ითვლიდნენ. XVIII საუკუნის დასასრულს დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე 2. 130 კომლი (15. 000 სული) ოსი ცხოვრობდა. ზოგიერთი ოსი ავტორი კი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ოსთა რაოდენობას ხან 6 000 და ხან 7 000 კომლით განსაზღვრავს, რაც არარეალურია და წყაროთა მონაცემებს არ ითვალისწინებს. სინამდვილეში, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ამ ეთნოსის რაოდენობა 2 130 კომლი იყო. საერთოდ, მთელი XIX—XX საუკუნეების განმავლობაში ოსების პროცენტული რაოდენობა საქართველოში 3-დან 4-მდე მერყეობდა.

ოსების საქართველოში შემოსვლა და დასახლება მთლად მშვიდობიანი არ იყო. ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობებში მომწყვდეულმა ოსებმა ზოგჯერ ძალით გამოიკაფეს გზა. განსაკუთრებით ეს ითქმის მიგრაციის

ადრეულ ეტაპზე როგორც დვალეთში, ისე შიდა ქართლის მთიანეთში. საისტორიო საბუთებით, გადმოცემებითა და ფოლკლორული მასალებითაც აშკარაა, რომ ადგილობრივი მთიელი ქართველი გლეხები ოსთა თავდასხმებით შეწუხებულნი, ტოვებდნენ მამა-პაპათა საცხოვრებელ ადგილებს და ბარში სახლდებოდნენ. ბარში კი მათთვის ამ თავალსაზრისით ხელსაყრელი მდგომარეობა იყო. მტერთა ხშირი თავდასხმებისაგან შიდა ქართლის მთისწინა და ბარის რეგიონები დემოგრაფიულ კატასტროფამდე იყო მისული.

დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში ოსთა მიგრაციას ერთგვარად ხელი შეუწყო აგრეთვე, იმდროინდელი საქართველოს სოციალ-პოლიტიკურმა ვითარებამ. მტერთა ხშირი თავდასხმებისაგან დაშლილი და დაქუცმაცებული საქართველო ვეღარ ახორციელებდა კონტროლს ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსასვლელ ჩამკეტ კარებზე — **კასრის კარსა** და **დარიალზე**. სხვათა შორის, კასრის-კარი დვალეთის ჩრდილოეთით მდებარეობდა, საიდანაც ოსეთში იყო გასასვლელი. მის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „**და არს აქ კარი კლდისაგან და ქვითკირით ქმნილი, დიდკამაროვანი, მდინარესა ზედა, მეფეთაგან ქმნილი, რათა არა ვიდოდნენ თვინიერ მათსა ოვსნი**“ (ვახუშტი, 1973: 644—645).

მომდევნო პერიოდისათვის (XVIII საუკუნე) იმდენად დაეცა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და იმდენად კატასტროფული შეიქმნა დემოგრაფიული სიტუაცია შიდა ქართლში, რომ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურები (მეფე, თავადები) თავად უწყობდნენ ხელს და ხშირად იწვევდნენ ოსებს საქართველოში დასასახლებლად. მაგალითად, იოანე ბაგრატიონის მიხედვით, სოფელ დილომში თუ დილმის სიახლოვეს ოსებს უცხოვრიათ. დილომთან ოსების დროებით მკვიდრობის დამადასტურებელია XIX საუკუნის დასაწყისის სოფელ დილმის მოსახლეობის კამერალური აღწერები, რომლებშიც არც ერთი კომლი ოსი და ოსურ-ძირიანი გვარი არაა მითითებული, აგრეთვე 1799 წლის ერთი საბუთი, რომელიც გაცემულია მეფე გიორგი XII-ის მიერ თავაუარელი ოსებისადმი. საბუთის მიხედვით ირკვევა, რომ თავაუარელ ოსებს გამოუთქვამთ სურვილი საქართველოში გადმოსახლებისა. ამისათვის მეფეს ოსეთში გაუგზავნია აზნაური ნინია გაბაშვილი. გადმოსახლების მსურველ ოსებს მეფე უთვლის, რომ თქვენ იქნებით ჩვენი სახასო გლეხებიო და სხვას არავის ექნება თქვენთან საქმეო. პირველ ხანებში თქვენ უნდა მოხვიდეთ დილომში და გაჩერდეთ აქ, შემდეგ კი შეგიჩვენებთ კარგ ადგილს, რომელიც მოგეწონებათ. სანამ ხვნა-თესვას მოეკიდებით, ჩვენ მოგეხმარებით სურსათ-სანოვავის მომარაგებაში (ხელნაწერთა ინსტიტუტის საბუთი, № 1617). დილომთან ოსების დროებითი მკვიდრობა ეთნოგრაფიული მასალებითაც დასტურდება. XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე აქ 32—33 კომლ ოსს უცხოვრია. იმის გამო, რომ ოსები ქურდობდნენ (დიღმელ გლეხებს ჭაპანი და ღვედიც არ დაუტოვეს), დიღმელ გლეხებს ოსები სახრებითა და კეტებით გაუყრიათ. მათ ოსები ბებრისციხემდე მიუცილებიათ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შიდა ქართლის მთიანეთისა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში მთისწინეთის არაერთ სოფელში ოსთა ერთ

თაობაზე მეტს არ მოუხდა ცხოვრება. მთისა და მთისწინეთის ამა თუ იმ სოფელში მცირე ხნით მკვიდრობის შემდეგ ოსები უფრო სამხრეთით ეშვებოდნენ. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის მასალებზე თვალის გადავებით. XIX საუკუნის დასაწყისში მთისწინეთის სოფლებში დასახლებულნი, ამავე საუკუნის შუა ხანებიდან ინტენსიურად გადადიან საცხოვრებლად ბარის სოფლებში. ასე რომ, XVIII საუკუნის ბოლოდან და XIX საუკუნის მთელ მანძილზე საქართველოს მაღალმთიანეთის სოფლებიდან დაბლობის მიმართულებით ოსთა თანდათანობითი, ინტენსიური წინ წამოწევა აშკარაა, რასაც უდავოდ მიესადაგება ქართულ ისტორიოგრაფიაში ხმარებული ტერმინი „ჩამოწოლა“. იმდენად დიდი მოძრაობა ახასიათებდათ ოსებს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბარის სოფლებში დასახლებულნი, ბარისავე სხვა სოფლებში გადადიოდნენ საცხოვრებლად. 1886 წლის საოჯახო სიებით, მდინარეების დიდი და პატარა ლიახვის ხეობების 76-ზე მეტი მთის სოფლიდან XIX საუკუნის 60—70-იან წლებში 1 340 კომლზე მეტი ოსი აყრილა და ბარის სხვადასხვა სოფელში დამკვიდრებულა.

ოსები რომ დიდი ხნის ჩამოსახლებულნი არ იყვნენ შიდა ქართლის მთიანეთში, ამის დამადასტურებელია მათი სოციალური მდგომარეობაც. XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრებში დიდი ლიახვის ხეობაში მოსახლე ოსების საკმაოდ დიდი ნაწილი ხიზნებადაა ჩაწერილი. **ხიზანი კი, როგორც ქართული საისტორიო წყაროებითა და სათანადო გამოკვლევებით ცნობილია, საკუთარი სამკვიდრებლიდან აყრილი და სხვაგან თავშეფარებული გლეხია.** ხიზანი ფეოდალურ საქართველოში გლეხის გარკვეული კატეგორია იყო, რომელიც ყმა-გლეხისაგან განსხვავებით პირადად თავისუფალი იყო და მისი დამოკიდებულება ფეოდალ-მემამულეზე ამ უკანასკნელის მიწა-წყლით სარგებლობით განისაზღვრებოდა. ხიზანი წყაროებში ყოველთვის დაპირისპირებულია მკვიდრ მოსახლეობასთან, რადგან ის მოსული გლეხი იყო.

დვალეთი და შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი რომ ოსთა საცხოვრისი არ იყო და რომ აქ ქართველები მკვიდრობდნენ, ეს აშკარად დასტურდება ისეთი მონაცემებით, როგორცაა ოიკონიმები (სოფლის სახელები). აქ დათარიღებული არც ერთი ტოპონიმი ოსური არაა. სოფლები ქართულ გამჭვირვალე სახელწოდებებს ატარებდნენ, მხედველობაში გვაქვს როგორც ტოპონომთა ძირები, ისე მათი მაწარმოებელი სუფიქსები. მხოლოდ მთის სოფელთა რამდენიმე სახელწოდების ჩამოთვლით დავკმაყოფილდებით: საცხენისი, ედემქალაქი, ბელოთი, აწერისხევი, ინაური, ჩაბარუხეთი, წიფორი, შამბიანი, ისროლისხევი, ქოლოთი, ქვითკირი, მოხისი, ბიეთი, ანდორეთი, გუფთა, პატარა ჯავა, ზემო ჯავა, სხლები... დვალეთი რომ ეთნიკურად ქართული იყო, კარგად ჩანს XV საუკუნის დასაწყისის მინაწერით ლუდის (ლუნდის) სახარებაზე. სახარება „თათრობის“ დროს დაკარგულა. ის ხორაულის ივანეს უპოვია. შემდეგ კი სახარება გასაყიდად დვალეთში ფარუხაულის გვარის კაცს დედამისისთვის გაუგზავნია. მინაწერით დასტურდება, რომ დვალეთი ქართული მხარე იყო ქართული საღვთისმეტყველო ენით, სადაც მოთხოვნილება იყო ქართულ სახარებაზე, სადაც ქართულ სახარებას მყიდველი ჰყავდა.

მინაწერი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ მასში მოხსენიებული ანთროპონიმი — ფარუხაული ქართული გვარსახელია. გვარსახელი ნაწარმოებია აღმოსავლეთ საქართველოს მთის გვარებისათვის დამახასიათებელი ურ (-ულ) სუფიქსით.

საბჭოთა პერიოდის „სამხრეთ ოსეთი“ რომ ძველთაგანვე საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო და რომ აქ გვიანობამდე მხოლოდ ქართველები მკვიდრობდნენ, ამის დამადასტურებელია რამდენიმე ათეული ქართული ქრისტიანული არქიტექტურული ძეგლი, რომლებიც V—XVIII საუკუნეებით თარიღდება (მეფისაშვილი, ცინცაძე, 1975) და მრავალი ეპიგრაფიკული ძეგლი, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენაზეა შესრულებული და რომლებიც საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ ვითარებას ასახავენ (ოთხმეზური, 1994). შიდა ქართლის ოსებით დასახლებული ტერიტორია მოფენილია ციხეებითა და კოშკებით. იქნებ ვინმემ დაასაბუთოს, რომ ქსნის ხეობის სათავეში, ჟამურის თემში არსებული ციხე — „ბერციხე“ ქართველების აგებული არ არის? აქვე გავრცელებულია მხოლოდ შიდა ქართლის მთიანეთისათვის დამახასიათებელი ნალის ფორმის ე. წ. „ზურგიანი კოშკები“, რომლებსაც უკანა, მთისაკენ მიქცეული მხარე მომრგვალებული აქვთ. მსგავსი ტიპის კოშკები ოსთა სამშობლოში — ჩრდილოეთ კავკასიაში არსად დადასტურებული არაა, ისინი მხოლოდ საქართველოს ხუროთმოძღვრებისათვისაა დამახასიათებელი (სპეციალისტების მიერ დადგენილია, რომ შიდა ქართლის მთიანეთში ოსების შემონაქმედია მხოლოდ XVIII საუკუნის ზოგი ოთხკუთხა გვემის მქონე საგვარეულო კოშკი დიდი ლიახვის ხეობის სათავეში — გვასალია, 1997: 68). საბჭოთა პერიოდის სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლებზე შესრულებულ წარწერებში მოხსენიებული ქტიტორები — ტბელები, ყანჩაველები, ფავნელები, კორინთელები, მაჩაბლები, ამირეჯიბები, ფალავანდიშვილები, ერისთავები — ქართველები არიან. წარწერებში მოხსენიებულნი არიან საქართველოს სამეფო ოჯახის წარმომადგენლებიც, მათ შორის, დავით IV აღმაშენებლის (1089—1125) ქალიშვილი თამარი, გიორგი XII-ის (1798—1880) რძალი ქეთევან წერეთელი, აგრეთვე სამეფო ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ეპისკოპოსები (ნიქოზელი, მროველი...) და ეკლესიის სხვა მსახურები. ქტიტორებთან ერთად მოხსენიებულნი არიან ხუროთმოძღვრები (თაფლაიძე, ბავრელი, გიორგიძე, კურდღელაშვილი...). ყველა წარწერა ქართულ ენაზეა შესრულებული და ნახსენები ანთროპონიმები მხოლოდ და მხოლოდ მათ ეთნიკურ ქართველობაზე მიუთითებს (ლორთქიფანიძე, ოთხმეზური, 2007: 127—137). შემორჩენილია ასეულობით შუა საუკუნეების საისტორიო საბუთი, რომლებიც შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილს, ანუ საბჭოთა პერიოდის „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიას ეხება. ამ დოკუმენტებში მხოლოდ ეთნიკური ქართველები არიან დასახლებული, როგორც მაღალი სოციალური წრის, ისე დაბალი ფენის წარმომადგენლები. აქ, ამ ტერიტორიაზე — ლარგვისის მონასტერშია დაწერილი XIV—XV საუკუნეების მიჯნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქართული საისტორიო ძეგლი, ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთანე — „ძეგლი ერისთავთა“ (ავტორები მამა-შვილი ავგაროზ

და გრიგოლ ბანდაისძეები).

ეკლესიურად დვალეთიცა და შიდა ქართლიც ორგანიზაციულად მთლიანად ნიქოზის საეპისკოპოსოში შედიოდა. ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სარწმუნოებით არიან ძველად ქრისტიანენი...“ ვახუშტის დროს დვალეთში დასახლებული ოსები მხოლოდ იყვნენ „სახელით ოდენ ქრისტიანენი... არა უვისთ მღუდელი, და უნათლისდებონი არიან, თვინიერ რომელნი ქართლსა და რაჭას მოინათვლიან“. ვახუშტი იმასაც წერს, რომ დვალეები „აწ უზნობენ ოსურსა საკუთრად“, ე. ი. მათი ენობრივი ტრანსფორმაცია დასრულებული იყო, თუმცა თვითმხილველი-ისტორიკოსი იმასაც აღნიშნავს, რომ დვალეთში მცხოვრები ზოგიერთი ოსი, რომელიც ქართლსა და რაჭას დაიარება, ქართულადაც ლაპარაკობსო. დვალეთში ცოტა არ იყო ქრისტიანული კულტურის ძეგლები, თუმცა აქ მთისათვის დამახასიათებელი ქრისტიანობამდელი სალოცავებიც იყო, რომლებიც ოსურ ენაში ქართული ტერმინით „ძუარ“ (=ჯვარი) აღინიშნებოდა („ჯვარ“-ით აღინიშნებოდა ქრისტიანობამდელი სალოცავები, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში). ეს ქრისტიანობამდელი სალოცავები დვალეთში დასახლებულ ოს მოსახლეობას ადგილობრივი მთიელი დვალეებისაგან ჰქონდათ შეთვისებული. მაგალითად, „ათინაგის ძუარი“ შეიძლება დავასახელოთ. ათენგენობა აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში გავრცელებული დღესასწაული იყო, განსაკუთრებით ხევსურეთსა და თუშეთში.

ოსები უდამწერლობო ხალხი იყო. დღეს მათი დამწერლობა შექმნილია რუსული გრაფიკის საფუძველზე. თუმცა პირველი ოსური ანბანი ქართული გრაფიკის საფუძველზე იყო შექმნილი. მისი ავტორი ქართული კულტურის საფუძველზე აღზრდილი იოანე იაღლუზიძე (გაბარათი) (1775-1830) იყო. 1820 წლიდან ის თბილისის სასულიერო სემინარიაში მოსწავლე ოს ბავშვებს ქართულ და ოსურ ენებს ასწავლიდა. სწორედ ამ პერიოდში შექმნა მან ოსური ანბანი. რუსულ ასოებზე დაფუძნებული ოსური ანბანი პირველად ოსური ენის მცოდნე რუსმა მეცნიერმა ანდრია შეგერენმა შეადგინა.

1922 წელს საქართველოში ბოლშევიკმა ხელისუფლებმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ჩამოაყალიბეს და პირველად საქართველოში ოსებს ადმინისტრაციული ერთეული შეუქმნეს. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ყოფილი შიდა ქართლის ფეოდალური ერთეულების ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა, ისე, რომ ქართველი ხალხისაგან ამის ნება არ მიუღიათ. ავტონომიური ოლქის ცენტრად კი შიდა ქართლის მთისწინეთის ზოლში მდებარე პატარა ქალაქი ცხინვალი გამოაცხადეს. შემორჩენილია XIX საუკუნის რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერის დავთრები. XIX საუკუნის ყველა აღწერით ცხინვალში არც ერთი ეთნიკური ოსი არ ცხოვროდა. ამჯერად მხოლოდ 1818, 1830, 1860, 1873 და 1886 წლების საარქივო მასალების მითითებით დაკმაყოფილდებით. მხოლოდ 1830 წლის ცხინვალის აღწერაშია ერთი ოჯახი ეთნიკური ოსი (ხუთი სული) მითითებული, რომლებიც აქ

მთიდან 1828 წელს მოსულან და მალევე აქედანაც აყრილან (იხილეთ: საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე № 1244, გვ. 170—191. სხადასხვა აღწერებიც ამავე ფონდშია, მაგალითად, 254—1—1243, 254—1—541, 254—1—252). სამეცნიერო ლიტერატურაში ცხინვალის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ ხშირად უთითებენ 1886 წლის საოჯახო სიებს, რომლის სტატისტიკური მონაცემები რუსეთის ხელისუფალთა მიერ დაბეჭდილიცაა (კრებული..., 1893). ამ დროს ცხინვალში ნამდვილად არც ერთი ოსი რომ არ მკვიდრობდა, დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია საქართველოს ცენტრალური არქივის 254 ფონდის მე-3 ანაწერის №1717 საქმე იხილოს. ქალაქი, ისევე როგორც შუა საუკუნეებში, კვლავ დასახლებული იყო ქართველებით, ქართულენოვანი სომხებითა და ქართველი ებრაელებით (XIX საუკუნის I მესამედის ავტორის — აიხვალდის მიხედვით, „**ოსები ცხინვალის იქითა მხარეს, მთებში ცხოვრობდნენ. ადრე ისინი ცხინვალს გაუთავებლად ძარცვავდნენ და ხოცავდნენ. ახლა კი ქართველებს, ცხინვალის მოსახლეობას თავს ანათვლინებენ**“). პირველად მხოლოდ 1922 წლის მონაცემებითაა ქალაქ ცხინვალში დაფიქსირებული ოსური მოსახლეობა — 613 სული, 1926 წელს აქ უკვე 1152 სული ოსი ცხოვრობდა (ქალაქის მოსახლეობა მთლიანად 1926 წელს 5 352 სულს შეადგენდა). ეს მატება, რა თქმა უნდა, მექანიკური მატების ხარჯზე ხდებოდა. ცხინვალში ოსურმა მოსახლეობამ ქართულ მოსახლეობას მხოლოდ მაშინ გადააჭარბა, როდესაც აქაური ქართველი ებრაელები საბჭოთა პერიოდის ბოლო წლებში ისრაელში წავიდნენ და მათი სახლები კი ჯავის რაიონიდან ჩამოსახლებულმა ოსებმა დაიკავეს.

ორიოდე სიტყვით უნდა აღვნიშნოთ ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ შესახებ. არც ერთი ქართული საისტორიო წყარო, საბუთი და დოკუმენტი ასეთ ტერმინს არ იცნობს. XVIII საუკუნეში, როდესაც საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეები ქვეყნის ტერიტორიულ ერთეულებს (ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს, ფეოდალურ ერთეულებს) ჩამოთვლიდნენ, არასდროს „ოსეთს“ (მით უმეტეს, „სამხრეთ ოსეთს“) არ ახსენებდნენ. ვერც ახსენებდნენ, რადგან ასეთი ერთეული ბუნებაში არ არსებობდა. მხოლოდ მოიხსენიებდნენ ტერმინით — „ჩვენი ოსები“. იმ დროს ეთნიკური ოსები საქართველოს შიდა ქართლის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის მთიანი, ჩრდილოეთი მონაკვეთის მკვიდრნი იყვნენ. საბჭოთა პერიოდის „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე სხვადასხვა ქართული ფეოდალური ერთეულები (სამაჩაბლო, ქსნის საერისთავო, საამილახვრო, თავად დავითიშვილ-ბაგრატიონების, თაქთაქიშვილების, ხერხეულიძეების შედარებით პატარა ფეოდალური ერთეულები) არსებობდა. ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ მხოლოდ რუსეთის იმპერიის ჩინოვნიკთა მიერაა შექმნილი XIX საუკუნეში (ამ საუკუნის პრესაში ეს ტერმინი მხოლოდ სამჯერ არის მოხსენიებული). XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიას კავკასიის არეაერთი რუკა აქვს შედგენილი და ვერც ერთ მათგანზე „სამხრეთ ოსეთს“ ვერ ამოვიკითხავთ. **მათზე მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიაში ოსეთია დატანილი ყოველგვარი განსაზღვრების — „ჩრდილოეთის“ გარეშე. მაგალითისთვის**

შეიძლება მოვიყვანოთ ნატალია ვოლკოვას მიერ რუსეთის ოფიციალური პირების მიერ შედგენილი XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მცირე ყაბარდოს, ოსეთის, ინგუშეთისა და ჩეჩნეთის ნაწილის რუკა, რომელზედაც ოსეთი აწერია მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის შესაბამის ტერიტორიას. კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს კი აწერია: «Грузинская граница» (ვოლკოვა, 1974). (სხვათა შორის, ამავე რუკაზე დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქი ვლადიკავკაზი, რომელსაც მაშინ „ზაური“ ერქვა, ინგუშეთის ტერიტორიაზე აღნიშნული). ამდენად, მითოლოგემის, სიყალბის და, შეიძლება ითქვას, ცინიზმის დიდი გამოხატულებაა, როდესაც რუსეთის სახელმწიფოს ერთ-ერთი მეთაური აცხადებს, რომ „მხოლოდ XIX საუკუნის შუა ხანებში იქნა გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის თბილისის გუბერნიისათვის გადაცემის შესახებ“. თურმე რუსეთის საბჭოთა იმპერატორმა, როგორც ეთნიკურმა ქართველმა, ი. სტალინმა გადაწყვიტა საბოლოოდ „სამხრეთ ოსეთის“ საქართველოსათვის გადაცემა. იქნებ ვინმემ მიგვითითოს რაიმე საარქივო დოკუმენტი, რომლითაც საბჭოთა პერიოდის „სამხრეთ ოსეთი“ თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში არ შედიოდა, 1801 წლიდან მოყოლებული, ვიდრე 1917 წლამდე და შემდეგაც საქართველოს პირველი რესპუბლიკისა (1918—1921) და საბჭოთა პერიოდშიც? სინამდვილეში მხოლოდ 1843 წელს ცარიზმმა საქართველოს ტერიტორიაზე გახსნა ოსეთის ოკრუგი, რომელიც სამ უზნად (ჯავის, პატარა ლიახვის და ნარის) იყოფოდა. „ოსეთის ოკრუგის“ ჯავისა და პატარა ლიახვის საპოლიციო უზნები 1922 წელს შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის მხოლოდ ერთ მესამედს შეადგენდა (გვასალია, 1997: 58). სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებში ბოლშევიკმა ხელისუფლებმა შეიყვანეს აგრეთვე საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების — რაჭისა (კუდარო) და ზემო იმერეთის ნაწილიც.

როგორც ცნობილია, 1783 წელს აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-ჯახეთსა) და რუსეთს შორის დაიდო ე. წ. გეორგიევსკის ტრაქტატი. ტრაქტატის დადების დროსაც და 1801 წელსაც რუსეთის მიერ ხელშეკრულების დარღვევისა და საქართველოს ანექსიის დროსაც, როგორც დვალეთი, ისე შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი მთლიანად (საბჭოთა პერიოდის „სამხრეთ ოსეთი“) საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. აღნიშნულ ტერიტორიას არავინ ოსეთად არ მოიხსენიებდა. ქართულ წყაროებს თავი რომ დავანებოთ, ამას ყველა რუსული წყაროც ადასტურებს. მაგალითად, ტრაქტატის დადებიდან ძალიან მალე — 1784 წელს რუსეთიდან მოვლინებულმა ს. ბურნაშოვმა შეადგინა ქართულ სამეფო-სამთავროთა გენერალური რუკა საქართველოს მიმდებარე მოსაზღვრე რეგიონებით. ამ რუკაზე „ოსეთი“ აწერია იქ, სადაც სინამდვილეში იყო — ჩრდილოეთ კავკასიაში, ხოლო საბჭოთა პერიოდის „სამხრეთ ოსეთს“ „ქართლი“ აწერია.

საქართველომ 1918—1921 წლებში რუსეთისაგან კოლონიური უღელი დროებით გადაიგდო და სახელმწიფოებრიობა აღიდგინა. ამ პერიოდში დამოუკიდებელ საქართველოში დაიწყო ბოლშევიკური რუსეთისაგან ინსპირირებული ოსური სეპარატისტული მოძრაობა. ამის სანაცვლოდ საქართველოში კომუნისტური დიქტატურის დამყარებისა და საქართ-

ველოს ისევ რუსეთის იმპერიასთან მიერთების შემდეგ, კომუნისტურმა ხელისუფლებამ ოსებს საქართველოს ძირითადი პროვინციის — შიდა ქართლის ჩრდილოეთ ტერიტორიაზე ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული ერთეული შეუქმნა, რომელსაც ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ოსთა ტერიტორიული ერთეულისაგან გასამიჯნავად „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ ეწოდა. ამ ავტონომიური ოლქის ცენტრად გამოაცხადეს ქალაქი ცხინვალი, რომელშიც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იმ დროისათვის არც ერთი ეთნიკური ოსი არ ცხოვრობდა. ამავე დროს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებში მოაქციეს კომპაქტურად დასახლებული ქართული სოფლებიც. ამ გარემოებამ, სხვათა შორის, თავის დროზე ქართული სოფლების პროტესტი გამოიწვია და ამ პროტესტის ძირითადი მიზეზი ენობრივი ფაქტორი იყო. მაგალითად, სოფელ ნელდათის მცხოვრებნი წერდნენ, რომ „ჩვენ ნელდათის მცხოვრებნი მიწერილი ვიყავით ოქონას. დღეს ოქონა სამხრეთ ოსეთს დაექვემდებარა და ჩვენც მძიმე პირობებში ჩავცვივდით, სხვათა შორის იმიტომაც, რომ წარმოება რუსულად და ოსურადაა, რაიც ჩვენთვის გაუგებარია“. სოფელ ძარწემის მკვიდრი ქართველები წერდნენ: „რისთვის უნდა ვიყოთ მოქცეული ოსეთის ფარგლებში ეროვნებათა თვითგამორკვევის აღსასრულებლად. მითუმეტეს, რომ მათი ენა ჩვენთვის სრულიად გაუგებარია და უცხო. მხოლოდ რაც შეეხება ეროვნებათა უმრავლესობას, მთელი ეს ჩრდილოეთი მხარე რაიონისა (იგულისხმება ცხინვალის რაიონი — რ. თ.), მცირე გამოჩაკლისით, დასახლებულია ქართულ ენაზედ მოსაუბრე, მემკვიდრე ქართველებით“ (ბოჭორიძე, 1996).

XVII—XVIII საუკუნეებში მოსული ოსები ქართული სახელმწიფოს სრულუფლებიანი მოქალაქეები ხდებოდნენ და მათმა დიდმა უმრავლესობამ იცოდა საქართველოს სახელმწიფო ენა — ქართული ენა, ორენოვანნი იყვნენ. ოსებს ამისკენ რეალური ვითარება უზიძგებდა. მთიანეთში დასახლებულ ოსებს აუცილებლად სჭირდებოდათ საქართველოს ბართან ურთიერთობა, მხედველობაში გვაქვს ისტორიულად არსებული სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები. ბართან კავშირების აუცილებლობის გამო, ისინი იჩენდნენ ქართული ენის შესწავლისადმი დიდ სურაფვას. იმავე დროს შეხვდებოდით არაერთ ქართველს, რომლებიც ოსების საკონტაქტო ზოლში ცხოვრობდნენ და ოსურ ენაზეც ლაპარაკობდნენ. ქართველთა და ოსთა განსახლების საკონტაქტო ზოლში ეთნოგრაფიული მონაცემებით დადასტურებულია ოსი ბავშვების ქართულ სოფლებში (ოჯახებში) მიბარების შემთხვევები, ქართული ენის შესწავლის მიზნით, რაც ძირითადად ხორციელდებოდა ნათელმძრონობის, დანათესავების საშუალებით (სხვათა შორის, ეს უძველესი კავკასიური ჩვეულებაა). საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებული ოსებისაგან საქართველოს სამეფო ხელისუფლება ძირითადად ითხოვდა, რომ მიგრანტებს ქრისტიანობა მიეღოთ. ოსებიც გარკვეულ დაინტერესებას იჩენდნენ ქრისტიანობის მიმართ. ქრისტიანობის მიღება ასევე გზას უხსნიდა ოსებს ქართული ენის შესასწავლად, რადგან საღვთისმეტყველო ენა ქართული იყო. მთაში მცხოვრები გაქრისტიანებული ოსები ბარში მცხოვრებ ნათლია ქართველებთან ხშირად ავ-

ზავნიდნენ თავიანთ შვილებს ქართული ენის შესასწავლად. ისტორიული და ეთნოლოგიური მონაცემებით ასევე ძალიან ხშირი იყო, განსაკუთრებით საკონტაქტო ზოლში, ქართულ-ოსური ქორწინებები, რაც ასევე ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი იყო ორი ეთნოსის დაახლოებისა და ურთიერთის ენის შესწავლისათვის.

ოსების საქართველოს მთიანეთში დასახლებას მოჰყვა ადგილზე დამხვდურ ქართველთა მცირე ნაწილის მიერ ოსური ენის შეთვისება და ოსთა მიერ მათი ეთნიკურ-ენობრივი ასიმილაცია. დღემდე ქსნის ხეობის შენაკად ჭურთის ხევზე სოფელ დორეთკარში მცხოვრები ქართველი ილურიძეები (40-მდე ოჯახი) ორენოვანნი არიან. ორენოვნება კი ძირითადად შერეულმა საქორწინო ურთიერთობებმა წარმოქმნა. XVIII საუკუნის ბოლოს ჭურთის ხევიდან ბარში გადასახლებული ქართველების ნასოფლარებში ოსები დასახლდნენ. ილურიძეები ფაქტობრივად ოსურ ეთნიკურ-ენობრივ გარემოცვაში აღმოჩნდნენ. მართალია, მათ ქვემოთ, ბარის მიმართულებით ქართველები ცხოვრობდნენ, მაგრამ აქედან დორეთკარში მცხოვრებ ქართველებს ცოლად თითქმის არავინ არ მიყვებოდა, რადგან ბარიდან მთაში ქალი იშვიათად თხოვდებოდა. ისინი იძულებული შეიქნენ მათ ზემოთ მთაში მცხოვრები ოსის ქალები შეერთოთ ცოლად. ოსის ქალებმა თავიანთ ვაჟებს ისევ ოსის ქალები შერთეს ცოლად. XIX საუკუნის შუა ხანებიდან ასეთმა საქორწინო ურთიერთობებმა და ოსურ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში ცხოვრებამ ილურიძეები ორენოვანნი გახადა. თუმცა, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ დორეთკარში მცხოვრებ ქართველებს ეთნიკური ცნობიერება არ შეცვლიათ. ქსნის ხეობაში ანალოგიური სიტუაცია სხვაგანაც დასტურდება. მაგალითად, სოფელ ნახიღში, მთხრობელის სიტყვით, „ბევრი ფსუტური გაოსდა და ფსუტურები თვითონ უფრო ოსურად ლაპარაკობენ“.

1987 წელს ამ სტრიქონების ავტორმა ფეხით შემოიარა მეჯუდას ხეობის ოსური სოფლები. ხეობის უკიდურესი ზემო წელის ორი მცირე ოსური სოფლის გარდა, ოსები აქ XIX საუკუნის 30-80-იან წლებში დასახლდნენ. მეჯუდას ხეობის ბარის უკანასკნელი დიდი ქართული სოფელია მეჯვრისხევი. მეჯვრისხევს უშუალოდ ესაზღვრება სოფ. ღრომი, რომელიც ოსებითაა დასახლებული. ღრომი ავტონომიური ოლქის საზღვრებში შედიოდა. 1886 წლისათვის ღრომში ჯერ კიდევ ქართველები სახლობდნენ, რომელთა მეჯვრისხევში გადმოსახლების შემდეგ აქ ოსები დასახლდნენ. მეჯვრისხევში არაერთი შერეული ქართულ-ოსური ოჯახი მკვიდრობს. ზემოთ ხეობაში ძირითადად ოსები ცხოვრობენ, თუ არ ჩავთვლით სოფელ ისროლისხევს, სადაც რამდენიმე ქართული ოჯახი კვლავ შემორჩენილია. არაერთ ეთნიკურ ოსთან გვქონდა შეხვედრა. ხეობაში თითქმის ერთთვიანი მივლინების დროს მხოლოდ ერთი ხნიერი ქალი შეგვხვდა, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა, დანარჩენები ყველანი მშვენივრად ლაპარაკობდნენ ქართულად. საყურადღებოა, რომ ხეობის არც ერთ სკოლაში, ისევე როგორც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლებში, კონსტიტუციით აღიარებული საქართველოს სახელმწიფო ენა — ქართული ენა არ ისწავლებოდა. აქ არსებობდა ე.წ. ოსურ-რუსული სკოლები, რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ დაწყებით

კლასებში (1—4 კლასი) საგნები ოსურ ენაზე ისწავლებოდა, ხოლო ოთხი კლასის ზემოთ ყველა საგანი რუსულ ენაზე პლუს ოსური ენისა და ლიტერატურის შესწავლა. მიუხედავად ამისა, ხეობაში მცხოვრებმა ოსებმა არა მარტო ქართული ენა იცოდნენ, არამედ ქართული წერა-კითხვაც. ქართულ ანბანს ისინი დამოუკიდებლად სწავლობდნენ, რადგან, როგორც თვითონ ხსნიდნენ, სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ძირითადად ჰქონდათ არა ავტონომიური ოლქის მოსახლეობასთან, არამედ ხეობის ბარის ნაწილის ქართულ მოსახლეობასთან. ასეთივე ვითარება დავაფიქსირეთ ლეხურას ხეობის ოსურ მოსახლეობაში. საერთოდ, ეს ჩვეულებრივი სურათი იყო თითქმის მთელი ავტონომიური ოლქის ოსური მოსახლეობისათვის, გარდა ჯავის რაიონისა. ჯავის რაიონი მოიცავდა დიდი ლიახვის ხეობის მთიან ნაწილს. ოსური ეთნოსით კომპაქტურად დასახლებულ ამ რაიონის მოსახლეობას შედარებით ნაკლები კონტაქტები ჰქონდა ქართულ მოსახლეობასთან. საბჭოთა პერიოდში მათთვის ე.წ. ოსურ-რუსული სკოლების გახსნამ და ქართული ენის უგულვებელყოფამ აქ მცხოვრები ოსების ქართული ენობრივ-ეთნიკურ სამყაროსაგან გაუცხოება გამოიწვია, რაც ერთგვარი მიზეზი გახდა საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ ოლქის ტერიტორიაზე ოსური სეპარატისტული მოძრაობის წარმოქმნისა.

როგორც აღვნიშნეთ, მეჭუდას ხეობის უკიდურეს მთიან მონაკვეთში კვლავ შემორჩენილია ძველი ქართული მოსახლეობა, თუმცა საბჭოთა პერიოდში მათმა რაოდენობამ უკიდურესად იკლო. ადგილზე დარჩენილი ქართველები ოსურ ეთნიკურ-ენობრივ გარემოში მშვენივრად ლაპარაკობდნენ ოსურად. აქვთ ხშირი საქორწინო ურთიერთობანი ოსურ მოსახლეობასთან. ერთ-ერთ ასეთ ოჯახში სტუმრობის საშუალება გვქონდა. ოჯახი გენგიურების ქართული გვარის მატარებელია. ოჯახის უფროსი, 60 წლის მამაკაცი ეთნიკურად ქართველად თვლიდა თავს, ლაპარაკობდა შესანიშნავი ქართული ენით. მას დედა და მეუღლეც ოსი ჰყავს. მაგრამ მის ხუთ შვილს უკვე გაორებული ცნობიერება ჰქონდა. პირველი, რაც თვალმისაცემი გახლდათ ის იყო, რომ ხუთივე მოზრდილი შვილი ოსური აქცენტით მეტყველებდა. ამასთანავე, ისინი მსჯელობდნენ იმაზე, ქართველებს მიეკუთვნებოდნენ თუ ოსებს. ქალიშვილები უფრო ოსურ ეთნიკურ სამყაროს აკუთვნებდნენ თავს. არც ვაჟებს ჰქონდათ მისწრაფება ქართულისადმი. ოჯახის ერთ-ერთ ვაჟს გადაწყვეტილი ჰქონდა რუსეთში სასწავლებლად წასვლა. როდესაც დავინტერესდი, თუ რატომ უნდა წასულიყო ასე შორს, რუსეთში, მან აღნიშნა, რომ თბილისი არ უყვარს. თბილისისადმი მისი ასეთი დამოკიდებულება კი გამოწვეული იყო ქართული ენის არასრულყოფილი ცოდნითა და საერთოდ ქართული წერა-კითხვის უცოდინრობით. როგორც გაირკვა, გენგიურებს შვილები მიუბარებიათ სასწავლებლად ქ. ცხინვალის ე.წ. ოსურ-რუსულ სკოლაში, რამაც საბოლოოდ გამოიწვია მათი ქართული ეთნოსიდან ოსურ ეთნოსისადმი მიკუთვნება.

გენგიურების მაგალითი მხოლოდ ერთი გამონაკლისი როდი იყო ავტონომიური ოლქის მთიან ნაწილში.

რაც შეეხება საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე განსახლებულ

ოსებს, ისინი ყველგან მშობლიურ ოსურ ენასთან ერთად თავისუფლად ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობენ ქართულად. არის შემთხვევები, როდესაც ოსური ეთნოსის წარმომადგენლებს თავი გააზრებული აქვთ ქართველად.

მანამ, სანამ საქართველოში მცხოვრებ ოსთა თანამედროვე ენობრივი ვითარების შესახებ საბოლოოდ ვისაუბრებთ, მცირე ექსკურსის სახით XIX საუკუნეს უნდა დავუბრუნდეთ. ამ დროს ქართული პრესა დიდ ყურადღებას იჩენდა ოსური ენისადმი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია მწერალ ს. მგალობლიშვილის სტატიები. ოსებს არ ჰქონდათ სწავლა-განათლებისადმი მისწრაფება. ქართული საზოგადოებრიობა კი ცდილობდა ოსურ სოფლებში გაეხსნათ სკოლები. ისინი მშობლებს არწმუნებდნენ, რომ შვილებისათვის განათლება მიეცათ. რუსეთის ხელისუფლება ოსების სოფლებში რუს მასწავლებლებს აგზავნიდა. ოსის ბავშვებმა კი რუსული არ იცოდნენ. ისინი მხოლოდ ოსურად და ქართულად ლაპარაკობდნენ. ს. მგალობლიშვილი აღნიშნავდა, რომ „აქ უნდა იყვნენ მასწავლებლად ან ოსები, ან ქართველები. თუ არ დაუშლით, რუსები გააგზავნონ **მთასიქითა ოსებში**, სადაც ლაპარაკობენ ოსურს და რუსულ ენაზე“. ქართველი პუბლიცისტები წერდნენ იმაზე, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ოსები გარუსების გზას ადგნენ და ამასთანავე ეროვნული სახის დაკარგვის საშიშროების წინაშე იყვნენ. საქართველოში კი შეშფოთებას გამოთქვამდნენ, ოსებს ვუშველოთ, ენა და ეროვნება შევუნარჩუნოთო. ნ. თადეოზიშვილი 1884 წლის გაზეთ „დროების“ ერთ-ერთ ნომერში წერდა, რომ „**მთასაქეთა ოსებში** დიდი გავლენა აქვთ ქართველებს. ოსი მამაკაცები ყველა ლაპარაკობს ქართულად, ხოლო ის ნაწილი ოსებისა, რომლებიც დასახლებულნი არიან ქართული სოფლების“ სიახლოვეს, ქალებიც და ბავშვებიც ლაპარაკობენ ქართულად. არათუ ლაპარაკობენ, არამედ წერა-კითხვაც იციან. **მთისიქით ოსები** რამდენადაც რუსობას მისდევენ, იმდენად ქართველობას მისდევენ **მთისაქეთა ოსები**. მათ თავი მოაქვთ იმით, რომ ქართული წერა-კითხვა იციან, ახლო სოფლების მცხოვრებნი ერთმანეთს აძლევენ ცოლად ქალებს. ასე რომ, შერეული ოჯახები ჩვეულებრივი სახეა მათი ცხოვრებისა“. ს. მგალობლიშვილი წერდა, რომ ქართველებს სათანადო ღონისძიებები უნდა გაეტარებინათ, რომ ოსებს არ დაეკარგათ ენა და ეროვნული სახე. ამისათვის ის ოსთათვის სკოლების გახსნას მოითხოვდა. სხვა ავტორი (გრიგოლ ლიახველი, იგივე საძაგლიშვილი) იმავე გაზეთში **ყველას მოუწოდებდა ოსებისა და მათი ენის გადასარჩენად**. აუცილებლობად მიაჩნდა ოსთათვის საკუთარი ანბანის შექმნა.

ოსური ენისადმი დიდ ინტერესს იჩენდა გაზეთი „ცნობის ფურცელი“. 1903 წლის ერთ-ერთ ნომერში აღნიშნულია, რომ კუდაროში მცხოვრებმა თითქმის ყველა ოსმა იცოდა ქართული, ქართველთა ეთნოგრაფიულ (ტერიტორიულ) ჯგუფებთან — რაჭველებსა და იმერლებთან მეზობლობისა და ახლო ურთიერთობის გამო. იგივე გაზეთი 1901 წელს წერდა: „არის განზრახვა საქართველოში მცხოვრები ოსების სკოლაში ოსური სახელმძღვანელოთი სწავლებისა. ამისათვის მიუძღროთათ მცოდნე პირებისათვის, წარმოადგინონ სახელმძღვანელოები, რომ ყველა ოსურ

სასწავლებელში ახლო მომავალში შემოიღონ ოსური ენის სწავლება“.

აღნიშნული დამოკიდებულება ქართველი განათლებული ადამიანებისა და საქართველოს ხელისუფლებისა ოსური ენის მიმართ XX საუკუნეშიც გრძელდებოდა. ავტონომიური ოლქის ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთაც ყოველგვარი პირობა ჰქონდათ ოსებს შექმნილი ოსური ენისა და კულტურის განსავეითარებლად. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში პრესაში თუ სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ადარებენ საქართველოში შემავალ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ენობრივ-ეთნიკურ სიტუაციებს. ჩრდილოეთ ოსეთში ყველაფერი რუსულ ენაზე იყო გადასული, რუსულ ენაზე ხდებოდა საქმის წარმოება, სწავლა-განათლება. რაღა შორს წავიდეთ. 1972 წელს ამ სტრუქტურების ავტორი მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის სტუდენტ-ეთნოგრაფთა კონფერენციაში ქ. ლენინგრადში. აქ იყვნენ ჩრდილოოსეთელი სტუდენტებიც, რომლებიც გაოცებას ვერ ფარავდნენ იმის გამო, რომ ჩვენ ქართველები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, ერთმანეთთან ქართულად ვლაპარაკობდით და ქართულად ვწერდით.

ქალაქ ცხინვალში იყო და არის პედაგოგიური ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქ. ცხინვალის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ოსური ენისა და ლიტერატურის შესწავლას. აქ სხვა მნიშვნელოვან გამოკვლევებთან ერთად, მომზადდა „ოსური ენის განმარტებითი ლექსიკონი“. ცხინვალში ფუნქციონირებდა და ფუნქციონირებს სახელმწიფო ოსური თეატრი. გამოდიოდა და გამოდის გაზეთები და ჟურნალები ოსურ ენაზე. ოსურ ენაზე ხდებოდა და ხდება რადიოგადაცემების მოწყობა. საქართველოში 1990-1991 სასწავლო წელს 97 ოსური სკოლა იყო, აქედან 90 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე. ხოლო შვიდი ოსური სკოლა ოლქის ფარგლებს გარეთ იყო, კერძოდ, ლაგოდეხში, ქარელში, ბორჯომში. 1980-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ოსური სკოლების გახსნა საქართველოს იმ რაიონებში, სადაც კომპაქტური ოსური მოსახლეობა იყო.

საყურადღებოა, რომ 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მოსახლე 65 ათასი ოსიდან 64.257 ოსურ ენას თვლიდა მშობლიურ ენად. ოსურ ენას არ თვლიდა დედაენად მხოლოდ 820 ეთნიკურად ოსი (ე.ი. 1,3%). ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს კი არ ჰქონდათ საშუალება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში საქართველოს სახელმწიფო ენის — ქართული ენის თავისუფლად გამოყენებისა. საბჭოთა პერიოდის მანძილზე ოსები აქტიურად ცდილობდნენ შეეცვალათ ძირძველი ქართული ტოპონიმები ოსური ნათარგმნი და კალკირებული ტოპონიმებით. სინამდვილეში არაერთი უძველესი ქართული ტოპონიმი ოსებმა ხელოვნურად დაამახინჯეს და სახელი შეუცვალეს. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბოლშევიკი და ტერორისტი ოსების გვარსახელების მიკუთვნებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს 97 სკოლაში მიმდინარეობდა ოსურ ენაზე სწავლება, მაშინ, როდესაც რუსეთის ფედერაციაში

შემავალ ჩრდილოეთ ოსეთში, საიდანაც არიან მიგრირებული ოსები საქართველოში, არც ერთი ოსური სკოლა არ იყო. ოსები მხოლოდ რუსულ სკოლებში სწავლობდნენ. ჩრდილოეთ ოსეთის ყოფილი პრეზიდენტი ა. ვალაზოვი ამის შესახებ გაზეთში „პრავდა“ (1983, 11/XI) წერდა: „მე გულწრფელად მეცოდება ჩემი ეროვნების ახალგაზრდა ადამიანები... როცა ისინი საკუთარ სახლში თავს უხერხულად გრძობდნენ ოსური კულტურის ელემენტარული უცოდინრობის გამო. მაგალითად, ეროვნულ ახალგაზრდობას წართმეული აქვს საკუთარი მშობლიური ენა. გასულ წლამდე ჩრდილოეთ ოსეთში არ იყო არც ერთი სკოლა ოსური ენის სწავლებით“. საქართველოში შემავალ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პასუხისმგებელი მუშაკები კი ხელს უწყობდნენ რუსული ენის პოზიციების გაძლიერებას ქართული ენის ხარჯზე. XX საუკუნის 20-იანი წლების ენობრივი ვითარება აღწერა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ისტორიკოსმა გ. ბოჭორიძემ. ის წერდა: „ქართული ენა იდევნება ქართულ სოფლებში: მიწერ-მოწერა და სხვა ჯერ რუსულად წარმოებდა, ხოლო ახლა ოსურად, ქართული კი განდევნილია“. „1929 წლიდან სასამართლოებში საქმის წარმოება, ჩვენების მიცემა და პროცესი ოსურად შემოიღეს, ხოლო ამაზე ადრე — 1928 წელს, ახალგორში, თედევის დროს, თვით განცხადებაც კი ოსურად, ან ყოველ შემთხვევაში, რუსულად უნდა ყოფილიყო დაწერილი. ძლიერ იშვიათი შემთხვევა უნდა დაეშვათ, რომ ქართული განცხადება მიეღოთ“. „სკოლებს უხსნიან ოსებს, ქართველებს კი იშვიათად. 1921-1924 წლებში ქართველ მასწავლებლებს ექვსი-შვიდი თვის ჯამაგირები არ მისცეს, რის გამოც ბევრი მასწავლებელი იძულებული გახდა თავი გაენებებინა სკოლისათვის და წასულიყო. ამის შემდეგ სკოლაც იკეტებოდა. მოსახლეობა თხოულობდა სკოლას, ეუბნებოდნენ: „თუ გნებავთ ოსურ სკოლაში ატარეთ შვილები, თუ არადა თქვენთვის სკოლას ვერ გავხსნით“. „ოსური ენა სავალდებულო საგანია ქართულ სკოლებში (შვიდწლედებში), ხოლო ქართულ ენას ოსურ სკოლებში ადგილი არა აქვს“. „ზოგიერთი ოსი თხოულობდა, რომ მათი შვილებისათვის ესწავლებინათ ქართული ენა, როგორც გამოსაყენებელი საგანი, მაგრამ ამაზე მტკიცე უარი უთხრეს“.

დაბოლოს, ორიოდ სიტყვით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ XX საუკუნეში ქართველმა მეცნიერებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ოსური ენის შესწავლის საქმეში. საკმარისია აკად. გ. ახვლედიანის მეცნიერული გამოკვლევები დავასახელოთ. გ. ახვლედიანის რედაქტორობით გამოიცა ოსური ენის აკადემიური გრამატიკის ორტომეული.

ამრიგად, ოსთა საქართველოში მიგრაციისა და დასახლების შემდეგ, მათ ენობრივ ვითარებაში შეიძლება სამი პერიოდის გამოყოფა. პირველი პერიოდი ესაა ოსთა საქართველოს სახელმწიფოებრიობის პირობებში ცხოვრება. ოსები აღიქვამდნენ რა თავს საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქეებად, ისევე როგორც სხვა ეთნოსის წარმომადგენლები, პატივს სცემდნენ საქართველოს სახელმწიფო ენას. ოსების უმეტესობა ფლობდა ქართულ ენას. ოსებთან თანაცხოვრების საკონტაქტო ზოლში ბევრი ქართველიც თავისუფლად ლაპარაკობდა ოსურად. ყოველივე ამას

განაპირობებდა ქართველ ხალხთან ოსების სამეურნეო-ეკონომიკური და ნათესაური კავშირები.

XIX საუკუნიდან საქართველოს რუსეთის კოლონიად გადაქცევის შემდეგ ოსთა ენობრივი ვითარება საქართველოში ერთგვარ ცვლილებებს იწყებს, რაც განაპირობებული იყო რუსეთის ხელისუფლების აქტიური ჩარევით. რუსეთი ყველა კოლონიაში ძალით ავრცელებდა რუსულ ენას და სხვადასხვა ეთნოსებს ერთმანეთს უპირისპირებდა. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა ქართული ენის ნაცვლად ოსებისათვის მეორე ენად რუსულის ჩანაცვლებას. XIX საუკუნე და განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი ბევრი ოსისათვის რუსულ ენაზე გადასვლის დაწყების პერიოდი იყო. ამ პერიოდისათვის ქართველი საზოგადო მოღვაწეები დაუღალავად იღვწოდნენ, რომ ოსებს შეენარჩუნებინათ მშობლიური ოსური ენა და ეთნიკური თავისთავადობა. თუმცა XIX საუკუნეშიც ბევრი ოსი ფლობდა ქართულ ენას, რაც პრაქტიკული საჭიროებით იყო განაპირობებული.

მესამე პერიოდი ესაა საბჭოთა პერიოდი, როდესაც ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ საბოლოოდ მოახერხა ოსების ქართველებისაგან გაუცხოვება. რუსულ ენაზე ტოტალური სწავლების პირობებში ოსური ეთნოსის წარმომადგენლების მნიშვნელოვანი ნაწილი აღარ ფლობდა ქართულ ენას. თუმცა ამ პერიოდში აშკარად გამოიკვეთება ასეთი ტენდენციაც: ოსების ერთი ნაწილი, განსაკუთრებით განათლებული ადამიანები, ფლობენ ქართულ ენას, კითხულობენ ქართულ ენაზე, მაგრამ შეგნებულად არ საუბრობენ.

მთაში ოსები ძირითადად გვარების მიხედვით იყვნენ დასახლებულნი. ერთ სოფელში ერთი გვარი მკვიდრობდა, ანდა ერთი გვარი რამდენიმე სოფელში იყო განსახლებული. მთის სოფლებს ქუჩები არ ჰქონდა. მის ვიწრო შესახვევებში მხოლოდ ფეხით მოსიარულეს ანდა მხედარს თუ შეეძლო გავლა. ოსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრს, ჩვეულებრივ, სოფლის მოედანი წარმოადგენდა, რომელსაც ოსები „ნიხასს“ უწოდებდნენ. აქ განიხილავდნენ მნიშვნელოვან სათემო საკითხებს. ბარში ოსების ტრადიციული საქმიანობაა მიწათმოქმედება (ხორბალი, სიმინდი, ქერი, ფეტვი...). მთებში მიწათმოქმედებასთან ერთად განვითარებული იყო მესაქონლეობა (ცხვარი, თხა, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი). ცხვრის რძისაგან აკეთებდნენ ყველს. ძლიერ დაწინაურებული იყო მეთხეობა. მთებში სახვნელი მიწები და სათიბები ცაკლეული კომლების საკუთრებას წარმოადგენდა, რომელსაც მემკვიდრეობით გადასცემდნენ. მხოლოდ საძოვრები და ტყე იყო სოფლის საერთო სარგებლობაში. ოსების ბარული და მთური სახვნელი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. დაბლობში ხის სახვნელს „გუთონ“-ს უწოდებდნენ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათ ეს სახვნელი ქართველებისაგან ჰქონდათ შეთვისებული. ასევე ქართული ენიდან იყო შესული სამკალი იარაღი „ლამგამ“ (ნამგალი), რომელსაც დიდი რადიუსი და მჭრელი დაკბილული პირი ჰქონდა. ქართული ნამგალი, გარდა ჩრდილოეთ ოსეთისა, ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებშიც იყო გავრცელებული.

ბარში გადასახლებამდე ოსეთში მეცხვარეობას დიდი მასშტაბები არ ჰქონდა, რადგან საზამთრო საძოვრების არარსებობა ამის საშულებას არ

იძლეოდა. ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვებით: ცხოვარი უღუმო-კუდიანი და მომცრო, ძროხა, ცხენი, თხა, არამედ არა მრავლად, გარნა ფრიად გემოიანნი სსუათა ადგილებთაგან უმეტეს და ვინათგან აქუთ საძოვარნი და სათიბნი მცირედ, ამისათვის ვერ ინახავენ ცხოვართა, თვინიერ კ (20), მ (40) და რ(100) კიდე, ეგრეთვე ცხენთა და ძროხათა ი (10), კ (20) და მ (40) და უფროსი არღარა“. მთიდან ბარში გადასახლებული ოსები მეცხვარეობას ვერ ივიწყებდნენ, პირიქით, აქ მათ მისი განვითარების საშუალება მიეცათ. რაც შეეხება თხებს, ისინი, ჩვეულებრივ, ცხვრის ფარაში ჰყავდათ შერეული. მხოლოდ ალაგირისა და დიგორის რამდენიმე სოფელში მეთხეობა მეცხვარეობაზე დაწინაურებული იყო. ოსთა სამეურნეო საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. საქონელი იძლეოდა რძეს, ხორცს, იყო გამწვევი ძალა, ჰქონდა სასაქონლო მნიშვნელობა. ოსი ხალხის სამეურნეო საქმიანობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეცხენეობას, რაც მათთვის ტრადიციულიც იყო, რადგან ოსთა წინაპრები, როგორც ცნობილია, მომთაბარეები იყვნენ. ოსური ფოლკლორული მონაცემებით აშკარაა, რომ ალანები შესანიშნავი მხედრები იყვნენ, რომლებსაც ცხენთა დიდი ჯოგები ჰყავდათ. XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე მთებში ცხენი ერთადერთი სატრანსპორტო საშუალებაც იყო.

როგორც ჩრდილოეთ კავკასიის ყველა ხალხში, ოსებშიც იარაღის არაერთი სახეობა იყო გავრცელებული: მახვილი, მშვილდი, ისარი, ფარი, ჯაჭვის პერანგი, ჩაფხუტი. კლაპროტის ცნობით, თრუსოელი ოსები კვლავ მაგარი ტყავისა და ხისაგან გაკეთებულ ოვალური ფორმის ფარებს იყენებდნენ, რომლებსაც ზედ რკინის გვერგვები ჰქონდა მიმაგრებული.

საქონლისა და ცხვრის რძისაგან ყველის დამზადება ოსების ძველ-თაძველი საქმიანობაა. მაგრამ **ფანტაზიის ნაყოფია ზოგიერთი ოსი მეცნიერის აკვიატებული აზრი, თითქოს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ ყველის ორიგინალური სახეობის — სულუგუნის დამზადების კულტურა ოსებისაგან შეითვისა, ეს მაშინ, როდესაც ოსებმა საერთოდ არ იცოდნენ მისი დამზადება.**

მნიშვნელოვანი საკითხი. ე.წ. სამხრეთ ოსეთში ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ძირითადად ერთი გვარით დასახლებული სოფლები არსებობდა. ხშირად მეზობლად მდებარე რამდენიმე სოფელშიც ერთი გვარის ხალხი მკვიდრობდა. მთიდან დაბლობში ჩამოსახლებული ოსები ვეღარ ახერხებდნენ ნათესაური პრინციპით დასახლებას. გადმოცემით, შიდა ქართლის მთიანეთში დასახლებული ოსები ხშირად ებრძოდნენ ერთმანეთს და ეს ბრძოლა ძირითადად ცალკეულ სოფლებს შორის მიმდინარეობდა. ეს დაპირისპირება არც თუ იშვიათად, ერთ-ერთი გვარის გაწყვეტით ანდა სხვაგან გაქცევით მთავრდებოდა. ამ ბრძოლის შედეგად მიაჩნია მ. კოსვენს მრავალი ნასოფლარის არსებობა. სინამდვილეში ეს ნასოფლარები, ნანგრევები ადრინდელი ქართველი მოსახლეობის საკუთრება იყო.

მთიან ოსეთში ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისამდე მიცვალებულებს აკლდამებში, ხშირად მიწისზედა აკლდამებში კრძალავდნენ. დაკრძალვის ეს ფორმა გავრცელებული იყო აგრეთვე ინგუშეთში, ჩაჩნეთში,

ყარაჩაისა და ბალყარეთში. მიწისზედა აკლდამები მხოლოდ მთისათვის იყო დამახასიათებელი. ბარსა და მთისწინეთში ასეთი აკლდამები დადასტურებული არაა. მთის ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში აკლდამაში შეტანილი მიცვალებული მუმიფიცირებას განიცდიდა. ყველა ასეთ აკლდამას აქვს ორი ან სამი საძრომი, რომლის საშუალებითაც შიგ მიცვალებული შეჰქონდათ. თითოეულ აკლდამაში მოწყობილი იყო ხის ან ქვის ტახტები, რომლებზედაც მიცვალებულებს ასვენებდნენ. აკლდამები ოსებში ძირითადად საგვარეულო იყო. აკლდამებში დაკრძალვის წესი ეწინააღმდეგება ქრისტიანულ ნორმებს და, თავისთავად ცხადია, ქრისტიანული ეკლესია მას ებრძოდა კიდევ. აკლდამები კავკასიური წარმოშობისაა. სხვათა შორის, ოსური გადმოცემები მიწისზედა აკლდამების მშენებლობას მიაწერს სხვა ხალხს, რომელიც მათ მოსვლამდე აქ ცხოვრობდა. ოსური გადმოცემებით, ბევრი მიწისზედა აკლდამის მშენებლები ინგუშები იყვნენ. ინგუშებს აშენებინებდნენ არა მხოლოდ აკლდამებს, არამედ საბრძოლო კოშკებსაც. საგულისხმოა, რომ მთიან ოსეთში, ოსური გადმოცემებით, ზოგიერთი მიწისზედა აკლდამა ეკუთვნოდათ ნოღაელებს, რომლებსაც ოდესღაც ოსებთან ერთად აქ უცხოვრიათ. არაერთი მიცვალებულის ნოღაელობა მათი ანთროპოლოგიური ტიპით, ჩაცმულობით და აკლდამაში არსებული ჭურჭლითაც დასტურდება. ქურთათის, თავაურის, და დიგორის ხეობებში ოსებთან ერთად ნოღაელების მკვიდრობის შესახებ გადმოცემები XX საუკუნის 20-იან წლებში დაუფიქსირებიათ. ბარიდან ნოღაელები ოსებთან ერთად მიგრირებულან XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე. მთაში შემოსახლებულმა ოსებმა (ნოღაელებთან ერთად) ადგილობრივი აკლდამური კულტურა შეითვისეს. ოსური მიწისზედა დასაკრძალავი ნაგებობები — აკლდამები ტიპურ ინგუშურ კოშკებს მოგვაგონებს თავისი პირამიდულ-საფეხურებრივი გადახურვით. აკლდამები უცნობი იყო დვალეთის რეგიონისათვის (კალოვეი, 1999), რაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ დვალეთი ეთნიკურ-კულტურულად ოსური არ იყო.

მთიან ოსეთში კოშკური არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუშები იყო. ოსებს ჰქონდათ როგორც სადარაჯო, ისე საბრძოლო და საცხოვრებელი კოშკები. საბრძოლო კოშკები ოსეთში ძალიან მაღალი არ იყო და მათი ოთხკუთხოვანი კედლები, ჩვეულებრივ, სწორი გადახურვისა იყო. ოსები არც ერთ კოშკს ოსების აშენებულად არ თვლიდნენ. გადმოცემით, მთიან ოსეთში კოშკები ადრინდელი მოსახლეობის აგებული იყო. ბ. კალოვეს ასეთ ადრინდელ მოსახლეობად ალანები მიაჩნია, რაც, რა თქმა უნდა, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. კოშკების ამშენებელნი ადგილობრივი კავკასიელები იყვნენ, რომელთა ნასახლარებზეც ალან-ოსები დაფუძნდნენ. ოსების ძირითადი ნაწილი ქვის სახლებში ცხოვრობდა. თითქმის ყველა ოსურ სოფელში წარმართული სალოცავი არსებობდა, რომელსაც ისინი „ძუარს“ უწოდებდნენ. ბუნებრივია, სალოცავის აღმნიშვნელი ეს ოსური სიტყვა ქართულიდან იყო შესული, როდესაც აქ ქართველები ქრისტიანობას ავრცელებდნენ.

არა მხოლოდ ერთი სასოფლო თემის, არამედ მთელი ხეობის მოსახლეობამ იცოდა დახმარება როგორც ქორწილის, ისე დაკრძალვის დროს.

ოსთა რამდენიმე ახლოდ მდებარე სოფელი ტერიტორიულ-სამეზობლო გაერთიანებებს წარმოადგენდა. ისინი ერთმანეთთან ფიცით იყვნენ დაკავშირებულნი. ფიცს სალოცავთან გვარის უხუცესები სდებდნენ. ფიცის განსამტკიცებლად ხის ჯოხზე ამონაჭდეებს აკეთებდნენ, რასაც საერთო სალოცავში ინახავდნენ. სასოფლო თემის წევრებს მიწაზე ჰქონდათ როგორც კერძო, ისე კოლექტიური საკუთრება: სახვნელი და სათიბი კერძო იყო, საძოვარი და ტყე კი — საერთო.

ოსთა საკვები თითქმის ისეთივეა, როგორც სხვა ჩრდილოეთკავკასიელი მთიელებისა. იცოდნენ ღვეხელის გამოცხობა ხორცის შიგთავსით, ღვეხელი ყველის შიგთავსით („ხაბიზჯინი“). ოსებში ფართოდ იყო გავრცელებული ლუდი („ბაგანი“), რომელსაც მთაში ქერისაგან ამზადებდნენ, ბარში კი — ხორბლისა და სიმინდისაგან. ნართების ეპოსის მიხედვით, ლუდი გამოიგონა ამ ეპოსის ერთ-ერთმა გმირმა, სატანამ. მას, ჩვეულებრივ, დიდი საოჯახო და საზოგადოებრივი დღესასწაულების დროს უზარმაზარი სპილენძის ლუდის სახარშ ქვაბში ამზადებდნენ. ადრე ოსებს უმზადებიათ მათრობელა სასმელიც „რონგი“. რონგს თაფლისაგან ამზადებდნენ.

ოსური საზოგადოება რამდენიმე სოციალურ ჯგუფად იყოფოდა. ოსები გვარებად ცხოვრობდნენ. ოსური გვარების უმეტესობას საფუძვლად მამაკაცის სახელი უდევს. თითოეული გვარი („მიგავა“) რამდენიმე პატრონიმიის („ფიდი-ფირტ“) ერთობლიობას წარმოადგენდა. ოს მეცნიერთა ვარაუდით, ოსური გვარების წარმოქმნის დრო XVI საუკუნეა. საქართველოში ოსური გვარები პირველი მიგრანტების სახელებიდან მომდინარეობენ. არაერთი ოსური გვარის ძირი მომდინარეობს მეზობელი ხალხებიდან (ინგუშები, ბალყარელები, ქართველები). ოსებში მეორე რიგის გვარებიცაა დადასტურებული, რომლებშიც ოთხი-ხუთი და მეტი გვარია გაერთიანებული. ეს გვარები საერთო შორეული წინაპრებისაგან მომდინარეობენ. დღემდე ამ სანათესაო ჯგუფების შიგნით მკაცრად იცავენ ეგზოგამიას. ეგზოგამიის დამრღვევი მკაცრად ისჯებოდა, მისი ადგილი საზოგადოებაში ფაქტობრივად აღარ იყო. ეგზოგამია იმდენად მკაცრი იყო, რომ სხვადასხვა გვარის მატარებელნიც, რომელთაც ჰქონდათ გადმოცემა საერთო წარმომავლობის, ერთი წინაპრიდან მომდინარეობის შესახებ, ერთმანეთზე არ ქორწინდებოდნენ. მაგალითად, არ ქორწინდებოდნენ ერთმანეთზე საქართველოში მცხოვრები შემდეგი ოსური გვარების — კოკოელების და გასიეების, სანაკოეებისა და გაგლოეების წარმომადგენლები. ქორწინება იკრძალებოდა ხელოვნურად დანათესავებულებს შორისაც (მაგალითად, შემძავებულ გვარებს შორის). ქორწინება იკრძალებოდა არა მხოლოდ ერთი უბნის, არამედ ერთი სოფლის ფარგლებშიც, რაც თავდაპირველად იმით იყო განპირობებული, რომ დასახლებული პუნქტები დიდი ხნის განმავლობაში ერთი გვარის ხალხით იყო დასახლებული. შემდეგ ეს ტრადიციად იქცა. ოსურ გადმოცემებში გვაქვს მაგალითები სისხლის ამღვრევთა მკაცრად დასჯისა. ყოველი ოსურ გვარს თავისი სასაფლაო და სალოცავი („ძუარ“) ჰქონდა. ოსთა შორის გაბატონებული იყო მონოგამია. ორცოლიანობა ძალიან იშვიათობას წარმოადგენდა და ის მხოლოდ პირველი ცოლის უშვილობის შემთხვევაში იყო დაშვებული.

ლი. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, თანხმობა არა მარტო პირველ ცოლს, არამედ მის ნათესაობასაც უნდა მიეცათ. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქორწინების დროს აუცილებელი იყო საპატარძლოს თანხმობა. ამავე დროს, თანხმობა უნდა მიეცათ დედას, ძმებს და ბოლოს, დედის ძმას.

ოსებში შემორჩენილი იყო ბევრი ძველი ინსტიტუტი, რომელთა შორის მესისხლეობა შეიძლება დავასახელოთ, მასში არა მხოლოდ ახლო, არამედ შორეული ნათესავეებიც იყვნენ ჩართული. მესისხლეობას წარმოშობდა ღირსების შელახვა, ქალის მოტაცება, დავა მიწის ირგვლივ და ა.შ. შერიგება მთავრდებოდა დამნაშავე მხარის მიერ დიდი რაოდენობით საქონლისა და ძვირფასეულობის (იარაღი, ლუდის სახარში ქვაბი) გადახდით და ტრაპეზის მოწყობით. მ. კოსვენის აღნიშვნით, ძველ დროს მეუღლეებს საერთო სარეცელი დაუფარავად მხოლოდ წელიწადის ორ თვეს: ნოემბერსა და დეკემბერში ჰქონდათ. დანარჩენ დროს მეუღლეები ფარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს. გაბატონებული იყო უმძრახობა. მამას არასდროს არ აჰყავდა შვილი ხელში. მამა შვილს სახელით არ მიმართავდა.

ოსებს სტუმართმოყვარეობის, ყონალობის (ძმობილობის), დამძობილების, ურთიერთდახმარების ისეთივე წეს-ჩვეულებები ჰქონდათ, როგორც კავკასიის სხვა ხალხებს. დიდი ოჯახები საბჭოთა წყობილების პირველ წლებშიც კი იყო შემორჩენილი. საქორწინო ასაკი კაცებისათვის 17-18 წლიდან იწყებოდა, ქალებისათვის — 14-16 წლიდან. დაქორწინების აუცილებელი პირობა იყო ყალიმის (ურვადის) გადახდა, რაც ხშირად ქალის მოტაცებასაც იწვევდა. ქორწილი, ჩვეულებრივ, შემოდგომაზე, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დამთავრების შემდეგ იმართებოდა. საქართველოში მცხოვრები ოსები ხშირად ქორწინდებოდნენ ქართველებზე, ოღონდ მიგრირებული ოსისათვის მთავარი პირობა ქრისტიანობის მიღება იყო. სოფლის მართვა ყრილობის — „ნიხასის“ ხელში იყო. „ნიხასი“ იმ ადგილის სახელიც იყო, სადაც ეს ყრილობები იმართებოდა. ნიხასი თემის ყველა სრულწლოვანი მამაკაცისაგან შედგებოდა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან როლს უხუცესები თამაშობდნენ.

სიკვდილის შესახებ ყველა ნათესავს ატყობინებდნენ. დაკრძალვა მეორე დღეს ხდებოდა. იცოდნენ ქელები. მიცვალებულებს სწირავდნენ ცხენს, მის სახელზე აწყობდნენ დოღს, ისროდნენ მიზანში. იცოდნენ ქვრივისათვის ნაწნავის მოჭრა და საფლაგზე დაკიდება.

დღეს ოსები ძირითადად ქრისტიანები არიან; გვხვდებიან მაჰმადიანებიც. მაჰმადიანობა განსაკუთრებით დიგორელ ოსებში იყო გავრცელებული. ოს ხალხში ქრისტიანობა VI—VII საუკუნეებში ჯერ ბიზანტიიდან, შემდეგ კი საქართველოდან შევიდა, თუმცა ამ სარწმუნოებამ აქ ფეხი მყარად ვერ მოიკიდა და გვიან შუა საუკუნეებში მთის ხეობებში მცხოვრებნი წინაქრისტიანული რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები იყვნენ. საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა მიგრირებული ოსებისათვის ქრისტიანობა მიეღებინებინა. ისლამი დასავლეთ ოსეთში ყაბარდოდან XVII—XVIII საუკუნეებში გავრცელდა. ოსებს ჰყავდათ ქრისტიანიზმ-

ბული ღვთაებები: უაც-გიორგი, უასტირჯი (წმინდა გიორგი); უაცილა — წმინდა ილია; უაცნიკოლა — წმინდა ნიკოლოზი; უაცტოტურ — წმინდა თევდორე და სხვ. ოსეთში იყო საერთოოსური სალოცავებიც („ძუარები“), სახეობო, სასოფლო და საგვარო კულტები. მაგალითად, ალაგირელთა სალოცავი იყო „რეკომი“. ამ სალოცავში არსებულ ზარზე ქართული ნუსხახატურით შესრულებული წარწერაა. ლოცვებში ხშირად ახსენებენ „მიქალგაბრიტას“ და „თარანჯე-ლოზს“, რაც სხვა არაფერია, თუ არა მიქელ-გაბრიელი და მთავარანგელოზი. რაც შეეხება ქურთათისა და თავაურის ხეობებს, აქ საერთო სახეგო კულტები არ ყოფილა, მხოლოდ სასოფლო სალოცავები იყო. მაგალითად, ასეთი იყო „ძიგვისი ძუარ“ წმ. გიორგის სახელზე. ოსებმა, ისევე როგორც ქართველმა მთიელებმა, იცოდნენ სალოცავისადმი მიწის შეწირვა (უშვილო მშობლებს შვილი თუ შეეძინებოდათ, მემკვიდრის არყოლის შემთხვევაში, სოფლიდან გადასახლებისას).

მდიდარია ოსური ფოლკლორი. ნართულ ეპოსზე მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ვ. მილერი მას ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში წარმოქმნილად მიიჩნევდა, რაც, მისი აზრით, იმით მტკიცდებოდა, რომ ეპოსში მრავალჯერ მოიხსენიება დიდი მდინარეები, ზღვები, სტეპები და ა.შ. ნართები თევზს დიდ მდინარეებსა და ზღვაში იჭერდნენ. ეს მასალა პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ თავდაპირველად ოსები მთიელები კი არა, სტეპების მკვიდრები იყვნენ. ნართულ ეპოსში ალანების მთებში მოსახლეობის შესახებ არავითარი მონაცემი არაა. ნართები ძირითადად ირემზე ნადირობდნენ. ოსეთში გავრცელებული გარეული ცხოველები კი ეპოსში საერთოდ არ არიან ნახსენები. შინაური ცხოველიდან კი ნართებს ძალიან უყვარდათ და აფასებდნენ ყველა მომთაბარისათვის განუყოფელ ცხენს. ოსთა წინაპრები რომ სტეპების მკვიდრნი იყვნენ, ამას მათი სამიწათმოქმედო კალენდარიც მოწმობს, რადგან, მეცნიერთა დასკვნით, ის ბარშია ფორმირებული და არა მთაში. საკმარისია აგრეთვე ისტორიული სიმღერების დასახელება. ერთ-ერთი ასეთი სიმღერა თემურ-ლენგის დიგორის ხეობაში ლაშქრობას ასახავს. ოსთა კულტურულ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ნაციონალური ლიტერატურის ჩასახვას, რომლის ფუძემდებელია კოსტა ხეთაგუროვი (1859-1906).

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ ოსეთის ისტორიისა და მთელი რიგი სხვა საკითხების შესწავლა ძირითადად ქართული წყაროებით ხდება. ოსებს არაერთი სტრიქონი აქვს დათმობილი ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომშიც. ის მათ შესახებ წერს: „ხოლო კაცი და ქალნი არიან შუენიერნი, ჰაეროვანი, შავ-თულწარბანი, შავ-თმოსანი, თეთრ-ყირმიზნი, ტანოვანი, წერწეტნი, გარნა უმეტეს ქალნი წერწეტნი, მკვრცხლად ფიცხელნი, თვისთა ქუეყანათა შინა მცირედ მჭამელნი, რამეთუ კმა იყოფენ თვინიერ წყალსა და პურსა და შრატსა, სხუათა ადგილთა და სტუმრობათა შინა გაუძღომელნი, ვერ შემმართველნი ბრძოლასა შინა, რამეთუ ეშინისთ ლაშქართავან ფრიად. არამედ ღამით შემმართველნი და შემპარავნი ლაშქართა შინა და გამომსვლელნი... ქუეყანათა თვისთა

ლადნი და ამაყნი, სხუათა ქუეყანათა შინა მდაბალნი, გონიერად მოუბარნი... მესისხლენი... ტყვის მყიდველნი, გარნა არა თვისთა ჰყიდინა“.

როგორც ირკვევა, ოსების საუკუნოვანი ოცნება ყოფილა ორი ოსეთის გაერთიანება.

ნაშრომი ცნობილი ოსი მეცნიერის — ვასილ აბაევის სიტყვებით უნდა დავამთავროთ, რომელიც 1992 წელს „ნეზავისიმაია გაზეტა“-ში დაიბეჭდა (22 იანვარი): „კავკასიონის მთავარი ქედი — ბუნებრივი საზღვარია საქართველოსა და ოსეთს შორის და ყოველი ცდა ამ საზღვრების მოშლისა გამოიწვევს თავის მხრივ ქართველებსა და ოსებს შორის პერმანენტული კონფლიქტის მდგომარეობას... პირველ ყოვლისა საჭიროა, დამთავრდეს საუბრები საქართველოსაგან სამხრეთ ოსეთის ჩამოგლეჯაზე. საქართველოს არც ერთი მთავრობა ამაზე არასდროს არ დათანხმდება და იქნება მართალი, რადგან ეს აღნიშნავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას. ვისაც სურს მშვიდობა სამხრეთელ ოსებსა და ქართველებს შორის, სამუდამოდ უნდა უკუაგდოს სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების იდეა. ვისაც სურს მშვიდობა საქართველოსა და რუსეთს შორის, აგრეთვე უნდა დასთმოს ეს იდეა. ასეთია რეალობა“. სამწუხაროდ, ოს მეცნიერს არავინ არ მოუხმინა. ოსი ხალხი შეცდომაში გაყალბებულმა ისტორიამ და რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების ვერაგულმა გეგმებმა შეიყვანა. როგორი იქნება მომავალი, ამას ისტორიკოსი უკვე ვეღარ იწინასწარმეტყველებს. ერთი კია, პროგნოზი ასეთ პირობებში არც თუ საიმედოა.

დამოწმებული ლიტერატურა

- აბაევი, 1949** — В. Абаев. Осетинский язык и фольклор. М. 1949.
- ალემანი, 2003** — А. Алемань. Аланы в древних и средневековых источниках. М. 2003.
- ბაგრატიონი, 1986** — ი. ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა, თ. ენუქიძისა და გ. ბედოშვილის გამოცემა, თბ., 1986.
- ბეროზოვი 1980** — Б. Берозов. Переселение осетин с гор на плоскость 18-20 вв. Орджоникидзе. 1980.
- ბლიევი, ტურგиеვი 1990** — М. Блиев, Т. Тургиев. История Северной Осетии, часть 1. Орджоникидзе. 1990.
- ბოჭორიძე, 1996** — სამხრეთ ოსეთი გიორგი ბოჭორიძის თვალით. — „ოსთა საკითხი“, გორი-თბილისი, 1996.
- გამყრელიძე, 1996** — ბ. გამყრელიძე. ოსთა განსახლების საკითხისათვის

- საქართველოში. — „ოსთა საკითხი“, გორი—თბილისი, 1996.
- გამრეკელი, 1961** — В. Гамрекели. Двалы и Двалетия в 1-15 вв. н. э. Тб. 1961.
- გაჩეილაძე, 1986** — მ. გაჩეილაძე. სამაჩაბლოს ოსთა ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, კულტურა (1857—1905 წწ. ქართული პრესის მასალების მიხედვით), თბ. 1986.
- გვასალია, 1991** — Дж. Гвасалиа. Историческая география Восточной Грузии — Шида Картли, Тб., 1991.
- გვასალია, 1997** — ჯ. გვასალია. შიდა ქართლი და ოსური საკითხი, თბ., 1997
- გიულდენშტედტი, 1961** — გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. 1, გ. გელაშვილის გამოცემა, თბ., 1961.
- დოკუმენტები, 1940** — დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წიგნი I, ნ. ბერძენიშვილის გამოცემა, თბ., 1940.
- ვანევი, 1936** — З. Ванеев. К вопросу о времени заселения Юго-Осетии. — Известия Юго-Осетинского научно-исследовательского ин-та, вып. 3. Сталинири, 1936.
- ვახუშტი, 1973** — ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება. ტ. IV. 1973.
- ვოლკოვა, 1974** — Н. Волкова. Этнический состав населения Северного Кавказа в 18 – начале 20 века, М. 1974.
- თოფჩიშვილი, 1989** — Р. Топчишвили. Посемейные списки Тифлисской губернии 1886 г. как этнографический источник. — СЭ. №6. 1989.
- თოფჩიშვილი, 1997** — რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები. თბ., 1997.
- თოფჩიშვილი, 2006** — Р. Топчишвили. Грузино-осетинские этноисторические очерки. Кутаиси, 2006.
- ივანენკო, 1873** — З. Иваненко. Гражданское управление Закавказьем. Тифлис. 1873.
- კალოევი, 1999** — Б. Калоев. Осетинские историко-этнографические этюды. М. 1999.
- კრებული, 1893** -- Свод статистических данных о населении Закавказского края... Тифлис. 1893.
- ლაზარაშვილი, 1966** — Г. Лазарашвили. О времени переселения осетин в Грузию. — СЭ. №2. 1966.
- ლორთქიფანიძე, ოთხმეზური 2007** — М. Лордкипанидзе, Г. Отхмезური. Осетины в Грузии. — Кавказ и Глобализация. Том 1 (4), 2007.

- ლორთქიფანიძე, მუსხელიშვილი 2008** — М. Лордкипанидзе, Д. Мухелишвили. Открытое письмо премьер-министру РФ В. Путину. — Аналеби, №3, 2008.
- მეფისაშვილი, ცინცაძე 1975** — Р. Меписашვილი, В. Цинцадзе. Архитектура нагорной части исторической провинции Грузии — Шида Картли, Тб., 1975.
- ოთხმეზური, 1994** — Г. Отхмезური. Эпиграфика северной части Шида Картли. — Осетинский вопрос, Тб., 1994.
- ქურდიანი, 1997** — მ. ქურდიანი. საერთო-ქართველური ეპიკური (ნარატიული) ლექსის ერთი მეტრული სქემის შესახებ. — კრ. „გიორგი როგავას“, თბ., 1997.
- ჩრდილოეთ კავკასიის 1988** — История народов Северного Кавказа с древнейших времен до конца 18 века. М., 1988.
- ძველი... 1911** — „ძველი საქართველო“, II, ტფ., 1911—1913.
- ჯავახიშვილი 1919** — ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფ., 1919

შიდა ქართლის ერთი ნაწილის (ცხინვალის მხარის) პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის შესახებ

XIX საუკუნიდან რუსეთის ხელისუფლება კავკასიელი ხალხების გენოციდით, ეთნოწმენდით, დეპორტაციით, დემოგრაფიული ექსპანსიით ახორციელებდა მთელი კავკასიის და, პირველ რიგში, შავი ზღვის სანაპიროს „ათვისებას“. მეფის რუსეთის ხელისუფლების და ასევე დეკაბრისტების „პროექტით“ (პესტელი, 1991) პრინციპულად იყო დასმული საკითხი კავკასიელი „შფოთიანი“ ხალხების (ქართველები, ჩეჩნები, დაღესტნელები, ადიღეები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, აფსუები/აფხაზები...) შუა რუსეთში გადასახლებისა. კავკასიაში უნდა დაეტოვებინათ რუსეთის მორჩილი, „უშფოთველი“ ერები ჩამოსახლებულ რუსებთან ერთად. ეს პროცესი გრძელდებოდა მთელი საბჭოთა იმპერიის არსებობის მანძილზე და გრძელდება დღესაც ქართველთა, ჩეჩენტა, ინგუშთა და ა. შ. გენოციდითა და ეთნიკური წმენდით.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიის განმავლობაში მის ლეგიტიმურ ხელისუფლებას (ფარნავაზიანთა დინასტიას, ბაგრატიონთა დინასტიას, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებას) ქვეყნის შუაგულში — შიდა ქართლში (ცხინვალის მხარეში) არასოდეს უღიარებია რაიმე სახის ავტონომიური ერთეულის არსებობა.

1921 წლის თებერვალ-მარტსა და 1991-1993 წლებში რუსეთის იმპერიის სამხედრო ძალების (VIII, IX, XI არმიები, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარები და სპეცსამსახურები, შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტი, როსტოვის სპეცდანიშნულების რაზმი, ძერჟინსკის სახელობის დივიზია, 345-ე საჰაერო-სადესანტო პოლკი) და ადგილობრივი რენეგატების მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციის შედეგად შეიქმნა ანტიკონსტიტუციური ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და შემდგომ ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა.

1918-1921 წლებსა და 1990-1991 წლებში საქართველოს ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ საქართველოს კონსტიტუციებსა და საერთაშორისო სამართალზე დაყრდნობით აღკვეთა შიდა ქართლის ტერიტორიის საქართველოსგან ჩამოშორების მცდელობები.

1989-1991 წლებში რუსეთის (კრემლის) პროპაგანდის შედეგად უცხოეთში ვრცელდებოდა ცრუ, ყალბი ინფორმაციები ქართველთაგან ეთნიკური უმცირესობათა თითქოსდა ჩავვრისა და შევიწროების შესახებ. ასე, მაგალითად, ქართველი პატრიოტის მინდიაშვილის ჯგუფის წევრების ოსების მიერ ცოცხლად დაწვის ფოტო-ვიდეო მასალა ერთმა ქართველმა ოპოზიციონერმა ოსების ცოცხლად დაწვის ფაქტად გაასალა საზღვარგარეთ. ამასთანავე, პრალაში დისიდენტთა საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოს ე. წ. ეროვნული კონგრესის წევრებმა ქართველი ერი ოსების გენოციდის მცდელობასა და ეთნიკური უმცირესობების დისკრიმინაციაში დაადანაშაულეს.

გარდა ამისა, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა დაცვის საბაზით რუსეთის ხელისუფლებამ 1989-1991 წლებში შექმნა სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციები: „აიდგილარა“, „ადამონ-ნიხასი“, „კრუნჩი“, „სოიუზი“, „კაზაკთა კავშირი“, „სლავური სახლი“, „მთიელ ხალხთა კავშირი“, „მაშტოცი“ და სხვა.

1921-1922 წლებსა და 1991-1993 წლებში სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის მიმართ განხორციელებული აგრესიის შედეგად დაირღვა რა გაეროს წესდება, გაეროს 1965 წლისა და 1974 წლის დეკლარაციები, ეუთოს კონფერენციები, საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ნორმები, განხორციელდა აფხაზეთისა და შიდა ქართლის ოკუპაცია.

1922 წლის 20 აპრილს რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. მის შექმნას ჰყვეთრად ეწინააღმდეგებოდა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები 20000 ქართველი და 1100 ეთნიკური ოსი (ამ მხარეში მცხოვრებ ოსთა უმრავლესობა).

1988-1990 წლებში საბჭოთა კავშირის შემაღენლობაში იძულებით მოქცეულმა საქართველოს კომუნისტურმა რეჟიმმა ფაქტობრივად დაკარგა კონტროლი ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქზე და მასზე საბჭოთა საქართველოს იურისდიქცია თითქმის არ ვრცელდებოდა.

1990 წლის აგვისტოში საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ (რუსეთის საოკუპაციო ადმინისტრაციამ), საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წელს საქართველოს ოკუპაციის აღიარებით, თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. შედეგად, 70 წლის განმავლობაში მიღებული ყველა სამართლებრივი აქტი, მათ შორის, ავტონომიების შექმნის შესახებ არსებული დადგენილებებიც, იურიდიული ძალის არმქონედ იქცა (დადგენილება, 20. 08. 1990).

1990 წლის 28 ოქტომბრიდან, საქართველოში დემოკრატიულად არჩეული ლეგიტიმური ეროვნული ხელისუფლების მოსვლის პირველივე დღეებიდან, რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ოსი სეპარატისტებისა და თავისი სამხედრო-საოკუპაციო ძალების გამოყენებით ცდილობს, ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესს შეჩერებას. 1990 წლის 9 დეკემბერს რუსეთის ხელისუფლების მითითებით და ხელმძღვანელობით ოსმა სეპარატისტებმა ჩაატარეს ე. წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რითაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას დიდი საფრთხე შეექმნა.

1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ 363-ე კანონში „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“ (კანონი, 12. 12. 1990) აღნიშნულია, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სეპარატისტული ძალები ცდილობენ, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ შექმნით მოახდინონ სახელმწიფო ხელისუფლების უზურპაცია, ხელყონ საქართველოს ისტორიული, განუყოფელი ნაწილი, რაც აშკარად ეწინააღმდეგება არა მარტო საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, არამედ თვით სსრკ-ს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებს...“. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის

მე-3 და მე-11 პუნქტების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

2. ...

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის 2 დეკრეტი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ“ და საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“;

4. „...ცნობილ იქნას ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ ე.წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 დეკემბრის არჩევნები და მისი შედეგები...“.

1991 წლის 23 მარტს დაბა ყაზბეგში საქართველოს რესპუბლიკისა და რსფსრ-ს სახელმწიფოთა მეთაურებს — ზვიად გამსახურდიასა და ბორის ელცინს შორის ხელმოწერილ დოკუმენტში დაფიქსირდა ტერმინი: „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“. ამავე დროს, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილის, საკითხის გადაწყვეტა რუსეთმა საქართველოს საშინაო საქმედ ცნო და დათანხმდა ამ ზონიდან სსრკ-ს სამხედრო შენაერთების გაყვანას („საქართველოს რესპუბლიკა“, 24. 03. 1991).

1991 წლის მაისში სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წარმომადგენლების მიერ, ოსური მხარის როგორც მეთვალყურის თანდასწრებით, პარაფირებულ იქნა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ცხინვალის რეგიონის პრობლემის გადაწყვეტა საქართველოს რესპუბლიკის პრეროგატივად გამოცხადდა. აღნიშნულის საფუძველზე სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ანალოგიური შინაარსის დადგენილება მიიღო.

1991 წლის 31 მარტის საყოველთაო სახალხო რეფერენდუმში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ცხინვალის რაიონში ხმა მისცა 99,68%-მა ამომრჩეველმა, ახალგორის რაიონში კი — 99,44%-მა. საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ოსების დიდმა უმრავლესობამ 1990 წლის 28 ოქტომბერს, 1991 წლის 31 მარტს, 1991 წლის 26 მაისს (სამივეჯერ) ხმა მისცა „საქართველოს დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას, მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ პროგრამას, ზვიად გამსახურდიას სახელმწიფოებრივ პოლიტიკას („ხმა ერისა“, 1995: 94-98, 470-475).

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე, 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძველზე, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციიდან და საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 15 სექტემბერს მიიღო 657-ე დადგენილება — საქართველოს რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების შესახებ, — რომელშიც

ნათქვამია: „1. საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სსრკ-ს შეიარაღებული ძალები გამოცხადდეს საოკუპაციო სამხედრო ძალად; 2. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დაიწყოს მოლაპარაკება სსრკ-ს შეიარაღებული ძალების გაყვანის თაობაზე; 3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან სსრკ-ს შეიარაღებული ძალების სრულ გაყვანამდე სსრკ-ს წინაშე დაისვას საკითხი აფხაზეთის ასსრ და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებიდან საბჭოთა არმიის ნაწილების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ, რადგან მათი ყოფნა და მოქმედება ხელს უშლის მდგომარეობის სტაბილიზაციას ამ რეგიონში“ (დადგენილება, 16. 09. 1991).

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების, 1991 წლის 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის, გაეროს წესდების, ეუთოს 1986 წლის ვენის შემაჯამებელი დოკუმენტის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 15 სექტემბრისა და 1992 წლის 13 მარტის დადგენილების იგნორირებით, 1992 წლის 24 ივნისს დაგომისში შევარდნაძის საოკუპაციო რეჟიმმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას რუსეთთან, რომლის ძალითაც რუსეთის სამხედრო ძალებს უფლება მიეცათ, „მშვიდობისმყოფელთა“ სტატუსით განთავსებულიყვნენ ცხინვალის რეგიონში. რამდენადაც, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ რუსეთის იმპერიის სამხედრო შენაერთებს ჯერ კიდევ 1991 წელს საქართველოს კანონიერი ხელისუფლების მიერ მინიჭებული ჰქონდა საოკუპაციო ჯარის სტატუსი, დაგომისის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება წარმოადგენს სახელმწიფო დანაშაულს საქართველოს წინაშე; გარდა ამისა, ის იურიდიული ძალის არქონეა, რამდენადაც მას ხელი მოაწერა უკანონო რეჟიმმა. შდრ.: ამ დროს არსებობს და დევნილობაში ფუნქციონირებს რუსეთის მიერ საქართველოდან დევნილი კანონიერი ხელისუფლება (საქართველოს პრეზიდენტი, საკანონმდებლო ორგანო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, საქართველოს მთავრობა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები)¹.

პარალელურად, შევარდნაძის საოკუპაციო რეჟიმი ხელს უწყობს ე. წ. სამხრეთ ოსეთის საპარლამენტო არჩევნებს და ბორჯომის, ცხინვალის, მოსკოვის, ვლადიკავკაზის შეხვედრებზე აფიქსირებს სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს შიდა ქართლში. ამავე დროს, რუსეთის ხელისუფლებასა და ოს სეპარატისტებთან ერთად ცდილობს, საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას დააბრალოს რუსეთის მიერ ცხინვალის მხარეში პროვოცირებული კონფლიქტი.

შევარდნაძის რეჟიმმა ასევე უკანონოდ მიანიჭა საოკუპაციო ჯარს „მშვიდობისმყოფლის“ როლი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში².

1 პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: რუსეთ-საქართველოს შორის დაგომისის ხელშეკრულებას საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერა რუსეთის მოქალაქე ელუარდ შევარდნაძემ.

2 შდრ.: უფრო ადრე, საქართველოს გასაბჭოებისთანავე, რუსეთის ბოლშევიკურმა იმპერიამ სერგო ორჯონიკიძის საოკუპაციო ადმინისტრაციის ხელშეწყობით, საქართველოს კანონიერი ხელისუფლების გვერდის ავლით შექმნა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

დღეს პუტინ-მედვედევის რეჟიმი ცხინვალის მხარეში ქართველთა გენოციდის შემდეგ ცდილობს, ეს ფაქტობრივი მდგომარეობა იურიდიულად გააფორმოს და „ორი ოსეთის“ რესპუბლიკის დაფიქსირებით შექმნას სამართლებრივ-პოლიტიკური საფუძვლები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ერთი ოსეთის ჩამოყალიბებისთვის.

2008 წლის 7 აგვისტოდან რუსეთმა საკუთარი და საქართველოს კონსტიტუციების (საქართველოს კონსტიტუცია, 1995) გარდა დაარღვია საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები³, კერძოდ:

1. სახელმწიფო-ტერიტორიული მთლიანობისა;
2. სახელმწიფოთა სუვერენობისა და თანასწორობის;
3. საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოუყენებლობისა;
4. საზღვრის ურღვევობისა;
5. სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა;
6. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემისა;
7. ხალხთა თანასწორობა და თვითგამორკვევისა;
8. დავების მშვიდობიანი მოწესრიგებისა;
9. საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ ვალდებულებათა და ხელშეკრულებათა შესრულებისა და ა.შ.

რუსეთმა ამჟამად ქსნის ხეობა — ახალგორის რაიონიც მიიტაცა, რაც ძალადობის და ცინიზმის გამოვლინებაა.

შიდა ქართლის რუსეთთან მიერთებას არც სამართლებრივი და არც პოლიტიკური საფუძველი არ გააჩნია.

დამოწმებული ლიტერატურა:

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, თბ., 1991.

ხელშეკრულება ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შესახებ, თბ., 1992.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება, გაზეთი „კომუნისტი“, 1990 წ. 20 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1990 წ. 12 დეკემბერი.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ. 24 მარტი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 657-ე დადგენილება, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ. 16 სექტემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმის შედეგები; გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1990;

ველოს რესპუბლიკა“, 1991 წ. 8 აპრილი.
საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, თბ., 1991.
საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995.
ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, თბ., 1990 წ.
ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად, თბ., 1991 წ.
პესტელი პ.ი. რუსსკაია პრავდა, სანკტ-პეტერბურგი, 1906 წ.
ხმა ერისა; რედ. გ. სალუაშვილი, თბ., 1995.

ეკლესია - საქართველოს კუთხეთა მაკავშირებელი დულაბი

წმიდა ილია მართლის თქმით - ჩამოყალიბებისთანავე საქართველოს წმიდა ეკლესია წარმოადგენდა მთელი ქვეყნის მოსახლეობის მაკონსოლიდირებელ ძლიერ ძალას. ის არ იყო ჩაკეტილი ვიწრო ეთნიკურ ჩარჩოებში, არამედ წარმოადგენდა ქვეყნის სხვადასხვა წარმოშობის მოქალაქეთა ეკლესიას. მისთვის, როგორც წმიდა წერილი მოითხოვდა, არ იყო ელინი თუ იუდეველი, ქართველი და არაქართველი; მისი მრევლი საქართველოს შვილები იყვნენ - ერთი ქვეყნისა და ერთი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონენი. თვით წმიდა ნინო, დამფუძნებელი საქართველოს ეკლესიისა, კაპადოკიიდან იყო ჩამოსული, საქართველოს ეკლესიის წმინდანი - პირველმოწამე რაჭდენი და ეგვიპტის მცხეთელი იყვნენ სპარსელნი; მონოფიზიტობასთან და ცეცხლთაყვანისმცელობასთან მებრძოლი სახელოვანი წმიდა 12 მამა - ასურელები (სირიელები) იყვნენ, ნეოფიტე ურბნელი ეპისკოპოსი - არაბი, ასევე არაბი იყო სახელოვანი წმინდანი აბო თბილელი, სომეხი იყო წმიდა შუშანიკ დედოფალი და სხვა მრავალნი.

აღნიშნული სიიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოს ეკლესია აერთიანებდა ქვეყნის ყველა მოქალაქეს ეთნიკური წარმოშობის მიუხედავად. ამავე დროს, საქართველოს ეკლესია ქმნიდა ერთიან კულტურულ სივრცეს; საქართველოს ეკლესია აღულაბებდა ქვეყნის კუთხეებსა და სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს.

საქართველოს ქრისტიანული კულტურა და ქართული სამწიგნობრო ენა ურთიერთგანმსაზღვრელი მოვლენებია. **იმთავითვე ქართული ენა და მასზე დაფუძნებული ქართული ქრისტიანული კულტურა მოიცავდა სრულიად საქართველოს**, მის ყველა კუთხეს. ღვთისმსახურება, ყოველი საეკლესიო წესი მთასა თუ ბარში შავი ზღვიდან სომხეთამდე და ალბანეთამდე მხოლოდ ქართულენოვანი იყო. ყოველ კუთხეში ქართული ენა და ქართული კულტურა დომინირებდა. ძველი საქართველო ამით განსხვავდებოდა XX საუკუნის საქართველოსაგან.

ცხადია, საქართველოს ეკლესიის ძირითადი მრეველი დასავლეთ, სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ქართველები იყვნენ. ამასთან, როგორც აღნიშნული სიიდან ჩანს, ქართული ეკლესიის მრევლი იყო საქართველოში მცხოვრები სპარსელები, არაბები, ასირიელები, სომხები და სხვ. საქართველოს ეკლესია ქართული ენითა და კულტურით აერთიანებდა ასეთ მრავალფეროვან მრევლს.

ქართული სამწიგნობრო ენა - საქართველოს მოსახლეობის ინტეგრაციის საფუძველი - ძველი მამების ცნობით, თვით უფლის მიერ იყო დაცული. მაგალითად, ასურელ მამათა ცხოვრებაში აღწერილია ასეთი ამბავი: ეუწყათ, რომ საქართველოში უნდა ექადაგათ, მათ მაშინვე განაცხადეს რომ არ იცოდნენ ქართული ენა. საქართველოს სახელი ზოგიერთს არც კი გაეგონა, მაგრამ წამოსვლის წინ სულიწმინდის მიერ „წამისყოფით“ მიენიჭათ ქართული ენის ცოდნა, მსგავსად იმისა, როგორც წმიდა მოციქულებს სულთმოფენობისას ებოძათ სხვადასხვა ენების ფლობის უნარი.

მართლაც, ჩამოსვლისთანავე ასურელი მამები ქართული ენით ქადაგებდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მოაქციეს მრავალი ადამიანი.

ქართულ ენასა და კულტურას განსაკუთრებული რუდუნებით უვლიდნენ სხვადასხვა კუთხიდან გამოსული წმიდა მამები. მაგალითად, წარმოშობით კახეთიდან იყო წმიდა ილარიონ ქართველი, რომელიც საბერძნეთში ქართული ენით ადიდებდა უფალს, ამის გამო მას ერთი მონასტრის წინამძღვარმა აუკრძალა ღვთისმსახურება, მაგრამ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა ამ ბერძენ მამას და ქართულ ენას „ცხონების ენა“ უწოდა.

ასევე ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა საბერძნეთის ერთ-ერთ მონასტერში მომაკვდავ, წარმოშობით ტაოელ - ექვთიმე მთაწმინდელს და შეასწავლა ქართული ენა, ის იქამდე მხოლოდ ბერძნულად ლაპარაკობდა.

აფხაზეთში, სამეგრელოში, სვანეთში, კახეთში, მესხეთში, არგვეთში, თაკვერში, გურიაში, აჭარაში, თიანეთში და სხვა კუთხეებში მუდამ მხოლოდ და მხოლოდ დედაენით - ქართულით - ადიდებდნენ უფალს. არც ერთ კუთხეში არ არსებობდა რეგიონალური კუთხური კულტურები - სრულიად საქართველოში იყო მხოლოდ ერთი დედაენობრივი ქართული კულტურა, ერთი საეკლესიო ენა, რომელიც ყველა კუთხის ქართველის საერთო ენა იყო.

ქართული სამწიგნობრო ენა ქრისტიანობის პროდუქტი არ არის, ივანე ჯავახიშვილს გარკვეული აქვს, რომ ჯერ კიდევ წარმართობის დროს ყველა კუთხეში, მათ შორის სამეგრელოსა და სვანეთში ქართული ენა იყო წარმართული ღვთისმსახურების ენა. მაშასადამე, ე.წ. ქართიზაციის შედეგად ქართლის ერთი პროვინციიდან არ გავრცელბულა ქართული ენა საქართველოს სხვა კუთხეებში; გაქრისტიანებამდე დიდი ხნით ადრე - წარმართობის დროსაც „ყოველთა ქართველთა“ ღვთისმსახურების ენა ქართული იყო. არსებობდა საერთო ქართული წარმართული რელიგია გაქრისტიანებამდეც ქართულ საზოგადოებებს ერთიანი კულტურა და ენა აერთიანებდა.

წმიდა ნინოს ეპოქიდან ვიდრე კავკასიაში რუსების გამოჩენამდე, ე.ი. უძველესი ხანიდან XIX საუკუნემდე, როგორც ითქვა ქართული ენა და კულტურა აერთიანებდა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ხალხებს. ქართული ენა, როგორც წესი, იცოდა საქართველოს ყველა მცხოვრებმა, ქართული ენის საუკეთესო მცოდნენი იყვნენ თბილისელი და არათბილისელი სომხები, მთიელი ტომები, მუსულმანებიც კი. უფრო მეტიც, ქართული ენა ერთაშორისი ურთიერთობისათვის გამოიყენებოდა კავკასიელი ტომების მიერ. არაა შემთხვევითი, რომ ქართული ლაპიდარული (ქვაზე შესრულებული) თუ სხვა სახის წარწერები ბუნებრივია ჩრდილო კავკასიაშიც; კერძოდ, დაღესტანში, ჩეჩნეთ-ინგუშეთსა და ჩრდილო ოსეთში ბევრი ქართული წარწერაა აღმოჩენილი. არას ვიტყვით საქართველოს ისეთ რეგიონებზე, როგორიცაა აფხაზეთი თუ შიდა ქართლი, რომელნიც თვითონ წარმოადგენდნენ კერებს ქართული კულტურისა არა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერებისას, არამედ მისი დაშლა-დანაწევრების დროსაც კი. მაგალითად, თბილისში არაბთა ოთხასწლოვანი ბატონობისას, VIII-XI საუკუნეებში, აფხაზეთი და ტაო-კლარჯეთი წარმოადგენდა ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის კერებს, სავანეს ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრივი ძლიერებისა. ასევე შემდგომშიც, მაგალითად, XVII საუკუნეში, როცა აღმოსავლეთ

საქართველო სპარსეთმა დაიპყრო, **ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის კერის ფუნქცია თავის თავზე აიღო სამეგრელომ, ლევან II დადიანის დროს.** ასევე იყო საქართველოს სხვა კუთხეები. არასდროს არც ერთ კუთხეში არ წარმოქმნილა ადგილობრივი, ლოკალური ხასიათის კულტურა, ყოველი რეგიონის კულტურა იყო საერთო ქართული კულტურის ნაწილი.

ამგვარად, **მოციქულების ეპოქაში,** ასევე წმიდა მეფის მირიანისა და წმიდა ნინოს ხანაში, საქართველოს ანუ ქართლის სახელმწიფო მოიცავდა მთელ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიას, რომელზეც წარმართულ ეპოქაშივე, განვრცობილი იყო ერთიანი ქართული კულტურა. ლეონტის (მროველი ეპისკოპოსის) ცნობით, საქართველოში ქრისტეშობამდე 300 წლით ადრე „არა იზრახებოდა სხვა ენა თვინიერ ქართულისა“. მეფე მირიანი, „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობით, ერთიანი საქართველოს მეფე იყო (ეგრისწყლიდან ალბანეთამდე), წმიდა ნინო კი რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ცნობით „ყოველთა ქართველთა“ განმანათლებელი, ანუ დაარსებისთანავე წმიდა ნინოს ხანიდანვე საქართველოს ეკლესია მოიცავდა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს.

შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ:

ქართული ენა და კულტურა მოიცავდა სრულიად საქართველოს უძველესი ხანიდანვე. უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე ქართველი ერის შიდა კონსოლიდაციის წყარო იყო ქართული ენა და კულტურა; იგი ასევე წარმოადგენდა იმ ცივილიზებულ საფუძველს, რომელიც საქართველოში სხვა და სხვა დროს მოსულ ეთნიკურ ჯგუფებს საშუალებას აძლევდა, ინტეგრირებულიყვნენ ერთიან ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში.

ისტორიულად დადასტურებულ ამ ფაქტში ეჭვი არავის შეუტანია XX საუკუნემდე.

საქართველოს ისტორიის არაადეკვატური ხედვა ჩამოყალიბდა რუსების ბატონობის დროს; კერძოდ, ე.წ. „ქართიზაციის“ თეორიის თანახმად, თითქოსდა, დასავლეთ საქართველო 600 წლის მანძილზე კონსტანტინეპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა, შემდეგ IX-X საუკუნეებში ქართული ეკლესია შეიჭრა უცხო იურისდიქციაში და გააუქმა დასავლეთ საქართველოში ბერძნული საეპისკოპოსოები და მის ნაცვლად დააარსა ქართული, რასაც შემდეგ მოჰყვა ქართული ენისა და კულტურის განვრცობა დასავლეთ საქართველოში - ანუ მოხდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის „ქართიზაცია“. ასევე, თურმე, „ქართიზებული“ ტომები არიან მესხები, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები და ჰერ-ალბანელებიც კი. XIX საუკუნის რუსული იმპერიული პოლიტიკის ამ იდეოლოგიას („ქართიზაციის თეორიას“) ზოგი დღესაც აქტიურად იცავს, რამდენადაც დღესაც სურთ, საქართველოს ჩამოაშორონ თავისი ისტორიული მხარეები.

აქვე აღვნიშნავ, რომ **რუსეთის იმპერიის მიერ საბჭოთა ისტორიოგრაფია გამოიყენებოდა ვითარცა იდეოლოგიური იარაღი.** კერძოდ, თუკი ძველი ქართული ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, რომ ერთიანი საქართველოს სახელმწიფო ჩამოყალიბდა ქრისტეშობამდე ასწლეულებით ადრე მეფე ფარნავაზის დროს, საბჭოთა ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, რომ ეს ასე არ იყო და ერთიანი საქართველოს სახელმწიფო მხოლოდ XI საუკუნეში ჩამოყალიბდა ბაგრატ III-ის დროს. თუკი ძველი ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, რომ წმიდა ნინო და ანდრია პირველწოდებული იყვნენ სრულიად საქართველოს მოსახლეობის გამაქრისტიანებლები, ახალი

ქართული ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, რომ წმიდა ნინო მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს განმანათლებელი იყო, ანდრია პირველწოდებული კი - დასავლეთ საქართველოსი.

ძველი ქართული ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, რომ ქართული ენა და ქართული კულტურა სრულიად საქართველოს მოიცავდა. მეფე ფარნავაზის დროიდანვე „არა იზრახებოდა სხვა ენა თვინიერ ქართულისა“, საბჭოთა ისტორიოგრაფია კი ამტკიცებდა, რომ ქართული ენა დასავლეთ საქართველოში გავრცელდა მხოლოდ IX-X საუკუნეებში. თუკი ქართული ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, რომ ვახტანგ გორგასალი და მისი ყველა წინამორბედი მეფეები დასავლეთ საქართველოს მეფეებიც იყვნენ, საბჭოური ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, რომ ისინი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები იყვნენ. თვით ბაგრატ III-ის დროს სრულიად საქართველოს პირველ მეფედ მიიჩნეოდა ფარნავაზი. საბჭოთა ქართველოლოგიამ ძირი გამოუთხარა ქართველთა ერთიანობის თვალსაზრისს - ფარნავაზი ამჟამადაც კი მხოლოდ „ქართლის“ ე.ი. აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ მიიჩნევა.

თუკი ძველი ქართული ისტორიოგრაფია ამტკიცებდა რომ დასავლეთ საქართველო წმიდა ნინოს დროიდანვე ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იყო, საბჭოთა ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, რომ დასავლეთ საქართველო კონსტანტინეპოლის იურისდიქციაში იყო.

საბჭოთა წლებში ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რათა აფხაზეთი, სამეგრელო, სვანეთი როგორმე ჩამოეშორებინათ საქართველოს ისტორიისაგან. ამისათვის საჭირო შეიქმნა მძლავრი ისტორიოგრაფიული ბაზა სამტკიცებლად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოში არსებობდა კოლხური და შემდეგ ლაზური სახელმწიფოები თავისი საკუთარი ენითა და კულტურით, მაშინ როცა წყაროები მიუთითებს იმის შესახებ, რომ კოლხური ენა იყო არა ვიწრო კუთხური მოვლენა - არამედ ზოგადქართული მოვლენა; **ძველი კოლხეთის ენა ზოგადქართული ენაა, კოლხეთი კი ქართველთა უძველესი სახელმწიფო - ძველი ქართლია.** კერძოდ, გ. მელიქიშვილისა და სხვა გამოჩენილი ისტორიკოსებისა თუ ენათმეცნიერების მტკიცებით, კოლხური ენა არის ჯერ კიდევ დაუყოფელი ერთიანი ე.წ. ზანურ-ქართული (სხვა თვალსაზრისით - საერთოქართველური) ენა; ხოლო კოლხური კულტურა მოიცავდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან ერთად მთელ თანამედროვე საქართველოს. საერთოქართველური კოლხური სახელმწიფოებრიობის წიაღში ჩამოყალიბდა ისტორიული ქართლი - ფარნავაზის სახელმწიფო (მსჯელობისათვის ვრცლად იხ., სტატიის ბოლოს მითითებული ნაშრომები).

საქართველოს თანამედროვე ვითარება სავსებით განსხვავდება ძველ-ქართულისაგან. ამჟამად, რუსების ორასწლოვანი ბატონობის შედეგად, საქართველოშივე ერთაშორისი ურთიერთობის ენა არის არა ქართული, არამედ რუსული. იგივე ითქმის კულტურის მიმართაც; თუ ძველ საქართველოში ქართული კულტურა აერთიანებდა სხვადასხვა კუთხეებს, ამჟამად რუსული კულტურა აერთიანებს საქართველოში არსებულ სხვადასხვა ეთნოსების კულტურებს (იგულისხმება, რომ საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები, სომხები, თვით ქართველები, ოსები თუ აფხაზები ერთმანეთთან ძირითადად ურთიერთობენ რუსული ენით, ასევე რუსული კულტურული სივრცე მათთვის ნაცნობი, საერთო და გასაგებია). მაშასადამე, რუსულმა ენამ და კულტურამ არა მხოლოდ შეზღუდა საქართვე-

ლოში ქართული ენა და კულტურა, არამედ ჩანაცვლა მას - დაიჭირა მისი ადგილი.

გრძელდება ისტორიის გაყალბება:

მაგ., ახლახან, 2007 წელს, გამოცემული „პრავასლავანია ენციკლოპედია“-ს მე-13 ტომში ერთადერთ ეჭვიუტანელ ჰემმარიტებადაა გამოცხადებული მეორე თვალსაზრისი, რომ დასავლეთ საქართველო IX-X სს-ში ბერძნული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა, შესაბამისად, უარყოფილია ძველი ქართული საეკლესიო თვალსაზრისი. აღნიშნული ენციკლოპედიის მე-13 ტომში წმიდა ნინო მხოლოდ ქართლის, ამ ავტორის სიტყვით, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს განმანათლებლადაა წარმოდგენილი და მიწოდებულია მკითხველისადმი, თითქოსდა ის ერთადერთი თვალსაზრისი იყოს, მაშინ როცა ივანე ჯავახიშვილის სიტყვით: **„წმიდა ნინო ქართველებს იმთავითვე ერთიანი ქვეყნის, ერთიანი საქართველოს განმანათლებლად მიუჩნევიათ და არა მისი ერთი რომელიმე ნაწილისა“**. მართალია, „პრავასლავანია ენციკლოპედია“-ს მე-13 ტომის ავტორები მიუთითებენ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქციის წყაროთა სიმწირის შესახებ, მაგრამ ძალზე სამწუხაროა, რომ ღუბანი და ოდნავ მინიშნებასაც კი არ აკეთებენ იმის შესახებ, რომ ამ საკითხს თავისი განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რუის-ურბნისის კრებამ და მიიღო შესაბამისი განსაზღვრება. როგორც ჩანს რუის-ურბნისის კრების ძეგლის-წერა „პრავასლავანია ენციკლოპედია“-ს ავტორებს არ მიაჩნიათ წყაროდ დასავლეთ საქართველოს იურისდიქციის კვლევის საქმეში.

გლობალიზაციის თანამედროვე ეპოქაში ქართველმა ერმა უნდა განამტკიცოს თავისი სახელმწიფო, უნდა შეძლოს საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური წარმომობისა და კონფესიის მოსახლეობის ჩამოყალიბება სახელმწიფოს ერთგულ მოქალაქეებად; ამ მიმართულებით, უპირველესი მნიშვნელობა ისევ უნდა მიენიჭოს ქართულ კულტურას; კერძოდ, საქართველოში ყველასთვის მისაწვდომი და საჭირო უნდა გახდეს ქართული ენა, კულტურა, მუსიკა. ამავე დროს დაცული უნდა იყოს უმცირესობათა უფლებები. სახელმწიფომ ქვეყანაში უნდა გაატაროს შესაბამისი ენობრივ-კულტურული პოლიტიკა.

აღნიშნულის განსახორციელებლად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საინფორმაციო საშუალებების (ტელეხედვის, რადიომუწყებლობისა და ინტერნეტის) ქართულენოვნებას. ქართულმა ტელეარხებმა ყველა გადაცემა უნდა განახორციელონ სახელმწიფო ენით, ისევე როგორც ეს სხვა ქვეყნებშია. ქართული კულტურისათვის დამამცირებელია, რომ საქართველოს მხარეების უდიდესი ნაწილი ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, ჩრდილოეთის მთიანეთი, ქვეყნის სხვა ოლქები წარმოადგენს აზერბაიჯანულ, რუსულ, სომხურ და უცხოენოვან ტელე და რადიო სივრცეს (და არა ქართულს). თვით თბილისის რადიო და ტელეარხების 30-40% რუსულენოვანია.

საქართველო - მცირერიცხოვანი ქვეყანა, როგორც აღინიშნა, უფრო მეტად უნდა შეემზადოს გლობალიზაციის პროცესის შესახვედრად ცენტრალიზებული სახელმწიფოს გაძლიერებით. შესაბამისად, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მიზნით, ამჟამად, საქართველო არ უნდა დაიყოს კუთხური ნიშნით შექმნილ რეგიონალურ მხარეებად. **სამომავლოდ ამათ შეიძლება ქვეყნის მთლიანობას საფრთხე შეუქმნას**. შესაძლოა,

ამგვარმა დაყოფამ ხელი შეუწყო სეპარატისტული ტენდენციების ჩანერგვასა და განვითარებას რეგიონალური ხელისუფლების მხრიდან (მაგ. ისე, როგორც ეს მოხდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“).

ფედერალური მოწყობა შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს საქართველოსათვის. მით უმეტეს, სახიფათოა ამ ნიშნით ჯარის (თუნდაც სარეზერვოსი) ჩამოყალიბება; ასევე სამხარეო პროკურატურებისა, ძალოვანი სტრუქტურებისა და განათლების სისტემისა. ივანე ჯავახიშვილს გარკვეული აქვს, რომ საქართველოს ერთიანობას მუდამ ემუქრებოდა თემობრიობა, კუთხურობა, ერთიანი საქართველოს დაშლა-დანაწევრება XV-XVI საუკუნეებში ამ მიზეზით მოხდა — „**თემობრიობამ თავისი გაიტანა და სრულიად საქართველოს მეფე დამარცხდა**“ (ივ. ჯავახიშვილი, ტ. IV, ნაწ. I, გვ. 191).

ფეოდალიზმის დროისათვის დამახასიათებელი „ქართველი ერის წიაღში არსებული (ტომობრივ-გეოგრაფიული) თემობრივი თავისებურება“ არყევდა საქართველოს მთლიანობას შუა საუკუნეებში. ფეოდალური დანაწევრების ეტაპი უკვე განვლეს გლობალიზაციის მომლოდინე სხვა ქვეყნებმა (მაგალითად, თურქეთმა, აზერბაიჯანმა, რუმინეთმა და სხვა) და ჩამოყალიბდნენ ცენტრალიზებულ სახელმწიფოებად. ამჟამად, შუასაუკუნობრივი სამართლებრივი მოდელის მიხედვით საქართველოს რევიონებად დაქუცმაცება არის სახელმწიფოებრივი დაქუცმაცების პერსპექტივის რეანიმაცია. ეს ძლიერ შეუშლის ხელს ქართველი ერის კონსოლიდაციასა და საქართველოში მცხოვრები ეთნოჯგუფების ინტეგრაციას საქართველოს მოქალაქეებად, რაც ასე ძლიერ სურთ ჩვენს იმპერიულ მეზობლებს და აიძულებენ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურებს საქართველო ფედერაციულ სახელმწიფოდ ჩამოაყალიბონ.

საბოლოოდ, უნდა დავასკვნათ, რომ რუსების მიერ საქართველოს დაპყრობამდე, ანუ XIX საუკუნემდე, ქართული ენა და კულტურა წარმოადგენდა საქართველოს მოსახლეობის კონსოლიდაციისა და სახელმწიფოებრივი ინტეგრაციის საშუალებას; განსაკუთრებით მე-20 საუკუნეში ქართულს რუსული ჩაენაცვლა, მაგრამ, იმედია, რომ ჩვენი ქვეყნის საზოგადოება შეძლებს პრობლემების მოგვარებას და საქართველოში ისევ აღორძინდება ქართული ენობრივ-კულტურული სივრცე, ტრადიციულად დაცული იქნება სხვა ეთნიკურ-ენობრივ ჯგუფთა უფლებები და საქართველოს ყველა მოქალაქისათვის (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად), ქართული ენა გახდება საკუთარი ქვეყნის სახელმწიფო ენა.

დამოწმებული ლიტერატურა:

დიდი სკულის კანონი, თბ., 1975.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ენა და სახელმწიფო, თბ., 2008.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, დედალვთისმშობელი — შემწე ქართული ენისა, თბ., 2008.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, თეორია საქართველოს ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ და მისი კრიტიკა, თბ., 2007.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია, თბ., 2008.

რუსული იმპერიალისტური პროექტი და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია

მსოფლიო ისტორიამ ცალსახად აჩვენა, რომ თეოკრატიული ტიპის დიდი იმპერიისათვის დამახასიათებელია გლობალიზაციური პროექტის შედგენა: იმპერია სამყაროში გაბატონებას ესწრაფვის და ამ მიზნის მიღწევაში ეკლესიის გამოყენებას ცდილობს.

ასეთი სახის პირველი უნივერსალური იმპერია ბიზანტიაა. რუსი მეცნიერი ა. დვორკინი აღნიშნავს: „ბიზანტიაში იმპერიის გაგება იყო სახელმწიფო სხეულისა ორი თავით - მსოფლიო პატრიარქი და მსოფლიო იმპერატორი. ეს სხეული მოიცავდა მთელ მართლმადიდებელ მსოფლიოს, უფრო ზუსტად მსოფლიოს, რომელიც გახდებოდა მართლმადიდებლური“. თეოკრატიული იდეის მატარებელი ბიზანტია მართლმადიდებლური გლობალიზაციის პიონერი გახდა და მისი დედაქალაქი - კონსტანტინოპოლი იწოდებოდა „მარადიულ ქალაქად“, „აღმოსავლეთის რომად“, „თეოკრატიული იმპერიის ცენტრად“.

მოგვიანებით თეოკრატიული იდეით ახალგაზრდა მზარდი სახელმწიფოებიც დაინტერესდნენ; კერძოდ, XV საუკუნის შუა წლებში როდესაც პოლიტიკური რუკიდან გაქრა „მეორე რომი“, არ გამქრალა იმპერიული გლობალიზაციის იდეა: **მსოფლიოს იმპერიული ამბიციით მოველინა მოსკოვის სახელმწიფო „მესამე რომის“ დოქტრინით.**

რუსეთმა იმთავითვე აითვისა თეოკრატიზმის ყველა ნიშანი: 1. **ხილი-აზმი** - რუსეთის ისტორიული მისიის სახით, 2. **ესქატოლოგიზმი** - „მესამე რომის“ თეორიის შედგენით, ანუ „მეოთხე რომი“ არ იქნება, 3. **მესიანიზმი** - ღვთივრჩეული რუსი ერის თეორიით.

ამ დროიდან მესიანისტური იდეა რუსული ნაციონალური აზროვნების განუყოფელი ნაწილი გახდა. ნ. ბერდიაევი აღნიშნავდა: „ძველი დროიდან არსებობს აზრი, რომ რუსეთი დიდი საქმეების ქვეყანაა და სხვა ქვეყნებისგან განსხვავდება. რუსული ნაციონალიზმი რუსი ერის ღვთივრჩეულობის იდეით იკვებება და მომდინარეობს „მესამე რომის“ ძველი იდეიდან“. „მესამე რომის“ იდეამ რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ცვლილება მოითხოვა და მოსკოვმაც მიზნად დაისახა სამყაროს გადარჩენის ბიზანტიური მისია აეთვისებინა და მსოფლიო იმპერია გამხდარიყო, ხოლო მისი ეკლესია მსოფლიო სტატუსის მატარებელი.

ბიზანტიური გლობალიზაციით მოხიბლულმა რუსეთმა მას პროექტების შედგენით მიბაძა და პირველი პროექტი ბიზანტიის დაცემისა (1453 წ.) და „ოქროს ურდოს“ დაშლისთანავე (1480 წ.) შეადგინა. ამ დროიდან მოსკოვის სამთავრომ დაიწყო აღმოსავლური ქრისტიანობის ზესახელმწიფოდ ფორმირებისათვის სწრაფვა და ამ საქმეში ნაყოფიერად გამოიყენა ეკლესია.

რუსეთმა ერთდროულად რამდენიმე პროექტზე დაიწყო მუშაობა: მახ-

ლობელი აღმოსავლეთისათვის - წმინდა მიწა, ათონის მთა, აღმოსავლეთ ევროპისაკენ - რეჩ-პოსპოლიტას სახელმწიფოს შერწყმა, კავკასიისაკენ - მართლმადიდებელი საქართველოს რუსეთთან ასიმილაცია. წინამდებარე ნაშრომის კვლევის ობიექტია კავკასიის საეკლესიო გლობალიზაციის პროექტი, რომელშიც წამყვანი დატვირთვა გააჩნდა საქართველოს ეკლესიას.

რუსეთი გამოირჩეოდა დახვეწილი საეკლესიო პროექტებით, რომელთა შორის სირთულით ხასიათდებოდა კავკასიური პროექტი. ამ უკანასკნელმა განვითარების მძიმე ევოლუციური გზა განვლო და ეპოქის შესატყვისად ცვლილებებს განიცდიდა. კავკასიური პროექტი შესაძლოა რამდენიმე ეტაპად დაიყოს: XVI-XVII სს., XVIII ს., XIX-XX სს. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, შიდა ეტაპებად იყოფა: XIX ს-ის, XX ს-ის 10-იანი წლების, „ახალი“ ე.წ. „დემოკრატიული რუსეთის“, 20-იანი წლების ლენინტროცკის, 30-40-იანი წლების სტალინის, ე.წ. „გარდაქმნის“ ეპოქის და თანამედროვე პოსტ-საბჭოური გლობალიზაციის პროექტები. პროექტის თითოეული ეტაპი რუსეთის საგარეო პოლიტიკურ კურსს ეჯაჭვებოდა და კავკასიური პროექტიც რუსეთის სამყაროში გაბატონების დიდი პროექტის შემადგენელი ნაწილი იყო. ნიშანდობლივია, რომ პროექტში ხელისუფლებამ გადაწყვეტი ფუნქცია რუსულ ეკლესიას დააკისრა და ამ უკანასკნელმაც ერთმორწმუნე საქართველოს ეკლესიაზე აიღო ორიენტირი. ნაშრომის მიზანიც ამ პროცესების განზოგადება და მიღებული შედეგების ანალიზია.

XVI-XVII საუკუნეები მსოფლიოს ძლიერ სახელმწიფოებს შორის სამყაროს გადანაწილებისათვის ბრძოლების ეპოქაა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხელისუფალთა დაპირისპირება საქართველოზე გადიოდა და ე.წ. „გურჯისტანის საკითხს“ აქტუალურს ხდიდა. ამ ეპოქაში ოსმალეთის, ირანის, ევროპისა და რუსეთის ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა და სრულიად გამორიცხავდა მათ შორის დიპლომატიურ შეთანხმებებს. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პოლიტიკურ არჩევანს. მართლმადიდებლური მრწამსის გამო, ამ მხრივ, რუსეთს უპირატესობა ჰქონდა, რამაც განსაზღვრა მისი გლობალური პროექტის მეთოდოლოგია - საქართველოს ათვისება რუსული ეკლესიის დახმარებით. ასე დაედო საფუძვლად რუსულ დამპყრობლურ პოლიტიკას მართლმადიდებლობა და პროექტმაც საეკლესიო გლობალიზაციის ხასიათი შეიძინა.

ევროპულ კათოლიციზმსა და აღმოსავლურ ქრისტიანობას შორის მოქცეულმა საქართველოს ეკლესიამ არჩევანი რუსეთის სახელმწიფოზე გააკეთა. ეს უკანასკნელიც გულდასმით სწავლობდა საქართველოსთან დაახლოების გზებს და ისარგებლა რა მისი მძიმე გარემოებით, თავი ქართველთა სჭულის დამცველად გამოაცხადა. ამ გზაზე რუსეთი დაეჯახა ვატიკანის ინტერესებს და კათოლიციზმის პროპაგანდის დაგმობით დააჩქარა იმპერიალისტური პროექტის განხორციელებისათვის ბრძოლა. რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ მოლაპარაკებებში აქტიურ პრობლემად იდგა კათოლიციზმის საკითხი საქართველოში. რუსი დიპლომატები საყვედურობდნენ ქართველებს ვატიკანისადმი ლოიალურ პოლიტიკას და

მათ „წესის შემლაში“ ადანაშაულებდნენ. აღნიშნულის ნათელი დასტურია 1589 წელს რუსეთის პატრიარქის სიგელი ალავერდის მიტროპოლიტი-სადმი, სადაც აღნიშნული იყო რუსეთის მისია — დაეცვა საქართველო კათოლიციზმის აგრესიისაგან. XVII ს-ის 30-40-იანი წლების ელჩობის წევრი არსენ სუხანოვი რუსეთის მეფეს ატყობინებდა საქართველოში შექმნილ მდგომარეობას და საჭიროდ მიიჩნევდა „ივერიელთა სარწმუნოების გადასინჯვას“. აღნიშნულ მაგალითებს შედეგად მოჰყვა რუსეთის მოთხოვნა ქართული ეკლესიის რუსულ ყაიდაზე მოწყობისა, რასაც ქართველმა მეფე-მთავრებმა და სამღვდელოებამ მკაცრი პროტესტი გამოუცხადა. საქართველოს დასჯის მიზნით რუსეთმა არ შეაჩერა მისი დარბევა ოსმალ-ირანის მხრიდან. ასე წარუმატებლად დასრულდა რუსული პირველი საეკლესიო იმპერიალისტური პროექტის განხორციელების მეცადინეობა საქართველოში.

XVIII ს-ში რუსეთისათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანა გახდა კავკასიის დაპყრობა. რუსეთს უკვე სათანადოდ ჰქონდა ათვისებული მხარის პრობლემები და მაჰმადიანური აგრესიისაგან ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლებში დახმარება კავკასიელთა სატყუარად გამოიყენა. რუსეთმა ახალ პროექტს მტკიცე თეორიული საფუძველიც შეუმზადა - „კავკასიელთა გადაჩენის თეორია“. ამ თეორიას რამდენიმე ამოცანა გააჩნდა: პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური. რადგან ტრადიციულად რუსეთისათვის კავკასიის ათვისების გასაღები საქართველოში იყო, მან ერთმორწმუნე ქართულ ეკლესიას მიმართა და პროექტის განხორციელების საყრდენად გამოიყენა. საქართველოს ეკლესიას მისიონერული საქმიანობა დაეკისრა კავკასიის მთიელთა შორის. ქართველი სამღვდელოების მისიონერობამ განამტკიცა კავკასიელებში ეროვნული თვითშეგნება, გადაგვარებისაგან იხსნა მათი კულტურა, ტრადიციები და მათ შორის ქართული კულტურის გავლენა გააძლიერა. თვით რუსეთის ხელისუფლებაც კი მაღალ შეფასებას აძლევდა ქართველი სამღვდელოების მუშაობას კავკასიელ მთიელებში. გენერალი ტორმასოვი აღნიშნავდა: „ქრისტიანობა კავკასიელებში ქართველი მისიონერების დამსახურებით არსებობდა. კავკასიელები დავალებულნი არიან საქართველოს ეკლესიის წინაშე.“

XVIII საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო გარემოება არ იძლეოდა საშუალებას კავკასიაში რუსეთის რეალური ინტერესების გამომწეურებისათვის, მაგრამ ვითარება შეიცვალა მეორე ნახევარში, როდესაც რუსეთმა აღარ შენიღბა ეს ზრახვები და მისთვის საქართველოს მიღწევები კავკასიაში გამაღიზიანებელი გახდა. რუსეთისათვის ქართულმა ეკლესიამ ამოწურა თავისი მისია და ხელისუფლება შეუდგა საგანგებო ღონისძიებების გატარებას, რათა ქართველი სამღვდელოება ჩამოეშორებინა კავკასიისაგან. ამის შემდგომ, ხანგრძლივი დროით საქართველოს ეკლესია იძულების წესით ჩამოსცილდა ტრადიციულ მისიას.

XIX საუკუნე რუსეთის იმპერიის აღმავლობის ხანაა, რამაც გაზარდა მისი სამყაროზე გაბატონების ამბიციები. აქედან გამომდინარე, იმპერიალისტურმა მიზნებმა ფართომასშტაბიანი სახე მიიღო, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძინა პროექტში რელიგიურმა ფაქტორმა, რადგანაც კავკასიის კონფესიური სიჭრელე იმპერიის მიზნების განხორ-

ცივლებას აფერხებდა. რუსეთის სახელმწიფოებრივი იდეოლოგია რუსული მართლმადიდებლობა იყო და, ბუნებრივია, ის ვერ შეეგუებოდა განსხვავებული მრწამსის ეთნოსებს. რამეთუ ისინი ნაციონალიზმს განსაზღვრავდნენ, ხოლო იმპერიული ინტერესები ამ ეთნოსთა რუსეთში ასიმილაციას ითხოვდა. ასეთ შემთხვევაში, რუსეთის ხელისუფლებამ წინ წამოსწია მართლმადიდებლობა და ის სახელმწიფო მიზნებს დაუდო საფუძვლად.

ახალ პროექტში ისევ საქართველოს ეკლესიაზე გამახვილდა ყურადღება, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ყურადღება ცალსახად აგრესიული იყო, რადგან პირველ ეტაპზე მხოლოდ ქართული ეკლესიის ლიკვიდაციით უნდა მომხდარიყო რუსული საეკლესიო უჯრედის დადგინება კავკასიაში; პროექტის მეორე ეტაპზე კი უნდა დაწყებულიყო ამ უჯრედის მეშვეობით კავკასიელთა გარუსების პროცესი. აღნიშნულის გამო მთელი XIX საუკუნის მანძილზე რუსეთი მიზანმიმართულად ეწეოდა საქართველოს ეკლესიის განადგურების რეფორმაციას. ამ მიმართულებით მუშაობისას, რუსეთი სერიოზულ სირთულეებს წააწყდა; შეეჯახა უძველესი ქრისტიანული ტრადიციების მქონე ქართულ ეკლესიას, რომელიც ნაციონალური ინტერესების მედგარი დამცველი აღმოჩნდა. ქართველმა სამღვდელოებამ ქვეყნის გაერთიანების ინიციატორობა იტვირთა, ჩაება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში და ერის კულტურულ ცხოვრებას ჩაუდგა სათავეში.

რუსულ იმპერიალისტურ პროგრამაში რამდენიმე მიმართულება გამოიკვეთა: პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურულ-იდეოლოგიური და საეკლესიო. ყოველ მათგანს თავისი მოქმედების სფერო ებარა. მათი მეშვეობით უნდა მომხდარიყო რუსული მმართველობის დამყარება, თვითმპყრობელური იდეოლოგიის დამკვიდრება ქართული ეკლესიის გადაგვარების ხარჯზე, რომლის სამღვდელოებას ამბიონიდან უნდა გაეწია პროპაგანდა რუსული მონარქიზმისათვის.

ქართველმა სამღვდელოებამ საქართველოს საზოგადოებასთან ერთად ბრძოლა გამოუცხადა რუსულ პროექტს და ჩაერთო საერთო სახალხო მღელვარების ფერხულში. ეს ბრძოლა არ ითვალისწინებდა რუსეთისაკენ პოლიტიკური ორიენტაციის უარყოფას, რამეთუ სამღვდელოებამ კარგად უწყოდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი მნიშვნელობა. მათი მიზანი იყო ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ეკლესიის უფლებათა აღდგენა-აღიარება, რაც ბუნებრივად წინააღმდეგობრიობაში მოდიოდა რუსულ იმპერიალისტურ პროექტთან. მთელი XIX საუკუნის მანძილზე ამ წინააღმდეგობრიობამ რთული გზა განვლო და მიუხედავად არაერთგზისი მარცხისა, ეკლესიის ჰეგემონობით ქართული სასიცოცხლო ძალები ენერჯიას იკრებდა, ხელახალ აღორძინებას განიცდიდა და შეუპოვარ წინააღმდეგობას აგრძელებდა.

XX საუკუნის პირველი ათწლეული რუსული თვითმპყრობელური იმპერიალიზმის აგონიის პერიოდი და მიუხედავად შიდა და გარე პოლიტიკურ-სულიერი კრიზისისა, რუსეთი აგრძელებდა „მესამე რომობის“ უფლებებისათვის ბრძოლას. შექმნა ახალი პროექტიც. წინა პროექტებისაგან ეს უკანასკნელი იმით განსხვავდებოდა, რომ ის სრულად მიმართული იყო კავკასიაში მიღწეული პოლიტიკურ-საეკლესიო უფლებების შენარჩუნ-

ნებისაკენ. ამ საქმეში მას ისევ სამიზნედ საქართველოს ეკლესია ჰყავს; პროექტში გაჩნდა სხვადასხვა ვარიანტი საეგზარქოსოს რეფორმაციისათვის: საეკლესიო ადმინისტრაციული უფლების ხელყოფა, სამიტროპოლიტო საზღვრების რღვევა, ქართული ეპარქიების უწმინდეს სინოდზე დაქვემდებარება და სხვ. ქართველი სამღვდლოება იდეით, კალმით თუ პრაქტიკული ქმედებებით მედგარ წინააღმდეგობებს უწევდა პროექტის რეალიზებას და მოქმედებდა იმპერიაში მიმდინარე პროცესების შესატყვისად. ქართველმა სამღვდლოებამ იტვირთა პროექტის წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელობა და პირადი ღვაწლით ხელი შეუწყო ქართველებში რწმენისა და ეროვნულობის გაღვივებას, შეამზადა ერი სახელმწიფოებრივი და საეკლესიო თავისუფლებისადმი ორგანიზაციული მიდგომისათვის, რაც საბოლოოდ ეროვნულ ძალთა გამარჯვებით დასრულდა.

1918-1921 წლებში კავკასიაში და კონკრეტულად საქართველოში, განვითარებული მოვლენები ცხადყოფენ, რომ რუსეთის სახელმწიფო გადატრიალების (1917წ. II) შემდეგ, ქვეყანაში მოქმედი ძალები დროებითი მთავრობა (კონტრრევოლუციური და ბოლშევიკური) გლობალურ კავკასიას ისევ „ახალი რუსეთის“ საზღვრებში მოიაზრებდნენ. ისინი ამ მიზნის მიღწევას სხვადასხვა მეთოდით ცდილობდნენ: ბოლშევიკები პროვოკაციით, ანუ კავკასიის რუსი მოსახლეობის ამხედრებით; დროებითი მთავრობა - ცარიზმისდროინდელი ინსტიტუტების რეფორმაციით; თეთრგვარდიელები - სამხედრო ოპერაციებით. რუსეთში ხელახლა დაიწყო ახალი პროექტის მომზადება, რომელსაც უნდა დაეკმაყოფილებინა უკვე „ახალი რუსეთის“ მოთხოვნები და, რომლებიც ცარიზმისდროინდელი მოთხოვნებისაგან არაფრით განსხვავდებოდა, სხვაობა მხოლოდ მოქმედების მეთოდ-ხერხებში იყო. ახალი პროექტი ითვალისწინებდა ახალი საეკლესიო უჯრედის — კავკასიის საეგზარქოსოს დაარსებას, რომელიც რელიგიური ასიმილაციით შეამზადებდა კავკასიელებს რუსული მართლმადიდებლობის ნიშნით იმპერიაში შერწყმისათვის. ამრიგად, „ახალ რუსეთში“ კვლავინდებურად შედგა ეკლესია-სახელმწიფოს კავშირი იმპერიალისტური მიზნით. ეკლესია იბრძოდა პოლიტიკური ბატონობისათვის კავკასიაში, ხოლო სახელმწიფო — საეკლესიო ძალაუფლების შენარჩუნებისათვის. პირველი იქნებოდა რუსული ეკლესიის ბატონობის გარანტი, ხოლო მეორე ახალი იმპერიის იდეოლოგიის დამწერგავი, მისი პოლიტიკური ინტერესების დამცველი კავკასიაში.

საქართველოს საზოგადოებამ იმთავითვე აუღო ალღო ე.წ. დემოკრატიული რუსეთის გამოწვევას და მას ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის გამოცხადებით უპასუხა (1917 წ. 12.III). ამით ქართველმა სამღვდლოებამ ახალი ბრძოლა გამოუცხადა საეკლესიო პროექტს და ის ქართული ეკლესიის სრული გამარჯვებით დასრულდა: გაუქმდა კავკასიის საეგზარქოსო (1920 წ.). ასე წარუმატებელი აღმოჩნდა ახალი პროექტის დანერგვის მცდელობა; მასთან ერთად არსებობა შეწყვიტა რუსეთის ბურჟუაზიულმა ხელისუფლებამ.

რუსეთის სახელმწიფოს სათავეში მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ სოციალიზმის მშენებლობა რელიგიის საკითხით დაიწყო. ეს მთავრობა ფაქტობრივად, წინა ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკის გამგრძელებ-

ბელი აღმოჩნდა განსხვავებული მეთოდ-ხერხების გამოყენებით.

საბჭოეთის გლობალიზაციურ პოლიტიკაში იმთავითვე გამოიკვეთა ორი მიმართულება და შესატყვისად ორი პროექტიც შემუშავდა: ლენინ-ტროცკის და სტალინის საეკლესიო პროექტები. ლენინ-ტროცკის პროექტით ევროპული ათეისტური აზროვნება სახელმწიფო იდეოლოგიის დონეზე დადგა და რელიგია ცარიზმის გადმონაშთად გამოცხადდა. პროექტის თანახმად, საბჭოური სისტემისათვის მიუღებელი იყო ზოგადად რელიგია და განსაკუთრებით მართლმადიდებლობა მისი მაღალი ავტორიტეტის გამო მასებში. ეკლესიის ადგილის დაკავება პროექტის ავტორებისათვის შესანიშნავი საშუალება იყო მოსახლეობის მიზიდვისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის. პროექტი 20-იანი წლების დასაწყისშივე სახელმწიფოს სტრატეგიულ გეგმად გამოცხადდა და ამოქმედება ეკლესიის დისკრედიტაციით დაიწყო. სულ მალე გამოვლინდა პროექტის იდეის წინააღმდეგობრიობა საბჭოურ მიზნებთან, როდესაც მასიური ხასიათი შეიძინა ეკლესია-მონასტრების დარბევა-დაბეგვრამ, გაუქმებამ, ქონების ხელყოფამ, სამღვდელოების რეპრესიებმა და საზოგადოებაც ხელისუფლებისადმი უნდობლობით განაწყო.

აღნიშნულის გამო, 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან საეკლესიო პოლიტიკაში დაიწყო კორექტივების შეტანის პროცესი, რომელიც უკავშირდება სტალინის საეკლესიო პოლიტიკის დასაწყისს. ეს ეტაპი განსაკუთრებული წინდახედულობით, სიფრთხილითა და კომპრომისებით გამოირჩევა. სტალინის ახალი პროექტი რადიკალურ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა წინამორბედ პროექტთან. ახალი პროექტის მიზანი სულაც არ იყო ათეისტური იდეოლოგიის უარყოფა, არამედ, პირიქით, მისი გაძლიერება ახალი საეკლესიო კურსის მეშვეობით. ხელისუფლებისათვის სულ ერთი არ იყო ეკლესიის პოლიტიკური პოზიცია და ამიტომ მიიღო გადაწყვეტილება მის ჩართვაზე საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობაში. სტალინმა გაიაზრა ეკლესიის ისტორიული ფუნქცია და დაიწყო მისი გამოყენება საბჭოთა სისტემის დამკვიდრების საქმეში.

სტალინის პროექტი ითვალისწინებდა ტრადიციული ეკლესიის დაშლას და მის ადგილზე ახალი ეკლესიის ფორმირებას, რომელიც საბჭოური იდეოლოგიის გამტარებელი იქნებოდა მასებში. პროექტს საზოგადოება უნდა დაერწმუნებინა იმაში, რომ ისტორიული ეკლესია ვერ პასუხობდა თანამედროვე მოთხოვნებს და ითხოვდა გადაუდებელ რეფორმაციას. ხელისუფლებამ შექმნა რეფორმაციის მხარდამჭერ სამღვდელოთა ჯგუფი და ტრადიციული ეკლესიის სამღვდელოებას დაუპირისპირა. ასე დაიწყო ე.წ. „განახლების მოძრაობა“, რომელმაც საფუძველი დაუდო ეკლესიაში დიდ სქიზმას. მთავრობამ აღიარა „განახლების მოძრაობა“ და ამით საბჭოთა იმპერიაში შექმნა ახალი ეკლესია, რომელიც საეკლესიო ისტორიაში „ცოცხალი ეკლესიის“ სახელით შევიდა. ამ უკანასკნელმა იტვირთა სოციალიზმის იდეოლოგიის ფუნქცია საბჭოთა სახელმწიფოში. XX ს-ის 30-იანი წლების მიწურულს ხელისუფლებამ დაასრულა ეკლესიის მოდერნიზაცია, „განახლების მოძრაობამაც“ ამოწურა თავისი მისია და განხორციელდა საეკლესიო კონტრეგოლუციური ფრთის ლიკვიდაცია. ასე შეიქმნა იმპერიისთვის მისაღები ე.წ. „წითელი ეკლესია“.

საბჭოთა პოლიტიკა ორი მიმართულებით წარიმართა და შესატყვისად ორი პროექტიც შემუშავდა: საგარეო და შიდაიშპერიული პროექტები. საგარეო პროექტი ვრცელდებოდა ამერიკაზე, აღმოსავლეთ ევროპასა და მახლობელ აღმოსავლეთზე, შიდა იშპერიული კი — საბჭოეთის მართლმადიდებელ ეთნოსებზე. ორივე პროექტმა სრულ აპოგეას მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მიაღწია. საგარეო პროექტის ძალით განხორციელდა მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა „დიდი დაახლოება“; რუსეთის ეკლესიის სტრუქტურულ ორბიტაში მოექცნენ: ბულგარეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ეკლესიები, ანუ პოლიტიკური „სოციალისტური ბლოკი“ გამყარდა „საეკლესიო ბლოკის“ შექმნით; რაც შეეხება შიდა იშპერიულ პროექტს, აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ისევ საქართველოს ეკლესიას მიენიჭა. კავკასიის ერთადერთ მართლმადიდებლურ ეკლესიას დაევალა სრულიად კავკასიის მართლმადიდებელთა გაერთიანება რუსული მართლმადიდებლობის ნიშნით. საამისოდ კი თავად ქართული ეკლესიის მოდერნიზაცია უნდა განხორციელებულიყო.

ქართული ეკლესიის მოდერნიზაცია რთულად მიმდინარეობდა. საეკლესიო განახლების მხარდაჭერთ საქართველოში „ქუთათურებს“ სახელით მოიხსენიებდნენ, ქუთაისში მოწყობილი საეკლესიო კრების გამო, ხოლო რუსეთში „ახალი ქართული ეკლესიის“ სახელით იცნობდნენ. „განახლების მოძრაობა“ საქართველოში სამღვდელთა ორი ჯგუფის სახით არსებობდა: რუსი განმაახლებლები რუსეთის სინოდის იურისდიქციაში და ქართველი განმაახლებლები, რომლებიც ეროვნული ეკლესიის გადაარჩენას მთავრობის ინტერესთა გათვალისწინებაში ხედავდნენ. ორივე დაჯგუფებას ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერესები ამოძრავებდათ: პირველს - ქართული ეკლესიის „ცოცხალ ეკლესიაზე“ მორჩილება, მეორეს - ქართული ეკლესიის ისტორიული იერსახის აღდგენა. აქედან გამომდინარე, „პროგრესისტი“ ქართველების გამოყენება რუსული ინტერესებისათვის ფაქტობრივად გამორიცხული იყო; ამიტომ იყო, რომ განახლების იდეამ ნაყოფიერი ნიადაგი მხოლოდ არაქართველ მრევლში ჰპოვა.

ამრიგად, თუ საბჭოთა ხელისუფლებამ რუსულ ეკლესიაზე გაიმარჯვა, ნაციონალურ ეკლესიებთან მარცხი განიცადა მას შემდეგ, რაც ქართული ეკლესიის მოდერნიზაციის მცდელობა კრახით დასრულდა.

საქართველოს ეკლესიამ და მისმა სამღვდელოებამ დროულად აუღო ალღო საბჭოეთის საეკლესიო კურსს და აბსოლუტურად უარყო ეკლესიაში განახლების იდეა. ქართველი სამღვდელოება მიხვდა, რომ „ახალი ეკლესიის“ დახმარებით უნდა მომხდარიყო ახალი საზოგადოების ფორმირება. წარუმატებელი ექსპერიმენტის გამო, ხელისუფლება საქართველოს ეკლესიას ჩამორჩინილ, კარჩაკეტილ, „მკვდარ ეკლესიად“ იხსენიებდა. შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ ქართულ ეკლესიას მსოფლიო საეკლესიო კანონების დაცვით შესწევდა უნარი წინააღმდეგობა გაეწია საბჭოთა ხელისუფლების პროვოკაციებისათვის.

XX საუკუნის 80-90-იან წლებში საბჭოთა იშპერიაში განვითარებულმა მძიმე კრიზისმა სახელმწიფო მმართველობის სისტემის შეცვლის საკითხი დააყენა და რუსეთმაც დემოკრატიული განვითარების გზა აირჩია. მიუხედავად ამისა, რუსეთის პოლიტიკაში კვლავინდებურად მნიშვნელოვანია

საერო და სასულიერო ხელისუფალთა ჰარმონიული თანამშრომლობა. დემოკრატიული რუსეთის სამსახურში ყოფნის სანაცვლოდ ეკლესიამ მოითხოვა დანგრეული საბჭოთა იდეოლოგიის ადგილის დაკავება მართლმადიდებლობის მიერ და საამისო თეზისიც ჩამოაყალიბა რუსი ერის განსაკუთრებულ მსოფლიო ისტორიულ მისიაზე სამყაროში მართლმადიდებლობის განხორციელებისათვის.

90-იან წლებში რუსული თეოკრატიის მომხრე სამღვდლოებამ შექმნა ორგანიზაცია - „საყოველთაო რუსული საეკლესიო კრება“, რომლის მიზანია თეოკრატიული იდეის პროპაგანდა და მართლმადიდებლური გლობალიზაციის პროექტის შედგენა. ამ პროექტს თანამედროვე სამეცნიერო წრეებში „ნეოიმპერიულ-მართლმადიდებლურს“ უწოდებენ. პროექტში იკვეთება სამი ძირითადი დებულება: მართლმადიდებლური მესიანიზმი, პიროვნების თავისუფლების უარყოფა და „ცივილიზაციის დიალოგში“ რუსეთის არბიტრის როლზე ამბიცია. პროექტი ითვალისწინებს სამყაროს დაყოფას ტერიტორიულ-რელიგიური პრინციპით.

პოსტსაბჭოურ ეპოქაში საქართველოსადმი რუსეთის ეკლესიის ძველი კურსი არ შეცვლილა; რუსეთი კვლავინდებურად უქმნის საფრთხეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ამ საქმეში შეინიშნება რუსეთის ეკლესიის პასიურობა.

თანამედროვე ქართული საზოგადოებრივი აზრი რუსულ ეკლესიაზე დიდწილად უარყოფითია. ქართველობა გრძნობს მასთან სარწმუნოებრივ ერთობას, ახსოვს საერთო ისტორიული გამოცდილება, პატივს მიაგებს რუს წმინდანებს და იქ აღსრულებულ ღვთიურ სასწაულებს, მაგრამ ამავდროულად, ახსოვს რუსული ეკლესიის საქართველოსადმი აგრესიული დამოკიდებულების კურსი და ბუნებრივად მასთან ფრთხილ დამოკიდებულებაშია. ამ უკანასკნელს ამძაფრებს ბოლო ოცწლეულში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განვითარებული მოვლენები, რამაც ქართველი საზოგადოება დაარწმუნა მის პოლიტიზებულობაში.

საქართველოს კონფლიქტური რეგიონების ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზისათვის

საქართველოსა და კავკასიის წარმოდგენა ეთნიკური და ენობრივი თვალსაზრისით მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან რეგიონად უკვე შეიცავს თავისებურ გაფრთხილებას, რომ ამ მრავალრიცხოვანი თავისებურებების დარეგულირება რთული საქმეა და მრავალი „არბიტრის“ ჩარევას საჭიროებს შინაგანი წონასწორობის მოპოვების, რეგულირებისა და დაცვის საქმეში.

იმთავითვე უნდა ითქვას, რომ ამ მრავალფეროვნებაზე საუბრისას ქათინაურის მიღმა ისეთი ფარული საყვედურიც ისმის, როგორცაა კავკასიის მოსახლეობის ძნელად ინტეგრირებადობა და ამ სივრცეში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული იზოლაციონიზმისაკენ მისწრაფება. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი იმიჯი კავკასიისათვის თავსმოხვეული და არაბუნებრივია, ხოლო საქართველოსთვის, რომელიც ხშირად ამგვარი ტენდენციების კერად ცხადდება, უსამართლოცაა.

სწორედ ამ რეგიონმა და კერძოდ, საქართველომ, ისტორიულ წარსულში საზოგადოებრივი ინტეგრაციულობის შესანიშნავი მაგალითები მოგვცა, სწორედ მის წარსულში იძებნება მსოფლიოსათვის ის იდეალი, რომელიც ტოლერანტობის, სხვათა უფლებების დაცვისა და შინაგანი ერთიანობის ატმოსფეროს აღწევდა იმათთან ურთიერთობაშიც, ვინც აქაურობას თავშესაფრის ძიებისას აკითხავდა და ისე ცხოვრობდა ამ ქვეყანაში ხანგრძლივად, რომ არავინ აიძულებდა ასიმილირებულებო, წარმომობის ქვეყანა დაევიწყებინა და რჯული ან დედაენა დაეთმო. მხოლოდ XIX საუკუნეში შეიქმნა ის პრეცედენტი, რომ კავკასიის ხალხები მათი კუთხური და დიალექტური ნაირსახეობების მიხედვით დამოუკიდებელ ერებად აღიწერა და თვით საკუთარი თანამომისაგანაც კი გამოირჩა.¹ საქართველოს მოსახლეობასაც ასე მოეკიდა იმპერიული მმართველობა და ადმინისტრაციული ერთეულების შიგნით დემოგრაფიული კორექტივების შეტანა დაიწყო. ამოქმედდა მოსახლეობის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის, მასობრივი გადასახლებებისა და გასახლება-ჩასახლებების მექანიზმი და საქართველოს ტერიტორიაზე თანდათანობით ხელოვნურად შეიქმნა არაქართულენოვანი

1 * მაგალითისათვის თუნდაც ერთი ტიპობრივი სტატიის ანოტაციას მოვიხმობთ: Journal of Refugee Studies 1995 8(1):48-74; doi:10.1093/jrs/8.1.48 © 1995 by Oxford University Press B. G. HEWITT, Demographic Manipulation in the Caucasus (with Special Reference to Georgia); SOAS, University of London; The Caucasus contains Europe's richest patchwork of peoples, languages and cultures. As the Soviet Union collapsed, a number of ethno-territorial problems needed to be handled with extreme sensitivity if open conflict was to be averted. The gross insensitivity on the part of nationalists in Georgia that led to the bloody wars in South Ossetia and, primarily, Abkhazia are examined and placed in the historical context that has seen mainly North Caucasian minorities subjected to frequent demographic manipulation in the region's imperial powers, Russia and Georgia, who have regularly acted in concert over the last 200 years. Parallels between Shevardnadze's war in Abkhazia and Yeltsin's assault on Chechnia are drawn, and the case of such minorities in Georgia as the Mingrelians, the Armenians and the Meskh(et)ians is touched upon. The West's blind adherence to the principle of 'territorial integrity' is criticized for abandoning minorities to the whim of the local bully.

მოსახლეობის კერები. ამ მოსახლეობის საინტეგრაციო ენად კი, „შეთავაზებულ“ იქნა რუსული. რუსეთის ცარისტული იმპერიის, მოგვიანებით კი კომუნისტური სახელმწიფოს, კოლონურ სივრცეში მოქცეული საქართველო (ზოგჯერ საგუბერნიო, ზოგჯერ კი ფორმალურად სარესპუბლიკო სტატუსით) საკუთარი ენობრივი პოლიტიკის გატარებას მხოლოდ საზოგადოებრივი აქტიურობითა და შეზღუდული მმართველობითი მანიპულაციებით ცდილობდა, თუმცა ის ვერასოდეს ახერხებდა (ხსენებული ორი საუკუნის მანძილზე) ისეთი მოთხოვნის ხმამაღლა, ოფიციალურად გაყდერებას, როგორცაა ქართული ენის სავალდებულო ცოდნა საქართველოში მცხოვრები ყველა პირისათვის, რომელიც საზოგადოებრივად აქტიურ ცხოვრებას ეწევა (ლაპარაკია დაახლოებით ისეთ მოთხოვნაზე, რომელიც აქვს ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს — ენის ცოდნის დონეების მიხედვით საზოგადოებრივად აქტიური საქმიანობის თვალსაზრისით). ამ მოთხოვნას საქართველო დღესაც ვერ უყენებს ვერავის იმის შიშით, რომ რუსული საპროპაგანდო მანქანის გავლენით ნაციონალიზმი არ დაბრალდეს.

თანამედროვეობას ერთი უცნაური სენი დასჩემდა: როდესაც საბჭოთა კავშირსა და კომუნისტურ რეჟიმებზე საუბრობენ, უარყოფითად ფასდება ის იდეოლოგიური და სამხედრო ღონისძიებები, რომელსაც საბჭოეთი ახორციელებდა აღმოსავლეთ ევროპისა თუ საერთოდ დასავლეთის მიმართ, მაგრამ ე.წ. საბჭოთა რესპუბლიკების შიგნით მაშინ გავლებული ოფიციალური საზღვრებისა და ე.წ. ავტონომიური სტრუქტურების კანონიერებაში ეჭვის შეტანასაც კი ტაბუ აქვს დადებული.

საბჭოთა კავშირს კი სახელმწიფოთა საზღვრებისა და შიდა საზღვრების მოხაზვის თვალსაზრისით მრავალი დანაშაულებრივი ღონისძიება აქვს გატარებული. დანაშაულებრივი იყო ენობრივი პოლიტიკაც, რომელიც მოსახლეობის რუსიფიკაციის ჩანაფიქრს ეტაპობრივად ახორციელებდა და ყოველ რესპუბლიკაში ეთნიკური დიასპორების კერების შექმნითა და ავტონომიათა გამოყოფის სპეციფიკური ლოგიკით რუსულ ენას რესპუბლიკური საკონსტიტუციო ენის მეტოქედ ნერგავდა, მით უფრო, რომ ძალა მის ხელში იყო.

რუსული ენის შესწავლა საქართველოში მასობრივ ხასიათს იღებს XX საუკუნიდან, გასაბჭოების (1921 წლიდან) შემდგომ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი იწყებს „კულტურულ რევოლუციას“ და საყოველთაო განათლების პროგრამის განხორციელებას. სწორედ ამ პროგრამით რუსული ენა ყველა სკოლის სავალდებულო საგანი ხდება და ე.წ. რუსულ სკოლებთან ერთად მოსახლეობაში რუსული ენის ცოდნას უზრუნველყოფს.

სტატისტიკური მონაცემები (საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, სტატისტიკური კრებული, მოსახლეობის 1989 წლის საკავშირო აღწერის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი, თბილისი, 1991) ნათლად აჩვენებს, რომ საქართველოს არაქართული მოსახლეობის იმ ნაწილის ენობრივ არჩევანში, რომელმაც ასიმილაცია განიცადა და ეთნიკური ენის ნაცვლად სხვა ენა აღიარა მშობლიურად, 1989 წლის მონაცემებით ქართული ენა რუსულთან შედარებით მეორე ადგილზე

იდგა (ერთადერთ გამოწვევას წარმოადგენდნენ ქართველი ებრაელები, რომელთაგანაც (14314 კაციდან) მშობლიურ ენად რუსული მხოლოდ 657-მა დაასახელა).

საქართველოში 1989 წელს იყო 341172 რუსი, რომელთაგანაც რუსულს მშობლიურ ენად თვლიდა 336718, ქართულს მშობლიურად მიიჩნევდა 4000 რუსი, სსრკ-ს ხალხთა სხვა ენებს — 454 რუსი.

რუსებიდან **მეორე ენად** თავისუფლად ფლობდა: თავის ენას — 2436, ქართულს — 76898, სხვა ენებს — 9166

არ ფლობდა სსრკ-ს ხალხთა მეორე ენას საქართველოში მცხოვრები რუსებიდან — 252 672.

თავის **მშობლიურ ენად რუსულს** ასახელებდა: 2212 აფხაზი (ქართულს კი — 1233 აფხაზი), 4246 ოსი (ქართულს — 33694 ოსი), 23069 უკრაინელი (ქართულს — 1259 უკრაინელი), რუსულს 3716 ბელორუსი (ქართულს — 176). 3972 აზერბაიჯანელი (ქართულს — 2899), 40312 სომეხი (ქართულს — 24947), 1464 - თათარი (ქართულს — 169). 5926 ებრაელი (ქართულს — 3065), გარდა ქართველი ებრაელებისა, რომელთაგან (14314-დან) მხოლოდ 657-მა დაასახელა რუსული მშობლიურ ენად), 1261 ასირიელი (ქართულს — 1520), 35084 ბერძენი (ქართულს — 4987) სხვა ენას — 3023), ქურთი რუსულს — 4105, და ქართულს — 3834.

1989 წლის მონაცემებით მეორე ენად თავისუფლად ფლობდა:

ეროვნება	მუდმივი მოსახლეობა	რუსულს	ქართულს	არ ფლობდა მეორე ენას
ქართველი	3787393	1203788	-	2565532
აფხაზი	95853	77193	2283	15921
ოსი	164055	60004	53518	42769
რუსი	341172	-	76898	252672
უკრაინელი	52443	21805	7377	18581
ბელორუსი	8595	3217	949	3672
აზერბაიჯანელი	307556	105083	28598	171511
სომეხი	437211	187666	88699	145467
თათარი	4099	2037	574	1228
ებრაელი	10481	2517	2905	4542
ქართველი ებრაელი	14314	7086	-	6683
ასირიელი	6206	1934	2234	1915
ბერძენი	100324	44822	15456	29763
ქურთი	33331	8720	14592	9279

ეს სტატისტიკა ცხადად მიუთითებს, რომ ქართველების მისამართით წაყენებული ბრალდება საქართველოში მცხოვრები არაქართველები-სათვის ქართული ენის თავს მოხვევის თაობაზე, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული.

სამაგიეროდ რუსული სკოლა ის ინსტიტუტი იყო, რომელიც ზრდიდა რესპუბლიკის მოქალაქეს, არამედ რუსეთის მოქალაქეს, რუსეთში შექმნილი, ველიკორუსული იდეალების შემცველი, რუსული ისტორიისა და გეოგრაფიის, რუსული ლიტერატურის სახელმძღვანელოებით (დიახაც საინტერესო, მაგრამ არა თავისი ქვეყნისა). ევროპელები უკეთ გაგვიგებენ, თუ მათ ასეთ ანალოგიას შევთავაზებთ: წარმოიდგინეთ, დასავლეთი ევროპის ამა თუ იმ ქვეყანაში სხვადასხვა დროს შემოსული მოსახლეობისათვის (უკვე არც თუ ისე ხანმოკლეა ამგვარ შემოსულთა საცხოვრებელი სტაჟი) უცხო ქვეყნის სკოლების ამუშავება, ადგილობრივი ენის სრული იგნორირებით, როდესაც სახელმძღვანელოებს ეს უცხო ქვეყანა აკონტროლებს, სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და გაკონტროლების ჩათვლით.

ცხადია, ასეთ ვითარებაში საქართველოს მხარე, მით უფრო კომუნისტური რეჟიმით შებოჭილი, ვერ მოახერხებდა საქართველოში მცხოვრები არაქართულენოვანი მოსახლეობის სახელმწიფო ცნობიერებისა და თვითშეგნების ჩამოყალიბებაზე ზრუნვას. ეს იყო კიდევ მიზეზი, რომ საქართველოს რესპუბლიკაში იზრდებოდა თაობები, რომელთაც რესპუბლიკის მთლიანობისა და სიძლიერისაკენ, ერთი შეხედვით, სრულიად ბუნებრივი მისწრაფების ნაცვლად, ამ რესპუბლიკის დაშლა სურდათ.

დღესაც, გლობალიზაციის პრობლემათა შორის ერთ-ერთი უმწვევავისი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში სწორედ მათი ენობრივი სიტუაციების მოწესრიგების (თუკი ამგვარი მიზანი არსებობდა²) საკითხი აღმოჩნდა.

ნაციონალური ავტონომიის ტერიტორია, მოსახლეობა და ცალკეული ტერიტორიული ჯგუფის სიმჭიდროვე ამჟამად მიუთითებს, რომ ავტონომიათა სიმრავლე პროცენტულად სწორედ კავკასიაშია თვალშისაცემი, სადაც მოსახლეობაც, ტერიტორიაც და მოსახლეობის სიმჭიდროვეც ამჟამად ჩამორჩება იმ რეგიონებისას, სადაც უზარმაზარ სივრცეებზე, და სხვადასხვა ერისა და ეროვნების კუთვნილ ისტორიულ ტერიტორიებზე მხოლოდ ერთი - ორი ავტონომიაა (მით უფრო, ავტონომიური ოლქი) შექმნილი. ჩრდილო ევროპული ნაწილი (ტერიტორია 574.811, მოსახლეობა 471.891, სიმჭიდროვე 0,8) — ნაც. ავტონომიები: კომის (ზირიანის) ავტონომიური ოლქი, კარელიის ასსრ. საქართველო კი ამ მხრივ განსაკუთრებულ მდგომარეობაშია 2 ავტონომიური რესპუბლიკითა და 1 ავტონომიური ოლქით. თვალსაჩინოებისათვის უფრო ვრცელ სტატისტიკურ სურათსაც წარმოვადგენთ:

1. ციმბირის ჩრდილოეთი — (ტერ., 4.023.407; მოსახლ., 278.809; სიმჭიდროვე - 0,06) იაკუტიის ასსრ

² ავტონომიური რესპუბლიკები და ავტონომიური ოლქები შეადგენდნენ მთელი სსრკ-ს ტერიტორიის 42,2%-ს, რომლის მოსახლეობაც 1926 წლის აღწერით იყო 21.820.812 კაცი (ანუ 14,8% სსრკ-ს მთელი მოსახლეობისა).

2. ვოლგა—ურალი (ტერ.,382.962; 8.171.850; სიმჭიდროვე - 21,3): მარიის, ვოტსკის, ყალმუხეთის ავტონომიური ოლქები და ჩუვაშეთის, თათრეთის, ბაშკირეთის, ვოლგისპირეთის გერმანელთა ასსრ.
3. რუსეთის სამხრეთი ევროპული ნაწილი (ტერ., 34.063; მოსახლ., 1.287.333; სიმჭიდრ., 37,3) ყირიმის, მოლდოვას ასსრ.
4. ციმბირის სამხრეთი (ტერ., 505.200; მოსახლ., 622.093; სიმჭიდრ., 1,2): ბურიატ-მონღოლეთის ასსრ და ოირატის ავტ.ოლქი.
5. ჩრდ.კავკასია (ტერ., 97.900; მოსახლ., 1.745.621; სიმჭიდრ., 17,8): დაღესტნის ასსრ და ადიღეს, ინგუშეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაეთის, ჩრდ.ოსეთის, ჩეჩნეთის, ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქები.
6. ამიერკავკასია (ტერ., 23.050; მოსახლ., 643.829; სიმჭიდრ., 26,8): აჭარის ასსრ, ნახჭევანის ასსრ, აფხაზეთის ასსრ და მთიანი ყარაბაღისა და სამხრეთ ოსეთის ავტ.ოლქები.

ყაზახეთი და შუა აზია (ტერ., 3.378.133; მოსახლ., 8. 619. 586; სიმჭიდრ., 2,5): კაზაკთა ასსრ, ყირგიზეთის ასსრ, ტაჯიკეთის ასსრ და ყარა-ყალპაყეთის და მთიანი ბადახშანის ავტ. ოლქები.

რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში დღეს არის 16 ავტონომიური რესპუბლიკა (ბაშკირეთის, ბურიატიის, დაღესტნის, ყაბარდო-ბალყარეთის, ყალმუხეთის, კარელიის, კომის, მარიის, მორდვეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, თათრეთის, ტუვის, უდმურტიის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, ჩუვაშეთის, იაკუტიის), 5 ავტონომიური ოლქი (ადიღეს, მთიანი ალტაის, ებრაელთა, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის, ხაკასის), 6 მხარე, 49 ოლქი და 10 ნაციონალური ოკრუგი.

სსრკ-ს ავტონომიური რესპუბლიკები: ბაშკირეთის, ბურიატ-მონღოლეთის, დაღესტნის, კაზაკთა, კარელიის, ყირგიზეთის, ყირიმის, ვოლგისპირეთის გერმანელების (1928 წელს შეიყვანეს ქვემოვოლგისპირეთის მხარის შემადგენლობაში), თათრეთის, ჩუვაშეთის, იაკუტიის.

უკრაინის სსრ-ში — მოლდოვას;

საქართველოს სსრ — აფხაზეთის და აჭარის

აზერბაიჯანის სსრ — ნახიჭევანის

უზბეკეთის სსრ — ტაჯიკეთის.

ავტონომიური ოლქები

რსფსრ-ს ავტ. ოლქები: ვოტსკის, ყალმუხეთის, ყარა-ყალპაყეთის, (შედის კაზაკთა ასსრ-ში), კომი, მარიის, ოირატის (შედის ციმბირის მხარეში) და ჩრდ.კავკ.მხარის: ადიღეს (ჩერქეზეთის, ინგუშეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ჩერქეზეთის და ჩეჩნეთის.

საქართველოს სსრ-ში : სამხრეთი ოსეთი; აზერბაიჯანში — მთიანი ყარაბაღი; უზბეკეთის სსრ-ში — მთიანი ბადახშანი (შედის ტაჯიკეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში).

საბჭოთა ენობრივმა პოლიტიკამ თავისი მავნე შედეგებით განსაკუ-

თრებით იჩინა თავი **კონფლიქტურ ტერიტორიებზე**. აფხაზურ-ქართულ და ოსურ-ქართულ ურთიერთობებში რუსული ენა ამ ურთიერთობათა დაპირისპირების მიზეზი აღმოჩნდა. ის აფხაზები და ოსები, რომლებსაც რუსულ ენაზე ჰქონდათ მიღებული სწავლა-განათლება, გადასახლდნენ რუსულენოვან სამყაროში და არსებითად რუსი ერის ნაწილი გახდნენ და საქართველოს სუვერენიტეტის გაფართოებისათვის მიმდინარე პროცესში ერთგვარად დაუპირისპირდნენ ქართველებსაც და ქართული ორიენტაციის ოსებსა და აფხაზებსაც (ფუხაევი, 1989, 4³), „ქართველებს ერთგულებდნენ და საქართველოს იცავდნენ ის აფხაზები და ოსები, რომელნიც ქართულ ენას ფლობდნენ, ე. ი. ქართული კულტურული სამყაროს წევრები იყვნენ. აფხაზისა და ოსისათვის განათლების, კულტურის, რელიგიის, სახელმწიფო ენის ქართულის ნაცვლად რუსულით შეცვლას, მოჰყვა აფხაზისა და ოსის ეთნიკური გაუცხოება და ყოველივე ქართულთან დაპირისპირება“ (ბაქრაძე, 2005: 314-315⁴).

ორენოვნება რომ მართლაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ ენებს, ამას სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებს, მაგალითად, 1959 წლის აღწერით, მთელ საბჭოთა კავშირში რუსული თავის მშობლიურ ენად დასახელა არარუსი წარმოშობის დაახლოებით 10 მილიონმა მოქალაქემ, 1970 წლის აღწერით — 13 მილიონმა (**Проблемы двуязычия и многоязычия**, 1972: 24⁵), ხოლო 1979 წლის ცნობით ამ რიცხვმა 16, 3 მილიონ კაცს მიაღწია (თოფურია, 1989: 11⁶). ამავე წლის მონაცემებით საბჭოთა კავშირში რუსულ ენას თავისუფლად ფლობდა 214, 8 მლნ ადამიანი ანუ მთელი მოსახლეობის 82% (ხიდაშელი, 1989: 6⁷).

1989 წლის მონაცემებით საქართველოში რუსულ ენას თავის მშობლიურ ენად მიიჩნევდა 3 787 393 ქართველიდან — 8 877; 95 853 აფხაზიდან — 2 212, 164 055 ოსიდან — 4 246; 307 556 აზერბაიჯანელიდან — 3 972, 437 211 სომხიდან — 40 312, და ა. შ., თავისუფლად იცოდა რუსული ენა 1 203 788 ქართველმა, 77 193 აფხაზმა, 60 004 ოსმა, 105 083 აზერბაიჯანელმა, 187 666 სომეხმა და ა. შ. (საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, 1991: 62-63).

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო ამ მხრივ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ „ერების შერწყმა“, ანუ მათი გარუსება და ენების გაქრობა რუსული ენის ჰეგემონიის შედეგად, მართლაც რეალური ფაქტი იყო. მაგალითად, „მოსახლეობის პირველი საბჭოთა აღწერისას 1926 წელს დარეგისტრირდა 190-ზე მეტი ეთნიკური გაერთიანება (ერთობა) და დაახლოებით 150 ენა. 1959 წლის აღწერისას კი ეთნიკური ერთეულების რიცხვი 90-მდე

3 ანზორ ფუხაევი, ძმობას გაფრთხილება უნდა, „სოფლის ცხოვრება“, №192, 19. VIII. 1989.

4 აკაკი ბაქრაძე, თხზულებანი, თბილისი, 2005.

5 **Проблемы двуязычия и многоязычия**, Москва, 1972.

6 პავლე თოფურია, „ორენოვნების ბუნება ანუ რამდენ ენაზე ვილაპარაკოთ?“, „ლიტერატურული საქართველო“, №5, 3. II. 89, გვ. 10-11; №7, 17. II. 89, გვ. 10-11

7 შალვა ხიდაშელი, ფიქრები პარტიის ეროვნულ პოლიტიკასთან დაკავშირებით თანამედროვე პირობებში, „სახალხო განათლება“, №41, 13. IX. 89.

შემცირდა“ (Демографический энциклопедический словарь, 1985: 433). 1972 წელს იწერებოდა: „ჩვენს თვალწინ ხდება კარელიელების (მათი რიცხვი 100 ათასზე მეტია) ენის დაკარგვა. ისინი ერთენოვნებაზე გადადიან (მშობლიური ენა ხდება რუსული)“ (Проблемы двуязычия и многоязычия, 1972: 24). ბევრმა აფხაზმა ასევე არ იცოდა აფხაზური ენა. ზოგიერთი, მათ შორის, აფხაზურ-ქართული, ოჯახისთვის სალაპარაკო ენა რუსული იყო. მოსახლეობის ასეთი გადასვლა ერთი ენიდან მეორეზე საბჭოთა კავშირში კანონზომიერ მოვლენად მიიჩნეოდა (Проблемы двуязычия и многоязычия, 1972: 24).“ წინამდებარე მასალა მოხმობილია ნინო მარკოზიას საკვალიფიკაციო ნაშრომიდან (ნ. მარკოზია, - ენობრივი დისკუსიები 70-90-იანი წლების საქართველოში“ (ხელმძღვანელი მ. ტაბიძე).

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ ქართულ სინამდვილეში ე.წ. უმცირესობათა უმწერლობო ენების კვალიფიკაციის დროს, არის იმ პერსპექტივების შეფასება, რომელსაც შეიცავს ქართველთა მეტყველებების ენებად (კერძოდ, უმცირესობის უმწერლობო ენად) შეფასების შემდგომი ღონისძიებები;

საერთაშორისო ნორმებით ის, რაც უმწერლობა, „გადარჩენის“ მიზნით სამწერლობო უნდა გახდეს, ანუ უნდა გაემიჯნოს იმას, რაც ადრე მას სამწიგნობრო ენის მაგივრობას უწევდა. ეს ნიშნავს, რომ მწიგნობრობისა და კულტურის ისტორია დაიწყოს სუფთა ფურცლიდან და პირველი ჩანაწერი გახდეს ოდენ ლოკალური კუთხის ფოლკლორი; წერილობითი ვერსიის შექმნა მთელ რიგ ღონისძიებებთანაა დაკავშირებული:

ა) ენისა და, შესაბამისად, ეთნოსის სტატუსის განსაზღვრა და მისი მოქმედების იურიდიული ასპექტების ჩამოყალიბება;

ბ) სამწერლობო კოინეს ჩამოყალიბება: ეს რთული საკითხია, რადგან ტრადიციას საჭიროებს, ხოლო ტრადიციის არქონის შემთხვევაში ახლადშექმნილი სამწერლობო ენის სტანდარტიზაცია ვერ ხერხდება, წარმოიშობა დავები სხვადასხვა კილოს უპირატესობის თაობაზე და ხელოვნურია საგანმანათლებლო სისტემისა და მედიის სამუშაო ენის საკითხები;

გ) ახლადშექმნილი სამწერლობო ენა ვერ ასწრებს და ამის გამო ვეღარც ახერხებს დარგობრივი ენების განვითარებას და სამწიგნობრო ენად იყენებს რომელიმე „შუამავალ ენას“ (ასე დაემართა მაგ., აფხაზურს, რომელიც ფაქტობრივ, დაწყებითი განათლების მეორე ეტაპზე (III-IV კლასიდან) იწყებს რუსულის გამოყენებას და მისი ენობრივი სიტუაცია ფუნქციონალური სტილების ინტერფერირებულ ვარიანტს იძლევა: შინ და ზოგ საზოგადოებრივ სფეროში აფხაზური ენა მუშაობს, სამეცნიერო დარგებსა და პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებში — რუსული;

გასათვალისწინებელია სიძნელებიც, რომელიც ექმნება უმწერლობო ენიდან სამწერლობო ენის შექმნას იქ, სადაც ეს პროცესი გამართლებული და სასურველია.

რა ენობრივ პრობლემებზე დავობენ ჩრდილოეთ კავკასიაში ყველაზე ხშირად?

ა) რომელი დიალექტი უნდა ედოს საფუძვლად სამწერლობო ენას? რამდენი სამწერლობო ენა შეიძლება ჰქონდეს ერთ ეთნოსს?

მაგალითად: დაღესტანში ბოლო ხანებში გამოიყო სამი **ახალი** ენა; ყაბარდოელები და ჩერქეზები ფიქსირებულია ხან ერთ და ხან ორ ხალხად ორი სამწერლობო ენით, რომელთაც საკუთრივ ყაბარდოულ ან ყაბარდოულ-ჩერქეზულ ენათა სახელით იხსენიებენ; ოსებს ორი სალიტერატურო (სამწერლობო) ენა აქვთ: ერთის საფუძველია ირონული დიალექტი, მეორისა - დიგორული დიალექტი, და სხვ.

ბ) რომელი ანბანი უნდა გამოიყენოს ერთი და იმავე ენის მქონე ერთი და იმავე ეროვნების ხალხმა, რომელიც სხვადასხვა ადგილას (სხვადასხვა სახელმწიფოში) ცხოვრობს?

გ) ენობრივ დისკუსიებზე სპეციალური განხილვის საგანია ე.წ. რუსულენოვანი მწერლების კულტურული მიკუთვნებულობის საკითხი; ჩრდილოეთი კავკასიის ენობრივი მოწყობა და განათლების სისტემის ენობრივი პოლიტიკა ხელს უწყობდა ჩრდილოეთი კავკასიის ხალხების სამწერლო კულტურის სპეციფიკური ფენომენის — რუსულენოვანი მწერლის წარმოშობას; დისკუსია რამდენიმე ასპექტს მოიცავს, აქედან ყველაზე საინტერესოა: 1) „თარგმნიან“ თუ „ქმნიან“ რუსულენოვანი კავკასიელი მწერლები თავიანთ ნაწარმოებებს; 2) ვისია ეს ქმნილებები: რუსებისა (რომელთა ენაზეც ისინი იქმნება⁸) თუ ადიღელების, დაღესტნელების, ოსებისა და სხვ. (ვისი კულტურითაცაა ნასაზრდოები მათი ავტორების აზროვნება და გემოვნება)?

ძნელად მოსავარებელი ჩანს სახელმწიფო ენასთან დაკავშირებით კონსტიტუციისა თუ ქვემდებარე საკანონმდებლო დოკუმენტების შესატყვისი დებულებების რეალურად განხორციელების საკითხებიც.

გ) ენობრივი სიტუაცია შეფასებასა და დარეგულირებას მოითხოვს განათლების სფეროში. დაისმის სწავლების ენისა და შესასწავლი ენების, ორენოვანი სწავლების, სასწავლო პროგრამებში ნაციონალური ენისა და კულტურის ასახვის საკითხები, განათლების ყველა რგოლში სახელმწიფო ენაზე სწავლების უზრუნველყოფის საკითხი და სხვ. სადისკუსიო თემათაგან ერთ-ერთი მწვავე საკითხი ჩრდ. კავკასიის რესპუბლიკებში სწავლების ენას ეხება. ამ საკითხს განსაკუთრებულად ართულებს ყოველ რესპუბლიკაში ერთზე მეტი სახელმწიფო ენის არსებობა და ავტოქთონი მოსახლეობის ენაზე (სახელმწიფოებრივი სტატუსის მიუხედავად) სრული საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედების შეუძლებლობა. სატიტულო ეთნოსთა ენებზე სწავლება მხოლოდ დაწყებით კლასებში ხერხდება, დანარჩენ კლასებში სწავლება რუსულადაა, ნაციონალური ენები კი ისწავლება საგნობრივად (სასწავლო დისციპლინა: ... ენა და ლიტერატურა)⁹. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის ე.წ. სუვერენიზაციის შემდგომ სახელმწიფო ენებად გამოცხადდა: აბაზური, ყარაჩაული, ნოღაური, რუსული და ჩერქეზული ანუ დაწყებით კლასებში სწავლების ენა ხუთია.

8 სხვათა შორის, რუსულის გარდა აზერბაიჯანულ ენასაც აქვს გარკვეული გავლენა დაღესტნის მწერლებზე, კერძოდ ე.წ. სამხრეთი დაღესტნის მწერალთა შორის არიან აზერბაიჯანულენოვანი მწერლებიც (იხ., Бедирханов С.А., 2003: 28).

9 იხ., Лезина В., 2007.

რესპუბლიკაში, რომლის მოსახლეობა 428,6 ათასი კაცია, ამჟამად ფუნქციონირებს: 189 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 5 პროფესიული ლიცეუმი, 3 პროფსასწავლებელი, 10 საღამოს სკოლა, 12 საბავშვო სპორტული სკოლა, 20 საბავშვო სკოლისგარეთა დაწესებულება, 86 სკოლამდელი და 38 საუწყებო დაწესებულება. ამ დაწესებულებებში ენობრივი სიტუაცია ასეთია: ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში სუვერენიზაციის შემდეგ 99 სკოლაში ნაციონალური სკოლების სასწავლო გეგმების შესაბამისად სწავლება რუსულ ენაზეა. აბაზური ენა, როგორც საგანი ისწავლება 13 სკოლაში, ყარაჩაული — 57-ში, ნოღაური —10-ში, ჩერქეზული — 20 საშუალო სასწავლო დაწესებულებაში¹⁰. ამის გარდა, კიდევ 53 სკოლაში (მრავალეროვანი შემადგენლობით) შექმნილია პირობები მშობლიური ენების შესასწავლად (იქ დედაენა საგანია და არა სწავლების ენა). 9 საშუალო სასწავლებელში ისწავლება ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკის ხალხთა რამდენიმე ენა.¹¹ ენათა სიმრავლე ართულებს მოსახლეობის კონსოლიდაციას. ინტეგრაციის ნაცვლად დეზინტეგრაციასთან გვაქვს საქმე. საშუალო, სპეციალური და უმაღლესი განათლების სახელმწიფო ენებზე გადაყვანა ამ მომენტისათვის შესაძლებელი არ ჩანს მოსახლეობის მრავალეროვნული შემადგენლობის გამო და არც მასწავლებელთა კადრები ჰყავთ (Шишканова А.В., 2003: 187-188).

ოსური სამწიგნობრო ენა არ არის ერთგვაროვანი და მთლიანი. იგი ორი დიალექტისაგან შედგება და ეს ორივე დიალექტი სამწერლობოცაა (და შესაბამისად, სასწავლოც). ესენია ირონული და დიგორული დიალექტები (რომლებიც მშობლიურია, შესაბამისად, 70% და 30% ჩრდ. ოსეთის მოსახლეობისათვის).

1992 წ. ჩრდ. ოსეთის რესპუბლიკურ გაზეთში გამოქვეყნდა ჩრდ. ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონპროექტი — „ჩრდ. ოსეთის სსრ ხალხების ენების შესახებ“, რომელმაც რესპუბლიკის საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია, განსაკუთრებით იმ ოსებისა, რომლებიც ლაპარაკობენ **ოსური ენის დიგორულ დიალექტზე**.

ჯერ კიდევ 1934 წელს სალიტერატურო ოსური ენის საფუძვლად დაიდო ირონული დიალექტი. 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში დიგორის საზოგადოებრიობამ აქტიურად დაიწყო დიგორული დიალექტისათვის დამოუკიდებელი ენის სტატუსის მინიჭების მოთხოვნა. ეს საკითხი განსაკუთრებული სიმწვავეით დაისვა ზემოთ ხსენებული კანონის (ენის კანონის) განხილვის პერიოდში. 1996 წლის დასაწყისში რესპუბლიკაში შეიქმნა ახალი კომისია ჩრდ. ოსეთის ხალხების ენების შესახებ“

10 5სთ.-დან 7 სთ-მდე კვირაში.

11 მაგ., ჰაბლის ადიღურ სკოლაში ისწავლება **ყაბარდოულ-ჩერქეზული** და ნოღაური ენები. ფსიყის №1 და №2 სკოლებში — **აბაზურსა** და **ყაბარდოულ-ჩერქეზულ** ენებს ასწავლიან. ეროვნული სკოლა-ინტერნატი ასწავლის /არჩევით/ აბაზურს, ყარაჩაულს, ბალყარულს, ნოღაურს და ყაბარდოულ-ჩერქეზულს. ჰაბეზის რ-ნის სკოლებში პირველად ყარაჩაეთ-ჩერქეზეთში შემოტანილია ყველა საგნის სწავლება დაწყებით სკოლაში **ყაბარდოულ-ჩერქეზულ** ენაზე. სახელმწ.ენები შეისწავლება ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტსა და პედაგოგიურ სასწავლებელში, სადაც ისწავლება: “ყჩრ-ს ხალხების ლიტერატურა და ისტორია“, „ყჩრ-ს ხალხების კულტურა“, „მთის ეტიკეტი“, მოქმედებს ფაკულტატური კურსები რუსული და ყჩრ-ს **სხვა** ნაციონალური ენების გაღრმავებული შესწავლისათვის.

კანონის ახალი პროექტის დასამუშავებლად. 2000წ. მნიშვნელოვნად განახლდა კომისიის შემადგენლობა. 1998-2002 წლებში ამ კანონის ვარიანტებს არაერთგზის განიხილავდნენ პარლამენტის კომიტეტები და სრულიად ოსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ალანთი ნიხასი“, მაგრამ საბოლოო ვარიანტი დღემდე არ არის დამუშავებული.

1999 წ. ჩრდ. ოსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა ჩრდ. ოსეთის პრეზიდენტთან არსებული ოსური ენის დაცვისა და განვითარების კომისია, თუმცა ამ კომისიის მიერ განხორციელებული საქმეები ჯერაც არ ჩანს.

1994 წ. მიიღეს რესპუბლიკა **ჩრდ. ოსეთი — ალანიას** კონსტიტუცია, რომელშიც ოსური ენა (რუსულთან ერთად) გამოცხადებულია სახელმწიფო ენად (მუხლი 15, პუნქტი 10): ოსური ენა (ირონული და დიგორული დიალექტები) - არის საფუძველი ოსი ხალხის ნაციონალური თვითმეგნების დაცვისა. დაცვა და განვითარება ოსური ენისა არის „ჩრდ. ოსეთი-ალანიას რესპუბლიკის სახელმწიფო სახელისუფლებო ორგანოების უმთავრესი ამოცანა“ (მუხლი 15,2).

მიუხედავად საკონსტიტუციო განაცხადისა, მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო ოსური ენის სტატუსი როგორც სახელმწიფო ენისა, ხშირად ოდენ ნომინალურია.

ენათმეცნიერთა და სოციოლოგთა აზრით, თანამედროვე ეთნოენობრივი სიტუაცია ჩრდ. ოსეთში და მისი დინამიკა ისეთია, რომ ოსური ენა (ისევე როგორც, სხვათა შორის, რუსეთის ფედერაციაში უფრო მრავალრიცხოვანი სატიტულო ეთნოსების ენები) უახლოეს ათწლეულებში ვერ შეძლებს რუსულის თანაბარი სტატუსის მოპოვებას საკუთარ რესპუბლიკაში.

ენის კანონთან უშუალოდაა დაკავშირებული ჩრდ. ოსეთში „ნაციონალური სკოლის განვითარების კონცეფცია“, რომელიც 1992 წელს გამოიტანეს საჯარო განხილვაზე, დაიგეგმა სკოლის განვითარების ეტაპები 2000 წლამდე. პროექტის მიხედვით ოსურ ენაზე სწავლება უკვე 2000 წლიდან უნდა დაწყებულიყო პროფესიულ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში. თუმცა რეალური სიტუაციის გათვალისწინებით დამუშავებული კონცეფცია არსად ჩანს. 2000 წელს აგვისტოში იქნა მიღებული კანონი „განათლების შესახებ“. მასში 60 პუნქტიდან მხოლოდ ორი ეხება უშუალოდ ენასა და კულტურას (მუხლი 6 სწავლების ენა (ენები)“ და მუხლი 7: აღზრდა — ჩრდ. ოსეთის რესპ. ოსეთი-ალანიას მრავალენოვანი ხალხის (многонациональный народ) ისტორიისა და კულტურის შესწავლა“.

ოსური ენის საკითხი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ამგვარად იდგა: 2002-2003 სასწ. წელს ოსი ეროვნების ბავშვების **დაწყებითი სწავლება** დედაენაზე მიმდინარეობდა რესპუბლიკის 62 სკოლაში; ორ რაიონში, სადაც მეტწილად ის ოსები ცხოვრობენ, ვისთვისაც მშობლიურია ოსური ენის დიგორული დიალექტი (28 დაწყებითი სკოლიდან 22-ში) სწავლება **მშობლიურ დიალექტზე** - დიგორულზე მიმდინარეობს.

2002-2003 წლებში ჩრდ. ოსეთის დაწყებით სკოლებში ოსურ ენაზე სულ 4 ათასი მოსწავლე სწავლობდა, ანუ ოსი ეროვნების საშუალო სკოლის მოსწავლეთა 17%; დაწყებით სკოლაში ოსურს (როგორც საგანს)

ასწავლიან რესპუბლიკის ყველა რაიონში, გარდა რუსული მოზდოკის რაიონისა (სადაც ოსების ხვედრითი წილი 9%-ია, რუსებისა — 50%).¹²

ქ. ვლადიკავკაზში უკვე 117 წელია არსებობს ქართული სკოლა, სადაც სწავლება ქართულადაა. 2000-2003 წლებში იქ 250 მოსწავლე იყო (2002 წლის დასაწყისისათვის ჩრდ. ოსეთში 12,3 ათასი ქართველი ცხოვრობდა, ძირითადად ქ. ვლადიკავკაზში).¹³

2000-2002 წლებში ტელეგადაცემათა 30% ტელერადიოკომპანია „ალანიაზე“ ოსურად მიმდინარეობდა, ოსურ ენაზე იყო რადიოგადაცემათა 50%.

2002 წ. ჩრდ.ოსეთში 2 რესპუბლიკური გაზეთი გამოდიოდა ოსურად („რასტინადი“ — ირონულ დიალექტზე) და „დიგორა“ (დიგორულ დიალექტზე), ოსურენოვანია რამდენიმე სხვა გაზეთიც: „ალანთი ნიხასი“ „ნოდ გაზეთ“ (= ახალი გაზეთი), „ირი ნიფსი“ (ოსეთის იმედი) და სხვ. მწერალთა კავშირის ჟურნალები გამოდის ორივე დიალექტზე: ირონულზეც და დიგორულზეც. ჩრდ. ოსეთში მოქმედებს რამდენიმე თეატრი: ჩრდ. ოსეთის დრამატული თეატრი (ირონულ დიალექტზე), დიგორის თეატრი (დიგორულ დიალექტზე), ჩრდ.ოსეთის მუსიკალური თეატრი (რუსულ ენაზე), ბავშვთა თეატრი „საბი“ (რუსულად და ირონულად) და რუსული დრამატული.

ენობრივი პრობლემები, რომლებიც თავს იჩენს ჩრდილოეთ კავკასიაში, არ არის უცხო სხვა მრავალენოვანი სახელმწიფოებრივი ერთობებისათვისაც. ენას, რომელსაც სახელმწიფოებრივი ფუნქციონირების მისწრაფება აქვს, სპეციალურ ლიტერატურაში ამ ფუნქციონირებისათვის რამდენიმე აუცილებელ ე.წ. საბაზო პირობას უყენებენ, ესენია:

ენერგეტიკულობა (უზრუნველყოფს ენის კომუნიკაციურ პოტენციალს; მას გააჩნია 1) წმინდად ლინგვისტური მხარე: შინაგანი სტრუქტურა, დიალექტები, სამეტყველო მოქმედების სახეები, და 2) ლინგვისტურ-კულტურული მხარე: დამწერლობა, სალიტერატურო ფორმა, ფიქსირებული წერილობითი ისტორია, საზოგადოებრივი ფუნქციები);

ე.წ. ტრანსპორტულობა (ამ ენაზე ინფორმაციის გადმოცემა-გავრცელების საშუალებას იძლევა);

დაცულობის მოთხოვნილება (ამ ენაში საკუთარი თავის დაცვა-შენარჩუნების საშუალებათა არსებობა);

მწარმოებლურობა (გულისხმობს ამ ენაზე არსებული ტექსტების მოცულობასა და მნიშვნელობას) და ინფორმაციულობა (ენის მზაობა ახალი ცოდნის აღქმისა და ასახვისათვის).

12 2002-2003 სასწ.წელს ოსური ენა და ლიტ. სავალდებულო საგნებია 1-ლი ან 2-5 კლასიდან (პროგრამის შესაბამისად) მე-11 კლასის ჩათვლით ყველა მოსწავლისათვის მიუხედავად ეროვნებისა. ამ საგნებს ყოველ კლასში კვირაში 5 საათი ეთმობა.

13 2002 წლის ოქტომბრის დასაწყისისათვის ჩრდ. ოსეთში ცხოვრობდა: 2 000 ყაბარდოელი, 10 000 ყუმუხი, 22-23 ათასი ინგუში. 2000-2003 წლებში მოზდოკის რ-ნის 3 სოფელში დაახლ. 2 000 ყუმუხი **სწავლობდა** და 100-ზე მეტი ყაბარდოელი (**кабардинской национальности**); საკვირაო სკოლებში ასწავლიან სამხურ, ებრაულ, ბერძნულ, თათრულ, პოლონურ და გერმანულ ენებსა და ლიტერატურას.

ამ ჩამონათვალში ენერგეტიკულობა ყველაზე მნიშვნელოვან პირობა-დაა მიჩნეული (Караулов Ю.Н., 2005). ჩრდილოეთი კავკასიის ენობრივი სიტუაციის ღრმად შესწავლისათვის ყველა დასახელებული პირობა, უპირველეს ყოვლისა კი, ენერგეტიკულობის ასპექტი, საგანგებოდაა გასაანალიზებელი.

იმაზე, რომ შიდა ქართლის დემოგრაფიული სურათი სულ მუდამ ოსების სასარგებლოდ ვითარდებოდა (1926-დან და 1989-მდე) და არა ქართველების ან ვინმე სხვისა, ნათლად ჩანს იმ სტატისტიკიდანაც, რომელსაც ქვემოთ მოვიხმობთ. მით უფრო, რომ ხსენებული წლები საბჭოური რეჟიმის წლებია, როდესაც რესპუბლიკები საკუთარ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას ვერანაირად ვერ მართავდნენ და მოსახლეობის ეთნიკური დაპირისპირების დანერგვაც იმ რეჟიმის ბრალია და არა რესპუბლიკის მხრივ “გატარებული” ამა თუ იმ კურსისა.

ლიტერატურა

- თ. გვანცელაძე**, აფხაზური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის ისტორიისათვის. ჟურნ. „ბედია“, №6-7, 2000
- მ. ტაბიძე**, საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა ენობრივი ორიენტაციისათვის, ლაზეთ-ჭანეთი — ისტორია და თანამედროვეობა (თეზისები), თბილისი, 2005.
- მ. ტაბიძე**, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, გამომც., „ქართული ენა“, თბილისი, 2005.
- ტ. ფუტყარაძე**, ქართველები, ნაწილი I, ქუთაისი, 2005;
- Агаджанян Михаил**, Ситуация на Северном Кавказе, (საინტერნეტო მასალებიდან), 2004
- Баков Х.И.** (Черкесск), К проблеме письменности в черкесском зарубежье, Международная научная конференция. „Актуальные проблемы общей и адыгской филологии“, Материалы конференции, Майкоп, 2003
- Бедирханов С.А.** (Махачкала), Южный Дагестан: Специфика двуязычия как литературного явления, „Актуальные проблемы общей и адыгской филологии“, Материалы конференции, Майкоп, 2003.
- Бурькин А. А.** Язык малочисленного народа в его письменной форме: Социолингвистический и собственно лингвистические аспекты. СПб., 2004.
- Бурдаков В. П.**, Эффективность жизни. Введение в экоматерику. М., 1997
- Мамий Р.Г.** (Майкоп) Литературное двуязычие. проблемы и размышления,

- „Актуальные проблемы общей и адыгской филологии“, Материалы конференции, Майкоп, 2003
- Гукова Е.Ф.** (Нальчик), Русскоязычная литература Кабардино-Балкарии, „Актуальные проблемы общей и адыгской филологии“, Материалы конференции, Майкоп, 2003.
- Дзадзиев А.**, Этнодемографическая ситуация в Северной Осетии: 1989-2002 годы, 2004.
- Каракаев Ю.И.**, Из терминов коневодства в ногайском языке (Материалы третьей всероссийской научной конференции, «Лингвистическое кавказоведение тюркология традиции и современность», Карачаевск, 2004.
- Карасова С. Я.**, Термины трудовой деятельности в ногайском фольклоре (Материалы третьей всероссийской научной конференции, «Лингвистическое кавказоведение и тюркология: традиции и современность», Карачаевск, 2004.
- Караулов Ю.Н.** Этнокультурная и языковая ситуация в современной России: лингвистический и культурный плюрализм. Языковая ситуация в регионах современной России (საინტერნეტო მასალები), 2005.
- Лезина, В.В.**, Национально - языковая образовательная политика в поликультурном обществе Северного Кавказа : Дис. ... д-ра пед. наук : 13.00.01 М., 2004.
- Переверзев Ал. Е.**, Русские на Северном Кавказе. Социокультурная роль и статусные позиции. (Специальность 22. 00. 04. - социальная структура, социальные институты и процессы). Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата социологических наук . Ростов-на-Дону, 2001.
- Табыш М.А.** Тематическая характеристика медицинской лексики адыгского языка, „Актуальные проблемы общей и адыгской филологии“, Материалы конференции, Майкоп, 2003.
- Шишканова А.В.** (черкесск) Социолингвистические аспекты функционирования языков народов карачаево-черкесии в сфере образования. „Актуальные проблемы общей и адыгской филологии“, Материалы конференции, Майкоп, 2003.
- The Population Census of 2002.** www.nplg.gov.ge/caucasia/Abstracts/Eng/2004/No3/Summary/12.htm - 65k.

Demographics

Before the Georgian-Ossetian conflict about two thirds of the population of South Ossetia were [Ossetians](#) and 25-30% [Georgians](#). The present composition of the population is unknown.

	census 1926	census 1939	census 1959	census 1970	census 1979	census 1989
Ossetians	60,351 (69.1%)	72,266 (68.1%)	63,698 (65.8%)	66,073 (66.5%)	65,077 (66.4%)	65,200 (66.2%)
Georgians	23,538 (26.9%)	27,525 (25.9%)	26,584 (27.5%)	28,125 (28.3%)	28,187 (28.8%)	28,700 (29.0%)
Russians	157 (0.2%)	2,111 (2.0%)	2,380 (2.5%)	1,574 (1.6%)	2,046 (2.1%)	
Armenians	1,374 (1.6%)	1,537 (1.4%)	1,555 (1.6%)	1,254 (1.3%)	953 (1.0%)	
Jews	1,739 (2.0%)	1,979 (1.9%)	1,723 (1.8%)	1,485 (1.5%)	654 (0.7%)	
Others	216 (0.2%)	700 (0.7%)	867 (0.9%)	910 (0.9%)	1,071 (1.1%)	5,100 (4.8%)
Total	87,375	106,118	96,807	99,421	97,988	99,000

იმპერიული ენობრივი პოლიტიკა აფხაზეთში და მისი შედეგები

2008 წლის აგვისტოს საომარმა მოქმედებებმა ცხინვალის რეგიონსა და საქართველოს სხვა მხარეებში, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოფიციალურმა აღიარებამ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიერ მთელ მსოფლიოს აშკარად დაანახა რუსეთის ჭეშმარიტი სახე და ამ სახელმწიფოს შეუფარავი იმპერიული ზრახვები. სპეციალისტთათვის სრულიად ნათელია, რომ დემოკრატიის ლოზუნგებს ამოფარებული რუსეთი დღემდე აგრძელებს მეფის რუსეთისა და საბჭოთა რეჟიმის პოლიტიკას საქართველოსა და მისი მოსახლეობის მიმართ, მაგრამ ზედმეტი არ იქნებოდა, კიდევ ერთხელ გაგვეხსენებინა ზოგი მეტად ნიშანდობლივი ისტორიული ფაქტი, რომლებიც დაგვეხმარებოდა დღეს მიმდინარე ცალკეული მოვლენების ლოგიკის გააზრებაშიც და სამომავლო კონტრზომების მიღებაშიც. წინამდებარე ნაშრომიც სწორედ ამას ისახავს მიზნად. ჩვენ გვსურს, ისტორიის მოწვევებით გამოვავსკარაოთ რუსეთის ფედერაციის ამჟამინდელი ანტიქართული პოლიტიკის ლინგვოკულტუროლოგიური არსენალი, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო პუტინ-მედვედვის ხელისუფლებამ ცარიზმისა და საბჭოთა რეჟიმისაგან.

ცნობილი ფაქტია, რომ იმპერიებს სხვა ქვეყნების დაპყრობის დროს ერთდროულად რამდენიმე მიზნის მიღწევა სურთ, კერძოდ: ამ დროს ყველაზე არსებითად მიიჩნევა ახალი ტერიტორიების მოპოვება, წიაღისეულისა და სხვა მატერიალური სიმდიდრის ხელში ჩაგდება, გეოსტრატეგიული და სამხედრო პოზიციების გამყარება-გაუმჯობესება, დემოგრაფიული სიტუაციის თავის სასარგებლოდ შეცვლა და სხვა. აღნიშნულთან ერთად მნიშვნელოვანია დაპყრობილი მოსახლეობის ენობრივი, კულტურული, რელიგიური და ეთნიკური ასიმილირება, რათა ეს მოსახლეობა არ აღმოჩნდეს შეურევებელ ოპოზიციაში დამპყრობლის მიმართ.

XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, როცა რუსეთი შეუდგა საქართველოს დაპყრობას, მისთვის აქტუალური იყო თითქმის ყველა დასახელებული მიზნის მიღწევა რელიგიური ასიმილაციის ჩათვლით, ვინაიდან ქვეყნის სატიტულო ეთნოსის, ქართველი ხალხის ერთი ნაწილი კონფესიური თვალსაზრისით განსხვავდებოდა მართლმადიდებლურ-ქრისტიანული უმრავლესობისაგან და აღიარებდა სუნიტურ ისლამს (აჭარლები, მესხები, ჯავახები, ტაო-კლარჯეთისა და შავშეთის მოსახლეობა, ინგილოები...), გრიგორიანულ ქრისტიანობასა და კათოლიკობას. გარდა ქართველთა ამ ჯგუფებისა, კონფესიურად განსხვავებულ ჯგუფებში შედიოდნენ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მოსახლე ებრაელები, მაჰმადიანი ბორჩალოელი თათრები და აფხაზების ნაწილი, აგრეთვე გრიგორიანელი სომხები. ამ მოზაიკურ რელიგიურ ვითარებას ემატებოდა ასევე მოზაიკური ენობრივი სურათიც: ქართულ ენაზე მოლაპარაკე უმრავლესობის პარალელურად ქვეყანაში წარმოდგენილი იყო აფხაზურ, ოსურ, სომხურ, თურქულ ენებზე მოსაუბრე კომპაქტური ჯგუფები. ბუნებრივია, ქართველთა და ქვეყანაში

მოსახლე სხვა ეთნიკურ ჯგუფთა ეთნიკური, ენობრივი და კონფესიური იდენტობა დიდწილად განსაზღვრავდა მათ პოლიტიკურ ორიენტაციასაც: მართლმადიდებელი ქართველი, აფხაზი და ოსი მოსახლეობა გრიგორიან სომხებთან ერთად იმ ეტაპზე მაინც შედარებით ლოიალურად იყო განწყობილი რუსეთის მიმართ და მასში ირანისა და ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკისაგან დამცველს ხედავდა, ხოლო მაჰმადიანი ქართველების, აფხაზების, ბორჩალოელი თათრებისა და თურქების განწყობა ოსმალეთისაკენ უფრო იხრებოდა, ოსმალეთი კი მაშინ რუსეთის აშკარა პოლიტიკური და სამხედრო ოპონენტი იყო. რა თქმა უნდა, რუსეთის ხელისუფლებაც ხედავდა ამას და ცდილობდა კიდევაც რელიგიური ფაქტორის სათავესოდ გამოყენებას.

სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ სამხრეთ კავკასიაში შემოღწევის შემდგომ ცარიზმი აქტიურად შეუდგა მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღდგენა-გავრცელებასა და განმტკიცებას საქართველოს მთიან რეგიონებში, აფხაზეთში, საინგილოში და ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის განხორციელება მიანდო ქართველ მისიონერებს, რომლებიც კარგად იცნობდნენ ამ რეგიონთა მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, ადათ-წესებს, იცოდნენ აგრეთვე აფხაზური და ოსური ენები, ხოლო აფხაზები და ოსები ტრადიციული ისტორიული მჭიდრო კავშირით იყვნენ დაკავშირებულნი ქართველ ხალხთან, რაც ხელს უწყობდა მისიონერთა საქმიანობის წარმატებას აფხაზეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს იმ მხარეებში, სადაც წარმოდგენილი იყო ოსებით დასახლებული სოფლები (შიდა და შუა ქართლი, კახეთის ცალკეულ სოფლებში). ამ კონტექსტში ერთი შეხედვით აუხსნელი და ალოგიკური ჩანს ის ფაქტი, რომ ცარიზმის ქრისტიანმა ხელისუფლებამ სათანადო ყურადღება არ დაუთმო ქრისტიანობის აღდგენის საქმეს მესხეთ-ჯავახეთში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ქრისტიან ქართველთა შთამომავალი იყო, მაგრამ უკვე ისლამსაც აღიარებდა და ინტენსიურადაც კარგავდა დედაენას (ქართულს) თურქული ენის ათვისების ხარჯზე. შდრ. აფხაზეთი, სადაც XIX საუკუნის 80-იან წლებამდე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ქრისტიანობის აღდგენას და საამისოდ დიდალი დრო, ენერგია და თანხა იხარჯებოდა.

საკითხის ღრმა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ცარიზმის ამ ალოგიკურ საქციელს განსაზღვრავდა მეტად მტკიცე იმპერიული ლოგიკა: მესხეთ-ჯავახეთი უშუალოდ ესაზღვრებოდა რუსეთის მეტოქე ოსმალეთს, მაჰმადიანთა გაქრისტიანება ერთგვრადი და მყისიერი შედეგის მომცემი აქცია არ იყო და ოსმალეთთან ომის შემთხვევაში მაჰმადიან მოსახლეობას შეეძლო რუსეთისათვის სერიოზული პრობლემების შექმნა, აფხაზეთი კი ოსმალეთისაგან შორს იყო.

1864 წლამდე რუსეთი იარაღით ებრძოდა აფხაზთა მეზობლად მოსახლე ჩერქეზებსა და უბიხებს და მას აფხაზეთი პლაცდარმად სჭირდებოდა. მისთვის იმ დროს ჯერ კიდევ ხელსაყრელი არ იყო აფხაზთა მიმართ მკაცრი პოლიტიკის განხორციელება. აქ რუსი სამღვდელოების ნაცვლად მისიონერებად ქართველების წარგზავნა უფრო უმტკივნეულო იქნებოდა (თუ მაჰმადიან აფხაზებს პროტესტი გაუჩნდებოდათ მათ შორის ქრისტიანობის ქადაგების გამო, მათი უკმაყოფილების აღრესატებად ქართველები

იქცეოდნენ და არა რუსები, რითაც იმპერია ორი მოძმე ხალხის დაპირისპირებასაც მიაღწევდა). მაგრამ აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა (1864 წ.) და განსაკუთრებით აფხაზთა ანტირუსული აჯანყებების (1866, 1877-78 წწ.) შემდეგ ცარიზმმა დაინახა, რომ რეგიონში ქართველი სამღვდელთა ავტორიტეტი სახიფათოდ ამაღლდა, ხოლო აფხაზი ხალხი საჭიროების შემთხვევაში იარაღით ბრძოლაზეც არ იტყოდა უარს, ამიტომ მან ამჯობინა გადაედგა ის ნაბიჯი, რაც უკვე გადადგმული ჰქონდა XIX საუკუნის 20-30-იანი წლების მიჯნაზე მესხეთსა და ჯავახეთში, როცა სამშობლოდან ოსმალეთში მასობრივად გააძევა მაჰმადიანი ქართველები და მათ ნასახლარებში ჩამოსახლა რუსი სექტანტები, თურქულენოვანი პონტოელი ბერძნები და გრიგორიანი სომხები.

აფხაზეთშიც 1867 და 1878 წლებში მოხდა აფხაზი ხალხის არსებობის ისტორიაში უდიდესი ტრაგედია:

ათასობით აფხაზი მასობრივად აჰყარეს და ძალით განდევნეს თურქეთში, მათ ადგილას კი ასევე მასობრივად ჩამოსახლეს რუსები, უკრაინელები, სომხები, ბერძნები, ესტონელები, გერმანელები და ა.შ. სამწუხაროდ, არც ცარისტულ, არც საბჭოურ და არც ამჟამინდელ რუსულ ხელისუფლებას დღემდე არ გახსენებიათ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი ეს საშინელი დანაშაული და ბოდიში არ მოუხდიათ აფხაზი ხალხის წინაშე (სხვათა შორის, იმავე 1878 წელს რუსეთის ხელისუფლებამ მაჰმადიანი ქართველებისა და თურქების დიდი ნაწილიც გააძევა თურქეთში).

ცარიზმი საქართველოში ფეხის მოკიდებისთანავე შეუდგა ზრუნვას ქვეყნის მოსახლეობის მასობრივად გარუსებისათვის. საამისოდ იმპერიის იდეოლოგებმა სხვადასხვა გეგმა შეადგინეს, რომელთა გაცნობა ნათლად გვიჩვენებს იმპერიის ნამდვილ სახეს. მაგალითად, XIX საუკუნის 30-იან წლებში ცარიზმის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი იდეოლოგი პლატონ ზუბოვი აფხაზეთის შესახებ წერდა: „...მთიელთა დაშორებისა [ე.ი. დამორჩილება — თ.გ.] შემდეგს გულისხმობს: სავაჭრო ურთიერთობათა გზით დავენერგოთ მათში მიდრეკილება ფუფუნებისაკენ; ვაქციოთ იგი აუცილებლობად და გავანათლოთ მთიელნი ქრისტიანობის შუქით. [...] მთიელები იცხოვრებენ მთავარი გზებისაგან მოშორებულ დაბლობებში... და მთავრობის შემწეობით მიიღებენ პირველ რიგში აუცილებელ საცხოვრებლებს, განსაკუთრებით შესანიშნავ ეკლესიებს ყოველ მნიშვნელოვან სოფელში; ...ეკლესიებთან უნდა გაიხსნას სასწავლებლები რუსული ენის შესასწავლად და თუნდაც დასაწყისისათვის საღვთო წირვა შესრულდეს მთიელთა ენაზე, მაგრამ თანდათანობით საქმე ისე უნდა წავიყვანოთ, რომ მათ მიატოვონ საკუთარი კილოკავები და გაეცნონ რუსულ ენას, რომელიც მათი შთამომავლებისათვის უკვე გაბატონებული ენა გახდება, რადგანაც დამწერლობის არმქონე მათი მრავალგვარი კილოკავები იოლად მიეცემა დავიწყებას“ (გამახარია, გოგია, 1997: 308-309). როგორც ვხედავთ, ამ გეგმაში საქართველოს მოსახლეობის გარუსების რამდენიმე მთავარი ხერხია დასახელებული: ადგილობრივი მოსახლეობის ზნეობრივი გარყვნა ფუფუნების სიყვარულის ჩანერგვის გზით; მოსახლეობის ჩამოსახლება ძნელად საკონტროლო მთებიდან ბარში და მათი კონცენტრირება ცენტრალური მაგისტრალებიდან მოშორებით; მთიელთა გაქრისტიანება

და ღვთისმსახურების ენად რუსულის გაბატონება; საეკლესიო-სამრევლო სკოლების გამოყენება მთიელთა დედაენების დასავიწყებლად. ცარიზმის ხელისუფლებამ ამ ხერხებიდან პრაქტიკულად ყველა გამოიყენა, გარდა პირველისა, დროთა განმავლობაში კი ზოგი სხვა ხერხიც გამოიგონა, კერძოდ:

XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისისათვის, როცა აშკარა გახდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე ხანგრძლივი რუსეთ-კავკასიის ომი იმპერიის გამარჯვებით დასრულდებოდა, ცარიზმმა დაიწყო აქტიური მუშაობა აფხაზეთში ეთნიკურ-დემოგრაფიული ვითარების შესაცვლელად, აგრეთვე აფხაზი და ოსი მოსახლეობის ქართული კულტურული სამყაროსაგან მოსაწყვეტად და ამ ორი ეთნოსის ქართველ ხალხთან დასაპირისპირებლად. ამ მიზნების მიღწევის საშუალებებად გამოყენებულ იქნა აფხაზური და ოსური ენებისათვის რუსულ გრაფიკაზე დაფუძნებული დამწერლობის შექმნა, აფხაზურ და ოსურ სოფლებში მანამდე მოღვაწე ქართველი მისიონერების გაწვევა, სამურზაყანოს (ამჟამინდელი ვალის რაიონის) ტერიტორიაზე მოსახლე ქართველების აფხაზებად გამოცხადება, მათთვის ღვთისმსახურებასა და სკოლაში ქართული ენის გამოყენების აკრძალვა რუსული ენის დაძალების პარალელურად და ა.შ.

განვიხილოთ აფხაზური ენისათვის დამწერლობის შექმნის მიზნები და ამ აქციის შედეგები.

აფხაზური ენა 1862 წლამდე დამწერლობის არმქონე ენა იყო. ამ დრომდე, საჭიროების შემთხვევაში, აფხაზები იყენებდნენ ქართულ სამწიგნობრო ენას ოფიციალური მიმოწერის, რელიგიურ-ქრისტიანული და კულტურული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ქართული ენა მაღალ დონეზე იცოდნენ აფხაზური არისტოკრატის წარმომადგენლებმა და დაბალი სოციალური ფენების ნაწილმა. უფრო მეტიც, XIX საუკუნის განმავლობაში აფხაზეთის მთავრებიც და სხვა თავადებიც რუსულ ხელისუფლებასთან ოფიციალურ მიმოწერას მხოლოდ ამ ენაზე აწარმოებდნენ, ხოლო ინტელიგენცია ქართულ ენასა და წერილობით კულტურას თავის მშობლიურ ენად და კულტურად მიიჩნევდა. მაგალითად, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ვაჟი გიორგი შარვაშიძე ზედმიწევნით ღრმად იცნობდა ქართულ ლიტერატურას, თვითონაც წერდა შესანიშნავ ლექსებს ამ ენაზე, ხოლო როდესაც ერთმა გერმანელმა ჟურნალისტმა თავის სტატიაში უდიერად მოიხსენია საქართველო, ქართველი ერი და ქართული კულტურა, გ. შარვაშიძემ მას საკადრისი პასუხი გასცა. მსგავსი დამოკიდებულება ჰქონდათ საქართველოში მცხოვრებ ოსებსაც საქართველოს, ქართველი ხალხის, ქართული კულტურისა და ენისადმი. ბუნებრივია, რუსეთის ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო აფხაზთა, ოსთა და ქართველთა სიახლოვე, ამიტომ XIX საუკუნის შუა წლებში, რუსეთ-კავკასიის ომის დასრულების მოახლოებისთანავე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ამ სიახლოვის მოსაშლელად და დასახლებული სამი ეთნოსის გადასამტერებლად. უკვე 1862 წელს რუსეთის არმიის გენერალი პეტრე უსლარი შეუდგა აფხაზური ენის მეცნიერულ გამოკვლევას, მაგრამ მის წინაშე წამოიჭრა პრობლემა: რომელი ენის დამწერლობით უნდა გადმოეცა აფხაზური ენის ბგერები? გენერალმა, რომელსაც ლინგვისტის

დიდი ნიჭიც ჰქონდა, იცოდა, რომ კავკასიაში გავრცელებულ იმ ენათათვის, რომლებიც იმ დროს ჯერ კიდევ უდამწერლობო იყო, ყველაზე გამოსადეგად ქართული ანბანი უნდა ჩათვლილიყო, მაგრამ მას არ სურდა ამ დამწერლობის გამოყენება წმინდა პოლიტიკური მოსაზრებების გამო. იგი წერდა: „...[ქართული ანბანი] ლამის ყველაზე სრულყოფილია არსებულ ანბანთა შორის... ყოველი ბგერა გადმოიცემა საგანგებო ნიშნით და ყოველი ასო მუდამ გამოხატავს ერთსა და იმავე ბგერას. ყველა ევროპულ ენაში არსებობს დაბრკოლება — ესაა ორთოგრაფია; ქართველებს, მათი ანბანის სრულყოფილების წყალობით, ეს სირთულე თითქმის არა აქვთ... აქედან ჩანს, რომ ქართული საანბანო სისტემა შეიძლება აღებულ იქნეს აქამდე დამწერლობას მოკლებული ყველა კავკასიური ენისათვის საერთო ანბანის საფუძვლად; მაგრამ თუ ჩვენ ქართველებისაგან ვისესხებთ არა მარტო საანბანო სისტემას, არამედ ასოთა მოხაზულობასაც, ამით სრულიად უნებურად შევქმნით სირთულეებს, რომლებიც მით უფრო საგრძნობი იქნება, რაც უფრო მეტად გავრცელდება რუსული წერა-კითხვა კავკასიაში“ (გამახარია, გოგია, 1997: 353). იგი იქვე დასძენდა: „წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვქმნით იმის რისკს, რომ ქართული და სხვა ავტონომიების გარდა შევქმნით აფხაზურ ავტონომიასაც“-ო (გამახარია, გოგია, 1997: 720). პ. უსლარს დიდხანს არ უყუყმანია და შექმნა დამწერლობა აფხაზური ენისათვის, რომელიც ემყარებოდა რუსულ გრაფიკას (კირილიცას), მაგრამ მასში შეძლებისდაგვარად გამოყენებული იყო ქართული დამწერლობის პრინციპი — ასოები სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაგვარად არ იკითხებოდა. საყურადღებოა, რომ იმავე დროს, როცა პ. უსლარი წერდა აფხაზური ენის გრამატიკულ მიმოხილვას, ამავე ენაზე პირველი საანბანო წიგნის შექმნაზე მუშაობდა ჯგუფი გენერალ ი. ბართოლომეის ხელმძღვანელობით, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება აფხაზური სიტყვების ჩასაწერად გამოყენებინა ქართული გრაფიკა. ამან პ. უსლარი საშინლად განარისხა და მისი ენერგიული ჩარევის შედეგად ი. ბართოლომეის ჯგუფი აიძულა, უარი ეთქვა თავის გადაწყვეტილებაზე და გამოყენებინა პ. უსლარის მიერ შედგენილი ახალი დამწერლობა რუსული გრაფიკის გამოყენებით (ი. ბართოლომეის ჯგუფის მიერ დაწერილი „აფხაზური ანბანი“ გამოიცა 1865 წელს).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალ აფხაზურ დამწერლობას პრაქტიკული გამოყენება თითქმის არ ჰქონია 1912 წლამდე, როცა დიმიტრი გულიამ თბილისში გამოსცა თავისი ლექსების პირველი კრებული, რითაც საფუძველი ჩაეყარა აფხაზური მხატვრული ლიტერატურის ისტორიას (აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ 1892 წელს რუსული ეკლესიის ხელმძღვანელობამ აფხაზეთში შექმნა მთარგმნელობითი კომისია, რომელმაც აფხაზურ ენაზე თარგმნა და გამოსცა რამდენიმე რელიგიური წიგნი). ამ მიზეზის გამო XIX საუკუნეში შეუძლებელი იყო საერო და სასულიერო განათლების ორგანიზება აფხაზურ ენაზე — ამ ენაზე არ არსებობდა სასწავლო ლიტერატურა, რომლის შესწავლაც შეეძლებოდათ აფხაზ მოსწავლეებს. ამგვარად, ხელოვნურად შეიქმნა დილემა: ხელისუფლება აცხადებდა, რომ რაკი აფხაზები ქართველები არ არიან, მათთვის ქართული ენის სწავლება და ქრისტიანული ღვთისმსახურების შესრულება ამ ენაზე

დაუშვებელია, აფხაზებს არც საკუთარი ორიგინალური ან თარგმნილი ლიტერატურა მოეპოვებათ, ამიტომ უპრიანია, აფხაზმა ბავშვებმა ისწავლონ და ილოცონ რუსულ ენაზე. რუსიფიკაციისა და „Divide et impera“-ს ეს კვინტესენცია არაერთ რუს მოხელეს გამოუთქვამს. დავიმოწმებთ ერთ-ერთის, ევგენი ვეიდენბაუმის გულახდილ გამოხატვას: „აფხაზური ენა, რომელსაც არა აქვს დამწერლობა და ლიტერატურა, რაღა თქმა უნდა, განწირულია მეტ-ნაკლებად ახლო მომავალში გასაქრობად. საკითხი ასე დგას: რომელი ენა შეცვლის მას? ცხადია, რომ [აფხაზურ - თ.გ.] მოსახლეობაში კულტურული იდეებისა და ცნებათა დამწერგავის როლი უნდა შეასრულოს არა ქართულმა, არამედ რუსულმა ენამ. ამიტომ მე მიმაჩნია, რომ აფხაზური დამწერლობის დაფუძნება თვითმიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ ის უნდა გახდეს ეკლესიისა და სკოლის მეშვეობით ქართული ენისადმი მოთხოვნის დასუსტებისა და მისი [ე.ი. ქართული ენის - თ.გ.] სახელმწიფო ენით [ე.ი. რუსულით - თ.გ.] შეცვლის იარაღი“ (გამახარია, გოგია, 1997: 720). სხვათა შორის, ე. ვეიდენბაუმს აქ უნებურად წამოსცდა, რომ აფხაზურ მოსახლეობაში ცარიზმის დროს დიდი იყო მოთხოვნის ქართული ენისადმი.

სწორედ ცარიზმის ჭეშმარიტი მიზნების ამოცნობა გვიწყობს ხელს იმის ახსნაში, თუ რატომ ახდენდა ცარიზმის ხელისუფლება ქართველ საერო და სასულიერო მოღვაწეთა იმ წინადადებების იგნორირებას, რომლებიც აფხაზეთში განათლებისა და ღვთისმსახურების აფხაზურ ენაზე წარმართვას გულისხმობდა. მაგალითად, ჯერ კიდევ მანამ, სანამ რუსეთი ოფიციალურად გააუქმებდა აფხაზეთის სამთავროს, მაგრამ მკაცრად აკონტროლებდა ვითარებას ამ რეგიონში, აფხაზეთის მთავრის პირადმა მოძღვარმა, ქართველმა დეკანოზმა იოანე იოსელიანმა რუსეთის ხელისუფლების წინაშე წამოჭრა საკითხი სოფ. ლიხნში, აფხაზეთის მთავრის რეზიდენციის ახლოს სასულიერო სასწავლებლის გახსნის შესახებ, სადაც აფხაზი ბავშვები სხვა საგნებთან ერთად დედაენასაც შეისწავლიდნენ, მაგრამ ამ პროექტს უარი ეთქვა. ანალოგიური წინადადება მოგვიანებითაც არაერთხელ დაისვა, მაგრამ საკითხი მუდამ გადაუჭრელი რჩებოდა. სხვა მაგალითი: დაახლოებით 100 წლის შემდეგ, XX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის ქართველი ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი) მომხრე იყო აფხაზურ ენაზე ლიტერატურის შექმნისა და ღვთისმსახურების დაწესებისა. იმავე წინადადებას აყენებდა დიდი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილიც, რომელიც 1907 წელს წერდა: „აფხაზეთის ზოგი კორესპონდენტი მტრულად ეპყრობა აფხაზურ ენაზე საღვთისმსახურო წიგნების თარგმნას და ამ ენაზე ღვთისმსახურების შესრულებას. ეს მეტისმეტად მაოცებს. მართალია, აფხაზეთი მრავალი საუკუნის მანძილზე შეადგენდა საქართველოს პოლიტიკური სხეულის ნაწილს, იქ ღვთისმსახურება სრულდებოდა ქართულ ენაზე და დამწერლობაც ქართული იყო თვით აფხაზთა სურვილისამებრ, მაგრამ უეჭველი ფაქტია, რომ აფხაზური ენა ქართული ენის კილო არ არის, არამედ დამოუკიდებელი ენაა, თუმცა ქართული ენის მონათესავე. როგორც დამოუკიდებელ ენას, მას უდავოდ აქვს უფლება თავის ღვთისმსახურებაზე, თავის დამწერლობაზე, თავის ხალხურ [ე.ი. ეროვნულ - თ.გ.] ლიტერატურაზე“.

ი. გოგებაშვილი იქვე მოუწოდებდა სოხუმელ ქართველებს, დახმარება გაეწიათ აფხაზი მოღვაწეებისათვის აფხაზური ენის სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენაში და თუ ამგვარი წიგნების სოხუმში გამოცემა გაუჭირდებოდათ, გადაეგზავნათ ტექსტი თბილისში, სადაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის გამგეობის წევრიც ი. გოგებაშვილი იყო, თავისი ხარჯით დაბეჭდავდა წიგნებს (გამახარია, 2005: 473-474). იმავე ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი ქართული საანბანო წიგნის „დედა ენის“ პრინციპები გამოიყენა აფხაზმა პედაგოგმა ანდრეი ჭოჭუამ აფხაზური საანბანო წიგნის შედგენისას. ბედის ირონიაა, რომ დღეს ი. გოგებაშვილი აფხაზ სეპარატისტებს „შავ სიაში“ ჰყავთ და მას სრულიად უსაფუძვლოდ აფხაზთა გაქართველების იდეოლოგიაში სდებენ ბრალს, ხოლო გენერალ პ. უსლარს ლამის ღმერთად წარმოაჩენენ.

ვეიქრობთ, აქ წარმოდგენილი მასალის საფუძველზე ობიექტური მკითხველი თავად განსჯის, თუ ვინ იყო აფხაზი ხალხის უანგარო მეგობარი და ვინ — მისი გადაჯიშების მოსურნე: პ. ზუბოვი, პ. უსლარი, ე. ვეიდენბაუმი, რუსეთის ხელისუფლება თუ დეკანოზი ი. იოსელიანი, ი. გოგებაშვილი, ეპისკოპოსი კირიონი, ეპისკოპოსები ალექსანდრე ოქროპირიძე და გაბრიელ ქიქოძე... (მათ ხელი შეუწყვეს ათასობით აფხაზის გაქრისტიანებას და ამით გადაარჩინეს ისინი აფხაზეთიდან დეპორტაციას), აფხაზეთში მოღვაწე ის ქართველები, რომლებიც XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე უანგაროდ დაეხმარნენ აფხაზ მოღვაწეებს აფხაზთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნაში და ამ საზოგადოების მუშაობის ფართოდ გაშლაში?

ზემოთ დასახელებული ფაქტების გათვალისწინებით შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გამოტანა:

1862 წელს აფხაზური ენისათვის დამწერლობის შექმნას, მართალია, ძალზე დიდი კულტუროლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა ამ ენის არსებობის ისტორიაში, მაგრამ ეს აქტი არ ყოფილა ამ ენის მატარებელი ეთნოსის ბუნებრივი ისტორიული განვითარებით გამოწვეული მოვლენა (როგორც მსოფლიოს ისტორია გვიჩვენებს, დამწერლობას ეთნოსი თავისი განვითარების მაღალი ეტაპის მიღწევის დროს ქმნის და ამას განაპირობებს თვით ამ ეთნოსის შინაგანი მოთხოვნილების ბუნებრივი სიმწიფე. აფხაზ ხალხს კი, კავკასიის სხვა მრავალი მცირერიცხოვანი ეთნოსის მსგავსად, არც XIX საუკუნეში და არც მანამდე არ ჰქონია მოთხოვნილება საკუთარი დამწერლობის შექმნისა — არ არსებობს არავითარი დოკუმენტი, რომელშიც ასახული იქნებოდა მსგავსი მოთხოვნილება). აფხაზური დამწერლობა შეიქმნა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებით და მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, აფხაზთა იზოლირებას ქართული კულტურული ველისაგან, მეორე მხრივ კი მათი საბოლოო გარუსებისათვის ნიადაგის შემზადებას რუსულ გრაფიკასთან და რუსულ ენასთან შეჩვევის გზით.

ამ დასკვნის მართებულობას, ზემოთ აღნიშნული გარემოებების გარდა, ადასტურებს ისიც, რომ ცარიზმის ხელისუფალნი ხშირად უარყოფდნენ აფხაზური დამწერლობის არსებობის ფაქტსაც კი; კრძალავდნენ აფხაზური

და ქართული ენების გამოყენებას აფხაზეთის სკოლებსა და ეკლესიებში; აძალებდნენ აფხაზეთსა და ქართველებს რუსულ ენაზე სწავლასა და ღვთისმსახურებას და ა.შ. მაგალითად, 1864 წელს „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებამ“ გამოცა „წესები სამრევლო სკოლების შესახებ“, რომელიც ამ საზოგადოების ეგიდით გახსნილ საეკლესიო-სამრევლო სკოლებს ნებას რთავდა, სწავლება წარემართათ დედაენაზეც, მიუხედავად ამისა, სამურზაყანოში (ამჟამინდელ გალის რაიონში), სადაც მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ, სწავლება ქართულ ენაზე მხოლოდ სამრევლო სკოლათა მცირე ნაწილშია მიმდინარეობდა, ხოლო დანარჩენ სკოლებში, აგრეთვე აფხაზეთის აფხაზურ სოფლებში ბავშვებს მათთვის სრულიად გაუგებარ რუსულ ენაზე ასწავლიდნენ, რასაც შედეგი არ მოჰქონდა.

1866 წელს რამდენიმე აფხაზური სოფლის სამრევლო სკოლებში შემოღებულ იქნა სწავლება აფხაზურ ენაზე, მაგრამ 1884 წელს „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებამ“ საერთოდ აკრძალა სამურზაყანო-აფხაზეთში სწავლება ქართულ და აფხაზურ ენებზე. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 1889 წლის 17 მარტის ბრძანებით, სოხუმის ოლქში, ე.ი. აფხაზეთ-სამურზაყანოს ეკლესიებსა და სამრევლო სკოლებში წირვა-ლოცვა და სწავლება უნდა წარმართულიყო მხოლოდ რუსულ ენაზე. მსგავსი აკრძალვები პერიოდულად მეორდებოდა ხოლმე შემდგომშიც: 1896, 1898 წლებში (ვრცლად იხ.: გვანცელაძე, ტაბიძე, შეროზია, ჭანტურია, 2001: 105-106; გამახარია, 2005: 669-672). რუსეთის საერო და საეკლესიო ხელისუფლება ამ აკრძალვებს ასეთი „ლოგიკით“ ამართლებდა:

1868 წლის ოფიციალური გადაწყვეტილებით აფხაზური ენა განუვითარებელ ენად გამოცხადდა, მას არა აქვს დამწერლობა, ამ ენაზე არ არსებობს არც რელიგიური და არც საერო ლიტერატურა, ამიტომ აფხაზები უნდა სწავლობდნენ და ლოცულობდნენ რუსულად, ანუ სახელმწიფო ენაზე. აფხაზები არ არიან ქართველები, ე.ი. მათ არ სჭირდებათ არც ამ ენის შესწავლა და არც ქართულად ლოცვა. რაც შეეხება სამურზაყანოს მოსახლეობას, ისინი, იმპერიის იდეოლოგთა აზრით, ქართველები კი არა, აფხაზები არიან და რაკი ასეა, არც მათ სჭირდებათ ქართული ენის შესწავლა და ამ ენაზე ლოცვა, ამიტომ სამურზაყანოელებმაც, აფხაზთა მსგავსად, უნდა ისწავლონ და ილოცონ რუსულადო. რა თქმა უნდა, დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმის მიხედვრას, რომ ამგვარი „ლოგიკით“ იმპერია აფხაზეთ-სამურზაყანოს აფხაზური და ქართული მოსახლეობის ერთბაშად გარუსებას ცდილობდა.

სამწუხაროდ, 1878 წლის მასობრივი დეპორტაციის შემდეგ აფხაზეთის უმცირესობად ქცეულ აფხაზებს, რომლებიც ორ რეზერვაციაში იყვნენ შემორჩენილნი, ოფიციალურად ჰქონდათ მინიჭებული „დამნაშავე ხალხის“ სტატუსი, ეკრძალებოდათ მაგისტრალებისა და ზღვის სიახლოვეს ცხოვრება, თითქმის არ ჰყავდათ ინტელიგენცია და ლიდერები, არ შეეძლოთ სერიოზული წინააღმდეგობა გაეწიათ იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკისათვის. ამიტომ როგორც საკუთარი, ისე აფხაზი ხალხის ეროვნულ-ენობრივ-რელიგიურ-კულტურული იდენტობის გადარჩენისათვის

ბრძოლის სიმძიმე აფხაზეთ-სამურზაყანოში მცხოვრებმა ქართველმა ლიდერებმა იკისრეს:

როცა 1898 წლის 17 მარტს საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ № 2771 ბრძანებულებით კვლავ აკრძალა ღვთისმსახურება და სწავლება ქართულ ენაზე სოხუმის ოლქის ეკლესიებსა და სამრევლო სკოლებში, ამას აფხაზეთ-სამურზაყანოს ქართული მოსახლეობის იმდენად მძლავრი პროტესტი მოჰყვა, რომ ამ ამბავმა თვით რუსეთის იმპერატორის ყურამდევც კი მიაღწია. იმპერატორმა საკითხის გადაწყვეტა რუსეთის ეკლესიის უწმინდეს სინოდს დაავალა. სინოდმა 1898 წლის 3 სექტემბერს გამოსცა № 4880 ბრძანებულება, რომლითაც განისაზღვრა, რომ სოხუმის ოლქის იმ სამრევლოებში, სადაც მრევლი მეგრული, ე.ი. ქართული იყო, ღვთისმსახურებაც და სასულიერო განათლებაც უნდა წარმართულიყო ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზურ სამრევლოებში... ძველ სლავურ ენაზე. ეს ბრძანებულება სოხუმის ოლქის 42 სამრევლოდან მხოლოდ 3-ში შესრულდა, რასაც სოხუმის ეპარქიის ხელმძღვანელობა ზემოთ მოყვანილი „ლოგიკით“ ამართლებდა. ქართველი მოღვაწეები არ შეპყვებიან ბედს და განაგრძეს ბრძოლა. ერთ-ერთმა მათგანმა, თედო სახოკიამ შეძლო პეტერბურგის გაზეთ „სანქტ-პეტერბურგსკია ვედომოსტი“-ში საპროტესტო სტატიის გამოქვეყნებაც კი, რომელშიც ავტორი იცავდა როგორც ქართველი, ისე აფხაზი მოსახლეობის ინტერესებს და მოითხოვდა ღვთისმსახურებასა და სწავლებაში აფხაზური და ქართული ენების დანერგვას. საპასუხოდ ხელისუფლებამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა პირადად თ. სახოკიასა და მისი ხელმძღვანელობით აფხაზეთში მოქმედი „ქართული პარტიის“ ლიდერთა წინააღმდეგ, რის შედეგადაც 1904 წლის 1 მაისს კავკასიის მთავარმმართველის საბჭომ „დამნაშავე“ 8 პირს კავკასიიდან უვადო გასახლება მიუსაჯა (ვრცლად იხ.: სილაგაძე, გურული, 1999). ამ საქმის ძიების დროს ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორი გერმელმანი უმაღლესი ხელისუფლებისაგან ითხოვდა ნებართვას, რათა სოხუმის ოლქის მოსახლეობის გარუსების დაჩქარების მიზნით, იმ სამრევლოებში, სადაც ცხოვრობდნენ აფხაზები და სამურზაყანოელები (ე.ი. ქართველები), გაემწესებინათ მხოლოდ რუსი, ან, უკიდურეს შემთხვევაში, აფხაზი სასულიერო პირები; რუსებით შეეცვალათ ოლქში მოღვაწე ქართველი მასწავლებლები, ხოლო ქართველი სასულიერო პირები და პედაგოგები გაეძევებინათ რეგიონიდან (სილაგაძე, გურული, 1999, დოკუმენტი № 2, გვ. 83-84).

მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ აფხაზეთში განხორციელებული ენობრივი პოლიტიკის მთავარი მახასიათებლები მისი აგრესიულობა და რუსიფიკატორული ბუნება იყო. ამ პოლიტიკის შედეგი გახლდათ ის, რომ უკვე 1905-1907 წლების რევოლუციის დროისათვის გაჩნდა დაპირისპირების პირველი ნიშნები რეგიონის აფხაზურ და ქართულ მოსახლეობას შორის: აფხაზთა ნაწილმა ირწმუნა, რომ ქართველები მათ მშობლიურ მიწას ედავებიან და სურთ აფხაზთა გაქართველება; მათ აიტაცეს რუსი იდეოლოგების მიერ შექმნილი „სამეცნიერო თეორია“, რომლის თანახმადაც აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველებს არასოდეს უცხოვრიათ XIX საუკუნემდე; გაჩნდა ქართველის, როგორც აფხაზთა დაუძინებელი

მტრის, მითოლოგიზებული სახე; შეიქმნა დამლუბველი ლოზუნგი: „სჯობს ზღვამ ჩაგყლაპოს, ვიდრე ნაკადულმა“, რომელშიც „ზღვა“ რუსეთს გულისხმობს, „ნაკადული“ კი — საქართველოს; გავრცელდა ნიჰილისტური დამოკიდებულება აფხაზი ხალხის, აფხაზური ენისა და კულტურის მომავლის მიმართ. ასეთ ვითარებაში დაემხო ცარიზმი. ბუნებრივია, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ხანმოკლე პერიოდში (1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის თებერვლამდე) შეუძლებელი იყო ცარიზმის დანატოვარი უკიდურესად მძიმე ვითარების საფუძვლიანად შეცვლა, მით უმეტეს, რომ როგორც საბჭოთა რუსეთი, ისე მისი მოწინააღმდეგე ძალები ერთნაირი მონდომებით ერეოდნენ საქართველოს საშინაო საქმეებში და ცდილობდნენ აფხაზეთში არეულობასა და ეროვნებათმორისი შუღლის გაღვივებას. ამ ეტაპზე გაჩნდნენ სეპარატიზმის იდეოლოგებიც (ს. ბასარია, ს. აშხვაწაა, ს. ჭანბა...), თუმცა ჯერ კიდევ დიდი იყო იმ აფხაზთა რაოდენობაც, ვინც მომხრე იყო ტრადიციული აფხაზურ-ქართული კეთილი ურთიერთობის შენარჩუნებისა და ვისაც ესმოდა, რომ რუსეთის შემადგენლობაში აფხაზ ხალხს კარგი არაფერი ელოდა (გიორგი შარვაშიძე, ვარლამ შარვაშიძე, ვიანორ ანჩაბაძე...). მიუხედავად არსებული სიძნელეებისა და მცირე დროისა, 1918-1921 წლებს შორის აფხაზეთში მაინც მოხერხდა რამდენიმე სასიკეთო ენობრივი ღონისძიების განხორციელება, კერძოდ, 1919 წელს დ. გულიას თაოსნობით დაარსდა პირველი აფხაზურენოვანი გაზეთი „აფსნი“ („აფხაზეთი“), დაიწყო მზადება აფხაზურ სკოლებში აფხაზური ენის სწავლების გასაუმჯობესებლად, აფხაზურ ენაზე დაიდგა რამდენიმე სპექტაკლი და ა.შ.

1921 წლის 4 მარტს აფხაზეთშიც დამყარდა საბჭოთა რეჟიმი, რომელმაც მაშინვე დაიწყო აქტიური მუშაობა რეგიონის აფხაზური და ქართული მოსახლეობის გადასამტერებლად და მათ გასარუსებლად. სხვა ღონისძიებებთან ერთად ახალი ტიპის იმპერია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა პროვოკაციულ-მადენაციონალიზებელი ენობრივი პოლიტიკის გატარებას. იმპერიის არსენალში ახალ მეთოდებთან ერთად ცარიზმისეულ მოდიფიცირებულ ხერხებსაც დიდი ადგილი ეჭირათ. კერძოდ, მთელ საბჭოთა კავშირში წამყვანი მეთოდები იყო: 1. შედარებით მრავალრიცხოვან ეთნოსთა დანაწევრება ყალბი ენობრივი და ეთნიკური ნიშნების მიხედვით; 2. რეგიონთა თვითნებური ავტონომიზაცია და ეთნოსთა შორის კონფლიქტის მაპროვოცირებელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა; 3. ენათა სამართლებრივი სტატუსის პრობლემის გააქტიურება პოლიეთნიკურ რეგიონებში; 4. ე.წ. ეროვნული, რეალურად კი რუსული სკოლების შექმნა; 5. დამწერლობის მქონე ენათა გრაფიკული საფუძვლების ცვლა (ჯერ მათი ლათინიზაცია, შემდგომ კი რუსიფიკაცია); 6. რუსული ენის იძულებითი თავსმოხვევა საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობისათვის, ეროვნულ-რუსული ბილინგვიზმის საფეხურის გავლით რუსული მონოლინგვიზმის მასობრივად გავრცელების მცდელობა; 7. არარუსულ ენებში რუსიზმების, სოვეტიზმებისა და ინტერნაციონალიზმების პროცენტული შემადგენლობის ხელოვნურად ზრდის წახალისება; 8. „ტოპონიმიკურ-ონომასტიკური და ისტორიოგრაფიული ომების“ პროვოცირება მეზობლად მცხოვრებ ეთნოსთა შორის; 9. ეთნიკური რუსებისა და ე.წ. რუსულენო-

ვანი მოსახლეობის ჩასახლება სხვა ეთნოსის/ეთნოსთა მიწაზე და რეგიონთა პოლიეთნიკურობის წახალისება; 10. მასმედიაში რუსული ენის პრიორიტეტულობის მიღწევა; 11. ეროვნულ ენებზე შექმნილი ლიტერატურის ტირაჟის შეზღუდვა; 12. მთელი ეთნოსების ოფიციალურად გამოცხადება „დამნაშავე ხალხებად“ და მათი დეპორტირება მშობლიური ადგილებიდან და მრავალი სხვა. საბჭოთა პერიოდში პრაქტიკულად ყველა ეს მეთოდი და ხერხი გამოიყენებოდა აფხაზეთშიც. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ რეგიონში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აფხაზი და ქართველი მოსახლეობის **მონაცვლებითი პრივილეგიების ტაქტიკასაც**, რაც გამსჭვალავდა ყველა ზემოთ დასახელებულ ხერხს. ეს ტაქტიკა საშუალებას აძლევდა მეტროპოლიას, მუდმივად შეენარჩუნებინა დაძაბულობა ამ ორ ეთნოსს შორის და გამოერიცხა მათი გაერთიანება იმპერიული პოლიტიკისაგან თავის დასაცავად.

საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარებამდე 4 დღით ადრე, 1921 წლის 21 თებერვალს ქვეყნის კანონიერმა ხელისუფლებამ მოასწრო დემიტკიციებინა კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც სოხუმის ოლქს (ამჟამინდელ აფხაზეთს) მიენიჭა ავტონომიის სტატუსი, ამით საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებას აღარ დარჩა საფუძველი, ბრალი დაედო კანონიერი ხელისუფლებისათვის აფხაზი ხალხის უფლების შელახვაში, მაგრამ კომუნისტებმა მაინც სცადეს, „ეჯობნათ“ ევროპაში ემიგრირებული ხელისუფლებისათვის და სრულიად უსაფუძვლოდ შექმნეს აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელსაც რეალურად ავტონომიური რესპუბლიკის უფლებები ჰქონდა 1931 წლამდე. აფხაზეთის სსრ-ს შექმნით წააქეზეს აფხაზი სეპარატისტები და გაანაწყენეს ქართველი მოსახლეობა, ვინაიდან ამის შემდგომ ერთი ნაბიჯი რჩებოდა რეგიონის საქართველოსაგან მთლიანად ჩამოცილებამდე. არსებობდა ასეთი გეგმაც: გენერალი სიტინი ურჩევდა კრემლს, შეეერთებინა აფხაზეთი ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე მთიელთა რესპუბლიკისათვის, რომელიც რსფსრ-ს ავტონომია იყო (იხ.: გამახარია, გოგია, 1997: 470-472). 1931 წელს აფხაზეთის სსრ-ს მოსკოვმა დაუქვეითა სტატუსი და ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად გადააქცია, რითაც ამჭერად უკვე აფხაზები განაწყენდნენ და ზოგ სეპარატისტს დღემდე ჰკონია, თითქოს ამაში დამნაშავენი ქართველები არიან.

სხვა მაგალითი: XX საუკუნის 20-იან წლებში მთელ საბჭოთა კავშირში დაიწყო მასობრივი კამპანია ახალდამწერლობიან ენათა ლათინურ გრაფიკაზე გადასაყვანად. მისი მიზანი იყო, ერთი მხრივ, მაჰმადიან ხალხთა ენებისათვის მანამდე გამოყენებული არაბული გრაფიკის (აჯამ-ის) გაუქმება და, მეორე მხრივ, ტაქტიკური მანევრის შესრულება საიმისოდ, რომ დაერწმუნებინათ ეს ხალხები, გარუსებას არ გიპირებთო. ანბანთა მასობრივი ლათინიზაცია გაგრძელდა 1936 წლამდე, რის შემდგომაც ერთხელ უკვე ლათინიზებული ენები მასობრივად გადაიყვანეს რუსულ გრაფიკაზე (კირილიცაზე). ლათინიზაციის პროცესი შეეხო აფხაზურ ენასაც: იგი 1926 წელს გადაიყვანეს აკად. ნ. მარის მიერ შედგენილ „ანალიზურ ანბანზე“, 1928 წელს — პროფ. ნ. იაკოვლევის უნიფიცირებულ ლათინიზებულ ანბანზე, ხოლო 1938 წელს, როცა მასობრივად მიმდინარე-

ობდა ახალდამწერლობიან ენათა გადაყვანა კირილიცაზე, აფხაზური ენა საქართველოში გავრცელებულ ოსურ ენასთან ერთად რუსული გრაფიკის ნაცვლად ქართულ გრაფიკაზე გადაიყვანეს. ბუნებრივია, ასეთ პირობებში აფხაზური ენის გადაყვანა ქართულ გრაფიკაზე საქმის დეტალების უცოდინარ მასას მაშინაც უქმნიდა და ახლაც უქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ეს აქტი ქართველთა დაგეგმილი იყო და აფხაზთა ასიმილაციას ისახავდა მიზნად. მაგრამ საკითხის რეალური ისტორიის მკოდნე სპეციალისტთათვის სრულიად ნათელია, რომ ეს ღონისძიებაც მოსკოვში, ახალი ანბანის ცენტრალურ კომიტეტში დაიგეგმა და მისივე მეთვალყურეობით განხორციელდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. ამ აქტს წინ უძღოდა მეტროპოლიის უმაღლესი ხელისუფლების მიერ 30-იანი წლების შუა ხანებში საგანგებოდ მიღებული ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც „მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალ „ავტონომიების სატიტულო ერთა“ და ავტონომიის არმქონე ეთნოსთა ენები ლათინიზებული დამწერლობიდან უნდა გადაყვანილიყო იმავე გრაფიკაზე, რომელიც საფუძვლად ედო შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის „სატიტულო ერის“ ენას. გამომდინარე იქიდან, რომ მთელ სსრკ-ში რუსულისაგან განსხვავებული გრაფიკა ჰქონდათ მხოლოდ ქართულ და სომხურ ენებს, ანბანთა რუსიფიკაციის დროს ქართულ გრაფიკაზე გადაიყვანეს აფხაზური ენა და ოსური ენის სამხრეთული ვარიანტი, სომხეთში კი სომხურ გრაფიკაზე გადაყვანილ იქნა ქურთული ენა (ვრცლად იხ.: ნარკვევები, 2007: 324-327). მთავარი აქ ისაა, რომ იმპერიამ მოხერხებულად მიაღწია ამ საკითხთან დაკავშირებით აფხაზთა უკმაყოფილების წარმართვას ქართველთა მისამართით.

აფხაზი სეპარატისტები განსაკუთრებით ხშირად ასახელებენ კიდევ ერთ ფაქტს, რომელიც, მათი აზრით, ყველაზე ცხადად აჩვენებს ქართველთა მოძალადეობას: თურმე ქართველებმა 40-იანი წლების ბოლოს დახურეს აფხაზური სკოლები, აკრძალეს აფხაზური ენის სწავლება და აფხაზ ბავშვებს ძალდატანებით ასწავლიდნენ ქართულ ენას. კონკრეტული ისტორიული ფაქტები კი გვიკარნახებენ, რომ აფხაზური სკოლების დახურვა უბრალოდ შეუძლებელი იყო, ვინაიდან **ისეთი ინსტიტუტი, როგორცაა აფხაზური სკოლა, სამწუხაროდ, არასოდეს არსებულა არც აფხაზეთის სამთავროს არსებობის დროს, არც ცარიზმის ხანაში, არც საბჭოთა პერიოდში და, რაც ყველაზე გაუგებარია, არც არსებობს არც ამჟამად — ე.წ. დამოუკიდებელ აფხაზეთში.** არარსებულს კი ვერავინ გააუქმებს! საქმე ისაა, რომ ის სკოლა, რომელიც მოქმედებდა XX საუკუნის 40-იან წლებამდე და მოქმედებს 50-იანი წლებიდან დღემდე, **რეალურად რუსულენოვანი სკოლაა აფხაზური ენის სწავლების ელემენტებითურთ:** მის პირველ საფეხურზე (I-III კლასებში) დისციპლინათა უმრავლესობა ისწავლება აფხაზურ ენაზე რუსული ენის გაძლიერებული სწავლების თანხლებით, მეორე და მესამე საფეხურებზე კი (IV კლასიდან) ყველა ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური დისციპლინა (ისტორია, გეოგრაფია, ბოტანიკა, ზოოლოგია, ალგებრა, ფიზიკა, ქიმია და ა.შ.) ისწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე, გამონაკლისს ქმნის 2 დისციპლინა: აფხაზური ენა და აფხაზური ლიტერატურა, რომლებიც აფხაზურ

ენაზევე ისწავლება. 1945 წელს ე.წ. აფხაზურ სკოლებში არ გაუქმებულა აფხაზური ენისა და ლიტერატურის სწავლება, ქართულმა ენამ მხოლოდ რუსული ენის ადგილი დაიკავა, რაც ქართველთა მოძალადეობის კი არა, საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს 1938 წლის გადაწყვეტილების 7 წლის დაგვიანებით შესრულების შედეგი იყო. დადგენილებაში კი ეწერა: „...აუცილებელია, განსაკუთრებული ეროვნული სკოლების რეორგანიზაცია მოხდეს ჩვეულებრივი ტიპის საბჭოთა სახელმძღვანელოებსა და სასწავლო პროგრამებზე მათი გადაყვანის გზით, **შესაბამისი რესპუბლიკის ენაზე** ან რუსულ ენაზე **სწავლების შემოღებით**“ (იხ.: ნარკვევები, 2007: 327). ასე რომ, ამ შემთხვევაშიც სეპარატისტთა ბრალდება უმართებულოა, თუმცა იმპერიამ თავის მიზანს ამჯერადაც მიაღწია: სეპარატისტებსაც და, სამწუხაროდ, არასეპარატისტებსაც ჰგონიათ, თითქოს ისეთი ფაქტი, როგორცაა აფხაზური სკოლის გაუქმება, მართლაც მომხდარიყოს.

ამჯერად ამით შემოვიფარგლოთ და ვუპასუხოთ მთავარ კითხვას: **რა შედეგები მოუტანა აფხაზ ხალხს თითქმის ორი საუკუნის მანძილზე მეფის რუსეთისა და საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებულმა ენობრივმა პოლიტიკამ?**

დავიწყოთ **დადებითი** მხარით:

ა) უდავოდ მნიშვნელოვანი იყო აფხაზური ენისათვის დამწერლობის შექმნა, მიუხედავად ამ აქტის პოლიტიკური მიზნებისა;

ბ) მისასაღმებელი იყო 1912 წელს აფხაზურ ენაზე დაწერილი პირველი ორიგინალური თხზულებების გამოცემა და ამით აფხაზური მხატვრული ლიტერატურისათვის საფუძვლის ჩაყრა, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ რუსეთის ხელისუფლებას ამ აქციაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია;

გ) უეჭველად კარგი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე აფხაზი მოსახლეობისათვის სასკოლო განათლების მასობრივად მიღების შესაძლებლობის შექმნა, სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემა და მოგვიანებით სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოლოგიური ფაკულტეტის აფხაზური სექტორის გახსნა;

დ) დადებითად უნდა შეფასდეს აფხაზურ ენაზე ჟურნალ-გაზეთებისა და სხვადასხვა შინაარსის ორიგინალური თუ თარგმნილი ლიტერატურის გამოცემა სახელმწიფოს ხარჯზე;

ე) მნიშვნელოვანი იყო აფხაზური თეატრის დაარსება და რადიოსა და ტელევიზიის აფხაზური რედაქციების შექმნა და ა.შ.

გაცილებით მეტი და მძიმეა ის **ურყოფითი** შედეგები, რაც აფხაზ ხალხს მოუტანა თითქმის 200-წლიანმა იმპერიულმა ენობრივმა პოლიტიკამ. აქ მხოლოდ ყველაზე არსებით საკითხებზე გავამახვილებთ ყურადღებას:

ა) აფხაზური ენა, კულტურა და იდენტობა თითქმის მთლიანად მოსწყდა ქართულ ენას, კულტურასა და იდენტობას, რომლებიც არანაირ საფრთხეს არ უქმნიდნენ აფხაზ ხალხს, ვინაიდან არცერთ ქართველს არასოდეს დაუგეგმავს აფხაზთა ასიმილირება. სამაგიეროდ აფხაზური ენა, კულტურა და იდენტობა აღმოჩნდა რუსული ენის, კულტურისა და იდენტობის გულდასმით დაგეგმილი აგრესიის სამიზნე, რაც, თუ კვლავაც ასე

გაგრძელდა, თვით აფხაზი ხალხის არსებობას აყენებს უეჭველი გაქრობის საფრთხის ქვეშ;

ბ) ე.წ. აფხაზურმა სკოლამ, რომელიც რეალურად რუსულია და რუსიფიკაციის მძლავრ იარაღსაც წარმოადგენს, შეაჩვია მრავალი თაობა რუსულ მსოფლხატა სისტემას და მოსწყვიტა ისინი ეროვნულ ფესვებს. ამჟამინდელ აფხაზთა უმრავლესობა არ კითხულობს დედაენაზე არც ჟურნალ-გაზეთებს და არც მხატვრულ ლიტერატურას, არ უსმენს რადიოგადაცემებს, არ უყურებს აფხაზურენოვან ტელეგადაცემებს, დასცინის საკუთარი დედაენის სპეციფიკურ თავისებურებებს, არ შეუძლია აფხაზურ ენაზე ისაუბროს ბუნებისმეტყველების, ტექნიკური და სხვა საკითხების შესახებ. ისინი ამჟამინდებენ რუსულ ენაზე წერას, კითხვას, მსჯელობას თვით ყოველდღიურ, საყოფაცხოვრებო საკითხთა შესახებაც კი.

გ) ელცინის ხელისუფლების მიერ ინსპირირებული და შევარდნაძე-არძინბას დანაშაულებრივი კლანების მიერ 1992-1993 წლებში განხორციელებული ომის შედეგად და უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობის მიზეზით ამჟამად აფხაზეთში დაახლოებით 50 ათასი აფხაზი თუ ცხოვრობს, რაც ასევე, საფრთხეს უქმნის აფხაზი ხალხის, აფხაზური ენისა და კულტურის მომავალს.

დ) მართალია, აფხაზურ ენას 1925 წლიდან აქვს ოფიციალურად მინიჭებული სახელმწიფო ენის სტატუსი, მაგრამ არც მას და არც ქართულ ენას რეალურად არასოდეს შეუძრულებიათ ამ სტატუსიდან გამომდინარე ფუნქციები. აფხაზური ენა დღემდე რჩება არაპრესტიჟულ ენად და იგი მხოლოდ მონოეთნიკურ სოციუმში გამოიყენება ძალზე შეზღუდულად. ყველაზე საგანგაშო ის არის, რომ ამ ენას აღარც სწავლობს და აღარც იყენებს აფხაზი ახალგაზრდობა. თვით სოფლებშიც კი, სადაც წესით ყველაზე უკეთ უნდა იყოს დაცული ენის ეკოლოგია და ბუნებრივი იერსახე, ახალგაზრდობა სათანადოდ ვერ ფლობს დედაენას და ლაპარაკობს რუსულ-აფხაზურ კონგლომერატზე.

ე) ის კვაზისახელმწიფო, რომლის მოჩვენებითი დამოუკიდებლობა პროფოკაციულად აღიარა პუტინ-მედვედევის რუსეთმა, პრაქტიკულად არანაირად არ ზრუნავს აფხაზური ენის ფუნქციონირების არის გასაფართოებლად და აფხაზი მოსახლეობის თვალში მისი პრესტიჟის ასამაღლებლად, ბაგაფშის ფსევდოხელისუფლება ვერ ბედავს და ვერც მომავალში გაბედავს ამ საკითხების გადაწყვეტაზე სერიოზულ მუშაობას, ვინაიდან მას ამის ნებას არ დართავს მოსკოვი — ამით ხომ კრემლს წყალში ჩაეყრება ორი საუკუნის მანძილზე რეგიონში გატარებული ენობრივი პოლიტიკის შედეგები, თანაც საკუთარი ენების უფლებათა დაცვასაც მოსთხოვენ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები?!

დამოწმებული ლიტერატურა:

გამახარია, 2005 — ჯ. გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (I ს. — 1921 წ.). თბილისი, 2005.

გამახარია, გოგია, 1997 — ჯ. გამახარია, ბ. გოგია, აფხაზეთი — საქართველოს ისტორიული ოლქი (ისტორიოგრაფია, დოკუმენტები და

მასალები, კომენტარები). უძველესი დროიდან XX საუკუნის 30-იან წლებამდე. თბილისი, 1997 (რუსულ ენაზე).

გვანცელაძე, ტაბიძე, შეროზია, ჭანტურია, 2001 — თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია, ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების ენა, როგორც რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელების საშუალება. — კრებული „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. V, ქუთაისი, 2001.

ნარკვევები, 2007 — ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი. უძველესი დროიდან დღემდე. თბილისი, 2007.

სილაგაძე, გურული, 1999 — ა. სილაგაძე, ვ. გურული, საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან. ნაკვეთი II. თედო სახოკიას ქართული პარტია აფხაზეთში (1895-1904). თბილისი, 1999.

საქართველოს გეოპოლიტიკური სტრატეგიის
რამდენიმე ასპექტი
(ქართველოლოგიის პოლიტიზების საკითხისათვის)

შესავალი

ყველა ნორმალურ ქვეყანას აქვს თავისი გეოსტრატეგია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება გეოპოლიტიკური ინტერესები; ამ უკანასკნელის მიხედვით ხდება გეოპოლიტიკური ძლიერების განსაზღვრა და სტრატეგიის შემუშავება. ჭარბი ამბიციის მქონე ზოგი ხელისუფლება თავის სტრატეგიას აგებს სხვა ქვეყანათა თუ ხალხთა სასიცოცხლო ინტერესების საზიანოდ.

ტრადიციულად, ძირითად გეოპოლიტიკურ სიმძლავრებად მიიჩნევა: მოცემული მიწა-წყლის სტრატეგიული ღირებულება, საზოგადოების/ქვეყნის უნარიანობა და მოსახლეობის თვითაღქმა (ზოგადად, დემოგრაფიული მოცემულობა).

მდრ., ქვეყნის გეოპოლიტიკური სიმძლავრების ძირითად კრიტერიუმებად ითვლება: სტრატეგიული ტერიტორია, ზღვაზე გასასვლელი, ბუნებრივი რესურსები (წიაღისეული, მტკნარი წყლის მარაგი...), ფინანსური სიძლიერე, ეკონომიკისა და ტექნიკის განვითარების დონე, პოლიტიკური სტაბილურობა, სოციალური ინტეგრაციის დონე, მოსახლეობის რაოდენობა, ეთნიკური ერთგვაროვნება და ეროვნული ცნობიერება.

აგრესიული გეოპოლიტიკური მოთამაშენი საინტერესო რეგიონების ხანგრძლივი პერსპექტივით კონტროლისათვის, როგორც წესი, პირველ რიგში ცდილობენ, სათავესოდ შეცვალონ მათთვის “საინტერესო” რეგიონის დემოგრაფია. გეგმა ორგვარი შეიძლება იყოს: ბარბაროსული ფორმის გენოციდი; შედარებით ცივილიზებულია - **საზოგადოებრივი აზრის მართვა**.

გეოპოლიტიკური ინტერესების გამო საზოგადოებრივი აზრის მართვა ორი მიმართულებით ხდება:

- გეოპოლიტიკურად საინტერესო რეგიონის მოსახლეობის თვითაღქმის რეგულირება;

- გეოპოლიტიკურად საინტერესო რეგიონის მოსახლეობის შესახებ დანარჩენი მსოფლიოს დამოკიდებულების მართვა (დეზინფორმირების გზით).

წარმოდგენილ მოხსენებაში გავანალიზებთ ჰუმანიტარული დარგის მეცნიერების გამოყენებით საქართველოს მოსახლეობის განწყობისა და ქართველი ერის მიმართ მსოფლიოს სხვა ხალხების დამოკიდებულების მართვის რუსულ სქემებს.

პირველ რიგში, თვალის ერთი გადავლებით საქართველოს ისტორია გეოპოლიტიკურ ჭრილში.

გეოპოლიტიკური რეტროსპექცია: ევრაზია, კავკასია

მსოფლიოს გეოპოლიტიკურ სივრცეში ცენტრალური ადგილი უჭირავს

ევრაზიას; ევრაზიაში ერთ-ერთი გამოჩენილად სტრატეგიული რეგიონია კავკასია; კავკასიაში კი საქართველო - თანამედროვე საზღვაო, სახმელეთო და ენერგორესურსების მაგისტრალების თავმოყრის ადგილი.

სხვადასხვა დროში საქართველოსთვის იბრძოდნენ: სპარსეთი, ბიზანტია, არაბეთი, მონღოლეთი, ოსმალეთი, რუსეთი...

რეგიონის გეოპოლიტიკური სივრცისთვის ძველთაგანვე განუზომელი როლი ჰქონდა კავკასიონს, როგორც ბუნებრივ საზღვარს; შდრ., მაგალითად, ძველი ლათინების აზრით, **კავკასიონი არის მიჯნა ცივილიზებულ და ბარბაროსულ სამყაროებს შორის** (პლინიუსი).

ქართველები კავკასიის ავტოქთონი მოსახლეობაა. ოდითგანვე კავკასიონის მთავარ უღელტეხილებსა და ამიერკავკასიის სხვა ძირითად მაგისტრალებს ქართველთა სახელმწიფო აკონტროლებდა; გარდა ამისა, საქართველო პირველი საუკუნეებიდან დღემდე არის ქრისტიანული კულტურისა და ცნობიერების ავანპოსტი. ფაქტობრივად, ეს ორი გამოკვეთილი ფუნქცია განაპირობებს ქართული სახელმწიფოს **რეგიონალურ არსს**.

სხვადასხვა იმპერიები მუდამ ცდილობდნენ საქართველოს „შეზიარებოდნენ“ ამ კონტროლის განხორციელებაში; იშვიათად ყოფილა ისეთი დროც, როცა ქართულ სახელმწიფოს წართმეული ჰქონდა ეს ისტორიული როლი; კერძოდ, 1801 წლიდან 1990 წლამდე საქართველოს გეოპოლიტიკურ სიმძლავრეებს ფაქტობრივად მართავდა რუსეთი.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში დასავლეთთან გეოპოლიტიკურ ჭიდილში სუსტდება რუსეთის იმპერია (საბჭოთა კავშირი). ამ ფონზე საქართველოში ძლიერდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით ლეგიტიმური გზით საქართველოს ხელისუფლებაშიც მოდის. კანონიერად არჩეულმა ხელისუფლებამ 1991 წლის **31 მარტის საერთო-სახალხო რეფერენდუმის საფუძველზე** 1991 წლის 9 აპრილს აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა.

დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშენი დადგნენ ფაქტის წინაშე: საქართველომ დღის წესრიგში დააყენა კავკასიის რეგიონში გეოპოლიტიკური სიტუაციის შეცვლის აუცილებლობა. კერძოდ, საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობამ 1991 წლის 9 აპრილის „დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით“ მთელ მსოფლიოს აჩვენა: **ერთიან საქართველოს სურს, თავად აკონტროლოს საკუთარი გეოპოლიტიკური სივრცე**. პარალელურად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოში მყოფი **რუსეთის ჯარი ოკუპანტად გამოაცხადა**.

ამიერკავკასია რუსეთის აგრესიული გეოპოლიტიკური სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა; ბუნებრივია, არც 1991 წელს რუსეთი არ შეეგუა საქართველოდან წასვლის პერსპექტივას. მიუხედავად წარმატებული რეფერენდუმისა და დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის გამოცხადებისა, 1991-93 წლებში საქართველო აიძულეს მიანიც რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეში დარჩენილიყო; კერძოდ:

მაღტის შეთანხმების (03.12.1989) შემდეგ, აღმოსავლეთი ევროპა და ბალტიის ქვეყნები მოექცა დასავლეთის გეოპოლიტიკურ ველში, კავკასია, უკრაინა, ბელორუსია, მოლდოვა და შუა აზია კი დარჩა რუსეთის

ფაქტობრივ მფლობელობაში¹.

1991-1992 წლების მიჯნაზე საქართველოში ძალადობით იცვლება კანონიერი ხელისუფლება; “თავისად“ დატოვებულ გეოპოლიტიკურ სივრცეში რუსეთმა იარაღის ძალით დაამხო ასევე აზერბაიჯანისა და იჩქერიის კანონიერი ხელისუფლებები². შემდეგ, აფხაზეთისა და ცხინვალის მხარეში **კონფლიქტების პროვოცირებით** რუსეთის სამხედრო შენაერთებმა ამ ისტორიული ქართული მიწებიდან განდევნა **ავტოქთონი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი** (ქართველები, კრემლის მოწინააღმდეგე აფხაზები...).

ამის მიუხედავად, შევარდნაძის ხელისუფლებამ საოკუპაციო ჯარის სტატუსი მოუხსნა რუსეთის სამხედრო შენაერთებს; მეტიც, **დამპყრობელი მეგობარ ქვეყნად გამოაცხადა** და რუსულ ჯარს ე.წ. ქართულ-“აფხაზური“, სინამდვილეში: ქართულ-რუსული კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო მისია დაეკისრა³.

1993 წლიდან კავკასიაში იწყება **რუსული ექსპანსიის ახალი ეტაპი**: გენოციდისა და კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ რუსული კაპიტალის დრო დგება: საქართველოს სტრატეგიულ სიმძლავრეებს ძირითადად რუსეთი ეუფლება.

დასავლეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ბათუმის მაგისტრალები; შდრ.:

ამერიკისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვის აღმოსავლეთი ევროპა უფრო ღირსებისა და უსაფრთხოების საკითხი იყო; შუა აზიის რესურსები და ამიერკავკასიის ენერგომატარებლები კი მათთვისაც და თურქეთისთვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა:

მხოლოდ ამიერკავკასიიდან რუსეთის გასვლის შემთხვევაში იქნება ევროპა ენერგეტიკულად დამოუკიდებელი.

შევარდნაძის ბოლო 10-წლიანი მმართველობის შემდეგ ამ და სხვა ფაქტორებმა მალევე განაპირობა ამიერკავკასიაში გეოპოლიტიკური ბალანსის გარკვეული კორექტირების აუცილებლობა:

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ მხარდაჭერით დასავლეთმა შესამჩნევად გააძლიერა საქართველოში ევროატლანტიკური ორიენტაციის ძალები; შედეგად, საქართველოს ხელისუფლების, როგორც გეოპოლიტიკური მოთამაშის როლი გაიზარდა; ამან რუსეთში კიდევ უფრო გააძლიერა ამიერკავკასიაზე გავლენის აღდგენის სურვილი; შედეგად მივიღეთ 2008 წლის აგვისტოს აგრესია - **რუსული რევანშის მორიგი ეტაპი**.

1 მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ტ. ფუტყარაძე, „რაცა დმერთსა არა სწადდეს, ანუ მიმდინარე პროცესების შესახებ“, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 28 სექტემბერი, 1991 წ.

2 აღსანიშნავია, რომ გარკვეული ძალები დღემდე ჩქმალავენ ამ მოვლენის არსს და საქართველოში კრემლის მიერ განხორციელებულ სამხედრო გადატრიალებას სამოქალაქო ომად“ ნათლავენ.

3 ე. შევარდნაძე საქართველოს საწინააღმდეგო ბევრ შეთანხმებაში მონაწილეობდა; იხ., მაგ., შევარდნაძისა და ბალტინის შეხვედრა 1993 წლის 3 ნოემბერს ფოთის პორტში მყოფ რუსულ გემზე; შევარდნაძის მიერ ხელმოწერილი ზოგი სხვა ხელშეკრულების შესახებ იხ., აგრეთვე: ტ. ფუტყარაძე, ავსირტედან გამსახურ-დიამდე, ანუ აწმყოს უდაბნოში, თბ., 1999; ტ. ფუტყარაძე, იმერხვევის მეტყველი მიწა-წყალი, ქუთაისი, 2007; ტ. ფუტყარაძე, ეთნოლინგვისტური ტერმინები და ევროპული ქარტია უმცირესობათა ენების შესახებ, ქუთაისი, 2005.

შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის აქტიურობით, რუსული აგრესია დედაქალაქის - თბილისის - მისადგომებთან შეჩერდა; ამ ისტორიულ მოვლენას საქართველოსთვის ბევრი უარყოფითი და ზოგი დადებითი შედეგი მოჰყვა:

დაიღუპა საქართველოს ბევრი მოქალაქე (ქართული თუ ოსური წარმომავლობისა), ათასობით ქართველი იქცა დევნილად; საქართველომ ფაქტობრივად კიდევ დაკარგა ტერიტორიები (დალის/კოდორის ხეობა ანუ ზემო აფხაზეთი, ახალგორის რაიონი, ცხინვალის მხარის ქართული სოფლები, საჩხერის რაიონის სოფელი პერევი...); დასუსტდა საქართველოს სახელმწიფო; დიდი ზარალი მიაღვა სამხედრო პოტენციალს; გაიზარდა ალბათობა, რუსეთისგან მართული სეპარატისტული ძალების გამოყენებით დაიშალოს ქართული სახელმწიფო. გარდა ამისა, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებით, გაჩნდა რეალური საფრთხე, ჩრდილო კავკასია იქცეს მუდმივი ქაოსის, ტერორიზმისა და რადიკალური ისლამის ფორპოსტად.

ავგისტოს მოვლენების დადებით და სამართლიან შედეგად მივიჩნევთ საქართველოს ხელისუფლების მიერ რუსეთის ჯარისთვის ოკუპანტის სტატუსის აღდგენასა და ამიერკავკასიაში ევროკავშირის გააქტიურებას.

დღეს რა სურს რუსეთს?

რუსეთ-საქართველოს ავგისტოს (2008) ომის შემდეგ კრემლი აკონტროლებს საქართველოს უფრო მეტ ნაწილს. პუტინ-დუგინ-მედვედევის რუსეთს ეს არ აკმაყოფილებს; რუსეთის აგრესიულ ხელისუფლებას არა მხოლოდ ამიერკავკასიაზე, არამედ მთელ ევრაზიაზე სურს კონტროლი. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს სრული იზოლაციის მიზნით, რუსეთი აქტიურად მუშაობს რუსეთ-სომხეთ-ირანისა და რუსეთ-აზერბაიჯან-სომხეთ-თურქეთის ურთიერთობების მიმართულებითაც; რეგიონში მრავალმხრივი გეოპოლიტიკური ვექტორები იკვეთება, რაც უფრო ართულებს საქართველოს პროდასავლური კურსის პერსპექტივას.

ნათელია:

1801-1917, 1921-1990 წლებში რუსეთს გეოპოლიტიკური კონტროლი უკანონოდ და უალტერნატივოდ ჰქონდა დამყარებული ამიერკავკასიაში და ახლა ვერ ეგუება რეგიონში სხვა დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების გამოჩენას.

ორ საუკუნეზე მეტია, ქართველი ერი კეთილმეზობლობას ესწრაფვის რუს ხალხთანაც, მაგრამ რუსეთის ამჟამინდელი ხელისუფლება ყველა არალეგიტიმური ხერხით ცდილობს, თავისი გეოპოლიტიკური ამბიცია დაიკმაყოფილოს საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების ხარჯზე.

საქართველოს მოსახლეობა არასოდეს შეეგუება თავისი **სასიცოცხლო ინტერესების** შელახვას.

ეს რუსეთმაც იცის, ამიტომაც, გამუდმებით ცდილობს, თვისობრივად შეცვალოს **დემოგრაფიული სიტუაცია** საქართველოში და დემოგრაფიული სიმძლავრის მართვით სამუდამოდ დამკვიდრდეს კავკასიაში; კერძოდ:

- XIX-XXI საუკუნეებში ჯერ ე.წ. მუჰაჯირობით, შემდეგ კი რუსეთ-

საქართველოს 1992-2008 წლების ომით რუსეთმა განახორციელა ქართველთა და ანტირუსულად განწყობილ აფხაზთა გენოციდი საქართველოს ისტორიულ კუთხეში - აფხაზეთში⁴. აქ ჯერ ხელოვნურ საზღვრებში შექმნა აფხაზეთის საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკა; ახლა კი ცდილობს, ეს პროცესი დაასრულოს სატელიტი “სახელმწიფოს“ წარმოქმნით, სადაც აფხაზეთიდან გამოდევნილი ძირითადი მოსახლეობის - ქართველების - ნაცვლად იცხოვრებენ პრორუსულად განწყობილი აფხაზები, მიგრანტი სომხები, ახალჩამოსახლებული რუსები.

- XX-XXI საუკუნეებში რუსეთის ხელისუფლებამ შეძლო შიდა ქართლში - ცხინვალ-ჯავის რაიონებში ოსეთიდან (ჩრდილოკავკასიიდან) ჩამოესახლებინა თავისი მხარდამჭერი ოსები, რომელთაც ჯერ არალეგიტიმურად და ულოგიკოდ შეუქმნა ე.წ. “სამხრეთ ოსეთის ავტონომია“; ახლა კი ცდილობს, ამ ხელოვნურ წარმონაქმნზე დაამყნოს კოკოითის რუსულენოვანი “სახელმწიფო“. საკითხის ისტორიისათვის აქ მოკლედ ვიტყვი: საბჭოთა პერიოდშიც და ამჟამადაც ჩრდილო ოსეთის ავტონომიად წოდებულ ნომინალურ ავტონომიაშიც - რეალურ ოსეთშიც - კრემლი ფაქტობრივად კლავს ოსურ ენასა და კულტურას; მაგ., ოსეთში არ არსებობს ოსურენოვანო საშუალო თუ უმაღლესი განათლების შესაძლებლობა და ოსური კულტურის აღორძინება-განვითარების პერსპექტივა; ოსეთშიც აქტიურად მიმდინარეობს გარუსების პოლიტიკა. პარალელურად, ბესლანის ტრაგედიამ აჩვენა, რომ ჩეჩენთა და ინგუშთა კვალად, კრემლი ახორციელებს ოსთა გენოციდაც⁵.

- ბოლო 150 წელია რუსეთის იმპერიული ხელისუფლების შეკვეთით პოლიტიზებული ენათმეცნიერები, ეთნოლოგები და ისტორიკოსები ამახინჯებენ რა ქართველი ერის რეალურ ენობრივ-კულტურულ და ეთნიკურ-პოლიტიკურ ისტორიას, ცდილობენ, ქართველთა დიდი ნაწილი არაქართველებად, მათი ისტორიული საცხოვრისები კი არაქართულ მიწებად გამოაცხადონ. ამ მიზნის მისაღწევად რუსეთის იმპერიის ხელისუფლება სამი მიმართულებით მუშაობს:

1. ფსევდომეცნიერული დებულებების საქართველოში პროპაგანდით ცდილობს, რომ ქართველთა ნაწილს მაინც შეუცვალოს ეროვნული მეობა (იდენტობა); მაგ., რუსეთისგან დაფინანსებული პირები დღემდე წარუმატებლად ცდილობენ დააჯერონ სვანები, რომ მათი დედაენა არ არის ქართული ენა, რომ ისინი ქართველები არ არიან⁶;

4 მუჰაჯირობის მიუხედავად გარკვეული მიზეზების გამო გენოციდს გადაურჩა აჭარის ქართველობა.

5 რუსეთის ენობრივი პოლიტიკის შესახებ იხ., მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2005; თ. გვანცელაძე, ენისა და კილოს საკითხი ქართველოლოგიაში, 2006.

6 დოკუმენტური მასალისათვის იხ.: ტ. ფუტყარაძე, ნ. ნაკანი, სვანები სალიტერატურო ენისა და სვანური მეტყველების შესახებ (ქართველთა ეროვნულ-ენობრივი თვით-მიკუთვნებულობის საკითხი)“, სამეცნიერო-პოპულარული გაზეთი „ქართული“, 2001, 7, გვ. 2; ტ. ფუტყარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქუთაისი, 2005; თ. გვანცელაძე, ენისა და კილოს საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006; მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2005; რ. გუჯეჯიანი, მამა ბესარიონი (ნიჟარაძე), „უძლიველი მხედარი“ მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიის გაზეთი, 4 ივნისი, 2007; ტ. ფუტყარაძე,

2. მძლავრი საინფორმაციო პროპაგანდით ცდილობს, დააჭეროს მთელი მსოფლიო, რომ ქართველები არ არიან: აჭარლები, მეგრელები, ლაზები, სვანები, ხევსურები, მესხები, თუშები და ა.შ. მათი მონაცემებით, საქართველოდ წოდებულ სახელმწიფოში ეს „ეთნიკური ჯგუფები“ „ჩაგრებიან“ ქართველებისგან (ქართლებისგან), რამდენადაც მათ საკუთარი „დედაენების“ მიხედვით არა აქვთ სამწიგნობრო კულტურა. ამ „ხალხებს“ ე.წ. „ქართიზაციით“ თავს მოხვეული აქვთ „დამპყრობელი“ ქართველების ენა; მსოფლიო უნდა დაეხმაროს ამ „დაჩაგრულ“ „ეთნოსებს“.

3. საეჭვო ღირებულების „სამეცნიერო კვლევებით“ ცდილობს, დააჭეროს მსოფლიოს ელიტური წრეები, რომ არ არსებობს ერთიანი ქართული კულტურა; რომ საქართველო მცირე იმპერიაა; რომ ქართველებმა (ქართლებმა) თავის დროზე დაიპყრეს და დღესაც ჩაგრავენ “უმწიგნობრო ენების” მქონე “ხალხებს”: მესხებს, აჭარლებს, მეგრელებს, ლაზებს, სვანებს...

ამ ფონის შექმნის შემდეგ რუსეთისგან დაფინანსებული პოლიტიკური ძალების დახმარებით უნდათ ქართული მხარეების ავტონომიზაცია და ე.წ. ფედერაცია-კონფედერაციის გზით - საქართველოს დაშლა.

ერთი სიტყვით, მოვლენების არაადეკვატური ტერმინოლოგიური შეფასებითა და ფაქტების არსის გაყალბებით⁷ რუსეთი ცდილობს, დაარწმუნოს მთელი მსოფლიო, რომ საქართველო დასაშლელი “მცირე იმპერიაა”, რომ აგრესორი ქართველები “ჩაგრავენ” “განუვითარებელ” სხვა “ეთნიკურ ჯგუფებს” და სხვ.

რა სურს საქართველოს?

მრავალი საუკუნეა, საქართველო იგერიებს მოძალადე იმპერიებს; ამ ბრძოლაში ჩამოყალიბდა ქართველი ერი. დღეს ქართველობას ეროვნულ-კულტურული მეობისა და სახელმწიფოებრიობის დაცვა სურს.

მრავალი საუკუნის მანძილზე შექმნილი დოკუმენტური წყაროებიდან ჩანს, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი: მეგრელები, ლაზები, სვანები, მესხები, ფხოველები, რაჭველები, ლეჩხუმლები თუ კახელები თავს აღიქვამენ ქართული ეთნოსის, ქართული კულტურის ნაწილებად; არცერთ ქართველს ამის შეხსენება არ სჭირდება, ვინაიდან ეამაყება, რომ მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიისა და კულტურის შემოქმედი ერის შვილია.

ასევე, დოკუმენტურად დასტურდება, რომ, სულ მცირე, 15-20 საუკუნეა ქართველი ერი ქმნის ქართულ სამწიგნობრო კულტურას და თავადაც იძერწება მასში. ეს ერთიანი ქართული სამწიგნობრო (საერო და სასულიერო) კულტურა ეფუძნება ძვ.წ. I ათასწლეულში არსებულ საერთოქართველურ ენას. ასევე, მრავალი ფაქტი ცხადყოფს, რომ იგი თვისობრივად ერთნაირად იქმნებოდა საქართველოს ყველა ისტორიული

ქართველთა დედაენა და დიალექტები, ქუთაისი, 2008.

7 რუსეთმა მის მიერ გაბორციელებულ სახელმწიფო გადატრიალებასა და ქართველთა გენოციდს ქართველთა შორის **სამოქალაქო ომი დაარქვა**; თავისი აგრესია სამშვიდობო მისიად მონათლა და ა.შ.

საზოგადოების (თემის) მიერ. სწორედ ამან განაპირობა ქართული ნაციონალური კულტურის საოცარი მდგრადობა საქართველოს ყველა კუთხეში: აფხაზეთშიც (კავკასიაში რუსეთის შემოსვლამდე), სამეგრელოშიც, აჭარაშიც, ლაზეთშიც, ტაო-კლარჯეთშიც, მესხეთშიც, ქართლშიც, კახეთშიც, თუშეთშიც, საინგილოშიც და სხვ.⁸ ძველთაგანვე ამ კუთხეთა მოსახლეობა ეთნონიმ “ქართველით” მოიხსენიება⁹.

ცნობილი ფაქტია ისიც, რომ ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგაც, XVI-XVIII საუკუნეებში სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული წარმონაქმნებიც კი თავს პატარ-პატარა საქართველოებად მიიჩნევდნენ და შესაძლებლობის ფარგლებში ავითარებდნენ ტრადიციულ ქართულ კულტურას. არც ერთ რეგიონში არასოდეს ყოფილა მცდელობა, კუთხური მეტყველებით ჩაენაცვლებინათ ისტორიული დედაენა.

საისტორიო წყაროების გარდა, თანამედროვე აკადემიური სამეცნიერო კვლევებიც ცხადყოფს, რომ მე-10 საუკუნიდან საქართველოდ წოდებულ სახელმწიფოს (ინგლ. Georgia) ძველ ქართულ წყაროებში ქორონიმი “ქართლი”, უცხოურ წყაროებში კი ქორონიმები: “კოლხა” და “იბერია” შეესაბამება. საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბება თუ აღორძინება სწორედ იმ კუთხეების ქართველთა (მეგრელ-ლაზები, სვანები, მესხები...) აქტიურობით ხდებოდა, რომელთაც რუსული დეზინფორმაციული მანქანა არაქართველ “ეთნიკურ ჯგუფებად” და “ქართველსგან” “დაჩაგრულად” აცხადებს.

დღესაც ქართველობას თავისი ერთიანობის დაცვა სურს, ვინაიდან იცის: ქართველთა ეროვნული ენერჯია ერთობაშია.

რა სახის ინფორმაციებია ქართველებისა და საქართველოს შესახებ თანამედროვე მსოფლიოში?

დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთის დიდი “მეცადინეობით” თანამედროვე მსოფლიოს სამეცნიერო-საინფორმაციო სივრცეში თითქმის უალტერნატივოდ დღემდეა გაბატონებული პოლიტიზებული ანტიქართული დებულებები, რომლებიც რუსულ გეოპოლიტიკურ მიზნებს ემსახურება; სამაგალითოდ წარმოვიდგინოთ რამდენიმე კვალიფიკაცია:

8 სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზისასთვის იხ.: ტ.ფუტყარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქუთაისი, 2005; თ. გვანცელაძე, ენისა და კილოს საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006; მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2005; მ. ნაჭყებია, საქართველოს ეთნოლინგვისტური ტერმინები, თბ., 2006; რ. შეროზია, ქართველური სალიტერატურო ენისა და სულხან-საბას „სიტყვის კონის“ ზოგი საკითხისათვის, ქართველური მემკვიდრეობა, XI, 2007; ტ.ფუტყარაძე, ქართველთა დედაენა და დიალექტები, ქუთაისი, 2008; რ.თოფჩიშვილი, ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2008.

9 მაგ., ეგრისის მკვიდრების: იოვანე მინჩხისა და სტეფანე სანანოისძის შესახებ მე-10 საუკუნის დოკუმენტური მასალის ანალიზისთვის იხ., დ. მუსხელიშვილი, ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის, კრებული საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993, გვ. 360

1. 2000 წელს პარიზში გამოცემულ ატლასში “საფრანგეთი და სამყარო“ (La France et le Monde, Atlas) სხვადასხვა ფერით და ეთნიკური სახელით არიან წარმოდგენილი: ქართველები, აფხაზები, მეგრელები, აჭარლები, სვანები და ოსები.

2. “ევროპის ენების ცენტრის“ გრიფით 2002 წელს ესპანეთში გამოქვეყნებულ წიგნში “Europe of the Peoples” სხვადასხვა დროში და ეთნიკური დასახელებით არიან წარმოდგენილი: ქართველები, აფხაზები, მეგრელები, სვანები და ოსები.

3. მსოფლიო გლობალური ქსელის ძირითადი ეთნოლოგიური ენციკლოპედიის მიხედვით (2008 წლის მდგომარეობით), საქართველოში ცხოვრობენ შემდეგი ეთნოსები/ხალხები:

აზერბაიჯანელები - 308 000,

ასირიელები (აისორები) - 3 000,

აფხაზები - 101 000,

ბაცბები - 3 420,

ბერძნები - 38 000,

ლაზები - 2 000,

მეგრელები - 500 000,

ოსები - 100 000,

რუსები - 372 000,

სვანები (სამწერლობო ენად იყენებენ ქართულს და რუსულს) - 15 000,

სომხები - 448 000,

ურუმები (მუსულმანი ბერძნები) - 97 746,

ქართველები (იმერლები, რაჭა-ლეჩხუმლები, გურულები, აჭარლები, იმერხველებ-ქართლები (იმერხვე ნარტილიან), კახელები, ინგილოები, თუშები, მოხევეები, ხევსურები, ფშავლები, მთიულები, ფერეიდნელები, მესხებ-ჯავახები) - 3 901 380,

ქართველი ებრაელები - 20 000,

ქურთები - 40 000 და სხვ. (Ethnologue report for Georgia <http://www.ethnologue.com>).

4. ქართველთა ერთი ნაწილი (მეგრელები, ლაზები, სვანები) არაქართველებადაა გამოცხადებული მსოფლიოს ვირტუალური ისტორიის თანამედროვე გვერდზე; კერძოდ, აზიის განყოფილებაში არსებულ საქართველოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულია საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა განსახლების შემდეგი რუკა:



რუკას დართული განმარტებების მიხედვით, საქართველოში უმცირესობების ენებად მიიჩნევა: 1. ჩეჩნური; 2. წოვა-თუშური; 3. ხუნძახური; 4. უდური; 5. აზერბაიჯანული; 6. სომხური; 7. ლაზური ანუ ჭანური; 8. მეგრული; 9. აფხაზური; 10. სვანური; 11. ოსური. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ კვალიფიკაციების ჩამოსაყალიბებლად ავტორმა (P.J. Hillery) ცხრა წელი იშრომა (1996-2004); ასევე წლობით აქვს საქართველოში ნაღვაწი საქართველოს ვებგვერდის ავტორს, ბ-ნ ადრიან ბრისკუსს (იხ.<http://vlib.iue.it/history/asia/georgia.html>).

5. ჰოკაიდოს უნივერსიტეტის სლავისტიკური გამოკვლევების ცენტრის პროფესორის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის კიმიტაჟა მაცუზატოს შესავალი წერილით 2007 წელს გამოქვეყნდა კრებული: «Историографический диалог вокруг непризнанных государств: Приднестровье, Нагорный Карабах, Армения, Южная Осетия и Грузия». ჰოკაიდოს უნივერსიტეტის სლავური კვლევების ცენტრი (საპპორო, იაპონია); მასში ვკითხულობთ (გვ. 7): საქართველოს ფარგლებში აფხაზებს ყველა პრივილეგია ჰქონდათ, იმიტომ რომ მათ ჰქონდათ ავტონომია; მაგრამ სხვა ეთნიკურ ჯგუფებს, მაგალითად, მეგრელებს, რომ არ ჰქონდათ საკუთარი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, ამიტომაც ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდათ, რათა შეენარჩუნებინათ საკუთარი ენა და იდენტობა¹⁰.

6. ქართული საზოგადოებისთვის დიდი ხანია ცნობილია პროფ. ჯ. ჰიუიტის ანტიქართული მოღვაწეობა; ამ ეტაპზე ის „ახალი“ ინიციატივით გამოდის; მისი აზრით, მეგრული ენის სახელმწიფო ენად აღიარებით უნდა შეიქმნას სამეგრელოს ბუფერული სახელმწიფო, რომელიც ხელს შეუწყობს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებას... ასევე, უნდა შეიქმნას კავკასიის კონფედერაცია¹¹ (რომლის სუბიექტებადაც ივარაუდება:


10 მასალა კრიტიკული ანალიზით წარმოადგინა პროფ. ვაჟა კიკნაძემ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის 2007 წლის 3 დეკემბრის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე.

11 ჯ. ჰიუიტმა ეს მოსაზრება გამოთქვა 1999 წელს წერილში: „თანამშრომლობა კავკასიის საკეთილდღეოდ“ (სტატია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას ინსტიტუტის სარეცენზიოდ გადასცა თურქეთში გამომავალი ჟურნალის „ჩვენებულები“ რედაქციამ 1999 წელს); იხ., აგრეთვე: Hewitt, B.G. Abkhazia: a problem of identity and ownership. Central Asian Survey, vol. 12, no. 3, pp. 267–323, 1993; Hewitt, B.G. Demographic manipulation in the Caucasus. The Journal of Refugee Studies, vol. 8, no. 1, pp. 48–74, 1995; Hewitt, G. (ed.) The Abkhazians. Curzon Press, 1999. კრიტიკისათვის იხ.: <http://www.scribd.com/doc/2273647/Conflict-in-Abkhazia-Cases-of-Cooperation-in-Favour->

აფხაზეთი, სამეგრელო, საქართველო, აზერბაიჯანი, ყარაბაღი, სომხეთი, სამხრეთი ოსეთი...)¹².

7. პროფ. იური კორიაკოვის მიერ განხორციელებულ პროექტში: “მსოფლიოს ენათა რეესტრი“ ქართველური ენობრივ-ენიკური სამყარო წარმოდგენილია 5 ცოცხალ და 1 მკვდარ ენად; კერძოდ: დამოუკიდებელი ენებია: მეგრული, ლაზური, ახალი ქართული, ზემოსვანური (ბალური ენა) და ქვემოსვანური; მკვდარი ენაა ძველი ქართული. მისივე აზრით, დამოუკიდებელი ეთნოსებია (EG): მეგრელი, ლაზი, ქართველი, ბალელი (ზემო სვანი) და ქვემო სვანი.

გასაკვირი ისიცაა, რომ თანამედროვე ქართველური ენობრივი სამყაროს აღსაწერად ქართულენოვან ვიკიპედიაშიც კი უალტერნატივოდაა წარმოდგენილი ი.კორიაკოვის პროდუქცია (2008 წლის ოქტომბერ-ნოემბრის მონაცემებით); კერძოდ, ქართული ვიკიპედიის გვერდზე, ლინკით “კავკასიური ენების ატლასი, ქართველური ენები“ გავდივართ შემდეგ რუკაზე (<http://linguarium.iling-ran.ru/maps/1-all.gif>):




ხოლო, ლინკით: “რუკა. ქართველური ენები“ (<http://linguarium.iling-ran>.

of-Caucasus-or-again-Confederation-of-Caucasus). **სამეგრელოს ბუფერული სახელმწიფოს** იდეის პროვოცირებით რუსეთის იმპერიულ წრეებს სურთ, საქართველოს საბოლოოდ წაართვან აფხაზეთი.

12. შარ., მაგ., ა. ლუგინის ხედავ საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ (“Основы Геополитики“, Москва: Арктогея-центр, 1999): “Новый геополитический порядок на Кавказе” предполагает полный передел ныне существующих политических реальностей и переход от модели взаимоотношений государство-государство или нация-нация к чисто геополитической системе Центр-периферия, причем структура периферии должна определяться не политической, но этно-культурной дифференциацией. Это возможно осуществить через план создания “Кавказской Федерации”, которая включала бы в себя как три кавказских республики СНГ, так и внутророссийские автономные образования. Центр при этом уступал бы всему этому району культурно-экономическую автаркию, но обеспечивал бы жесточайший стратегический централизм... (с. 351-352).

ru/maps/14-kartv.gif) ვეცნობით შემდეგ ვარიანტს¹³:




შდრ.: თითქმის ანალოგიურია პროფ. ი. ვიპერტის მრავალწლიანი ნამუშევარიც: (<http://titus.uni-frankfurt.de/didact/karten/kauk/kaukasm.htm>):



საერთაშორისო მიმოქცევაში საქართველოს შესახებ არსებობს ი. კორიაკოვის მესამე რუკაც¹⁴:

13 მეორე რუკაზე რატომღაც სხვადასხვა ფერითაა აღმოსავლურქართული კილოები და იმერულ-გურულ-აჭარულ-იმერხელ-ტაოური... თანაც, ტაოური მკვდარ დიალექტადაა მიჩნეული. სხვაგან ი. კორიაკოვი ქართველთა 6 ენას გამოყოფს: მეგრული, ლაზური, ძველი ქართული, საშუალო ქართული, საეკლესიო ქართული, სვანური (ი. კორიაკოვი, 2006, გვ. 39-42; შდრ., აქვე ი. კორიაკოვი 1 დარგუთული ენის ნაცვლად 18 ენას გამოყოფს: დარგუთულ კილოებს ენებად აცხადებს).

14 პროფ. ქევინ თუითის რეკომენდაციით ეს რუკა კომენტარებისთვის გადმომიგზავნა ლინგვისტური რუკების ფრანგმა სპეციალისტმა პატრიკ ლემონიერმა



აქ არსებითი „სიახლე“ ის არის, რომ ერთმანეთთან გათანაბრებულია ტერმინები: სამეგრელო და ისტორიული კოლხა (Colchis), რითაც ხაზგასმულია ქართულისა და მეგრულის დაცალკეება-დაშორების თითქოსდა ხანგრძლივი ისტორია: ი. კორიაკოვის რუკის მიხედვით გამოდის, რომ მეგრელები ენობრივ-კულტურულ-ენიკურად სხვა ქართველებისგან გამიჯნულნი არიან სულ მცირე 3000 წელია.

სინამდვილეში, კოლხური არქეოლოგიური კულტურის საზღვრები და ბერძულ-ურარტული ძველი ისტორიული ცნობები ცხადყოფენ, რომ ქართველთა ისტორიული სახელმწიფო კოლხაც და საერთოქართველური ენის ბაზაზე შექმნილი კოლხური კულტურაც, ისტორიული საქართველოს ძირითად ნაწილს მოიცავდა. იმ პერიოდშიც დღევანდელ მეგრელთა, მესხთა, აჭარელთა, სვანთა, ლაზთა თუ ტაოელთა წინაპრები ერთიან ქართულ (ქართველურ) ეთნოსს წარმოადგენდნენ და ერთიან კულტურას ქმნიდნენ¹⁵.

ნურავინ იფიქრებს, რომ ი. კორიაკოვი კარგად არ იცნობს ქართველურ სინამდვილეს და, მაგალითად, ამიტომ ჰგონია, რომ ზემო და ქვემო სვანები სხვადასხვა ეთნოსებია. ი. კორიაკოვის რუკებიდან თუ კომენტარებიდან ჩანს, რომ ის ზედმიწევნით ერკვევა საქართველოს ისტორიაშიც და აწმყოშიც. აშკარაა ისიც, რომ პროფ. იური კორიაკოვმა კარგად იცის საქართველოს ყველა სოფლის მდებარეობაც და ამა თუ იმ სოფლის მოსახლეობის მეტყველების თავისებურებანიც.

ბუნებრივია, ი. კორიაკოვმა ისიც იცის, რომ სვანებიც, მეგრელებიც, გურულებიც, აჭარლებიც და სხვა კუთხის ქართველებიც თავს მიიჩნევენ ერთიანი ქართული სამწიგნობრო კულტურის შემოქმედებად; იცის ისიც, რომ მის მიერ ენებად სახელდებულ იდიომებს ზოგი მეცნიერი ქართული ენის კლონებად თვლის. ამის მიუხედავად, ის მაინც, რატომღაც, (PATRICK LEMONNIER).

15 სარწმუნო ჩანს ვარაუდი, რომ კულხა წარმოიქმნა ჭოროხის ხეობასა და კოლა-არტანის მხარეში ძვ.წ. მეორე ათასწლეულის შუა პერიოდში; საკითხის ისტორიისათვის იხ., მ.ინაძე, ტერმინები: „კოლხა“ და „კოლხეთი“ ანტიკურ მწერლობაში, წგნ.: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993; ტ.ფუტყარაძე, ქართველები, ქუთაისი, 2005.

მეგრელებს, ლაზებს, ზემო სვანებს და ქვემო სვანებს არაქართველებად - ქართველებისგან (**Georgian**) განსხვავებულ ეთნოსებად აცხადებს და მათ დიალექტებსაც დამოუკიდებელ ენათა რიგში წარმოადგენს¹⁶.

ვფიქრობ, ეს შემთხვევითი არ არის. ი. კორიაკოვის კვალიფიკაციები არ ეფუძნება მეცნიერული კვლევის შედეგებს; მისი კვალიფიკაციები საბჭოური, პოლიტიზებული მეცნიერების ინერციითაა გაკეთებული (მიზანი: “გათიშე და იბატონე!”).

დასკვნა

დღევანდელი საქართველო მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. შეიძლება ითქვას, ასეთი სახიფათო გლობალური დაპირისპირების ობიექტი არასოდეს ყოფილა კავკასიის ეს მცირემიწიანი სახელმწიფო. ამჟამად საქართველო აქტიურად განიხილება ამერიკა-რუსეთის, ევროპა-რუსეთის, თურქეთ-რუსეთის, ევრაზიის გეოპოლიტიკურ კონტექსტებში; შესაბამისად, ბევრი დაინტერესებული მხარე სწავლობს საქართველოს ისტორიას, საქართველოს დემოგრაფიულ და ენობრივ-ეთნიკურ სიტუაციას.

საქართველო ჯერჯერობით არ არის რეგიონის ძლიერი გეოპოლიტიკური მოთამაშე; რუსეთი ისევ ახერხებს, აკონტროლოს საქართველოს გეოპოლიტიკურ სიმძლავრეთა ნაწილი; პარალელურად, ცდილობს:

- დააკანონოს ავტოქონი ქართველების ეთნოწმენდა აფხაზეთსა და შიდა ქართლში (ცხინვალის მხარეში);

- მართოს პოლიტიკური სპექტრის ნაწილი;

- ქართველთა ერთი ნაწილის არაქართველებად გამოცხადებითა და განათლების სისტემის გამოყენებით ზოგ რეგიონში სათავისოდ მომართოს მოსახლეობის ერთი ნაწილის ცნობიერება;

- გლობალურ საინფორმაციო და სამეცნიერო ქსელში ფსევდომეცნიერული ეთნოლინგვისტური კვალიფიკაციების გავრცელებით შეცდომაში შეიყვანოს დანარჩენი მსოფლიო: საქართველოს დაუმიკვიდროს „აგრესორი მცირე იმპერიის“ სახელი;

- ქართველთა ნების საწინააღმდეგოდ, საქართველოს თავს მოახვიოს ფედერაციული თუ კონფედერაციული წყობა, სადაც “სუბიექტები” იქნებიან საქართველოს ცალკეული მხარეები: აჭარა, სამეგრელო, იმერეთი, კახეთი, მესხეთი, ქართლი, სვანეთი და სხვ¹⁷.

ამიერკავკასიაზე გეოპოლიტიკური კონტროლის აღდგენის მიზნით, რუსეთი კვლავ გეგმავს ახალ აგრესიას და ემუქრება ქართველი ერის, საქართველოს სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს.

16 ბოლო ათწლეულებში არის მცდელობა, სხვადასხვა სემანტიკით დამკვიდრდეს სინონიმური ტერმინები: **Kartvelyan** და **Georgyan**; კერძოდ, ტერმინები: „რომანულ-გერმანულის“, „ინდო-ევროპულის“ ანალოგიით, ზოგი მეცნიერი თუ პოლიტიკური ექსპერტი **Kartvelyan**-ს მიზანიმართულად იყენებს საერთო წარმომავლობის „ეთნოსების“, „დამოუკიდებელი ხალხების“: „ქართველების“, „სვანების“, „ლაზების“, „მეგრელების“... აღსანიშნავად (იხ., მაგ., ი. კორიაკოვის კვალიფიკაციები) , ზოლო **Georgyan**-ს - მხოლოდ „საკუთრივ ქართველებისას“; შდრ., ბოლო პერიოდში გაჩნდა არალოგიკური ტერმინი: **საკუთრივ საქართველო** (აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის გარეშე დარჩენილი მიწა). ამ პრობლემას საგანგებოდ სხვაგან შევხებით.

17 საქართველომ უთუოდ უნდა მისცეს ავტონომია აფხაზ ხალხს.

მხოლოდ ერთიანი და ძლიერი საქართველოს არსებობითაა შესაძლებელი რუსეთის დიქტატისგან ამიერკავკასიის გათავისუფლება, ევროპა-აზიის დამაკავშირებელი უხიფათო სახელმწიფოებრივი სივრცის აღდგენა და რეგიონში დასავლურ (ქრისტიანულ, დემოკრატიულ) ღირებულებებზე დაფუძნებული სააზროვნო სივრცის შენარჩუნება.

კავკასიის გეოპოლიტიკურ ისტორიაში ახალ ეტაპად უნდა ჩაითვალოს საქართველოში ევროკავშირის დამკვირვებლების განლაგება რუსეთის საოკუპაციო ჯარის პირისპირ.

ამიერკავკასიაში დემოგრაფიული სიტუაციის ბარბაროსული გზით შეცვლა (ქართველთა და აფხაზთა გენოციდი) რუსეთმა რომ ვერ დააკანონოს და საკუთარ სახლებში დაბრუნდეს 500 000 დევნილი, აუცილებელია:

- დემოკრატიული ინსტიტუტების სრულად ამოქმედებით ინტენსიურად გაგრძელდეს საქართველოს სწრაფვა ევროკავშირისკენ; საქართველო რეალურად გახდეს ევროამერიკული ალიანსის პარტნიორი; რუსეთის საოკუპაციო ჯარის ნაცვლად სამშვიდობო მანდატი უნდა გადაეცეს ევროკავშირის პოლიციურ შენაერთებს;

- საქართველოს საგარეო საქმეთა და სხვა სამინისტროებმა საქართველოში აკრედიტებული საელჩოების დახმარებით მსოფლიო თანამეგობრობას ადეკვატური ინფორმაციები მიაწოდონ საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ; მაგ., აჭარასა და საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრები ეთნიკური აფხაზებისა და ქართველების, ასევე, თბილისსა თუ ქართლ-კახეთში მცხოვრები ეთნიკური ოსებისა და ქართველების მეგობრული თანაცხოვრებით თვალნათლივ ჩანს, რომ საქართველოში არ არსებობს ე.წ. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ეთნოკონფლიქტები. ამ არაადეკვატური ტერმინოლოგიური შეფასებით ინიღბება რუსეთის აგრესია საქართველოში და სხვ.

და ბოლოს, თემა, რომელიც ამ მოხსენებაში წამოვწყით:

რუსეთის იმპერიამ რომ ვერ შეძლოს საქართველოს **დემოგრაფიის მართვა**, აუცილებელია:

საქართველოს სამთავრობო თუ სამეცნიერო-საგანმანათლებლო ინსტიტუტების ძალისხმევით, როგორც სასკოლო სახელმძღვანელოებში, ასევე მსოფლიოს სამეცნიერო-საენციკლოპედიო სივრცეში, რუსულ-საბჭოური მასალების ნაცვლად დროულად დამკვიდრდეს მეცნიერული კვალიფიკაციები საქართველოსა და ქართველების ენობრივ-კულტურული თვითობის (იდენტობის) შესახებ.

პარალელურად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ რეალურად უნდა განახორციელოს “ბოლონიის პროცესის” ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია - ეროვნული კულტურების შესწავლა და პროპაგანდა¹⁸.

18 შდრ., ამჟამად სასკოლო-საგანმანათლებლო სივრცეში არსებითადაა შეზღუდული არა მხოლოდ სასულიერო მწერლობის, არამედ ქართველი ერის სულიერი განძის - „ვეფხისტყაოსნის“ სწავლებაც კი; გარდა ამისა, იშვიათი გამოჩაკლისების გარდა, ჯერ კიდევ ბევრ უნივერსიტეტსა და საჯარო სკოლაში ქართველი ერისა და ქართველური ენობრივი სამყაროს ისტორია ან საერთოდ არ ისწავლება, ან, ისწავლება საბჭოური კვალიფიკაციების მიხედვით...

ეპიგრაფიკა - აფხაზეთისა და შიდა ქართლის ეთნოკულტურული ისტორიის წყარო

ისტორიული წარსულის კვლევის პროცესში, ძველ საისტორიო წყაროებს შორის, ეპიგრაფიკული ძეგლები ხშირად უმნიშვნელოვანეს და ერთ-ერთ სანდო საისტორიო წყაროს წარმოადგენენ.

თანამედროვე აფხაზეთისა და შიდა ქართლის (ცხინვალის მხარის) - ე. წ. სამხრეთ ოსეთის - ეთნოპოლიტიკური ისტორია შეუძლებელია შევისწავლოთ საქართველოს ამ მხარეების მდიდარი ეპიგრაფიკული მასალის გათვალისწინების გარეშე. აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის წარწერების დიდი ნაწილი მოთავსებულია ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლებზე, საფლავის ქვებზე, საეკლესიო ნივთებსა და მატერიალური კულტურის სხვადასხვა საგნებზე. აღნიშნული მასალა მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს რეგიონის მოსახლეობის ეთნოპოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური, ასევე კულტურული და სულიერი ცხოვრების ისტორიის შესახებ.

თანამედროვე აფხაზეთისა და შიდა ქართლის ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლებზე მოთავსებული ლაპიდარული და ფრესკული წარწერები (რომელთა უდიდესი ნაწილი ქართულია) მოგვითხრობენ ამა თუ იმ ტაძრების ისტორიას: მათი ქტიტორების, ხუროთმოძღვრებისა და მშენებლების შესახებ. გარდა ამისა, ორივე რეგიონმა შემოგვინახა მნიშვნელოვანი რაოდენობის ჭედური წარწერები, რომლებიც შემონახულია ჭედური ხელოვნების ძეგლებზე: ხატებზე, ჯვრებზე და სხვადასხვა სახის საეკლესიო ნივთებზე.

ნიშანდობლივია, რომ აფხაზეთისა და ისტორიული „აფხაზთა სამეფოს“ (დასავლეთ საქართველოს) ტერიტორიაზე შემორჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლები სამ ენაზე გვხვდება: ქართულ, ბერძნულ და თურქულ ენებზე. მათ შორის ბერძნული და თურქული ძეგლები შემორჩენილია მხოლოდ ლაპიდარული წარწერების სახით. ბერძნული წარწერები დაახლოებით 22 (ყაუხჩიშვილი, 2004: 59-79). თურქული 6 (Бражба, 1967; ახალაძე, 2005ბ.: 71). ხოლო ქართული ასამდე წარწერა (ახალაძე, 2005ა: 4). მათი ქრონოლოგია IX-XIX საუკუნეებს მოიცავს. სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე ცნობილია „აფხაზთა მეფეთა“ წარწერები და ყველა მათგანი ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობით არის შესრულებული (ახალაძე, 2004: 56-64).

რაც შეეხება შიდა ქართლის, ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიას, ამ რეგიონიდან სამეცნიერო ლიტერატურაში დაცულია შუა საუკუნეებით დათარიღებული დაახლოებით 50-მდე ლაპიდარული და 20-ზე მეტი ფრესკული წარწერა (Отхмезური, 1994: 112-142, და სხვა).

ფასდაუდებელია ამ წარწერების პალეოგრაფიული ღირებულება, რადგან მათში ნათლად იკვეთება ქართული დამწერლობისა და სადამწერლობო კულტურის განვითარების ერთიანი ხაზი. პალეოგრაფიული თვალსაზრისით აფხაზეთისა და შიდა ქართლის ეპიგრაფიკული მასალა დიდი განძია ქართული ეპიგრაფიკული ფონდისათვის.

აფხაზეთის წარწერებიდან ეთნოკულტურული ისტორიის კვლევის თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მსიგხუას, ხოფის, ანუხვის, ლიხნის, მოქვის, ბედიის, ილორის, წებელდის, ღუმურის,

გუდავის, წკელიკარის, დიხაზურგის, წარჩეს და ა.შ. მრავალრიცხოვან წარწერებს. მათ შორის მსიგზხუას წარწერები (46 წარწერა) გუდაუთის რაიონიდან წარმოადგენენ ყველაზე ძველი ქართული დამწერლობის ნიმუშებს დასავლეთ საქართველოდან **(სურათი №1)**.

ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე დაზუსტდა, რომ IX საუკუნეში, გუდაუთაში, მსიგზხუას მთაზე, სოფელ სანაპიროს მახლობლად აიგო მიქელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია. ოდნავ მოგვიანებით, 922-957 წლებში, გიორგი II „აფხაზთა მეფე“, გურანდუხტ დედოფლის დაბადების აღსანიშნავად ააგო ხუაფის (ხოფის) წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარი. წარწერების მიხედვით, ორივე ტაძრის ქტიტორები, მშენებელ-ოსტატები და მრეწლი ქართულ ეთნო-კულტურულ სამყაროს ეკუთვნოდნენ (ახალაძე, 2005ა: 140-153). გარდა ხუაფის ტაძრისა, გიორგი II-ის დაკვეთით აშენდა მარტვილისა და ქიაჩის ტაძრები. სწორედ ქიაჩის ტაძარს შესწირა მან **სამწერობელი**, რომლის ასომთავრულ წარწერაში დასახელებულია გიორგი მეფე **(სურათი 1ა)**.

X საუკუნეში „აფხაზთა მეფის“ - ლეონ II-ის მიერ აშენდა მოქვის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი და იქვე დააარსა საეპისკოპოსო კათედრა (სურათი №2). მოქვი იმთავითვე იქცა ქართული კულტურისა და ეკლესიის უმნიშვნელოვანეს კერად, რასაც ადასტურებენ აქ აღმოჩენილი წარწერები და ხელნაწერები. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მოქვის სახარებას (X. С. Бгажба, 1967; ახალაძე, 2005ა: 109-116). XII საუკუნეში აქ მოღვაწეობდა მთავარეპისკოპოსი გრიგოლ გუძანის ძე, რომლის ქტიტორული წარწერა მოთავსებულია მის მიერ აგებული ტაძრის სამრეკლოზე (სურათი № 3).

XIII საუკუნიდან, აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი რთული საგარეო-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, მოქვის, როგორც ქართული კულტურისა და საეკლესიო ცენტრის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. ქართული კულტურისათვის მეტად მძიმე პერიოდში, დანიელ მოქველის ინიციატივით შეიქმნა და მინიატურებით მოიხატა მოქვის შესანიშნავი სახარება. მოქვის სახარების მინაწერებისა და სხვა წყაროებზე დაყრდნობით, დაზუსტებულია მოქველ მთავარეპისკოპოსთა სახელები, რომელთა საქმიანობის შედეგად, მოქვი შუა საუკუნეების საქართველოში ქრისტიანული კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა (ხორავა, 1998: 52; კალანდია, 2004: 134; ახალაძე, 2005: 116).

ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავმა ძეგლმა, ბედიის სამონასტრო კომპლექსმა შემოგვინახა მრავალრიცხოვანი ლაპიდარული, ჭედური და ფრესკული წარწერები (ახალაძე, 2000: 43-54). აღნიშნული წარწერები მოგვითხრობენ, რომ ტაძრის დღევანდელი ნაგებობა **(სურათი № 4)** აგებული უნდა იყოს გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის (978-1014) ეპოქაში, 989-999 წლებში, ხუროთმოძღვარ სვიმეონ გალატოზთუხუცესის მიერ, რომელიც გაერთიანებული საქართველოს სამეფო კარის ხუროთმოძღვარი იყო. X-XI საუკუნეების მიჯნაზე გალატოზთუხუცესის ინსტიტუტი საქართველოს სამეფო კარის უხუცესთა საგამგეო უწყებაში შედიოდა. ბაგრატ მესამისა და დედოფალ გურანდუხტის წარწერა ამოკვეთილია ქართული ოქრომჭედლობის შესანიშნავ ნიმუშზე - ბედიის ბარძიშზე **(სურათი №5)**.

ბედიის წარწერების მიხედვით სამონასტრო კომპლექსმა, XIII-

XIV საუკუნეების მიჯნაზე 1293-1327 წლებში, კონსტანტინე ლიხთ-იმერეთის მეფის ინიციატივით, საფუძვლიანი გადაკეთება, რესტავრაცია - რეკონსტრუქცია განიცადა, რასაც ადასტურებს XX საუკუნის 60-იან წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები და სარესტავრაციო სამუშაოების შედეგები. აღნიშნული რესტავრაცია დაკავშირებულია აფხაზეთის (დასავლეთ საქართველო) კათალიკოსის ნიკოლოზ გონგლიბაისძისა და ბედიელი მთვარეპისკოპოსის სოფრონ გონგლიბაისძის სახელთან. ამ დროს აიგო ბედიის სამრეკლო, შეკეთდა ტაძრის კედლები, და გალავანი, ტაძრის ინტერიერში განახლდა ფრესკული მოხატულობანი (**სურათი №6**). ბედიის ტაძრის მომდევნო რესტავრაცია დაკავშირებულია ოდიშის ერისთავთ ერისთავის ვამეყ I-ის (1384-1394) მეუღლის „დეოფალ დეოფალი“ მარხისა და მისი ძის ერისთავთ ერისთავი და მანდატურთუხუცესი გიორგი დადიანის სახელებთან (ახალაძე, 1999: 61-71).

XVI საუკუნეში ბედიის საკათედრო ტაძარში მოღვაწეობდნენ ანტონ და კირილე ჟვანისძეები. ანტონი გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურა იყო, რომელიც ბედიის ტაძარში ფართო კულტურულ-განმანათლებლურ და საამშენებლო-ქტიტორულ საქმიანობას ეწეოდა. მისი ინიციატივით, XVI საუკუნის 40-50-იან წლებში აიგო ბედიის საეპისკოპოსო პალატი, რასაც ადასტურებს შესაბამისი ლაპიდარული წარწერა, განახლდა და ახალი ხელნაწერებით შეივსო ბედიის ცნობილი წიგნთსაცავი, მოიჭედა არაერთი ქართული სიწმინდე. ბედიელ მღვდელმთავართა შორის იგი პირველი ატარებდა მიტროპოლიტის ტიტულს, რომელიც XVI საუკუნის 40-იანი წლების II ნახევრიდან დაწესდა დასავლეთ საქართველოში (ახალაძე, 2005ა: 52-59).

XVII საუკუნეში ანტონ ჟვანისძის საქმის ღირსეული გამგრძელებელია გერმანე ჩხეტიძე, რომლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია დაცულია სხვადასხვა სახის წერილობით წყაროებში, მათ შორის ბედიის ბარძიმის სადგარზე ამოკვეთილ წარწერაში. გერმანე ჩხეტიძემ ტაძარში არსებული წიგნთსაცავისა და ხელნაწერთა განახლების მიზნით, შავშეთიდან ჩამოიყვანა იმ დროს კალიგრაფიაში განთქმული გადამწერთა ჯგუფი, რომლებმაც განაახლეს ძველი წიგნსაცავი, მათ შორის ბედიის ცნობილი გულანი. გერმანე ჩხეტიძის სახელთანაა დაკავშირებული 999 წლით დათარიღებული ბედიის ოქროს ბარძიმის ფეხის ხელმეორედ შემკობა XVII საუკუნეში. აღნიშნული ოქროს ფეხი XIX საუკუნის II ნახევარში მოიპარეს.

ბედიის ტაძრის ეპიგრაფიკული მასალისა და სხვა საისტორიო წყაროების მონაცემებით შესაძლებელი ვახდა ბედიელ მღვდელმთავართა ქრონოლოგიური რიგის დაზუსტება (ხორავა, 2000: 25-41; გ. კალანდია, 2004: 79-97 ახალაძე, 2005ა: 38-51). XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, საქართველოში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ბედია, როგორც ქართული ეკლესიისა და ქართული კულტურის ცენტრი აღარ არსებობდა (მხოლოდ დროის მცირე მონაკვეთში - მე-19 საუკუნის მეორე ნახევარიდან მე-20 საუკუნის 10-იან წლებში - აქ დროებით აღორძინდა სამონასტრო ცხოვრება).

X-XI საუკუნეების მიჯნაზე, სასულიერო და საერო პირების ინიციატივითა და შემწეობით აიგო დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სალოცავი ილორის წმ. გიორგის სახელობის ტაძარი (**სურათი №7**), რომლის ფასადებზე შემორჩენილ ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში დასახელებულია ქტიტორთა სახელები: საეკლესიო პირები

მთავარეპისკოპოსი გიორგი და მღვდელი გიორგი ქოჩოლავა **(სურათი №8)**. საერო პირებთან ადგილობრივი ფეოდალი და მხარის გამგებელი გიორგი გურგენისძე. მშენებელი გიორგი გალატოზი და ა.შ. ტაძრის წარწერებში დასახელებული ისტორიული პირები მთავარეპისკოპოსი გიორგი, მღვდელი გიორგი ქოჩოლავა, მხარის გამგებელი გიორგი გურგენისძე და მშენებელ-ოსტატი გიორგი ქართულ ეთნოკულტურულ სამყაროს ეკუთვნოდნენ (გვანცელაძე, 2005: 45; ახალაძე, 2005ა: 96-108).

აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ გალის რაიონის სოფ. რენხო-ცხირში აგებულ წყელიკარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წარწერებს. წარწერებში ტაძრის თავდაპირველი მშენებელი საერო და საეკლესიო პირების სახელები დაზიანებულია და ძნელად იკითხება. მაგრამ XVI-XVII საუკუნეებში წყელიკარის ეკლესია განაახლეს მსხვილმა წარჩინებულმა პირებმა, რომელთა ფრესკული გამოსახულებანი დაზიანებული წარწერებით, ტაძრის ინტერიერშია მოთავსებული **(სურათი №9, 10)**. აქვეა ადგილობრივი თავადის ქტიტორ ჩიხუას ფრესკა წარწერის ფრაგმენტით (ახალაძე, 2005ა: 87-96) **(სურათი №11)**.

გუდაუთის რაიონის სოფ. ანუხვის მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების სახელობის ეკლესიის ფასადებზე შემორჩენილი ქართული ასომთავრული წარწერების მიხედვით, XI საუკუნეში გუდაუთის რაიონის სოფელ ანუხვასა და მის შემოგარენს ფლობდნენ გიორგი ბასილის ძე **(სურათი №12)** და მისი ფეოდალური სახლის წევრები, რომელთა ქტიტორული საქმიანობის შედეგად აიგო ჯერ სტელა-ჯვარი **(სურათი №13)**, ხოლო შემდეგ მის ადგილზე, ანუხვის მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების სახელობის ეკლესია.

ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით, საყურადღებოა წებულდის რეგიონი, საიდანაც ჯერჯერობით სამი ლაპიდარული და სამი ჭედური წარწერა არის ცნობილი (ახალაძე, 2003: 43-61; სილოგავა, 2004: 316-326). აღნიშნული წარწერები მოგვითხრობენ, რომ რეგიონში ერთდროულად რამდენიმე ეკლესია მოქმედებდა: წმ. თევდორეს, წმ. ანდრია მოციქულის, იოანე ნათლისმცემლისა და წმ. გიორგის სახელობისა. მათ შორის ანდრია მოციქულისა და იოანე ნათლისმცემლის ეკლესიები აქ ადრინდანვე არსებობდა, ხოლო XI საუკუნეში აიგო წმ. თევდორეს, XII საუკუნის მიწურულს კი - წმ. გიორგის სახელობის ეკლესიები **(სურათი №14, 15, 16)**.

საინტერესო მასალას იძლევიან გუდავისა და წარჩეს წარწერები (სილოგავა, 2004: 292-296; ახალაძე, 2005: 131-138). ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე გუდავის ეკლესია აგებულია ადგილობრივი ფეოდალის რაბიასა¹ და მისი მეუღლის ნუგამწირას მიერ **(სურათი №17)**.

ნამდვილ ეპიგრაფიკულ კრებულს წარმოადგენს გუდაუთის რაიონის სოფ. ლიხნის ტაძარი **(სურათი №18)**, რომლის ინტერიერში დაახლოებით 17-ზე მეტი წარწერა არის მოთავსებული. ტაძარი მთლიანად მოხატული ყოფილა და ფრესკულ გამოსახულებებს თან ახლდა შესაბამისი

1 რაბია გარდა გუდავის წარწერისა გვხვდება გაერთიანებული საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი VIII-ის 1459 წლის ეპისტოლეში და ყუარყუარე ათაბაგის მიერ ბურგუნდის მთავრისადმი გაგზავნილ წიგნში ჩამოთვლილ ქართველ მეფე-მთავართა და მსხვილ ფეოდალთა შორის.

განმარტებითი ქართული წარწერები **(სურათი №18ა)**. ლიხნის ტაძრის წარწერებიდან საყურადღებოა 1066 წლის წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ **(სურათი № 19)**. წარწერებში დასახელებულია ისტორიული პირები, საქართველოს მეფეები გიორგი II კურაპალატი (1072-1089), ბაგრატ IV (1027-1072), მწიგნობართუხუცესი და ჰყონდიდელი, ვაჩე იპერტიმოსი, პეტრე-პატრიკ ყოფილი და სხვები **(სურათი 18ბ)**.

ოჩამჩირის რაიონის სოფ. ჭლოუს (ჭალის) ეკლესიის ეზოში აღმოჩენილია მსხვილი ფეოდალისა და საქართველოს სამეფო კარის მოხელის ერისთავთ ერისთავი და მანდატურთუხუცესი ოზბეგ დადიანის წარწერა **(სურათი №20)**, რომელიც საფლავის ქვის ეპიტაფიას წარმოადგენს. ასევე საფლავის ქვის ეპიტაფიას უნდა წარმოადგენდეს გალის რაიონის სოფ. დინაზურგაში აღმოჩენილი მიქელ გალატონთუხუცესის წარწერა **(სურათი 20ა)**, რომელიც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მხედრული დამწერლობის ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ ნიმუშს წარმოადგენს.

მრავალფეროვანია აფხაზეთის ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში დასახელებულ ისტორიულ პირთა სოციალური სპექტრი. წარწერებში ვხვდებით მოსახლეობის თითქმის ყველა ფენას: მეფეების, მხარის გამგებლების, მაღალი საეკლესიო იერარქიის, მღვდლების, ოსტატ-მშენებლების და უბრალო მლოცველების სახელებს. წარწერებში დასახელებულია: „აფხაზთა“ სამეფოსა და გაერთიანებული საქართველოს მეფეები: გიორგი II **(922-957)**, ბაგრატ III **(978-1014)**, ბაგრატ IV **(1027-1072)**, გიორგი II კურაპალატი (1072-1089), კონსტანტინე მეფეთა მეფე (დავით ნარინის ძე) (1293-1227); მსხვილი სამეფო მოხელეები, მხარის გამგებლები და ადგილობრივი მსხვილი ფეოდალები: ერისთავთ-ერისთავი და მეჭურჭლეთუხუცესი აბულასან იობის ძე, მწიგნობართუხუცესი და ჰყონდიდელი, გიორგი ბასილის ძე, გიორგი გურგენიძე, „დეოფალთ დეოფალი“ საგდუხტი, ერისთავთ ერისთავი და მანდატურთუხუცესი გიორგი დადიანი, „დეოფალთ დეოფალი“ მარხი, რაჭის ერისთავთ ერისთავი ნიანია, ერისთავთ ერისთავი და მანდატურთუხუცესი ოზბეგ დადიანი, ლევან I დადიანი, „ანაკოსის“ მთავარი რაბია; საეკლესიო პირები: ხოფის (ხუაფის) ტაძრის მაშენებელი უცნობი „მამადმთავარი“, მთავარეპისკოპოსი გიორგი, აფხაზეთის კათალიკოსი ნიკოლოზ გონგლიბაისძე, სოფრონ ბედიელი, მთავარეპისკოპოსები და მიტროპოლიტები ანტონ ჟუანისძე, კირილე ჟუანისძე, გერმანე ჩხეტიძე, გრიგოლ მოქველი. ილორის საყდრის მღვდელი გიორგი ქოჩოლავა, წკელიკარის ტაძრის ხუცესი მერკილი, გუდავის ეკლესიის დეკანოზი და ა.შ. ტაძრის მაშენებლები: სვიმონ გალატონთუხუცესი, გიორგი გალატოზი, ლუკა მარტინევა, საბა მღელის ძე. წარწერებში დასახელებულია უბრალო მლოცველები, ადგილობრივი მოსახლეობა: მიქაელი, გიორგი, ფაშაძე, რომა, ნუგამწირა და ა.შ. ეს არის იმ ისტორიულ პირთა არასრული ნუსხა, რომლებიც მთელი შუა საუკუნეების მანძილზე თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მატერიალურ და სულიერ კულტურას ჰქმნიდნენ (ახალაძე, 2005ა: 209-210).

ცხინვალის რეგიონში აღმართული ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებიდან ქართული წარწერების სიმრავლით გამოირჩევიან ნიქოზის, არმაზის, ერედვის, იკორთის, ლარგვისის, ყანჩაეთის, კაბენის, თიღვის, თირის, ქვემო კიტრეულის, დოდოთის, წირქოლის, ტბეთის, იკოთას,

ხეთის, კვაისას, კოჟას, ჭარბის, დორეთკარისა და გომართას, ძეგლვის, ოჟარას, სოხთას, ზემო ლისის და ა. შ. ტაძრები.

საქართველოში ერთ-ერთ უძველეს ეპიგრაფიკულ ძეგლად ითვლება ცხინვალიდან სამი კილომეტრის მანძილზე, სოფ. ნიქოზში მდებარე ეკლესიის წარწერა, რომელშიც ზაქარია პირველენისკობოსი არის დასახელებული. (შოშიაშვილი, 1980: 70-71). ნიქოზში ორი ეკლესია დგას: ერთი ღვთაებისა, ხოლო მეორე მთავარანგელოზისა. ღვთაების ტაძარი შუა საუკუნეების საქართველოში საეპისკოპოსო კათედრალი იყო, რომელიც აგებულია ვახტანგ გორგასლის მიერ V საუკუნის II ნახევარში. ტაძარზე ამოკვეთილი X საუკუნის წარწერის მიხედვით ღვთაების ტაძრის განახლება-რესტავრაცია X საუკუნეში ჩატარებია მიქაელ ეპისკოპოსს.

ნიქოზის მთავარანგელოზის ეკლესიის ფასადებზე ამოკვეთილია ორი საამშენებლო წარწერა, რომლებიც მოგვითხრობენ ნიქოზელი ეპისკოპოსისა და მისი დისწულის მიერ ტაძრის მშენებლობის ისტორიას.

შიდა ქართლის წარწერებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აფხაზთა მეფეთა წარწერები, რომელთა შორის უძველესია არმაზის 864 წლის წარწერა გიორგი I-ის (861-868) მოხსენიებით (შოშიაშვილი, 1980: 168). აღნიშნული წარწერა ადასტურებს „მატიანე ქართლისაის“ უცნობი ავტორის ცნობას, რომ IX საუკუნის 60-იანი წლებიდან აფხაზთა მეფეებმა აქტიურად დაიწყეს ბრძოლა ქართლის დაუფლებისათვის (ყაუხჩიშვილი, 1955: 258).

მდინარე ლიხვის ხეობაში სოფ. ერედში დაცული ორი ეკლესიიდან ერთ-ერთზე, კერძოდ წმიდა გიორგის ტაძრის ფასადზე ამოკვეთილია ოთხი ქართული ასომთავრული წარწერა (შოშიაშვილი, 1980: 170-174; ოთხმეზური, 1994: 120-121.). წარწერები მნიშვნელოვან საისტორიო წყაროს წარმოადგენენ, როგორც ამ ტაძრის ისტორიის შესწავლის, ასევე X საუკუნის დასაწყისში ქართლში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების შესახებ. წარწერების შინაარსიდან ირკვევა, რომ ტაძარი აგებულია ხუროთმოძღვარ თევდორე თაფლაის ძის მიერ კონსტანტინე აფხაზთა მეფის ზეობის წლებში (893-922). ეგრის-აფხაზეთის მეფეს ამ დროს მყარად უჭირავს ქართლი, რომელსაც მეფის ერისთავი უფლისციხიდან განაგებდა. აღნიშნულ მოვლენას კიდევ ერთი ეპიგრაფიკული ძეგლი ადასტურებს, კერძოდ სამწევრისის ტაძრის (სურათი №21) საამშენებლო წარწერა (სურათი №22), რომელიც შესრულებულია კონსტანტინე მეფის ზეობის მე-20 წელს, ე. ი. 912 წელს (შოშიაშვილი, 1980: 222-223). ერედვის წარწერების მიხედვით ერედი და მისი შემოგარენი შიდა ქართლის მსხვილი ფეოდალური საგვარეულოს ტბელების საუფლო ყოფილა და რომელთა ქტიტორული საქმიანობის შედეგად აიგო ტაძარი. ტაძრის წარწერებში საოცარი სიზუსტით იკვეთება მაშინდელი საქართველოს სოციალური იერარქიის სურათი: მეფე - კონსტანტინე აფხაზთა მეფე; მსხვილი ფეოდალი - ტბელი; ხუროთმოძღვარი - თევდორე თაფლაისძე და ტაძრის მშენებელი და მლოცველი ყვარყვარი.

აფხაზთა მეფის ლეონ III-ის (957-967) სახელი გვხვდება სოფ. წირქოლის ეკლესიის რელიეფების სამ ფრაგმენტულ წარწერაში, იქვე გამოხატულია მეფის ფიგურა ანგელოზებთან ერთად (Чубинашвили, 1939: 207-208; შოშიაშვილი, 1980: 221). წარწერის შინაარსიდან ირკვევა, რომ წირქოლის ტაძარი აგებულია ლეონ III-ის მიერ, რომელიც ამ დროს მყარად ფლობდა შიდა ქართლს და ჯავახეთსაც. აფხაზთა მეფის

მიერ ჯავახეთის შემოერთების ფაქტი დადასტურებულია ახალქალაქის რაიონში მდებარე კუმურდოს ტაძრის საამშენებლო წარწერის შინაარსით (სილოგავა, 1994: 39). საერთოდ, აფხაზთა მეფის ლეონ III-ის აქტიური ქტიტორული საქმიანობა ჩანს, როგორც ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში, ასევე ნარატიულ თხზულებებშიც. აღნიშნული წყაროების მიხედვით ლეონ III-ის მიერ აგებულია მოქვის, წირქოლისა და კუმურდოს ტაძრები. ასევე მან შეამკო ხობის ღმრთისმშობლის ხატი **(სურათი №23)**, რომლის ქვედა ჩარჩოზე ამოკვეთილია ლეონ მეფის ერთსტრიქონიანი სავედრებელი წარწერა (Чубинашвили, 1959: 142).

მრავალრიცხოვანია ცხინვალის მახლობლად მდებარე ტბეთის ბორცვისჯვრის ეკლესიის ქართული წარწერები (ათზე მეტი წარწერა), რომლებიც მდიდარ ინფორმაციას იძლევიან ტაძრის მშენებლობის ისტორიისა და X საუკუნეში ამ რეგიონის მფლობელი მსხვილი ფეოდალების ტბელების შესახებ (შოშიაშვილი, 1980: 175-178; **Отхмезური**, 1994: 121-123). წარწერების შინაარსიდან ირკვევა, რომ IX-X საუკუნეებში ცხინვალი და მისი შემოგარენი **ტბელების საუფლო** ყოფილა. ტაძრის ეპიგრაფიკული მასალა საშუალებას იძლევა აღვადგინოთ ამ ეპოქის ტბელების გენეალოგიური სურათი: ივანე ტბელი, ქავთარ ტბელი, პატრიკ ტბელი და მისი შვილები ოქროპირი და ქავთარი. ტბელების ფეოდალური სახლის წევრები უნდა იყვნენ წარწერებში დასახელებული თეკლა, ვახტანგი და ცუატაი. გარდა ტბელებისა, ბორცვისჯვრის ეკლესიის წარწერებში დასახელებულია ისტორიული პირები ივანე და ქობულ აბაზას ძენი. აქვე დასახელებული არიან დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები: ბალავრის დამდეგი თიხრეველი ითხვანთ ხელონები, მშენებელი სანდამირ პაპასძე და სხვები. ფაქტობრივად, ტბეთის წარწერებში ჩანს X საუკუნის ქართული საზოგადოების სამი ფენა: წარჩინებული ფეოდალები, აზნაურები და უბრალო ხელოსნები.

ძველქართულ ფოლკლორულ ეპოსს უკავშირდება დოდოთის ცხრაკარას ეკლესიის დასახელება, რომელიც ცხინვალიდან 7 კმ. მანძილზე მდებარეობს. ტაძარზე შემორჩენილი სამი ასომთავრული წარწერა (შოშიაშვილი, 1980: 175-178) მოგვითხრობს, რომ იგი აგებულია ადგილობრივი ფეოდალის ივანე ტბელისა და მისი ვაჟის ქავთარ ტბელის მიერ.

ცხინვალის რეგიონში ბიეთის სამების ეკლესიამ შემოგვინახა X საუკუნის ოთხი ქართული წარწერა, რომლებშიც დასახელებულია ტაძრის ქტიტორები, ისტორიული პირები ერისთავთ ერისთავი იოანე, მისი მამა ბაკურ ყანჩაელი, ვაჩე და ბემქენი. აქვე არის სავედრებელი წარწერები (შოშიაშვილი, 1980: 192-195; **Отхმезური**, 1994: 118-119).

IX საუკუნის დასაწყისით თარიღდება კაბენის მონასტრის წარწერა, რომელშიც დასახელებულია ქართლის ერისთავარი ადარნასე და მისი ასული ლატავრი - აშოტ ბაგრატიონის და (**Отхმезური**, 1994: 114-115). იმავე ეკლესიაში დაცულია საფლავის ქვა მხედრული წარწერით, რომელიც ეკუთვნის ზაზა რატიშვილს და დათარიღებულია 1756 წლით.

მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის გარკვევის მიზნით საყურადღებო ცნობებია დაცული ჯავის რაიონის ეპიგრაფიკულ მასალებში, კერძოდ, ქასაგინას, სოხთას, კვაისას, კროჟას ეკლესიის წარწერებში (**Меписашвили, Цинцадзе**, 1975: 81-83; 88-91). მათი უმრავლესობა საამშენებლო ხასიათისაა და მოგვითხრობს აღნიშნული ტაძრების მშენებლობის ისტორიას ადგილობრივი ფეოდალებისა და ოსტატების მიერ. აქვე დაცულია საფლავის ქვის ეპიტაფიები.

შიდა ქართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა ლარგვისის მონასტერი, რომელიც ქსნის ერისთავების სამფლობელო იყო. XIV საუკუნეში აქ მოღვაწობდნენ ცნობილი კალიგრაფები, რომლებიც ხელნაწერთა განახლებასა და რესტავრაციაზე მუშაობდნენ. ლარგვისის მონასტრიდან იყო ცნობილი კალიგრაფი ავგაროზ ბანდაისძე, რომელმაც XIV საუკუნეში შექმნა ქსნის ერისთავების საგვარეულო მატრიანე „ძეგლი ერისთავთა“. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით ლარგვისის ძეგლი XIV საუკუნის მონასტრის ადგილზე დავით ქსნის ერისთავმა (1753-74) ააგო გუმბათიანი ტაძარი. ამ ცნობას ადასტურებს ლარგვისის მონასტრის ხატის წარწერა, რომელშიც დავით ქსნის ერისთავთან ერთად დასახელებულია მისი დედა ქეთევანი.

ეთნოკულტურული ისტორიის კვლევის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ეპიგრაფიკული ძეგლებია ლისის ჯვრის, ცხავატის, ოჟარას, ძეგლევის, გომართას, ზღუდერის, ხეთის იკოთას წარწერები. აღნიშნული მასალის მიხედვით, ლისის ჯვრის ეკლესიის მაშენებელი და ქტიტორი იყო XI საუკუნის ადგილობრივი ფეოდალის თუალოის ასული ფებრონია. წარწერაში დასახელებულია ფებრონიას ძმა აბულეთი (Меписашვილი, Цинцадзе, 1975: 103-104; შოშიაშვილი, 1980: 190-191). ცხავატის მაცხოვრის ტაძრის წარწერებში დასახელებულია ტაძრის კალატოზი ინა, უბრალო მლოცველი ნაფენაი და სხვები (შოშიაშვილი, 1980: 191-192). XII—XIII საუკუნეების წარწერების მიხედვით, ოჟარას ეკლესიის ქტიტორები იყვნენ ადგილობრივი ფეოდალები თინათი, ფადლონი და მათი ძენი. აქვე ნაპოვნია საფლავის ქვის ეპიტაფია, რომელშიც დასახელებულია ალექსანდრეს ძე სიაომი (Меписашვილი, Цинцадзе, 1975: 126).

საყურადღებო ცნობებია დაცული თიღვის მონასტრის წარწერები. ერთ-ერთი წარწერის მიხედვით XI საუკუნეში ტაძრის პირველი მაშენებელი იყო რუისის ეპისკოპოსი გიორგი მროველი. XII საუკუნეში თიღვის ტაძარი განუახლებია დავით აღმაშენებლის (1089-1125) ასულს — თამარს, რომელიც გათხოვილი იყო შირვანის შაჰზე, მაგრამ დაქვრივების შემდეგ შირვანის დედოფალი სამშობლოში დაბრუნდა და თიღვის მონასტერში მოღვაწეობდა. სწორედ, მისი ინიციატივით განახლდა ტაძარი 1152 წელს (Отхмезური, 1994: 126).

იკორთის ტაძარში დაცულია 1172 წლის საამშენებლო წარწერა, რომელიც ეკუთვნის ადგილობრივ ფეოდალებს - ტაძრის ქტიტორებს ბემქენსა და ვარდანს. აქვე არის ერისთავთ ერისთავი არსენის, ჭიბაერის, ბასილისა და თვალისგუგას სავედრებელი წარწერები. აღნიშნული ისტორიული პირები ცნობილია სხვა ისტორიული წყაროებითაც და ისინი გიორგი III-ის (1156-1184) ეპოქაში მოღვაწეობდნენ. ტაძარზე გამოსახულია მზის საათი, რომელიც ტაძრის მშენებლობის პერიოდით თარიღდება. მოგვიანებით, 1673 წელს ტაძარი განაახლეს ქართლის დედოფალმა როდამმა (ვახტანგ V-ის მეუღლე) და იესე ერისთავმა (Отхმезური, 1994: 128-129).

ცხინვალის რაიონში თირის ცნობილ სამონასტრო კომპლექსში შედის ღმრთისმშობლის სახელობის ტაძარი, სამრეკლო, სატრაპეზო და კლდეში ნაკვეთი კელები. აღნიშნულ ნაგებობებზე ამოკვეთილია სხვადასხვა ეპოქის (XIII-XVIII სს.) სავედრებელი წარწერები, რომლებიც ეკუთვნის რატი, სიაომ, ასათი და ხელა მახაბლებს, ბევროზა მახათლიშვილს, ხელა თავხელიძეს, რუისის ეპისკოპოსს, მროველ ფილიპე თავთაქიძეს და სხვ. აქვე არის საფლავის ქვის წარწერები: ზურაბ მახაბლის ასულის 1654

წლის ეპიტაფია, უფლისწულ როსტომის (გიორგი XI-ის ვაჟი) 1689 წლით დათარიღებული ეპიტაფია, 1775 წლის საფლავის ქვის წარწერა და ა. შ. (ანდლულაძე, 1969).

სოფ. იკოთის ეკლესიის ლაპიდარული წარწერა მოგვითხრობს 1798 წელს ეკლესიის განახლების ამბავს მეფის რძლის ქეთევან წერეთლის მიერ. წარწერაში დასახელებული ქეთევანი არის იოანე ბატონიშვილის მეუღლე. იმავე ეკლესიის შიგნით არის XVIII საუკუნის მიწურულის ეპიტაფია, რომელიც ეკუთვნის დავით კორინთელისა და ნანას ასულს მაგდან კორინთელს, რომელიც დასაფლავებული ყოფილა ეკლესიაში. კორინთელების გვარი საქართველოში ცნობილია IX—X საუკუნეებიდან. ადრე ისინი მსხვილი ფეოდალები იყვნენ, მაგრამ მოგვიანებით დაკარგეს ძველი დიდება და რიგითი აზნაურები გახდნენ (Отхмезური, 1994: 140).

თანამედროვე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გვხვდება რამდენიმე ბერძნული და სომხური წარწერა. მათგან ბერძნული წარწერები ძირითადად ადრეულ პერიოდს ეკუთვნის, ხოლო სომხური წარწერები უფრო გვიანი პერიოდისაა და დაკავშირებულია გვიან შუასაუკუნეებში შიშანობის დროს ქართლში სომხური მოსახლეების შემოსვლასთან

სხვა ენაზე დაცული წარწერები ამ ტერიტორიაზე არ გვხვდება.

ამრიგად, აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში არსებული ძველი წარწერების აბსოლუტური უმრავლესობა ქართულია; წარწერებში დასახელებულია ადგილობრივი ფეოდალები, სასულიერო პირები, ტაძრის ხუროთმოძღვრები, კალატოზები და უბრალო ადამიანები. ამ რეგიონების მატერიალური კულტურის შემქმნელი მოსახლეობა მშობლიურ ენაზე აღწერდა იმ ისტორიულ მოვლენებს და ფაქტებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა რეგიონში; ამ ენაზე უტოვებდა შთამომავლობას ტაძრის მშენებლობის ისტორიას, ამ ენაზე ითხოვდა სავადრებელსა და შენდობას და, ბოლოს ამ ენაზე წერდა საფლავის ქვის ეპიტაფიებსაც. ბუნებრივია, ეს მოსახლეობა ეთნიკურად ქართულ სამყაროს ეკუთვნოდა.

ლიტერატურა:

- ანდლულაძე, 1969** - ნ. ანდლულაძე, თირის მონასტრის წარწერები, მაცნე ისტორიის . . . სერია, №6, 1969.
- ახალაძე, 1999** - ლ. ახალაძე, ბედის ტაძრის ფრესკული წარწერა და დადიანთა მანდატურთუხუცესობის საკითხი. წელიწდეული „საისტორიო ძიებანი“. ტ. II. თბ. 1999.
- ახალაძე, 2000** - ლ. ახალაძე, „ . . . მეოხ ექმენ საყდრის ამშენებელს“. წელიწდეული „საისტორიო ძიებანი“. თბ. 2000.
- ახალაძე, 2005(ა)** - ლ. ახალაძე, აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო (ლაპიდარული და ფრესკული წარწერები). თბ. 2005.

- ახალაძე, 2005 (ბ)** - ლ. ახალაძე, ქრისტიანობა და დამწერლობა აფხაზეთში. მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები. მოხსენებების კრებული. I. თბ. 2005.
- ახალაძე, 2007** - ლ. ახალაძე, ქართული დამწერლობის პალეოგრაფიული მახასიათებლები აფხაზეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში. ჟურნალი „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“. №1. თბ. 2007.
- ახალაძე, 2004** - ლ. ახალაძე, ეგრის-აფხაზეთის მეფეთა წარწერები, ასოციაცია „ქართული კულტურა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ“. თბ. 2004.
- გვანცელაძე, 2004** - თ. გვანცელაძე, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა შუა საუკუნეთა ლაპიდარული წარწერების მიხედვით. მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები. მოხსენებების კრებული. I. თბ. 2005.
- კალანდია, 2004** - გ. კალანდია, ოდიშის საეპისკოპოსოები, თბ. 2004.
- სილოგავა, 1994** - ვ. სილოგავა, კუმურდო, ტაძრის ეპიგრაფიკა. თბ. 1994.
- სილოგავა, 2004** - ვ. სილოგავა, სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა. თბ. 2004.
- სილოგავა, 1980** - ქართული წარწერების კორპუსი. ტ. II. ლაპიდარული წარწერები, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX—X სს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ. თბ. 1980.
- შოშიაშვილი, 1980** - ქართული წარწერების კორპუსი. ტ. I. ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შოშიაშვილმა. თბ. 1980.
- ყაუხჩიშვილი, 1955** - მატეანე ქართლისაი, „ქართლის ცხოვრება“. ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1955.
- ყაუხჩიშვილი, 2004** - თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი. თბ. 2004
- ხორავა, 1998** - ბ. ხორავა, მოქველ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი, წელიწდეული „საისტორიო ძიებანი“ I. თბ., 1998.
- ხორავა, 2000** - ბ. ხორავა, ბედიის საეპისკოპოსო, წელიწდეული „საისტორიო ძიებანი“. III. თბ. 2000.
- Бгажба, 1967 - X. С. Бгажба.** Из истории письменности в Абхазии. Тб. 1967.
- Меписашвили, Цинцадзе, 1975** - Р. Меписашвили, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида Каргли. Тб. 1975
- Отхмезური, 1994** - Г. Отхмезური. Эпиграфика северной части шиды Каргли. В кн. Осетинский Вопрос. Тб. 1994.
- Чубинашвили, 1959** - Г. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство. Тб. 1959.

დემოგრაფიული პროცესების ერთი მაგალითი: მუჰაჯირობის ისტორია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

მუჰაჯირობა, როგორც მოსახლეობის ადგილმონაცვლეობის სპეციფიკური ფორმა (მუჰაჯირ - არაბ. ემიგრანტი, სამშობლოდან წასული), XIX საუკუნის სხვადასხვა ეტაპზე კავკასიიდან თურქეთში გადასახლების პროცესის აღმნიშვნელ ტერმინად დამკვიდრდა ისტორიოგრაფიაში. თვით მუჰაჯირი ქართველები თავისიანებს „ჩვენებურებს“ ეძახიან (წ. ფუტყარაძე, 1993: 9).

მუჰაჯირობის პირველი ტალღა 1828-29 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მსვლელობისა და მის შემდგომ პერიოდში სამცხე-ჯავახეთიდან მუსლიმანური მოსახლეობის თურქეთში გადასახლებას უკავშირდება. მეორე პერიოდი კი იწყება 1877-1878 წლების ცნობილი ომის დროს და გრძელდება 1882 წლის 3 თებერვლამდე (მ. სვანიძე, 1996: 5), თუმცა ეს პერიოდი სპონტანურად 1921 წლამდე გრძელდება.

მუჰაჯირობის აღნიშნული პერიოდი ლიტერატურაში **ოსმალური და რუსული ეტაპის** სახითაა წარმოდგენილი (ი. ბარამიძე, 1999: 49). **პირველ ეტაპზე (1878 წლის აგვისტო-სექტემბერი) ოსმალეთის იმპერიის სიღრმეში მოსახლეობის ემიგრაცია ოსმალეთის/პორტას მოქმედებით იყო განპირობებული, 1878 წ. აგვისტო-სექტემბერიდან კი გადასახლების ძირითადი მიზეზი გახდა რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკა.** ოსმალები რუსული მმართველობის დამყარების შემდეგაც ეწეოდნენ აგიტაცია-პროპაგანდას პრივილეგიების დაკარგვის შიშით შეშინებულ მოლაზხოვებზე დაყრდნობით, რაც გარკვეულ როლს თამაშობდა მოსახლეობის ახალი ტალღის ემიგრაციაში წასვლის თვალსაზრისით.

ქართველს არ ეთმობოდა სამშობლო, მაგრამ შექმნილი პირობების გამო იძულებული იყო „დამორჩილებოდა შავ ბედს და გადასახლებულიყო“ (ზ. ჭიჭინაძე, 1914: 2-4). მას შემდეგ, როცა გარკვეულ იქნა აჭარისა და ბათუმის რუსეთის იმპერიისათვის გადაცემის საკითხი, ერთგვარად დაჩქარდა მკვიდრთა (ქართველთა) აყრა-გადასახლების პროცესი. ოსმალები არც ძალის გამოყენებას ერიდებოდნენ. დევრიმ ფაშას განკარგულებით მხოლოდ ქობულეთში მოსახლეობის ძალით გადასახლების მიზნით მოქმედებდა 160 ცხენოსანი (დროება, №190, 1878). მკვიდრთა ძალით გადასახლების თაობაზე ნური თავდგირიძეს უცნობებია გრ. გურიელისათვის, რომელსაც იმჯერად ოსმალებისათვის გზა გადაუღობავს და გასაგზავნად გამზადებული ხალხი სახლებში დაუბრუნებია (დროება, №190, 1878).

ოსმალთა ძალადობის მოგერიებას ქართული მოსახლეობა საკუთარი ძალებითაც ცდილობდა. 1878 წლის 14-15 აგვისტოს ქობულეთლებმა ოსმალებს ნამდვილი ომი გაუმართეს („Одзор“, №231, 1878). წინააღმდეგობებისა და პროტესტის მიუხედავად ბევრი სოფელი ნასოფლარად იქცა. ეს პროცესი

მომგებიანი იყო ორივე (რუსეთი, ოსმალეთი) იმპერიისათვის. ამიტომაც იყო, რომ ოსმალეთის ხელისუფლება არ ჩქარობდა აჭარის დროულად დატოვებას და სავარაუდოა, რომ რუსეთიც თავისი მიზნის მიღწევამდე (საქართველოს ამ ნაწილის მკვიდრთაგან/ქართველთაგან დაცარიელება) „დიდსულოვნად ითმენდა“ „თავის საზღვრებში“ თურქთა ყოფნას.

1878 წლის 25 აგვისტოს ბათუმი ოფიციალურად გადაეცა რუსეთს. რუსეთის მოხელეებმა აჭარის მოსახლეობას განუცხადეს იმპერიის ნება, რომლის მიხედვითაც ხელშეუხებელი იქნებოდა მკვიდრთა/ქართველთა ქონება და რელიგია; მოსახლეობას იგივე მოვალეობები ეკისრებოდა რუსეთის მიმართ, როგორც იყო ოსმალთა ბატონობის დროს; უცვლელი დარჩებოდა ადგილობრივი მმართველობა, გადასახლების მსურველებს მიეცემოდათ ქონების გაყიდვის დრო და საშუალება (ხ. ახგლედანი, 1978: 13). **ეს განცხადება პრაქტიკულად არ შესრულებულა, რადგან რუსეთის მთავარი მიზანი მკვიდრთა/ქართველთა აყრა და მათ ადგილზე სასურველი ეთნოსის ჩამოსახლება იყო.** ეს ჩანს რუსეთის მოხელის — სვიატოპოლკ-მირსკის მიერ საიმპერატორო ხელისუფლებისადმი (1878 წლის 15 ოქტომბერს) გაგზავნილი პატაკიდან, რომლის მიხედვით იმპერიის უმთავრესი ამოცანაა „ბათუმის ოლქის მოსახლეობის თავიდან მოცილება. მით უმეტეს, რომ ამის საშუალებას გვაძლევს სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების 21-ე მუხლი. მოსახლეობის მიმართ გატარებული უნდა იქნას რაც შეიძლება მკაცრი ზომები, იარაღის გამოყენების ჩათვლით მათი მორჩილებაში მოყვანის მიზნით. მსგავსი ღონისძიება საშუალებას მოგვცემს გავწმინდოთ მხარე ჩვენთვის მიუღებელი ელემენტებისაგან“ (საქართველოს ცსა, ფ. 416, ან. 3., ს. 1172, ფურც. 2-4). აღნიშნული განცხადება იმპერიის ძირითადი სამოქმედო დოქტრინა იყო. რუსული მმართველობა თავისი საქმიანობით დაეჯახა ხალხში საუკუნეებით, ტრადიციულად დამკვიდრებული ცხოვრების ნორმებს, რითაც მკვიდრი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. გარდა ამისა, აჭარის საქართველოსთან დაბრუნებით გაერთიანდა ორი — ოსმალეთისა და რუსეთის საქართველო — უცხო, რუსული სახელმწიფოს დროშის ქვეშ, ე.ი. მოხდა არაქართულ სახელმწიფოებში არაქართული სისტემით აღზრდილი ქართული სხეულების არატრადიციული გაერთიანება (ი. ბარამიძე, 1999: 50). **ამ მდგომარეობას აღლო აუღეს ოსმალეებმა, რომლებიც ქრისტიანული ქართული მოსახლეობის, როგორც „ურწმუნოების“/ გიაურების წინააღმდეგ აქეზებდნენ მუსულმან ქართველებს და შეგნებულად თესდნენ რელიგიურ შუღლსა და სიძულვილს.** ამიტომ მუსულმან ქართველთა ნაწილს დაუნდობელი „რუსეთის მფარველობაში (თუნდაც ძმების გვერდით) ყოფნას ისევ ძველი ბატონის მფარველობაში ყოფნა ერჩივნა“ (ი. ბარამიძე, 1999: 50-51). ამ თვალსაზრისით სხვადასხვა ფაქტორებით განპირობებული მუჰაჯირობა ნებაყოფლობითობის ელემენტებსაც შეიცავდა.

რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ აჭარა კვლავ რჩებოდა მოწინააღმდეგის მოსაზღვრე ტერიტორიად. ამიტომაც ანიჭებდა იმპერიის ხელისუფლება მკვიდრი მოსახლეობის აყრა-გადასახლებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას. „ველიკორუსული შოვინიზმი“ მარჯვედ

ინილბებოდა მესიანისტური ფრაზეოლოგიით, ცდილობდა ობიექტური სინამდვილის დამალვას და გადასახლების მიზეზად „აქაურთა სიბევცს“ ასახელებდა (ჯ. ვარდმანიძე, 2002: 84).

რუსეთ-თურქეთის ზავმა რუსეთის კოლონიურ საქმიანობას ოფიციალური სახე მისცა. ახალ ადმინისტრაციას სჭირდებოდა თავისი „მოღვაწეობის“ გამართლება, იდეოლოგიური შირმა. ოფიციალურად ის ჩაგრულთა მფარველი იყო. დღის წესრიგში მკვიდრთა მიმართ გასატარებელი პოლიტიკის გამართლების საკითხი დადგა. გამოსავალიც მოინახა, **მეფის მთავრობამ მკვიდრ მოსახლეობას „თურქობა“ დასწამა.** ოსმალები, მართალია, მუსლიმან ქართველებში აღვივებდნენ სიძულვილს ქრისტიანი ქართველების მიმართ, მაგრამ მათ „თურქებად“ არ მიიჩნევდნენ (გურჯებს უწოდებდნენ), რუსები კი პირიქით, თურქებად ნათლავდნენ. **იგივე პოლიტიკა ცარიზმმა ცოტა უფრო ადრე გაატარა საქართველოს სხვა ნაწილის — სამცხე-ჯავახეთის მიმართ.** რუსეთის ამ პოლიტიკას დიდ შეცდომად მიიჩნევდა ე. ვეიდენბაუმი. მისი აზრით, აჭარაში „არ უნდა განმეორდეს ის შეცდომები, რომელიც 1829 წელს დავუშვით ახალციხეში. ჩვენ არ ვიცოდით ან კიდევ დავივიწყეთ, რომ აქ ბევრია გამაჰმადიანებული ქართველი“ (Вейденбаум Е. 1901: 122). რუსეთის პოლიტიკა მკვიდრი მოსახლეობის მიმართ უცვლელი დარჩა.

რუსეთის მეფის მთავრობამ ქართველებს შეუქმნა გაუსაძლისი პირობები, რათა აეძულებინა ისინი ოსმალეთში გადასახლებულიყვნენ (მ. სვანიძე, 1996: 7). **სწორედ კოლონიზატორული პოლიტიკა იყო ძირითადი მიზეზი მუჰაჯირობისა.** ამ პოლიტიკას ემსახურებოდა ომის შემდგომი პერიოდის აჭარაში ეკონომიკური პირობების ხელოვნური გაუარესება. ქობულეთის უბნის 20 სოფლიდან დარბეული და გადამწვარი იყო: ხუცუბანი, ქაქუთი, ქობულეთი, ციხისძირი, მუხაესტატე, ლეღვა, სამება, კვირიკე. სოფელი გვარა საერთოდ აღარ არსებობდა („Голос“, №102, 1879). გაჩანაგებული იყო სახლები, ბაღები, სახნავ-სათესი მიწები. **ასეთ გადალტყავებულ ადგილობრივ მოსახლეობას რუსეთმა დააკისრა გადასახადები, მაშინ როცა ოსმალეთის ხელისუფლება გადასახლების შემთხვევაში შეღავათებს ჰპირდებოდა.** ეს ფაქტორი კიდევ უფრო აძლიერებდა ემიგრაციის სურვილს.

რუსეთმა ამავე მიზეზით შეგნებულად დაამძიმა/გაზარდა ყარსსა და ბათუმში სასმელის, მარილის, და თამბაქოს ვაჭრობასთან დაკავშირებული გადასახადები (საქართველოს ცსა, ფ. 416, ან.3., ს. 849, ფურც. 2) და ჭოროხზე ნაოსნობისათვის დაწესებული ტარიფები. მალე ნატურალური გადასახადები შეიცვალა ფულადით (საქართველოს ცსა, ფ. 7, ან.4., ს. 1107, ფურც. 27). ე.ი. **რუსეთმა ყველა დაპირება ფარატინა ქაღალდად აქცია.**

მუჰაჯირობას ერთგვარად შეუწყო ხელი **სასულიერო პირთა ერთი ნაწილის აგიტაციამ.** ზ. ჭიჭინაძის თქმით წამქეზებლების გარეშე ქართველები სამშობლოდან „ფეხსაც არ მოიცვლიდნენ“ (ზ. ჭიჭინაძე, 1914: 42). **ოსმალეთი მარჯვედ ახერხებდა ახალი დამპყრობლების (რუსების) მიმართ მკვიდრი მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულების გამოყენებას, აგიტატორების მეშვეობით უნერგავდა შიშს, სიძულვილსა და**

უნდობლობას, რომელიც ბოლო დრომდე გამოჰყვა ასაკოვანი მოსახლეობის ნაწილს. მთის ცალკეულ სოფლებში დღესაც პატარა ბავშვებს „რუსებით“ აშინებენ („გაჩერდი, რუსი მოდისო“), რაც რუსების მიმართ იმდროინდელი დამოკიდებულების აშკარა დადასტურებაა. ერთი სიტყვით, **რუსეთისა და თურქეთის ინტერესები ამ თვალსაზრისით ერთმანეთს დაემთხვა. მკვიდრთა/ქართველთა აყრით რუსეთს გაუადვილდებოდა თავისი კოლონიზატორული ამოცანების შესრულება, ოსმალეთი კი ჯერ ერთი, მაღალი სამეურნეო კულტურით გამორჩეული მოსახლეობის გადასახლებით ქვეყნის ცალკეული რეგიონების სამეურნეო ათვისებას შეუწყობდა ხელს (და მომთაბარე თურქულ ტომებს „დამკდარი“ ცხოვრების პირობებში მეურნეობის წარმართვის მაგალითს მისცემდა), ამავე დროს, პერსპექტივაში რუსეთის წინააღმდეგ შესაძლო ომში მუჰაჯირთა სახით ეყოლებოდა დასაყრდენი ძალა.**

ლიტერატურაში მუჰაჯირობის ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია **რელიგიური ფანატიზმი**, მაგრამ „ქრისტიანებს რაღა მოუვიდათ, რომ ართვინიდან წლებულს ორასი კომლი აპირებს გადასახლებას? („დროება“, №131, 1880). ნუთუ ყოველივე ეს „ფანატობით აიხსნება? ადამიანი, რა რელიგიასაც არ უნდა ეკუთვნოდეს, უპირველეს ყოვლისა ეძებს დამშვიდებულ ცხოვრებას“ (შ. მეგრელიძე, 1964: 79), — წერდა გრიგოლ ორბელიანი. გადასახლების მთავარ მიზეზად ი. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვები აუტანელ პირობებს, მმართველი წრეების ბარბაროსულ დამოკიდებულებას ასახელებენ ქართველთა მიმართ. **რელიგიური ფანატიზმი ხელს უწყობდა ამ პროცესს, მაგრამ იგი არ იყო მისი განმაპირობებელი ფაქტორი.** დიდი ილიას თქმით „საცოდაობა მიადგა აჭარასა და ქობულეთს ომის გამო, აოხრება ტყეებისა და მინდვრებისა, წვა და ბუგვა სოფლებისა, დაწოკება ხალხისა, გადახვეწა ზარდაცემულთა მცხოვრებთა, ამის გამო წარამარად დაღუპვა ხალხის ქონებისა, უხვენელ-უთესავად დარჩობა, ბოლოს სიკვდილი და სისხლის ღვრა სულ იმისთანა თვისების უბედურებაა, რომელიც დიდხანს გასდევს და დიდხანს იქნება საგრძნობელი“ (ი. ჭავჭავაძე, 1987: 467).

მუჰაჯირობის ერთ-ერთ მიზეზად (პოლიტიკურთან ერთად) მკვლევარ ი. ბარამიძეს ბათუმისათვის პორტო-ფრანკოს სტატუსის მინიჭება მიაჩნია (ი. ბარამიძე, 1999: 61). იგივე აზრი ადრე გამოითქვა კონტრადმირალ გრევესა და ვ. სიჭინავას მიერ.

ბათუმის პორტო-ფრანკოდ გადაქცევამ გააუარესა მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა, რაც კარგად ჩანს იმდროინდელი პრესის მასალებშიც. გაზეთ „დროების“ მიხედვით „პორტო-ფრანკოდ ბათუმის დატოვებამ ბოლო მოუღო ხალხს, ხალხი ჩამოტყავდა და გატიტვლდა. ყველაფერი მამასისხლად უნდა იყიდო.. ცოლ-შვილისათვის ტანისამოსი რომ იყიდო, ბაჟი უნდა“ („დროება“, №35, 1879). ეს რეჟიმი თავისთავად თამაშობდა სტიმულატორის როლს, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად მისი მიჩნევა მუჰაჯირობის განმაპირობებელ ფაქტორად გაუმართლებელია. **პორტო-ფრანკოს რეჟიმი არ ყოფილა სოხუმში, ახალციხეში, მაგრამ მას ხელი არ შეუშლია აქედან ქართველთა მასობრივი გადასახლებისათვის.**

რუსებმა ადგილობრივ ბეგებს (ქართველებს) წაართვეს პოლიტიკური უფლებები, პრივილეგიები, გააუქმეს ოსმალების მიერ დანიშნული პენსიები. საზოგადოების ამ მცირე ნაწილის ხელში თავმოყრილი იყო ვარგისი მიწების დიდი ნაწილი, ამიტომ ისინი რუსული ხელისუფლების ყურადღების ქვეშ მოექცნენ. მათი თავიდან მოცილებით რუსეთის იმპერიას ორი კურდღლის დაჭერა სურდა: ჯერ ერთი, რუსების ხელში აღმოჩნდებოდა უპატრონოდ დარჩენილი მიწები და მკვიდრთა შორის ავტორიტეტული ადამიანების გადახვეწა იმავე პროცესს გამოიწვევდა საზოგადოების დაბალ ფენებში (ჯ. ვარდმანიძე, 2002: 35). რუსების ასეთმა დამოკიდებულებამ გავლენა მოახდინა ბეგების პოლიტიკურ ორიენტაციაზე. მართალია მათ დაკარგული ჰქონდათ პრივილეგიები, მაგრამ მყარ ავტორიტეტს მაინც ინარჩუნებდნენ, ისინი ჩადგნენ რუსული ხელისუფლების ოპოზიციაში. ბევრი მათგანი სათავეში ჩაუდგა გადასახლების პროცესს, თუმცა მოწინავე ადამიანები (მათ შორის მუსულმანი სასულიერო პირებიც) და ბეგების ნაწილი (ქედის მუფთი ახმედ ხალიფაშვილი, ხულოს ყადი ნური ბერიძე, მუფთი ლომან ქარცივაძე (სტამბოლში ფადიშაჰის კარის მასწავლებელი), ნური ბეგ ხიმშიაშვილი, თევფიყ ბეგ ათაბაგი, დურსუნ ბეგ თავდგირიძე, თუფან ბეგ შერვაშიძე, ახმედ ხალვაში, გულო კაიკაციშვილი, დედე ნიჟარაძე და მრავალი სხვა) ცალსახად ეწინააღმდეგებოდნენ მუსლიმან ქართველთა გადასახლების პროცესს, მაგრამ „ყველა კალიაზე უფრო მსუნაგი, უფრო ხარბი, უფრო გაუმადლარი წვრილი ჩინოვნიკობა“ (ი. ჭავჭავაძე, 1987, №136] დღენიდაც ქმნიდა მათ თანაცხოვრებისათვის გაუსაძლის პირობებს. ოსმალობის დროს ხალხი შინაურ საქმეებში დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, რუსებმა კი ელვისებურად შემოუტყეს და აიძულეს ქართველები უკეთესი ბედის საძებნელად ოსმალეთში გადახვეწილიყვნენ (ი. ბარამიძე, 1999: 74).

ასეთი პოლიტიკის შედეგად დაიცალა ისტორიული საქართველოს უდიდესი ნაწილი — შავშეთი, ნიგალი/ლიგანი/ლივანა, მაჭახელი, მურღული, აჭარის ბარი, ტაო და ა.შ. მარტო ქობულეთში 1879 წ. გადასახლების შემდეგ 2 ათასი მაცხოვრებელიდან მხოლოდ 500 დარჩა. კვირიკე, ერეგუნა, არსენაული და სხვა სოფლები მთლიანად დაიცალა (ი. ბარამიძე, 1999: 77). სხვადასხვა ავტორებისა და მონაცემების საფუძველზე შ. მეგრელიძე ბათუმის ოლქიდან გადასახლებულთა რაოდენობას 30 ათასი კაცით, ხოლო აჭარიდან - 10 ათას კაცით განსაზღვრავს, რომელთაგან 4 ათასამდე ლაზეთის ქართველი და აფხაზი იყო (შ. მეგრელიძე, 1964: 61-63). უნდა ითქვას, რომ გადასახლებულთა რაოდენობის შესახებ არსებობს სხვადასხვა და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი მონაცემები. ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია, ეს არცაა ჩვენი ამოცანა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მაშინდელი მოსახლეობის რაოდენობას და შევადარებთ ზემოთ დასახელებულ სტატისტიკურ მონაცემებს, ნათელი გახდება მუჰაჯირობის საკმაოდ დიდი მასშტაბები.

ნათლად გამოიკვეთა რუსეთის იმპერიის, მოგვიანებით „დიადი საბჭოეთის“, ახლა კი რუსეთის ფედერაციის „მასტაბილიზებული როლი (ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე) საქართველოში. კავკასიის ერები რუსული პოლიტიკური თუ „ინტელექტუალური“ აზროვნებისათვის მხოლოდ ეთნოლოგიურ კლასიფიკაციას ექვემდებარებიან. სწორედ ამიტომ აქვეყნებენ მედია სივრცეში ისტორიული თუ საქართველოს პოლიტიკური ინტერესების საწინააღმდეგო რუკებსა თუ დამახინჯებულ,

ყალბ „ინფორმაციებს“ (ტ. ფუტკარაძე, 2008).

კავკასიის მთელი ისტორია მეტყველებს იმაზე, რომ რუსეთი თავის იმპერიულ მიზნებს ახორციელებდა აქ მცხოვრები ხალხების „დამნაშავე ერებად“ გამოცხადებისა და მათი გადასახლება-განადგურების გზით. ამასთან, მიზანს იგი აღწევდა მხოლოდ მაშინ, როცა კავკასიის ერებს შორის არსებობდა დაპირისპირება. დადგა დრო გავიაროთ არა ის, თუ რა შეცდომა დაუშვეს კავკასიის ერებმა ჩვენთან მიმართებით, არამედ ჩვენი შეცდომები მათთან მიმართებით. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ მხრივ ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეუძლიათ ქართულ ისლამურ საზოგადოებებს (რომელ ქვეყანაშიც არ უნდა მოქმედებდნენ ისინი), რომლებიც რეალურად არსებობენ და მათი ჩაყენება ქართული სახელმწიფოს ინტერესების სამსახურში ჩვენი უპირველესი ამოცანა უნდა იყოს.

მუჰაჯირ ქართველებს საცხოვრებლად მამა-პაპათა სამკვიდრო ადგილების მსგავსი ტერიტორიები აურჩევიათ. აჭარის მთიანეთიდან წასულ გოგიტიძეებს (ოზდილი), ვახტანგაძეებს (ბაშთურქი), ფუტკარაძეებს (ფორთოქალი), დავითაძეებს (უნურ), გოჩიტიძეებს (ახისხალოლი), ბერიძეებს (ჩავდაროლი), ქამადაძეებს (აითექნი) და სხვა გვარის წარმომადგენლებს საცხოვრებლად შეურჩევიათ ტყითა და ცივი წყაროებით მდიდარი ინეგოლის რაიონის სოფლები: ბაღჩაყაია, ფაზარალინი, ჰილმიე, მეზითი, გუნექესტანა, თუფექჩი ქონაქი, ყუზელი, ჰაირიე..., ადაფაზარის ვილაეთის სოფლები: აჰმედიე, გაგხარმანი, ქიუჩუჯეკი და ა.შ. ბარის რაიონებიდან წასულები: ლომინაძეები (ეროლ), ხევრაძეები (იენილმაზი), მარგაძეები (სუთნი), მესხიძეები (მაჰინი), კვიტაშვილები (ველიაშვილი), შავიშვილები (ქარა), მილმაძეები (სარაჩი) და სხვები დამკვიდრდნენ დაბლობ ადგილებში, ზღვის სანაპიროებზე (ფარსის, სამსუნის, სინოპის, იზმირის, ადანის რაიონის სოფლებში (შ. ფუტკარაძე, 1993: 18).

XIX ს. II ნახევარსა და XX ს. დასაწყისის ქართულ პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა მასალები მუჰაჯირი ქართველების შესახებ. გაზეთი „კვალი“ გვამცნობს ოსმალეთის შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ქართველების რაოდენობას, კერძოდ: ხოფაში — 10 კომლი, ბირქავაში — 100, მაფაურაში — 120, იროზაში — 100, სურმენეში — 150, ოფაში — 120, ტრაპიზონში — 100, ფლატანში — 100, ბეგველმანში — 120, თრიპოლში — 100, გირესუნში — 100, ორდუში — 100, უნიაში — 1000, თერმაში — 100, ჩერშეგეში — 100, სამსონაში — 140, სინაპში — 130. ამავე გაზეთის ცნობით ქ. ბოლომანში 200 კომლი ლაპარაკობს ქართულად („კვალი“, № 49, 1895). „სახალხო გაზეთის“ 1912 წლის ერთ-ერთ ნომერში მოთავსებულია „რუქა ქართველთა მოსახლეობისა ოსმალეთში“ („სახალხო გაზეთი“, № 108, 1912), რომელიც წარმოდგენას იძლევა ქართული ოჯახების დასახლებაზე მარმარილოს ზღვის იზმითის ყურეში. რუქას თან ერთვის სოფლების სახელები და ამ სოფლებში დასახლებული ქართველი ოჯახების რაოდენობა ცხრილის სახით.

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები ვარდიძეები, ჩოლოყაშვილები, ნასყიდაშვილები, საღრიძეები, დაბელიძეები, ზურაბიძეები, თავდგირიძეები, ბერიძეები, ლომინაძეები, ვახტანგაძეები, ფუტკარაძეები, დოლაბიძეები,

შავიშვილები, გორგოშაძეები და სხვები. თანამედროვე თურქეთის ბევრ ქალაქსა და სოფელში ცხოვრობენ, კერძოდ: ტრაპიზონი, გირესუნი, სამსუნი, სინოპი, ზონდულდაქი, იზმითი, იზნიქი, იზმირი, ქუთაია, ბალიქქირისი, ადანა, ქონია, ესქიშეჰირი, ადაფაზარი, ბოლუ, ჩორუმი, ამასია, თოქათი, ორდუ, უნია, ბურსა, ინეგოლი, დუზჯე, იალოვა, გემლიქი, მეზიფორი, ფათხა, გონენი, ჩუმარა, გუგლბაში და სხვაგან. ქართველები მრავლად არიან ანკარასა და სტამბოლში, ძირითადად აჭარიდან და ტაო-კლარჯეთიდან გადასახლებულთა შთამომავლები. იშვიათად ვხვდებით გურიიდან, სამეგრელოდან და ქართლიდან გადასახლებულთა შთამომავლებსაც, მაგ. თოქათის რაიონში დღესაც ცხოვრობენ გიორგი სააკაძის ამაღალი მყოფთა შთამომავლები (შ. ფუტყარაძე, 1993: 18).

თანამედროვე თურქეთში ქართველთა რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემები არ არსებობს. გამოთქმულია სხვადასხვა ვარაუდი. 1965 წლის მონაცემებით ართვინში 17698 ქართველი ცხოვრობდა, ორდუში 4815, საქარიაში — 451543, ამასიაში — 1378, ბალიქქისირში — 1281, სინოპში — 1144, სტამბოლში — 846, თოქათში — 412 (რ. ბაქრაძე, 1995). (იგულისხმება, რომ ქართველები ცხოვრობენ დასახლებულ ქალაქებსა და მის ოლქებში)

უახლესი თურქული სტატისტიკის მონაცემებით ამჟამად თურქეთში ცხოვრობს 130 ათასი ქართველი. აქ იგულისხმებიან როგორც მუჭავირთა შთამომავლები, ისე საკუთარ ეთნიკურ ტერიტორიაზე (თურქეთის საზღვრებში მცხოვრები ქართველებიც). ეს ის რაოდენობაა, რომლებმაც მშობლიურ ენად ქართული (და ლაზური) დაასახელა (ა. თოთაძე, 1993: 11). მაგრამ ენა არაა ეროვნების განსაზღვრის ერთადერთი კრიტერიუმი. ბევრმა არ იცის ქართული, თუმცა თავს „გურჯად“ მიიჩნევს. ამდენად, ქართველების რაოდენობა თურქეთში დასახლებულზე გაცილებით მეტი უნდა იყოს (თუმცა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ცალკეულ პუბლიკაციებში თურქეთში ქართველთა რაოდენობის შესახებ მეტად გაზვიადებული (5-10 მლნ. და ა.შ) ცნობებია წარმოდგენილი.

საუკუნეზე მეტი დრო გავიდა მუჭავირობიდან. მათ შთამომავლთა უდიდეს ნაწილს ჯერ კიდევ არ გაუწყვეტია სულიერი კავშირი საქართველოსთან და სუფთა ქართულით ელოლიავეებიან ყოველივე მშობლიურს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გოგინაურიდან (შუახვეის რ-ნი) მუჭავირად წასულთა შთამომავლის დურსუნ ოზდილის (გოგითიძე) მონათხრობი: „საქართველო ჩვენი დედამიწა არი. აჭარაში გამრავლებულან ჩვენი ხალხი. ექვს ძმიდან ერთი მაქ დარჩენილა, ხუთი თურქეთში წასულა. წასულა ჩვენთანაი რამდენი? ბევრი ძალიან, თლათ თურქეთში მოდენილან, ამსილან, გურჯი სოფლები გუუხსნიან, დედის ენა ყველთვიან ულაპარიკინან.. ღმერთმა ჩვენ ჰუქუმათებსა იმფერი ჰკუა მისცეს, რომ გააყოლაგონ წასლა-მოსლა, ხისიმი ხისიმის ნატრული არ დატიონ“ (შ. ფუტყარაძე, 1993: 19).

ამრიგად, **უცხოეთიკურ გარემოში მოსახლეობის მიგრაცია-მუჭავირობა აჭარის მოსახლეობის ადგილმონაცვლეობითი პროცესების ერთ-ერთი ძირითადი ეტაპია. იგი განაპირობა ჯერ ოსმალეთის/პორტას ძალის-მიერმა და იდეოლოგიურმა (მოსყიდულთა აგიტაცია) საქმიანობამ, შემდეგ კი რუსეთის კოლონიზატორულმა პოლიტიკამ (პოლიტიკური**

მიზნების განსახორციელებლად ეკონომიკური მდგომარეობის ხელოვნური გაუარესება, გადასახადების ნაადრევი გაწერა, პორტო-ფრანკოს რუსული რეჟიმი, დაუსაქმებლობა, ბეგებისათვის პრივილეგიების ჩამორთმევა, რუსი მოხელეების ადვილახსნილობა, ისლამური ნორმების უგულვებელყოფა და ა.შ).

მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ როგორც ზღვისპირა ქალაქებსა და სოფლებში, ისე ქვეყნის შიგა რაიონებში. „ჩვენებურებს“ დღესაც არ დაუკარგავთ ენა, ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები. დღემდე შემოინახეს ქართული ყოფისა და კულტურის არქაული ელემენტები, ადგილთა სახელები (იხ. ნ. ცეცხლაძე, 2000), ენა, ტრადიცია, გვარ-სახელები, წეს-ჩვეულებები.

გასათვალისწინებელია, რომ თურქეთში დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს ასიმილაციის პროცესი და თანდათანობით იკარგება უნიკალური ქართული ეთნო-კულტურული ფასეულობები. ამიტომ, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ საქართველო-თურქეთს შორის დღეს არსებული კეთილმეზობლური ურთიერთობა მუჰაჯირთა შთამომავლების ყოფითი კულტურის შესწავლის მიზნით.

დამოწმებული ლიტერატურა:

- ხ. ახვლედიანი, 1978** — ხ. ახვლედიანი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი, 1978.
- ი. ბარამიძე, 1999** — ი. ბარამიძე, საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 1999.
- ჯ. ვარდმანიძე, 2002** — ჯ. ვარდმანიძე, მუჰაჯირობა სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2002.
- ა. თოთაძე, 1993** — ა. თოთაძე, საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი, თბ., 1993.
- შ. მეგრელიძე** — შ. მეგრელიძე, აჭარის წარსულიდან, ბათუმი, 1964.
- მ. სვანიძე, 1996** — მ. სვანიძე, ქართველები თურქეთში, თბ., 1996.
- ტ. ფუტყარაძე, 2008** — ტ. ფუტყარაძე, ქართველთა დედაენა და დიალექტები, ქუთაისი, 2008.
- შ. ფუტყარაძე, 1993** — შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.
- ნ. ცეცხლაძე, 2000** — ნ. ცეცხლაძე, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათუმი, 2000.
- ი. ჭავჭავაძე, 1987** — ი. ჭავჭავაძე, ოსმალის საქართველო, თხზ., ტ. V,

თბ., 1987.

ზ. ჭიჭინაძე, 1914 — ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაკამდიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში, ტფ., 1914.

Вейденбаум Е. 1901 — Вейденбаум Е. Кавказские Этюди, Тиф., 1901.

საარქივო მონაცემები:

1. აჭარის არქივი, ცსა, ფ.1, ან. 7, ს. 3, ფურც. 2.
2. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი. 416, ანაწერი .3., ს. 1172, ფურცელი 2-4.
3. საქართველოს ცსა, ფ. 416, ან.3., ს. 849, ფურც. 2.
4. საქართველოს ცსა, ფ. 7, ან.4. ს.1107, ფ. 27.

პერიოდული პრესა:

1. „აჭარა“, 14 ოქტომბერი, 1995 წ., ბაქრაძე რ., საქართველოზე, თურქეთში ქართული დიასპორის შესახებ.
2. დროება, N131, 1880.
3. დროება, N190, 1878.
4. კვალი, N49, 1895.
5. სახალხო გაზეთი N108, 1912.
6. Голос, N102, 1879.
7. Обзор, N231, 1878.

სომხური დიასპორის ისტორიიდან საქართველოში

გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო და სომხეთი მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ სივრცეს ქმნიან.

ქართველები და სომხები მსოფლიოს იმ ხალხთა რიცხვს მიეკუთვნებიან, რომლებიც თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის საუკუნეების მანძილზე იბრძოდნენ. ისტორიულმა ბედისწერამ ისე იწვია, რომ უდიდესი ძალისხმევით ფასად ქართველმა ერმა თავისი სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრიობა შეინარჩუნა და საქართველოს სამეფოს დაშლის მიუხედავად, ცალკეული ქართული სამეფო-სამთავროების სახით XIX საუკუნის დასაწყისამდე მოაღწია. სომხებს სხვა ბედი ერგოთ წილად: საუკუნეების განმავლობაში არათუ სომხური სახელმწიფოებრიობის, არამედ სომხური ეთნოსის ყოფნა-არყოფნის საკითხიც კი მწვავედ იდგა.

ძვ.წ. VI ს. დასაწყისში სამხრეთ კავკასიაში მნიშვნელოვანი ეთნოპოლიტიკური ცვლილებები მოხდა. 590 წელს მიდიელებმა ერთდროს ძლევამოსილ ურარტუს სახელმწიფოს ბოლო მოუღეს. ურარტუელთა ნაწილი აიყარა, ჩრდილოეთით, ქართული ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე გადმოსახლდა და თანდათანობით მათში აითქეფა. ურარტუს ტერიტორიაზე სკვითური ტომები დასახლდნენ, მისი ძირითადი მოსახლეობა კი მცირე აზიის ცენტრალური ოლქებიდან აყრილ-გადმოსახლებულმა ფრიგიულ-ინდოევროპული ენის მატარებელმა სომეხთა წინაპარმა ტომებმა შეადგინა. ურარტუს სახელი ბიბლიიდან ცნობილმა არარატის მთამ შემოგვინახა, რომელიც ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა. შემდეგი მნიშვნელოვანი ეთნოპოლიტიკური ცვლილება ამ რეგიონში ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის ნგრევას უკავშირდება. დიდი მხედართმთავრის გარდაცვალების შემდეგ იმპერიის ძირითადი ნაწილი მის ერთ-ერთ მხედართმთავარს სელევკს ჰვდა, რომელმაც ისტორიული საქართველოს სამხრეთით დიდი სახელმწიფო ჩამოაყალიბა. თავდაპირველად, ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომელსაც მისი დამაარსებლის სახელის მიხედვით სელევკიანების სამეფოს ეძახიან, თითქმის მთელი წინა აზია, შუა აზია და ჩრდილოეთ ინდოეთი შედიოდა.

ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაპირისპირებას ახალი გეოპოლიტიკური ცვლილებები მოჰყვა. ძვ. წ. 190 წელს რომის ლეგიონებმა ქ. მაგნეზიასთან ანტიოქს III-ის ჯარები სასტიკად დაამარცხეს. ამის შედეგად სელევკიანების სახელმწიფო ძალზე დასუსტდა და მთელი მცირე აზია დაკარგა (*История...*, 1951: 34).

სელევკიანების დამარცხებით უპირველეს ყოვლისა სომხებმა ისარგებლეს — იმპერიის სომეხმა სარდლებმა არტაშესმა და ზარეჰმა სამართავად გადაცემული ოლქები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადეს. ასე შეიქმნა „დიდი სომხეთისა“ და „მცირე სომხეთის“ სამეფოები. მოგვიანებით, ძვ.წ. 95 წელს „დიდი სომხეთის“ მეფემ, ტიგრან II-მ, „მცირე

სომხეთი“ შეიერთა და სომხეთის ერთიანი სახელმწიფო ჩამოაყალიბა. „დიდი სომხეთის“ მეფეებმა ქვეყნის ტერიტორიის გაფართოებისათვის ზრუნვა, ძირითადად ქართული მიწა-წყლის ხარჯზე, იმთავითვე დაიწყეს.

სომხეთისა და ქართლის სახელმწიფოებს შორის ურთიერთდაპირისპირებისა და ბრძოლის პერიოდებს, მშვიდობიანი კეთილმეზობლური ურთიერთობისა და საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის პერიოდები ცვლიდა. ასე იყო IV-V საუკუნეებში, როდესაც ქართლი და სომხეთი სპარსეთის აგრესიის წინააღმდეგ ერთად იბრძოდნენ. 428 წელს სპარსეთის მიერ სომხეთში მეფობის გაუქმების შემდეგ სომხები თავიანთ იმედებს ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალზე ამყარებდნენ და ბრძოლის ველზე მის ლაშქართან ერთად გამოდიოდნენ. სომეხთა მხედართმთავრის ვარდან მამიკონიანის ასული შუშანიკი ცოლად ჰყავდა ქვემო ქართლის გამგებელს ვარსქენს. ამ უკანასკნელმა ქრისტიანობა უარყო და მაზდეანობა მიიღო, ხოლო ქრისტიანობის მტკიცედ დამცველი მეუღლე სასტიკად აწამა. ვახტანგ გორგასალმა 482 წელს ვარსქენი მოაკვლევინა და სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. რაც შეეხება შუშანიკს, საქართველოს ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.

428 წელს მეფობის გაუქმების შემდეგ, სომეხი ხალხის ცხოვრებაში სომხური ეკლესიის როლი განსაკუთრებით გაიზარდა. როგორც ცნობილია, 451 წელს ქ.ქალკედონში IV მსოფლიო საეკლესიო კრება გაიმართა, რომელიც მონოფიზიტობისა და დიოფიზიტობის საკითხს მიეძღვნა. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ქრისტიანობის ჭეშმარიტ მიმართულებად დიოფიზიტობა გამოცხადდა, ხოლო მონოფიზიტები მწვალებლებად აღიარეს. ქართული ეკლესია დიოფიზიტურ მრწამსზე იდგა, რაც შეეხება სომხეთს, რადგან უშუალოდ სპარსეთის შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო ეს უკანასკნელი ბიზანტიის საპირისპიროდ მონოფიზიტობას უჭერდა მხარს, სომხური ეკლესია იტულებული გახდა მონოფიზიტობაზე გადასულიყო (თ.ბერაძე, მ.სანაძე, 2003: 105-106).

VII საუკუნის დასაწყისში სომხეთის ეკლესიამ გადაწყვიტა ქართლის ეკლესია დიოფიზიტობაზე გადაეყვანა და ამ გზით მასზე თავისი გავლენა გაეგრძელებინა. მონოფიზიტობა-დიოფიზიტობის თაობაზე ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის დიდი კამათი გაჩაღდა, რის შესახებაც ცნობები სომხურმა საეკლესიო მიმოწერათა კრებულმა „ეპისტოლეთა წიგნმა“ შემოგვინახა. სომეხთა კათალიკოსი ქართლის ეკლესიის მწყემსმთავარს, კირიონს, ჭეშმარიტი რწმენის ღალატში სდებდა ბრალს. კათალიკოსი კირიონი პასუხობდა, რომ ქართლის ეკლესიას მრწამსი არ შეუცვლია და ჭეშმარიტი სარწმუნოებიდან გადახვევაში სომხურ ეკლესიას ადანაშაულებდა. სომხურმა ეკლესიამ მიზნის მისაღწევად ყველა გზას მიმართა. თავდაპირველად, ქართველ მღვდელმთავრებს შორის განხეთქილების შეტანას და კირიონ კათალიკოსისადმი დაპირისპირებას შეეცადა, ხოლო როდესაც ეს ცდა ამაო გამოდგა, ქართლის ერისმთავარსა და წარჩინებულებს მიმართა. მათ ქართველ და სომეხ წარჩინებულთა შორის ახლო ნათესაური კავშირები შეახსენა, რომელსაც საეკლესიო განხეთქილება დიდ ზიანს მოუტანდა. ასეთი მიმართვის მიუხედავად, ქართლის ერისმთავარმა და წარჩინებულებმა კირიონ კათალიკოსს დაუჭირეს მხარი. ამის შემდეგ

სომხეთის ეკლესია დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ქართლს სპარსეთის შაჰის რისხვით დაემუქრა. მაგრამ სპარსეთს მაშინ სამხრეთ კავკასიისთვის არ ეცალა. მაშინ სომეხთა კათალიკოსმა აბრაამმა 608 წელს „საყოველთაო ეპისტოლე“ გამოსცა, რომლითაც სომეხებს ქართველებთან ყოველგვარი ურთიერთობა აუკრძალა, გარდა ვაჭრობისა.

აღსანიშნავია, რომ ქართველთა და სომეხთა საეკლესიო განხეთქილებას ორივე მხარე განიცდიდა. განხეთქილების მიზეზებს იმთავითვე იკვლევდნენ როგორც ქართველი, ისე სომეხი საეკლესიო მოღვაწეები. შემორჩენილია X საუკუნის სომეხი ეპისკოპოსის უხტანესის თხზულება „ისტორია განყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ და XI საუკუნის ქართველი საეკლესიო მოღვაწის არსენ საფარელის თხზულება „განყოფისათვის სომეხთა ქართველთაგან“, რომლებშიც ადრეული ხანის ავტორთა შრომებიც აისახა. საეკლესიო განხეთქილების შემდეგ მრავალი სომეხი დიოფიზიტად დარჩა და გაქართველდა, ისევე როგორც სომხეთის საზღვრებში მცხოვრები ქართული მოსახლეობის ერთმა ნაწილმა დიოფიზიტობა მიიღო და გასომხდა.

VII საუკუნიდან სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სპარსეთის ბატონობა არაბთა ბატონობამ შეცვალა. ამ პერიოდში სომეხებმა არაბებს ხარკისა და გადასახადების აკრეფაში დახმარება შესთავაზეს (გ. მაისურაძე, 2002: 139). ისევე როგორც სპარსელები, არაბებიც მონოფიზიტობას უჭერდნენ მხარს. VII-VIII სს. მიჯნაზე რანსა და ჰერეთში დიდმა ქალკედონურმა აჯანყებამ იფეთქა, რომლის სათავეში რანის მართლმადიდებელი ქართველი დედოფალი სპრამი და რანის კათალიკოსი, ფარული ქალკედონიტი, ბაკურ-ნერსე იდგნენ. მათ გააძევეს მონოფიზიტი მღვდელმთავრები და ქალკედონური მრწამსი აღადგინეს. მაშინ, სომეხთა კათალიკოსმა არაბებს მოუხმო. არაბებმა აჯანყება ჩაახშეს, დედოფალი სპრამი და კათალიკოსი შეიპყრეს, ბორკილები დაადეს და ცხენით ათრიეს (თ.ბერაძე, მ.სანაძე, 2003: 109). არაბების ასეთი ზეწოლის მიუხედავად, ჰერეთის მოსახლეობის ერთმა, ქართლის მოსაზღვრე მხარეში მცხოვრებმა ნაწილმა, ქალკედონიტური მრწამსის აღდგენა და ქართლის ეკლესიის წიაღში დაბრუნება მაინც შეძლო.

არაბთა ბატონობა ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა სომეხებს თანამედროვე სირიის, ლიბანის, ერაყის და ეგვიპტის ტერიტორიებზე დასახლებულიყვნენ; მათ აითვისეს ცენტრალური და აღმოსავლეთ ირანი.

არაბთა მფლობელობის უკანასკნელ ხანაში, IX-X საუკუნეებში, საქართველოსა და სომხეთში ახალი სამეფო-სამთავროები აღმოცენდა. სომხეთში ბაგრატიუნებმა ჩამოაყალიბეს შირაქის სამთავრო, რომელსაც აშოტ I ბაგრატიუნის (859-890) მიერ 885 წელს მეფის ტიტულის მიღების შემდეგ შირაქის სამეფო ეწოდა. მისი დედაქალაქი ანისი იყო. თითქმის იმავდროულად, 888 წ. ადარნასე ბაგრატიონმა „ქართველთა მეფის“ ტიტული მიიღო და ძველი ქართლის სამეფოს მიწა-წყალზე პრეტენზია განაცხადა.

ახალი ქართული სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბების შემდეგ, ქართული მიწა-წყლის გაერთიანებისათვის ბრძოლა გაჩაღდა, რომელიც ძირითადად ქართლის დაუფლებისათვის წარმოებდა. IX ს. დასასრულისათვის

ამ ბრძოლაში სომეხი მეფეებიც ჩაებნენ და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწიეს. მათ ქვემო ქართლის ერთ ნაწილი, მათ შორის ტაშირი, ანუ „ქართველთა ველი“ დაიკავეს, რის გამოც აშოტ I ბაგრატიონი თავს „სომეხთა და ქართველთა მთავარს“, ხოლო მეფის ტიტულის მიღების შემდეგ „სომეხთა და ქართველთა მეფეს“ უწოდებდა. X ს. მეორე ნახევარში შირაქის ანუ ანისის სამეფოს დასავლეთით ვანანდის ანუ ყარსის ვასალური სამეფო გამოეყო, რომლის პოლიტიკური ცენტრი ციხე-ქალაქი კარი (ამჟამად ქ.ყარსი) იყო. მის ჩრდილოეთით, სომხეთის მეფეების მიერ დაუფლებულ ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, ალგეთის ხეობასა და ბამბაკ-ერევნის ქედს შორის, X ს. 70-იან წლებში, ტაშირ-ძორაგეტის ქართულ-სომხური სამეფო ჩამოყალიბდა. მისი მოსახლეობა შერეული, ქართულ-სომხური იყო, ხოლო დედაქალაქი — ძველი ქართული ციხე-ქალაქი სამშვილდე. ამ პოლიტიკურ წარმონაქმნს ქართველები სომხთს ეძახდნენ და ეს სახელი ამ მხარეს საქართველოს საზღვრებში დაბრუნების შემდეგაც შერჩა.

X ს. 70-იან წლებში ერთ-ერთი ქართული სამფლობელოს, იმიერ ტაოს მეფემ, დავით III კურაპალატმა, ბიზანტიის კეისრისადმი დახმარების სანაცვლოდ მისგან „ზემო ქვეყნები“ მიიღო, რომელშიც ბასიანი, კარსუქალაქი (ამჟ. ქარზრუმი) და კიდევ უფრო სამხრეთით, მდინარეების არაქსისა და ეფფრატის სათავეები შედიოდა. დავით III აღმოსავლეთ მცირე აზიაში არაბებისაგან სომხურ მიწებს ათავისუფლებდა და ამ მიწებზე სომხებსა და ქართველებს ასახლებდა. სომხური მიწების გათავისუფლებამ მას სომხებში დიდი სახელი მოუხვეჭა. XI ს. სომეხი ისტორიკოსი ასოლიკი მას ასე ახასიათებდა: „ლმობიერებით და მშვიდობის მოყვარეობით დავითი ჩვენი დროის ყველა ხელმწიფეებს აღემატებოდა. მისი წყალობით დამყარდა მშვიდობა და კეთილდღეობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით სომხეთსა და საქართველოში“. ქართველთა სამეფოსათვის არაბებისაგან გათავისუფლებული სომხური მიწების მნიშვნელოვანი ნაწილის შემოერთების გამო სომხურ წყაროებში ის „ქართველთა და სომეხთა კურაპალატად“ იწოდება. ამდენად, ქართველი მეფეები მეზობელ, მოძმე სომეხ ხალხს მფარველობდნენ.

1045 წ. ბიზანტიის იმპერიამ სომეხთა ანისის სამეფო გააუქმა. სომხებმა ანისში საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის (1027-1072) დედა, დედოფალი მარიამი მიიწვიეს, რადგან, მათი აზრით, საქართველო წინა აზიაში ერთადერთი ქრისტიანული ქვეყანა იყო, რომელსაც იმჟამად შეეძლო ბიზანტიას დაპირისპირებოდა. ამასთან, დედოფალი მარიამი სომეხთა სამეფო საგვარეულოების არწრუნებისა და ბაგრატუნების ჩამომავალი იყო. მისი მამა სენეჭერიმი ვასპურაკანის უკანასკნელი მეფე, დედა კი ანისის უკანასკნელი მეფის გაგიკ II ბაგრატუნის (1042-1045) მამიდაშვილი იყო. ბაგრატ IV სომეხთა წინადადებას დათანხმდა და 1045 წელს დედასთან ერთად ანისში დიდი ლაშქარი გაგზავნა. სამწუხაროდ, ამჯერად საქართველომ ანისი დიდხანს ვერ შეინარჩუნა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ სომეხი ხალხი თავის იმედებს საქართველოს უკავშირებდა და საქართველოც მზად იყო მოძმე და მეზობელი ხალხის გამო ძლევაშეზღო ბიზანტიას დაპირისპირებოდა (თ.ბერაძე, მ.სანაძე, 2003: 129-130).

საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის (1089-1125) მიერ ქვეყნის თურქ-სელჩუკებისაგან გათავისუფლების პერიოდში, 1118 წელს მოხერხდა ძველი ქართული ციხე-ქალაქის ლორეს დაკავება. ამის შემდეგ მან თავის ტიტულს „მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა (პერთა) და კახთა“ „სომეხთა მეფის“ (იგულისხმება ტაშირ-ძორაგეტის სამეფო) ტიტულიც დაუმატა.

თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში ქართველთა წარმატებებმა სომეხებს მუსლიმთა ბატონობისაგან გათავისუფლების იმედი აღუძრა. 1124 წლის აგვისტოში ანისელმა სომეხებმა დავით IV აღმაშენებელი ქალაქში მიიწვიეს და შადადიანი ამირების ბატონობისაგან გათავისუფლება სთხოვეს. საქართველოს მეფე ანისისაკენ გაემართა, მძიმე ბრძოლის შემდეგ სელჩუკთა სამოცწლიანი ბატონობისაგან ქალაქი გაათავისუფლა და საქართველოს შემოუერთა. სომეხი მემკვიდრის, მათეოს ურჰაეცის ცნობით, ბიზანტიელი დედოფლის კატრონიტეს მიერ აგებული ანისის მთავარი ტაძარი, რომელიც იმჟამად მეჩეთად იყო გადაკეთებული, დავითმა კვლავ ქრისტიანული წესით აკურთხებინა და იქვე დაკრძალული დედოფლის საფლავს სამჯერ ჩასძახა: „გიხაროდეს წმიდაო დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმა შენი საყდარი უსჯულოთა ხელთაგანდ.“

დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჩუკებისაგან დარბეული სომეხები საქართველოში გადმოსახლა და გორში დაამკვიდრა. იმჟამად სომეხები წინა აზიის ვაჭრობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ, ამიტომ მეფეს სურდა მათი მფარველობითა და ხელშეწყობით ვაჭრობა-ხელოსნობა საქართველოშიც განეხორციელებინა.

საქართველოს აქტიურობა სამხრეთით მომდევნო ხანებშიც გრძელდებოდა. თამარ მეფის (1184-1213) დროს საქართველომ კვლავ შემოიერთა მცირე ხნით დაკარგული ანისი, ასევე დვინი, გააქტიურდა კარისა და არზრუმის საამიროების მიმართულებითაც, რაც კარის ქვეყნის და ქ.კარის (ამჟ. ქ.ყარსი) შემოერთებით დასრულდა. ცნობილია ანისის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის კედელზე 1218 წელს შესრულებული საქართველოს კათალიკოს ეტიფანეს მოწოდება ანელი მართლმადიდებელი ქართველი მრევლისადმი, რომელსაც ანისის სომეხი ეპისკოპოსი გრიგოლი და ქალაქის ამირა ვაჰრამი ამოწმებენ: „მკუიდრნო ამის ქალაქისანო ქართველნო!.. ყოველსა ზედა უფროსად საღმრთოი (იგი) სიყუარული ერთმან ერთისაი მოიგეთ და ამით მიეცით სასურვო საღმრთოთა მცნებათა. ესე მე ეტიფანეს კათალიკოზსა ჩემითა ხელითა დამიწერია, ოდეს ანის ეკლესიანი ვაკურთხენ“ (Н. Я. Март, 1910). თამარ მეფის დროს საქართველოში სომხური ფეოდალური საგვარეულოების წარმომადგენლებიც დაწინაურდნენ, რაც სომხური მიწების საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შესვლამ განაპირობა. ასეთ დაწინაურებულთა შორის აღსანიშნავია მხარგრძელთა გასომხებული ქურთული საგვარეულო. სარგის მხარგრძელი თამარ მეფის დროს საქართველოს ჯარის მხედართმთავარი იყო. შემდეგ ეს თანამდებობა მის შვილებს ზაქარიას და ივანეს ეპყრათ. ივანე მხარგრძელი მართლმადიდებლობაზეც მოექცა, ხოლო ზაქარია ბოლომდე სომხურ სარწმუნოებაში დარჩა.

XIII საუკუნის 20-იანი წლებიდან საქართველოს მძიმე დრო დაუდგა.

მონღოლების მიერ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ, მას ვასალური მუსლიმური ქვეყნები ჩამოსცილდა, ხოლო სომხური თემები კვლავ მის შემადგენლობაში დარჩა. ამ დროსაც მიმდინარეობდა სომეხთა გადმოსახლება საქართველოს შიდა მხარეებში, თუმცა მას შიდამიგრაციული პროცესის სახე ჰქონდა. საქართველოს მოსახლეობა, რომელიც არც თვითონ იყო დალხინებული, სომხეთიდან აყრილ-დარბეულ და გაჭირვებაში ჩავარდნილ თანამოძმეებს თანაგრძნობით შეხვდა (გ.მაისურაძე, 1982: 102). სომხები საქართველოს არამარტო საიმედო თავშესაფრად, არამედ თავიანთი საქმიანობის გაშლის ასპარეზადაც თვლიდნენ. სომეხ ვაჭართა მოზიდვითა და მათთვის პრივილეგიების მინიჭებით მონღოლები აქ თავიანთი ბატონობისათვის საყრდენი ბაზის შექმნას ცდილობდნენ. ბევრმა სომეხმა დიდვაჭარმა დამედროვემ, როგორებიც იყვნენ შადინი, ენუქ არქუნი, სადუნ მანკაბერდელი, სწორედ მონღოლების დროინდელ საქართველოში ჰპოვა ფართო ასპარეზი.

XIV საუკუნეში, ისევე როგორც ადრე, საქართველოსთან შემოერთებული სომხური პროვინციების, მათ შორის, ანისის, დვინის, ერევნის და სხვ. მოსახლეობა ქართულ სახელმწიფოებრიობას მშობლიურად აღიქვამდა. ასეთი შეგნება სომეხ ხალხში შემდეგაც, საუკუნეების განმავლობაში არსებობდა. 1336 წლის ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერში ნათქვამია: „მე, ტერტერი, უღირსი მწერალი, რომელმაც ეს წიგნი დავწერე, მოვედი საქართველოდან, ეჩმიადინის მეზობელი შესანიშნავ ქალაქ ერევნიდან...“ (სომხურ ხელნაწერთა...1978: 23). ამრიგად სომეხი გადამწერი ერევანს საქართველოს ქალაქად თვლიდა.

თემურლენგის შემოსევების დროს, როგორც ისტორიკოსი ვ.ნალბანდიანი წერდა, მოძმე ქართველი ხალხი, მიუხედავად თავისი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობისა, შემწეობის ხელს უწყვდიდა უფრო მძიმე პირობებში მყოფ სომეხ ხალხს, რომელიც სახელმწიფოებრიობას მოკლებული იყო. სომხებისთვის საიმედო თავშესაფარს საქართველო წარმოადგენდა, სადაც მოძმე ქართველი ხალხის სტუმართმოყვარე კედლებში, მის ჭერქვეშ შეიძლებოდა უზრუნველი ცხოვრება ეპოვა კაცს (ვ.ნალბანდიანი, 1959: 118). იმდროინდელი რთული ვითარების შესახებ სომეხი მემატიანე თოვმა მეწოფეცი წერდა: 1432 წელს „სასტიკი შიმშილი დაიწყო ჩვენს ქვეყანაში, როგორც მორწმუნეთა, ისე ურწმუნოთა შორის, ისე, რომ შეჭამეს ძაღლები და კატები, გვამები, ცხენები, ვირები, ჯორები და აქლემები. აღარაფერი რომ არ დარჩათ, მაშინ თავიანთ ვაჟებსა და ასულებს მიმართეს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ... ფარულად და აშკარად ათასი კაცი შეჭამეს... მორწმუნენი ზამთრის ჟამს არარატის გავარიდან აიყარნენ და საქართველოსაკენ გასწიეს“ (თოვმა მეწოფეცი, 1987: 62).

თემურლენგის შემოსევების ხანაში თურქმანებმა საქართველოს სომხური მხარეები, მათ შორის ქალაქი ანისი წაართვეს. ამავე დროს თურქმანები ქვემო ქართლში ლორეს ციხესაც დაეუფლნენ და ამ მხარეშიც ფეხი მოიკიდეს, რაც საქართველოსთვის დიდი დანაკარგი იყო. მისი სამხრეთი საზღვარი მოირღვა და თურქმანთა თავდასხმებისგან დაუცველი დარჩა. მრისხანე შუააზიელი დამპყრობის სიკვდილის შემდეგ საქართველოს სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით თურქმანული ტომები გაუმეზობლდნენ. საქართველოს მეფემ, კონსტანტინე I-მა (1407-1411),

თურქმანებისაგან გაწმინდა ქართლი, შემდეგ სევანის ტბის დასავლეთი სანაპირო და ანისის ჩრდილო-აღმოსავლეთი მიწები, და ეს ტერიტორია შემოიერთა. ისევე როგორც XI საუკუნეში, ახლაც მომთაბარებმა სომხეთში თითქმის მთლიანად დაიკავეს საარსებო სივრცე, რაც მოსახლეობის იძულებით მიგრაციას იწვევდა. XIV ს. ბოლოსათვის მდიდარი ტრადიციების ქანისი უდიდესი სოფელს დაემსგავსა, ხოლო დვინი საერთოდ გაქრა (История..., 1951: 206). 1417 წელს გადაწერილი ერთ-ერთი სომხური ხელნაწერის ანდერძ-მინაწერში გადამწერი მათეოს მონაზონი თურქმანთა მიერ მოკლული კონსტანტინე I-ის დაღუპვის შესახებ დიდი გულისტკივილით წერდა, რასაც იმით ხსნიდა, სომხებს მეფე არა გვყავს და მის მაგივრად მიგვაჩნდაო იგი“ (სომხურ ხელნაწერთა..., 1978: 35-36). საქართველოს მეფემ, ალექსანდრე I-მა (1412-1442), ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ 1431 წელს ლორეს მხარე კვლავ შემოიერთა. ამ ფაქტმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეზობელ სომხებზე, რომლებიც თურქმანებთან ბრძოლაში საქართველოს იმედის თვალთ შეჰყურებდნენ. იმჟამად თურქმანები სომხებს სამშობლოდან ცეცხლითა და მახვილით ერეკებოდნენ. დევნილი სომხები თავს კვლავ საქართველოს მხარეებს — ტაო-კლარჯეთს, სამცხე-ჯავახეთს, ლორეს მხარეს აფარებდნენ. ისინი მრავლად ჩასახლდნენ საქართველოს ქალაქებშიც — თბილისში, გორში, ახალციხეში, დმანისში. მეფემ თურქმანთაგან დევნილ სიმამრს ბეშქენ ორბელიანს ლორეს მხარე უწყალობა და მისი ქვეშევრდომი 6 ათასი კომლი სომეხიც იქვე დაასახლა (მაისურაძე, 1982: 122). XV ს. ბოლოს სომეხთა კათალიკოსი სარგისიც იძულებული გახდა ეჩმიადინი დაეტოვებინა და თავი ლორეს მხარისთვის შეეფარებინა. ყოველ შემთხვევაში, 1499 წლიდან ის უკვე ახპატის მონასტერშია (სომხურ ხელნაწერთა..., 1978: 98).

XIV-XV სს. საქართველოში მრავლად ჩნდება სომხური კულტურის კერები, სადაც დევნილმა სომხებმა სასულიერო და სამწერლობო მოღვაწეობა გააჩაღეს. ასეთი კერები გაჩნდა თბილისში, გორში, უფლისციხეში, ახალციხეში, კრწანისში, კიკეთში, ვარდისუბანში, ლორეში, თმოგვში, თორთუმში, ოლთისში, ბასიანში და სხვ. იმჟამად საქართველოში გადაწერილ ბევრ წიგნს დართული აქვს მინაწერი, რომელშიც სომეხთა მწარე ხვედრია აღწერილი. ამ მინაწერებიდან კარგად ჩანს, თუ რა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველომ სომეხთა გადარჩენის საქმეში. ლორეში დამკვიდრებული ერთ-ერთი სომეხი მოღვაწე 1438 წელს გადაწერილი წიგნის მინაწერში გვაუწყებს: „დავაწერინე ეს წიგნი უცხო ქვეყანაში, საქართველოში, ოვანეს მღვდელს, ახპატის მონასტერში... საქართველოში ალექსანდრეს მეფობისას, ლორეს მხარეში ერისთავთ-ერისთავის პატრონის ბეშქენ ორბელიანის უფლობაში“ (სომხურ ხელნაწერთა..., 1978: 53-54). სოფელ ვარდისუბანში შეხიზნული სომხები მადლობას სწირავენ თავიანთ მფარველებს: „ყველას მას, ვინც ჩვენ შეგვიფარა, ვინც ამ სოფლებში ჩვენ გვაკმევს... მიეზლოს ქრისტესაგან“ (სომხურ ხელნაწერთა..., 1978: 55-56).

XV საუკუნის მეორე ნახევარში ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქია „პატარა საქართველოებად“ — ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ დაიშალა. XVI ს. დამდეგიდან მახლობელ აღმოსავლეთში გაბატონებისათვის სპარსეთსა და ოსმალეთს

შორის ხანგრძლივი ბრძოლა დაიწყო. 1555 წლის ამასიის ზავით მათ ამიერკავკასია გაიყვეს. ქართველი ხალხი უთანასწორო ბრძოლაში ჩაება აგრესორების წინააღმდეგ. სომეხი ხალხი დამპყრობთაგან გათავისუფლების იმედებს ქართლისა და კახეთის მეფეებს უკავშირებდა.

1603 წელს შაჰ-აბას I-მა (1587-1629) მდ.არაქსი გადმოლახა, აიღო ჯულფა, ნახიჩევანი და ერევნის ციხეს ალყა შემოარტყა. მომდევნო წელს შაჰმა ერევანი აიღო და იქ სახანო დააარსა. იმავდროულად მან კახეთს კაკ-ენისელი, ხოლო ქართლს ლორეს მხარე და დებედას ხეობა ჩამოართვა, სადაც თურქმანული ტომი ბორჩალუ ჩაასახლა. ამდენად, შაჰმა ქართლსა და კახეთს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მხარეები ჩამოაშორა და შემდგომი აგრესიისთვის ხელსაყრელი პლაცდარმი შექმნა. 1614-1617 წწ. კახეთში ლაშქრობების დროს ამ მხარემ უდიდესი და გამოუსწორებელი ზარალი ნახა. 100 ათასამდე ქართველი მტერს შეაკვდა, 200 ათასამდე ტყვედ წაიყვანეს სპარსელებმა და ირანის შიდა პროვინციებში ჩაასახლეს. ქვეყანა მოოხრდა და გაუკაცურდა. დაცარიელებულ ადგილებში სომეხები სახლდებოდნენ. ეს ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებსაც შეესაბამებოდა. ისინი მისდევდნენ სოფლის მეურნეობას, მაგრამ ძირითადად ისეთსავე როლს ასრულებდნენ, როგორსაც ბერძენი და ებრაელი ვაჭრები ოსმალეთში, თავიანთ კომერციულ და დიპლომატიურ კავშირებს იყენებდნენ სომხურ დიასპორებში და საქართველოში ვაჭრობის სფეროს აკონტროლებდნენ. ეს პროცესი შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა. სრულიად სომეხთა კათალიკოსის ჰაკობ ჯულაეცის 1667 წლის სიგელში ქებით იხსენიება როსტომ მეფე (1632-1658) სომეხთა შეფარებისა და მათდამი გამოჩენილი კეთილგანწყობისთვის (გ.მაისურაძე, 1982: 166). გახშირდა შემთხვევები, როდესაც სომეხები ვალის გამო ქართველ მემამულეთა მიწებს ეუფლებოდნენ. ამასთანავე, ისინი ხშირად ქართული ეკლესიების ირგვლივ სახლდებოდნენ, შემდეგ ვაჭრობით, აღებ-მიცემობით, ხელოსნობით ეკონომიურად მოღონიერდებოდნენ, გადაბირების გზით ქართულ ეკლესიას მრევლს ჩამოაშორებდნენ და ეკლესიას გაასომხურებდნენ. ცნობილია, რომ ქართლის მეფის ერეკლე I-ის (1688-1703) 1692 წლის 7 იანვრის ბრძანებით თბილისის ჯვარის მამის ქართული ეკლესიის ირგვლივ დასახლებული სომეხები აყარეს და სხვა ადგილას გადაასახლეს. ვახუშტი ბაგრატიონი თბილისის რამდენიმე ეკლესიის შესახებ აღნიშნავს „აწ უპყრავთ სომეხთა“ (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 226,337). იმავე ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ქვემო ქართლში „ახპატი და სანანი მეფეთა ქართველთა აღშენებული ეკლესიანი გუმბათიანი... გარნა აწ სხედან სომეხნი“ (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 308).

XVIII საუკუნის დასაწყისში სომეხ-ქართველთა განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაური ქართლის მეფე ვახტანგ VI იყო. სომეხი ისტორიკოსები სომხური ჯარის შექმნას მის სახელს უკავშირებენ. ამავე ხანებში სომეხთა წრეში ქართულ-სომხური სახელმწიფოს შექმნის იდეა მომწიფდა, რომლის რეალიზებისთვისაც აქტიურად იღვწოდნენ სომეხი მოღვაწეები — განძასარელი კათალიკოსი ესაია ჰასან ჯალალიანი, ისრაელ ორი, ტიგრან მინასიანი. ისინი სომეხთა გათავისუფლების საკითხს ქართველებს უკავშირებდნენ. მათი იდეა იყო თანასწორუფლებიანი ქართულ-სომხური

ფედერაცია ქართველი მეფით სათავეში (სინ, 1973). XVIII ს. 20-იან წლებში რუსეთმა გაააქტიურა თავისი პოლიტიკა აღმოსავლეთში. ამ პერიოდში საქართველოს მესვეურებმა სცადეს რუსეთთან კავშირის მეოხებით გაეთავისუფლებინათ ქვეყანა სპარსეთის უღლისაგან. ვახტანგ VI-ის ინიციატივით რუსეთთან დაიდო ფარული შეთანხმება ერთობლივი საომარი მოქმედებების შესახებ. მეფე ენერგიულად შეუდგა სომეხ მელიქებთან და სამღვდლოებსა და მოლაპარაკებას და სომეხთა ჯარის ორგანიზაციის საქმეს. 1722 წლის აგვისტოში რუსეთის ჯარმა კასპისპირეთში მოქმედება დაიწყო. ვახტანგ VI ქართველ-სომეხთა ლაშქრით რუსებს დარუბანდსა და ბაქოს შორის უნდა შეერთებოდა. მაგრამ რუსეთის ჯარი, ოსმალეთის პროტესტის გამო, დარუბანდიდან უკან გაბრუნდა. რუსეთის მიერ მოტყუებული ქართლის მეფე, რომელსაც სპარსეთთან და ოსმალეთთან ურთიერობა გაურთულდა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მან ტახტი დაკარგა და დახმარების მიღების იმედით, მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთში გაემგზავრა. 1723 წელს ოსმალეთმა მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასია დაიპყრო. 1724 წლის ივლისში სტამბოლში რუსეთ-ოსმალეთის შორის შეთანხმება დაიდო, რომლის ძალითაც რუსეთი შეურიგდა ოსმალეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ სომხეთის დაპყრობას. 1724 წლის შემოდგომაზე კათალიკოსი ესაია ჯალალის ვახტანგ VI-ს წერდა, რომ მისი რუსეთში წასვლით დიდი იმედი მიეცათ და „ჩვენ ყოველ წუთს თქვენს ჩამოსვლასა და წერილს მოველით“ (გ.მაისურაძე, 1982: 227-228). მაგრამ რუსეთის დახმარების მომლოდინე ვახტანგ VI 1737 წელს ასტრახანში გარდაიცვალა და მისმა რუსულმა ორიენტაციამ მარცხი განიცადა.

XVIII საუკუნის შუა ხანებში ქართლისა და კახეთის მეფეებმა თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ აღმოსავლეთ საქართველო ყიზილბაშებისაგან გაწმინდეს. 1749 წლის შემოდგომაზე, როცა ერევნის სახანოს მომთაბარე თურქმანული ტომები (თარაქამა) შეესივნენ, ერევნის ხანმა დახმარებისათვის ქართველ მეფეებს მიმართა. მათ ეს წინადადება მიიღეს, სომეხთა ლაშქართან ერთად მტერს შეებნენ და გაიმარჯვეს. ამის შემდეგ ერევნის სახანო ქართლ-კახეთის მფარველობაში შევიდა, რასაც სომეხი ხალხი და სამღვდლოება კმაყოფილებით შეხვდა. მალე, ქართლ-კახეთის მფარველობა ნახიჩევანის სახანოშიც აღიარა. 1750 წელს ქართლ-კახეთის ჯარებმა ყარაბაღის სახანოც დალაშქრეს. ქართველთა ლაშქარში განძასარელი (ყარაბაღის სომეხთა) კათალიკოსი და სომეხი მელიქებიც იყვნენ. ქართველთა და სომეხთა ლაშქარმა გაიმარჯვა და აქაც ქართლ-კახეთის გავლენა დამყარდა. სომეხთა კათალიკოსი ლუკა ერეკლე II-ს საქართველო-სომხეთის მეფედ აღიარებდა და მის მიერ მოპოვებულ წარმატებებს თანაუგრძნობდა (სინ, 1973: 614-616). ამიერიდან სომეხთა მთელი გულისყური ერეკლე მეფისაკენ იყო მიპყრობილი. სომხეთის გათავისუფლების გეგმებს მის დახმარებაზე აგებდნენ. XVIII ს. 70-იან წლებში ინდოეთის სომხურმა ბურჟუაზიამ საქართველოსა და სომხეთის ერთიანი სახელმწიფოს შექმნის იდეა კვლავ წამოაყენა (История..., 1951: 260).

XVIII საუკუნის ბოლოს სამხრეთ კავკასიისათვის ბრძოლაში რუსეთის იმპერიაც ჩაება. 1783 წელს ერეკლე II იძულებული გახდა რუსეთ-

თან მფარველობით ტრანქტატზე მოეწერა ხელი, რამაც ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეოპოლიტიკური მდგომარეობა ძალზე გაართულა. 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანი ქართლ-კახეთის დასასჯელად დაიძრა. ყარაბაღის ხანი შუშის ციხეში ჩაიკეტა და მტერს მედგარ წინააღმდეგობას უწევდა, ხოლო ყარაბაღელი მელიქები მეჯღუმი და აბო სპარსელებს შეუერთდნენ. სომეხთა კათალიკოსმა ლუკამ, თავი რომ გადაერჩინა, „სამხედრო ხარჯის დასაფარად“ ალა-მაჰმად ხანს 100 000 მანეთი მისცა; ამასთან, მან სპარსეთის მბრძანებელს სთხოვა, საქართველოში მცხოვრები სომეხებისთვის არ ევნო. მეორე მხრივ, შეძლებული სომეხები ყარაბაღიდან, ერევნიდან და სხვა ადგილებიდან საქართველოში გამობრბოდნენ და აქ იხიზნებოდნენ (ივ. ჯავახიშვილი, 1919: 38).

თბილისის აოხრების შემდეგ სომეხთა ახალი დიდი ტალღა შემოვიდა საქართველოში. ივ. ჯავახიშვილი ამასთან დაკავშირებით გულისტკივილით წერდა: „ერეკლე მეფის დროს სომეხთა საქართველოში შემოიხიზვნის ხასიათი, როგორც ახლა ირკვევა, თვალსაჩინოდ იცვლება: თუ წინათ ეს გადმოსახლება სტიქიური თვისებისა იყო და მას არავითარი პოლიტიკური მიდრეკილება და მნიშვნელობა არ ჰქონდა, XVIII საუკუნის დასასრულს გარკვეული პოლიტიკური ელფერიც ზედ დაერთო. თუ წინად საქართველოში მომავალი სომეხები საქართველოს მფარველობისა და ქვეშევრდობის მოიმედენი იყვნენ ხოლმე, ამიერიდან ისინი უკვე გარეშე ძალის მფარველობას ეძებდნენ და მათის დახმარებით ცდილობდნენ საქართველოში თავიანთი პოლიტიკის გატარებას“ (ივ. ჯავახიშვილი, 1919: 38).

1801 წელს რუსეთის იმპერიამ ქართლ-კახეთის სამეფო შეიერთა. მალე, ქართლ-კახეთის ბედი სხვა ქართულმა პოლიტიკურმა ერთეულებმაც გაიზიარეს. XIX საუკუნიდან საქართველოს ტერიტორიაზე სომხური მშვიდობიანი ექსპანსიის პოლიტიკა ახალ ფაზაში შევიდა. რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომის შემდეგ თურქეთიდან, ძირითადად არზრუმის საფაშოდან აყრილმა 40 ათასი სომეხი ცარიზმმა სამცხე-ჯავახეთში ჩაასახლა. ამერიკელი ისტორიკოსისა და პოლიტოლოგის რ.ოვანესიანის ცნობით, 1830 წლისათვის 100 ათასზე მეტი სომეხი დასახლდა ახალქალაქისა და ახალციხის მხარეში (R.Hovannisian, 1969:9).

რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად სომეხ ლტოლვილთა ახალი ტალღები სახლდებოდნენ ქართულ მიწებზე: ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, აფხაზეთში. ქართულ მიწაზე ფეხის მოკიდებისთანავე მათ ხელი მიჰყვეს ქართული ეკლესიების დაპატრონებას და სომხურ წესზე გადაკეთებას. ასე მოიფინა „სომხური ეკლესიებით“ XIX საუკუნეში სამცხე-ჯავახეთი და მთელი საქართველო. იმ ხანებში, რუსი პუბლიცისტი ლ. ზაგურსკი გულისტკივილით წერდა: „სომეხთა ჩასახლების შედეგად ახალციხის მაზრაში ქართველთა სოფლები ოაზისებად შემოიჩინა, კუთხემ ისეთი ელფერი მიიღო, თითქოსდა აქ სომეხები თავიდანვე ცხოვრობდნენ. სომეხები თავისუფალნი იყვნენ თავის მოქმედებებში, ისინი ანგრევდნენ ეკლესიებს, მონასტრებს, ისე გათავხედნენ, რომ ახალციხის ნორ-ერზერუმად გადაარქმევას აპირებდნენ“ (Л. Загурский, 1873: 65). ლ. ველიჩკოც ვერ მალავდა აღშფოთებას: „სომეხები ხელიდან არ უშვებენ შემთხვევას, პარაზიტული ხერხებით განადიდონ თავი-

ანთი ისტორიული დამსახურებები თუ ამჟამინდელი ღირსებები; გზა და გზა ცდილობენ დაჩრდილონ ის მეზობელი ხალხები, რომელთაც ბევრად ნათელი ისტორია და ღირსება გააჩნიათ, ვიდრე საკუთრივ სომხებს. ისტორიულ-არქეოლოგიურად სომხები ქართველებს უსინდისოდ ძარცვავენ — ისტორიული ძეგლებიდან ამოკაწვრით შლიან ქართულ წარწერებს, იტაცებენ უძველეს მართლმადიდებლურ სამრეკლოებს და დაცარიელებულ ეკლესიებს... თხზავენ ისტორიულ სისულელეებს და ძველ სომხურ სამფლობელოებად წარმოგვიდგენენ იმ სანახებს, სადაც ყოველი ქვა ქართული სამეფოს წარსულზე მიანიშნებს... გვერდს უვლიან რა ისტორიული ძეგლების დამაჯვრებელ დაღადისს, ყველანაირად ცდილობენ მოიპარონ ქართული ისტორიული ოლქის — საათაბაგოს მდიდარი წარსული, რომელიც ათაბაგი ჯაყელების სამმართველო ტერიტორია გახლდათ და რომელიც ამჟამად ახალციხის მაზრაში შედის. არადა, ნებისმიერმა კავკასიელმა კარგად იცის, რომ აქ დღემდე შემორჩენილია თამარ მეფის ხელმწიფობის კვალი... რომ სომეხთა უმეტესი წილი XIX საუკუნეში თურქეთიდან არიან ლტოლვილები და არა მკვიდრი მოსახლეობა“ (В. Л. Величко, 1904: 75).

სომხები ცდილობდნენ მიეტაცებინათ ქართული ეკლესიები ქვემო ქართლში, ჯავახეთში, შიდა ქართლში, თბილისსა და მის შემოგარენში, კახეთში. მათ შორის, სამშვილდის სიონი, ქურმუხის წმ.გიორგი, ბოლნისი, დმანისი, მანგლისი, ფოკა, ალასტანი, თავფარავანი და სხვა; მიიტაცეს და გაასომხურეს თბილისის წმ. ნიკოლოზის (ამჟ. სურბნშანი), თელეთის წმ.გიორგის, რატევანის წმ.გიორგის, გიშის, ახტალის, ლორეს, სანანის, ქობერის, ოსკიპარის, ჰუჯაბის და მრავალი სხვა ეკლესია. ისინი მხოლოდ ეკლესიების დაუფლებას არ სჯერდებოდნენ და ქართულ მიწებზე განაცხადეს პრეტენზია (სომხეთი..., 2006). 1913 წელს სომხებმა ახალქალაქის მაზრის თბილისის გუბერნიიდან გამოყოფა მოითხოვეს. მათ სურდათ სომხურ მაზრებთან შეერთებით სომხური გუბერნია შეექმნათ, მაგრამ სპეციალურმა კომისიამ ეს აზრი უარყო, რის საბუთადაც, პირველ რიგში, თბილისთან და ქართულ მხარეებთან ჯავახეთის უმჭიდროესი კავშირი დაასახელა (ივ. ჯავახიშვილი, 1919: 50).

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. 28 მაისს კი თბილისში მოქმედმა სომხურმა ეროვნულმა საბჭომ სომხეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მრავალი საუკუნის შემდეგ სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო აღდგა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყნის მთავრობამ გადაწყვიტა ბორჩალოს, სიღნაღისა და თბილისის მაზრების სამხრეთ საზღვრებზე სასაზღვრო ჯარი ჩაეყენებინა. ამ გადაწყვეტილებამ სომხეთის ხელისუფლების პროტესტი გამოიწვია. სომხეთი ისტორიულ საფუძველზე საზღვრის გატარების კატეგორიულად წინააღმდეგი იყო, რადგან ის საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე წარმოქმნილ „სომხეთის“ სახელმწიფოს არსებობას საფრთხეს უქმნიდა (Г.Р.Мархулия, 2005: 34). სახელმწიფო საზღვრების დადგენის მიზნით შეიქმნა შერეული კომისია, სადაც სომხეთის წარმომადგენლებმა

ლორეს, ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრის 2/3-ის სომხეთისთვის გადაცემა მოითხოვეს. ბუნებრივია, საქართველოს მხარე ამ მოთხოვნას არ დაეთანხმა, რასაც კომისიის მუშაობის შეწყვეტა მოჰყვა.

1918 წლის ივნის-ივლისში ქართულმა ჯარმა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე საქართველოს ისტორიული ტერიტორია, მათ შორის ქალაქები — სოჭი და ტუაფსე დაიკავა. 1918 წლის შემოდგომაზე გენერალ ა. დენიკინის „მოხალისეთა არმია“ საქართველოსაკენ დაიძრა. ნოემბერში ქართულმა ჯარმა ტაქტიკური მოსაზრებით ტუაფსე დატოვა და სოჭთან გამაგრდა. ასეთ რთულ ვითარებაში, 1918 წლის 7 დეკემბერს, სომხეთი ომის გამოუცხადებლად შეიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე. დაშნაკური მთავრობის განცხადებაში ეს ფაქტი შეფასებული იყო, როგორც „ადგილობრივი“ სომხური მოსახლეობის შეიარაღებული გამოსვლა საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ, მათი სამკვიდრო მიწა-წყლის სომხეთთან შეერთების მიზნით. დაშნაკებს გადაწყვეტილი ჰქონდათ თბილისის აღება და სომხეთის დედაქალაქად გამოცხადება. იმავე ხანებში საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ პროვოცირებულ იქნა სოჭის სომხური მოსახლეობის აჯანყება. იმავდროულად „მოხალისეთა არმია“ შეტევაზე გადმოვიდა. ქართულ ჯარს ორ ფრონტზე ბრძოლის ძალა არ შესწევდა და იძულებული გახდა სოჭი დაეტოვებინა.

თავდაპირველი წარუმატებლობის მიუხედავად, ქართულ ჯარი მალე კონტრშეტევაზე გადავიდა და სომხეთის არმია უკუაგდო, რომელიც სრულ განადგურებისაგან ინგლისის მისიამ იხსნა. სომხეთის მთავრობამ შავი ითხოვა და *status quo*-ს აღდგენაზე დათანხმდა. 31 დეკემბერს საომარი მოქმედებები შეწყდა. „ასე დასრულდა ეს სამწუხარო ამბავი..., — წერდა ამ ომის მონაწილე ქართველი ოფიცერი ვ.გოგუაძე, — სომხები ჩვენ საქართველოში დავასახლეთ, ჩვენ მათ ვემქეთ, მათ მულამ კარგად ვეპყრობოდით, გასაჭირში ვშველოდით და სომხის პოლიტიკოსებმა ჩვენი ამავი ასე დააფასეს“ (ვ.გოგუაძე, 1992: 450).

1919 წლის 1 იანვარს ინგლისის ჯარებმა დაიკავეს ლორესა და ბორჩალოს რაიონების ტერიტორია, რომელიც „ნეიტრალურ ზონად“ გამოცხადდა. 9 იანვარს თბილისში სომხეთ-საქართველოს საზავო კონფერენცია გაიხსნა, რომელზეც დროებითი დაზავების პირობები დაზუსტდა. იმ ტერიტორიას, რომელსაც სომხები ედავებოდნენ ქართველებს, ინგლისელები და ფრანგები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაწილად განიხილავდნენ. სომხური დელეგაციის პრეტენზიები ახალქალაქის მაზრასთან დაკავშირებით ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა უარყვეს და ეს საკითხი კონფერენციის დღის წესრიგიდან მოიხსნა. შემდგომში სომხური მხარე ამ გადაწყვეტილების გადასინჯვას მოითხოვდა. ლორეს ნეიტრალური ზონის ადმინისტრაცია შერეული — ქართულ-სომხური იყო. მასზე კონტროლს ახორციელებდა ინგლისის, შემდგომში კი აშშ-ს სამხედრო წარმომადგენელი. 1919 წლის 22 იანვარს სომხეთსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა დროებით საზავო ხელშეკრულებას, რომლის თანახმად სომხეთ-საქართველოს ომის შეწყვეტა და ლორეს ნეიტრალური ზონის შექმნა იურიდიულად გაფორმდა (Г. Р. Мархулия, 2006: 14).

სომხეთის მთავრობის პოლიტიკა, დასავლეთის ქვეყნების დახმარებით

გაეფართოებინა სომხეთის საზღვრები, კინალამ წარმატებული აღმოჩნდა: 1920 წლის აგვისტოში სევრში ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის თანახმადაც სომხეთს უნდა გადასცემოდა ანატოლიის აღმოსავლეთი პროვინციის ნაწილი; საქართველოს ისტორიული მიწების ხარჯზე სომხეთს ზღვაზე გასასვლელიც ეძლეოდა. ამავე დროს დაშნაკები ანტანტისგან ყარაბაღისა (რომელიც აზერბაიჯანის საზღვრებში შედიოდა) და ე.წ. „ლორეს ნეიტრალური ზონის“ გადაცემას მოელოდნენ. თურქეთში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან პირისპირ დარჩენილმა ინგლისმა გადაწყვიტა ქემალისტური ჯარების წინააღმდეგ, პირველ რიგში, დაშნაკური სომხეთი გამოეყენებინა. თურქეთთან დამარცხების შემდეგ, სომხეთმა 1920 წლის 26 ნოემბერს ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომლის თანახმად უარი განაცხადა სევრის ხელშეკრულებაზე. რამდენიმე დღის შემდეგ, 29 ნოემბერს, სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ნოემბრის დასაწყისში ინგლისის მისია ლორეს ნეიტრალური ზონიდან გავიდა და ეს მხარე საქართველოს ჯარმა დაიკავა. მალე, საბჭოთა სომხეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ლორეს ოლქიდან ჯარის გაყვანა მოსთხოვა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ დაიცვა საკუთარი ტერიტორია.

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ, სომხეთმა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას ახალციხე-ახალქალაქის მაზრებსა და ლორეს ოლქზე პრეტენზია წაუყენა. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გადაცემაზე საბჭოთა სომხეთს უარი ეთქვა, ხოლო ლორეს მხარე 1921 წლის 7 ივლისის დადგენილებით გადაეცა. ასე მოწყვიტეს საქართველოს მისი ისტორიული ტერიტორია, რომლის ფართობი 3812 კვ. კმ შეადგენდა (Г. Р. Мархулия, 2005: 255).

1985 წ. ქ. ათენში დაშნაკუთუნის XXIII ყრილობა გაიმართა, სადაც მომავალი დამოუკიდებელი სომხეთის გაფართოებაზე იმსჯელეს. ყრილობაზე დაშნაკებმა სომხეთის ორი მიმართულებით — აზერბაიჯანისა და საქართველოს — გაფართოების საკითხი დასვეს. კენჭისყრის დროს დელეგატებმა აზერბაიჯანის მიმართულება და მთიანი ყარაბაღის საკითხის გადაწყვეტა აირჩიეს, რაც, მათი აზრით, საერთაშორისო საზოგადოების ნაკლებ აღშფოთებას გამოიწვევდა (Г. Р. Мархулия, 2006: 108). 1988 წელს სომხეთმა აზერბაიჯანის წინააღმდეგ ომი დაიწყო, რომელიც 1994 წელს აზერბაიჯანიდან ყარაბაღის ჩამოშორებით დასრულდა.

პოსტსაბჭოთა სომხეთმა მოსკოვს თავისი გეოპოლიტიკური სივრცე შესთავაზა, სანაცვლოდ, რუსეთის ინტერესების შესაბამისად, თავისი გეგმების განსაზოროციელებლად სამხედრო დახმარების გარანტია მიიღო.

ისევე როგორც ადრე არაერთხელ, საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც, ქართველებს არაერთხელ გაუწვდიათ დახმარების ხელი მოძმე მეზობელი ხალხისთვის. 1988 წლის სპიტაკის მიწისძვრის დროს პირველები ქართველები დაუდგნენ მეზობლებს გვერდში, ხოლო ათასობით დაზარალებულმა საქართველოს შეაფარა თავი და საბოლოოდ აქვე დარჩა.

რუსეთ-საქართველოს 1992-1993 წწ. ომის დროს აფხაზეთის სომხური დიასპორის დიდი ნაწილი ქართველი ერის და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოვიდა. მათ ე.წ. ბაგრამიანის ბატალიონი შექმნეს და გან-

საკუთრებული სისასტიკით ებრძოდნენ ქართველებს. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მრავალი სომეხი იბრძოდა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვას თავიც შესწირა.

2001 წლის ნოემბერში, შვეიცარიის ქალაქ ბაზელში დაშნაკთა ლიდერების კრება გაიმართა, სადაც სამცხე-ჯავახეთის სომხეთთან შეერთების საკითხი განიხილებოდა. კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება რეგიონისათვის ავტონომიის მინიჭების შესახებ, შეიქმნა „ჯავახეთის აღორძინების ფონდი“, სერიოზული დაფინანსებით. ამის შედეგი იყო ჯავახეთის სომხური დიასპორის მიერ გამართული მიტინგები და დემონსტრაციები, სადაც მათთვის ავტონომიის შექმნის, შემდგომში კი სომხეთთან შეერთების მოთხოვნები წამოაყენეს. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის ფონზე ასეთი „იდეოლოგიური“ დივერსია საქართველოსთვის დღეს განსაკუთრებით საშიშია. შესაძლო კონფლიქტით მხოლოდ რუსეთის იმპერია იხეირებს.

ქართველი კაცი ყოველთვის მტკიცეულად აღიქვამდა, როცა მას მამულს და ქონებას ედავებოდნენ, ართმევდნენ ენას, ეკლესიას, კულტურას. ქართველი ხალხის გულსტიკვილს იწვევს, როცა სომეხთა გარკვეული წრეები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას საქართველოში არსებული 650 თითქოსდა სომხური ეკლესიის მათთვის გადაცემის შესახებ მოთხოვნას უყენებენ; პრეტენზიები აქვთ საქართველოს ზოგიერთი ისტორიული პროვინციის მიმართ და ა.შ. ბედმა და ისტორიამ ჩვენ მეზობლობა გვარგუნა და ამ მეზობლობას უნდა გავუფრთხილდეთ. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებრიობა დაკარგული სომხეთის დიდი ნაწილი საუკუნეების განმავლობაში საქართველოს შემადგენლობაში შემოდიოდა, სომხური ქალაქები ანისი, დვინი, ერევანი ან სომხური პროვინციები ქართულ ქალაქებად და პროვინციებად საქართველოში არავის გამოუცხადებია.

სომეხთა ისტორიული მისწრაფება, როგორმე აღედგინათ დაშლილ-დაკარგული სახელმწიფოებრიობა, საუკუნეების განმავლობაში მუხტავდა სომხურ ისტორიულ მწერლობას; სომეხი ავტორების წადილი, დაემტკიცებინათ თავიანთი ისტორიულ-კულტურული უპირატესობა სხვა ხალხებზე და თუნდაც იდეაში განევრცოთ სომხეთის სახელმწიფოს საზღვრები მეზობლების ხარჯზე, დღემდე შემორჩა. სომეხთა ასეთ წადილს ილია ჭავჭავაძემ თავის დროზე „ქვათა ღაღადით“ უპასუხა.

სომეხმა ერმა საქართველოს სახელმწიფოს დახმარებით არაერთხელ იხსნა თავი სრული განადგურებისგან, საქართველომ გაჭირვების ჟამს სამშობლოდან დევნილი სომეხები შეიფარა და როგორც პროფესორი ა.აბრამიანი აღნიშნავს, ეს ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც სომეხები უცხოებაში ყოფნას არ გრძნობდნენ. ვიმედოვნებთ, რომ ორი მეზობელი ერი მომავალში კეთილმეზობლური ურთიერთობის გაღრმავებას შეძლებს.

დამოწმებული ლიტერატურა:

- თ. ბერაძე, მ.სანაძე, 2003** — თ. ბერაძე, მ.სანაძე, საქართველოს ისტორია, წიგნი I, (ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები), თბ., 2003.
- ვ.გოგუაძე, 1992** — ვ.გოგუაძე, მოგონებანი, წგნ. დაბრუნება. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, 3, თბ.,1992.
- ვახუშტი ბაგრატიონი, 1973** — ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ.IV, თბ., 1973.
- თოვმა მეწოფეცი, 1987** — თოვმა მეწოფეცი ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლობისა. თბ., 1987.
- გ. მაისურაძე, 1982** — გ.მაისურაძე, სომეხი და ქართველი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII სს.-ში, თბ., 1982.
- გ. მაისურაძე, 2002** — გ. მაისურაძე, ნარკვევები საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის ისტორიიდან IV-XII სს-ში, თბ., 2002.
- ვ.ნალბანდიანი, 1959** — ვ.ნალბანდიანი თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში. თბ., 1959.
- სინ, 1973** — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.IV, თბ.,1973.
- სომხეთი..., 2006** — სომხეთი — მტერი თუ მოყვარე? თბ., 2006.
- სომხურ ხელნაწერთა..., 1978** — სომხურ ხელნაწერთა ანდერძების (პიმატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XV სს.), თბ., 1978.
- ივ. ჭავჭავაძე, 1919** — საქართველოს საზღვრები. ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფილისი, 1919.
- В. Л. Величко, 1904** _ В.Л.Величко, Русское дело и междуплеменные вопросы. Польное собрание публицистических сочинений, т. 1, СПб,1904.
- В. Л. Загурский, 1873** _ Л.Загурский, Поездка в Ахалкалакский уезд в 1872 г. Тифлис, 1873.
- История..., 1951** _ История армянского народа, часть первая. Под ред. Б.Н. Аракеяна и А.Р.Ионнисяна, Ереван, 1951.
- Н. Я. Марр, 1910** _ Н. Я. Марр, Надпись Епифания, каталикоса Грузии, СПб., 1910.
- Г. Р. Мархулия, 2005** _ Г.Р.Мархулия, Армяно-грузинская мирная конференция 1919 года и создание лорийской нейтральной зоны.Тб., 2005.
- Г. Р. Мархулия, 2006** _ Г.Р.Мархулия, Армянский сепаратизм на Южном Кавказе, _ Возраждение XXI век, №104-105, Баку, 2006.
- R.Hovannisian, 1969** _ R.Hovannisian, Armenia on the road tu Independence 1918. University of California Press. Berkley and Los Angeles, 1969.

აფხაზეთის კონფლიქტის არსი — რუსეთ-საქართველოს ომი

2008 წლის 7-12 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი არა მხოლოდ ჩვენი რეგიონისათვის, შესაძლებელია საერთოდ ახალი გეოსტრატეგიული „წელთაღრიცხვის“ დასაწყისი გახდეს, ვინაიდან ეს მოვლენა შეიცავს ახალი გეოპოლიტიკური პროცესის ინიცირების — მსოფლიო წესრიგის არსებული მოდელის შეცვლის პერსპექტივას.

საქართველოში რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ და საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციამ ნათლად გამოკვეთა ახალი გლობალური გეოპოლიტიკური კონტურები:

— რუსეთის ევროაზიური იმპერიის აღდგენისა და მის ირგვლივ ახალი გლობალური პოლუსის ჩამოყალიბების მცდელობა;

— კონფლიქტური „არქიპელაგების“ (უკრაინა, ბალტიისპირეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ცენტრალური აზია) წარმოქმნის რუსული გეგმა.

საქართველოსთვის სტრატეგიული დახმარების გაწევა, აგვისტოს ომის შედეგების ლიკვიდაცია უნდა განვიხილოთ, როგორც გლობალური გეოპოლიტიკური რეკოლუციის პრევენცია. თუ საქართველოს სერიოზულად არ დაეხმარებიან, თუ მხარდაჭერის დინამიკა არ გადავა მუდმივი სტრატეგიული პროტექციის (განსაკუთრებით სამხედრო გარანტიების) რეჟიმში, კრემლის იმპერიული პროექტი შეუქცევადი გახდება; შედეგად: დასავლური ცივილიზაცია იძულებით მიიღებს საერთაშორისო ურთიერთობათა რუსულ-ევრაზიულ მოდელს; ტრანსატლანტიკური სისტემა - დეზინტეგრაციის მძლავრ იმპულსებს; ევროკავშირი - „საფრთხეების სტრატეგიის“ ახალ ტალღას; პროცესი დიდად დააზარალებს, შეზღუდავს აშშ-ს გეოსტრატეგიულ ინტერესებს.

რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი რგოლი იყო ომი აფხაზეთში 1992-1993 წლებში. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს ომი წარმოადგენდა რუსული იმპერიალიზმის ტიპოლოგიურ „მატრიცას“. არავითარი რეალური საფუძველი არ არსებობს, რომ ეს კონფლიქტი განვიხილოთ — „ეთნოკონფლიქტად“, „ქართულ-აფხაზურ შეიარაღებულ კონფლიქტად“, „სამოქალაქო ომად“ და „თბილისსა და სოხუმს შორის აფხაზეთის ეკონომიკური სიმდიდრეების გადანაწილებისათვის ომად“.

„აფხაზეთის კრიზისი“ ვითარდებოდა XX საუკუნის მთელ მანძილზე „დივერსიფიცირებული ევოლუციის“ გზით: რუსეთისაგან მართული აფხაზური ეთნოკრატიული „სეპარატიზმის“ აღმავლობა-შეკავების ფაზების პერიოდული მონაცვლეობით. რუსეთისაგან მართული ე.წ. სეპარატიზმისა და რუსული იმპერიალიზმის „ალიანსს“ გამოკვეთილი ანტიქართული ხასიათი ჰქონდა („სიტინის გეგმა — 1922 წ., სოჭის ოლქისა და აფხაზეთის გაერთიანებით ე.წ. „საკურორტო რესპუბლიკის“ შექმნის გეგმა — 1945-47 წწ., „სუსლოვის დოქტრინა“ — 1961 წ., XX საუკუნის 50-80-იან წლებში აფხაზეთში სამოქალაქო-პოლიტიკური პუტჩების სერია

და სხვ.).

1992 წლის აგვისტოში „აფხაზეთის კრიზისი“ ომში გადაზარდა რუსეთმა:

1992 წლის 24 ივნისს, შევარდნაძე-ელცინის დაგომისის შეხვედრაზე, გარდა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპებისა, განიხილეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანი ზოგად კონტექსტში. მიღებულ „კომუნიკეში“ აღინიშნა: „საქართველოსა და რუსეთის სამართალდამცავი ორგანოები აღკვეთენ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე უკანონო სამხედრო, ნახევრადსამხედრო ფორმირებების მოღვაწეობას“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 27 ივნისი). ამ შეთანხმებით ე. შევარდნაძემ ბ. ელცინისაგან მიიღო აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციის ჩატარების სანქცია, როგორც ჩანს, რუსეთის მხრიდან ნეიტრალიტეტის გარანტიით.

1992 წლის 18 ივლისს სოჭში, „ბოჩაროვ რუჩეის“ სახელმწიფო აგარაკზე გაიმართა ბ. ელცინის არაოფიციალური საიდუმლო შეხვედრა ვ. არძინბასთან და აფხაზური ელიტის ზოგიერთ სხვა წარმომადგენლებთან (С. Лакоба, 2001: 25). შეხვედრიდან სულ რაღაც ხუთიოდე დღეში ვ. არძინბას რეჟიმმა მიიღო სეპარატისტული კანონმდებლობა; ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ ამ კონფიდენციალურ შეხვედრაზე სეპარატისტებმა მიიღეს საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ომის სანქცია (რუსეთის მხრიდან სამხედრო ჩარევის გარანტიით).

რკინიგზის ტრანსპორტზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ 1992 წლის 10 აგვისტოს დადგენილების, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის (ე. შევარდნაძე, ჯ. იოსელიანი, თ. სიგუა, თ. კიტოვანი, ვ. გოგუაძე) 1992 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე და თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ოპერატიული დეპარტამენტის მიერ მომზადებული სპეციალური გეგმის (კოდური სახელწოდებით „მახვილი“) თანახმად, 1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს შეიარაღებული ძალების ნაწილები გადაადგილდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. შეზღუდული კონტინგენტის ჯავშანკოლონას აფხაზი ბოვეიკებისაგან შემდგარმა ჯგუფმა ცეცხლი გაუხსნა ოჩამჩირის რაიონის სოფ. ოხურეისთან, რასაც მოჰყვა პირველი მსხვერპლი. პირველი სერიოზული ბრძოლა გაიმართა გულრიფშის რაიონის დაბა აგუძერასთან, სადაც ე.წ. „აფხაზეთის შინაგანი ჯარის განსაკუთრებული პოლკის“ ბატალიონმა გარკვეული წინააღმდეგობა გაუწია ქართულ ჯარს და ერთი ჯავშანმანქანა ააფეთქა (გ. გასვიანი, თ. გასვიანი, 2005: 161).

ასე დაიწყო აფხაზეთის ომი.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან 14 აგვისტოს აქცია არ წარმოადგენდა ინტერვენციულ და, მით უმეტეს, საოკუპაციო აქციას. ნებისმიერ შემთხვევაში, ფორმალურ-იურიდიული ასპექტით, ეს იყო სამთავრობო ჯარების გადაადგილება ან — ოფიციალური სამხედრო ტერმინოლოგიით — რედისლოკაცია საკუთარი სახელმწიფოს ტერიტორიული უზენაესობისა და იურისდიქციის სივრცის ფარგლებში.

ამავე დროს, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ეს აქცია

შეიძლება დახასიათდეს, როგორც „მიდა სახელმწიფოებრივი რეპრესალია“, ერთგვარი სამხედრო სანქცია, რომელსაც მიმართა საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთის ავტონომიური ერთეულის ცალმხრივი უკანონო ქმედების (23 ივლისის სეპარატისტული გადაწყვეტილების) საპასუხოდ, ამ ქმედების ფაქტობრივი შედეგის (ე.ი. სახელმწიფოებრივი დაშლის) შეკავებისათვის.

აფხაზეთის ომის არსის განსაზღვრისა და მისი კონცეპტუალური მოდელის შექმნისათვის აუცილებელია წინასწარვე აღვნიშნოთ რამდენიმე აპრიორული პოსტულატი:

1. 1992-1993 წლების აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტი წარმოადგენს საქართველო-რუსეთის მეექვსე ომს უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში - 1804, 1812, 1819-1820, 1918 წ. ივნისი - 1919 წ. თებერვლისა და 1921 წლის თებერვალ-მარტის ომების შემდეგ. ყველა ეს ომი რუსეთის იმპერიის გამარჯვებით დასრულდა. საქართველოსათვის ნეგატიური შედეგების „იერარქია“ კი ასეთია: 1804, 1812 და 1819-1820 წწ. ომების დროს დამარცხდა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მონარქისტული ნაციონალიზმი, დაიბლოკა ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენა, მოხდა საქართველოს სრული ინკორპორაცია რუსეთის ცარისტულ იმპერიაში; 1918 წ. ივნისი - 1919 წ. თებერვლის ომის დროს - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა გაგრის ზონაში; 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის დროს - საქართველოს ძალისხმევი გასაბჭოება და ოკუპაცია, შემდგომ კი ანექსია; 1992-1993 წწ. ომის დროს - აფხაზეთის დროებითი დაკარგვა.

2. აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტი წარმოადგენს რუსეთის რეაქციას საქართველოს გეოცივილიზაციურ არჩევანზე, რომლის არსებითი მახასიათებლებია - პოზიტიური ნაციონალიზმი, პროდასავლური ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგია და დასავლეთის სისტემაში ინტეგრაციის სტრატეგია. ამასთან, საქართველოს გეოცივილიზაციურ არჩევანში ცენტრალურია დამოუკიდებლობისა და რუსეთის პატრონაჟით ფორმირებად რეგიონალურ ბლოკებში არმონაწილეობის კურსი.

1991 წლის აგვისტოს პუტჩის კრახისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებაში „გორბაჩოვური ცენტრის“ „ელცინური ცენტრით“ ჩანაცვლებას პრინციპში არ შეუცვლია იმპერიის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ და არც „აფხაზეთი კარტი“ მოუსვრია ისტორიის სანაგვეში. პირიქით, ახალი ფორმაციის რუსულმა ელიტამ კიდევ უფრო გააღრმავა კავშირი აფხაზეთ ეთნოკრატიასთან.

ერთი სიტყვით, აფხაზეთის ომი წარმოადგენდა რუსეთის მიერ საქართველოს გეოცივილიზაციური არჩევანის ბლოკირებას, ახალ ნეოიმპერიულ სტრატეგიულ ბლოკში — დსთ-ში საქართველოს არშესვლის გამო საქართველოს დასჯას სამხედრო გზით.

ომის გეოცივილიზაციურ განზომილებაში დიდი ადგილი უკავია რუსეთის მიზანს — დაენგრია კავკასიაში საქართველოს ინიციატივით ჩამოყალიბებადი ახალი წესრიგი, რომლის დერძი იყო 1991 წლის შემოდგომაზე შექმნილი საქართველო-ჩეჩნეთის ალიანსი. მაშინ, როდესაც დასავლეთის პოზიცია ჯერ კიდევ სტრატეგიულად გამოკვეთილი არ

იყო, კავკასიის გეოცივილიზაციის, როგორც სტრატეგიული ბლოკის შექმნის იდეა წარმოადგენდა რეგიონში რუსულ-ევრაზიული, თურანული და პანისლამისტური სტრატეგიების ალტერნატივას. „კავკასიის მთელი ხალხთა კონფედერაციის“ ფაქტორის ამოქმედებით რუსეთმა დიდი დარტყმა მიაყენა ამ პროექტს და ფაქტობრივად ჩაშალა ის სწორედ აფხაზეთის ომით. სრულიად ცხადია, რომ აფხაზეთის ომმა დიდი ზიანი მიაყენა ასევე იბერიულ-კავკასიურ ცნობიერებას.

3. გეოპოლიტიკური თეორიისა და მსოფლიო გეოპოლიტიკური სტრუქტურის თვალსაზრისით აფხაზეთი (ისევე როგორც მთელი საქართველო და თითქმის მთელი კავკასია) მდებარეობს ჩვენი პლანეტის იმ ზონაში, რომელსაც „რიმლენდი“ ანუ „სანაპირო ზონა“ ეწოდება. ამ ზონაში, რომლის ერთ-ერთი სექტორია საქართველო და რომელსაც თავის დროზე ჰ. კისინგერმა „დისკონტინუალური სარტყელი“ უწოდა, შედის აღმ. ევროპა, ბალკანეთი, აღმ. ხმელთაშუაზღვისპირეთი, კავკასია, ავღანეთი, ირანი, ინდოეთი და კორეა¹.

1. „რიმლენდის“ სტრატეგიული მნიშვნელობა პირველად ამერიკული გეოპოლიტიკის მამამთავარმა ნ.ს.ფიქსენმა განმარტა. ის ამტკიცებს, რომ „ის, ვინც აკონტროლებს რიმლენდს, აკონტროლებს ევრაზიას და ამით აკონტროლებს მთელი მსოფლიოს ბედს... რიმლენდი არის მსოფლიო ბატონობის გასაღები“ (ა.დუგინი, 1999: 62). მართალია, უშუალოდ აფხაზეთის ომის დროს საქართველო არ შედიოდა „რიმლენდის“ სტრატეგიულ სივრცეში, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამის პერსპექტივა ამკარად გამოიკვეთა. მართლაც, „რიმლენდი“ არ წარმოადგენს სტატიკურ და ინვარიანტულ სივრცეს, რადგანაც მის არსს განსაზღვრავს თალასოკრატიისა (იგივე აშშ-დასავლეთი) და ტელუროკრატიის (იგივე სსრკ-რუსეთი) დაპირისპირების გეოსტრატეგიული „დარაიონების“ ხასიათი. მანამ სანამ საბჭოთა კავშირი არსებობდა, „რიმლენდის“ ფუნქციას ასრულებდა აღმოსავლეთ ევროპა, მაგრამ გასული საუკუნის 90-იანი წლების II ნახევრიდან (იუგოსლავიის კრიზისი, აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნების ნატო-ში ინტეგრაცია) მოხდა „რიმლენდის“ სივრცობრივ-ტერიტორიული ცვლილება: „რიმლენდის“ ხაზმა ანუ თალასოკრატია-ტელუროკრატიის დაპირისპირების ღერძმა გადაინაცვლა ბალტია-შავი ზღვა-კასპიის რკალზე. ეს ცვლილება დადასტურა 2008 წლის აგვისტოს ომმა და რუსეთის შემდგომმა მზადებამ უკრაინაზე გეოსტრატეგიული ზეწოლისათვის. ამდენად სრულიად ცხადია, რომ დღევანდელ ეტაპზე ღერძული გეოპოლიტიკური ტენდენციები წარმართება სწორედ ბალტია-შავი ზღვა-კავკასიის „სამკუთხედზე“ და სწორედ ეს სივრცე წარმოადგენს რუსული ექსპანსიის შეკავების პლატფორმას. ეს მომენტი პირველად სწორედ აფხაზეთის ომმა გამოკვეთა.

XX საუკუნის 90-იან წლების დამდეგს საბჭოთა კავშირის დაშლამ, „ცივი ომის“ საერთაშორისო რეჟიმისა და ორპოლუსიანი გლობალური წესრიგის დანგრევამ დღის წესრიგში დააყენა ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების აუცილებლობა. საქართველოს „რიმლენდური“ ფუნქციის გამო ჩვენში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებს გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა ახალი მსოფლიო წესრიგის რეგიონალური არქიტექტონიკის ფორმირების საქმეში.

უახლოეს პერიოდში საქართველოში განვითარებული მოვლენები და მათ შორის კი განსაკუთრებით - 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის სამხედრო გადატრიალება და აფხაზეთის ომი სწორედ „რიმლენდური“ კანონის და გარკვეული საერთაშორისო ძალების, გლობალური ინტერეს-ჯგუფების მოქმედების კონკრეტულ პროექციას წარმოადგენს.

ამ კონფიგურაციაში ცენტრალური ადგილი, ცხადია, რუსეთს ეკავა. XX საუ-

ამდენად, აფხაზეთის ომი, საერთაშორისო გეოპოლიტიკური განზომილების თვალსაზრისით, წარმოადგენს „პართლენდის რესტრუქტურისაციის“² პროცესის საწყის ფაზას. სწორედ აფხაზეთის ომმა გამოკვეთა ჩანასახოვან დონეზე თალასოკრატიულ-ტელუროკრატიული დუალიზმის კანონის მოქმედება კავკასიის სივრცეში. სამწუხაროდ, ეს იყო მხოლოდ ემბრიონალური ფაზა, რადგანაც აფხაზეთის ომი დროით ასპექტში მთლიანად „ჩაჯდა“ გარანტიების იმ რეჟიმში, რომლებიც „მალტის ფორმატის“ ფარგლებში მიიღო რუსეთმა, პოსტიმპერიული ლეგიტიმიზმისა და ბალტიისპირეთის გამოკლებით ყოფილი საბჭოთა სივრცის რეინტეგრაციის სახით. სწორედ ამით უნდა აიხსნას დასავლეთის სრულიად გაუმართლებელი ნეიტრალიტეტი და, ასე ვთქვათ, საქართველოს საკითხის პერიფერიული ხასიათი 90-იანი წლების დასაწყისში რუსეთ-საქართველოს ომის დროს.

აფხაზეთის ომის მაგისტრალურ ფაქტორს წარმოადგენს მასში რუსეთის ფედერაციის მონაწილეობა, თანაც მონაწილეობა არა დისტანციურ-მინიმალური ფორმატით ან კიდევ პროაფხაზეთური დაინტერესებული მხარის სტატუსით, არამედ უშუალო მეომარი მხარის ფორმით. სწორედ ეს მომენტი განსაზღვრავს აფხაზეთის კონფლიქტის დეტერმინაციას დე ფაქტო რუსეთ-საქართველოს ომად.

საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით რუსეთის რეაქციული ქმედების მიზეზი იყო კავკასიის რეოკუპაცია-რეანექსია — გეოპოლიტიკური პროექტი, რომლის ცენტრალური თეზისი იყო საქართველოზე კონტროლის აღდგენა. აფხაზეთის ომი ამ მიზნის მიღწევის სამხედრო ბერკეტად იყო მოაზრებული. ეს ომი იყო ერთ-ერთი მთავარი რგოლი მოვლენათა იმ ჯაჭვში (ყარაბაღის ომი, ცხინვალის კონფლიქტი, საქართველოსა და აზერბაიჯანში ზ.გამსახურდიასა და ა.ელჩიბეის ხელისუფლებების დამხობა და იქ პროიმპერიული რეჟიმების ინსტალაცია), რომლებმაც განაპირობეს სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ალტერნატიული გეოპოლიტიკური სტრუქტურის ფორმირების პროგრესული ტენდენციის ბლოკირება და რუსეთის გავლენის ზონის აღდგენა (საბედნიეროდ, დროებით).

ამავე დროს, აღნიშნული გეოპოლიტიკური პროექტის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს 1991 წლის შემოდგომაზე პრეზიდენტ ელცინის ადმინისტრაციაში შემუშავებული გეოსტრატეგიული გეგმა. გეგმა მიზნად ისახავდა საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ყოფნის გრძელვადიან

კუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე რუსულმა იმპერიალიზმმა დასავლეთის ისტე-ბლიშმენტისაგან მიიღო ყოფილი საბჭოთა იმპერიული სივრცის რეინტეგრაციის სანქცია, ბალტიისპირეთის გამოკლებით. ჯ. ბუში-უფროსისა და მ.გორბაჩოვის კონფიდენციალური გარიგებით წარმოქმნილი „მალტის ფორმატი“ მემკვიდრეობით ელცინს გადაეცა. დასავლეთის ფაქტობრივი ნეიტრალიტეტი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში 1997 წლამდე სწორედ ამ „ფორმატის“ ლოგიკური პროდუქტი იყო. რუსეთის სტრატეგია ითვალისწინებდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობას, აფხაზეთის კონფლიქტის პროვოცირებით საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ დაშლას და მის დასუსტებას, ამავე დროს, კონფლიქტის და-რეგულირების ფორმატში მედიალური მისიის იმიტაციით რეგიონში სამხედრო ყოფნის უზრუნველყოფას.

2 ჩვეულებრივი ტერმინოლოგიით, „პართლენდის რესტრუქტურისაცია“ გულისხ-მობს რუსეთსა და დასავლეთს შორის ევრაზიის ცალკეული ტერიტორიებისა და გეოსტრატეგიული გავლენის სფეროების გადანაწილებას.

უზრუნველყოფას დივერსიფიცირებული სტატუსის მქონე გეოსტრატეგიული ანკლავების (სამხედრო ბაზების, განსაკუთრებული გასამხედროებული ცენტრების, ე.წ. სამშვიდობო მისიების) ქსელის შექმნით. ეს ქსელი უზრუნველყოფდა საქართველოს ტერიტორიის სამხედრო კონტროლს და ჩვენს ქვეყანაში რუსეთის სასურველი პოლიტიკური პროცესების განვითარებას.

საბოლოო ჯამში, რუსეთის გეოსტრატეგიული მიზანი იყო - კავკასიის გეოპოლიტიკური ზონის შთანთქმა, საქართველოს წინააღმდეგ ტერიტორიული ექსპანსიის („მცოცავი ანექსიის“) განხორციელება და საქართველოს იძულებით ჩართვა იმპერიული გეოსივრცის გარეგან ბუფერულ სარტყელში მოლდოვასთან (დნესტრისპირეთის კონფლიქტით) და აზერბაიჯანთან (ყარაბაღის ომით) ერთად.

აფხაზეთის ომში რუსეთი მონაწილეობდა ორი ძირითადი მიმართულებით: სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკურ-დიპლომატიური.

კერძოდ, 1992-1993 წლებში რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენა: განსაკუთრებული დანიშნულების ფსკოვის დივიზია; 345-ე საჰაერო-სადესანტო პოლკი; 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკი; ბომბორას ავიაბაზაზე დისლოცირებული სამხედრო-საჰაერო ძალების 529-ე საავიაციო პოლკი; შავი ზღვის სამხედრო ფლოტის ხომალდები; ქვემო ეშერასა და ოჩამჩირეში დისლოცირებული ბატალიონები; ასევე სპეცსამსახურების ნაწილები.

საქართველოს წინააღმდეგ მეომარ „სეპარატისტებს“ და ვოლონტიორებს რუსეთი ამარაგებდა შეიარაღებით, სამხედრო ტექნიკითა და მასალებით. წარმოვადგენთ მხოლოდ ერთ დოკუმენტს, რომელიც ეყრდნობა ვ. არძინბას მრჩეველის მ. დემიანოვის მონაცემებს: ომის დასაწყისშივე რუსეთის შეიარაღებული ძალების 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკმა სეპარატისტებს გადასცა 984 ავტომატი, 267 პისტოლეტი, 18 ტყვიამფრქვევი, 500-ზე მეტი ხელყუმბარა, 600 სასიგნალო რაკეტა, ნახევარ მილიონზე მეტი ტყვია, სამხედრო-სატვირთო მანქანები, სამხედრო-საინჟინრო ტექნიკა და სხვა (აფხაზეთის ლაბირინთი, 1999: 208).

„სეპარატისტებს“ სამხედრო-საექსპერტო დახმარებას უწევდა (საჯარისო შენაერთების სტრატეგიული მართვის უზრუნველყოფით) რუსეთის გენერალიტეტი (გ. კონდრატიევი, რ. ჩინდაროვი, ა. კვაშინი, ი. სივუტკინი და სხვ.) და ოფიცერთა კორპუსი.

რუსეთი თავის ტერიტორიაზე ორგანიზებას უწევდა მოხალისეთა ჯგუფებს და გადაჰყავდა ისინი კონფლიქტის ზონაში. ასევე დროს რუსეთის სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალები ბომბავდა ქართული ჯარის პოზიციებს და ეთნიკური ქართველებით დასახლებულ ტერიტორიებს.

პარალელურად, რუსეთის უმაღლესი ხელმძღვანელობის წარმომადგენლები (მაგ.: ვიცე-პრეზიდენტი ა. რუცკოი, პარლამენტის სპიკერი რ. ხაზბულატოვი) პერიოდულად ემუქრებოდნენ საქართველოს ხელისუფლებას თბილისისა და სხვა ქალაქების დაბომბვით.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისის აფხაზეთის ომში რუსეთის მონაწილეობის პოლიტიკურ-დიპლომატიური ფორმატი გულისხმობს

რუსეთის მიერ საქართველოს ხელისუფლებაზე პოლიტიკური ზეწოლითა და მოლაპარაკებათა პროცესში ცრუ გარანტიების შეთავაზებით საქართველოს დამარცხების დიპლომატიურ-სახელმეკრულებო ბაზისის უზრუნველყოფას (1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის შეთანხმება; 1993 წლის 14 მაისის მოსკოვის ხელმეკრულება; 1993 წლის 27 ივლისის სოჭის ხელმეკრულება და სხვ.).

1992-1993 წლების აფხაზეთის ომის საწყის ფაზაში აფხაზეთის ტერიტორიის უმეტეს ნაწილს ქართული სამოქალაქო ხელისუფლება და შეიარაღებული ძალები აკონტროლებდნენ. რუსეთის მორჩილი გუდაუთის დაჯგუფების მიერ კონტროლირებადი იყო მხოლოდ გუდაუთა-ახალი ათონის ხაზი და ტყვარჩელის ზონა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ წარმოებულ 1992 წლის 1-6 ოქტომბრის გაგრის ოპერაციას, რომელსაც შედეგად მოჰყვა „სეპარატისტთა“ სამხედრო ძალების გამარჯვება და პირდაპირ რუსეთის საზღვარზე გასვლა, სარდლობდა გენერალ-პოლკოვნიკი გ.კონდრატიევი. ამავდროს, არსებობს ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, გაგრის ოპერაციას საერთო ხელმძღვანელობას უწევდა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი მ. კოლესნიკოვი.

1992 წლის 9 დეკემბერს რუსეთის ავიაციამ დაბომბა სოხუმის საცხოვრებელი უბნები და ხალხმრავალი ბაზარი, რასაც 13 მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა. 11 დეკემბერს რუსეთის ავიაციამ საჰაერო იერიში მიიტანა ოჩამჩირის რაიონის სოფ. ახალდაბაზე, რის შედეგადაც 11 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა და 60-ზე მეტი დაიჭრა (გ. გასვიანი, თ. გასვიანი, 2005: 180).

რუსეთის ავიაციამ საჰაერო დარტყმები განახორციელა ქართული შენაერთების პოზიციებზე, განსაკუთრებით სოხუმისა და ოჩამჩირის რაიონების ქართული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ ზონებში; ამით რუსეთმა დაარღვია მთელი რიგი საერთაშორისო აქტები, მათ შორის 1949 წლის ჟენევის კონვენციის მუხლები (ომის დროს ნემსოვანი ჭურვებისა და კასეტური ბომბების გამოყენების აკრძალვის შესახებ).

რუსულ-“აფხაზურ“-კონფედერატული კოალიციის მასშტაბური შეტევითი ოპერაცია გუმისთის ფრონტზე მოხდა 1993 წლის 14-16 მარტს. რუსული ავიაციის და „სეპარატისტთა“ მიმე არტილერიის მიერ სოხუმისა და ქართული არმიის პოზიციების მასირებული დაბომბვის შემდეგ პრორუსულად აღზრდილი აფხაზების³, კონფედერატებისა და „სლავბატის“ გაერთიანებული ძალები შეტევაზე გადმოვიდნენ. სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ მოწინააღმდეგემ შეძლო ქართული შენაერთების წინააღმდეგობის გარღვევა გუმისთის ფრონტის ცენტრალურ და სამხრეთ უბნებზე და ქართული ნაწილების მიერ დაკავებული ტერიტორიის სიღრმეში შეაღწია. ქართულმა შენაერთებმა მტერი ალყაში მოაქციეს: მიმე არტილერიის მიერ შესანიშნავად და ოპერატიულად განხორციელებული მასირებული ცეცხლისაგან წარმოქმნილ „ქვაბში“ დიდი იყო სეპარატისტთა და კონფედერატთა დანაკარგები (როგორც ცოცხალი ძალის, ისე სამხედრო ტექნიკის მხრივ).

3 აფხაზთა ნაწილი ქართველების მხარეს იყო.

აღსანიშნავია, რომ 1992-1993 წლების აფხაზეთის ომის დასრულება მოხდა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში შემუშავებული სპეციალური გეგმის საფუძველზე. რუსეთის სამხედრო სარდლობამ შეიმუშავა თვისობრივად ახალი სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებდა კომბინირებულ ტაქტიკურ ფორმატს — ერთდროულ შეტევას ორივე ფრონტის ყველა უბანზე, თანაც წინასწარი მადეზორიენტირებელი სამხედრო მანევრებით. არაოფიციალური მონაცემებით, რუსეთის თავდაცვის სამინისტროში ეს გეგმა შემუშავებულ იქნა 1993 წლის ივნისის მეორე ნახევარში. საიდუმლო გეგმა შედგებოდა ოთხი პუნქტისაგან: „1. ტყვარჩელის დაჯგუფების მიერ ოჩამჩირის რაიონის ავტოტრასის ხელში ჩაგდება; 2. ოჩამჩირეში საზღვაო დესანტის გადასხმა ტამიშთან და მისი შეერთება ტყვარჩელის დაჯგუფებასთან; 3. პარალელურად შეტევის განხორციელება გუმიშთიდან და სოხუმის ირგვლივ სტრატეგიული სიმაღლეების ხელში ჩაგდება; 4. საბოლოო ჯამში, სოხუმის რკალში მოქცევა და აღება“ (აფხაზეთის ლაბირინთი, 1999: 150).

გეგმის განხორციელება მოხდა რამდენიმე ეტაპად:

1992 წლის 2 ივლისს სოფელ ტამიშთან რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სადესანტო ხომალდებიდან გადმოსხმულ იქნა რუსულ-აფხაზური დესანტი, რომელმაც კონტროლი დააწესა ოჩამჩირე-სოხუმის ავტომაგისტრალის გარკვეულ მონაკვეთზე. ამის პარალელურად მტერმა დაიწყო მასირებული შეტევა გუმიშთის ფრონტის მარცხენა სექტორზე. რუსულ-სეპარატისტულმა ძალებმა შეძლეს კონტროლის დამყარება კომანის, ახალშენის, გუმას სტრატეგიულ სიმაღლეებზე. 9 ივლისს მტერმა აიღო სოფელი შრომა და ცუგუროვკისა და ახბიუკის სიმაღლეები. სოხუმი ფაქტობრივად რკალში მოექცა.

რუსული გეგმის რეალიზაციის მეორე ეტაპი, რომლის დროსაც მტერმა ისარგებლა 1993 წლის 27 ივლისის სოჭის ხელშეკრულებით, დაიწყო 16 სექტემბერს: რუსულ-სეპარატისტული შენაერთების ტყვარჩელის დაჯგუფებამ კონტროლი დაამყარა მდინარე კოდორზე არსებულ საავტომობილო და სარკინიგზო ხიდებზე. 17 სექტემბერს რუსულ-აფხაზურ-კონფედერატულმა კოალიციამ დაიწყო შეტევა გუმიშთის ფრონტზე. ყურადღებას იქცევს შეტევის ოპერატიული მხარე:

თუ აღრე მტრის შეტევების ოპერატიული სტრუქტურა იყო ერთიანი, ამჯერად მან მიიღო ეშელონიზებული ფორმა: პირველ ეშელონს ქმნიდნენ რუსეთის რეგულარული არმიის სპეცნაწილები და კონფედერატა რაზმები, მეორე ეშელონს — ე.წ. აფხაზური ბატალიონები. გარდა ამისა, გამოყოფილი იყო მესამე, სარეზერვო ეშელონი რუსეთის არმიის ნაწილების სახით, რომელიც მოიცავდა ქვეითთა, სატანკო და საარტილერიო რეზერვებს. სარეზერვო ეშელონის ამოქმედება გათვალისწინებული იყო პირველი და მეორე ეშელონების წარუმატებლობის შემთხვევაში. საბოლოო ჯამში, რუსულ-აფხაზურ-კონფედერატული კოალიციის შეტევის ოპერატიულმა სიღრმემ შეადგინა რამდენიმე კილომეტრი. ყოველივე ამის საწინააღმდეგოდ ქართულმა მხარემ შეძლო შედარებით ნაკლები რაოდენობის ცოცხალი ძალის მობილიზაცია, ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობისაგან, თანაც თითქმის ყოველგვარი ტექნიკის გარეშე. ამავე დროს ფაქტობრივად ვერ

მოხერხდა თავდაცვის ემელონიზებული ტაქტიკული ზონის აღდგენა— ქართული მხარის მიერ სოჭის ხელშეკრულების შესრულების მასშტაბებმა გამოიცილა ამის შესაძლებლობა (დ. ჯოჯუა, 2007: 198). 27 სექტემბერს დაეცა სოხუმი, ხოლო 28-30 სექტემბერს — თითქმის მთელი აფხაზეთი.

1992-1993 წლების აფხაზეთის ომში საქართველოს დამარცხებას და შეიარაღებული ძალებისა და ქართული მოსახლეობის მიერ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის დატოვებას შედეგად მოჰყვა რეგიონზე საქართველოს იურისდიქციის შეწყვეტა. დღეს აფხაზეთი არის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკური სუვერენიტეტისა და იურისდიქციის ფარგლებს იძულებით ჩამოშორებული სეცესიური ლოკალური ზონა, რომელიც რუსეთის სამხედრო-სტრატეგიული მხარდაჭერის საფუძველზე გუდაუთის დაჯგუფების სახელით ცალსახად უარყოფს ოფიციალური თბილისის უზენაესობის აღდგენის ნებისმიერ გამოვლინებას.

საქართველოსაგან აფხაზეთის სეცესია არ განხორციელებულა თვითგამორკვევის საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმების ან პლებისციტული შიდაკონსტიტუციური პროცესის საფუძველზე. ეს მოხდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ რუსეთისაგან პროვოცირებული სეპარატისტების ანტიკონსტიტუციური ამბოხებისა და სამხედრო დაუმორჩილებლობის გზით.

ამიტომ აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ სინამდვილეში არის საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ქმედება. შესაბამისად, ანტიკონსტიტუციური წარმონაქმის აღიარება საერთაშორისო დანაშაულია.

სეპარატისტული აფხაზეთის პოლიტიკური კონიუნქტურის არსებითი ნიშანია რუსეთის დე ფაქტო პროტექტორატი. რუსეთის სტრატეგიული ინტერესები აფხაზეთში ლოგიკურ კავშირშია მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეზე კონტროლის აღდგენის ნეოიმპერიულ პოლიტიკასთან. აფხაზეთის პრობლემა ამ რესტავრაციული პროცესის ერთ-ერთი ქმედითი მექანიზმია; საკითხით ხდება გარკვეულ ზღვრამდე საქართველოს სუვერენიტეტის შეკავება, საქართველოს, როგორც კავკასიის გეოპოლიტიკური ღერძული არეალის ბლოკირება, მთელი კავკასიის რეოკუპაციისა და რეანექსიის შესაძლებლობის შენარჩუნება.

აფხაზეთზე კონტროლის შენარჩუნებით უზრუნველყოფილია კავკასიის რეგიონისა და „ჭართლენდის“ სამხრეთი სექტორის რეკონფიგურაციის პროგრესული გეოპოლიტიკური ტენდენციის ბლოკირება. ამ თვალსაზრისით რუსეთის გლობალურ გეოპოლიტიკაში აფხაზეთის ფუნქცია კალინინგრადის ანკლავის, დნესტრისპირეთისა და აღმოსავლეთ უკრაინის ფუნქციის იდენტურია.

ამავე დროს, აფხაზეთს რუსეთისათვის გააჩნია ლოკალური სუბრეგიონალური გეოპოლიტიკური ღირებულება: აფხაზეთი რუსეთისათვის წარმოადგენს ერთგვარ „გოდოლს“, რომელიც ერთიან სისტემურ მთლიანობაში კრავს შავი ზღვისპირეთსა და კავკასიას. სოჭი-აღღერტუაფსეს ზონას არ შეუძლია ამგვარი „მემკვრელი“ გეოპოლიტიკური ფუნქციის შესრულება, აქ ავტოქტონური მოსახლეობის დაბალი

პროცენტული მაჩვენებლების გამო. რუსეთმა აფხაზეთი რომ „დათმოს“, მაშინ სუბრეგიონში შეიქმნება ეთნოპოლიტიკური სიჭრელე და სოჭი-ადლერ-ტუაფსის რუსული ზონა გახდება თავისებური ბუფერი, რომელიც ყაბარდოულ და ადიღურ ეთნიკურ ზონებს გაამხოლოებს მათი „ძმები აფხაზებისაგან“. ამიტომ ისინი აუცილებლად შეუტევენ ამ ზონას, მისი ბუფერული ხასიათის სალიკვიდაციოდ, რაც რუსეთს დესტაბილიზაციის ახალ არეალს შეუქმნის სოჭი-მაიკოპ-ჩერკესკის ხაზზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფხაზეთზე დაწესებულია რუსეთის არაფორმალური პროტექტორატი. ფაქტობრივად მოქმედებს გარეგანი მმართველობის რეჟიმი, რომლის დროსაც რუსეთი მთლიანად აკონტროლებს აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხდება რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და სახელმწიფო სათათბიროსთან სეპარატისტების სუბორდინაციული კონსულტაციების საფუძველზე. რუსეთს, სამწუხაროდ, საკმარისი რესურსები გააჩნია იმისათვის, რომ დაბლოკოს ნებისმიერი არასასურველი გადაწყვეტილება. ამ მხრივ, იმპერატიულ „ვეტოს ჯგუფებს“ წარმოადგენენ რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაცია, თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბი და სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საქმეთა კომიტეტი. სწორედ ეს სტრუქტურები ახდენენ გადამწყვეტ ზეგავლენას აფხაზეთის პოლიტიკურ სპექტრზე. გარდა ამისა, რუსეთის ისტებლიშმენტში სეპარატისტების მხარდაჭერის მძლავრ ლობისტურ ქსელს ქმნიან სახელმწიფო სათათბიროს ფრაქციები „როდინა“ და „ლდპრ“ და მეცნიერებათა აკადემიის დსთ-ს სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი. ამდენად, სახეზეა რუსეთის მიერ აფხაზეთის არაოფიციალური პროტექტორული მმართველობა პოლიტიკური კოლონიზაციის ნიშნებით.

რუსეთის ისედაც დესტრუქციული პოლიტიკა განსაკუთრებით რადიკალური გახდა 1999-2000 წლების მიჯნაზე, ხელისუფლების სათავეში ვ.პუტინისა და მისი მილიტოკრატიული დაჯგუფების მოსვლის შემდეგ. ამ დროიდან რუსეთის პოლიტიკამ შეიძინა მიზანმიმართულად ანექსიონისტური ხასიათი.

1999 წლის ოქტომბერში ვ.პუტინმა გააუქმა რუსეთის მთავრობის 1994 წლის 19 დეკემბრის დადგენილება აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის ეკონომიკური, სასაზღვრო და ფინანსური ბლოკადის შესახებ, პარალელურად, ფაქტობრივად მხარი დაუჭირა 1999 წლის 12 ოქტომბრის ე.წ. „აფხაზეთის დამოუკიდებლობის აქტს“, რადგანაც ეს არის „დამოუკიდებლობა“ რუსეთთან მიერთებისათვის.

2000 წლის პირველი იანვრიდან საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღების პარალელურად, რუსეთმა აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან შეინარჩუნა უვიზო სასაზღვრო რეჟიმი. 2002 წლიდან, ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების დარღვევით, ვ.პუტინის ადმინისტრაციამ დაიწყო აფხაზეთის მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებისა და რუსული პასპორტების დარიგების პროცესი. ეს უპრეცედენტოდ დელიქტური პროცესი წარმოადგენდა საქართველოს წინააღმდეგ ჰუმანიტარულ ინტერვენციას და მისი სამოქალაქო სივრცის ორგანული ნაწილის ანექსიას.

სრულიად აშკარაა, რომ „აფხაზური სეპარატიზმის“ არაფორმალური მხარდაჭერის ელცინური სტრატეგიიდან რუსეთი გადავიდა აფხაზეთთან განსაკუთრებული ურთიერთობების დამყარებისა და მისი ეტაპობრივი ანექსიის უაღრესად საშიშ სტრატეგიაზე. თუ ადრეულ ეტაპზე რუსეთისათვის მთავარი მიზანი იყო არა აფხაზეთის სეცესია, არამედ აფხაზეთის ფაქტორის მეშვეობით საქართველოს „ჩაჭერა“ თავისი პოლიტიკური გავლენის ზონაში, ამიერიდან რუსეთმა კურსი აიღო საქართველოს ტერიტორიული დეზინტეგრაციის ხელშეწყობაზე. ეს სტრატეგია რუსეთის ახალი გეოპოლიტიკური პროექტის ორგანული ნაწილია. პროექტის მიზანია რუსეთის მიერ „ჰართლენდის“ სამხრეთ სუბრეგიონში საკუთარი გეოპოლიტიკურ-გეოსტრატეგიული ინტერესების ზონის შექმნა და ამ სისტემაში, ირანთან და სომხეთთან ერთად, პოსტსაბჭოთა სივრცის აუღიარებელი სეპარატისტული ანკლავების ჩართვა. რუსული გეგმის მიხედვით, აფხაზეთი უნდა გახდეს ამ პრორუსული გეოპოლიტიკური სარტყელის ერთ-ერთი ნაწილი. ეს არის აფხაზეთის ფუნქცია რუსეთისათვის, რასაკვირველია, საქართველოს ევროატლანტიკური ორიენტაციის მოშლასთან ერთად.

2008 წლის 7-12 აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთმა აქტიურად დაიწყო ამ სტრატეგიის რეალიზაცია. საქართველოში სამხედრო ინტერვენციისა და პოსტინტერვენციული ოკუპაციის კვალად, 25-26 აგვისტოს კრემლმა მიიღო სრულიად უკანონო და საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით დანაშაულებრივი აქტები აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ე.წ. „დამოუკიდებლობის“ ცნობის შესახებ.

„აფხაზეთის კრიზისის“ დარეგულირების უალტერნატივო გზაა -ევროატლანტიკური კურსის რადიკალიზაცია და ამ კურსის ფარგლებში, გარკვეული საერთაშორისო გარანტიების მიღების პარალელურად, რუსეთის „საშუამავლო“ მისიის ნეიტრალიზება; რუსეთის ამჟამინდელ ადმინისტრაციასთან ურთიერთობების გაუმჯობესებაზე ლაპარაკი სრულიად უპერსპექტივო და არაპროდუქტიული ოცნებაა.

დამოწმებული ლიტერატურა:

- აფხაზეთის ლაბირინთი, 1999** — აფხაზეთის ლაბირინთი, თბ., 1999.
- გ. გასვიანი, თ. გასვიანი, 2005** — გ. გასვიანი, თ. გასვიანი, აფხაზეთის ომი, თბ., 2005.
- ა. დუგინი, 1999** — ა. დუგინი, გეოპოლიტიკის საფუძვლები, თბ., 1999.
- „საქართველოს რესპუბლიკა“**, 1992 წლის 27 ივნისი.
- დ. ჯოჯუა, 2007** — დ. ჯოჯუა, აფხაზეთი 1938-2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესის ასპექტები, თბ., 2007.
- Бгажба О., Лакоба С., 2006** _ Бгажба О., Лакоба С., История Абхазии, Сухуми, 2006.
- Лакоба С., , 2001** _ Лакоба С., Абхазия де факто или Грузия де юре? Хоккаидо, 2001.

კავკასიონის გეოპოლიტიკური როლი ისტორიული პერსპექტივიდან

დედამიწის აღმოსავლეთ ნახევარსფეროს რუკაზე თვალის ერთი გადავლევაც კი საკმარისია ამიერკავკასიის ცენტრალური მდებარეობის დასანახად. მისგან ჩრდილოეთით განლაგებულია გამოკვეთილად ჩრდილოური ქვეყანა - რუსეთი, სამხრეთით - ირანი და თურქეთი, დასავლეთიდან შავი ზღვა გამოყოფს მას აღმოსავლეთ ევროპისაგან, ხოლო აღმოსავლეთით კასპიის ზღვა - ცენტრალური აზიისაგან. ამიერკავკასიის ასეთი შუალედური მდებარეობა მიზეზი უნდა ყოფილიყო მისი ეთნო-კულტურული მრავალფეროვნების, რაც შემჩნეული ჰქონდათ ჯერ კიდევ კლასიკური ხანის მწერლებსა და მოღვაწეებს.

ამიერკავკასიის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილებში მდებარე საქართველო, ადრეული ხანების კოლხეთი და იბერია, კლასიკური ხანის ბერძნული მითოლოგიისათვის ოქროს საწმისის და პრომეთეოსის ქვეყანაა. იგი, მართლაც პრომეთეოს-ამირანივით არის მიჯაჭვული კავკასიონის დიდ მთავრებზე. საინტერესოა, რომ საქართველოს ყოფილ სახელმწიფო გერბზე გამოსახული თეთრი გიორგის (საქართველოს ხატება) ცხენის ფლოქვებთან, წმიდა გიორგის ხატზე გამოსახული ურჩხულის ნაცვლად, ძვეს კავკასიონის მთები, ქვეყნის წინაშე მდგარი ბუნებრივი გამოწვევის სიმბოლო - სიმბოლო დედამიწის გეოგრაფიული, ეთნო-კულტურული და პოლიტიკური დაყოფის ერთ-ერთ უმთავრეს ნიშანსვეტთან მისი ბედის კავშირისა.

ამიერკავკასია (და კერძოდ, საქართველო) მდებარეობს არა მხოლოდ გეოგრაფიულად - დედამიწის ოთხივე მხარის გზაჯვარედინზე, არამედ გზაჯვარედინზე ქრონოლოგიური თვალთახედვითაც - ძველ, ტოტალიტარულ და ახალ, დემოკრატიულ სამყაროებს შორის. ორივე ეს გზაჯვარედინი ამავე დროს ერთმანეთთან არის გადახლართული; ამიერკავკასიის ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით ჯერ ისევ არიან განლაგებული ფაქტობრივად ტოტალიტარული ქვეყნები, ხოლო დასავლეთითა და სამხრეთით - მეტნაკლებად დემოკრატიული ცხოვრების წესის მქონე, ან დემოკრატიული გარდაქმნების გზაზე მდგარი საზოგადოებები.

პირველი და მეორე მსოფლიო ომებისა და კომუნისტური სისტემის კოლაფსის შემდეგ, მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას აღმოცენდნენ თუ აღორძინდნენ მრავალრიცხოვანი სახელმწიფოები. ამ პროცესს დღესაც აქვს ადგილი, ძირითადად პოსტსაბჭოთა სივრცეში; კერძოდ, 1918 წელს აღდგა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. ეს ქვეყანა სამი წლის შემდეგ, 1921 წლის თებერვალ-მარტში, დაპყრობილ იქნა საბჭოთა რუსეთის მიერ. საბჭოთა იმპერიის დასუსტებისთანავე, 1991 წლის 9 აპრილს, საერთო-სახალხო რეფერენდუმის საფუძველზე ისევ აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა.

როგორც ჩანს, სწორედ გეოპოლიტიკური ხასიათის ფაქტორებმა გამოიწვია არა მხოლოდ კლასიკური ხანის შუაგულ ამიერკავკასიაში

სახელმწიფოებრიობის აღმოცენება, არამედ აგრეთვე განაპირობა მისი ისტორიული განვითარება საშუალო საუკუნეებში, ახალ და უახლეს ხანებში.

საგანგებო კვლევის მიზანი უნდა იყოს საქართველოს პოლიტიკურ ორიენტაციაში შესაძლო მიმართულებათა მონახაზის წარმოდგენა, საკუთრივ საქართველოს, საზოგადოდ ამიერკავკასიისა და უფრო ვრცელი (შავი და კასპიის ზღვების აუზების მომიჯნავე) არეალის პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებული ტენდენციების ფონზე და ამ ტენდენციათა ურთიერთმიმართების ხასიათის გარკვევა.

ქართული პოლიტოლოგები თუ ფართო საზოგადოება სამგვარი არჩევანის წინაშეა:

1. **CHF-ს ფარგლებში არსებულ თავდაცვით სისტემასთან (ანუ რუსეთთან) მიერთება;**

2. **ნეიტრალიტეტის გამოცხადება;**

3. **ევრო-ატლანტიკურ დემოკრატიულ საზოგადოებებში ინტეგრირება.**

პრორუსული გადახრა ფაქტიურად ნიშნავს ჩვენი ქვეყნის უკან ვაბრუნებას სახელმწიფოებრიობის შენების გზიდან და **რუსულ** “ხახაში” თანდათანობით ჩაგარდნას. ნიშანდობლივია, რომ მიუხედავად საერთაშორისო გადაწყვეტილებებისა, რუსეთი ყველა ხერხით ცდილობს საქართველოში შეინარჩუნოს სამხედრო ყოფნა, გააფართოს აქ თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა.

ნეიტრალური სტატუსი წამგებიანია ქვეყნისათვის, რომელიც პოლიტიკური პროცესების ეპიცენტრშია და, ამავე დროს გარშემორტყმულია აგრესიული მეზობლებით - უპირველეს ყოვლისა, რუსეთით. თურქეთი და რამდენადმე ირანი, თავიანთი კავკასიური პოლიტიკის ხელახალი განსაზღვრის შემდეგ და საკუთარი ისტორიული ტრადიციებისაგან განსხვავებით, ცდილობენ შეძლებისდაგვარად დაიცვან რეგიონში მშვიდობა და უსაფრთხოება.

როგორც ჩანს, ევრო-ატლანტიკურ დემოკრატიულ საზოგადოებებში ინტეგრირება, ერთადერთი არჩევანია, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს საქართველოს თავისუფალი განვითარება.

მაგრამ რამდენად შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ დროის ხანგრძლივი პერსპექტივიდან ეს არჩევანი უპასუხებს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს? რატომ ხდება აღნიშნული არჩევანი, პროდასავლური ორიენტაცია, ქართული საზოგადოების motto? **რამდენად საფუძვლიანია ქართული საზოგადოების ერთი ნაწილის შიში**, რომ აღნიშნული ორიენტაციის გამო, ქვეყანა და მისი მოსახლეობა იმყოფება დასავლეთის დემოკრატიული საზოგადოების მტერთაგან მომდინარე, წინასწარ განუჭვრეტელი და გარდაუვალი დასჯის საფრთხის ქვეშ, რის გამოც, მათი აზრით, ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაცია შესაცვლელია?

დასმული კითხვები ცხადყოფს, რამდენად დაძაბული და გაურკვეველია საქართველოში უკანასკნელი წლების პოლიტიკური სიტუაცია. ძნელი წარმოსადგენია, რომ მოიპოვებოდეს იოლი პასუხი ყველა იმ კითხვაზე, რომელიც აწუხებს დღევანდელ ქართულ საზოგადოებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეძლებისდაგვარად მაინც უნდა შევეცადოთ, მდგომარეობა უფრო

გასაგები გაეხადოთ ქვეყნის ისტორიული განვითარების თვალთახედვიდან გამომდინარე.

თანამედროვე მოვლენების საფუძველში ადრეული ხანებისათვის დამახასიათებელი პროცესების ხასიათის შეცნობისათვის, საჭირო ხდება რეტროსპექტიული ხედვის გამოყენება. საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის ისარი სხვადასხვა დროს განსხვავებული მხარეებისაკენ იხრებოდა; მაგრამ რა სახის მექანიზმი განაპირობებდა ამ ცვლელადობას? რომელი იყო უდიდესი მაგნიტური ძალის მქონე მხარე, ისტორიის მანძილზე ქართული ვექტორის განმსაზღვრელი? დღევანდელობაში გასარკვევად აუცილებელი ხდება ამ კითხვებზე პასუხის გაცემა.

სამწუხაროდ, სათანადო ყურადღების გარეშეა დარჩენილი, **ცენტრალურ ამიერკავკასიაში სახელმწიფო ძალაუფლების აღმოცენებასა და კავკასიონის უღელტეხილების კონტროლის საჭიროებას შორის არსებული ურთიერთკავშირი**. არადა, ეს ურთიერთკავშირი მკაფიოდ არის აღბეჭდილი რეგიონის ისტორიულ განვითარებაში. ასეთი უგულვებელყოფა ძირითადად განპირობებული იყო, უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში ამიერკავკასიის ინკორპორაციით ჯერ რუსეთისა და შემდეგ საბჭოთა იმპერიაში. ბუნებრივია, ამ იმპერიათა არცერთი ქვემეგრდომი დაწესებულება არ დაუშვებდა მსგავსი თემატიკის დამუშავებას და ვერც პოსტსაბჭოთა ხანაში იქნებოდა იგი მაინცდამაინც წახალისებული. ორივე ეს ქვეყანა (რუსეთის იმპერია და საბჭოთა კავშირი) საკმაოდ წარმატებული გამოდგა ამიერკავკასიის ტერიტორიის ტოტალურ დაქვემდებარებაში; ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მათი ექსპანსიონისტური მიზნებისათვის მთელი ახლოაღმოსავლური-ხმელთაშუაზღვისპირეთული არეალის მიმართ. მეორე მხრივ, ის გარემოება, რომ უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში არცერთი კავკასიელი ერი არ იყო ფაქტურად წარმოდგენილი მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე, მიზეზი გახდა დასავლელი სპეციალისტების მიერ კავკასიის ისტორიის უგულვებელყოფისა.

კომუნისტური სისტემის რღვევამ შესაძლებლობა მისცა აღნიშნული სისტემისადმი ადრე მიკუთვნებული ქვეყნების სპეციალისტებს, გამოეყენებინათ კვლევისას მათთვის ადრე წარმოუდგენელი ისეთი მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომლებიც საგრძნობლად არიან დაშორებული მარქსიზმ-ლენინიზმის დოგმებს და რომლებიც უკვე რამდენადმე მოძველებულადაც კი არიან მიჩნეული. ადრეული კავკასიის პოლიტიკური ისტორიის შესწავლასთან დაკავშირებით უფრო ოპტიმალურად არნოლდ თოინბის ე. წ. “გამოწვევისა და პასუხის“, ანუ “სტიმულისა და რეაქციის“ (**Challenge-and-Response**) მოდელის გამოყენება ჩანს, ვინაიდან, ცენტრალურ ამიერკავკასიაში სახელმწიფოებრიობის იდეის წარმოქმნა-განვითარება თავის “გამოწვევასა“ თუ “სტიმულს“ (**challenge**) სწორედ ადგილობრივი ბუნებრივი და საზოგადოებრივი გარემოს “პასუხში“ ანუ “რეაქციაში“ (**response**) პოულობდა [Toynbee 1956: 31, 101, 208 შმდ.].

საქართველოს პოლიტიკური ისტორია, სხვა ამიერკავკასიელი ქვეყნების მსგავსად, ძირითადად განპირობებული იყო ამიერკავკასიის მდებარეობით დიდი კავკასიონის მთაგრეხილის სამხრეთით. ეს მთაგრეხილი ქმნიდა ტეხილს (გეოლოგიური “რღვევის ხაზის“ მსგავსად) არა მხოლოდ გეოგრაფიული,

სოციალურ-ეკონომიკური და ეთნო-კულტურული, არამედ მსოფლიოს გეოპოლიტიკური დაყოფის თვალსაზრისითაც. კაცობრიობისათვის კავკასიონის მდებარეობის უადრესად დიდი მნიშვნელობა, ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ, ნათლად გამოხატა პლინიუს უფროსმა (Plinius Magnus): **კავკასიის კარი (ანუ დარიალის კარიბჭე) სამყაროს ორ ნაწილად განყოფს** (n.h. 6, 30).

სამყაროს კონცეფცია ყოველთვის საჭიროებდა ზღვარს, აგებულს მოაზროვნე ადამიანის მიერ ბარბაროსთა საწინააღმდეგოდ, ასეთი იყო, მაგალითად, ჩინეთის დიდი კედელი ან აღრიანეს კედელი (Roman Limes). კავკასიის კარიბჭეს ანალოგიური დაცვითი კედლის ფუნქცია ჰქონდა. უხსოვარი დროიდან იგი მძლავრი წინააღმდეგობა იყო საზიარო ინტერესების მქონე ახლოაღმოსავლურ-ხმელთაშუაზღვისპირეთულ ცივილიზირებულ სამყაროში, ანუ ოიკუმენეში, ევრაზიელი ნომადების შეღწევის საწინააღმდეგოდ.

კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალური უღელტეხილი, **კავკასიის კარი**, ხშირად მოიხსენიება კლასიკური ხანის მწერლობაში, როგორც ალექსანდრეს სვეტები, ბურჯი თუ რკინის კარიბჭე [შდრ., Anderson, 1932: 15-19]. ისტორიული ლიტერატურიდან კარგად არის ცნობილი, რომ თავად ალექსანდრეს არასოდეს ულაშქრია კავკასიისაკენ. ამიტომ, საფიქრებელია, რომ ალექსანდრე დიდის სახელის კავშირი ქართულ სახელმწიფოებრიობასთან, ასახული სომხურ და ქართულ მატრიანეებში, უნდა მიანიშნებდეს მხოლოდ და მხოლოდ ამ სახელმწიფოს *raison d'être*-ზე (არსებობის არსზე); კერძოდ, მის დანიშნულებაზე, ყოფილიყო ცივილიზებული სამყაროს ფორპოსტი, ამ უკანასკნელის ბრძოლაში გოგისა და მაგოგის საუფლოსთან, რომელსაც კავკასიის კარიბჭის, ანუ კავკასიონის მთავარი ქედის, გადაღმა ედო ბინა.

სიმბოლურია, რომ საქართველოს ყოფილ სახელმწიფო გერბზე გვხვდებოდა დიდი მეფის ლეგენდარული ხატების მიერ ბოძებული მზის, მთვარისა და ხუთი ვარსკვლავის გამოსახულება. ამრიგად, ალექსანდრესეული რკინის კარიბჭის კონცეფცია წარმოადგენდა გამოხატულებას ქართული სახელმწიფოებრიობის კონკრეტული პოლიტიკური ფუნქციისა, ყოფილიყო დამცველი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის - კავკასიის კარიბჭისა.

ზემოაღნიშნული სახელმწიფოებრივი ფუნქცია იყო ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო ადრე ელინისტური ხანის ცენტრალურ ამიერკავკასიაში ქართული სახელმწიფოს წარმოქმნას. უფრო ზუსტად, კავკასიონის მთავარი ქედის უშუალოდ სამხრეთით - ანუ ევრაზიელი ნომადებისა და ახლოაღმოსავლური ცივილიზირებული საზოგადოებების საკონტაქტო ზონაში - საქართველოს მდებარეობა, ძირითადი მიზეზი იყო ჩრდილოეთიდან მასზე მუდმივი გარეგანი ზეწოლის, ანუ “გამოწვევის“ (challenge), რომელმაც თავის მხრივ განაპირობა “პასუხი“ (response) - აღნიშნულ ზონაში ანუ ცენტრალურ ამიერკავკასიაში სახელმწიფოებრიობის (იბერიის სამეფოს) აღმოცენება. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ Pax Achaemenia-ს მეცვლა Pax Macedonica-თი იყო იბერიის (აღმოსავლურქართული) სახელმწიფოს წარმოქმნის აღმნიშვნელი ნიშანსვეტი [Toumanoff, 1943: 142, 150, შდრ., 443; შდრ., Gugushvili, 1936, 109, შდრ.].

იბერიის სამეფოს “არსებობის არსის” მსგავსად, კლასიკური ეპოქის სხვა ახალი სახელმწიფოების: ალბანეთისა და ლაზიკის მნიშვნელობა განპირობებული ჩანს ამიერკავკასიის საერთო გეოგრაფიული მდებარეობით¹. ეს სახელმწიფოები წარმოადგენდნენ ცივილიზებული სამყაროს (ბერძნული - ოიკუმენე, რომაული - *orbis terrarum*) ძნელად გადასალახავ ფორპოსტებს კავკასიის კარიბჭის გადაღმიდან შემოჭრილი მომთაბარე ბარბაროსი ტომებისათვის. თუმცა, არსებობდა აშკარა სხვაობა ქართული სახელმწიფოების (იბერია, ლაზიკა) დასავლურ (ბერძნულ-ბიზანტიურ) და ალბანეთისა და სომხეთის აღმოსავლურ (პართია, ირანი) პოლიტიკურ ორიენტაციებს შორის.

რომაელთა ერთ-ერთი კარდინალური ამოცანის - ახლო აღმოსავლეთში **Pax Romana**-ს შენარჩუნების - ყველაზე უფრო ხელსაყრელ შესაძლებლობას კავკასიის უღელტეხილებზე განხორციელებული კონტროლი იძლეოდა. იბერიელები, რომელთა ძალაუფლება კავკასიის კარიბჭეზე ვრცელდებოდა, რეგიონში რომაელთა ყველაზე მნიშვნელოვანი მოკავშირეები იყვნენ. რომაელებსა და იბერებს (ერთიდაიმავე *orbis terrarum*-ის შემადგენელ ნაწილებს) შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობა, საერთო სტრატეგიულ ინტერესებზე იყო დაფუძნებული.

იბერიის ხელისუფალნი პერმანენტულად და დიდი წარმატებითაც იყენებდნენ თავიანთი ქვეყნის ხელსაყრელ სტრატეგიულ მდებარეობას, რათა შეეჩერებინათ ყველა მხრიდან მომდინარე აგრესია. ჯერ კიდევ, ტაციტუსი შენიშნავდა, რომ იბერიელები გამოირჩეოდნენ სხვადასხვა პოზიციების თავიანთ სასარგებლოდ გამოყენების „დიდი ხელოვანებით“; მათ შეეძლოთ, კავკასიონის გადაღმა მხარეებიდან უეცრად „გადმოესხათ“ მოჭირავნეები თავიანთი მტრების წინააღმდეგ (**Ann. 6, 33**).

როგორც ჩანს, უძველესი დროიდან მომდინარეობს ქართული სახელმწიფოს არსი, გააკონტროლოს შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე არსებული კავკასიონის ყველა გადასასვლელი; რაც გამოხატულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფორმულაში: „ნიკოფსითგან დარუბანდამდე“. აღნიშნული ფორმულა განსაკუთრებულ მახვილს სვამს ჩრდილოეთის საზღვრის გაყოლებაზე, რომელიც გადაჭიმული იყო დაახლოებით თანამედროვე ტუაფსედან (შავ ზღვა) დერბენდამდე (კასპიის ზღვა), რომლის დაცვა და კონტროლი შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა.

ახლოაღმოსავლურ-ხმელთაშუაზღვისპირეთული არეალის სახელმწიფოთა ყველა დროის მესვეურთათვის, მომთაბარეთათვის გზის გადამკეტი კავკასიის კარიბჭის ეფექტური კონტროლის დიდი საჭიროების გამო, სასურველი იყო შუაგულ ამიერკავკასიაში, იბერიაში, მსგავსი ფუნქციის შესრულებისათვის საკმაო ძალის მქონე პოლიტიკური ორგანიზაციის არსებობა.

ქართული სახელმწიფოებრიობის ბედის კავშირი კავკასიონის გადასასვლელების გაკონტროლების მოთხოვნასთან მკაფიოდ იკვეთება მთელი მისი ისტორიის განმავლობაში. ჩემი აზრით, ძირითადად ქვეყნის ამ ფუნქციის არსებობით უნდა იყოს გამოწვეული ის გარემოება, რომ საქართველო წარმოადგენს ერთადერთ სახელმწიფოს მთელ ქრისტიანულ

¹ დიდი კავკასიონის მთაგრეხილის სამხრეთით აღნიშნული სახელმწიფოების მიერ ამ მთაგრეხილის სტრატეგიული ფუნქციის მქონე ზეკარების კონტროლი.

სამეაროში, რომლის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარება უწყვეტად შეიძლება ჩაითვალოს კლასიკური ხანებიდან დაწყებული XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ მისი ანექსიის ხანამდე [Toumanoff 1943].

როგორც ვხედავთ, ახლოაღმოსავლურ-ხმელთაშუაზღვისპირეთული საზოგადოებების დაინტერესება **ცენტრალური ამიერკავკასიით** გარდაუვალი იყო არა მხოლოდ ამ რეგიონის აბსტრაქტული დაცვითი ფუნქციის გამო, არამედ ძირითადად ამ უკანასკნელის მდებარეობის გამო ცივილიზებული და ბარბაროსული სამეაროების შეხების ზონაში. მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის ასეთი მდებარეობა განაპირობებდა მის სივრცეში ისტორიული განვითარების ამ ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოდელის შეჯახებას; კავკასიონის მთავარი ქედის ფაქტორი, რომლის სამხრეთითაც ეს რეგიონი მდებარეობდა, განსაზღვრავდა მის ბედს - ყოფილიყო მაღალგანვითარებული და წარმატებული ახლოაღმოსავლურ-ხმელთაშუაზღვისპირეთული ოიკუმენეს ფორპოსტი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების დაბალი ტემპის მქონე ევრაზიის ვრცელი სტეპების მრავალრიცხოვან და აგრესიულ მომთაბარეთა წინააღმდეგ, რომელთაც ახლო აღმოსავლეთში ლაშქრობისას პლაცდარმად ესაჭიროებოდათ საქართველოს და ამიერკავკასიის ტერიტორია.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **ქართველთა სახელმწიფო ისტორიულად წარმოადგენდა ცივილიზაციის ბურჯს სამხრეთ-დასავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის შესაყარზე.**

მუდმივი დაპირისპირება ბარბაროსსა და ცივილიზებულს, მიმთვისებელსა და მეურნეს/შემოქმედს შორის იყო ის კვესი და აბედი, რომლის საშუალებითაც დაინთო სახელმწიფოებრიობის ცეცხლი კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილის გადმოღმა მდებარე ქართულ სახელმწიფოში.

დამოწმებული ლიტერატურა:

Anderson 1932 - A. R. Anderson. **Alexander's Gate, Gog and Magog, and the Inclosed Nations.** The Medieval Academy of America. Cambridge, Massachusetts, 1932.


Gugushvili 1936 - A. Gugushvili. The Chronological-Genealogical Table of the Kings of Georgia, – **Georgia**, 1-3, 1936.

Toynbee 1956 - A. J. Toynbee. **A Study of History**, vol. II. London, New York, Toronto: Oxford University Press, 1956.

Toumanoff 1943 - C. Toumanoff. Medieval Georgian Historical Literature (VIIth – XVth

(Centuries), – **Traditio**, I. Studies in Ancient and Medieval History, Thought and Religion. New York, 1956.

სამართავი მხარეები კველად და ღღუს




სამართავი XIII საუკუნის I მეოთხედი




სამართლებლო XV საუკუნის მახასრულს



თანამედროვე ავსტრიაში ტერიტორია XVI საუკუნეში



თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია XVII საუკუნეში




აფხაზეთის სამთავრო XVIII საუკუნეში




ავსტრიის სამთავრო 1810 - 1840 წწ.



ავსტრიის ს.ს.რ. 1921 - 1930 წწ




ავსხაზეთის ა.ს.ს.რ. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილება 1978 - 1991 წწ



არქეოლოგიური ძეგლები თანამედროვე ავსხაზეთის ტერიტორიაზე



შუასაუკუნეების ლაიკარული წარწერები თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე



ძარბაზის არქიტექტურული ძეგლები თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე





სურ. 1. მსიგზუს მთის
კვლევის წარწერა.



სურ. 1ა. გიორგი II-ის წარწერა
სამეფრობელზე.



სურ. 2. მოქვის ტაძარი. აგებულია ლეონ მესამე აფხაზთა მეფის მი.



სურ. 3. მოქვი. გრიგოლ მოქველის წარწერა.



სურ. 4. ბელიის ტაძარი. აგებულია ბაგრატ მესამის მიერ.




სურ. 5. ბელიის ბარძიში ბაგრატ მეფის წარწერით.



სურ. 6. ბელია. დადიანთა საგვარეულოს ფრესკა. ოჩამჩირის რაიონი.



სურ. 7. ილორის ტაძარი.



სურ. 8. ილარი. გიორგი ქიხოლავეს წარწერა.




სურ. 9. წყელიკარის კელესიის ფრესკა წარწერით.



სურ. 10. წველივარის კვლესის
ღებალი.



სურ. 11. წველივარი. კტიტორ ჩიხუას წარწერა.



სურ. 12. ანუხვა.
ვიორგი ბასილის ძის წარწერა.



სურ. 13. ანუხვა. წარწერა სტელაზე.




სურ. 14. წებელდა.
ლუა მარტინეას წარწერა.




სურ. 15. წებელდა. წმ. გიორგის ტაძრის წარწერა.



სურ. 16. წებელის კანკელი.



სურ. 17. გუდავა. რაბისა და ნუგაწირას წარწერა.



სურ. 19. ლიხნის წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ.




სურ. 20. ჭალა. ოზბეგ დადიანის წარწერა. ოჩამჩირის რაიონი.



სურ. 20ა. ღიზაზურგა. მიქაელ ვალატოზოუხუცისის წარწერა.



სურ. 21. სამწევრისის ტაძარი აგებულია კონსტანტინე მესამე აფხა.



სურ. 22. სამწვერისი. კონსტანტინე მესამის წარწერა.



სურ. 23. ლეონ მესამე აფხაზთა მეფის ხატი ქართული წარწერით.